პოლიკარპე (თემურ) მონიავა

შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში

თბილისი
2013

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ ყოვლისმომცველი ნორმატიული სამართლებრივი აქტია, ანუ აგებულია პანდექტურ საფუძველზე.

პირველი წიგნი შეიცავს ზოგად დებულებებს, სხვა წიგნებში კი, ასევე გვხვდება ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ქართული სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილს.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ კანონმდებელმა უარი თქვა საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ არქიტექტონიკაზე, სადაც სამოქალაქო კოდექსი შედგებოდა მკაცრად გამიჯნული მატერიალური სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან.

ნაშრომში თავმოყრილია ავტორის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში შემავალ ინსტიტუტებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელებში (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი და სხვა), ასევე იურიდიული ფირმა “ასაბია”-ს ბაზაზე პრაქტიკოსი იურისტებისათვის ყოველკვირეული შეხვედრების დროს წაკითხული ლექციები.

განხილული საკითხების თემატიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით მას ანალოგი არ გააჩნია და განკუთვნილია: იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, მოსამართლეების, ნოტარიუსების, ადვოკატების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დასაქმებული პირების, საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელების და, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების ისე ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიისა და ცივილური სამართლის სხვა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთავარი რედაქტორები: პროფესორი – **გოჩა ფერაძე**
პროფესორი – **მიხეილ მამნიაშვილი**

რედაქტორები: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები – **თამაზ ქოქოშვილი, ზურაბ ქურდაძე, თამარ იასეშვილი, ნატალია ჩიტიაშვილი, ნათია შარიფაშვილი**

დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

იბეჭდება არასამთავრობო ორგანიზაცია „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ მხარდაჭერით.

ISBN 978-9941-0-5512-6

შესავალი

განუზომილად დიდია სამოქალაქო კანონმდებლობის როლი ნებისმიერი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რის გამოც მას ქვეყნის მეორე კონსტიტუციასაც უწოდებენ. შესაბამისად, ადვილად აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ექცეოდა და ექცევა სამოქალაქო სამართლის სფეროს მიკუთვნებული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების დახვეწასა და სრულყოფას.

დიდი სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნები (ბაბილონი, ძველი რომი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.) თვითონვე ქმნიდნენ საკანონმდებლო შედევრებს. რიგ ქვეყნებს არც ქონიათ პრეტენზია შეექმნათ რაიმე ღირებული ამ მიმართულებით, მაგრამ წარმატებით იყენებდნენ სხვათა გამოცდილებას და არცთუ იშვიათად ახდენდნენ დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნების საკანონმდებლო აქტების პირდაპირ კოპირებას თავის ქვეყანაში.

მდიდარი სამართლებრივი მემკვიდრეობებიდან გამომდინარე, საქართველო იმ სახელმწიფოთა შორის იმსახურებს კუთვნილ ადგილს, რომლებმაც არამხოლოდ საკუთარი კანონმდებლობა შექმნეს, არამედ სხვა ხალხებსაც შეუქმნეს ან/და შეუწყვეს ხელი ისეთი სამართლის ძეგლების შექმნაში, რომელიც დღემდე რჩება მათ სავიზიტო ბარათებად. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ სომხური სამართლის სახელით ცნობილი მხითარ გოშის სამართალი, რომელიც თამარ მეფის ეპოქაში (XII საუკუნის მე-II ნახევარი) შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოში შემავალ ერთ-ერთ პროვინციაში, იმდენად დღეგრძელი აღმოჩნდა, რომ საკუთარ სახელმწიფობრიობას მონატრებულმა სომხებმა კილიკიაშიც კი წაიღეს და იქ არსებული სომხური სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად საკანონმდებლო აქტად აქციეს.[1]

---

1 კილიკიის სომხეთის სახელმწიფო 1080 წელს შეიქმნა. მისი არსებობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მთიანი კილიკიის ტერიტორიაზე ემიგრირებულმა სომხებმა შეადგინეს მოსახლეობის უმრავლესობა, რითაც ისარგებლა ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულმა სომეხი ეროვნების ფეოდალმა რუბენმა და მთიანი კილიკია დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა. მისი მემკვიდრეები კი ბარის კილიკიასაც დაეუფლნენ. ეგვიპტის მმართველ მამელუქებთან გამწვავებული ურთიერთობის გამო 1375 წელს კილიკიის მეფე ლეონ V დატყვევებული იქნა მამელუქების მიერ და კაიროში გაიგზავნა. თვით კილიკიის სომხეთის სახელმწიფომ კი არსებობა შეწყვიტა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხითარ გოშის სამართალი პრაქტიკული გამოყენების სამართლებრივი აქტი იყო შუასაუკუნეების ნახჭევანში და იმ დროს ჯერ კიდევ პოლონეთის შემადგენლობაში შემავალი ქ. ლვოვის სომეხი ეროვნების მაცხოვრებლებისათვის.

მეტიც, ბიბლიიდან ამოკრეფილი დებულებების საფუძველზე, „ქართველ იუსტინიანედ" წოდებულმა ვახტანგ-VI ფაქტობრივად ებრაული (იგივე ნოეს) სამართალი შექმნა, ხოლო ბიზანტიელ სასულიერო პირთა ნაშრომები საფუძვლად დაუდო კანონიკური (საეკლესიო) სამართლის მისეულ ვერსიას. მათი პოპულარიზაციის მიზნით კი მხითარ გოშის სამართალთან ერთად შეიტანა ისინი თავის სამართლის წიგნთა კრებულში, რითაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების, მათ შორის ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისათვის გამოსაყენებელ საკანონმდებლო ატებად გახადა ისინი.

ყოველივე ამას ემატება ის გარემოება, რომ ერთიან ცენტრალიზებულ საქართველოში, ხოლო დაშლის შემდეგ მის სხვადასხვა კუთხეებში მრავლად არსებობდა, უნიკალური ჩვეულებითი სამართლის ძეგლები. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ მართლმსაჯულების განხორციელებელი დაწესებულებებიც – უძველეს დროში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი დაწყებული (საქართველოს მთიანეთი) და ადათზე დაფუძნებული ე.წ. "ქვა-ტახტი"-ს ფენომენით (კოლხეთ-ლაზიკის სამეფოები, მოგვიანებით კი ფეოდალური სამეგრელოს სამთავრო), ასევე ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) სამართლებრივ სივრცეში პირველად – 1841 წლის 1-ლ იანვარს, შექმნილი უზენაესი სასამართლოთი გაგრძელებული.

აღნიშნული იძლევა საფუძველს, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს წარსულთან დაკავშირებული, მაგრამ საზოგადოების ფართო წრეებისათვის ჯერ კიდევ უცნობი არაერთი სამოქალაქო სამართლებრივი ფაქტის და მოვლენის შესწავლას.

დღეისათვის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებელთა სასწავლო პროგრამა და არსებულ ნაშრომთა უმეტესობა კი, მიუხედავად მათი უდაოდ მაღალი მეცნიერული ღირებულებებისა, ვერ უზრუნველყოფს სწავლებას სრული მოცულობით, რადგან ბევრი საკითხი საერთოდ არ არის განხილული (მათ შორის უფლების განხორციელების, ვადების, ხანდაზმულობის ინსტიტუტები და სხვა). შესაბამისად, გადაუდებლად აუცილებელია ისეთი ნაშ-

რომების შექმნა, სადაც შედარებით სრულად იქნება წარმოდგენილი სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

მით უფრო აუცილებელია ამის გაკეთება, იმის გამო, რომ სამოქალაქო კოდექსმა, დღიდან მისი მიღებისა, (1997 წ.) არაერთხელ განიცადა ძირეული ცვლილებები. ასე მაგ. სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს დაემატა (2008 წ.) პერსონალური მონაცემების მიღების უფლების შემცველი ნორმა (სკ-ის მე-18[1] მუხლი), რომლითაც მოიხსნა შეზღუდვა (2006 წ.) იმასთან დაკავშირებით, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აუცილებლად უნდა შექმნილიყო კავშირის ან ფონდის სამართლებრივი ფორმით, სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის ახალი რედაქციიდან (2004 წ.) გამომდინარე პირს უფლება მიეცა სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. იმავე წელს მიღებული ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი კი სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციისაგან სრულიად განსხვავებულ რეგულაციებს აწესებს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასათან დაკავშირებით და სხვა.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, როგორც მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებების შემცველი ნორმების ანალიზი, ასევე, მემკვიდრეობით მიღებული ქართული სამართლებრივი პალიტრის მრავალფეროვნების ჩვენება და იმის ახსნაც, თუ რა ისტორიულ-პოლიტიკური წინამძღვრებით იყო განპირობებული ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში სომხური, ებრაული და ბერძნული სამართლის ძეგლების შეტანა და რა პარალელების გავლება შეიძლება ამ მხრივ დღეს არსებულ რეალობასთან.

შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილთან დაკავშირებული ინსტიტუტების პრაქტიკულ-შემეცნებითი კუთხით კვლევასთან ერთად, ავტორმა ერთგვარად გააცოცხლა მივიწყებული წარსულიც და შეეცადა მის დაკავშირებას დღევანდელობასთან წარმოდგენილი ფუნდამენტური მონოგრაფიის შექმნის გზით.

ავტორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

თავი პირველი

შესავალი დებულებანი

§1. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო

ტერმინი "სამოქალაქო სამართალი" სამი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული: პირველი, როგორც სამართლის დარგი, მეორე, როგორც მეცნიერება და მესამე, როგორც სასწავლო დისციპლინა.

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის დარგი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამოქალაქო სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, არეგულირებს ამ ურთიერთობის მონაწილეთა შორის დამყარებულ ე.წ. ,,ჰორიზონტალურ ურთიერთობებს".

ამდენად, სამოქალაქო სამართალი განეკუთნება კერძო სამართლის (ius privatum) სფეროს, რადგან გულისხმობს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა იურიდიულ დამოუკიდებლობას, სამართლებრივ თანასწორობას, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა თავისუფლებას და ითვალისწინებს დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების როგორც დაცვის, ისე აღდგენის შესაძლებლობას.

მისგან განსხვავებით, საჯარო სამართალი (ius publikum) არეგულირებს სახელმწიფო ორგანოთა მიერ, საჯარო ხელისუფლების განხორციელების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს (მაგ. სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, კონსტიტუციური სამართალი). შესაბამისად, ამ სახის ურთიერთობები არ შეიძლება დამყარებული იყოს მასში მონაწილე პირთა თანასწორობაზე, რადგან-საჯარო სამართლის ნორმები არეგულირებენ იერარქიულ-ვერტიკალურ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს/იურიდიულ პირებს შორის, რასაც

დაქვემდებარებითი ხასიათი აქვს და გამორიცხავს სამართალურთიერთობის სუბიექტთა იურიდიულ თანასწორობას. მაგ. მოქალაქეს თუ სურს მიიღოს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, ან რაიმე სახის ლიცენზია, ყველა ეს ურთიერთობა წესრიგდება ადმინისტრაციული სამართლით.

ამ პროცესში სახელმწიფო ორგანოს მოქმედება უკანონოდ თუ იქნება მიჩნეული ან/და, კანონის არასწორ განმარტებას ექნება ადგილი, მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლებების დასაცავად. სასამართლოსათვის მიმართვის ფორმები და პროცედურა კი განისაზღვრება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სახელმწიფო ორგანო ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მოკლებულია შესაძლებლობას, გახდეს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ვინაიდან, თუ ადმინისტრაციული ორგანო დებს საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებას ფიზიკურ პირთან, ეს ურთიერთობა თანასწორობის პრინციპზე იქნება დამყარებული და მოწესრიგდება არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობით (იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65^1-ე მუხლი).

რაც შეეხება სამოქალაქო სამართალს, როგორც მეცნიერებას, ის წარმოადგენს იმ თეორიების, შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო სამართლის დარგის საგანთან.

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმეს აკრძალვის, დაკისრების ან/და უფლებამოსილების მინიჭების პრეტენზია, რადგან იგი იკვლევს ამათუიმ მოვლენის არსს და თეორიულ დასკვნას იძლევა მისი განვითარების კანონზომიერებებზე. თუმცა, სამოქალაქო სამართლის მეცნიერება არ შემოიფარგლება შესწავლილი მოვლენის მხოლოდ აღწერით და სწავლობს არსებულ პრაქტიკას, რის გამოც მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებასა და არსებული ნორმების დახვეწასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის.

სამოქალაქო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა კი

უზრუნველყოფს: ამ დარგის განვითარების შესახებ უკვე არსებული მასალების მოძიებას, ტენდენციების წარმოჩენას, ეპოქისა და ცალკეული ისტორიული მოვლენის, ასევე კონკრეტულ მოღვაწეთა როლის გაანალიზებას სამოქალაქო სამართლის განვითარების საქმეში.

ზემოთქმული ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლის საგანთან მიმართებაში არსებული მეცნიერული მიღწევების წარმოჩენას და შემდგომ სრულყოფას. ე.ი. სამართლის სხვა დარგების მსგავსად, სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს, ანუ აქვს თავისი რეგულირების საგანი.

სამოქალაქო სამართლის საგნის რაობის გასარკვევად, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ ,,ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს." აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის, როგორც დარგის, ასევე იურიდიული მეცნიერების და სასწავლო დისციპლინის საგანი, ვიწრო გაგებით, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობებია. თუმცა, სამოქალაქო სამართლის საგნის სრულყოფილად გააზრება, შეუძლებელია ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების წარმოშობის, არსებობისა და შეწყვეტის კანონზომიერების თაობაზე მეცნიერული შეხედულებების ასევე, სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან მათი დიალექტური კავშირის დადგენის გარეშე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართლის საგანია პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. ასევე, მათ შესახებ არსებული მეცნიერული მიღწევების, შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობა.

სამართლის სხვა დარგებისაგან სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის მთავარ ინსტრუმენტად კი გვევლინება სამართლებრივი რეგულირების მეთოდი: მასში იგულისხმება იმ ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც სამართლებრივ ზემოქმედებას ახდენენ შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი რეგულირების მეთოდი გამომდინარეობს თვით რეგულირებადი ურთიერთობის ხასიათიდან. მათგან ძირითადად შეიძლება გამოვყოთ ორი: 1) იმპერატიული მეთოდი ანუ, ის, რაც დაფუძნებულია აკრძალვაზე, ვალდებულებებზე, საერთოდ პასუხისმგებლობაზე და 2) დისპოზიციური მეთოდი, რაც გულისხმობს მხარეთა თანასწორობას, კოორდინაციას და ემყარება არა მხოლოდ აკრძალვებს, არამედ ქმედების დასაშვებობას. მაგ. სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

სამოქალაქო სამართალში არსებითია დისპოზიციური მეთოდი. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ დისპოზიციურ ნორმებს, რომელთა არსებობა საშუალებას აძლევს მხარეებს, თავიანთი უფლებები და მოვალეობები თვითონვე განსაზღვრონ ურთიერთშეთანხმებით.

შესაბამისად, მხარეთა დისპოზიციურობა ის მთავარი ფაქტორია, რაც სამოქალაქო სამართალს, როგორც კერძო სფეროს მიკუთვნებულ სამართლის დარგს, განასხვავებს საჯარო სამართლისაგან. მაგ. მომავალი მეუღლეები თუ დადებენ საქორწინო ხელშეკრულებას, მაშინ მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება ამ ხელშეკრულებით და არა საოჯახო სამართლის ნორმებით.

თუმცა, საოჯახო სამართალში გვხდება იმპერატიული ხასიათის ნორმებიც. კერძოდ, ქორწინების წესი, მისი ბათილად ცნობის საფუძვლები და ა.შ. მხოლოდ კანონმდებელმა შეიძლება განსაზღვროს და მათი თვითნებურად, თუნდაც ხელშეკრულების საფუძველზე, შეცვლის შესაძლებლობა მხარეებს არ გააჩნიათ.

სამოქალაქო სამართალში იმპერატიული ნორმების არსებობას და შესაბამისად, იმპერატიული მეთოდის გამოყენების აუცილებლობას კი ცხადყოფს სამოქალაქო კოდექსის 10.3 მუხლის ის დანაწესი, სადაც ნათქვამია, რომ უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმები, ხოლო მოქმედებები, რომლებიც

ეწინააღმდეგება ამ ნორმებს ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. მეტიც, დასახელებული ნორმა, ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით, ყოველგვარ ჩარევებს კრძალავს კერძო ხასიათის ურთიერთობებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ადმინისტრაციული აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზეა გამოსაყენებული.

სამოქალაქო სამართალში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ისტორიულ – შედარებითი სამართლებრივი კვლევების მეთოდი, რაც იძლევა წარმოდგენას სამოქალაქო სამართლის განვითარების ზოგად კანონზომიერებაზე.

ისტორიულ – შედარებითი კვლევის სამართლებრივი მეთოდი მე-XIX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მოძღვრების ფრანგმა წარმომადგენელმა რუდოლფ დარნესტმა კი ისტორიულ – შედარებითი მეთოდი გამოიყენა ვახტანგ VI-ის სამართლებრივი მემკვიდრეობის შესწავლის პროცესში.

აღნიშნული გამონაკლისის გარდა, ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა და მათი შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგებთან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დღესაც იშვიათობაა.

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც აგებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველზეც, შეძლებისდაგვარად ალმოფხვრის ამ მიმართებით დღემდე არსებულ ხარვეზებს.

სამოქალაქო სამართლი ვერ იარსებებს სისტემური და ევოლუციური განვითარების გარეშეც. ამდენად, მისთვის დამახასიათებელია, როგორც დიალექტიკის მეთოდი, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში განიხილავს, ისე სისტემური მეთოდი, რაც იძლევა სამოქალაქო სამართალში შემავალი ცალკეული ქვედარგებისა და ინსტიტუტების ურთიერთ თანმიმდევრობით დალაგების შესაძლებლობას.

§2. საზღვარგარეთის ქვეყნებში ნაციონალური სამართლებრივი სისტემების წარმოშობა და მათი ზოგადი დახასიათება

თანამედროვე მსოფლიოში დომინირებენ ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემები. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა მოქმედებს ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ირლანდიაში და ზოგიერთ ყოფილ ინგლისურ კოლონიაში.

კონტინენტური ევროპის სამართლისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის დარგებად, ნორმების უმეტესობა კაზუისტიკურია და არა აბსტრაქტული. სამართლის ძირითად წყაროს კი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან ერთად, წარმოადგენს სასამართლო პრეცედენტი და სამართლებრივი დოქტრინა.

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას, იგი მოიცავს რომანული სამართლისა და გერმანული სამართლის მიმდევარ ქვეყნებს.

ნაციონალურმა სამართლებრივმა ინსტიტუტებმა ამგვარ დაყოფამდე საკუთარი განვითარების დიდი გზა განვლეს. ტერმინი "სამოქალაქო სამართალი" კი პირველად გამოყენებულ იქნა რომის სამართალში, თუმცა ამ ცნებაში იგულისხმებოდა რომის მოქალაქეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები ზოგადად და არა ვიწრო, ანუ დარგობრივი გაგებით.

ზემოთქმული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მანამდე არ არსებობდნენ ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს წარმოადგენდნენ და საჭიროებდნენ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას. კერძოდ, ამ სახის ურთიერთობების არსებობას ადასტურებს არაერთი სამართლის ძეგლი, მათ შორისაა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში (1790-1752 წლებში), ასურელი მეფე ხამურაბის მიერ შექმნილი, ბაბილონური სამართლის წიგნი – „ხამურაბის კანონები".

„ხამურაბის კანონები" შედგება პრეამბულის, კანონის მუხლებისა და დასკვნის ტექსტისაგან. იგი ლურსმური დამწერლობის ნიშნებით შესრულებულია 2,25 მეტრის სიმაღლისა და 1,9

მეტრი სიგანის შავი ფერის ბაზალტის ქვის სვეტზე, რომელიც 1901 წელს აღმოაჩინა საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე. ანუ, იმ ადგილზე, სადაც ერთ დროს მდებარეობდა უძველესი სახელმწიფოს-ელამის სატახტო ქალაქი სუზა.[2]

„ხამურაბის კანონები" 1500 წლის მანძილზე გამოიყენებოდა მრავალ ქვეყანაში. ჩვენამდე კი მოაღწია ამ კანონთა შედარებით ზუსტმა ტექსტმა, რომელიც 282 მუხლს მოიცავს. მათი შინაარსი ცხადყოფს, რომ დასახელებული სამართლის ძეგლი იყო შუა მდინარეთის არსებობის მანძილზე შემუშავებული კანონთა პირველი კრებული, რომელიც იძლეოდა წარმოდგენას არა მხოლოდ საზოგადოების სოციალურ სტატუსზე, არამედ ბაბილონში მცხოვრებ „კაცთა" ფენის (თავისუფალი მეთემის), ძირითადი ფენის "მუშქენების" და უმდაბლესი ფენის მონების, ანუ "ვარდუმების," როგორც ქონებრივი და საოჯახო, ისე არაქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებებზე.[3]

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების შემცველია ასევე ძველი ეგვიპტური სამართლის არაერთი ძეგლი. მათგან განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში შექმნილი "ბოკჰორისის კოდექსი." იგი რვა წიგნისა და 40 გრაგნილისაგან იყო შედგენილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვა, რომ ამ კოდექსის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არაერთი მიმართულებით. მათ შორის უმთავრესად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა ვალის გამო მოვალის მონად გაყიდვა.

რათქმა უნდა ამ კოდექსის მიღების შემდეგაც მონა ძველ ეგვიპტეში, ისევე როგორც იმდროინდელი ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი, ფაქტობრივად უუფლებო მდგომარეობაში რჩებოდა, მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, თუკი სასტიკად მოექცეოდნენ ან მძიმედ შეურაცხოფდნენ, ამ უკანასკნელს უფლება

---

2 "ხამურაბის კანონები", საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1988, გვ. 3 (ზ.კიკნაძის თარგმანი და კომენტარები).

3 პ.(თ) მონიავა. "პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში", თბილისი 2004 წელი, გვ.7. ასევე, გ ნადარეიშვილი, "რომის სამოქალაქო სამართალი", თბილისი, 2003 წელი გვ. 6.

მიეცა მესაკუთრისათვის ეჩივლა, ან/და ტაძრისათვის შეეფარებინა თავი, სადაც მასზე, როგორც ღმერთისათვის შეწირულზე, ბატონის იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა. ყოველივე ეს კი, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

დასახელებული და სხვა სამართლებრივი ძეგლების უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, სამართლიანადაა მიჩნეული, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ) დროს შექმნილმა რომის სამართალმა, რომელსაც მოგვიანებით „Corpus juris Civiis"-ის უწოდეს.

მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ რომის სამართლის პირველი წერილობითი წყარო, ანუ "XII ტაბულის კანონი,"[4] იურიდიული ტექსტის თვალსაზრისით არ იყო სრულყოფილი და საჭირო გახდა ძველ რომში მოქმედი ყველა დადგენილების (იგულისხმება სასამართლოს დადგენილებები, ასევე იურისტთა დებულებები) თავმოყრისა და მათი კოდიფიკაციის აუცილებლობა.

რომის სამართლის კოდიფიკაცია მრავალ რომაელ მოღვაწეს ჰქონდა მიზნად დასახული, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა აღმოსავლეთ რომის იმპერატორ იუსტინიანე I-ის საქმიანობა.

მან, ახალი წელთაღრიცხვით 528 წელს, შექმნა ორი საკანონმდებლო კომისია, რომელთა საერთო ხელმძღვანელად ცნობილი იურისტი ტრიბონიანე დაინიშნა. კომისიას დიგესტების (რომაელ იურისტთა ნაშრომების კრებული) შედგენასთან ერთად დაევალა რომის სამართლის სახელმძღვანელოს შექმნა სტუდენტებისათვის. ნაშრომს ეწოდა "ინსტიტუციები," რომელსაც იმპერატორმა იუსტინიანემ, 533 წლის 21 ნომბერს, კანონის ძალა მიანიჭა.

რომის სამართალი წარმოადგენდა 4 წიგნისაგან შემდგარ სამართლის კრებულს. პირველ წიგნს ეწოდა "ინსტიტუციები." მასში შევიდა კლასიკური ეპოქის იურისტის გაიუსის ნაშრომები.

---

4 "XII ტაბულის კანონი" (ლეოქს დეოდეციმ ტაბულარუმ) დაწერილი იყო თორმეტ დაფაზე (ტაბულაზე). მისი ფიქსაცია განეკუთვნებოდა ძვ. წ. აღ-ის 451-450 წლებს. განადგურდა 387 წელს გალების მიერ რომის გადაწვის დროს.

ამდენად, წიგნმა სახელწოდება მიიღო გაიუსის ამავე სახელწოდების ნაშრომის საფუძველზე. "დიგესტები" ანუ "პანდექტები" კრებულის მეორე წიგნია და წარმოადგენს I-III საუკუნეებში მოღვაწე იურისტთა ნაშრომებიდან ამონაწერებს. კრებულის მესამე წიგნია საკუთრივ იუსტინიანეს კოდექსი - Codex iustinianus და წარმოადგენს იმპერატორ ჰადრიანიდან იუსიტინიანამდე გამოცემულ კანონთა კრებულს. მეოთხე წიგნს კი ეწოდა "ნოველები." იგი შედგება "ინსტიტუციების," "დიგესტებისა" და "იუსტინიანეს კოდექსის" გამოცემის შემდეგ მოძიებული კანონებისაგან.

რომის სამართალი არ იყო კონკრეტული დარგების მიხედვით კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტი. აღნიშნულს ის ფაქტი ადასტურებს, რომ იგი იცნობდა სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი სასჯელების სახეებს, რომლებიც გამოიყენებოდა როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად. მისთვის უცხო არც დამატებითი სასჯელები ყოფილა. კერძოდ, ისეთი დანაშაულებისათვის, როგორიცაა: ქურდობა, ძალადობით ქონების მიტაცება, მოტყუება და "Iniuria" (მასში შეურაცხყოფაც იგულისხმებოდა) დამნაშავე პირს ძირითადად სასჯელთან ერთად უსვამდნენ შეურაცხყოფილის (სახელგატეხილის) დაღს. ამასთან, დაღის დასმა გამოიყენებოდა არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულისათვის უკვე მსჯავრდებული პირის მიმართ, არამედ იმ პირთა მიმართაც, რომლებიც პრეტორთან[5] საქმის განხილვამდე მორიგდებოდნენ.

კლასიკურ სამართალში ასეთ პირებს ეწოდებოდათ „Personae infames." მათ უფლება არ ჰქონდათ სასამართლო პროცესზე სხვათა წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, ასევე არ შეეძლოთ თავისუფალ ქალზე დაქორწინება და სხვა.[6]

უძველესი რომის სამართალში ბრალეული და არაბრალეური ქმედება ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. ამდენად, პასუხისმგებლობა დგებოდა ყველა შემთხვევაში, თუ სახეზე იყო უკანონო მოქმედება. მოგვიანებით, სამართლებრივი კულტურის ზრდასთან ერთად, განასხვავებდნენ "დოლუს" (განზრახ) და "კულპას" (გაუფრთხილებელ) ქმედებებს, რაზედაც იყო

---

5 "პრეტორი" ძველ რომში მოსამართლის ფუნქციების განმხორციელებელ თანამდებობის პირს ეწოდებოდა, რომელსაც გააჩნდა, როგორც კანონის შეფარდების, ისე მისი განმარტების უფლება.

6 Новицки Н. „Римское право". მოსკოვი, 2002 წ. გვ. 51.

დამოკიდებული ჯარიმის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა.[7]

შელახული უფლებების დაცვის საშუალებას სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენდა. სარჩელი კი განმარტებული იყო ისეთ უფლებად, როცა პირს სასამართლოს მეშვეობით შეეძლო მოეთხოვა ის, რაც მას ეკუთვნოდა.

რომის სამართალი სარჩელებს სანივთო და პირად სარჩელებად ჰყოფდა. პირადი სარჩელები ისეთი დავის არსებობის შემთხვევაში გამოიყენებოდა, როცა მოსარჩელე დავას აწარმოებდა იმ პირთან, რომელსაც მის წინაშე არავითარი სამართლებრივი (ხელშეკრულებითი) ვალდებულება არ გააჩნდა. ასეთ სარჩელს ცალკეულ შემთხვევაში რომის სამართალი პრეტორული სარჩელის სახელწოდებითაც მოიხსენიებდა, ვინაიდან ამ სახის სარჩელები პრეტორმა დააწესა თავისი იურისდიქციით.

რომის სამართალი ითვალისწინებდა არამხოლოდ მოპასუხის, არამედ თვით მოსარჩელის პასუხისმგებლობასაც თუ ამ უკანასკნელის მიერ სინამდვილესთან შეუსაბამო სარჩელის შეტანს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, მას უნდა გადაეხადა სასამართლო დავის ღირებულების ერთი მეათედი.

იუსტინიანეს "ინსტიტუციების" ამოქმედებასთან ერთად, შემოღებული იქნა ფიცის დადების რიტუალი. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსარჩელეებთან ერთად ფიცს დებდნენ მოპასუხეები და ორივე მხარის მოწმეები იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ მათ წინაშე მდგარ მოვალეობებს. არაკეთილსინდისიერი მოდავე მხარე კი ვალდებული იყო აენაზღაურებინა სასამართლო დავის ხარჯები და მოწინააღმდეგისათვის მიყენებული ზიანი.

რომის სამართალი იცნობდა მოპასუხის მიერ სარჩელთან დაკავშირებით შესაგებელის წარდგენის ინსტიტუტსაც, მაგრამ თუ მოპასუხეს დაუმტკიცდებოდა, რომ მან უსაფუძვლოდ უარყო სარჩელი, მაშინ მის მიმართ სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა სასამართლო დავის ღირებულების ორმაგი ან სამმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრება.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თითქოსდა ფიცის დადებას ზნეობრივი (ეთიკური) დატვირთვა უფრო ჰქონდა, მაგრამ თუ

---

7 გ. ნადარეიშვილი. "რომის სამოქალაქო სამართალი". თბილისი, 2003წ. გვ. 126.

გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლოს არაკეთილსინდისიერი მოდავის მიმართ, სოლიდურ ჯარიმასთან ერთად, შეეძლო გამოეყენებინა სახელგატეხილის დამღის დასმაც, იშვიათად თუ გაუჩნდებოდა ვინმეს სასამართლოში უსაფუძვლო სარჩელის ან შესაგებელის შეტანის სურვილი.

რომის სამართალი იცნობდა წარმომადგენლის ინსტიტუტს. კერძოდ, სამოქალაქო წესით აღძრულ საქმეებზე წარჩინებულებსა და მათზე მაღალი რანგის პირებს, მოპასუხედ შეეძლოთ გამოსვლა, როგორც პირადად, ისე პროკურატორის (წარმომადგენლის) მეშვეობით.

თვით მოსამართლეც თუ იგი დავას კანონის დარღვევით გადაწყვეტდა (თუნდაც ეს კანონის უცოდინარობით მოსვლოდა), გადაცდომის ჩამდენ პირად ითვლებოდა და მას "კვაზი დელიქტის" (პასუხისმგებლობის შესახებ ვალდებულების) საფუძველზე იმ ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრებოდა, თანხის რა ოდენობასაც კეთილსინდისიერი მოსამართლე განსახილველი საქმისთვის ჩათვლიდა სამართლიანად.

რომის სამართლის მაღალ დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქმედუუნარო პირები სამართლის სუბიექტებს არ წარმოადგენდნენ.

ამდენად, რომის სამართალი ცხადყოფს, რომ იგი იყო გაბატონებული კლასების ინტერესების დაცვის სამსახურში მყოფი კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი.

მიუხედავად ამისა, იუსტინიანე I-ის მიერ შექმნილმა სამართლის ამ შესანიშნავმა ძეგლმა საუკუნეებს გაუძლო და როგორც იუსტინიანეს სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე პრაქტიკული მოქმედების კოდიფიცირებული დოკუმენტი იყო. მოგვიანებით კი თანდათან დავიწყებას მიეცა კერძოდ, რომის იმპერიის დაშლის შემდეგ დასავლეთ ევროპაში დამკვიდრდდა "რომის ვულგარული სამართალი" და "გერმანული ჩვეულებითი სამართალი."

რომის სამართლის "რეფეცცია," ანუ ხელახლა "გაცოცხლება" დაკავშირებულია ბოლონიის უნივერსიტეტში XI-XII საუკუნეებში მოღვაწე მეცნიერების საქმიანობასთან, რომლებმაც მეცნიერულად "ხელახლა აღმოაჩინეს" "რომის სამართალი" და ამით ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის მკვლევართა გვერდით

დამსახურებული ადგილი მიუჩინეს, სამართლის სფეროში მოღვაწე, იმპერატორ იუსტინიანე I-საც. თვით "რომის სამართლის" გამოყენება კი გაგრძელდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მე-18 საუკუნის ბოლომდე.[8]

რომის სამართლის შექმნის შემდგომ პერიოდში სამართლის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ევროპაში განხორციელებულმა ე.წ. დიდმა კოდიფიკაციების პროცესმა, ვინაიდან დააჩქარა ნაციონალური სამართლის სისტემების ფორმირება და ხელი შეუწყო სამართლის სხვადასხვა დარგების ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

სამართლის მეცნიერთა, მათ შორის ქართველ იურისტთა უმრავლესობა, მიიჩნევს, რომ სამართლის კოდიფიკაცია განსაკუთრებით წარმატებული იყო: დანიაში (1683 წ.), ნორვეგიაში (1687 წ.), შვედეთსა (1734 წ.) და პრუსიაში (1791-1794 წ.წ).

ამავე პერიოდში, კერძოდ მე-18 საუკუნის 50-იან წლებში, ავსტრიელმა იურისტებმა მუშაობა დაიწყეს ავსტრიის სამოქალაქო კოდექსზე, რომელიც დასრულდა 1811 წელს. დიდი კოდიფიკაციების პროცესზე განსაკუთრებული გავლენა კი მოახდინა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა „Codex Civilis" (1804წ).[9]

დანიის კოდიფიცირებული კანონის სრული დასახელებაა "კრისტიან V-ის დანიის კანონები." იგი მომზადდა 1683 წელს ადრე არსებული საკანონმდებლო აქტების გადასინჯვის საფუძველზე. შედგება 6 წიგნისაგან და წარმოადგენს სხვადასხვა დარგის კანონთა კრებულს. ყველაზე სრულყოფილად მასში გადმოცემულია სისხლის სამართლის კანონები, რომლებიც შევიდა ბოლო წიგნში. სამართლის კრებულის ძირითად ნაკლად კი მისი მკვლევარები მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მასში გადმოცემული ცალკეული სამართლებრივი დებულებები ფრიად კაზუისტიკურია.[10]

ნორვეგიის კანონმდებლობის რადიკალური რეფორმა განხორციელდა 1687 წელს. ანუ, მაშინ როცა შეიქმნა "მეფე კრისტიან V-ის ნორვეგიის კანონთა კრებული." იგი შედგება 6 წიგნისაგან

---

8 ლ. ჭანტურია, "შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში," გვ. 23.

9 გ. ხუბუა. სამართლის თეორია, გვ. 214.

10 იხ. ენციკლოპედიური ნაშრომი, რედაქტორი ე. სუხარევი, "Правовые системи стран Мира," გვ. 234.

და მოიცავს სამართლის ყველა დარგს.[11] ნორვეგიის კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასზე დიდია დანიის კანონმდებლობის გავლენა, რაც იმით აიხსნება, რომ დანიის და ნორვეგიის კანონმდებლობის შექმნა დაკავშირებულია ერთი და იგივე პიროვნების-მეფე კრისტიან V-ის სახელთან.

შვედეთის კანონების შესახებ უნდა ითქვას, რომ მე-17 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული შვედეთში მიმდინარეობდა კანონმდებლობის რეფორმა. მასში მონაწილეობა მიიღეს ფინელმა იურისტებმაც, ვინაიდან ფინეთი მაშინ შვედეთის ერთ-ერთი პროვინცია იყო. კანონშემოქმედებითი საქმიანობის დამაგვირგვინებელი აკორდი კი გახლდათ 1734 წელს მიღებული "შვედეთის სახელმწიფოს კანონი." მასზე დიდია რომის სამართლის გავლენა.

შვედეთის სახელმწიფო კანონი მოიცავს სამართლის ყველა ძირითად დარგს და შედგება 9 განყოფილებისაგან. მათგან 7 ეხება მატერიალური სამართლის ისეთ ურთიერთობებს როგორიცაა: ქორწინება, მემკვიდრეობა, უძრავი ქონება, მშენებლობა, ვაჭრობა, კანონსაწინააღმდეგო ქმედება და დასჯა. ორი განყოფილება კი არეგულირებს პროცესუალურ საკითხებს. კერძოდ, განსაზღვრავს სასამართლო განხილვის პროცედურას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებს.

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით 1734 წლის კანონი, როგორც ამას თვით შვედი მკვლევარებიც აღიარებენ, "შორს არის სრულყოფისაგან, გამოიჩევა კაზუისტიკური ფორმულირებით, არ არის მკაცრად სისტემატიზირებული, შეიცავს არაერთ შუქ-ჩრდილს, თუნდაც იმდროინდელი გარემოების შესახებ და არ გააჩნია აუცილებელი განმარტებები. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, იგი დღესაც მიიჩნევა შვედეთის მოქმედ საკანონმდებლო აქტად.[12]"

კანონის სათაურად სიტყვა "სამოქალაქო" პირველად გამოიყენეს ავსტრიელმა კანონმდებლებმა 1797 წელს დასავლეთ გალიციაში. კერძოდ, მათ მიერ მომზადდა სასინჯი პროექტი სახელწო-

---

11 ლ. ჭანტურია. "შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში," გვ. 27.

12 იხ. ენციკლოპედიური ნაშრომი, რედაქტორი ვ. სუხარევი. Правовые системы стран мира, 2000 წ. გვ. 696-697.

დებით "დასავლეთ გალიციის სამოქალაქო კანონთა წიგნი." თავის მხრივ, ეს პროექტი საფუძვლად დაედო 1811 წელს მიღებულ "ზოგად სამოქალაქო კანონთა წიგნს." თუმცა, ტერმინ "სამოქალაქო სამართალი-"ს პირდაპირი მნიშვნელობით კანონმდებლობაში დამკვიდრება უკავშირდება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს.

ვახასიათებთ რა საფრანგეთის სამოქალაქო სამართლს უნდა ითქვას, რომ მისი ძირითადი ნორმები წარმოადგენენ ფრანგული კერძო სამართლის შემადგენელ ნაწილს და თავმოყრილია ნაპოლეონ I-ის დროს, 1804 წელს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში.

ეს კოდექსი მეტნაკლები ცვლილებებით (ყველაზე არსებითი ცვლილება მან განიცადა 1939 წელს) დღემდე ფუნქციონირებს.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის თავისებურება ისაა, რომ იგი შეიცავს ზოგადსავალდებულო ხასიათის დებულებებს, რომელთა განვითარება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას, ინტერპრეტაციის გზით შეუძლია მოსამართლეს.[13]

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის შორეული წინაპარი რომის სამართალი და ძველი გერმანული ჩვეულებებია. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა, რომ გათხოვილი ქალების უფლებები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად იყო დაცული საფრანგეთში. კერძოდ, რომის სამართლის გავლენით, სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე და შემდგომში ხანგრძლივი დროის მანძილზე, ანუ თითქმის XX-ე საუკუნის 40-იან წლებამდე ისინი ფაქტობრივად ქმედუუნარო პირის სტატუსით სარგებლობდნენ. მეტიც, 1893 წლის 6 თებერვლის სპეციალური კანონის მიღებამდე გათხოვილ ქალებს არ ჰქონდათ განქორწინების მოთხოვნისა და მეუღლისაგან განცალკევებით ცხოვრების უფლება, 1907 წლის 13 ივლისამდე კი, თავისუფლად არ შეეძლოთ თავიანთი შრომითი დანაზოგის განკარგვა.

გათხოვილი ქალების სრულ ქმედუნარიანად აღიარება დაკავშირებულია 1939 წლის 18 თებერვლის სპეციალურ კანონთან. თუმცა, ქმარი საფრანგეთში კიდევ დიდხანს რჩებოდა ოჯახის უფროსად განსაკუთრებული უფლებებით.[14]

---

13 ლ. ჭანტურია. "შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში" გვ. 27.

14 Леон Жюлио Де ла Морандер. Гражданское право Франции. Перевод с французского Е. А. Флейшиц. 1958 г.,т. 1.стр. 122-123.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს თავიდანვე ჰქონდა გავრცელების ფართო არეალი. იგი მოქმედი ძალის მქონე კოდექსი იყო არა მხოლოდ ნაპოლეონ I-ის იმპერიაში არამედ XX-ე საუკუნის განმავლობაშიც აგრძელებდა მოქმედებას ბელგიაში, ლუქსემბურგსა და დომინიკების რესპუბლიკაში.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მისი გავლენით, თავიანთი სამოქალაქო კოდექსები შექმნა არაერთმა ქვეყანამ, კერძოდ: 1805 წელს იტალიამ (იგი ახალი კოდექსით შეიცვალა 1942 წელს); 1838 წელს ჰოლანდიამ, 1852 წელს პერუმ (შეიცვალა 1936 წელს), 1855 წელს ჩილემ და კოლუმბიამ, 1867 წელს პორტუგალიამ, 1869 წელს არგენტინამ, 1871 წელს მექსიკამ (შეიცვალა 1932 წელს), 1889 წელს ესპანეთმა და 1895 წელს ბოლივიამ.

თავად ნაპოლეონ ბონაპარტე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მის მიერ შექმნილ სამოქალაქო კოდექსს და ამბობდა "ჩემი სახელი და ისტორია ის 40 ბრძოლა კი არ არის, რომელიც მოვიგე, მაგრამ ვატერლოომ წაშალა არამედ, სამოქალაქო კოდექსი, რომლის დავიწყება არც მოხდება და არც შეიძლება-"ო.

ნაპოლეონ ბონაპარტე არ შემცდარა, რადგან საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი უაღრესად პოპულარული იყო და ასეთია დღესაც. აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ფრანგული სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებმა შეძლეს პროგრესისაკენ სწრაფვა ზომიერების გრძნობისათვის შეეხამებინათ. თუმცა, როგორც აღნიშნავდა საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის ცნობილი მკვლევარი ლეონ ჟულიო დე ლა მორანდელი, კოდექსს გააჩნია სერიოზული ნაკლიც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზედმეტ ყურადღებას უთმობს ქონებრივ და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს.

ქონებრივი და საოჯახო საკითხებისადმი აქცენტის ზომაზე მეტად გადატანის მიუხედავად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფრანგული სამოქალაქო სამართალი არ იძლევა ადამიანისათვის ისეთი განუყოფელი უფლებების რეალური დაცვის შესაძლებლობას, როგორიცაა: სიცოცხლე, პატივი, სიტყვისა და სინდისის თავისუფლება, ვინაიდან კოდექსის ზოგადი ხასიათის 1382-ე მუხლში

ხაზგასმულია, რომ "ყოველგვარი ბრალეური ქმედება აიძულებს პირს, რომელმაც იგი ჩაიდინა, აანაზღაუროს ამ მოქმედებით მიყენებული ზიანი."

ფრანგულ სამოქალაქო სამართალში ჩამოთვლილი არ არის ის ბრალეური ქმედებები, რომელთა ხელყოფა იწვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, მაგრამ მას ავსებს სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც საფრანგეთში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონთან ერთად, საფრანგეთში სამართლის ძირითადი წყაროა ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომელიც ჩამოყალიბებულია მოსამართლის მიერ და გამოხატულებას პოულობს სასამართლო პრეცენდენტში.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ფრანგული სამოქალაქო კოდექსისა და სასამართლო პრაქტიკისათვის უცხო და მიუღებელია "ნების აბსოლიტური თავისუფლების იდეა," რომელსაც ქადაგებს სამართლის მეცნიერებაში კარგად ცნობილი ე.წ. "ლიბერალიზმის დოქტრინა." მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კერძო პირებს, მართალია თავისუფლად შეუძლიათ დადონ მათთვის სასურველი გარიგებები და ამათუიმ საკითხზე გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნების თავისუფლება შეუზღუდავია და იგი აძლევს პირს სხვათა კანონით დაცული ინტერესების ხელყოფის უფლებას, რადგანაც ეს იქნებოდა საზოგადოების ინტერესების იგნორირება. ფრანგული სამოქალაქო სამართლის 1133-ე მუხლში ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად პირდაპირ არის მითითებული, რომ "არ შეიძლება დაირღვეს ის კანონი და კეთილი ნება, რომლებიც იცავენ საჯარო წესებს".

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თავისებურება ისიცაა, რომ პროკურორს, ჯერ კიდევ 1810 წლის 20 აპრილს მიღებული კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, თავისი შეხედულებით, აქტიურად შეუძლია ჩაერთოს სამოქალაქოსამართლებრივი (განსაკუთრებით საოჯახო) ურთიერთობის პროცესში და სასარჩელო განცხადებით ამტკიცოს ხელყოფის ფაქტის არსებობა (actori incumbit prodatio). მისი დადასტურების შემთხვევაში კი მოითხოვოს დაზარალებულისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება.

რაც შეეხება გერმანიას, ამ ქვეყნის მეცნიერები ჯერ კიდევ 1874 წლამდე სადაოდ ხდიდნენ საკითხს სამოქალაქო სამართლის

კოდიფიკაციის საჭიროების თაობაზე. კერძოდ, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები განსაკუთრებით კი ცნობილი მეცნიერი ტიბო მოითხოვდნენ, რომ ყველა გერმანელს საერთო "გერმანული კანონთა წიგნი" ჰქონოდა.[15] თუმცა, წააწყდნენ, ასევე ცნობილი გერმანელი მეცნიერის, სავინის გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელმაც სამარცხვინო უწოდა ტიბოს და მისი მომხრეების მტკიცებას იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა სამართლის ერთ პატარა კოდიფიცირებულ წიგნში მოქცევა.[16] დისკუსიაში გაიმარჯვა სავინმა და ერთიანი სამოქალაქო კოდექსის შექმნამ გერმანიაში XIX-ის ბოლომდე გადაიწია. კერძოდ, მხოლოდ 1874 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია პროფესორ ბ. ვინდშეიდის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა სამოქალაქო კანონმდებლობის პროექტის მომზადება.

ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ გერმანია-საფრანგეთის ომში, გერმანიის გამარჯვების შედეგად, ქვანახშირით მდიდარი ფრანგული რეგიონების, გერმანიის გამგებლობაში გადასვლის გამო, იქ მოქმედი ფრანგული სამოქალაქო კოდექსის, გერმანულით ჩანაცვლების აუცილებლობამ, დააჩქარა. კომისიის საქმიანობის პროცესი. კერძოდ, 1887 წელს გამოქვეყნდა სამოქალაქო კოდექსის პროექტი. იგი რამოდენიმე წლის მანძილზე წარმოადგენდა განხილვისა და კრიტიკის ობიექტს, ამიტომაც 1890 წელს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მეორე კომისიის შექმნა. მან საფუძვლიანად გადაამუშავა ბ. ვინდშეიდის პროექტი. რაიხსტაგის მიერ მოწონების შემდეგ, 1896 წლის აგვისტოში, იგი დაამტკიცეს ბუნდესრატმა და იმპერატორმა. თუმცა, მიღებიდაც კი, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1900 წლის 1 იანვარს, შევიდა ძალაში.

ამდენად, გერმანული სამოქალაქო კოდექსის (სჯულდების) შექმნას 26 წელი დასჭირდა. არსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასში არაერთი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამოქალქო სამართლებრივი უფლებების დაცვის შესაძლებლობათა ზრდას გერმანიაში. მაგ.

15 Hans Hattenhauer (Hrsg.): Thibaut und Savigny. *Ihre programmatischen Schiften.* 2. Aufl. Vahlen, München 2002, s. 43.

16 იქვე, გვ. 47 ან კიდევ *Savigny*, Friedrich Carl von: System des heutigen *römischen Rechts* Berlin, I.B.D. Berlin, 1840. Vorrede.

ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის აღიარებას შედეგად მოჰყვა ქორწინების ისეთი მოდელის დამკვიდრება, რომელიც დამყარებულია პარტნიორულ საფუძველზე და არა ქმრისადმი გათხოვილი ქალის უპირობო მორჩილებაზე. გაუქმდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მიმართ და სხვა.

გერმანული სამოქალაქო სამართლის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეცნიერთა უმრავლესობა, მათ შორის ქართველი მეცნიერებიც, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში, რომანული სამართლის გვერდით, აღიარებენ გერმანული სამართლის ოჯახის არსებობას.

ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს ის, გარემოება, რომ რომანული სამართლის ქვეყნებში დიდია ფრანგული, ხოლო გერმანული სამართლის ქვეყნებში გერმანული სამართლის გავლენა.

§3. ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები, კანონმდებლობის კოდიფიკაციის ტრადიცია და მისი ადგილი მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების საგანძურში

ქართულ სამართალს აქვს მდიდარი ისტორია, რომელიც თავისი ფესვებით მოდის ჩვენი ათასწლეულის პირველი საუკუნიდან.

მე-IX-X საუკუნეებში ადგილი ჰქონდა კანონმდებლობის სისტემატიზაციის მცდელობას და ამ პერიოდის ბრწყინვალე კოდიფიცირებულ სამართლის აქტს, წარმოადგენს "ბაგრატ კურაპალატის კანონები." მან ჩვენამდე მოაღწია ფრაგმენტების სახით. ქართული კანონშემოქმედებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი იყო მე-XIV-XVIII საუკუნეები, ვინაიდან ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი კოდექსი კერძოდ: "გიორგი მეფის სამართალი (მე-XIV საუკუნე) ,,ბექასა და აღბუღას სამართალი" (მე-XIV–XV საუკუნეები), ,,კათალიკოსთა სამართალი" (მე-XVI საუკუნე), ,,ვახტანგ VI-ის სამართალი" (მე-XVIII საუკუნე)"[17] და იმავე პერიოდის ,,ვახტანგ მე-VI სამართლის წიგნთა კრებული."

გიორგი მეფის სამართლის წიგნის ანუ, "ძეგლის დადება"-ს შექმნა დაკავშირებულია გიორგი V-ის (1318-1346 წ.წ.) სახელთან, რომელმაც შეძლო დასავლეთ საქართველოს (1329 წ.), მესხეთის (1334 წ.) და საქართველოს სხვა კუთხეების შემოერთება დედა სამშობლოსათვის. ამდენად, სავსებით ლოგიკურია, რომ ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის ხალხმა მას ,,გიორგი ბრწყინვალე" უწოდა.

საქართველოს გაერთიანების პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ანალოგიური მდგომარეობა იყო მთიულეთშიც. იქ დაწყებულმა "არეულობამ" და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გახშირებულმა გამოსვლებმა, გიორგი მეფე აიძულა პირადად შემოევლო მთიულეთი და დაახლოებით 1334-1335 წლებში მათთვის შეექმნა სამართლის წიგნი—"ძეგლის დადება."

---

17 იხ. ენციკლოპედიური ნაშრომი, რედაქტორი ვ. სუხარევი. Правовые системы стран мира, გვ. 226-227.

სამართლის წიგნი, რომელიც "გიორგი V-ის ძეგლის დადების" სახელწოდებითაცაა ცნობილი, შესავალის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმების შემცველი 45 მუხლისაგან შესდგება.

"ძეგლის დადება," რომ შექმნილი იყო მხოლოდ მთიულეთისათვის, რომელიც განვითარების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ბარს, სხვა რიგ ფაქტორებთან ერთად ნაკარნახევი იყო სისხლის აღების ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით.

გონიერი მეფე სისხლის აღების მანკიერი ტრადიციის არსებობაში ხედავდა არა მხოლოდ ერთი რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნისათვის მომაკვდინებელ საფრთხეს, რის გამოც, ადამიანთა შეგნებიდან მის სრულად აღმოფხვრას შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ეტაპობრივად მიღებით შეეცადა. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე დანაშაულის ჩადენისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის ტვირთის დამნაშავეზე გადატანა იყო. კერძოდ, "ძეგლის დადების" 22-ე, 25-ე და 29-ე მუხლები ცხადყოფს, რომ მხოლოდ ცოლის მოტაცებით შეურაცხყოფილ ქმარს ჰქონდა უფლება ხელყოფილი პატივი და ღირსება სამაგიერო დარბევით, დაწვით ან მოტაცებით დაეცვა.

დღევანდელი გადასახედიდან ისეთი ნორმების არსებობა, რომლებიც ხელისუფლების ჩარევის გარეშე, დამნაშავის გასამართლების უფლებას აძლევს დაზარალებულს, მიუღებელია. თუმცა, იმ პერიოდში აღნიშნულს ჰქონდა გამართლება, რადგან გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცია დაზარალებულის ქცევა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზას კი წარმოადგენდა ის, რომ სამაგიეროს მიზღვისათვის დაზარალებულს განესაზღვრა ერთწლიანი ვადა.

ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში ერეოდა ცენტრალური ხელისუფლება და მკაცრად სჯიდა იმ პირს ვინც შეეცდებოდა შელახული უფლებების საკუთარი ძალით დაცვას.

„ძეგლის დადება" მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლია იმ მხრივაც, რომ მასში სპეციალური ნორმა (31-ე მუხლი) იქნა შეტანილი, რომელიც იძლეოდა "სისხლის ფასის მიხედვით,"ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ ინსტიტუტს "უარზანგობა" (უპატიობა) ეწოდებოდა და წარმოადგენდა არამხოლოდ სისხლისსამართლებრივ სასჯელს კომპოზიცი-

ის სახით, არამედ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული მორალური ტანჯვის ფულად საზღაურსაც.

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის შესწავლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ასევე ,,ბექასა და აღბუღას სამართალი" (1381-1386 წწ) და მასზე დართული, "ბაგრატ კურაპალატის სამართალი".

ბაგრატ კურაპალატის სამართლის შექმნის პერიოდთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი მას IX-ე საუკუნის ძეგლად მიიჩნევს. ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით კი მისი შემქმნელი, მე-X საუკუნეში მოღვაწე, გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III-ე (978-1014) უნდა იყოს.[18]

თავად „ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს" რაც შეეხება, იგი რამდენიმე ავტორის მიერაა შექმნილი. კერძოდ, პირველი მუხლიდან 65-ე მუხლის ჩათვლით ბექასია. 66-დან 98-მდე მუხლები მის შვილიშვილს აღბუღას ეკუთვნის, 89-დან 160 მუხლის ჩათვლით მუხლების ავტორი ბაგრატ კურაპალატია. მათ გარდა დასახელებულ სამართლის წიგნში, 161-დან 175-ე მუხლების სახით, შესულია ასევე კანონიკური სამართლის ნორმები.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, ისევე, როგორც მასში შესული ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ძეგლები, იცნობდა, სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ სასჯელებს. ისინი გამოიყენებოდა, როგორც ერთობლივად ისე ცალ-ცალკე. ერთობლივად მათი გამოყენების მაგალითია შემდეგი—თუ ვინმე დიდებულთაგანი ეპისკოპოსს სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდა, მას დაზარალებულისათვის უნდა გადაეხადა სისხლისსამართლებრივი სასჯელის (კომპოზიციის) სახით 40 000 თეთრი და ეს უნდა მომხდარიყო "დიდად შეხვეწნით" (106-ე მუხლი). ანუ, ბოდიშის მოხდით, რაც სამოქალაქო სამართლებრივი სასჯელის სახეს წარმოადგენდა.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში შემავალი ,,ბაგრატ კურაპალატის სამართალი" იმ დროისათვის უდაოდ გამორჩეული სამართლებრივი აქტი, რომ იყო, აღნიშნულის საილუსტრაციოდ

---

18 იხ. ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია I. 1928წ. გვ 83. ასევე, პ (თ) მონიავა, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით) თბილისი, 2005 წელი. გვ. 49-50.

ისიც კმარა, რომ იგი განასხვავებდა ჩვეულებრივ ცილისწამებას ანუ, ისეთ ცილისწამებას, როცა ინფორმაციის გამავცელებელი კეთილსინდისიერად ცდებოდა და ცილისწამებას "მტერობით" ე.ი პირდაპირი განზრახვით (120-ე მუხლი). ამასთან, თუ პირველ შემთხვევაში, გადაუმოწმებელი ცნობების გამავრცელებელისთვის საკმარისი იყო საყვედურის თქმა, განზრახ ცილისმწამებელს უნდა გადაეხადა დაზარალებულის სისხლის საფასური. ე.ი. ამ შემთხვევაში გადასახდელი სისხლის ფასი წარმოადგენდა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეს.

ვუბრუნდებით რა ,,ბექასა და აღბუღას სამართალს" უნდა ითქვას, რომ ამ სამართლებრივი აქტით, სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის პასუხისმგებლობა იყო დაწესებული პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის სხვადასხვა შემთხვევებში, მათ შორის ომში დამარცხებული მტრის შეურაცხყოფისთვისაც კი. კერძოდ, ომში გამარჯვებული თუ დამარცხებულს აბჯარს გახდიდა და დატყვევებულს ასე შერცხვენილ მდგომარეობაში მიიყვანდა სახლში, მას არამხოლოდ წართმეული იარაღი და სხვა ნივთები უნდა დაებრუნებინა დამარცხებულისათვის, არამედ მიყენებული მორალური ზიანის საზღაურად უნდა გადაეხადა დამარცხებული მოწინააღმდეგის სისხლის ფასის ნახევარი (მე-19 მუხლი). აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ბექას სამართლის მიხედვით, ომში გამარჯვება სავაჭკაცო საქმედ ოყო მიჩნეული. თუმცა, გამარჯვებული მხოლოდ სახელით უნდა დაკმაყოფილებულიყო და სხვა მხრივ არ უნდა დაემცირებინა დამარცხებული.

ბექასა და აღბუღას სამართლი წიგნში შესული სამართლის ძეგლების მაღალ დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ისინი იცნობდნენ: მემკვიდრეობის ანდერძით გადაცემის ინსტიტუტს და ადგენდნენ ანდერძის აღსრულების სამართლებრივ გარანტიებს (57-ე მუხლი); გარდაცვლილი მამაკაცის ქვრივ მეუღლეს, მამრობითი სქესის შვილებთან ერთად, აღიარებდნენ გარდაცვლილის მემკვიდრედ (81-ე მუხლი); აწესებდნენ დაკარგული ნივთის მპოვნელისათვის გასამრჯელოს ანუ, "საპოვნელას" მიცემის ვალდებულებას (92-ე მუხლი) და სხვა.

"სამართალი კათალიკოზთა" (1545-1549წ.წ.) წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯულდებას. კერძოდ, ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსების მიერ შეკრებილმა

მღვდელმთავრებმა ეს სავალდებულო ხასიათის საკანონმდებლო აქტი, შექმნეს იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო ისეთი უმძიმესი დანაშაულებების ჩადენა როგორიცაა: "კაცის კვლა,""კაცის სყიდვა," "ეკლესიის კრეხვა," და "უხვედრობა."

დასახული მიზნის მიღწევის საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება დაეკისრათ კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს, რომელთაც მიეცათ უფლება მოეხდინათ ჩამოთვლილ დანაშაულთა ჩადენაში მხილებულ პირთა "განპატიჟება." რაც იმას ნიშნავდა, რომ პირი კარგავდა მოქალაქეობას, სასამართლოზე დაცვის უფლებას და იზღუდებოდა მემკვიდრეობით უფლებებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული სამართლის ძეგლი შეიცავდა არაერთ სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ნორმას, რომლებიც უზრუნველყოფდა ოჯახის სიწმინდის დაცვას და მის შენარჩუნებს.

„ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის" შექმნა კი დაკავშირებულია ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1675-1737 წ.წ.) სახელთან. ვახტანგის მამა ლევანი, 1703 წელს ქართლის მეფის გიორგი XI-ის საქართველოში არ ყოფნის გამო, დანიშნული იყო ქართლის მმართველად, ანუ "ჯანიშინად." თუმცა, ეს უკანასკნელიც გაწვეული იქნა სპარსეთში და ქართლის მმართველი გახდა მისი ძე ვახტანგი. ეს უკანასკნელი 1709-1711 წლებშიც იყო ქართლის მმართველი, 1716 წელს კი გამეფდა ქართლში. 1724 წელს ვახტანგ VI-ე იძულებული გახდა, თავის უახლოეს გარემოცვასთან ერთად დაეტოვებინა სამშობლო და რუსეთში გადახვეწილიყო, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1737 წლის 26 მარტს.

ჯერ კიდევ ქართლის ჯანიშინად ყოფნის პერიოდში დაიწყო ვახტანგ VI-ემ კანონშემოქმედებითი საქმიანობა და თანამოაზრეებთან ერთად 1705-1708 წლებში შექმნა უნიკალური სამართლის ძეგლი, რომელიც ცნობილია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის სახელწოდებით.

დასახელებული სამართლის წიგნი შედგება 6 კარისა და 270 მუხლისგან. ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი-97 მუხლი, ანუ 36%-ი სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათისაა. წმინდა სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილი მოიცავს 9 მუხლს, ანუ 3,3%-ს, დანარჩენი კი საერთოა, ანდა ეხება პროცესუალურ საკითხებს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საოჯახო სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. აღნიშნულს ადასტურებს სამართლის წიგნში სპეციალური კარის არსებობა სახელწოდებით "აქა კარი დასაწყისი, გაყრისა და ერთმანეთის დაშორებისა თუ ვით უნდა," და მოიცავს ნორმებს 98-დან 114-ე მუხლის ჩათვლით.

სამოქალაქო ნორმების შემცველია ის კარიც, რომლის დასახელებაა ,,კარი პირველი "ვალისა თუ როგორ აიღების." იგი მოიცავს 116-დან 149-ის ჩათვლით მუხლებს და განსაზღვრავს არა მხოლოდ ვალის (სესხის) აღების პირობებს, არამედ მოცემულია საქონლის (იგი იწოდება "ამანათად") მიბარების წესიც (149-ე მუხლი). 160-ე მუხლიდან 204-ის ჩათვლით, ანუ 45 მუხლი, დათმობილი აქვს "ნასყიდობის" შესახებ კარს. მასში დაკონკრეტებულია მამულის, სოფლის, საქონლის და პირუტყვის ყიდვა-გაყიდვის პროცესში შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები. ამავე კარშია შეტანილი გაცვლის თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმაც კერძოდ, 167-ე მუხლი.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების შემცველია ძირითადად 150-159-ე მუხლები. ისინი შედიან სპეციალურ კარში სახელწოდებით "აწ ვიწყოთ კარი ქურდობისა და სამართალი მისი." ხოლო თუ როგორ უნდა დაიწეროს სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი), ან რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლე, ამ საკითხებს ეძღვნება მუხლები 205-დან 270-ის ჩათვლით. ამრიგად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებს დათმობილი აქვს 66 მუხლი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ფასდაუდებელ წარმოდგენას იძლევა XVII-XVIII საუკუნეებში ქართლის სამეფოში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის, ქვეყანაში არსებული კლასებისა და ფენების უფლებრივი მდგომარეობის, ადათ-ჩვეულებების, სამართლებრივი კულტურის, მარლთშეგნების დონისა და სხვა საკითხებზეც. კერძოდ, ირკვევა, რომ ქართლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა გლეხობა. მათ რაოდენობრივად ჩამორჩებოდა, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა აზნაურობა, რომელიც გადიდებული აზნაურის, შუაზნაურის, ცალმოგვის, ანუ მესამე აზნაურის სახით

იყო წარმოდგენილი. იერარქიით აზნაურებზე მაღლა იდგნენ ქვემოთა, შუა და მესამე თავადები. წარჩინებულთა კლასს კი სათავეში ედგა უმაღლესი თავადი, ანუ დიდებული.

მათ გარდა, საზოგადოება შედგებოდა საეკლესიო პირებისა და ვაჭრებისგან. ასევე, გააზატებული, ანუ ყმობიდან განთავისუფლებული პირებისაგან და ყველაზე უუფლებო ნასყიდი მონებისაგან, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით იყო წარმოდგენილი.

დიდებული თავადის სიკვდილის შემთხვევაში მისი სისხლის ფასი შეადგენდა 1536 თუმანს. შუა თავადის სისხლი 768 თუმნად, ქვემოთა თავადის სისხლი კი რომელსაც, მესამე თავადსაც უწოდებდნენ 390 თუმნად იყო შეფასებული. აზნაურთა მკვლელობის შემთხვევაში მათი სისხლის ფასი მერყეობდა 48 თუმნიდან 192 თუმნამდე. გლეხი კაცის სისხლი ფასობდა 12 თუმნად.

იერარქიულად და სისხლის ფასით დიდებულთან გათანაბრებული იყო მიტროპოლიტი, შუა თავადთან-ეპისკოპოსი, ქვემოთა ანუ მესამე თავადთან — არქმინადრიტი, გადიდებულ აზნაურთან-ეკლესიის წინამძღვარი, შუა აზნაურთან-მღვდელ-მონაზონი, ცალმოგვის ანუ, მესამე აზნაურთან-მღვდელი.

ვაჭართა ფენას რაც შეეხება, სამართლის წიგნი განასხვავებდა დიდებულ დიდ-ვაჭარს, ასევე მეორე, მესამე და მეოთხე ვაჭარს. მათგან დიდ-ვაჭარი მოქალაქე, იერარქიულად და სისხლის ფასით უტოლდებოდა შუა აზნაურს და მღვდელ-მონაზონს, მეორე ვაჭარი-ცალმოგვის მესამე აზნაურს და მღვდელს, მეოთხე ვაჭარი კი გლეხკაცს.

თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ მეფე და კათალიკოსი. აღნიშნული აიხსნებოდა იმით, რომ ერთი "ხორცის" ხელმწიფე იყო მეორე კი "სულის". ამასთან, ვახტაგ VI-ეს საჭიროდ არ მიუჩნევია განესაზღვრა მეფის და კათალიკოსის სისხლის ფასი, ვინაიდან ქვეშევრდომთა მხრიდან მათი სიცოცხლის ხელყოფა ძნელად წარმოსადგენი იყო და თუ ვინმე მაინც გაბედავდა მსგავსი ქმედების ჩადენას აუცილებლად სიკვდილით დაისჯებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მდიდარია ისეთი ნორმებით, რომლებიც სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებებზეც. მათგან უმთავრესი ის არის, რომ განსაკუთრებულ სიმაღლეზე იყო აყვანი-

ლი პატივის მიხედვით პირთა რანგირების ინსტიტუტი. კერძოდ, თუ ადრე პატივი გულისხმობდა პირის სოციალურ მდგომარეობას, ვახტანგის სამართალმა პატივის ცნება მორალურ-ზნეობრივი თვისებების ელემენტებით შეავსო. ამასთან, სამართლის ისტორიაში პირველად სამართლებრივ ნორმაში ჩადებული იქნა პატივის განსაზღვრის უნივერსალური ფორმულა, რომლითაც კონკრეტული პირის პატივზე წარმოდგენა იქმნებოდა სხვა პირთან (ან პირთა ჯგუფთან) მისი შედარების პროცესში და საზოგადოებრივი შეფასება არ იყო დამოკიდებული შესაფასებელი პირის ნებაზე. ე.ი. პატივი საზოგადოების კონტროლქვეშ ყალიბდებოდა და თვით საზოგადოება ქმნიდა წარმოდგენას პიროვნებაზე. ამასთან, საზოგადოებრივი შეფასება, ანუ პატივი არ განიხილებოდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ კატეგორიად, რადგან განიცდიდა სისტემატიურ ცვლილებას ასაკის მატების, ქონებრივი მდგომარეობის, საზოგადოებრივი საქმიანობის ხარისხის და პიროვნების ქცევის შესაბამისად.

აღნიშნულს ადასტურებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 23-ე მუხლის შინაარსი, რომელშიც ნათქვამია, რომ **"როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხითა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყვრად მოკიდებით ამაღლდების, სისხლი გაუდიდდების, ისრე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების"**-ო.

მნიშვნელოვანი სიახლე იყო ისიც, რომ ვახტანგის სამართალმა გაათანაბრა საერო და სასულიერო პირთა პატივი. სისხლის ფასის მკაცრად დიფერენცირებამ კი შესაძლებელი გახადა პატივის მიხედვით არამხოლოდ სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების წარმომადგენელთა რანგირება, არამედ განისაზღვრა პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობაც. კერძოდ: თუ კაცი უსამართლოდ სხვა პირს შეაგინებდა, შემგინებელს სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის უნდა გადაეხადა დაზარალებულის სისხლის ფასის ნახევარი (226-ე მუხლი); ურთიერთშელაპარაკების დროს გაჯავრებული ყმა თუ პატრონს ჯოხს გაარტყამდა ან ხელით მიაყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ფიზიკური და მორალური ტკივილის საზღაურად მას იმ კაცის ხელის ფასი უნდა გადაეხადა, ვისაც ამ სახის შეურაცხყოფა მიაყენა (259-ე მუხლი) და ა.შ.

ვახტანგის სამართალი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვის აუცილებლობაზე. კერძოდ, სასამართლოში საქმის განხილვის დროს ერთი მხარის მიერ მეორისათვის ასევე, ერთმანეთისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ითვლებოდა მოსამართლის შეურაცხყოფად და მათ (ან ერთ-ერთ მათგანს, რომელმაც ასეთი ქმედება ჩაიდინა) მოსამართლესთვის უნდა გადაეხადა ამ უკანასკნელის გვარის შესაბამისი სისხლის ფასი (267-ე მუხლი).[19]

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც არ ცნობდნენ ქალს სამართლის სუბიექტად ვახტანგის სამართალმა აღიარა მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სამართალსუბიექტობაც. კერძოდ, თუ მამაკაცი უჩიოდა ქალს, ამ უკანასკნელს შეეძლო სასამართლოში მისვლა და ჩვენების მიცემა. რაც შეეხება მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, მათ 10 წლის ასაკამდე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ, მაგრამ თუ მათ ქმედებას სიკვდილი, დაჭრა ან სხვაგვარად დასნეულება მოჰყვებოდა, მკვლელობის შემთხვევაში 10 წელს მიუღწეველი პირის მშობლებს გარდაცვლილის ოჯახისათვის მკვდრის დასამარხი თანხა (სამარხი) უნდა მიეცათ, დაჭრილისა და დასნეულებულისათვის კი ექიმის გასამრჯელო, ანუ "სააქიმო" (187-ე მუხლი).

ვახტანგ VI-ის სამართალი სამართლის სუბიექტად აღიარებდა: 1) სახელმწიფოს; 2) ეკლესიას, 3) ფიზიკურ პირებს, რომლებიც სხვადასხვა კლასებისა და ფენების სახით იყო წარმოდგენილი; 4) ადამიანთა გაერთიანებებს ამხანაგობის სახით, რომელებიც იურიდიული პირის ერთგვარ წინამორბედად უნდა ჩაითვალოს ქართულ სინამდვილეში.

შესაბამისად, იცნობდა ჩამოთვლილი სუბიექტების უფლებას: ჰქონოდათ ქონება პირად საკუთრებაში და, როგორც მემკვიდრეობით ისე ანდერძით (233-ე მუხლი) დაეტოვებინათ იგი. ასევე, განეხორციელებინათ საქმიანობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ამხანაგობის შექმნის გზით ერთობლივად (იხ. 255-ე მუხლი).

აღნიშნულს იმ გარემოებას თუ დავუმატებთ, რომ სამართლის სუბიექტებს თავიანთი მოქმედებით შეეძლოთ, შეეძინათ სამოქალაქო უფლებები და ეკისრათ ვალდებულებები, ცხადი ხდება,

19 დეტალურად იხილე პ.(თ) მონიავა. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში, თბილისი 2005 წელი, გვ. 69-75.

მათ გააჩნდათ უფლებაუნარიანობა, რომელიც სრული მოცულობით წარმოიშობოდა 10 წლის ასაკიდან (187-ე მუხლი).

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად აღიარებული იყო: მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა; ზიანის (მათ შორის მორალური ზიანის) მიყენება და უსაფუძვლოდ გამდიდრებაც კი. მაგ. ასეთი კონტრუქციის შემცველია 247-ე მუხლი. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ თუ პირი სხვა კაცისაგან მოჭრილ და დამზადებულ ხეს წაიღებდა, მას პატრონისთვის წაღებული ხის ღირებულება უნდა გადაეხადა ან/და ანალოგიური ხე მოეჭრა და დაემზადებინა მისთვის.

ვახტანგ VI-ის სამართალი იცნობდა ტერმინ "გარიგებასაც." იგი გულისხმობდა შეთანხმებას, როგორც ფულის ერთეულის დადგენის (მე-15 მუხლი), ისე "სამძღვრის" (საზღვრის) განსაზღვრასთან დაკავშირებით (241-ე მუხლი).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი განასხვავებდა ხელშეკრულების ისეთ სახეებს როგორიცაა: ვალის (სესხის), ამანათის (საქონლის) მიბარების (149-ე მუხლი), პირუტყვის მიბარების (211-ე მუხლი), ნასყიდობის (160-ე მუხლი), გაცვლილობის (166-ე მუხლი), ნათხოვრობის (210-ე მუხლი), თავდებობის (238-ე მუხლი) და სხვა. იცნობდა პირობით გარიგებასაც (166-ე მუხლი) და გარიგების ბათილობის (მის ნაცვლად იხმარებოდა ტერმინი "ყაბული არ არის") ინსტიტუტს. ასე, მაგ. თუ ვაჭარი სხვა თემში სავაჭროდ წავიდოდა და იქ თავისი ქვეყნის კაცს, თავისავე ქვეყანაში არსებულ მამულს მიჰყიდდა, შემდეგ კი სამშობლოში არ დაბრუნდებოდა ან ლოთობას ან ავკაცობას გადაყვებოდა, მამულის გაყიდვის თაობაზე ასეთი გარიგება "ყაბული არ იქნებოდა."

ხელშეკრულება ფორმდებოდა, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. ცალკეულ შემთხვევებში სავალდებულოდ იყო მიჩნეული ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვა, ანუ მოწმეთა მონაწილეობით თამასუქის შედგენა. ამ მოთხოვნის დაუცველობა კი სამართლებრივი შედეგის დადგომის ვალდებულებას არ წარმოშობდა (იხ. 143-ე მუხლი).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით უძრავი ნივთი შეიძლება გამოყენებულიყო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ანუ სახეზეა იპოთეკის ინსტიტუტი თანამედროვე გაგებით. აღნიშნულს ადასტურებს 164-ე მუხლის მე-2 აბზაცის დანაწესი,

სადაც აღნიშნულია, რომ "ვისაც თეთრის სესხება უნდოდეს ისე უმამულოდ ასესხოს-"ო.

დასახელებული სამართლის წიგნი იცნობდა ყადაღის დადების ინსტიტუტსაც. ამასთან, ყადაღა ისე, როგორც დღესაა მიღებული, გამოიყენებოდა სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებად. კერძოდ, თუ დაზარალებული ვერ ახერხებდა ვალის ან დაკისრებული სისხლის საფასურის ამოღებას, მას უნდა მიემართა ხელმწიფისთვის. ამ საკითხის განხილვას ხელწიფე დაავალებდა მდივანბეგს ან მოსამართლეს. საკითხის გადაწყვეტამდე კი ხელმწიფეს (ანუ, სახელმწიფოს), უფლება ჰქონდა ყადაღა დაედო ურჩი გადამხდელის ქონებისათვის. (იხ. 173-ე მუხლი).

საკუთრებასთან მიმართებაში ვახტანგ VI-ის სამართალი განასხვავებდა, როგორც კერძო პირთა საკუთრებას, რომელიც არსებობდა ინდივიდუალური და საერთო (ამხანაგობის) საკუთრების სახით, ასევე საეკლესიო საკუთრებას და სახელმწიფო საკუთრებას.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით არსებობდა ისეთი საკუთრებაც, რომელიც მართალია სახელმწიფოს "ხელმწიფის" საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ამ საკუთრებით სარგებლობა შეეძლო ნებისმიერ პირს კერძოდ, 169-ე მუხლის თანახმად- **"ქვეყანაზედ" ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი."**

საკუთრების წარმოშობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა სამკვიდროს მიღება და ნასყიდობის ხელშეკრულება. საკუთრების წარმოშობის საფუძველი იყო ასევე განძის პოვნა. კერძოდ, ნაყიდ მამულში ან აგარაკში განძის პოვნის შემთხვევაში, მასზე უფლებას ვერავინ შეეცილებოდა მესაკუთრეს თუკი მამულისა და აგარაკის შესაძენად მას თანხა უკვე ჰქონდა გადახდილი (165-ე მუხლი).

ვახტანგ VI-ის სამართალი იცნობდა: ნივთის მპოვნელის მიერ ამ ნივთის მესაკუთრისგან გასამრჯელოს, ანუ საპოვნელას, მოთხოვნის უფლებასაც. ასევე, ნივთის მიბარების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს (207-209 მ-უხლები), შვილად აყვანის ინსტიტუტს (261-ე მუხლი), განსაზღვრული იყო ვალის, ანუ სესხის აღების შემთხვევაში სარგებლის ოდენობაც. კერძოდ, თუმანზე სარგებელი არ შეიძლება ყოფილ-

იყო თვეში 5 აბაზზე მეტი. ვალად აღებულ პურზე ორჯერ მეტი სარგებელი იყო დაწესებული და აშ. (116-119 მუხლები). ასევე, განსაზღვრული იყო სანაძლეოს (ნაძლევის) დადების წესი და მისი ანაზღაურების პირობები (197-ე მუხლი), ნადირობის დროს ნანადირევის გაყოფასთან დაკავშირებით დავის გადაწყვეტის გზები და საშუალებები (179-184 მუხლები) და სხვა.

სამემკვიდრეო სამართლის შემცველი ნორმები მემკვიდრეობის სუბიექტებად მეუღლესთან და შვილებთან ერთად აღიარებდა გარდაცვლილის ძმას, ძმისწულს და ბიძაშვილებს (იხ. 139-ე მუხლი). ანუ, იცნობდა მემკვიდრეთა ოთხ რიგს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ვახტანგის სამართალი მემკვიდრეთა რიცხვს მიაკუთვნებდა გარდაცვლილის უკანონოდ (ქორწინების გარეშე) გაჩენილ ბავშვსაც (ბუშს) კი. თუმცა, აღნიშნულს მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა სამკვიდროს დამტოვებელი ისე გარდაიცვლებოდა, რომ ამ ბავშვის მეტი არავინ დარჩებოდა. უკანონოდ გაჩენილ ბავშვთა უფლებები კონკრეტულად იმით იყო დაცული, რომ გარდაცვლილის ძმებს, ყმის მამულის ოდენა მამული უნდა მიეცათ გარდაცვლილის უკანონო შვილისთვის. ასევე დანატოვარი საქონელიც უნდა გაენაწილებინათ მისთვის (110-ე მუხლი).

ვახტანგ VI-ის სამართალი აღიარებდა ერთქორწინების პრინციპს და ზრუნავდა ოჯახის შენარჩუნებაზე. კერძოდ, ოჯახის დანგრევის ერთადერთი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ღალატი (63-ე მუხლი), მაგრამ თუ ქმარი ცოლს უმიზეზოდ მიატოვებდა სისხლის მთელი საფასური უნდა გადაეხადა ყოფილი მეუღლესათვის და მზითევში მოტანილი ქონებაც უკლებლივ უნდა დაებრუნებინა მისთვის (172-ე მუხლი). თუ პირიქით მოხდებოდა, ქალი მიატოვებდა ქმარს და ამას "უსირცხვილობით" ჩაიდენდა, რა გვარისაც ქმარი იყო იმ გვარის სისხლის ფასი უნდა გადაეხადა ქალს (74-ე მუხლი).

ქმრის სასარგებლოდ სოლიდური ფულადი კომპენსაცია იყო დაწესებული იმ შემთხვევაშიც, თუ გათხოვილი ქალი და მამაკაცი ერთმანეთთან ნებაყოფლობით იმყოფებოდნენ ინტიმურ ურთიერთობებში. კერძოდ, ქმარს შეეძლო მოეთხოვა ცოლის მაცდუნებლისაგან ფულადი საზღაურის გადახდა. მისი ოდენობა კი დამოკიდებული იყო იმაზე, ქმარი მოღალატე ცოლს გაეყრებოდა

თუ არა. გაყრის შემთხვევაში ცოლის მაცდუნებელი ვალდებული იყო გადაეხადა ქმრის სისხლის სრული ოდენობის საზღაური, ხოლო თუ ქმარი საჭიროდ არ მიიჩნევდა ცოლთან განშორებას მაშინ, მორალური ზიანის სანაცვლოდ მისაღები საზღაურის ოდენობა შეურაცყოფილი ქმრის სისხლის ნახევარ ოდენობას შეადგენდა (86-ე მუხლი).

ამ სახის ნორმის აუცილებლობა დაადასტურა ევროპაში მოგვიანებით დამკვიდრებულმა სასამართლო პრაქტიკამ. კერძოდ, მე-XIX-ე საუკუნეში საფრანგეთში იმდენად ფართოდ იქნა გაგებული პირად ფასეულობათა დაცვის აუცილებლობა, რომ ცოლის ღალატით შეურაცხყოფილ ქმარს შეეძლო მოეთხოვა ცოლის საყვარლისაგან ხელყოფილი პატივისა და ღირსების საზღაური.[20]

ანალოგიურად, 1909 წლის 8 მაისს, იტალიაში, ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ ცოლის ღალატით შეურაცხყოფილი ქმრის სარჩელის საფუძველზე, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, ფულადი კომპენსაციის გადახდა დააკისრა გარდაცვლილი მეუღლის ყოფილ საყვარელს. სასამართლოს გადაწყვეტილება კი იმით იქნა დასაბუთებული, რომ მოპასუხის ქმედებამ შეურაცხყო მოსარჩელის გრძნობები, დაურღვია მას სულიერი სიმშვიდე და შინაურული ოჯახური სამყარო.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეტანილი ცალკეული სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ამ ძეგლის შექმნის პერიოდში, ქართული სინამდვილისათვის უცხო ყოფილა მოგვიანებით სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული "ლიბერალიზმის დოქტრინა," რომელიც ქადაგებდა "ნების აბსოლიტური თავისუფლების იდეა"-ს, ვინაიდან ნების თავისუფლება მკაცრად იზღუდებოდა, თუ ამით სხვათა უფლებების ხელყოფას ჰქონდა ადგილი. ასე მაგ. თუ ქალი სხვა ქალს ამ უკანასკნელის ქმრის თანდასწრებით "წამოაძახებდა," რომ მისი ქმრის საყვარელი იყო და ეს ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზად იქცეოდა, შეურაცხმყოფელს შეურაცხყოფილი ქმრის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა "ბოზობისათვის" დადგენილი სისხლის ფასი. ამასთან, თუ ქმარი არ დაიჯერებდა ცოლის ღალატს და ცოლს მყისიერად არ გაშორდებოდა ამგვარ ღალატში მხილებულ ქალს ქმარი მომავალში ვეღარ გაეყრებოდა (87-ე მუხლი).

20იხ. პ.(თ) მონიავა. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი. 2004 წელი. გვ. 35-36.

ზემოთქმული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვახტანგ VI–ის სამართლის წიგნი მოიცავდა, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის მომწესრიგებელ ზოგად დებულებებს ისე, სანივთო (ქონებრივი) სამართლის, სამეზობლო სამართლის, ვალდებულებითი სამართლის, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ასევე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნორმებს, რომლებიც შემდგომი გადამუშავება-სრულყოფისა და სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანულ სამართალზე, რომლითაც დამკვიდრდა იურდიული პირის ინსტიტუტი და იმ სახის ხელშეკრულებები, რომელსაც ადრე არ იცნობდა ქართული სამართალი) გამოცდილების გაზიარების გზით იქცა თანამედროვე ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ვახტანგ VI–ის სამართლის წიგნში შეტანილი სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც გამოირჩევიან მდიდარი იურიდიული ტერმინოლოგიით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენენ იმ სამართლებრივი ინსტიტუტების ისტორიულ წინაპრებს, რომლებიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის მეცნიერებაში.[21]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეტანილმა არაერთმა ნოვატორულმა ნორმამ დროს გაუსწრო. ამიტომაცაა, რომ იგი შედარებით კარგად არის შესწავლილი, როგორც ქართველი ისე უცხოელი სამართლის სპეციალისტების მიერ. კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი პირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა პეტერბურგში 1828 წელს. 1846 წელს იგი შეტანილი იქნა ქართული ქრესთომატიის პირველ ნაწილში და დაიბეჭდა ასევე პეტერბურგში. 1887 წელს დ. ბაქრაძის რედაქციით რუსულ ენაზე გამოსცა ფრენკელმა. 1934 წელს კი გამოსცა ფრანგმა მეცნიერმა ი. კარსტმა, რომელმაც გამოიყენა ფრენკელის მიერ დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემული ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული ტექსტი და დ. ჩუბინიშვილის ქართული ტექსტის თარგმანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1823 წელს ნიკოლოზ ბატონიშვილის მიერ გადაწერილი ეს სამართლის ძეგლი, 1825 წლიდან ინახება საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მას კი საჩუქრად გა-

21 იხ. თემურ (უმცროსი) მონიავა, თანამედროვე სისხლის სამართლის საწყისი ვახტანგ VI-სამართალში. ჟურნალი "ცხოვრება და კანონი" №1-2 (13) 2012 წ. გვ. 12-16.

დასცა საფრანგეთის კონსულმა გამბამ, რომელსაც თბილისში შეუძენია იგი.[22]

მიუხედავად ამისა ავტორთა უმრავლესობა, თუ არ ჩავთვლით ი. ჯავახიშვილს, ი. დოლიძეს და მკვლევართა მცირე ჯგუფს, ამ სამართლის ძეგლს განიხილავს დამოუკიდებლად და არა როგორც ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი ერთიანი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის-სამართლის წიგნთა კრებულის, განუყოფელ ნაწილს.

ამით კი ჩრდილი ადგება იმ დიდ ჩანაფიქრს, რომელიც ამოძრავებდა ვახტანგ VI-ეს და მიმართული იყო იქითკენ, რომ ქვეყნის, როგორც ეთნიკურად ქართველი ისე არაქართველი მოსახლეობისათვის, შეექმნა მათ ტრადიციებზე დაფუძნებული ერთიანი გამოყენების ყოვლისმომცველი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტი.

ამგვარი სამართლის კრებულის შექმნის სურვილი ქართულ სინამდვილეში ადრეც შეინიშნებოდა. აღნიშნულის დადასტურებაა ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, რომელიც ბექასა და აღბუღას სამართლის ძეგლებთან ერთად შეიცავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებს და კანონიკური სამართლის ნორმებს. თუმცა, დასახელებული სამართლის ძეგლი, საერო სამართლის ძეგლებიდან მოიცავდა მხოლოდ ქართული სამართლის წიგნებს, რის გამოც ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მრავალენოვანი მოსახლეობის მოთხოვნილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა იმგვარი სამართლის კრებულის შექმნა, რომელშიც ერთიანი გამოყენების სამართლებრივი აქტის შემადგენელ ნაწილებად, ანუ ცალკე წიგნების სახით შევიდოდა, როგორც ქართული ისე იმ ხალხების სამართლებრივი ყოფის ამსახველი ნორმები, რომლებიც საქართველოში, ვახტანგ VI-ის კრებულის შედგენამდე, დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ.

არჩევანი შეჩერდა ბერძნული, სომხური და ებრაული ხალხების სამართლებრივ ტრადიციებზე. მათთან დაკავშირებით მასალები

---

22 აკადემიკოს ი.დოლიძის წინასიტყვაობა, რომელიც დართულია ქართული სამართლის ძეგლების პირველ ტომზე. თბილისი 1963 წელი. ასევე, პ.(თ.) მონიავა, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბილისი, 2005 წელი, გვ. 87.

კი 1705-1708 წლებში მოიძია, თარგმნა და სათანადოდ დაამუშავა ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შექმნილმა "ჭკვიან კაცთა" კომისიამ.

კონკრეტულად თუ რომელი სამართლის ძეგლი ან სხვა სახის ისტორიული დოკუმენტი იქნა გამოყენებული, ამის თაობაზე ინფორმაციას დასახელებული კრებული არ შეიცავს, მაგრამ კრებულის შესავალში არსებული ზოგადი ჩანაწერებისა და მოძიებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ:

ბერძნულ სამართალთან მიმართებაში გამოყენებულია XIV-ე საუკუნეში მოღვაწე, ბერძენი სასულიერო პირის, მათე ლასტარის მიერ შექმნილი "სინტაგმის" და ასევე XIV-ე საუკუნეში, ბიზანტიაში მოღვაწე კონსტანტინე არმენეპულის მიერ შექმნილი სამართლის წიგნის შემოკლებული ვარიანტი;

რაც შეეხება სომხურ სამართალს იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი მოიცავს სომეხთა დიდი განმანათლებლის გრიგოლის (გრიგოლ განმანათლებელი იყო მეფე თრდატ III-ის თანამედროვე, რომელთა საერთო ძალისხმევით 301 წელს სომხეთში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად) სიცოცხლეში და VI-ე საუკუნემდე შექმნილ, როგორც სომხურ ისე სირიულ-რომაული სამართლის ძეგლებს.

სომხური სამართლის მეორე ნაწილი კი დათმობილი აქვს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მხითარ გოშის (გარდაიცვალა 1213 წ) სამართლის წიგნს, რომელსაც მისი შექმნა დაუწყია 1184 წელს იმდროს საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ქალაქ განძაში.

ვახტანგ VI-ის კრებულში შეტანილ ებრაულ სამართალს პირობითად შეიძლება ეწოდოს სამართალი, რადგან შეიცავს ბიბლიიდან, ძირითადად კი "დაბადების" იმ ნაწილიდან ამოკრებილ ფრაგმენტებს, რომლებიც "მეორე რჯულის კანონის" სახელითაა ცნობილი.

"მეორე რჯულის კანონის" შემქმნელად მიჩნეულია ლეგენდარული წინასწარმეტყველი მოსე. ამდენად, "მეორე რჯულის კანონი", რომელშიც აღწერილია ებრაელთა 40 წლიანი ხეტიალი უდაბნოში, მოსეს სიკვდილი და მისი დასაფლავება, წარმოადგენს ბიბლიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოქმედ სამართლის წიგ-

ნად ითვლებოდა ქრისტიანულ ქვეყნებში.[23] თუმცა, იმისგან რამდენადმე განსხვავებული სახით, ვიდრე იგი წარმოადგინა ვახტანგ VI-ემ.

ჩამოთვლილი ძეგლებით დაინტერესება ცხადყოფს, რომ დიდი ქართველი სჯულმდებელი, პოეტი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ VI-ე, თავის თანამოაზრეებთან ერთად, შესანიშნავად გრძნობდა ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ მაჯისცემას. ამდენად, სამართლის წიგნთა კრებულის შექმნით მან არაქართველი მოსახლეობის იმ სამართლებრივი ტრადიციების საკანონმდებლო ლეგიტიმაცია მოახდინა, რომლებიც არაოფიციალურად ისედაც გამოიყენებოდა წარმოშობილი ყოფითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

მეტიც, ამ სახის ინტერნაციონალური ხასიათის სამართლის წიგნთა კრებულმა ქართლში მცხოვრები ებრაელები, სომხები და ბერძნები ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური თანაცხოვრების სრულუფლებიან სუბიექტებად აქცია, რის გამოც მათ არ სჭირდებოდათ თავიანთი წარმომავლობის დამალვა.

ბერძნული, სომხური და ებრაული სამართლებრივი ტრადიციების დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში განპირობებული იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებითაც კერძოდ:

1. საბერძნეთი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამართლიანად ითვლებოდა დემოკრატიისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ. თუმცა, მას შემდეგ რაც საბერძნეთი აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის ცენტრი გახდა (395 წელი), ბერძნული სამართლის როლი თანდათანობით დაკნინდა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წელი) კი, იგი სულაც იქნა მივიწყებული, ვინაიდან, ბიზანტიის იმპერიასთან ერთად საბერძნეთის ტერიტორიაც მოექცა თურქეთის ბატონობის ქვეშ და მხოლოდ 1830 წელს გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

---

23 პ (თ) მონიავა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ბერძნული, ებრაული და სომხური სამართლის ძეგლების შეტანის სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკური წინამძღვრები. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. ზუგდიდი, 2010 წელი გვ. 65-68.

ამდენად, ბერძნული სამართლის ნორმების გაცოცხლებას და ბიზანტიური სამართლის ცალკეულ ნორმებთან ერთად ქართულ სამართლებრივ სივრცეში ოფიციალური საკანონმდებლო სტატუსით დამკვიდრებას ჰქონდა, როგორც ისტორიული ისე სიმბოლური დატვირთვა.

2. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა სომხური სამართალიც, ვინაიდან ოდესღაც დიდი ისტორიული წასრულის მქონე სომხეთის სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში და ახალი წელთაღრიცხვის 301 წელს მსოფლიოში პირველმა აღიარა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, სისტემატიურად იმყოფებოდა უცხოელი დამპყრობლების (არაბები, ბიზანტიელები, თურქ-სელჩუკები, მონღოლ-თათრები, თურქები და სპარსელები) ბატონობის ქვეშ.

შესაბამისად, საკუთარი სახელმწიფოს არაარსებობის პირობებში, ქართულ სამართლებრივ სივრცეში სომხური სამართლის ნორმების შექმნა და ოფიციალური საკანონმდებლო აქტის სახით მისი ქართულ სინამდვილეში დამკვიდრება წარმოადგენდა სომეხი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი იქნა XII-ე საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი მხითარ გოშის სამართლის წიგნი, ვინაიდან მხითარ გოში XII საუკუნის პირველ ნახევარში დაიბადა ქალაქ განძაში. ეს ქალაქი კი, მხითარ გოშის სამართლის წიგნის შექმნის პერიოდში, შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.[24] რაც შეეხება მხითარ გოშის მოღვაწეობას იგი დაკავშირებულია საქართველოს ფარგლებში მდებარე გეტიკისა და მის მიერვე დაფუძნებულ ნორ-გეტიკის მონასტერთან, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1213 წელს.

ამდენად, მხითარ გოშის სამართლის წიგნში ასახული, სომხებით დასახლებული ქართული პროვინციის საყოფაცხოვრებო ურთიერთობების სამართლებრივ ნორმებში მოქცევა მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის განვითარებისთვისაც.

---

24 იხ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბილისი, 2002 წელი.

3. სამართლის წიგნთა კრებულში ებრაული სამართლის შეტანის აუცილებლობა კი გარდა იმისა, რომ ებრაელები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოში და ამ ქვეყნის ამღშენებლობის საქმეში დიდი წვლილი ჰქონდათ შეტანილი, განპირობა იმ გარემოებამ, რომ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში, კაცობრიობის წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე ებრაელ ერს არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა, ვინაიდან ძველი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებში ჩამოყალიბებული ებრაული სახელმწიფოები იზრაელისა და იუდეას სამეფოების სახით, პალესტინაში არსებობდა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე ანუ, სანამ დაიპყრობდნენ რომაელები. VI-ე საუკუნეში ებრაელთა ისტორიული სამშობლო კი დაიპყრეს არაბებმა, XI საუკუნეში ჯვაროსნებმა, XIII საუკუნეში ეგვიპტელებმა, ხოლო XVI-ე საუკუნეში ოსმალთა იმპერიამ.

ამდენად, ებრაული სამართალი ანუ, როგორც მას უწოდებდნენ მოსეს სამართალი, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს, არსებობდა მხოლოდ ებრაელი ხალხის გონებაში და ბიბლიის ფურცლებზე, რადგან პრაქტიკული გამოყენებისთვის სახელმწიფოებრივი სივცრე არ გააჩნდა.

ბიბლიიდან შესაბამისი ფრაგმენტების ამოკრეფით და გადამუშავებული სახით სამართლის წიგნთა კრებულში მისი შეტანით კი ვახტანგ VI-ემ ხაზი გაუსვა, ქართველ მეფეთა ნათესაობას, როგორც ქრისტესთან ისე ებრაელ ხალხთან (მათეს სახარების მიხედვით ქრისტეს წინაპართა შორის ითვლებიან-იესე, მისი ძე დავით მეფე და ამ უკანასკნელის შვილი ასევე ებრაელი მეფე სოლომონი. მათ კი წინაპრად თვლიდნენ ქართველი ბაგრატიონებიც, რომლებიც თავიანთ თავს შემდეგნაირად მოიხსენიებდნენ: "ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან-მეფედ- მეფემან...") და შეეცადა იმ იდეის კიდევ ერთხელ გაღვივებას, რომელიც ოდითგანვე არსებობდა და ნერგავდა ქართველი ხალხისა და საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნის საგანგებო ისტორიული მისიის შესახებ რწმენას.

ამრიგად, საბოლოოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, რომლის შექმნის პერიოდად ასევე 1705-1708 წლები სახელდება, ბერძნულ, ებრაულ და სომხურ სამართლის წიგნებთან ერთად ქართული სამართლის ძეგლებიდან შევიდა: 1) ძეგლის

დადება მეფედ მეფის გიორგის მიერ (ანუ, სამართალი მეფის გიორგისა); 2) ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი; 3)ალბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი; 4) ბაგრატ კურაპალატის სამართალი; 5) კანონიკური სამართალი; 6) სამართალი კათალიკოზთა და 7) ვახტანგ VI-ის სამართლი წიგნი.

თავის მხრივ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ერთიან დამოუკიდებელ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა, ვინაიდან მასში შემავალი ქართული და სხვა ხალხთა სამართლის წიგნები იურარქიულად თანაბარი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტებად გამოცხადდა. აღნიშნულს ადასტურებს სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ კრებულში შემავალი სამართლის წიგნებიდან "რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმოდეთ-"[25]ო.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს უწოდებდა "კოდიკოს." იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან "კოდექსი" და ნიშნავს "შეკვრას," ანუ საკანონმდებლო ძეგლების ვრცელ კრებულს.

ამასთან, ი. ჯავახიშვილის აზრით, "კოდექსი სხვადასხვა საკანონმდებლო ძეგლის უბრალო მექანიკურ გროვას და შენაკრებს კი არ ეწოდებოდა, არამედ შინაარსის მიხედვით შეთანხმებულ კანონების კრებულს, რომელშიც სხვადასხვა პერიოდის ძეგლების ურთიერთშორისო შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა მოსპობილი და ამ გზით მთლიანობა დამყარებული იყო."[26]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ერთიანი, კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომ იყო ამ ფაქტს ადასტურებს სხვა არაერთი გარემოებაც. კერძოდ, კრებულის ძირითად ტექსტზე წამძღვარებულია, მასში შესული ყველა სამართლის წიგნის ნორმების საძიებელი, ანუ "ზანდუკი", რომელსაც 39 ფურცელი უჭირავს. საძიებელს მოსდევს და ორ ფურცელს მოიცავს "შესავალი." კრებულის ძირითად ტექსტს კი დართული აქვს ბო-

---

25 ვახტანგ VI-ის წიგნი, რედაქტორი ი. დოლიძე, გვ 46.

26 ივ. ჯავახიშვილი. წიგნი I. თხზულებათა ტომი 6. თბილისი 1982 წელი. ასევე, ქართული სამართლის ძეგლები, პირველი ტომი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულის (რედაქტორი ი. დოლიძე) წინასიტყვაობა გვ.4.. თბილისი 1963 წ.

ლოსიტყვაობა. ყოველივე ზემოთქმული ცხადია, მას აძლევს ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტის დასრულებულ სახეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნდა სამართლის წიგნთა კრებულის საძიებელს, ანუ ზანდუკს. კერძოდ, მან გაუადვილა სასამართლოს და დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სამართლის წიგნებში არსებული, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოძებნა. ასე მაგალითად, იმ პირის მიმართ, რომელიც ბოროტი განზრახვით სხვაზე ავს იტყოდა და გრძნეულებას (ჯადოქრობას) დააბრალებდა, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებული იყო სომხური სამართლის 107-ე და აღბუღას სამართლის 146-ე მუხლებით. ამდენად, თვით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მართალია ამგვარ ნორმას არ შეიცავდა, მაგრამ სამართალდარღვევა დაუსჯელი არ რჩებოდა, რადგან სამართლის კრებულში შემავალი წიგნი (ან წიგნები) შეიცავდა ამ კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამის ნორმას. ყოველივე ამის გარკვევა კი „ზანდუკი“-ს მეშვეობით შეიძლებოდა და თანაც დროის მცირე მონაკვეთში.

ანალოგიურად, „ზანდუკის“ დახმარებით მცირე დროშია შესაძლებელი იმის დადგენა, რომ შესასრულებლად სავალდებულო ნორმას წარმოადგენდა ბერძნული სამართლის 332-ე მუხლის იმპერატიული დანაწესი იმის თაობაზე, რომ "დედაკაცის მთხრობელობა არა ჯერ არს." ანუ, დანაშაულის მოწმედ სასამართლოში არ შეიძლებოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლის მიწვევა.

„ზანდუკის“ მეშვეობით ირკვევა ისიც, რომ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი შეიცავს ნორმებს, რომლებსაც ანალოგი არ მოეძებნებოდა სამართლის კრებულში შემავალ სხვა წიგნებში. კერძოდ, მხოლოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 91-ე მუხლი აწესრიგებდა ისეთ შემთხვევას, როცა შეგინებით შეურაცხყოფილი პირი მოკლავდა შემგინებელს და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო იყო, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც გარეგნულად თითქოსდა მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის შეიქმნა, მისაღები აღმოჩნდა და გამოიყენებოდა პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს სხვა კუთხეებში.

ერთიან ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამ კრებულის დამკვიდრება და მისი პოპულარობა განსაკუთრებით კი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ დასახელებულ კრებულში, ვახტანგ VI-ემ შეძლო გაეინივთებინა ყოველი ქართველი კაცისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანების საუკუნეების მანძილზე ნალოლიავები ოცნება ერთიანი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რაც ცალკეულ პატივმოყვარე და ურჩ ხელისუფალთა განკერძოების გამო საკმაოდ დიდხანს იყო განუხორციელებელი.

საქმე ის არის, რომ დაქუცმაცებული საქართველოს პოლიტიკური ლიდერები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის თავიანთ ტერიტორიაზე სამოქმედო საკანონმდებლო აქტად შემოღებით, აღიარებდნენ არამხოლოდ ამ კანონების გამოყენების აუცილებლობას, არამედ შინაგანად ეთანხმებოდნენ კიდევაც ქვეყნის დაქუცმაცებული ტერიტორიების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეას. თუმცა, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა საკუთარ ამბიციებს აყენებდნენ და ცალკეული გამონაკლისის გარდა, არაფერს აკეთებდნენ ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად, ვინაიდან გაერთიანებული სახელმწიფოს ხელმძღვანელის როლში ფარულად თუ აშკარად მხოლოდ თავიანთი თავი ჰყავდათ წარმოდგენილი. მათი პრეტენზიების უსაფუძვლობიდან გამომდინარე კი არსებული რეალობით დაკმაყოფილებას ამჯობინებდნენ.

ამდენად, ტერიტორიული დაქუცმაცების პირობებში ერთიანობის შენარჩუნების მთავარ ინსტრუმენტად იქცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული და მანაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ამოცანას, რადგან, სამართლის წიგნთა ეს კრებული იყო არა ვინმესზე იძულებით თავს მოხვეული სამართლის ნორმათა უბრალო კრებული, არამედ წარმოადგენდა ერთ სამართლებრივ პერანგში ჩასმულ მოქმედ საკანონმდებლო აქტს მთელს ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

ზემოთქმული, თავის მხრივ, ადასტურებს იმ გარემოებასაც, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული პირდაპირი მნიშვნელობით იყო ყოვლისმომცველი ანუ პანდექტურ ("პანდექტა" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ყოვლისმომცველს) საფუძველზე შექმნილი პირველი ორიგინალური ქართული კოდიფიცირებული აქტი.

მისი შექმნა ამ სახით კი წარმოადგენდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ მოქმედი რომის სამართლისაგან განსხვავებული ალტერნატივის შეთავაზების მცდელობას იმ ხალხებისათვის, რომელთა სამართლის ძეგლებიც ამ კრებულში იქნა შეტანილი. სწორედ ამის გამოა, რომ მადლიერმა შთამომავლობამ ვახტანგ VI-ეს "ქართველი იუსტინიანე" უწოდა.

ქართული საკანონმდებლო აქტების გავრცელების არეალი. ქართულ სამართალში კოდიფიკაციის ტრადიცია და კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შექმნამდეც არსებობდა. შესაბამისად, მათი ნორმები გამოიყენებოდა როგორც ერთიან ქართულ სახელმწიფოში, ისე პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ცხადია, რომ იგი იმთავითვე გამოიყენებოდა მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების მიერაც ვინაიდან, ზეობის პერიოდში, ქართველი მეფეები (განსაკუთრებით ეს ითქმის მე-XI-XII საუკუნეებზე) იყვნენ როგორც ქრისტიანთა იმპერატორი ანუ, მეფედ მეფე, ისე მაჰმადიანთა იმპერატორიც, ანუ შახთა შახი-შახინშა და შირვანშა.

შესაბამისად, ქართველი მეფეები მოიხსენიებოდნენ, როგორც თვითმფლობელი აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა, ზღვებიდან ზღვამდე მპყრობელი და სხვა. ე.ი. საქართველოს მეფეს განიხილავდნენ, სრულიად საქართველოს, ალანიის (ჩრდილო კავკასიის მთიანეთის), რუსის (ტმუტარაკანის და დაღესტნის ჩრდილოეთით არსებული რუსული სამთავროების), არმანის (სომხეთის), რუმის (იკონიისა და საბერძნეთის, ასევე ტრაპიზონის, ყაზახეთის, ყივჩაღეთის) მბრძანებლად. აქედან კი დასკვნა ერთია, როცა საქართველო ერთიანი იყო, მისი მეფეები დიდ იმპერატორებად ითვლებოდნენ მაჰმადიანურ სამყაროშიც.[27]

არსებული რეალობის გათვალისწინებით, იმ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ეს ითქმის კავკასიაზე, რომლებზეც ვრცელდებოდა საქართველოს პოლიტიკური გავლენა, მოქმედებდა და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა ქართულ კანონმდებლობას.

---

27 ლ. ტუხაშვილი, "ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან". ასევე, გ. მამალაძე "ქართველი იმპერატორების ტიტულატურა".

ზემოთქმული უდაოდ ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ქართულ კანონმდებლობას და მთლიანად ქართულ სახელმწიფოს დიდი როლი აქვს შესრულებული მეზობელი ხალხების და ქვეყნების კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მით უფრო, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ორ ათეულზე მეტი ნორმა პირდაპირ იქნა გადატანილი მე-XIX საუკუნეში შექმნილ რუსულ კანონმდებლობაში. თვით სასამართლო სისტემაც კი, რომელიც შეიქმნა რუსეთში, მოგვიანებით განხორციელებეული რეფორმის შედეგად, ადასტურებს, რომ მასზე შეიმჩნევა საქართველოში უკვე არსებული და სასამართლო სტრუქტურებში დამკვიდრებული სამართალწარმოების თანხვედრა.

სამწუხაროა, რომ მდიდარი სამართლებრივი მემკვიდრეობისა და ტრადიციების მიუხედავად, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულმა მის წინაშე დასახული მისია იმ მასშტაბით რაც ჩაფიქრებული ჰქონდა ავტორს, ვერ შეასრულა. თუმცა, უდაო, რომ იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც გამოიყენებოდა დღევანდელი აზერბაიჯანის და სომხეთის კერძოდ, ყაზახის, შირვანის, განჯისა და ერევნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მიერ. კერძოდ, ამის დადასტურებაა თავისი ტიტულატურიდან გამომდინარე ის ძალაუფლება რომელიც კახეთის მეფე ერეკლეს II-ეს გააჩნდა 1784 წლის იანვარში, ანუ მის მიერ "გეორგიევსკის ტრაქტატზე" ხელმოწერის მომენტისათვის. რაც შეეხება ქართულ რეალობას ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგაც კი, იგი დიდი ხნის მანძილზე შეუცვლელი იყო ქართულ სინამდვილეში. აღნიშნულს თუნდაც ის ფაქტი ცხადყოფს, რომ XIX-ე საუკუნის 60-იან წლებამდე ოფიციალურად გამოიყენებოდა სამეგრელოს სამთავროში.

სამეგრელოს სამთავრო ჩამოყალიბდა XIV-XV საუკუნეებში ოდიშის საერისთაოს ბაზაზე. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ იგი იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. 1557 წელს ლევან I დადიანმა (1532-1572წ.წ.) მიაღწია იმერეთის სამეფოსაგან სამეგრელოს სამთავროს სრულ დამოუკიდებლობას, რის შემდეგაც სამეგრელოს მთავრები ხელმწიფე-დადი-

ანის ტიტულს ატარებდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში კი სამეგრელოს საზღვრებში აღმოჩნდა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი(1804 წ.). სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდა ასევე ცხუმის, ანუ აფხაზეთის სამთავროც.[28]

1783 წლის ხელშეკრულებით, რომელიც "გეორგიევსკის ტრაქტატის" სახელწოდებითაა ცნობილი, ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის პროტექტორატის (მფარველობის) ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულებით მას უნდა ჰქონოდა: საკუთარი კანონმდებლობა, მთავრობა, ხაზინა, ჯარი, სასამართლო და დამოუკიდებელი ეკლესია, 1801 წლის 15 ნომბერის მანიფესტით, რუსეთმა გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებები ქართლსა და კახეთში. მოგვიანებით იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოს (1810წ), აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებს.

1803 წლის 2 დეკემბერს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი იძულებული გახდა ხელი მოეწერა თხოვნაზე რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, რაც ალექსანდრე პირველის მიერ დამტკიცებული იქნა 1804 წლის 4 ივლისს და სამეგრელოს სამთავრო რუსეთიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა შეზღუდული ავტონომიის უფლებით. 1813 წელს მეფის რუსეთმა სამეგრელოს გადასცა აფხაზეთის სამთავროს ნაწილი "სამურზაყანო" (დღევანდელი გალის რაიონი), რომელიც 25 ათასი მანეთის საფასურად უკანვე დაიბრუნა 1840 წელს.

რუსეთის მფარველებოს ქვეშ შესვლისა და 1803 წელს "საქვეშევრდომო საერთგულოდ"... "ფიცით ფურცელზედ" ხელმოწერის მიუხედავად, სამეგრელოს სამთავრო, რომელიც იმ დროის-

---

28 ლევან II დადიანი თავისი მთავრობის პერიოდში (1611-1657წ.წ.) არამხოლოდ ხარკს იღებდა აფხაზებისაგან, არამედ მანვე ააშენა კელასურის ცნობილი კედელი, რომელიც ზღვის სანაპიროზე კელასურთან იწყებოდა და მდინარე ღალიძგას სათავეებამდე აღწევდა (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1970წ. ტ. IV, გვ. 782). აფხაზეთი სამეგრელოს შემადგენელი ნაწილი იყო მე-18 საუკუნეშიც. მთავარი ოტია დადიანი (1728-1758წწ) თავის თავს მოიხსენიებდა შემდეგი ტიტულატურით "მჭირავი ზღვათა, აფხაზთა, სვანთა, ოდიშ-ლეჩხუმთა". მეტიც, ა. ტულუშის მტკიცებით, აფხაზეთის სამთავრო 1810 წლამდე ფაქტობრივად არ არსებობდა და იქ მცხოვრები მოსახლეობა ოდიშის მთავრების ყმადნაფიცები იყვნენ (იხ. ა. ტულუში, საკითხავისათვის, გაზეთი "საქართველო," 1993 წელი №19-22).

ათვის ერთ-ერთ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა[29] გრიგოლ (1788-1804წ.წ.), ლევან V-ე (1804-1840წ.) და დავით დადიანის (1840-1853წ.) გონივრული პოლიტიკის წყალობით საკმაოდ დიდხანს 1867 წლამდე ინარჩუნებდა საშინაო საქმეებში ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

აღნიშნულს ადატურებს XIX საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწე რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინიც, რომელმაც თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომში "სამეგრელო და სვანეთი 1854-1861," ეს გარემოება იმით ახსნა, რომ რუსეთის მეფე "ალექსანდრე პირველმა დადიანს შეარჩინა უფლება თავის ქვეყნისათვის ძველებურ ჩვეულებათა თანახმად მოეველო."[30]

სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ მეფის რუსეთი მხოლოდ ანაკლიასა და ყულევში (ზღვისპირა სოფლებია ზუგდიდსა და ხობის მუნიციპალიტეტებში) საგუშაგოების მოსაწყობად, საჭირო მიწის ნაკვეთების საზღაურად, იჯარის სახით, მთავრის ხაზინას ყოველწლიურად უხდიდა 12 ათას მანეთს.[31]

სამეგრელოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: 1832 წელს სამეგრელოში სტუმრად მყოფმა, მდიდარმა ოსტეზელმა მემამულემ, გრაფმა შტაკელბერგმა, რომელსაც მოეწონა სამეგრელოს ბუნება, გადაწყვიტა ოსტეზელი გერმანელებისა და ლატვიელებისათვის ახალშენი დაეარსებინა. სამეგრელოს იმდროინდელმა მთავარმა ლევან მე-V დადიანმა (დავით დადიანის მამამ) მოიწონა ეს იდეა და სთხოვა გრაფს თვითონვე აერჩია ახალშენისათვის შესაფერისი ადგილი. შტაკე-

---

29 ი. მეუნარგიას ცნობით, სამთავროს მთელ ტერიტორიაზე, რომელშიც 8 მაზრად დაყოფილი ოდიშ-ლეჩხუმის 246 სოფელი შედიოდა ცხოვრობდა 125010 სული. მათგან მთავრის კუთვნილება იყო 14 ათასი, ეკლესიის 15 ათასი, ბატონიშვილების 22 ათასი და დანარჩენი თავად-აზნაურობის 60 ათასი. თავადობა შეადგენდა 1309 სულს, აზნაურები 10361-ს და სამღვდელოება 1340 სულს (ი. მეუნარგია. ,,სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" თბილისი, 1939წ. გვ. 89, 112, 113). სხვა მონაცემებით, სამეგრელო-ლეჩხუმი 1860 წელს ცხოვრობდა 127354 კაცი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1984წ. ტ. 8. გვ. 714). კ. ბოროზდინის მტკიცებით კი ეს ციფრი 127,395 სულს შეადგენდა (იხ. კ. ბოროზდინი. ,,სამეგრელო და სვანეთი 1854-1861", მეორე გამოცემა, თბილისი, 2004 წ. გვ. 261).

30 იხ. კ. ბოროზდინი. ,,სამეგრელო და სვანეთი 1854-1861", მეორე გამოცემა, თბილისი, 2004 წ. გვ. 261.

31 ი. მეუნარგიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 90.

ლბერგმა მოიარა მთელი სამეგრელო და შეარჩია მდინარე ცხენისწყლის ნაპირას, დღევანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარე ის ადგილი, სადაც (მაშინაც და ახლაც) სოფელი ხუნწია განთავსებული.

ლევან დადიანმა, მეფის რუსეთთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც შტაკელბერგი კისრულობდა თავისი ხარჯით გადმოეყვანა და დაესახლებინა ხუთასი კოლონისტი. ლევან დადიანს კი მათთვის უნდა გადაეცა ათი დესეტინა მიწა, თითოეულ დესეტინაზე ხუთი შაურის ოდენობის საიჯარო გადასახადის საფასურად.

საქართველოდან წასულმა გრაფმა თავისი პირობა რატომღაც ვერ შეასრულა. 1859 წლისათვის კი სამეგრელოს სამთავროში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და რუსეთის მეფისნაცვალმა კავკასიაში შტაკენბერგის შვილიშვილს უარი უთხრა ხელშეკრულების შესრულებაზე.

სამეგრელოს მთავრებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სამთავროს მართვა-გამგეობის ინსტიტუტების ეფექტურობაზე დიდად იყო დამოკიდებული სამთავროს შემდგომი ბედი. ამიტომაც იყო, რომ იმთავითვე დაიწყო მუშაობა ისეთი სამოხელეო და სამართლებრივი სამსახურების შესაქმნელად, რომლებიც პოპულარული იქნებოდა ხალხში და დაეხმარებოდა მთავარს პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტაში. ამ მიმართებით საქმიანობას კი სათავაში ჩაუდგა ქართული სამართლის ძეგლების შესანიშნავი მცოდნე, სამეგრელოს მთავარ კაცია II დადიანის ძმისშვილი, გამოჩენილი სამხედრო (მინიჭებული ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება და დაჯილდოებული იყო წმინდა ანას ორდენით) და პოლიტიკური მოღვაწე, "დიდ ნიკოდ" წოდებული ნიკო გიორგის-ძე დადიანი.

ნიკო დადიანის მიერ 1804-1811 წლებში მომზადებულმა ორიგინალურმა დოკუმენტმა, რომელიც ცნობილია "დასტურლამას" (კანონების კოდექსი, რომელიც თავიდან შედგებოდა 23 თავისაგან, 1823 წელს კი დაემატა კიდევ 12 თავი) სახელწოდებით და წარმოადგენს ნ. დადიანის მიერ შედგენილ "განწესებას სამეგრელოს მთავრისათვის" დიდი როლი ითამაშა, მთელი რიგი სამოხელეო, მათ შორის სასამართლო, სამსახურების შექმნაში.

ნ. დადიანს, როგორც თვითონვე ამბობდა შეუსწავლია რუსეთისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფოების მმართველობა და სასამართლო წყობა. ამდენად, შეეძლო "უმჯობესთა და უნათლესთა წესდებულებათა შედგენა," მიმსგავსებით "ევროპიეთნი" ქვეყნებისა, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, არ აჰყოლია ამ ცდუნებას და საჭიროდ მიუჩნევია ეროვნულ ნიადაგზე ნასაზრდოები სამოხელეო და სასამართლო აპარატის შექმნა.[32]

"დასტურლამას" მიხედვით, სამეგრელოს სამთავროს მართვა გარკვეული პრინციპებით ერთიან კანონებს უნდა დამყარებოდა, აკრძალულიყო ფეოდალთა თვითნებობა და შექმნილიყო ერთიანი საგადასახადო სისტემა.[33] რაც შეეხება თვით ნ. დადიანს, იგი აქტიურად იბრძოდა თავისივე იდეების პრაქტიკულად რეალიზაციის უზრუნველსაყოფად და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რამაც მხოლოდ დავით დადიანის მთავრობის დროს ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა.

დავით დადიანი (1813-1853წ.წ.) იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი 1840-1853 წლებში. მისი, როგორც განათლებული და გონიერი მმართველის ხელი დაეტყო სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას, ადმინისტრაციას და სასამართლოს.

დავით დადიანის მმართველობამდე სამეგრელოს მთავრები საქმის წერილობით (მათ შორის სასამართლო) წარმოებას გაურბოდნენ.[34] ამასვე ადასტურებს ცნობილი ქართველი მკვლევარ-ბიბლიოგრაფი იონა მეუნარგია თავის ნაშრომში "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი." კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ "ძველის ძველად რაც იყო სამეგრელოში ეს დაბეჯითებით არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ მე-18 საუკუნეში და ცოტა იმის გადაღმაც და გადმოღმაც ადმინისტრაციული განკარგულება და სამართალი მართლა უფრო სიტყვიერად ხდებოდა და სწყდებოდა ვიდრე წერილობით.[35] საქმის წერილობით წარმოებისა და დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ტრადიცია სამეგრელოში

---

32 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბილისი, 2002 წ. გვ. 152.

33 იქვე, გვ. 152-153.

34 И. Дубравин. История войны и владения русских на Кавказе. Т. I. წიგნი II. გვ. 265.

35 ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი, 1939წ. გვ. 31.

დაამკვიდრა დავით დადიანმა, რომელმაც ამ მიზნით შექმნა ქართული და რუსულენოვანი კანცელარია.

დავით დადიანის გამთავრებამდე სამეგრელოში საბატონო სოფლების სამსაჯულო და საპოლიციო გამგეობა ებარა ბატონს, მემამულეს, ხოლო ქალაქებსა და სამთავრო და საუფლისწულო სოფლებში – მოურავებს (მათ დავით დადიანი ნაცვალსაც უწოდებდა). ისინი, ცალკეულ შემთხვევებში, თვითონვე არჩევდნენ საქმეებს ან/და მხარეებს რეკომენდაციას აძლევდნენ მიემართათ მედიატორებისათვის. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირებს კი შეეძლოთ გაესაჩივრებინათ იგი უშუალოდ მთავართან.

1840 წელს, დავით დადიანის მიერ გატარებული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმის შედეგად, გაუქმდა მოურავის ინსტიტუტი სამეგრელოს სამთავროში.[36] სამთავრო დაიყო 8 მაზრად, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ მთავრის მიერ დანიშნული ადმინისტრაციულ-სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილი მეორე კლასის მდივანბეგები.

ამავე პერიოდში, პირველად ქართულ სამართლებრივ სივრცეში, შეიქმნა უზენაესი სასამართლო. მთავარი დავით დადიანი მას ,,საგანზრახოს"-აც უწოდებდა. კერძოდ, უზენაესი სასამართლო, რომელსაც მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად ადმინისტრაციული ხასიათის სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაც ევალებოდა (მაგ. მთავრის არ ყოფნის პერიოდში მართავდა სამთავროს) ოფიციალურად ფუნქციონირებას შეუდგა 1841 წლის 1 იანვარს, ანუ იმ დღეს, როდესაც დ. დადიანის მიერ ხელმოწერილი იქნა სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი-ინსტრუქცია უზენაესი სასამართლოსადმი.

ინსტრუქცია შედგებოდა: პრეამბულის, ხუთპუნქტიანი ტექსტისა და დასკვნითი ნაწილისაგან. პრეამბულაში ჩამოთვლილია უზენაესი სასამართლოს წინაშე მდგარი ამოცანები. ძირითად ტექსტში კი-ამ სასამართლოს საქმიანობის ფარგლები. კერძოდ, იგი იძლეოდა მაზრისა და უზენაესი სასამართლოს მდივანბეგთა უფლებამოსილების გამიჯვნის საშუალებას. მაგ. 50 მანეთამდე ღირებულების ვახშის (სესხის) თამასუქის დამტკიცება "გ" პუნ-

36 ჯ. კოპალიანი. მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982 წ. გვ. 69.

ქტის თანახმად წარმოადგენდა მაზრის მდივანბეგის, ხოლო 50 მანეთს ზევით უზენაესი სასამართლოს პრეროგატივას.

დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ ინსტრუქცია ძალაში უნდა შესულიყო 1841 წლის 1 იანვრიდან.[37] ამ დოკუმენტის გარეშე უზენაესი სასამართლო ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა მით უფრო, რომ იმ პერიოდისათვის უკვე არსებობდა მაზრის მდივანბეგთა საქმიანობის მომწესრიგებელი საკმაოდ ვრცელი ნორმატიული აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სამეგრელოს უზენაესი სასამართლო შეიქმნა 1841 წლის 1 იანვარს.[38]

ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1841 წლის 1 იანვრის შემდეგ, მდივანბეგთა მიერ შედგენილ ყველა დოკუმენტში, ისინი მოხსენიებულნი არიან უზენაესი სასამართლოს მდივანბეგებად.

სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ასეთად ითვლებოდა თვით მთავარი) თანაშემწე და უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი გამგებელი იყო მდივანბეგთუხუცესი (იგივე მსაჯულთუხუცესი). 1847 წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა და გარდაცვალებამდე-1854 წლამდე, მოღვაწეობდა სხვათაგან გამორჩეული მსაჯულთუხუცესი თავადი როსტომ ჩიქვანი. იგი, ვინაიდან კოჭლი იყო, ფიზიკური ნაკლის გამო "როსტო ქულას," ანუ კოჭლ როსტომს უწოდებდნენ.

თანამედროვენი როსტომ ჩიქვანს ახასიათებდნენ, როგორც მოსწრებული სიტყვის პატრონს, დიდებულთა წინაშე უშიშარს და თვით მთავრის წინაშე ურჩს, როცა ამას მოითხოვდა მართლმსაჯულების ინტერესები. იონა მეუნარგიას როსტომ ჩიქვანის პირუთვნელობის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითი: "რომელიღაცა სამთავრო აზნაური უჩიოდა მამულის ხაზინას, ე.ი. მთავარს. საქმე განიხილა უზენაესმა სასამართლომ და განაჩენი დაადგინა როსტომის აზრზე: "მამული გამოირიცხა ხაზინიდან, ჩამოერთვა მთავარს და დაუბრუნდა მომჩივანს სასამართლოს განჩინებით." საქმე, როგორც წესი ითხოვდა, წარუდგინეს მთავარს ხელმოსაწერად და დასამტკიცებლად.

---

37 სოლ. ცაიშვილის შენიშვნის ტექსტი ი. მეუნარგიას წიგნზე "დავით დადიანი და მისი დრო", თბილისი, 2002 წ. (რედაქტორი გ. არახამია), გვ. 65-69.

38 უზენაესი სასამართლო თითქმის 26 წლის განმავლობაში (1867 წლამდე) არსებობდა სამეგრელოს სამთავროში. ამდენად, ეს ფაქტი მეტ ყურადღებას იმსახურებს და სასურველი იქნება თუ 1 იანვარი გამოცხადდება მოსამართლის დღედ საქართველოში. პ. (თ). მონიავა).

მთავარმა არ დაამტკიცა სასამართლოს გადაწყვეტილება და წერილობით დაუბრუნა როსტომს. მთავარი წერდა: "ამ განაჩენს ბრალი ედება ხაზინის ზარალისა, ამისათვის მოგანდობთ თქვენ და გთხოვთ ამ საქმეს დახედოთ, დაკვირვებით გაარჩიოთ და თქვენი აზრი მომახსენოთ"-ო. პასუხად კი მიიღო როსტომ ჩიქვანის შემდეგი შინაარსის წერილი: "ამ საქმეს დავხედეთ, დავაკვირდით და გავარჩიეთ, სამართალმა სადო მამული არგო მომჩივანს და უკეთუ თქვენის უფლებით ჩამოართმევთ, ეგ თქვენი საკუთარი ნება იქნება და არა სასამართლოსიო." მთავარი იძულებული გახდა მისივე საწინააღმდეგო სასამართლოს განჩინება დაემტკიცებინა და ხელი აელო სადაო მამულზე.[39]

მსაჯულთუხუცესი როსტომ ჩიქვანი იმდენად პატიოსანი კაცი იყო და ერთგული ქვეყნისა, რომ როცა მთავარი შეაძლევდა წყალობას (სოფლებს მაცხოვრებლებით) იგი პასუხობდა "ბატონო მე ღვთისა და თქვენი წყალობით კმაყოფილი ვარ, სხვანიც არიან, რომელნიც საჭიროებენ თქვენს წყალობას და ყურადღებას, უმჯობესი იქნება იმათ უბოძოთ და სხვებიც თქვენი ქვეშემდომნი უფრო მადლობელი და ერთგული მოსამსახურე გეყოლებიანო."[40]

ასეთი თვისებების გამო როსტომ ჩიქვანმა, როგორც მოსამართლემ იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ხალხში, რომ მასზე ამბობდნენ "მის თვალებში ნათელი არ დაიფარება და მტყუანი სასჯელს დაუსჯელი თავს ვერ დააღწევსო."[41]

ამავე პერიოდში სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს წევრები იყვნენ მდივანბეგები: ანტონ ჩიქვანი, ანტონ ახვლედიანი, გოგი ფაღავა, ივანე ჩიქვანი, ვახტანგ ჩიქვანი, ელიზბარ დადიანი და ალექსი დადიანი. უზენაეს სასამართლოს ჰყავდა მდივანიც, მის მოვალეობას ოქროპირ ასათიანი ასრულებდა.

უზენაესი სასამართლოს წევრებს, მდივანბეგებს ნიშნავდა მთავარი, რომლებიც თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებამდე ფიცს სდებდნენ ხატის წინაშე.

---

39 ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი, 1939წ. გვ. 126-127.

40 იხ. იგივე ნაშრომი გვ. 173.

41 ამ ნაშრომის ავტორისათვის ერთობ სამაყოა როსტომ ჩიქვანის ასეთი პოპულარობა ხალხში ვინაიდან, იგი ნათესავად ერგებოდა ავტორის მამის — ოთარ მონიავას ბებიას (მამის ჯოკო იგივე პოლიკარპე მონიავას მხრიდან) სერმინო ჩიქვანს.

სასამართლო სხდომას თავჯდომარეობდა მდივანბეგთუხუცესი, ანუ იგივე მსაჯულთუხუცესი. სასამართლო სხდომა ტარდებოდა კოლეგიურად და უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება თუკი მას ესწრებოდა სამი მდივანბეგი მაინც. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ინიშნებოდა იქ, სადაც იმყოფებოდა მთავარი. მოსამართლეებს საჭმელ-სასმელით უზრუნველყოფდა მთავრის სასახლე. ცალკეულ შემთხვევებში კი მდივანბეგები, მოურავების შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე გასვლით (რასაც "სესია" ეწოდებოდა) იხილავდნენ საქმეებს.

სასამართლო პროცესი ფასიანი იყო. ბაჟს-"საბჭოს ათისთავს" იხდიდა როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე.[42]

თვით სასამართლო პროცესი ტარდებოდა იმდაგვარად, რომ მომჩივან-მოპასუხე (გლეხი იქნებოდა იგი თუ აზნაური) სასამართლოს თავის სათქმელს მოახსენებდა დაჩოქილ მდგომარეობაში, რაც სასამართლოსადმი მოკრძალებული დამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენდა. დაშვებული იყო სასამართლო სხდომაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობაც. ასეთ პირს "ასაბია" ეწოდებოდა.

სიტყვა "ასაბია" უძველესი დროიდან დამკვიდრდდა ქართულ სინამდვილეში. სულხან-საბას ლექსიკონის "სიტყვის კონა"-ს მიხედვით იგი ნიშნავს "მტერზედ მიმყოლ შემწეს" ე.ი. დამხმარეს. სამართლის წყაროებში გვხვდება ამ ტერმინის სხვა მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც. მაგ. XIII-ის (1204-1234 წ.წ.) ქართულ საეკლესიო სამართლის ძეგლში რომლის სახელწოდებაა "ვაჰაბის ქვაბთა განგება," ასაბია გულისხმობს დანაშაულში თანამონაწილეს (ანუ დამხმარეს, ხელის შემწყობს, მაგრამ არა ალმსრულებელს (პ(თ) მონიავა) და იგი ისევე ისჯებოდა, როგორც მთავარი დამნაშავე.[43]

როგორც ჩანს ამ სიტყვის მნიშვნელობამ შემდგომში ტრანს-

---

42 "საბჭოს ათისთავი" ერქვა სასამართლოში საქმის განხილვისათვის დაწესებულ გადასახადს. მისი ოდენობა სადაო საგნის ღირებულების მეათედით განისაზღვრებოდა (რაფიელ ერისთავი, "უნინდელის მთავრობაშიდ მომჩივან-მოპასუხეს განრჩევა ქურდობის თაობაზედ"). ხელოვანთა ინსტიტუტი, საბ. №16.

43 ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბილისი, 2002წ. გვ. 190.

ფორმაცია განიცადა და დ. დადიანის პერიოდში "ასაბია"-ს უწოდებდნენ "მოლაპარაკეს," "ლაპარაკში დამსმარეს," ანუ "სხვის მაგივრად მოლაპარაკე პირს", რაც თანამედროვე გაგებით შეესაბამება ადვოკატის ცნებას. ი. მეუნარგიას ცნობით დავით დადიანის დროს განთქმული ასაბიები ყოფილან: აბაშელი მაძინია ქოიავა და ჭალადიდელი გუკოჩია ჭოჭუა.[44]

ამდენად, ქართულ სამართალწარმოებაში უსაფუძვლოდ არის მივიწყებული ტერმინი "ასაბია."ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩვენი წინაპრების ფასდაუდებელი ღვაწლის დაფასება იქნება თუ ყოველდღიური გამოყენებისთვის კვლავ დამკვიდრდება ტერმინი "ასაბია," ვინაიდან იგი გაცილებით ტევადი სიტყვაა და სრულყოფილად წარმოადგენს იმ შინაარსობრივ დატვირთვას, რაც დღეს ლათინური წარმოშობის ტერმინ ადვოკატის (Ondvnco – ნიშნავს "გიწვევ", "გპატიჟებ") ცნების ქვეშ მოიაზრება.

სამეგრელოს მთავარ გრილოლ დადიანსა და რუსეთის მეფის შორის 1803 წელს დადებული პირობის მე-3 მუხლის შესაბამისად, კაცის კვლისათვის, ტყვეების გაყიდვისათვის, 10 თუმნის ღირებულების ზევით ქურდობისა და ყაჩაღობისათვის საქმეები უნდა განეხილა ქუთაისში არსებულ საოლქო სასამართლოს.

აქედან გამომდინარე, სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა მხოლოდ სამოქალაქო სამართლისა და წვრილმანი სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეები. მიუხედავად ამისა, მკაცრად ებრძოდა რა ქურდობას და ამასთან, ხაზს უსვამდა სამართალწარმოების პროცესში ქართული გამოცდილების გამოყენების აუცილებლობას, დავით დადიანი სამეგრელოს სამთავროში იყენებდა ადვილად გასაგებ და ყველასათვის მისაღებ ადათობრივ სამართალს, ასევე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ კანონებს და მათ საფუძველზე სასამართლო განიხილავდა მის წარმოებაში არსებულ საქმეებს.

სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. აღნიშნულს ადასტურებს ი. მეუნარგია, რომლისთვისაც დავით დადიანის ძმასგრიგოლ დადიანს გადაუცია ამ სასამართლოს მიერ განხილული "ხუთი თუ ექვსი ოფიციალური საქმე." მათგან ი. მეუნარგია

---

44 ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი, 1939წ. გვ. 124.

ასახელებს სამს. ესენია: "1857 წელს სალიპარტიოში სახალხო ამბოხების მიზეზების გამოძიება;" "ხვარძიკიების და ჩიქავების საჩივრის საფუძველზე განხილული საქმე," სადაც ისინი ამხელდნენ პეტრე მხეიძეს, სკანდირ ფაშას მიერ ზუგდიდის აღებისას, მათ ოჯახების აკლებაში და საქმე, რომელშიც დავით დადიანის ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე სთხოვდა, სასამართლოს დაედგინა-მართლაც გაავრცელა თუ არა გრიგოლ ტარიელის ძე დადიანმა (იგი დავით დადიანის სიცოცხლეში იყო ამ უკანასკნელის მხლებელთა უფროსი) მისი პატივისა და ღირსების ხელმყოფი ინფორმაცია.

ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ უზენაესი სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის საფუძველი კი გამხდარა შემდეგი: დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის ქვრივმა-ეკატერინე ჭავჭავაძემ, მიუხედავად იმისა, რომ მონდომება არ დაუკლია, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესძლო პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება სამთავროში. აღნიშნულს ხელს უწყობდა ხალხში გავრცელებული ზემოთ მითითებული ინფორმაცია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ ვერ გაართვა თავი სამთავროს ხელმძღვანელობას, რაზედაც თითქოსდა საჩივარი იყო გაგზავნილი რუსეთის მეფესთან და რომ მოსახლეობის უკმაყოფილების ჩახშობა მთავარს (ე. ჭავჭავაძეს) სურდა გრიგოლ ტარიელის ძე დადიანის ხელით, რომელიც "უანდარმად" უნდა მოვლენოდა სამეგრელოს.

ის ფაქტი, რომ სამთავროს ხელისუფალი, არამარტო სთხოვდა სასამართლოს თავისი შელახული პატივისა და ღირსების დაცვას, არამედ იგი მიაჩნდა იმ ორგანოდ, რომლის გადაწყვეტილებასაც შეეძლო დასაღუპად განწირული სამთავროს გადარჩენა თავისთავად მრავლისმთქმელი ფაქტია.

არსებული მასალები ცხადყოფს იმასაც, რომ იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკა, ვახტანგის სამართლის წიგნის 236-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცნობდა ცრუ მთხრობელის, ანუ დანაშაულის ცრუ მოწმის პასუხისმგებლობას. კერძოდ, ცრუ მოწმე იმ დამნაშავესთან ერთად თანაბრად აგებდა პასუხს, ვინაც ამ სახის დანაშაულის ჩადენა დაუმტკიცდებოდა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ სამეგრელოში მოწმის დაფიცების ინსტიტუტს გამორჩეული ადგილი ეკავა მტკიცებულებათა

სისტემაში. ამასთან, ფიცით მიცემული ჩვენების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა თვით ფიცის დამდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი, როგორც ცრუ მთხრობელის ქმედება განიხილებოდა დანაშაულის დაბრალებით ცილისწამებად, მისგან გამომდინარე შედეგებით.

აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი მაგალითი: ჯერ კიდევ 1825 წლის 25 მარტს, სამეგრელოს მდივანბეგთუხუცესს "დიდ ნიკოდ" წოდებულ ნიკო დადიანს, თავის დღიურში რიგითი ნომრით "24" გაკეთებული აქვს ჩანაწერი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ბეჟან წერეთლისა და საეკლესიო ყრმა გრიგოლ მარდალეიშვილისათვის სამი ცხენი მოუპარავს ოდიშელ ქურდს. როგორც დაზარალებულებისათვის გამხდარა ცნობილი ქურდობის შესახებ იცოდა ვინმე კოსტა დგებუაძემ. ამ უკანასკნელმა კი, ნაწილობრივ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი, მაგრამ ცხენების ქურდად დაასახელა არა დაზარალებულთათვის სავარაუდოდ ცნობილი პირი, არამედ აფხაზი ეროვნების ქურდი.

როგორც დღიურიდან ირკვევა, სასამართლომ ეჭვი შეიტანა კ.დგებუაძის გულწრფელობაში და მისცა შანსი თავი ემართლებინა იმით, რომ "ან უნდა ის ცხენები მოიყვანოს, ან უნდა ოდიშელი კაცი ქურდი უნდა გვასწავლოს და ან ის მისგან თქმული აფხაზი, როგორც იქნეს დაჭერილი წარმოგვიდგინოს"-ო.[45] წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (კ. დგებუაძე) ჩაითვლებოდა ცრუ მთხრობელად, ანუ ცილისმწამებლად და ქურდის თანაბრად აგებდა პასუხს. სასჯელი რომ საკმაოდ მკაცრი იქნებოდა, აღნიშნული არავითარ ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამეგრელოს სამთავროში კანონის ძალა ჰქონდა და მოქმედებდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული.

ამ კრებულის პირველი ნაწილის-ვახტანგის სამართლის წიგნის მე-15 და 39-ე მუხლების თანახმად, ცრუ მთხრობელს, ისევე როგორც ქურდს უნდა გადაეხადა მოპარული ნივთის (მოცემულ შემთხვევაში ცხენების) ღირებულება შვიდმაგი ოდენობით.

---

45 ნიკო დადიანის დღიურები, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელთნაწერი №32.

გადაუხდელობის შემთხვევაში კი ცრუ მთხრობელი და ქურდი ცოლ-შვილით გადაეცემოდა დაზარალებულს.[46]

სასამართლომ გადაწყვეტილებების ოპერატიულად აღსრულების უზრუნველსაყოფად სამთავროში არსებობდა პოლიციური აპარატი ბოქაულებისა და იასაულების შემადგენლობით. მათ, განჩინებისა და ბრძანების აღსრულებასთან ერთად, ევალებოდათ წვრილმან საქმეთა გამოძიება და დამნაშავის, მაგ. ქურდის, დაჭერა. დასახელებულ სამოხელეო სამსახურს ხელმძღვანელობდა ბოქაულთუხუცესი. ეს სამსახური ეფექტურად მუშაობდა, რადგანაც მთავრის კუთვნილი ან სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახადის ამოღების უზრუნველყოფა ხდებოდა ვალდებული პირის ოჯახში ბოქაულის ჩადგომით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოქაული გადასახადის გადამხდელის სახლში დარჩებოდა ამ უკანასკნელის სრულ კმაყოფაზე მანამ, სანამ გადასახადს სრულად არ ამოიღებდა.[47]

ამრიგად, ვახასიათებთ რა სამეგრელოში დავით დადიანის მთავრობის დროს არსებულ სასამართლო ორგანოების სისტემას, შეიძლება ითქვას შემდეგი: სამთავროში სამოქალაქო კატეგორიის საქმეების განხილვას, წერილობითი ფორმით, აწარმოებდა სასამართლო. პროცესზე მხარეთა შეჯიბრებითობის, საჯაროობისა და ზეპირობის პრინციპის დაცვით. დაცული იყო საქმეთა განხილვის კოლეგიურობა და ინსტანციურობაც. ადგილებზე მაზრის მდივანბეგების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდებოდა წერილობით და საჩივრდებოდა უზენაეს სასამართლოში ან მთა-

---

46 ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნით დადგენილი ნორმების სამეგრელოს სინამდვილეში გამოყენების ფაქტს ადასტურებს იმ დროს საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინიც. მისი მტკიცებით, დავით დადიანის მთავრობის პერიოდში, ერთი ცხენის ქურდს "შვიდი ცხენი უნდა გადაეხადა. ამ შვიდი ცხენიდან ორი ცხენი დამკარგავისა იყო, ორი მდივანბეგისა, რომელიც ქურდს დაიჭერდა და სამიც მთავრისა". (იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2004 წ. გვ, 251). ქურდობა შეიდმაგად ანაზღაურდებოდა ფშავშიც, განმეორებითი ქურდობის შემთხვევაში, თუ ქურდს ადგილზე ნაასწრებდნენ კლავდნენ კიდეც. ფშავში ხშირი იყო ასევე იმ პირთა მკვლელობა, რომლებმაც ქურდობაში უსაფუძვლოდ დაასმინეს უდანაშაულო ადამიანი. (იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე. 1987 წ. გვ. 118).

47 იხ. ს. გაბუნიას მიერ 1845 წელს მთავრისადმი მიწერილი თხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გაეწვია მის ოჯახში ჩაყენებული მდივანბეგი. ქუთაისის მუზეუმში დაცული დოკუმენტი №1563.

ვართან, რომელიც ხელს აწერდა და ამტკიცებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მოსამართლეთა დაფინანსება ბაჟის სახით შეტანილი თანხებიდან და უზენაესი სასამართლოს ადგილსამყოფელის სიახლოვე მთავრის სასახლესთან (უზენაესი სასამართლო მდებარეობდა მთავრის სასახლის მარჯვენა მხარეს ფერდობის გაყოლებაზე, მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის სასახლესა და მთავრის სტუმრებისათვის განკუთვნილ სახლს შორის) განაპირობებდა მოსამართლეთა საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას და უზრუნველყოფდა დროის მცირე მონაკვეთში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.[48]

სწორად შერჩეული საკადრო პოლიტიკა, სამთავროს უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემა კი, რასაც ერთვოდა მოსამართლეთა კეთილსინდისიერება და ერთგულება, როგორც მინდობილი საქმის, ისე ქვეყნის ინტერესებისადმი, განაპირობებდა მოსახლეობის თვალში სასამართლოსადმი ნდობას იმ ზომამდე, რომ "განაჩენის შერყევა"...მთავრის მიერ...(თუმცა, ასეთს იშვიათად ჰქონდა ადგილი) "ცოდვად ითვლებოდა ხალხში."[49]

სამეგრელოს სამთავროში არსებული სასამართლო ორგანოების მაღალ ეფექტურობას და მათდამი მოსახლეობის უპირობო ნდობის ფაქტს აღიარებდა რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინი, რომელიც წერდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის "მოსამართლე ...უბრალო კაცი კი არ არის და მით უფრო მოხელე, მოსამართლე მათთვის მატარებელია წმინდა სამართლიანობისა და მას გასარჩევად მიანდობენ მეტისმეტად საიდუმლო, მეტისმეტად ინტიმურ გაუგებრობებსაც კი."[50]

სამეგრელოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით განაწყენებულმა მეფის რუსეთმა, რომლის მიერაც მნიშვნელოვანწილად

---

48 ამ სახის, სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ არ არსებობდა რუსეთში, სადაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის პროცესი იყო სამძებრო. იგი მიმდინარეობდა საიდუმლოდ. შეჯიბრებითობის პრინციპის ნაცვლად, მხარეები ერთმანეთში ცვლიდნენ წერილობით ჩვენებებს. პროცესის მთელი მსვლელობა ასევე ფორმდებოდა წერილობით. სასამართლოს განაჩენი კი მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე გამოჰქონდა.

49 ი. მეუნარგიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 174.

50 კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ. დაიბეჭდა 1934 წელს თედო სახოკიას რედაქტორობით. მეორედ ქართულ ენაზე გამოიცა 2004 წელს გვ. 275.

იყო ინსპირირებული უტუ მიქავას ხელმძღვანელობით გლეხთა 1857 წლის აჯანყება, ქუთაისის გუბერნატორ ნ. კოლიუბიაკინის მეთაურობით, 1857 წლის 1 აგვისტოს, სამეგრელოში შეიყვანა სამხედრო ძალა.

იმავე წლის 8 სექტემბერს, სპეციალური დებულებით, სამეგრელოს სამთავროში რუსეთის მმართველობა დაწესდა. კერძოდ, სამეგრელოს სამთავროში არსებული ხელისუფლება შეცვალა ე.წ. "სამეგრელოს საბჭომ." -საბჭოს სათავეში ჩაუდგა მეფისნაცვლის მოხელე იპოლიტ დიკრაუსი. რაც შეეხება ეკატერინე ჭავჭავაძეს იგი შვილების ღირსეულად აღზრდის მომიზეზებით გაწვეული იქნა პეტერბურგში. 10 წლის შემდეგ კი სამეგრელოს სამთავრომ, რომელიც საკმაოდ დიდხანს წარმოადგენდა ქართული სულიერებისა და სამართლებრივი აზროვნების უკანასკნელ ბასტიონს, არსებობა შეწყვიტა. კერძოდ, 1868 წელის 4 იანვარს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები არათუ ჩამორჩებოდნენ, არამედ მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ კიდეც იმდროინდელ ევროპულ ანალოგებს, რის გამოც სრული საფუძველია ითქვას, რომ მსოფლიო კოდიფიკაციის პროცესში საქართველოს თავისი ღირსეული წვლილი აქვს შეტანილი. ამდენად, კონტინენტური ევროპული სამართლის იმ ჯგუფს რომელშიც დღეს მოიაზრება ქართული სამართალი[51] სასურველია ეწოდოს ქართულ-ევროაზიული სამართლის ჯგუფი.[52]

სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების გაუქმების შემდეგ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა მეფის რუსეთის კანონმდებლობას.[53]

რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა საქართველოს დამოუკიდე-

---

51 ე. სუხარევი, «Правовые системы стран мира», მოსკოვი. 2003 წ.

52 პ (თ) მონიავა. ქართული სამართლის კოდიფიკაციის ტრადიციები და მისი ადგილი მსოფლიო სამართლებრივი აზეროვნების საგანძურში. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომის კრებული. II. ზუგდიდი 2007 წელი, გვ. 53-61.

53 იხ. პ(თ) მონიავა. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბილისი. 2005 წელი, გვ. 117-125.

ბლობის გამოცხადება, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. არსებობის მცირე დროის მიუხედავად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებმა (1918 წლის 8 ოქტომბრამდე ეროვნულმა საბჭომ, 1919 წლის 15 აპრილამდე მისმა უფლებამონაცვლე პარლამენტმა და 1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ) საქართველოს მთავრობასთან ერთად, მნიშვნელოვანი კანონშემოქმედებითი საქმიანობა გასწია.

კერძოდ, ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით ამ პერიოდში სულ მიღებულ იქნა 125 სამართლებრივი აქტი. მათ შორის 67 კანონი, 21 დებულება, 6 დადგენილება, 7 რეგლამენტი, 15 დეკრეტი, 2 წესდება, ერთი კონტიტუციის განხილვის წესი, ერთი ამინისტიის აქტი და ერთი კონსიტუცია.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსს იგი არ შექმნილა ვინაიდან, მისი მიღება იგეგმებოდა კონსტიტუციის მიღების შემდეგ. თუმცა, კონსტიტუციის მიღებიდან (1921 წლის 21 თებერვალი) რამოდენიმე დღეში-1921 წლის 25 თებერვალს, წითელი არმიის ნაწილებმა მოახდინეს საქართველოს ანექსია და სამოქალაქო კანონმდებლობის მიღების იდეა განუხორციელებული დარჩა.

§4. სამოქალაქო კანონმდებლობა

სამოქალაქო კანონმდებლობა გულისხმობს ამ დარგის სამართლის წყაროთა ერთობლიობას. სამართლის წყაროს თემა კი ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია სამართლის თეორიაში.

ტერმინი "სამართლის წყარო" მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების იურიდიულ ლიტერატურაში დამკვდრდა ცნობილი რომაელი ისტორიკოსის ტიტ ლივის გავლენით. კერძოდ, ამ უკანასკნელმა "XII ტაბულის კანონებს" "fons omnis privatigue iuris" – ანუ, ყველა საჯარო და კერძო სამართლის წყარო და საწყისი უწოდა. ამასთან, "XII ტაბულის კანონები" შეადარა ფესვებს, რომლებისგანაც მძლავრი ხე — რომის სამართალი გაიზარდა.[54]

თანამდროვე გაგებით სამართლის წყარო გულისხმობს-ისეთ ძალას, ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ამათუიმ სახის სამართლებრივი მოვლენის წარმოშობას და მის არსებობას. ანუ, სამოქალაქო სამართლის წყაროდ უნდა ჩაითვალოს ის ძალა, რომელიც ქმნის სამოქალაქო სამართალს, ასევე ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის შინაარსს და ის მიზეზი, რომელიც განაპირობებს სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დარგის არსებობას.

ამდენად, სამართლის წყაროდ მიიჩნევა ყველა ის სპეციფიკური ფორმა, რომლითაც სახელმწიფო გამოხატავს თავის სამართლებრივ ნებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართალს, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგებს, გააჩნია თავისი წყაროები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების დადგენა და მათთვის სავალდებულო ძალის მინიჭება.

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია სამართლის წყაროთა შემდეგი კლასიფიკაცია: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი; საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (ამგვარ შეთანხმებას კონკორდატს უწოდებენ. იგი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლურ ეკლესიასთან

54 იხ. И. В. Новицки. Римске право. მოსკოვი, 2002 წელი. გვ. 12.

დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ და დაამტკიცა პარლამენტმა); საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება; საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება; საქართველოს პარლამენტის დადგენილება; საქართველოს მთავრობის დადგენილება; საქართველოს მინისტრის ბრძანება და საკრებულოს დადგენილება.

სამოქალაქო სამართლის წყაროების თაობაზე კონკრეტულ წარმოდგენას კი იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი. მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის და შესაბამისად სამოქალაქო კანონმდებლობის წყაროებია: საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები (სკ-ის მე-2.1 მუხლი).

დასახელებული წყაროების გარდა, გარკვეული პირობების დაცვით, როგორც სამართლის წყარო, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1.კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს (სკ-ის მე-2.3 მუხლი) და 2.ჩვეულებანი, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს (სკ-ის მე-2.4 მუხლი).

საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, მიერთებულია არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე და შეთანხმებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას, როგორც ხელშემკვრელ მხარეს, ეკისრება მათი შესრულების ვალდებულება. ამდენად, საერთაშორისო ნორმატიული აქტები, რომლებიც შეეხება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, წარმოდგენენ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის წყაროებს.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (მე-2 ნაწილი).

ზემოთქმულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და

ყველა ნორმატიული და ზოგადად სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მას, გამოდის, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლთან. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის წყაროებს ეძღვნება, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება მოხსენიებული არ არის. შესაბამისად, არსებული ხარვეზი უნდა გასწორდეს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის უმთავრესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია. ეს ნათლად ჩანს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდანაც, სადაც აღნიშნულია, რომ "სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას."

საქართველოს კონსტიტუცია კი სახელმწიფოს უზენაესი კანონია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა სახის სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონტიტუციას, ანუ ეს წესი ვრცელდება ყველა ქვემდგომ საკანონმდებლო აქტზე (მათ შორის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებზე) და სამოქალაქო კოდექსზეც.

კონსტიტუციასთან მიმართებაში ქვემდგომი საკანონმდებლო აქტების ამგვარი იერარქიის მაჩვენებელია "საერთო სასამართლოების შესახებ" 1997 წლის 13 ივლისს მიღებული ორგანული კანონის მე-7.2 მუხლის დანაწესი, საიდანაც ირკვევა, რომ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას თუ სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის თაობაზე, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ, შეიძლება მთლიანად (ან ნაწილობრივ) მიჩნეული იქნეს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოსაყენებელი ნორმის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საქმის განხილვა კი შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე.

ანალოგიურ პოზიციაზე დგას ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც (მუხლი მე-2) და ეს გასაგებია, ვინაიდან

კანონი, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ე. ი. ძირითად კონსტიტუციურ უფლებებს, სამართლებრივ ურთიერთობებში არ გამოიყენება. მათი კონსტიტუციურობის საკითხი კი უნდა გადაწყვიტოს კონსტიტუციურმა სასამართლომ.

განსხვავებულად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როცა საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე აქტი, ვინაიდან კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. ამდენად, სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება შესაბამისი კანონის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონის მე-6.3 მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა სამართლის წყაროდ მიიჩნევს არა მხოლოდ კანონებს, არამედ მათ განმარტებებსაც.

სამართლის ნორმის განმარტება ნიშნავს მისი შინაარსის დადგენას. იგი ორი გზით ხორციელდება. კერძოდ, განასხვავებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ განმარტებას.

ოფიციალური განმარტება სავალდებულოა სამართლის ნორმის შემფარდებლისათვის. ამდენად, იგი წარმოადგენს სამართლის წყაროს. ოფიციალური განმარტების ავტორები შეიძლება იყვნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. საქართველოსგან განსხვავებით იგივე პრეროგატივა მთელ რიგ ქვეყნებში გააჩნია სასამართლოსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის თეორიაში განასხვავებენ: ავთენტიკურ, დელეგირებულ და სასამართლო განმარტებებს.

ავთენტიკურია განმარტება, რომელსაც იძლევა თვით სამართლის ნორმის დამდგენი სუბიექტი სათანადო აქტის გამოცემით. ასეთ განმარტებებს გამოსცემენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები. ისინი ამ აქტის ენობრივი, ლოგიკური, სისტემური, ისტორიული და შეფასებითი განმარტებების იურიდიული გამოხატულებაა. ამდენად, ავთენტიკური განმარტება საკანონმდებლო აქტის ნაწილია და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც თვით კანონს.

ავთენტიკური განმარტებების გამოცემას ხშირად ჰქონდა ადგილი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე. ასე მაგ. 1993 წლის 15 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ,,საკუთრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე", 1994 წლის 24 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა დადგენილება "იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე", 1994 წლის 30 ივლისს კი- "გირავნობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე" და სხვა.

დელეგირებულ განმარტებას იძლევა აღმასრულებელი ორგანო მისთვის მინიჭებული, ანუ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში. მსგავსი უფლებებით აღჭურვილნი არიან: მთავრობა, სამინისტროები და სხვა უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოები.

დელეგირებული განმარტების თავისებურება ისაა, რომ აღმასრულებელი ორგანოები თავიანთ აქტებში განმარტავენ შესაბამისი კანონის ცალკეულ დებულებებს. ასევე, განსაზღვრავენ მათი შეფარდების წესს მათდამი დაქვემდებარებული ორგანოებისადმი სახელმძღვანელოდ. ასე მაგ: "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის 40-ე მუხლის თანახმად, დასახელებული კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, დაევალა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს 2006 წლის 15 მარტამდე შეემუშავებინა და დაემტკიცებინა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, დანიშვნისა და მისი გაცემის განახლებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი.

მოცემულ შემთხვევაში, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა ის აუცილებელი პირობაა, რომლის გამოცემის შემდეგაც თვით კანონი შეიძლება შევიდეს ძალაში. აღნიშნული გამომდინარეობს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შინაარსიდან, სადაც ნათქვამია, რომ "დაუშვებელია საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის განხორციელებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, თუ ამავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი (იხ.1-ლი პუნქტი).

როგორც ვხედავთ, დელეგირებული განმარტება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს და სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სამართლის წყაროდ ჩაითვლება, თუ იგი ავსებს თვით კანონის ნორმებს, ხოლო თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს მოქმედებს კანონი.

სასამართლო განმარტება, რომელსაც სხვაგვარად კაუზალურ განმარტებასაც უწოდებენ, მოცემულია კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებში. მათ სავალდებულო ხასიათი აქვთ მხოლოდ კონკრეტული საქმისათვის და შესასრულებლად სავალდებულოა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ამ ნორმით განსაზღვრული პირობების (გადაწყვეტილება არ უნდა იყოს აღსრულებული და აღსრულების ვადა არ უნდა იყოს გასული) არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შეუძლია განმარტოს, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თუ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. ამ შემთხვევაში არ იცვლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს ეს განმარტება სავალდებულოა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა განმარტებას იძლევა ქვეყნის უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლო, ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებების შეფასების საფუძველზე. კერძოდ, მათში მითითებულია თუ როგორ უნდა იყოს გაგებული სამართლის ნორმაში გამოყენებული ტერმინი, ასევე მთლიანად ნორმა და როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს კონკრეტული ქმედება.

ამგვარ განმარტებას კანონმდებელი, სამართლის წყაროდ არ მიიჩნევს. თუმცა, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მსგავს საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში შეიძლება გათანაბრებული იქნეს სამართლის წყაროსთან. კერძოდ, აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (ყველა კატეგორიის საქმეზე) კასატორმა დაასაბუთოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღე-

ბული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება ცილისწამებით, უხამსობით, პირისპირ შეურაცხყოფით შელახული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის, ასევე პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის სამოქალაქო წესით დაცვას, იგი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ჭირს ერთიანი და ყველასათვის ადვილად გასაგები კრიტერიუმების ჩამოყალიბება იმ მიმართებით, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება პირადი და არაქონებრივი უფლებების სასარგებლოდ.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა, ისეთი ავტორიტეტული ორგანოს გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ანუ, დღის წესრიგში დადგა იმ დებულების გადასინჯვის საჭიროება, რომლითაც სასამართლო პრეცედენტისათვის სავალდებულო ძალის მინიჭება ეწინააღმდეგება რომანულ-გერმანული სამართლის ტრადიციებს.

ქმედით ნაბიჯს ამ მიმართებით წარმოადგენს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღება 2004 წლის 24 ივნისს და მასში მე-2 მუხლის სახით შეტანილი სპეციალური ნორმა იმის თაობაზე, რომ დასახელებული კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების (მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის) არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისადაც.[55]

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონში ამ შინაარსის ნორმის არსებობა ცხადყოფს, რომ ქართულმა სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის საკანონმდებლო სანქციონირება განახორციელა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათში ფორმულირებულ ქცევის

55 ანალოგიური შინაარსის ნორმაა შეტანილი 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონში — "მაუწყებლობის შესახებ" (მუხლი 3.2).

წესს და სამართლებრივ დებულებებს სავალდებულო ძალა მიენიჭა ყველა იმ სუბიექტისათვის, რომელიც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდება.

ამდენად, თვისობრივად ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეჯიბრობითობის პრინციპი, რადგან გაჩნდა ქმედითი მექანიზმი იმისა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნების, მოსაზრებების და მტკიცებულებების საფუძველზე, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ და სრულყოფილ გამოკვლევას და ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენებას, ასევე ევროსასამართლოს მიერ დადგენილი პროცედურების ზედმიწევნით დაცვას.

ერთი სიტყვით, მხარეებს მეტი შესაძლებლობა გაუჩნდათ იმისა, რომ თავიანთი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ხარჯზე, სასამართლოებს მიაღებინონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვენ არსებული კანონების ინტერპრეტირებას ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან მიმართებაში.

ზემოთქმული ადასტურებს იმასაც, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მიღებამდე ქართული სამოქალაქო სამართალი თუ იცნობდა ამ დარგის მკვებავ ორ "ფესვს," ანუ წყაროს — საკანონმდებლო და ჩვეულებით სამართალს, დასახელებული კანონის მიღების შემდეგ, მათ რიცხვს მიემატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებიც.

ამდენად, განსაკუთრებული ყურდღების ობიექტად იქცა საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით არსებული განმარტებების შესწავლის აუცილებლობა.

შესასრულებლად სავალდებულო ოფიციალურ განმარტებებთან ერთად გვხდება არაოფიციალური განმარტებებიც, მათ შორისაა მეცნიერული, ანუ დოქტრინალური განმარტება. ამ სახის განმარტებებს იძლევიან სამართლის აღიარებული სპეციალისტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ა.შ. მათ შესასრულებლად სავალდებულო ძალა არა აქვთ, მაგრამ ეხმარე-

ბიან კანონმდებელს სამართლის ნორმის შემდგომ დახვეწაში. ასევე, დახმარებას უწევენ მოსამართლეთა კორპუსს, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სწორი აზრის ჩამოყალიბებაში, რაც საფუძვლად ედება მათ მიერ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

თეორიაში განასხვავებენ და სამოქალაქო სამართალშიც გამოიყენება, სამართლის ნორმათა განმარტება მათი საშუალების მიხედვით, კერძოდ: ცნობილია გრამატიკული, ლოგიკური, სისტემური და ისტორიული განმარტება.

გრამატიკული განმარტება გულისხმობს გრამატიკისათვის დამახასიათებელი წესების გამოყენების გზით ნორმის შინაარსის დადგენას. ანუ, აქცენტი კეთდება სასვენი ნიშნების, სხვადასხვა კავშირების გამოყენებაზე და ა.შ.

ამდენად, გრამატიკული განმარტება ეხმარება სამართალწაროების მონაწილეს, განსაზღვროს ნორმის შინაარსის მთელი მოცულობა და აღმოფხვრას მასში არსებული გაუგებრობა კონკრეტული სიტყვის მთელ ტექსტთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამგვარი განმარტება მაშინაა აუცილებელი, როცა ჭირს ცალკეულ სიტყვათა შორის ერთიანი ლოგიკური კავშირის დადგენა და ნორმის შინაარსთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად მისაღები აზრის ჩამოყალიბება.

ლოგიკური განმარტება გულისხმობს ნორმის შინაარსის დადგენას მასში არსებული ცნებების შინაარსის იმ რეალობასთან შეჯერების გზით, რომელშიც ვითარდება სამართლის ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობა. მაგალითად, ლოგიკურ განმარტებას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის ის ადგილი სადაც ნათქვამია, რომ "ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს."

ლოგიკური განმარტების აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით მოყვანილ ტექსტში სიტყვა "ჩვეულებრივ" გაგებული უნდა იქნეს იმდაგვარად, რომ იგი ნიშნავს ერთ ადგილზე ექვსი თვით ან მეტი ხნის ვადით ცხოვრების ფაქტს.

აღნიშნული კი ალოგიკურია, სამოქალაქო კოდექსის 20.1-ე მუხლში არსებული იმ დანაწესის გამო, რომ პირს შეიძლება

ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. კერძოდ, პირი თუ ექვსი ან მეტი თვის ვადით აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს ერთ ადგილას მაშინ ლოგიკურია, რომ მას შეიძლება ჰქონდეს 2 საცხოვრებელი და არა რამდენიმე, როგორც ამის შესაძლებლობას უშვებს კანონი.

ჩვენი პოზიციის მართებულობას ადასტურებს ისიც, რომ მოყვანილ ნორმაში არსებული სიტყვა "რამდენიმე" ნიშნავს, როგორც ორს ისე ორზე მეტს და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით.

სისტემური განმარტება ნიშნავს, რომ ნორმის შინაარსი დადგენილ იქნეს სხვა ნორმებთან კავშირში.

ისტორიული განმარტება გულისხმობს ნორმის შინაარსის განსაზღვრას იმ ისტორიული გარემოს შესწავლის გზით რამაც განაპირობა ნორმის მიღება.

არსებობს სამართლის ნორმის განმარტება მისი შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებითაც. იგი ორი სახისაა განვრცობითი და შეზღუდვითი განმარტება.

განვრცობითი განმარტების დროს, ნორმის შინაარსი გაცილებით ფართოა, ვიდრე მისი ტექსტი. შეზღუდვითი განმარტება კი გულისხმობს, რომ ნორმაში ტექსტი იმაზე მეტია ვიდრე ამავე ნორმაში გადმოცემული აზრი.

არაოფიციალური განმარტების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. თუმცა, ასეთი განმარტებები სამართლის წყაროს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის თავისებურებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში იურიდიული ძალა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ავთენტიკურ, დელეგირებულ და ნაწილობრივ ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებებს.

სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი სამოქალაქო სამართლის წყაროდ მიიჩნევს ჩვეულებას. ამასთან, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

საჯარო წესრიგი გულისხმობს საერთო საზოგადოებრივი იტერესებიდან გამომდინარე ისეთ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციებიდან, არსებ-

ული ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ისეთ ქცევას, რომ დაუშვებელი ხდება საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის შეზღუდვა. შესაბამისად, თუ დაცულია ყველა ეს პირობა და იმავდროულად ჩვეულება არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსაც, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოდ ჩვეულებაზე, როგორც სამოქალაქო სამართლის წყაროზე.

ჩვეულებითი სამართალი საერთო სამართლის უძველესი წყაროა და წარმოადგენს დაუწერელი ისეთი ქცევის წესების ერთობლიობას, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და ადრეულ ეპოქებში ერთდროულად სამართალსაც წარმოადგენდა, ვინაიდან ემყარებოდა ნორმის გამოყენების ხანგრძლივ ტრადიციას (longa Consuctudo).

ამდენად, ჩვეულება საზოგადოების აზროვნებაში ყალიბდებოდა ანონიმურად, ცალკეულ შემთხვევაში ანდაზების სახითაც კი. აღნიშნულს ადასტურებს მე-19 საუკუნეში, ყაზახეთში ტაუ ხანის მიერ შექმნილი "ახალი ადათ-ჩვეულებები" ანუ, "ყეტი ჟორგა." იგი ანდაზების კრებულის სახით არსებობდა, მაგრამ კანონის ძალა ჰქონდა. კერძოდ, "ყეტი ჟორგას" მიხედვით დამქირავებელს შეეძლო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა და სამჯერ მათრახიც კი დაერტყა დაქირავებულისათვის.[56]

ადათობრივი სამართლწარმოების დიდი ტრადიციები არსებობდა საქართველოშიც. აღნიშნული განაპირობა არაერთმა ფაქტორმა. თემის დიდი მოცულობის გამო შევჩერდებით მხოლოდ სამეგრელოში ადათზე დაფუძნებულ სამართალწარმოებაზე.

ისტორიული მასალები და გადმოცემები ადასტურებენ, რომ სამეგრელოში ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე დაფუძნებული სასამართლო გადაწყვეტილებები უპირობო ნდობით სარგებლობდა ხალხში.

აღნიშნული აიხსნება მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი, სამართალწარმოების მდიდარი მემკვიდრეობით, რომელიც საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის, ასევე იმერეთის სამეფო

56 პ. (თ) მონიავა, "პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში", თბილისი, 2004 წელი, გვ. 51.

კარისაგან სამეგრელოს სამთავროს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების (1557 წ) შემდეგ კი, მან გენეზისი (ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში მიძინებული მემკვიდრეობა გაცოცხლდა) განიცადა, რამაც უზრუნველყო საქართველოს ამ რეგიონში ოპერატიული, ობიექტური და ეფექტური მართლმსაჯულების არსებობა.

ამ სახის მემკვიდრეობაზე ამახვილებდა ყურადღებას, VI საუკუნეში მოღვაწე, ბიზანტიელი მწერალი-აგათია სკოლასტიკოსი, რომელიც მაღალი წარმოდგენის იყო კოლხურ (ლაზურ) ზნე-ჩვეულებებზე და სამართლიანობაზე. კოლხურ-ლაზური და მეგრული ტრადიციების თანხვედრა კი ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა.

წარსულის ფესვებით ნასაზრდოები ოპერატიული, ობიექტური და თანაც იაფი მართლმსაჯულების არსებობის ფაქტს ადასტურებს არაერთი უცხოელი. მათ შორის, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. იგი თეატინელთა ორდენის წევრი იყო და რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ორი ათეული წლის მანძილზე (1630-1649 წწ) მოღვაწეობდა საქართველოში. აქედან უმეტესი დრო გაატარა ლევან II დადიანის (1611-1657 წ.წ.) კარზე ზუგდიდში. ამდენად, ლამბერტი კარგად იცნობდა სამეგრელოში არსებულ სამართალს, მის ისტორიულ ფესვებს და მთლიანად სამართალწარმოებას. სამშობლოში დაბრუნებიდან მცირე დროში, კერძოდ 1655 წელს, მან იტალიის ქალაქ ნეაპოლში, გამოსცა წიგნი, „სამეგრელოს აღწერა." ამ ნაშრომში ავტორმა ერთმანეთს შეადარა იტალიური და სამეგრელოში არსებული სასამართლო სისტემები. აღნიშნულის საფუძველზე კი გააკეთა დასკვნა, რომ სამეგრელოში გაცილებით ოპერატიულად და ბიუროკრატიული ჩარევების გარეშე, ტარდებოდა სასამართლო პროცესები, ვიდრე იტალიაში. ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელება არ იყო დაკავშირებული განსაკუთრებულ ხარჯებთან.

ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ჟან შარდენი (1672–1673 წლებში იგი ნამყოფია სამეგრელოში) 1711 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" მთლიანად იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ სასამართლო პროცედურა სამეგრელოში იყო მარტივი, გადაწყვეტილებები კი ეფექტური, რომელთა მიღება შეიძლებოდა ოპერატიულად.

ჟან შარდენი, აღნიშნულს იმ გარემოებით ხსნიდა, რომ სასამართლო განხილვებში უშუალოდ მონაწილეობდა სამეგრელოს მთავარი. ამასთან, თავის სამოსამართლეო ვალდებულებას იგი ასრულებდა ნებისმიერ დროს და ადგილზე. კერძოდ, ხარკის ასაკრეფად მიმავალიც კი, გზადაგზა წყვეტდა სასამართლო საკითხებს.

ჟან შარდენი არ დაკმაყოფილდა სამართლებრივ საკითხებზე ზოგადი ხასიათის მსჯელობით და იმავე ნაშრომში დაგვიტოვა გზაზე მსვლელობისას, მთავრის მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესის აღწერა. მის მიერ აღწერილი ღონისძიებების თანმიმდევრობა და ხასიათი კი იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ სასამართლო პროცესი ტარდებოდა მრავალჯერდი გამოყენებისათვის სპეციალურად შემუშავებული რეგლამენტის მკაცრი დაცვით. კერძოდ, მომჩივანი ელოდებოდა მთავარს შუა გზაზე. მთავარი, როცა მიუახლოვდებოდა, მომჩივანი მოიყრიდა მუხლს და მიართმევდა მას ქაღალდზე დაწერილ საჩივარს. მთავრის თანხლები პირი (ვეზირი) ხმამაღლა წაიკითხავდა ამ საჩივარს. საჩივრის მოსმენის შემდეგ, ორივე მხარე ასახელებდა მოწმეებს და მათი მოსმენის საფუძველზე მთავარი იღებდა გადაწყვეტილებას, თანაც ისე, რომ არ ჩერდებოდა, მაგრამ შეგნებულად მიდიოდა ნელი სვლით რათა ადვილი ყოფილიყო მასზე დაწევა.

იტალიელმა მისიონერმა, თეატინელთა ორდენის წევრმა, პატრმა დონ ქრისტეფორო დე კასტელიმ (იგი საქართველოში ჩამოვიდა 1628 წელს. 1634 წელს მიწვეული იქნა გურიაში, საიდანაც 1640 წელს განდევნა გურიის მთავარმა ვახტანგ II გურიელმა, რის შემდეგაც ის და მისი მხლებლები გადავიდნენ ოდიშში და სავარაუდოდ 1652 წლამდე დარჩნენ საქართველოში) ნაშრომში ,,ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ,” დაადასტურა მოყვანილი ცნობის სისწორე იმასთან დაკავშირებით, რომ სამეგრელოს მთავარი ვალდებულად თვლიდა თავს, უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ნებისმიერ სასამართლო პროცესში, სადაც, და დროსაც არ უნდა ჩატარებულიყო იგი.

მანვე, ერთ-ერთმა პირველმა, გაამახვილა ყურადღება იმ გარემობაზე, რომ სამეგრელოში ჩატარებულ სასამართლო განხილვებში მონაწილეობდნენ ,,რიტორი ვექილები.” ანუ, მჭერმეტყველი დამცველები, რომელთაც ევალებოდათ სასამართლოსათვის სადაო საქმის არსის განმარტება.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამართალწარმოება სამეგრელოში მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ხოლო სასამართლო პროცესი ფაქტობრივად მოსახლეობის კონტროლქვეშ მიმდინარეობდა. მასში მთავრის და რიტორი ვექილების მონაწილეობა კი ქმნიდა ისეთ გარემოს, რამაც დონ ქრიტეფორე დე კასტელის ათქმევინა, რომ ეს იყო „სახალხო მართლმსაჯულების" განხორციელება.

ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი შეფასება კასტელიმ გააკეთა ზუგდიდში ჩატარებულ სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად. სხვა შემთხვევაში თავის ნახატების ალბომში (ეს ალბომი 500-ზე მეტ ნახატს მოიცავს და დღემდეა დაცული პალერმოს (იტალია) კომუნალურ ბიბლიოთეკაში. ამ ნახატების ნაწილი საქართველოში ჩამოიტანა მიხეილ თამარაშვილმა. თვით ალბომი კი წიგნად გამოსცა ბ. გიორგაძემ 1977 წელს) მოთავსებულ 445–ე სურათზე, რომელზეც გამოსახულია მთავარ დადიანის სასახლე სოფელ ზუგდიდში, იგი არ გააკეთებდა მინაწერს იმის თაობაზე, რომ "აქ ხდება ორთაბრძოლა და წყდება სამართალ–საჩივარი ამ ეკლესიაში...ამ სამეფოში".

ამავე ალბომში, კასტელს შეტანილი აქვს "დამნაშავის ხეზე ჩამოკიდების" ამსახველი ნახატიც (სურათი 333), რაც ერთგვარად ხაზგასმაა იმაზე, რომ სამართალწარმოებაში ხე წარმოადგენდა სასამართლო განხილვის ადგილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკვიზიტს.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ სასამართლო პროცესის ჩატარების ძირითად ადგილს, XVII საუკუნეში წარმოადგენდა, იმ დროს ჯერ კიდევ სოფლის სტატუსით არსებული, ზუგდიდი. კონკრეტულად კი მთავრის სასახლის მიმდებარე ტერიტორია.

სასამართლოს ჩატარება ასევე შესაძლებელი იყო სხვა ნებისმიერ ადგილზე, თუნდაც გზაზე მთავრის მსვლელობისას, მაგრამ იმ სავალდებულო პირობის დაცვით, რომ მომჩივანი და მოპასუხე აუცილებლად უნდა მდგარიყო ქვაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში ჟან. შარდენი და სხვები ხაზს არ გაუსვამდენ იმ გარემოებას, რომ მთავარს მომჩივანი ხვდებოდა შუა გზაში და არა მინდორზე. გზა კი მინდვრისგან იმ უმთავრესი ნიშნითაც განსხვავდება, რომ ის ქვით არის მოკირწული). იქვე უნდა ყოფილიყო ხეც აუცილებლობის შემთხვევაში დამნაშავის დასასჯელად.

ამრიგად, მართლმსაჯულების განხორციელების ადგილის რეკვიზიტები სამეგრელოში მკაცრად იყო განსაზღვრული. კერძოდ, მას ქმნიდა ტრიადა, რომელიც მოიცავდა - ქვის, ხის და სასამართლო პროცესში მთავრის სავალდებულო მონაწილეობის ერთობლიობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობას მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი უპირობოდ ნდობა, ვინაიდან: 1) ქვაზე მდგარი კაცი ტყუილს არ იტყოდა; 2) დამნაშავე, თუ მას ისეთი დანაშაულების ჩადენა დაუმტკიცდებოდა, როგორიცაა: ეკლესიის გაქურდვა, მთავრის სიცოცხლის ხელყოფა და ა.შ აუცილებლად დაისჯებოდა ხეზე ჩამოკიდების გზით სიკვდილით; 3) გადაწყვეტილება, კი ობიექტური, რომ იქნებოდა ამის გარანტი იყო ქვეყნის ხელისუფალი და უმაღლესი მსაჯული-მთავარი დადიანი.

გზაზე, მთავრის მსვლელობის დროს, მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა თუ არ იარსებებდა სასამართლო პროცესის ჩასატარებლად, ზუგდიდის მსგავსად, სამთავროს სხვა რეგიონებშიც, გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილები. მათ რეკვიზიტებს გათლილ ქვის ლოდთან ერთად კი ამ ლოდთან მდგარი ხე (ძირითადად ცაცხვი) წარმოადგენდა და იწოდებოდა „ქვა-ტახტად".

ამდენად, სასამართლოს ავტორიტეტი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული „ქვა-ტახტის" არსებობასთან. ეს კარგად ჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია გამოთქმა- „ქვაზე დადგა და სამართალს მიაგნო."

გადმოცემით დასტურდება ისიც, რომ მოდავე მხარეს ან მოწმეს „ქვა-ტახტზე" დადგომა მხოლოდ მაშინ შეეძლო თუ ის „ემეთი" კაცი იყო. სიმართლის არმთქმელი პირის ქვაზე დასაფიცებლად (ჩვენების მისაცემად) დგომა კი „ვაშინერს"-ო სწამდათ ხალხში.

„ვაშინერს" ზეაღმატებული შეზღუდვის მნიშვნელობით იხმარება მეგრულში. ამასთან, იგი უბრალოდ „არ შეიძლებას" კი არ ნიშნავს (მაგალითად არ შეიძლება შხამის დალევა ვინაიდან პირს მოკლავს), არამედ გულისხმობს ისეთი მოქმედების მაგალითად, შვილის დაქორწინება მშობელზე, ეკლესიის გაქურდვა და ა. შ. ჩადენას, რაც ცოდვად ითვლება ღვთის წინაშე.

სიტყვა- „ემეთი"— „ეჭვგარეშეს", „ჭეშმარიტს" ნიშნავს. შესაბამისად, სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად ქვაზე დადგომა მხოლოდ „ემეთ," ანუ ჭეშმარიტად მართალ კაცს შეეძლო. იმ პირის „ქვა-ტახტზე" დადგომა კი, რომელიც მართალ ჩვენებას არ იძლეოდა ხატზე უსაფუძვლო დაფიცების ტოლფასი იყო, რადგან „ქვა-ტახტზე" მდგარი მოდავეები და მოწმეები აუცილებლად იფიცებდნენ რომელიმე ძლიერი ხატის წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ „აჩენდა" მთავარი სამართალს.

ხატის, ანუ ღვთის წინაშე ცოდვის ჩადენის შიშს, განსაკუთრებულად უფრთხოდნენ ძველ სამეგრელოში. ამასვე ადასტურებს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. კერძოდ, ეს უკანასკნელი იმოწმებს რა სამეგრელოში მყოფი იტალიელი მისიონერის თეათინელების პრეფექტის პატრ იოსებ დონ მარი ძამპის ცნობას წერს, რომ „მსჯავრის გამოტანისას ხატზე დაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად გამოტანილ მსჯავრს არასოდეს ასაჩივრებენ. ხატების შიში იმდენად დიდია, რომ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ხატზე დაფიცება არ სურთ მაშინაც კი, როცა მართალ ჩვენებას იძლევიან".

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ჩვენების მისაცემად ,,ქვა-ტახტზე" დადგომა და ხატის წინაშე დაფიცება, ფაქტობრივად წარმოადგენდა ღვთის სამსჯავროზე გასვლას. ღვთის სამსჯავროზე გასვლის თაობაზე კი მთელ საქართველოში, მათ შორის ძველ სამეგრელოშიც, ის რწმენა ჰქონდათ, რომ ეს იყო მტყუან–მართალის გარკვევის საკითხის ღვთისადმი მინდობა.

ეჭვგარეშეა, რომ ,,ქვა-ტახტზე" ჩვენების მისაცემად დადგომას ქონდა სხვა სახის დატვირთვაც. კერძოდ, ეს იყო პიროვნების ერთგვარი გამოცდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან ძველ სამეგრელოში საქმე- ,,შავი" იქნებოდა ეს, თუ ,,თეთრი", საზოგადოდ ხდებოდა. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოსახლეობა და მთავარი ჯერ კიდევ სასამართლომდე იყო ინფორმირებული მომხდარის შესახებ.

მიუხედავად ამისა, დანაშაულის ჩამდენი ან მოწმედ დასახელებული პირი ,,ქვა-ტახტზე" თუ დადგებოდა და ტყუილს იტყოდა, მომავალში მასთან საქმეს არავინ დაიჭერდა. საზოგადოებრივ ინტერესთან მსგავსი კონფლიქტი პირს ხელს არ აძლევდა. მით უფრო, რომ ძველ სამეგრელოში ძირითადად მატერიალური ხასიათის სასჯელები გამოიყენებოდა. სასჯელის ისეთ განსაკუთრებულ

სახეს კი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ჰქონდა ადგილი.

მოსახლეობის, წინაშე ღვთის სახელით მართლმსაჯულება ვის უნდა განეხორციელებინა თუ არა მთავარ დადიანს, რომელიც ძველი სამეგრელოს სამართალწარმოების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. აღნიშნული მთავრის სოციალური მდგომარეობის გარდა, განპირობებული იყო იმ გარემოებითაც, რომ ჟ. შარდენისვე მტკიცებით, „დადიანი" წარმოსდგება სპარსული სიტყვა „დად"– ისაგან და ნიშნავს "მართლმსაჯულებას." შესაბამისად, სიტყვათა ერთობლიობა „მთავარი დადიანი"გულისხმობდა "მთავარ მსაჯულს"ანუ, "მართლმსაჯულების გამგებელს."

მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში ზუგდიდის როლი, განსაკუთრებით წარმოჩინდა სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657 წ.წ.) დროს. იგი მკაცრი, მაგრამ უდაოდ გონიერი მმართველი იყო, რომელიც თავის წინამორბედთა მსგავსად, მაქსიმალურად ცდილობდა სასამართლო გარჩევის დროს ობიექტურობის დაცვას, რათა ხალხის თვალში მისი, როგორც უმაღლესი მსაჯულის ავტორიტეტი არ შელახულიყო.

მანვე, შესანიშნავად აუღო რა ალღო, მოსახლეობაში არსებულ რწმენას ,,ქვა-ტახტთან" დაკავშირებით, ეს ვითარება გამოიყენა თავის სასარგებლოდ . კერძოდ, ე.წ. "მოძრავი სასამართლო პროცესის" პარალელურად იგი სულ უფრო და უფრო ხშირად აწარმოებდა საქმეების განხილვას ზუგდიდის სასახლის წინ, დღემდე შემორჩენილი ცაცხვის ხის ქვეშ, იმ დროს არსებულ, გათლილ ქვის ლოდზე.

სასამართლო პროცესზე, თავისი სიდიადის გამოსაკვეთად კი, საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოატანინა- სამ სვეტზე შემდგარი მარმარილოს ტახტი და მასზე დაბრძანებული "აჩენდა სამართალს." აღნიშნულს ადასტურებს იონა მეუნარგიაც ნაშრომში ,,დავით დადიანი და მისი დრო" (გვ.35), სადაც იგი წერს ,,სასახლის პირდაპირ, ცაცხვის ქვეშ, იდგა ქვა-ტახტი, რომელზეც სამეგრელოს მთავრები დასხდებოდნენ, როცა სამართალს აჩენდნენ."

ამდენად, ყველა საფუძველი არსებობს სამტკიცებლად, რომ სწორედ ამის შემდეგ იქცა მარმარილოს ტახტი, ზუგდიდში მთავრის სასახლის წინ მდგარ ცაცხვის ხესთან და მის ქვეშ დავანებული ფიქალის ლოდთან ერთად ,,ქვა-ტახტი-" ს შემადგენელ ნაწილად.

თავის მხრივ, ამასვე ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ მარმარილოს ტახტის არსებობა არ დასტურდება სოფელ ჭაქვინჯში, სოფელ აბასთუმანში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სოფელ ობუჯში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), სოფელ ხუნწში (მარტვილის მუნიციპალიტეტი, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქვა-ტახტის შემადგენელი ნაწილის-ქვის ლოდის ფრაგმენტი) და სხვა ადგილებში, მაგრამ ამავე დროს ეჭვს არ იწვევს ამ სოფლებში არსებულ ქვა-ტახტზე მართლმსაჯულების განხორციელება.

ამდენად, ზუგდიდში მთავრის სასახლის წინ, ცაცხვის ქვეშ არსებული „ქვა-ტახტი," ლევან II დადიანის მიერ მარმარილოს ტახტის ჩამოტანამდე, წარმოადგენდა ქვის გათლილ ლოდს (ფიქალს), რომელზეც სამართლის მაძებარი მომჩივან–მოპასუხეები დგებოდნენ. ტრადიციისამებრ იქვე იყო ცაცხვის ხე, რათა საჭიროების შემთხვევაში დამნაშავის დასჯის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მყისიერად აღსრულებულიყო. ანუ, „ქვა-ტახტი" ვიწრო გაგებით გულისხმობდა, სპეციალურად გამოთლილ მხოლოდ ქვის ლოდს (ანუ ფიქალს), ფართო გაგებით კი მოიცავდა იმ ხესაც, რომლის ქვეშაც იგი იყო დავანებული და რომელზეც დასჯის პროცედურის აღსრულება იყო შესაძლებელი. ლევან II-ის მთავრობის პერიოდში კი, ზუგდიდის სინამდვილეში, მათ დაემატა, მარმარილოს სამფეხა ტახტი.

ზემოთქმულის დასტურია, ქართველ მწერალთა პლუტარქედ წოდებული, იონა მეუნარგიას (1852–1919 წ.წ.) ნაშრომში „დავით დადიანი და მისი დრო" (გვ. 72) მოყვანილი ცნობა იმის თაობაზე, რომ სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა (1840–1853 წ.წ.) ვინმე სეხი თოფურია „ჩამოახრჩო ხეზე ქვა-ტახტს, ჭაქვინჯის საზოგადოებაში". წინააღმდეგ შემთხვევაში ი. მეუნარგია მიუთითებდა, რომ დამნაშავის ჩამოხრჩობა განხორციელდა „ქვა-ტახტის" მახლობლად მდებარე ხეზე.

ამასვე ცხადყოფს მოძიებული მასალები, მხცოვან ადამიანთა მოგონებები და მათი შთამომავლების მონათხრობი იმის თაობაზე, რომ ,,ტახტი არამარტო სასახლის შიგნით, არამედ გარეთაც იდგა, მისი ნაშთი დღემდე არსებობს, იგი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ხელოვნური აუზის ნახევარკუნძულზე დგას. ეს დიდი ქვის ლოდი პირველად სასახლის წინ მოედანზე იყო აღმართული."

გადმოცემებით დასტურდება ისიც, რომ მოსახლეობის თვალში ქვა-ტახტს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი ჰქონია შენარჩუნებული სიმართლის დამდგენ ფუნქციასთან ასოცირებული სიმბოლური დატვირთვა. კერძოდ, პირი, რომელსაც რაიმეში უსაფუძვლოდ ედავებოდნენ, ან მისი ნათქვამი არ მიაჩნდათ სარწმუნოდ, თავს იმით იმართლებდა ,რომ ,,გეკუნა," ანუ ამაღლების დღეებში (იგულისხმება-სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი) დაინტერესებულ პირთან ერთად მივიდოდა ქვა-ტახტთან, მასზე თავს დადებდა და იტყოდა ,,ქუა მართალი სამართალი სი გამამართლი"(,,ქვა მართალო სამართალო შენ გამამართლე"), რის შემდეგაც მის მიმართ ეჭვები იხსნებოდა, ხოლო თუ ქვაზე მდგარი პირი დანაშაულს აღიარებდა მას აუცილებლად შეუნდობდნენ." [57]

დადიანების პარკში არსებული ქვის ფიქალის თავდაპირველი ადგილსამყოფელი, რომ სასახლის წინ მდგარი ცაცხვის ქვეშ იყო და შემდეგ იქნა გადატანილი პარკში, დასტურდება საბჭოთა მაღალჩინოსნის, კერძოდ სიძველეთა, ხელოვნების და საბუთების დაცვის განყოფილების გამგე სარგის კაკაბაძის მიერ ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ აკაკი ჭანტურიასათვის 1921 წლის 20 ნოემბერს, გაგზავნილი შემდეგი შინაარსის დეპეშითაც: ,,გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა ზუგდიდის პარკში ახლაც დაცული ქვის ნაშთი, რომელიც ძველ ხის ქვეშ იყო მდებარე. უკეთუ ასეთი ფიქალი დაცულია, გთხოვთ აიღოთ აღრიცხვაზე მის ხელუხლებლად დასაცავად, როგორც ისტორიული მნიშვნელობის საგანი."

რაც შეეხება ზუგდიდში და სამეგრელოში, გამართულ სასამართლო პროცესებზე განსახილველ საქმეებს ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. კერძოდ, იხილებოდა სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო კატეგორიის საქმეები.

სისხლის სამართლი საქმეების დაწყების საფუძველს დაზარალებულის საჩივარი წარმოადგენდა. ანუ, ადგილი ქონდა კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას. თუმცა, სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მიჩნეული იყო საჯარო ბრალდების საქმეებად და მათზე სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა დაზარალებულის საჩივრის გარეშეც.

---

57 ც. შენგელაია, ქვატახტი, გაზეთი ,,ეგრისის მაცნე," 2011 წლის 10-17 იანვრის ნომერი, გვ.3.

სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ჩვეულება, ანუ ადათი. ზუგდიდში, მთავრის სასახლის წინ ცაცხვის ხის ქვეშ არსებული ქვა-ტახტი კი მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად ადგილად ითვლებოდა მე-XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ანუ მანამ ახალი რეალობის გათვალისწინებით, სასამართო რეფორმის აუცილებლობა არ დადგა დღის წესრიგში.

რეფორმის განხორციელებისთანავე, ზუგდიდის ქვა-ტახტმა დაკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია, რის გამოც, მისი შემადგენელი ნაწილი ქვის ლოდი (ფიქალი), რომელზეც მომჩივან-მოპასუხე დგებოდა, გადატანილი იქნა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში და იქცა მთავრის ოჯახის წევრებისა და მათი სტუმრების დასასვენებელ ადგილად. რაც შეეხება ლევან II-ე დადიანის მიერ ჩამოტანილ მარმარილოს სამფეხა ტახტს, მისი არსებობა მე-XX საუკუნის 30-იან წლებამდე ფიქსირდება ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აივანზე. მას შემდეგ კი მისი კვალი იკარგება და თუ რა ბედი ეწია დღემდე უცნობია.

ვერსია იმის შესახებ, რომ „ქვა-ტახტის" შემადგენელი ქვის ლოდი ნამდვილად იქნა გადატანილი ძველისგან განსხვავებულ ადგილზე, ანუ პარკში დადასტურდა იმით, რომ ზუგდიდელმა მკვლევარმა ქ-ნ ციცო შენგელაიამ, ქ. ზუგდიდში, ბოტანიკური ბაღის აუზთან, აღმოაჩინა 30 სანტიმეტრი სისქის, სიგრძით 3 და სიგანით 2,5 მეტრი, ე.ი. სულ 7 კვ.მ. ფართობის მქონე, გათლილი ქვის ლოდი. ყველა მონაცემით იგი სწორედ იმ „ქვა-ტახტის" ნაწილია, რომელზეც საუკუნეების მანძილზე აღესრულებოდა არა მხოლოდ მართლმსაჯულება, არამედ მასთან იყო დაკავშირებული ზუგდიდისა და მთელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი არაერთი პოლიტიკური, სოციალ-კულტურული თუ სასულიერო ხასიათის ღონისძიება[58]

ჩვეულებით სამართალს მნიშვნელობა არ დაუკარგავს დღეის მდგომარეობითაც, რადგან სამართლის მთელი რიგი ნორმებია

---

58 პ(თ) მონიავა. ,,ალმოჩენა, რომელიც ადასტურებს ძველ სამეგრელოში სწრაფი (ოპერატული), ეფექტური და ობიექტური მართლმსაჯულების არსებობას," გაზეთი ,,ეგრისის მაცნე" 30 მაისი–7 ივნისი 2011 წელი, გვ. 4-5.ასევე, პ(თ)მონიავა, ,,სამართალწარმოების ტრადიციები XVII-XVIII საუკუნეების ზუგდიდში და ქვატახტის ფენომენი" სამართლის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები (თინა წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), წიგნი II, 2012 წელი, გვ 333-341.

გამოყენებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკანონმდებლო ნორმის საფუძვლად.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლი. იგი შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, რომ დუმილი არის აქცეპტის (თანხმობის) ფორმა. ამდენად, მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთან საქმიანი ოპერაციის შესრულება, თუ მიიღებს ოფერტს (ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას) იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას. მისი დუმილი კი ჩაითვლება აქცეპტად. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი იღებდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.

მოყვანილი მაგალითი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ჩვეულებითი სამართლის ნორმა გადაიქცა საკანონმდებლო ნორმის საფუძვლად,[59] ანუ სამართლის წყაროდ, რადგან ანალოგიურად წყვეტდა მსგავს საკითხს, არაერთი ხალხის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ადათობრივი სამართალი.

როგორც ვხედავთ, ჩვეულებითი სამართალი კვლავაც რჩება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ. თუმცა, მისი გამოყენებისათვის კანონმდებელმა დააწესა გარკვეული შეზღუდვები კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილში პირდაპირაა მითითებული, რომ "ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს."

აღნიშნული თითქოსდა იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ჩვეულება სამართლის წყაროთა იერარქიაში უტოლდება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. თუმცა, ეს ასე არ არის, ვინაიდან ჩვეულებითი სამართალი და კანონი ერთი და იმავე რანგისაა. ამასთან, ჩვეულებას გამოყენების შედარებით მეტი არეალი აქვს საერთაშორისო სამართალში.[59]

ამრიგად, ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება და მოქმედებს არამარტო პრიმიტიულ, არამედ განვითარებულ კულტურებშიც. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩამოყალიბების ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია. ამის უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ

59 გ. ხუბუა. სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წელი, გვ. 132.

ჩვეულებითი სამართლის ნორმები წარმოადგენენ არა სამართალშემოქმედების აქტს, არამედ საზოგადოების განვითარების შედეგს.[60]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვეულებას (ადათს), როგორც სამართლის წყაროს თითქოსდა შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, ჩადში და ნიგერიაში ჩვეულებას, კანონის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და მათ შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ ჩვეულებას ან კანონს, რომელსაც უფრო ახლო შეხება გააჩნია კონკრეტულ შემთხვევასთან.

ცალკეულ ქვეყნებში კანონმდებელი კანონის ტექსტშივე მიუთითებს ჩვეულების გამოყენების შესაძლებლობაზე. ასე მაგალითად: ალჟირის სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, შესაბამისი კანონის არ არსებობის შემთხვევაში, სასამართლო საქმეს განიხილავს მუსულმანური სამართლის პრინციპების შესაბამისად, ხოლო ასეთის არარსებისას გამოიყენება, ჩვეულება.

ინგლისურ სამართალწარმოებაში კი ჩვეულებას, რომ სამართლის წყაროს ფუნქცია დაეკისროს იგი უნდა მიმდინარეობდეს უძველესი დროიდან. კერძოდ, მისი არსებობის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს 1189 წლამდე. ანუ იმ პერიოდამდე, როცა რიჩარდ ლომგული გახდა ინგლისის მეფე.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, იშვიათად ხდებოდა ჩვეულებების გამოყენება. გამოყენების შემთხვევაში კი იგი სანქციონირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, ერთგვარად გააფართოვა ჩვეულების გამოყენების არეალი, რაც მისასალმებელია, ვინაიდან ქართული სამოქალაქო სამართალი კვლავ დაუბრუნდა საბჭოთა სინამდვილისათვის პრაქტიკულად მიუღებელ ერთ-ერთ სამართლის წყაროს-ჩვეულებას. ყოველივე ამით კი არამარტო გაამდიდრა წარმოდგენა სამართლის წყაროებზე, არამედ ხაზი გაუსვა ძველი

60 Haase/keller, Crundlagel und Grundformen des Rechts, 1971, S. 35.

ქართული სამართლისა და თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის მემკვიდრეობითობას და მათ განუყოფლობას.

ამრიგად, ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობას ქმნის და ამ დარგის სამართლის უმთავრესი წყაროებია:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს და იცავს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას (21.1-ე მუხლი). ხელშეუვალ უფლებად აცხადებს პატივსა და ღირსებას (მე-17.1 მუხლი). ამასთან, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას და სხვა;

2. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელზეც მიერთებულია საქართველო. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსაბლეის 1948 წლის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია," "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია, 1966 წლის 19 დეკემბრის "საერთაშორისო პაქტი" სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" და სხვა;

3. სამოქალაქო სამართლის უმთავრესი წყარო და ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენების ნორმატიული აქტია 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

4. სამოქალაქო სამართლის დასახელებულ წყაროებთან ერთად კანონმდებელმა მოიხსენია "კერძო სამართლის სხვა კანონებიც." ამ სახის საკანონმდებლო ბაზას ქმნის: 1) 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი "მეწარმეთა შესახებ." მას საქართველოს სავაჭრო კოდექსაც უწოდებენ, რადგან დასახელებული კანონის ზოგადი ნაწილი შეიცავს სავაჭრო კოდექსებისათვის დამახასიათებელ ისეთ მონაცემებს როგორიცაა: მეწარმეთა საფირმო სახელწოდება, სავაჭრო წარმომადგენლობა, გენერალური სავაჭრო საქმიანობა (პროკურა) და რეესტრში გატარება. კერძო ნაწილი კი ეძღვნება კომერციული საწარმოების ცალკეულ სახეებს, კერძოდ, ინდივიდუალური საწარმოების, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და

კოოპერატივის საქმიანობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს;

2) სამოქალაქო კანონმდებლობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი სამართლის წყაროა სხვა არაერთი კანონიც, რომლებიც მიღებულია, როგორც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ისე მის შემდეგ. კერძოდ:

5. საქართველოს 1996 წლის "საჰაერო" და 1997 წლის "საზღვაო" კოდექსები: 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;" 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონი- "სახელმწიფო ქონების შესახებ;" 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი- "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ;" 2007 წლის 11 ივლისის საქართველოს კანონი- "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ;" 2008 წლის კანონი "საჯარო რეესტრის შესახებ" და სხვა;

6. სამოქალაქო სამართლის შემდეგი წყაროა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს განმარტებები. მათზე უკვე იყო საუბარი და არ გავიმეორებთ;

7. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე წარმოადგენენ სამართლის წყაროს თუ ისინი, ავსებენ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს და არ ეწინააღმდეგებიან კანონს;

8. სამოქალაქო სამართლის წყაროა ჩვეულებანიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს;

9. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" და "მაუწყებლის შესახებ" კანონების მიზნებისათვის, სამოქალაქო სამართლის წყაროა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებიც.

სამოქალაქო კანონმდებლობაზე და შესაბამისად ამ დარგის სამართლის წყაროების თაობაზე წარმოდგენა არ იქნება სრული, თუ არ შევეხებით სამართლის ნორმათა კოლიზიის საკითხს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახეზეა ორი ან მეტი სამართლებრივი ნორმატიული აქტის შეჯახება იმ თვალსაზრისით, რომ

ისინი სხვადასხვაგვარად აწესრიგებენ ერთი და იმავე სახის სამართლებრივ უერთიერთობებს. ამდენად, კოლიზიას ადგილი შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო სამართალშიც, ვინაიდან არათუ ჩვენი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამოქალაქო კანონმდებლობა, არამედ ვერც ერთი ქვეყანა სამართალშემოქმედებით საქმიანობაში ვერ გადაურჩა ნორმათა შორის კოლიზიის არსებობას.

სამართლის თეორიაში მიჩნეულია, რომ კოლიზიის პრობლემა უნდა გადაწყდეს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1. კოლიზიურ ნორმებს თუ აქვთ განსხვავებული იურიდიული ძალა, მაშინ იერარქიულად ზემდგომი ნორმა იმორჩილებს ქვემდგომ ნორმას;

2. თუ კოლიზიურ ნორმებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ, მაშინ სპეციალურ ნორმას უპირატესობა ენიჭება ზოგადი ნორმის მიმართ, ვინაიდან სპეციალური ნორმა აწესრიგებს ურთიერთობათა უფრო ვიწრო წრეს, ვიდრე ზოგადი ნორმა;

3. თუ კოლიზიური ნორმები სპეციალურია და ამავე დროს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, მაშინ გვიან გამოცემულ ნორმას უპირატესობა ენიჭება ადრე გამოცემული ნორმის მიმართ. ამის მიზეზი ისაა, რომ გვიან გამოცემული სამართლის ნორმა უფრო ზუსტად ასახავს კანონმდებლობის ნებას. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ქვეყნების ნორმატიული აქტების კოლიზიასაც. მსგავს შემთხვევებში კოლიზია გადაწყდება ან მოდავე მხარეებს შორის ადრე დადებული ცალმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებით, ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, ასევე სახელმწიფოთა უმრავლესობის ანალოგიური ნორმატიული აქტების უნიფიცირების გზით.

საერთაშორისო ურთიერთობებში კი ჩამოყალიბდა პრაქტიკა იმ მიმართებით, რომ: ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გამო ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს ნივთის ადგილმდებარეობის კანონი; მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხებთან მიმართებაში მოქმედებს კონკრეტული მოქმედების შესრულების ადგილის კანონი; საქმის ქვემდებარეობის შესახებ საკითხების ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში კი საქმის განმხილველი ქვეყნის კანონი.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს იმასაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირია კოლიზიური ნორმების არსებობა სამოქალაქო, კერძოდ საოჯახო კანონმდებლობაში. ეს მაშინ, როცა სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში, როგორც წესი, მოქმედებს ნაციონალური სამართლის პრინციპი.[61]

საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე წყვეტს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა კოლიზიის საკითხს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-2.2 მუხლის შესაბამისად, "ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებული ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიის არსებობისას კი გამოიყენება სპეციალური ნორმები."

61 ბ. სავანელი, სამართლის თეორია. თბილისი, 1997წ. გვ. 156-157.

§ 5. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

სამოქალაქო კანონის ძალაში შესვლა უკავშირდება სამოქალაქო კანონის დროში მოქმედებას. ამ სახის კანონის დროში მოქმედების საკითხის გარკვევისათვის კი აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა დროიდან შევიდა კანონი ძალაში და ამათუიმ დროს წარმოშობილ ურთიერთობებზე, შეიძლება თუ არა გავრცელდეს მისი მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოებში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ. ასეთი ოფიციალური ორგანოა "საქართველოს კანონმდებლობის მაცნე," ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისათვის აგრეთვე "საქართველოს პარლამენტის უწყებები."

საჯაროდ გამოქვეყნებული კანონი ხელმისაწვდომია ყველასათვის და ვინმესგან იმის მტკიცება, რომ არ იცოდა კანონის მოთხოვნა, კანონის გამოუყენებლობის, ან კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი ვერ გახდება, ე.ი. კანონის ცოდნის პრეზუმპცია ყველაზე და თითოეულზე ვრცელდება.

საქართველოს კანონები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ძალაში შედის ერთდროულად მათი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ე.ი. ორი კვირის შემდეგ, თუ მასში ან ცალკე გამოცემული სპეციალური აქტით სხვა რაიმე არ არის დადგენილი. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, იგი მიღებულ იქნა 1997 წლის 26 ივნისს, თუმცა ძალაში შევიდა იმავე წლის 25 ნოემბრიდან. აღნიშნულის მიზეზი ის იყო, რომ თვით სამოქალაქო კოდექსით იქნა განსაზღვრული მისი ამოქმედების დრო.

კანონი მოქმედებს უვადოდ, მაგრამ დასაშვებია, რომ კანონი ან მისი ნაწილი მიღებული იქნეს განსაზღვრული ვადით. ამასთან, კანონი მოქმედებს ყველას მიმართ.

კანონის დროში გამოყენების საკითხი განუყოფლადაა დაკავშირებული სამოქალაქო კანონისათვის უკუქცევის მინიჭების შესაძლებლობის პრობლემასთან. ამ ტერმინს მეცნიერებაში სხვაგვარადაც მოიხსენიებენ. კერძოდ, პროფესორი გ. ინწკირველი "უკუძალას" უწოდებდა მას.

სამართლის თეორიაში განასხვავებენ კანონის ნამდვილ (რეტროაქტიულ) და არანამდვილ (რეტროსპექტულ) უკუძალას.

ნამდვილი უკუძალა სახეზეა მაშინ, როცა კანონი ეხება წარსულში მომხდარ და უკვე წარსულშივე დასრულებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს. კანონის არანამდვილი უკუძალის არსებობისას კი ნორმა ეხება თანამედროვე, მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს.

კანონის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილია კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. ამდენად, თუ ახალი კანონი ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, სამართლებრივად მიუღებელია ასეთი კანონისათვის ნამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალის მინიჭება.

დასაშვებია, რომ კანონს მიენიჭოს არანამდვილი (რეტროსპექტული) უკუძალა. თუმცა, ყველა შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში კანონისათვის უკუძალის მინიჭების საკითხს, გათვალისწინებული უნდა იქნეს თანაზომიერების პრინციპი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ №ბს-21-21 (კ07№8-ბაქრაძე-2007 საქმეზე, 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაში, დასაშვებად მიიჩნია სოციალურ სფეროში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კანონისთვის უკუძალის მინიჭების შესაძლებლობა მაშინაც კი, როცა იგი აუარესებს (მაგ. ამცირებს მისაღები თანხის ოდენობას) ადრე მოქმედი კანონით არსებულ პირობებს და განმარტა, რომ "სოციალურ-სამართლებრივი სფეროს განმსაზღვრელი სოციალური სისტემის ფუნქციონირება და სოციალური უზრუნველყოფის მოცულობა სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობის ხარისხით არის დეტერმინირებული. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კიდევ გრძელდება, არ ვრცელდება საჯარო სამართლის სფეროზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში გადასახადების ოდენობის გაზრდა."

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, მოცემული საქმის განხილვისას იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ "თუ საგადასახადო სფეროში ობიექტურად მისაღებია ახალი კანონის გავრცელება მის მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე," მაშინ "ლოგიკურად ასეთივე მდგომარეობაა სოციალური უზრუნველყოფის სფეროშიც, მითუმეტეს, რომ სოციალური უზრუნველყოფა არ არის იურიდიული პასუხისმგებლობის სახე."

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში საქართველოს უზენაესი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს კანონისათვის რეტროაქტიული, ანუ ნამდვილი უკუძალის მინიჭების შესაძლებლობას და ასეთს მიაკუთვნებს სოციალური უზრუნველყოფის სფეროს.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე კანონით მინიჭებული შეღავათები, მათ შორის პენსიის მიღების და მის ოდენობასთან დაკავშირებული საკითხები, უსაფუძვლოდ იქნა გადატანილი საჯარო სამართლის სფეროში, რადგან თავისი არსით ისინი განეკუთვნებიან სამოქალაქო სამართლებრივ კატეგორიას.

ჩვენი მტიცების მართებულობას კი ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება. კერძოდ, "პრავედნაია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" საქმეზე, 2004 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის №1 ოქმის I-ლი მუხლის შესაბამისად, პენსიასთან დაკავშირებული მოთხოვნა შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრებას, თუ იგი საკმარისი ხასიათითაა რეალიზებული.

ამასვე ადასტურებს ევროსასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის №301 გადაწყვეტილება "საბერძნეთის ნავთობგადამქაჩველი ქარხნები "სტრაინი" და "სტრაინის" ანდრიადისი საბერძნეთის წინააღმდეგ" (stran Greek Refineries and Andreadia v. Greece). მეტიც, "პრავედნაია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 41-ე პარაგრაფში პირდაპირაა ნათქვამი, რომ "სახელმწიფოს საჯარო ინტერესი პენსიების შესახებ კანონის ერთგვაროვან გამოყ-

ენებასთან დაკავშირებით არ უნდა იწვევდეს მიკუთვნებული ფულადი თანხის რეტროსპექტრიულ გადაანგარიშებას."ანუ, ევროსასამართლოს პოზიცია ცალსახაა იმ მიმართებით, რომ კანონს თუ იგი ამცირებს უკვე დანიშნული პენსიის/კომპენსაციის ოდენობას არ უნდა მიეცეს უკუძალა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ ის მიზეზიც ახსნა თუ რატომ არ უნდა მიენიჭოს ახალ კანონს უკუძალა სოციალური უზრუნველყოფის სფეროში არსებულ უფლებებთან დაკავშირებით. კერძოდ, 2002 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე "აზინასი საბერძნეთის წინააღმდეგ" (Azinas v. Greece (N679/00) აღნიშნულია, რომ პენსიის მიღების უფლება, რაც დამყარებულია შრომითი საქმიანობის სახეზე, გათანაბრებულია საკუთრების უფლებასთან, რადგან დამქირავებელმა, თავის დროზე აიღო ვალდებულება უზრუნველეყო დაქირავებული პირი პენსიით. ამდენად, პენსია წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და თავისი არსით გულისხმობს, ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის რომის კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ საკუთრებას. შესაბამისად, იმ შეღავათის აღკვეთა, ან/და შემცირება, რაც სამსახურიდან წასულ პირს ეკუთვნის პენსიის სახით, წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევას საკუთრების უფლების განხორციელებაში.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პენსია თუ აკმაყოფილებს ევროსასამართლოს მიერ დადგენილ პირობებს, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21.1-ე მუხლით აღიარებულ საკუთრებასჯდა მისი დაცვის გარანტად კონსტიტუციის დასახელებულ ნორმასთან ერთად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის იმპერატიული დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ კანონს, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას, არ შეიძლება მიენიჭოს უკუქცევითი ძალა. ანუ, სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეზღუდულია მოქმედი სამართლით არ დაუშვას მსგავს შემთხვევებში კანონისათვის უკუძალის მინიჭება.

კანონისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვის ინიციატივა სათავეს იღებს ლ. ფოიერბახის ცნობილი ნაშრომიდან, რომლის

სახელწოდებაა "იძულების ფსიქოლოგიური თეორია." მასში ავტორი ამტკიცებდა, რომ სამართლის ნორმა წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს, რათა მას მოჰყვეს პრევენციული მოქმედება. ისეთი კანონი კი, რომელსაც აქვს უკუძალა პრევენციულ ფუნქციას ვერ შეასრულებს-ო.[62]

შესაბამისად, ზოგადად კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონი ვრცელდება მისი მიღებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ ფაქტებსა და ურთიერთობაზე, რაც ლოგიკურია, რადგან კანონი ადგენს ისეთ სავალდებულო ქცევის წესს, რომლის დაცვა და შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდგომ, როცა მისი შინაარსი და სავალდებულო ხასიათი ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის.

ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, ანუ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონს ენიჭება უკუქცევითი ძალა და იგი ვრცელდება მის მიღებამდე არსებულ ფაქტებსა და ურთიერთობებზე. კერძოდ, სისხლის სამართალი ყოველთვის უშვებდა და დღესაც უშვებს კანონისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების შესაძლებლობას, მაგრამ აღნიშნულს მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი როცა ახალი კანონი აუქმებს ან რამდენადმე ამსუბუქებს ადრე მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ პასუხისმგებლობას.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ აღიარებდა კანონის უკუქცევით ძალას. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლმა კი მისგან განსხვავებით, დაუშვა უკუძალის გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, ცალსახად განსაზღვრა, რომ კანონს შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონში. ამასთან, არ არის ზიანის მომტანი და არ აუარესებს პირის მდგომარეობას.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ცალკეულ ნორმატიულ აქტში კანონმდებელს შეაქვს სპეციალურ ნორმები, რათა შეინარჩუნოს ახალი კანონის ძალაში შესვლამდე არსებული ძველი სამართლებრივი ურთიერთობები.

მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის სურვილს საზოგადოებაში სტაბილურობისა და თანასწორობის უზრუნველყოფის

62 გ. ხუბუა, ხსენებული ნაშრომი, გვ. 146.

მიღწევასთან ერთად ქცევის ისეთი მოდელის დამკვიდრებაც წარმოადგენს, როდესაც ადამიანებს/იურიდიულ პირებს აღარ ექნებათ უკვე მოპოვებული სიკეთის დაკარგვის ყოველდღიური შიში, რადგან კანონში გამოხატულ ნებას ერთნაირად უნდა დაემორჩილონ საზოგადოების წევრები უბრალო მოქალაქე იქნება ის თუ სახელმწიფო. შესაბამისად, მათზე, როგორც საგამონაკლისო ნორმებზე, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ ვრცელდება ახალი კანონის იმ ნორმების უკუძალა, რომლებიც გაუარესების თვალსაზრისით განსხვავებულად წყვეტენ ამ საკითხს.

მხედველობაში გვაქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ "არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე (2000 წლის 1-ლ იანვრამდე) გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა (გამონაკლისია თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან დაკავშირებული პირი) განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის 60.1-ე მუხლის"ბ" ქვეპუნქტით და 61.2-ე მუხლის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი, თუ გამოცემულია 2000 წლის 1 იანვრამდე და ამ აქტის საფუძველზე პირმა განახორციელა რაიმე სახის იურიდიული ქმედება (მაგ. მიწის რეფორმის კომისიამ გასცა სარგებლობაში მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც ეს მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში გატარდა საკუთრებად, ან აშენდა მასზე საცხოვრებელი სახლი და სხვა), არ ითვლება არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძალადაკარგულად გამოაცხადოს 2000 წლის 1-ლ იანვრამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისრაციულ-სამართლებრივი აქტი როცა: ა) ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ

არის მითითებული ამინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

ანალოგიურ მიზანს ემსახურება ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე (2006 ქლის 1-ლი იანვარი) დანიშნული იმ კომპენსაციების გაგრძელებას უზრუნველყოფს, რომლთა მიღება გათვალისწინებული არ არის ახალი კანონით.

სამწუხაროა, რომ ამ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას, რაც იწვევს მოქალაქეთა კანონიერი სამოქალაქო უფლებების ხელყოფას[63] და სასამართლოც თუ უარს ამბობს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, განაპირობებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის აუცილებლობას.

ვეხებით რა კანონის მოქმედებას დროში, უნდა ითქვას კანონის ძალის დაკარგვის თაობაზეც. ზოგადი წესის მიხედვით კანონი ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებულია ახალ კანონში, თუმცა არსებობს სხვა გზაც. მხედველობაში გვაქვს კანონის ე. წ. "დუმილით" გაუქმება. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი პირდაპირ არაფერს ამბობს ძველის გაუქმებაზე, მაგრამ თუ ძველი კანონი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველი კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ან/და უკვე არ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა ძველი კანონი, მაშინ იგი ითვლება გაუქმებულად.

---

63 მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 3 ივლისის №13 განკარგულებით (გაზეთი "24 საათი", 4 ივლისი 2007 წელი, №147, გვ. 10-11) ბათილად იქნა ცნობილი 1996-1998 წლებში, სოფელ საგურამოში, ნაკრძალის ტერიტორიაზე, მინის ნაკეთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მინის რეფორმის კომისიის მიერ არაერთ მოქალაქეზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი. თუმცა, ზემოთ მითითებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, სასამართლოში დასაბუთებული სარჩელის წარდგენის შემდეგ, რაშიც ამ ნაშრომის ავტორიც მონაწილეობდა, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თვითონვე გააუქმა უკანონოდ გამოცემული განკარგულება.

ზოგადი კანონი, როგორც წესი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, მაგრამ არსებობს გამონაკლისი. ეს კი ის შემთხვევაა, როცა ზოგადი ნორმის მიერ სპეციალური ნორმის გაუქმება წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

თავის მხრივ, იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის თავისთავად ამოქმედებას, თუ ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული კანონში.

ამდენად, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვნენ ამ კოდექსის ამოქმედების, ანუ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, დღის წესრიგში დგება საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა გადაწყდეს დავა მაშინ, როცა ურთიერთობა წარმოშობილია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტის საფუძველზე და მხარეებს არ სურთ ერთმანეთს შორის მოაწესრიგონ ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსით?

დასმულ კითხვაზე პასუხს იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ მსგავსი შემთხვევისათვის იგი ადგენს სამოქალაქო კანონმდებლობის დროში მოქმედებისათვის განსხვავებულ წესს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო თუ ძალადაკარგულად ჩაითვალა კონკრეტული ნორმატიული აქტი, ამ აქტით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა თუ რომელი კანონით უნდა მოწესრიგდეს, რიგ შემთხვევებში, ეს დამოკიდებულია თვით ამ ურთიერთობის მონაწილეთა ნება-სურვილზე. კერძოდ, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს შორის ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსით მოაწესრიგებენ. თუ ასეთ შეთანხმებას არ ექნება ადგილი, ან სამოქალქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ რაიმე განსხვავებულ ახალ წესს ითვალისწინებს, მაშინ ძალადაკარგული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება თვით ეს ძალადაკარგული ნორმატიული აქტები.

საკითხის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 1506-ე მუხლით დაეკონკრეტებინა ის ძალადაკარგული ნორმატიული აქტები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის წყაროდ. კერძოდ, ძალადაკარგულად ჩაითვალა:

ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. ასევე, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ან "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც განსხვავებულად აწესრიგებენ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

ზემოთქმული მოითხოვს პასუხს კითხვაზეც, რაიმე ვადა ხომ არ არის დაწესებული მსგავსი შემთხვევებისათვის? კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია განესაზღვრა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 165-168-ე მუხლებით გათვალისწინებული საკუთრების შეძენის ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილი. იგი იწყება 1993 წლის 23 ივლისიდან. ანუ, ეს ვადა დაკავშირებული იქნა "საკუთრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედების დღესთან (იხ. სკ-ის 1507.4-ე მუხლი).

კანონის მოქმედება სივრცეში გულისხმობს სამოქალაქო კოდექსის მოქმედებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

სამოქალაქო სამართლის ნორმების შემცველი აქტების მოქმედების ფარგლების დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რომელი ორგანოს მიერაა ისინი გამოცემული, რადგან ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული აქტები (მაგ. სამოქალაქო კოდექსი) მოქმედებენ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური წარმონაქმნებისა კი მათ შესაბამის ტერიტორიაზე და ა. შ.

სივრცეში სამოქალაქო ნორმების შემცველი ნორმატიული აქტების მოქმედების განსაზღვრისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება თვით "ტერიტორიის" ცნების ქვეშ.

სამართლის მეცნიერებაში საქართველოს "ტერიტორიას" მიეკუთვნება: ქვეყნის მთელი მიწის ტერიტორია (ხმელეთი) 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ტერიტორიული სანაპირო წყლები (ე. ი. 12 მილის სიგანის ზღვის ზოლი, რომელიც სანაპირო სახელმწიფოს ეკუთვნის), შინაგანი ნაციონალური წყლები, საჰაერო სივრცე მისი ტერიტორიის ზევით. სახელმწიფოს ტერი-

ტორიად ითვლება აგრეთვე მისი საელჩოს ტერიტორია უცხოეთში და მისი სამხედრო ნაწილების განლაგების ადგილი, რაც ადგილობრივი სახელმწიფოს თანხმობით ხორციელდება.

სამოქალაქო კანონები მოქმედებს პირთა გარკვეული წრის მიმართ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში "ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე იმისდამიუხედავად სამეწარმეოა თუ არასამეწარმეო, საქართველოს თუ უცხო ქვეყნის პირია იგი," ამასთან, "ყველა მათგანი სამოქალაქო ბრუნვის თანასწორუფლებიანი მონაწილეა." კანონმდებელმა ისინი გააერთიანა ისეთი ერთიანი დეფინიციის ქვეშ როგორიცაა პირები. კონკრეტულად მათ შესახებ კი საუბარი იქნება სამოქალაქო სამართლის სუბიექტებისადმი მიძღვნილ ნაწილში.

§6. სამოქალაქო სამართლის სისტემა

1997 წლამდე საქართველოში არსებული 1923 და 1964 წლების სამოქალაქო კოდექსები საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების იდენტური იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში აქტიურად დაიწყო კანონშემოქმედებითი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული სამოქალაქო კანონმდებლობის შესაქმნელად.

ახალი სამოქალაქო სამართლებრივი და სამეურნეო ურთიერთობების ჩამოყალიბების ქვაკუთხედად იქცა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომელიც: აღიარებს და იცავს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას (21.1-ე მუხლი), ხელშეუვალ უფლებად აცხადებს პატივსა და ღირსებას (მე-17.1 მუხლი). ამასთან, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას (30.1-ე მუხლი).

თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის შექმნა კი უშუალოდაა დაკავშირებული 1997 წლის 26 ივლისს მიღებულ სამოქალაქო კოდექსთან. იგი ამოქმედდა იმავე წლის 25 ნოემბრიდან. ქართულ სამოქალაქო კოდექსს ბევრი აქვს საერთო ცენტრალური ევროპული სახელმწიფოების სამოქალაქო კანონმდებლობასთან თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა მოწყდა თავის ისტორიულ ფესვებს და სამართლებრივ მემკვიდრეობას.

საბჭოურ ტრადიციაზე უარის თქმამ, თავის მხრივ, მოითხოვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებული სამოქალაქო კოდექსის შექმნა. რისთვისაც, გახსენებული იქნა რომის სამართლის მიერ დამკვიდრებული და ჩვენს სინამდვილეში ძველი ქართული სამართლის ძეგლებით გაგრძელებული პანდექტური ანუ, სამართლის წიგნთა ერთობლიობის საფუძველზე, ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტის-სამოქალაქო კოდექსის შექმნის გამოცდილება. აღნიშნულის შედეგია ის, რომ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი წარმოდგენილია 6 წიგნად.

პირველი წიგნში მოცემულია სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. იგი მოიცავს შესავალს და 4 კარს: პირველი კარი ეძღვნება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე პირად არაქონებრივ უფლებებს და მათი ხელყოფის შემთხვევაში დაცვის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს. მეორე კარი შეიცავს ზოგად ნორმებს გარიგებების შესახებ. მესამე კარი დათმობილი აქვს უფლების განხორციელებას. მეოთხე კარი კი-ნორმებს ვადებისა და ხანდაზმულობის თაობაზე.

მეორე წიგნი ეხება სანივთო (ქონებრივ) სამართალს, რომელსაც თავის მხრივ გააჩნია ცალკეული ინსტიტუტები. ესენია: საკუთრება ზოგადად, საკუთრების შეძენისა და დაკარგვის საფუძვლები, მფლობელობა, სამეზობლო ურთიერთობები, ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში, სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა (აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი), საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (გირავნობა, იპოთეკა) და საჯარო რეესტრი.

მესამე წიგნის სახელწოდებაა- ვალდებულებითი სამართალი. იგი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი მოიცავს ზოგად დებულებებს ვალდებულებათა შესახებ, რომელშიც შედის არაერთი ინსტიტუტი კერძოდ: ვალდებულების ცნება, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები, სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შესრულება, ფულადი ვალდებულების შესრულება, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, ვალდებულების დარღვევა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია), ვალდებულების შეწყვეტა, კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, სოლიდარული კრედიტორები და სოლიდარული მოვალეები.

კერძო ნაწილში კი გადმოცემულია ხელშეკრულების ცალკეული სახეები, კანონისმიერი (საზიარო უფლებებიდან გამომდინარე) ვალდებულებითი ურთიერთობები, სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე (უსაფუძვლო გამდიდრება) და დელიქტური ვალდებულებანი.

მეოთხე წიგნი წარმოდგენს ინტელექტუალური საკუთრების სამართალს. იგი შედგება ორი კარისაგან. პირველი კარის დასახელებაა საავტორო სამართალი და შედგება ზოგადი დებულებების შემცველი ერთი თავისაგან. თუმცა, ამ თავში მხოლოდ ერთი – 1017-ე მუხლია, რომელშიც მოცემულია საავტორო სამართლის ცნება და შეიცავს დანაწესს იმის თაობაზე, რომ საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორციელდება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. დასახელებული კანონი კი თავის მხრივ მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივნისს, რომლითაც სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულია 1018-1099-ე მუხლები.

მეოთხე წიგნის მეორე კარი სამრეწველო საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს (1100-1105-ე მუხლები) და ეძღვნება: გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვას; სასელექციო უფლებათა დაცვას. ასევე, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დაცვას, წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების უფლებას, საფირმო სახელწოდების და საწარმოო-კომერციული საიდუმლოს დაცვას.

მეხუთე წიგნი ეძღვნება საოჯახო სამართალს. მასში წარმოდგენილია: ქორწინების, ქორწინების შეწყვეტის, მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობის, მეურვეობისა და მზრუნველობის მომწესრიგებელი ნორმები.

მეექვსე წიგნი- მემკვიდრეობის სამართალი, შედგება 14 თავისაგან და შეეხება ისეთ ინსტიტუტებს როგორებიცაა: კანონით მემკვიდრეობა, ანდერძით მემკვიდრეობა, საანდერძო დანაკისრი, ანუ ლეგატი, მემკვიდრის დანიშვნა, სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე, სავალდებულო წილი, სამკვიდროს გაყოფა, კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ, სამკვიდროს დაცვა და სამკვიდრო მოწმობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსი მოიცავს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, რომლებსაც დათმობილი აქვთ 1504-დან 1520-ის ჩათვლით მუხლები.

ამრიგად, ქართული სამოქალაქო სამართლის სისტემა თავის თავში მოიცავს, როგორც ერთმანეთის მსგავს ისე ერთმანეთისაგან განსხავებულ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც ემყარება სამართლებრივი ინსტიტუტების ზოგად პრინციპებს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალი შექმნილია პანდექტური სამართლის სისტემის საფუძველზე, რომელიც 6 წიგნისაგან შედგება და ქმნის სამართლის ერთიან სისტემას.

აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემა შედგება: ა) სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების; ბ) სანივთო (ქონებრივი) სამართლის; გ) ვალდებულებითი სამართლის; დ) ინტელექტუალური საკუთრების სამართლის; ე) საოჯახო სამართლისა და ვ) მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელ ნორმათა შემცველი სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან.

სამოქალაქო სამართლის სისტემა დროთა ვითარებაში შეიძლება არ დარჩეს ამ სახით, რადგანაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომმა განვითარებამ შესაძლებელია მოითხოვოს ისეთ ნორმათა მიღების აუცილებლობა, რომლებიც საფუძვლად დაედება ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. თანაც, ამის პრეცედენტი უკვე არსებობს. კერძოდ, 1999 წლის 22 ივლისამდე თუ ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები სამოქალაქო კოდექსში შედიოდა მე-4 წიგნის სახით, მასში ცვლილებების შეტანის შედეგად ამოღებული იქნა 1018-1099 მუხლები და ამჟამად საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლების დაცვა ხორციელდება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

§7. სამოქალაქო სამართლის პრინციპები

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება გარკვეული პრინციპების დაცვით. პრინციპებში კი იგულისხმება სამოქალაქო სამართლის ის ფუძემდებლური დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ დარგის არსს და შესასრულებლად ზოგადსავალდებულო ხასიათი აქვთ.

სამოქალაქო სამართალი, კერძო სამართლის ერთ-ერთი დარგია. ამდენად, იგი აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი, როგორც თავისუფალი არსება, მოქმედებს საკუთარი პასუხისმგებლობით. ამით განსხვავდება კერძო სამართალი საჯარო სამართლისაგან, რომელიც პირიქით, აღიარებს მოქმედების ლეგალურობასა და კანონით შებოჭვის პრინციპს, ანუ უფლება-მოვალეობები განისაზღვრება არა მხარეთა ავტონომიური ნებით, არამედ წინასწარ განსაზღვრულია კანონით.

სამოქალაქო სამართალი, როგორც კერძო სამართალი, არის დისპოზიციური სამართალი. ამდენად, იგი აღიარებს დისპოზიციურობის პრინციპს, რადგან მასში მონაწილე მხარეები, თავიანთი ნების შესაბამისად, არეგულირებენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას.

თუმცა, ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ სამოქალაქო სამართალში ყველა ნორმა მხოლოდ დისპოზიციურია, ვინაიდან გვხვდება მთელი რიგი ნორმები, რომელთა შესრულებაც იმპერატიულად სავალდებულოა. კერძოდ, ასეთი ნორმის არსებობა განსაზღვრულია:

1) სამართლებრივი ურთიერთობის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, ანუ სახეზეა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო განსაზღვრავს ცალკეული სამართლებრივი ქმედებისათვის სავალდებულო ფორმას და მისი შესრულების პროცედურას. მაგ. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის შესაბამისად, ანდერძისათვის წერილობითი ფორმის დაცვა აუცილებელია. ზეპირი ანდერძი კი ყველა შემთხვევაში ბათილია;

2) არაკეთილსინდისიერი მხარისაგან დაცვის მიზნით. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად "სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან

კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები." ანალოგიურ მიზანს ემსახურება სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ "უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები;"

3) სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მხარის დაცვის მიზნით, მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 319.3-ე მუხლის შესაბამისად იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისთვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, ისეთი მეორე მხარისაგან, რომელიც მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ამავე მიზანს ემსახურება სამოქალაქო კოდექსის 319.2-ე მუხლის დანაწესი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ მხარეს არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. მეტიც, თავისი საქმიანობის სფეროში მას არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე, ვინაიდან დასახელებული ნორმა პირდაპირ აკისრებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას.

სამოქალაქო კოდექსის ძირითად დებულებებში გადმოცემულ პრინციპთა უმრავლესობა ზოგადი ნორმაა, ანუ დეკლარაცია, რომელიც დაზუსტებულია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სპეციალური ნორმით. ასე მაგალითად, ზოგადი პრინციპია: სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა რეალური თანასწორობის პრინციპი. იგი გამომდინარეობს სამოქალაქო კანონთა წინაშე მდგარი მიზნებიდან (სკ-ის მე-9 მუხლი) და დაკონკრეტებას პოულობს მასში, რომ, სამოქალაქო კანონები მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, ანუ მომსახურეობისა და ქონების შეუზღუდავად გადაადგილება, მიმოსვლის თავისუფლება, თავისუფალი საქონელბრუნვა და სხვა.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა რეალური თანასწორობა ამ შემთხვევაში დაცულია იმით, რომ თითოეული მხარის თავისუფლებას, უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან, იცავს სამოქალაქო

კანონების იმპერატიული ნორმები. შესაბამისად, მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს ბათილია (სკ-ის მე-10.3 მუხლი).

სამოქალაქო სამართალში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია-პოლიტიკური უფლებებისაგან დამოუკიდებლად სამოქალაქო უფლებათა განხორციელების შესაძლებლობის პრინციპი. ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-10.1 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით;

კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობის პრინციპი. ეს პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან, რომელშიც ხაზგასმულია, რომ "სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის პირდაპირ გაუთვალისწინებელი, ნებისმიერი მოქმედება. ანუ, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, თუ იგი პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით;

სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობის პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეების განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს (მოსამართლეს) იმ შემთხვევაშიც კი არ შეუძლია, როცა კანონი ხარვეზიანია, ან სამართლის ნორმა საერთოდ არ არსებობს, ან ბუნდოვანია (სკ-ის მე-4.1 მუხლი). მოსამართლე (სასამართლო) კანონის გამოყენებაზე იმ მოტივითაც ვერ იტყვის უარს, რომ მას გამოსაყენებელი ნორმა მიაჩნია უსამართლოდ ან არაზნეობრივად (სკ-ის მე-4.2 მუხლი);

კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ნორმის არარსებობა არ აძლევს სასამართლოს (მოსამართლეს) უფლებას უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ანალოგიის პრინციპი, რომ არ არსებობდეს სამოქალაქო სამართალში, სამართლის ამ დარგისათვის დამახასიათებელი არაერთი პრობლემა დარჩებოდა მოუგვარებელი, ვინაიდან სამოქალაქო

სამართალი, ვერ გაითვალისწინებს ყველა კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შესაბამისად, სახეზეა ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობა პირდაპირ ასახვას ვერ პოულობს სამოქალაქო სამართლის ნორმაში, ე.ი. სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში არსებობს სამართლის ხარვეზის პრობლემა.

ვეხებით რა სამართლის ხარვეზის საკითხს ზოგადად უნდა ითქვას, რომ იტალიელი მეცნიერი ა.კონტე განასხვავებდა "ონტოლოგიურ" (რაც გულისხმობს სამართლებრივი ნორმის შეუსაბამობას იმასთან, რაც არის) და "დეონტოლოგიურ" (იგი გულისხმობს სამართლის ნორმის შეუსაბამობას იმასთან, რაც უნდა იყოს) ხარვეზს. სამართლის თეორიის სპეციალისტები კი განასხვავებენ ასევე "იმანენტურ," ანუ შინაგან და "ტრანსცედენტურ," ანუ გარეგან ხარვეზს.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესები, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებენ სამართლებრივ დაცვას, კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და სასამართლოებს მისცა კანონშემოქმედებაში არსებული ხარვეზების შევსების შესაძლებლობა. ანუ, "კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად დაუშვა ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმის გამოყენების შესაძლებლობა" (სკ-ის მე-5.1 მუხლი).

იმ შემთხვევაში, როცა კანონში არ არსებობს მსგავს ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმა, სასამართლო უნდა ამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან და სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის ნორმათა გათვალისწინებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (სკ-ის მე-5.1 მუხლი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კანონი სასამართლოებს სთავაზობს ხარვეზის შევსების ორ გზას:

1. კანონის ანალოგიით გამოყენებას, როცა არ არსებობს სამოქალაქო ურთიერთობათა მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმა, მაგრამ სახეზეა მსგავს ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმა

და 2. სამართლის ანალოგიას, როცა კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია მსგავს ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების არ არსებობის გამო და სამოქალაქო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა სამართლებრივ ურთიერთობებში, მით უფრო, რომ ხარვეზების არსებობის პირობებშიც კი სასამართლოს ეკრძალება მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა.

კანონის ანალოგიით გამოყენების აუცილებლობის თაობაზე, ცალკეულ შემთხვევაში, პირდაპირაა მითითებული თვით კანონში. ასე მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 523-ე მუხლის თანახმად, "გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის წესი." ამიტომაც ჰქვია ამ თავს "ნასყიდობა და გაცვლა" (სკ-ის 477-520-ე მუხლები).

კანონის ანალოგიის გამოყენების შედეგი მოცემულ შემთხვევაში ის არის, რომ გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს (სკ-ის 521.2-ე მუხლი).

სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი (საგამონაკლისო) ნორმების მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნას კანონის ანალოგია (სკ მე-5.3 მუხლი), რადგან მოცემულ შემთხვევაში, ნორმის მოქმედების ფარგლები ამომწურავადაა განსაზღვრული თვით სპეციალურ კანონში და მისი განვრცობა არ დაიშვება.

კანონისა და სამართლის ანალოგიის ინსტიტუტს არაერთი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა იყენებს. კერძოდ: იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ თუ შეუძლებელია საქმის გადაწყვეტა სამართლის ზუსტი დებულების საფუძველზე, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ის დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ ანალოგიურ შემთხვევებს, მაგრამ თუ საქმე მაინც დარჩა გადაუწყვეტელი, ანუ არ არსებობს ანალოგიური შემთხვევების მომწესრიგებელი ნორმაც, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს სამართლის ზოგადი პრინციპის საფუძველზე. ე.ი. იტალიური სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებს კანონისა და სამართლის ანალოგიას;

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, სპეციალური ნორმის არარსებობისას მოსამართლემ უნდა მიმარ-

თოს ანალოგიას და თუ ეს არ არის შესაძლებელი უნდა იხელმძღვანელოს მართლწესრიგის პრინციპით; ბრაზილიის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმე გადაწყვიტოს ანალოგიის, ჩვეულების ან სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

მეტიც, ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი ითვალისწინებს ისეთი შემთხვევებისათვის, როცა მოსამართლე არსებული ხარვეზის გადასაწყვეტად უარს იტყვის ანალოგიის გამოყენებაზე. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე უარს იტყვის საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება სამართლის ნორმის არარსებობის ან უკმარისობის მოტივით, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლმსაჯულების განხორციელებაზე თავის არიდებისთვის.

ამრიგად, ხარვეზის შევსება ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში, ისევე, როგორც საქართველოში, მხოლოდ კანონის ანალოგიით არ ამოიწურება და სასამართლოები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ სამართლის ანალოგიისთვის დაწესებული კრიტერიუმებითაც, ანუ სამართლის ანალოგიით.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის პრინციპები განსაზღვრავენ სამართლის ამ დარგის არსს და მისი ნორმების შეფარდების საფუძვლებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებენ როგორც ზოგადი (სახელშეკრულებო თავისუფლების, კეთილსინდისიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კერძო საკუთრების შეუზღუდაობის, უფლება-მოვალეობათა დაბალანსების, პირადი ინიციატივის, კანონიერების და ა.შ.), ისე დაწერილი და დაუწერელი პრინციპები.

დაწერილი სამართლის პრინციპები გამოხატულია სამართლის ნორმით. დაუწერელი სამართლის პრინციპი კი პოზიტიურ ნორმაში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ გამომდინარეობს სამართლის ერთიანი სისტემიდან და კონკრეტიზირებულია სასამართლო გადაწყვეტილებებში.

სამოქალაქო სამართლის დაუწერელი პრინციპია კერძო ავტონომიის პრინციპი, ვინაიდან ეს პრინციპი არასრულყოფილადაა ფორმირებული თვით კანონში.[64]

მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით არიან წარმოდგენილნი სამოქალაქო სამართლის პრინციპები, ზოგადად მათ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ დებულებებს. შესაბამისად, მათი დარღვევა იწვევს შედეგის ბათილობას. ასე მაგალითად: საოჯახო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები აღიარებენ მონოგამიის, ანუ ერთქორწინების პრინციპს, ვინაიდან სკ-ის 1120-ე მუხლის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან ერთი მაინც დაქორწინებულია სხვასთან.

იმ შემთხვევაში კი, როცა დარღვეულია ქორწინების ნამდვილად მიჩნევისათვის აუცილებელი ერთქორწინების პრინციპი, აღნიშნულს შედეგად მოჰყვება, სასამართლოს მიერ ასეთი ქორწინების ბათილად ცნობა. ე.ი. მონოგამიური ქორწინების პრინციპის დარღვევით რეგისტრირებული ქორწინების ბათილობა წარმოშობს იმ იურიდიული შედეგის გაუქმების საფუძველს, რომელსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. ანალოგიურად წყვეტს საკითხს სკ-ის 1140-ე მუხლი ქორწინების ბათილობის სხვა საფუძვლების არსებობის დროსაც.

64 გ. ხუბუა. სამართლის თეორია . გვ. 164

თავი მეორე

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები

§1. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ცნება. შემადგენელი ელემენტები. იურიდიული ფაქტები

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს (სკ-ის 1-ლი მუხლი). ანუ, სამოქალაქო კოდექსის მოქმედება ვრცელდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლებსაც კერძო ხასიათი აქვთ და გამოირჩევიან იმით, რომ უზრუნველყოფილია მათში მონაწილე პირთა რეალური თანასწორობა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები კანონმდებლებმა გააიგივეგა სამოქალაქო ურთიერთობებთან. ეჭვს არ იწვევს, ისიც, რომ ჩამოთვლილი კერძო ხასიათის ურთიერთობები, სამართლებრივ ურთიერთობებად, რომ გადაიქცნენ და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მიეცეთ, მოწესრიგებული უნდა იყვნენ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

პარალელურად უნდა არსებდეს სხვა ისეთი გარემოებებიც, რომლებიც განაპირობებენ კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ე.ი. საჭიროა სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენლობისათვის აუცილებელი ისეთი ელემენტების ერთობლიობის არსებობა, როგორიცაა: იურიდიული ფაქტები, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტები და ამ ურთიერთობების სუბიექტები.

იურიდიული ფაქტი ორი სახისაა: პირველი ხდომილების სახელწოდებითაა ცნობილი და გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, რაც დამოკიდებული არ არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზე. მათ განეკუთვნება: დაბადება, გარდაცვალება, სტიქიური უბედურება და ა.შ. მაგ. მემკვიდრედ ყოფნის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებულია ისეთ ხდომილებაზე, როგორიცაა დაბადება.

ხდომილებისაგან განსხვავებით, ცალკეული სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის არსებობისათვის აუცილებელია ამ ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ქმედების (მოქმედება ან უმოქმედობა) განხორციელება. უმეტეს შემთხვევაში იგი გამოიხატება გააზრებულ მოქმედებაში მაგ. ხელშეკრულების დადება, ზიანის განზრახ მიყენება, ხელშეკრულების დასადებად მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება (იხ. 317 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები).

ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა კი შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ უმოქმედობასთან. მაგ. მეზობლის მიერ იმ შენობის მიმართ აუცილებელ ღონისძიებათა გაუტარებლობა, რომელსაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, ვინაიდან მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლა (იხ.სკ-ის 177-ე მუხლი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა შეიძლება განაპირობოს, როგორც მოქმედებამ ისე უმოქმედობამ. შესაბამისად, არამხოლოდ მოქმედება არამედ ზოგადად ქმედება სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს,

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა არის იურიდიული ფაქტების არსებობაზე დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ის ნაწილი, რაც განეკუთვნება ქონებრივ, საოჯახო, პირად ურთიერთობათა სფეროს, მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების, ნორმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სფეროში სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას და მასში მონაწილე სუბიექტთა თანასწორობას.

§2. სამოქალაქო სამართლის ობიექტები

სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული კერძო ხასიათის ურთიერთობის არსებობა წარმოუდგენილია შესაბამისი ობიექტის გარეშე ანუ, ყოველივე იმის გარეშე რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა. ამიტომაცაა, რომ სამოქალაქო სამართალში სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი გაიგივებულია კერძო სამართლის ობიექტთან.

სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი, ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის უპირველესი ობიექტია ქონება. მის შინაარსში იგულისხმება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუზღუდავად (იხ. სკ-ის 147-ე მუხლი).

ამრიგად, ქართული სამოქალაქო კოდექსი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად აღიარებს არამარტო ნივთებს (ანუ, სხეულებრივ ნივთებს-„res corporales“), არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც (უსხეულო ნივთებს - „incorporales“).

ვახასიათებთ რა სხეულებრივ ნივთებს მათ შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ნივთები პიროვნულობას მოკლებული საგნებია. მაგალითად, პიროვნულობას მოკლებული საგნებია- მაგიდა, სკამი, სახლი, ავტომანქანა და სხვა. შესაბამისად, ასეთად არ ჩაითვლება ცოცხალი ადამიანი, რომლის სხეული, მართალია მატერიის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არ წარმოადგენს ნივთს და არ შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად. თუმცა, ნივთებს წარმოადგენენ ადამიანის შემადგენელი ხელოვნური ორგანოები (მაგ. პროთეზი).

იმ შემთხვევაშიც, თუ გვამის ანონიმიზირება მოხდება, იგი

დაკარგავს პიროვნულობას და იქცევა ნივთად. მაგალითად: ბიოლოგიის გაკვეთილზე თვალსაჩინოებისათვის გამოყენებული ადამიანის ჩონჩხი წარმოადგენს პიროვნულობას მოკლებულ საგანს და შესაბამისად სხეულებრივ ნივთს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსაგან გასხვავებით გერმანულ სამართალში საკუთრება არსებობს მხოლოდ ერთეულ ნივთებზე და არა ნივთთა ერთობლიობაზე. ამ გაგებით ნივთად არ ითვლება საწყობი, ბიბლიოთეკა და სხვა;

2. ნივთები ბრუნვაუნარიანი საგნებია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, უნდა შეეძლოთ მათი შეძენა. აღნიშნულის გათვალისწინებით ძლიერმოქმედი შხამი ან/და ნარკოტიკული საშუალება, ვინაიდან გაიცემა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, ამ წესის დაუცველად მათი შეძენის შემთხვევაში, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ სამოქალაქო სამართლის ობიექტებად.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთები ისეთი ნივთებია, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობით და ამდენად, უნდა იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში. მაგ. ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მხოლოდ სახელმწიფო ქონებაა და პრივატიზებას[65] არ ექვემდებარება: წიაღი, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, სახელმწიფო ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიები, ან/და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონები, დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც აღნიშნული ობიექტები განთავსებულია შესაბამი-

---

65 "პრივატიზება"- სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად ნიშნავს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენას, ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლო გადაცემის ფორმებით, ამ კანონით დადგენილი წესით.

სი პირობებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე და ა.შ.

ცალკეული საკანონმდებლო აქტებით კიდევ უფროა დაკონკრეტებული ის ნივთები, რომლებიც არ შეიძლება გახდენ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის თავისუფლად ბრუნვაუნარიანი ობიექტები. კერძოდ, "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3.2 მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა: ა) პირუტყვის გადასარეკი ტრასა; ბ) წყლის ფონდი; გ) დაცული ტერიტორია; დ) რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა; ე) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები; ვ) საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო), დასასვენებელი ადგილი (პარკი, ტყე-პარკი, სკვერი, ხეივანი) და ა.შ;

3. ნივთები პირთა ბატონობას დაქვემდებარებული საგნებია. ამ დებულების ქვეშ იგულისხმება, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ნივთების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალი ნივთებად არ მიიჩნევს: ტბეებს, მდინარეებს და ციურ სხეულებს;

4. ნივთები ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია. ნატურით გამიჯვნა გულისხმობს იმას, რომ ნივთი სივრცობრივად შემოფარგლულია. მაგალითისთვის: ატმოსფერული ჰაერი მხოლოდ მაშინ იქცევა ნივთად, თუ იგი ჩაწნეხილი იქნება შესაბამის ჭურჭელში. ნივთების სხეულებრივ ერთიანობას კი განაპირობებს მისი დანიშნულების მიზანი. მაგალითად, ველოსიპედი, მართალია შედგება ჩარჩოს, თვლების, საჭისა და სხვა ნაწილებისაგან, მაგრამ წარმოადგენს სხეულებრივად ერთიან საგანს;

5. ნივთები შიძლება დაიყოს გვაროვნულ და ინდივიდუალურ ნივთებადაც. მსგავსი დაყოფა არ არის პირობითი ვინაიდან, ცალკეულ ნორმებში პირდაპირ არის მითითებული, რომ კონკრეტული სახის გარიგების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გვა-

როვნული ნივთი. მაგ. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს. ანუ, ამ გაგებით მატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება, როგორც ფული ისე ფასიანი ქაღალდებიც ვინაიდან ისინი მიჩნეულია ნივთებად.

თავის მხრივ ნივთების, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ობიექტების კლასიფიკაცია შესაძლებელია მოძრავი და უძრავი ნივთების სახით.

სამოქალაქო კოდექსი იძლევა უძრავი ნივთის ცნებას. მას მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეებით და იმ შენობა-ნაგებობებით, რომლებიც მყარად დგას მიწაზე (სკ 149-ე მუხლი).

რაც შეეხება მოძრავ ნივთს მისი ცნება სამოქალაქო კოდექსში მოცემული არ არის. ამდენად, მოძრავ ნივთად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობით არ ითვლება უძრავად. მაგალითად, მოძრავი ნივთებია-ავტომანქანა, კარადა, ჯამ-ჭურჭელი და სხვა.

გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით, მოძრავი ნივთი და მასთან დაკავშირებული უფლებები არ საჭიროებენ რეგისტრაციას. კერძოდ, ,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16.2 მუხლის თანახმად, მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია გირავნობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რაც შეეხებათ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მათი რეგისტრაცია, ასევე აუცილებელია, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 258.4-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

უძრავ ნივთებთან მიმართებაში კი, განსაკუთრებული წესია დადგენილი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 183.1-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის შესაძენად დადებული წერილობითი გარიგება, შემძენზე საკუთრების უფლებას წარმოშობს მხოლოდ მას შემდეგ რაც ეს უფლება დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

ანალოგიურ დანაწესს შეიცავს ,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11.5 მუხლი. კერძოდ, უძრავ ნივთებზე

უფლებათა რეესტრში აუცილებელია, როგორც საკუთრების (11.1-ე მუხლის,,ა" ქვეპუნქტი) ისე აღნაგობის, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვის (,,ბ" ქვეპუნქტი), უზურფუქტის (,,გ" ქვეპუნქტი) და იპოთეკის (,,ე" ქვეპუნქტი), რეგისტრაცია.

„საჯარო რეესტრის შესახებ" კანონში, 2011 წლის 22 თებერვალს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, აუცილებელი გახდა კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ყველა გარიგების, მათ შორის უძრავ ქონებაზე ქირავნობა-ქვექირავნობის, ლიზინგის და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეგისტრაციაც საჯარო რეესტრში.

უძრავი ქონების შეძენის ამგვარი წესის არსებობა განპირობებულია საკუთრების შემძენის ინტერესების დაცვის აუცილებლობით. აღნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება საჯარო რეესტრი. იგი, როგორც ,,არბიტრი" პასუხისმგებლობის ტვირთს იღებს თავის თავზე და უზრუნველყოფს კეთილსინდისიერების გამარჯვებას საკუთრებაზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საჯარო რეესტრის არსებობა შემძენს ათავისუფლებს მომეტებული პასუხისმგებლობისა და რისკისაგან.

არსებული სასამართლო პრაქტიკა უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვასთან და შესაბამისად სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თუ უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში გამსხვისებლის საკუთრებად, შემძენს არ მოეთხოვება ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება მისი შესაძლებლობების ფარგლებს. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის განჩინება №ას-980-1243-05 საქმეზე).

ნივთი, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს შეიძლება შედგებოდეს: არსებითი შემადგენელი ნაწილისა და საკუთვნებელისაგან.

ნივთის შემადგენელი ნაწილი არსებითია, თუ მისი გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილი მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს მიაკუთვნებს ისეთ შენობა-ნაგებობებს და ნივთებს, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება მასში ჩადგმული ხის სავაჭრო ჯიხური, რომლის გადატანაც შესაძლებელია ჯიხურის განადგურების ან დანიშნულების მოსპობის გარეშე. ავტომანქანისათვის კი არსებითი შემადგენელი ნაწილი იქნება ჩარჩო, რომელზეც აწყობილია ყველა საკვანძო აგრეგატი და სხვა.

რაც შეეხება საკუთვნებელს, იგი ისეთი მოძრავი ნივთია, რომელიც თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე თუმცა არ არის მთავარი ნივთის ნაწილი, მაგრამ სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და განკუთვნილია ამ მთავარი ნივთის სამსახურისთვის (ავტომანქანის მაგალითზე საკუთვნებელი იქნება სათადარიგო საბურავი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, აფთიაქი, ქანჩების კომპლექტი) ან დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით და დამკვიდრებული შეხედულებების მიხედვით ითვლება საკუთვნებლად. მაგ. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად, მაშინ ინვენტარი ითვლება მთავარი ნივთის-იჯარით გაცემული ნაკვეთის, საკუთვნებელად.

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთან მიმართებაში საკუთვნებელს წარმოადგენენ ისეთი ნივთებიც, რომელებიც მიწასთან არიან დაკავშირებული და რომელთა მოცილება მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე. ასე მაგ. ზღვის პირას არსებულ ნაკვეთში მდგარი საჩრდილობელი მართალია დაკავშირებულია იმ მიწასთან, რომელზედაც დგას, მაგრამ მისი ამ მიწიდან მოცილება სავსებით შესაძლებელია საჩრდილობლის სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე.

ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს საკუთვნებელისაგან განასხვავებს ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც, ხოლო თუ მოძრავი ნივთი ისე დაუკავშირდა მიწის ნაკვეთს, რომ ამ ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იმავდროულად ხდება ამ ნივთის მესაკუთრეც (იხ. სკ-ის 193-ე მუხლი).

საკუთვნებელთან მიმართებაში ასეთ მიდგომას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ძირითადი ნივთის გასხვისების შემთხვევაში, შემძენი პირი საკუთვნებლის მესაკუთრე შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი მოძრავი ნივთი ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ ისინი ახალი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, მაშინ მოძრავი ნივთების ადრინდელი მესაკუთრეები გახდებიან ამ ახალი ნივთის თანამესაკუთრეები. მათი წილი კი განისაზღვრება იმ ღირებულების შესაბამისად, რომელიც ნივთებს მათი შეერთების დროს ჰქონდათ.

ორი შეერთებული ნივთიდან ერთ-ერთი, საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, თუ მიიჩნევა მთავარ ნივთად, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მთავარი ნივთის მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრებას საკუთვნებელზეც. ანუ, იმ ნივთის მესაკუთრე, რომელიც მიიჩნევა საკუთვნებელის მესაკუთრედ კარგავს თავის საკუთრებას ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 196-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ ამ შემთხვევაში მოცემულ ნივთზე არსებული ყველა უფლება ქარწყლდება. შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია და პირს, რომელმაც დაკარგა თავისი საკუთრება შეუძლია მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს იმ პირს ვინც მესაკუთრე გახდა.

ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ თუ ახალმა მესაკუთრემ ნივთი სასყიდლიანი ხელშეკრულებით მესამე პირისაგან შეიძინა, მაშინ იმ პირს, რომლის ნივთიც მიჩნეული იქნა საკუთ-

ვნებელად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არა აქვს (იხ.სკ-ის 197-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს, მასალის გადამუშავების ანდა გადაკეთების შედეგად შექმნილი ახალი მოძრავი ნივთიც. ამ სახის ნივთების ყოფილი მესაკუთრეების მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 195-ე მუხლით, დადგენილია დაცვის შემდეგი წესი. მასალის გადამუშავების მწარმოებელი პირი და ამ მასალის მესაკუთრე ხდებიან ახალი ნივთის თანამესაკუთრეები. მათი წილი, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კი განისაზღვრება მასალის ღირებულების და წარმოების ხარჯების პროპორციულად, მაგრამ თუ მწარმოებელმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენა სხვისი მასალა ახალი ნივთის დასამზადებლად, მაშინ მასალის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, როგორც ამ ნივთის გადაცემა ისე ზიანის ანაზღაურებაც. კერძოდ, თუ მესაკუთრემ, ხე-ტყის საშრობი საამქროს მეპატრონეს, გასაშრობად გადასცა წაბლის ხის მასალა, ეს მასალა კი საშრობის მეპატრონემ გამოიყენა, მასალის მესაკუთრისაგან უკითხავად, ავეჯის დასამზადებლად, ავეჯზე თანასაკუთრება არ წარმოიშობა. შესაბამისად, წაბლის ხის მასალის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მისი მასალისაგან დამზადებული ავეჯი და ზიანის ანაზღაურებაც.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე-გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს არაქონებრივი ღირებულებები. მათ კი კანონმდებელი ყოფს არაქონებრივი ღირებულებების- ა) მატერიალურ და ბ) არამატერიალურ სიკეთეებად.

სხეულებრივი ნივთებისგან განსხვავებით არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ან მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე (სკ-ის 152-ე მუხლი).

აღნიშნულის გათვალისწინებით არამატერიალური ქონებრივი სიკეთე იქნება:

1. არაუფლებამოსილი, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესების და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთის

კეთილსინდისიერად ფლობის დროს და ეს დანახარჯი არ არის კომპენსირებული ამ ნივთის სარგებლობით ან მისგან მიღებული ნაყოფით (სკ-ის 163.2-ე მუხლი) მაგ. თუ პირი შეიძენს მოპარულ ავტომანქანას, მაგრამ არ იცის ამის თაობაზე, რადგანაც შესაბამისი დოკუმენტების გაყალბების გზით განხორციელდა მისი გასხვისება, ავტომანქანის მესაკუთრისათვის ავტონამქანის დაბრუნების ვალდებულებასთან ერთად, შემძენს აქვს უფლება მოითხოვოს მესაკუთრისაგან ავტომანქანის გაუმჯობესების და მასზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანის გაუმჯობესების და სხვა ხარჯების დასაფარად გაწეული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იქნება არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მით უფრო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად ამგვარი უფლების გადაცემა შესაძლებელია მემკვიდრეობით. ეს კი ცხადია მის ახალ მფლობელსაც შეუქმნის მატერიალურ სარგებელს. შესაბამისად, სახეზეა არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და იგი წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს;

2. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა ის უფლებაც, რომელსაც წარმოშობს აღნაგობის თაობაზე დადებული ხელშეკრულება, ვინაიდან მეაღნაგეს შეუძლია მის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობის აღნაგობის უფლება გაასხვისოს სხვა პირზე, ასევე მემკვიდრეობით გადასცეს, გაანათხოვროს ან გააქირავოს იგი (იხ. სკ-ის 133.1-ე მუხლი);

3. არამატერიული ქონებრივი სიკეთის წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს სერვიტუტის შესახებ ხელშეკრულებაც. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 248-ე მუხლის შინაარსიდან, სადაც აღნიშნულია, რომ "სერვიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფლებამოსილ პირს უქმნის მიწის ნაკვეთის სარგებლობის შეღავათს".

ზემოთქმულის მართებულობას ადასტურებს სამოქალაქო კედექსის 252-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც, სერვიტუტის მფლობელს თუ ხელი შეეშლება მისი უფლების განხორციელებაში, აქვს იგივე უფლებები რაც კეთილსინდისიერ მფლობელს. ანუ, ეს ბლანკეტური ნორმა, იმ მესაკუთრეს, რომლის სასარგებლოდაც მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება იქნა დატვირთუ-

ლი ანიჭებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებას მოსთხოვოს მიწის (სხვა უძრავი ქონების) მესაკუთრეს იმ გაუმჯობესების და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთის კეთილსინდისიერად ფლობის დროს და ეს დანახარჯები არ არის კომპენსირებული ამ ნივთის სარგებლობით ან მისგან მიღებული ნაყოფით. მაგ: თუ სერვიტუტით არის დატვირთული მისასვლელი გზა, ამ გზის კეთილმოწყობისათვის დახარჯული თანხების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იქნება არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

4. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთის წარმოშობას შეიძლება საფუძველი დაუდოს მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთმა საშუალებამ, როგორიცაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლით გათვალისწინებული იპოთეკა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრის საკუთრება ისე შეიძლება იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ მან უზრუნველყოს კრედიტორის უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით, ანდა საკუთრებაში გადაცემით.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ თუ პირი გასცემს სესხის სახით ფულად თანხას და მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის იპოთეკით დაიტვირთება მოვალის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, კრედიტორის პირადი არაქონებრივი სიკეთე იქნება იმის უფლება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაცია ანდა მისი საკუთრებაში გადაცემა და ამ გზით, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს საკუთარი პრეტენზიები.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ისეა დაკავშირებული უძრავ თუ მოძრავ ნივთთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს.

აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც ის, რომ აღნაგობაზე იპოთეკის უფლება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, მაგრამ იგი წარმოიშობა მხოლოდ აღნაგობის ხელშეკრულების დადების შემდეგ. იგივე გამომდინარეობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11.1 მუხლის"ბ" ქვეპუნქტის შინაარსიდან, სადაც აღნიშნულია, რომ უძრავ ნივთზე უფლებათა რე-

ესტრში ჯერ უნდა მოხდეს აღნაგობის რეგისტრაცია და შემდეგ აღნაგობის იპოთეკით დატვირთვა.

მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს განეკუთვნება გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ის უფლებაც, რომელიც იძლევა გირავნობის უფლების სხვა პირთათვის გადაცემის შესაძლებლობას და ამდენად შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფულადი ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ანუ, კრედიტორს ეძლევა იმის უფლება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ქონების (გირავნობის საგნის) ხარჯზე (იხ. სკ-ის 254.1-ე მუხლი).

ანალოგიურად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის წარმოშობის საფუძველია ლიზინგის ხელშეკრულება. კერძოდ, აღნიშნულს მაშინ ექნება ადგილი თუ სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მესამე მაწილის თანახმად, ლიზინგის მიმღებს მიენიჭება იმის უფლება, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირაოს იგი. ანუ, მოცემულ შემთხვევაში პირადი არაქონებრივი სიკეთეა ლიზინგის მიმღებისათვის ისეთი უფლების მინიჭება, რომლის ძალითაც შეეძლება იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირაოს იგი.

ზემოთქმული არ იქნება სრული თუ არ აღინიშნა იმის თაობაზეც, რომ მოძრავ ნივთთან დაკავშირებით გირავნობის უფლების, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (იხ."საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველის კანონის მე-16.1 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი).

იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაა მისი რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოში (იხ. სკ-ის 258-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით).

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს ტრადიციულად "უსულო ნივთებსაც" უწოდებენ, აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე სამართლებრივ ფასეულობად იქცევ-

იან მხოლოდ იმის წყალობით, რომ მათ უკან გარკვეული პირის უფლებებია გამოკვეთილი.[66]

ზემოთქმული, თავის მხრივ იძლევა იმის მტკიცების საფუძველსაც, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის წარმოშობა დაკავშირებულია აქცესორული უფლების არსებობასთან. ვინაიდან, იგი ისეა დაკავშირებული სხვა (ძირითად) უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს (სკ-ის 153.1-ე მუხლი);

5. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს ასევე სამოქალაქო კოდექსის 24-ე თავით მოწესრიგებული, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვალდებულებები;

6. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებით მათ რიცხვს მიკუთვნებულია ხელშეკრულებიდან და დელიქტიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნებიც (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე "ბერძნული ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები სტრადი და სტრადის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ");

7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს იმასაც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონებრივი სიკეთეების ჩამონათვალი, რომლებიც მიჩნეულია საკუთრებად, ე.ი. მატერიალურ ქონებრივ სიკეთედ, ანუ ქონებად და შესაბამისად სამოქალაქო სამართლის ობიექტად. კერძოდ, ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების თანახმად, ქონებას მიეკუთვნება ყველაფერი რასაც ფულადი (მატერიალური) ღირებულება გააჩნია. კერძოდ, "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით (იგი საკუთრების დაცვას ეხება) დაცულ სიკეთედ მიჩნეულია "შემწეობა" და "პენსია." ეს ახსნილია იმ გარემოებით, რომ მათ მატერიალური ხასიათი გააჩნიათ (იხ. ევროსასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის განჩინება "უილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" Wilis v. The united Kingdom N 6042/97 საქმეზე).

ამასვე ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი სხვა გადაწყვეტილება, ასე მაგალითად, საერთაშორისო სასამართლომ "აზინასი საბერძნეთის წინააღმდეგ" (Azinas v Greece (N679\00) 2002 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება-

66 იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარები. წიგნი მეორე. თბილისი 1999 წ. გვ. 32.

ში მიუთითა, რომ პენსიის მიღების უფლება, რაც დამყარებულია შრომითი საქმიანობის სახეზე, გათანაბრებულია საკუთრების უფლებასთან. აღნიშნული კი განპირობებულია იმით, რომ დამქირავებელმა თავის დროზე აიღო ვალდებულება უზრუნველეყო დაქირავებული პირი პენსიით გარკვეული პირობების საფუძველზე. ამდენად, იგი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და თავისი არსით გულისხმობს საკუთრებას, რის გამოც იმ შეღავათების აღკვეთა, რაც სამსახურიდან წასულ პირს ეკუთვნის პენსიის სახით, წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევას საკუთრების უფლების განხორციელებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებაში კი "პრავედნაია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ" ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპული კონვენციის №1 ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, "პენსიასთან დაკავშირებული მოთხოვნა შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრებას, თუ იგი საკმარისი ხარისხითაა რეალიზებული. მეტიც, ამავე გადაწყვეტილების 41-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს საჯარო ინტერესი პენსიების შესახებ კანონის ერთგვაროვან გამოყენებასთან დაკავშირებით არ უნდა იწვევდეს მიკუთვნებული ფულადი თანხის რექტოსპექტრიულ გაანგარიშებას, ანუ კანონს ამ შემთხვევაში არ შეიძლება მიეცეს უკუძალა.

8. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებული "ვალი ასევე წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის მატერიალურ სიკეთეს. ანუ, სანივთო უფლებას კერძოდ, "ბარდიევი რუსეთის წინააღმდეგ" 2001 წლის N 59498\00 საქმის 40-ე პარაგრაფში ცალსახად არის მითითებული, რომ ვალი, მსგავს შემთხვევებში, წარმოადგენს "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცულ სიკეთეს.

პენსია, შემწეობა, და სხვა მსგავსი უფლება იმის გამო წარმოადგენს საკუთრებას და შესაბამისად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს, რომ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ყოველი "შესრულება" გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, დანიშნული პენსიის, შემწეობის

თუნდაც ერთხელ მიღების ფაქტი წარმოადგენს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ვალდებულება კი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ შედეგს, ანუ ვალდებულების არსებობას მის გადახდასთან დაკავშირებით, რაც სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ამდენად, ევროსასამართლომ ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეები სცნო ქონებრივი ხასიათის მატერიალურ სიკეთედ. ამასთან, მათთან გაათანაბრა აქციები და პატენტებიც (იხ. რამულიდი და მაიშტრომი შვედეთის წინააღმდეგ განაცხადი №8588/79).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონვენციის 1-ლი ოქმის პირველი მუხლით დაცულ სიკეთედ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, ითვლება არა ქონების შეძენის უფლება, არამედ ის ქონება, რომელიც მას გააჩნია. ამდენად, მემკვიდრეობის მიღების უფლება არ ითვლება საკუთრებად, ვიდრე ის სადაო არ გახდება.

9. არაქონებრივი ღირებულების მატერიალურ სიკეთედ უნდა იქნეს მიჩნეული ხელყოფილი არაქონებრივი უფლებების მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მაგ. პირს, რომლის პატივი და ღირსება შეილახა კონკრეტული პირის მიერ შეგნებულად ან უხეში გაუფრთხილებლობით (სისწორის გადაუმოწმებლად) გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციით, უფლება აქვს, გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით, მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში პატივი და ღირსება არაქონებრივი ღირებულებებია, მაგრამ მათი ბრალეული ხელყოფისათვის ფულადი კომპენსირება იქცევა ისეთ მატერიალურ სიკეთედ, რომელიც ემსახურება დარღვეული უფლებების დაცვას.

ანალოგიურად, სახელის უფლება სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის გაგებითაც კი შესაძლებელია იქცეს არაქონებრივი ღირებულების მატერიალურ სიკეთედ კერძოდ, მაშინ, როცა ცნობილ პირთა ავტოგრაფების გასხვისებას აქვს ადგილი.

დასაშვებია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საქმიანი "რეპუტაცია-"ც წარმოადგენდეს არამატერიალური ხასიათის ქონებრივ

სიკეთეს, ვინაიდან დადებითი საქმიანი რეპუტაციის არსებობა ხელს უწყობს კლიენტურის შეძენას და ამდენად, წარმოადგენს საკუთრებას- "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა" რომის 1950 წლის ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის პირველი მუხლის გაგებით (იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "ვან მარლე და სხვები").

ქართული სამოქალაქო კოდექსით დაცულ **არაქონებრივი ღირებულების არამატერიალურ სიკეთეს** კი წარმოადგენს: 1) პირის სახელის ტარების უფლების შეცილება; 2) სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობა; 3) პატივის, 4) ღირსების, 5) საქმიანი რეპუტაციის, 6) პირადი ცხოვრების საიდუმლოების, 7) პირადი ხელშეუხებლობის დაცვის უფლება და 8) უფლება გამოსახულებაზე (იხ. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი). მათი რაობის, დაცვის ხერხებსა და საშუალებებზე საუბარი იქნება ამავე ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც ფიზიკურ პირთა პირად არაქონებრივ უფლებებს ეძღვნება.

§3. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ზოგადი დახასიათება და სახეები

საქართველოსსამოქალაქოკოდექსშისამოქალაქოსამართლებლივი ურთიერთობის სუბიექტის ცნება განმარტებული არ არის. აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამართლებლივი ურთიერთობის სუბიექტი წარმოადგენს სამართლის თეორიის კვლევის საგანს. ის კი განასხვავებს: 1) სამართლის სუბიექტებს ზოგადად და 2) სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტულ სამართლებლივ ურთიერთობებში.

სამართლის თეორიის მიხედვით, სამართლის სუბიექტი ეწოდება ზოგად სამართლებლივ ურთიერთობებში მონაწილე პირს, რომელიც ფლობს ყველასათვის საერთო უფლებებს და თავისუფლებებს ესენია:

1. უფლება უმაღლეს ღირებულებებზე (უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, უფლება ცხოვრების ღირსეულ დონეზე, უფლება კანონის წინაშე თანასწორობაზე, უფლება ჯანმრთელობაზე და ჯანსაღ გარემოზე, უფლება პატივისა და ღირსების ხელყოფის დაუშვებლობაზე, უფლება დარღვეული უფლებების ეფექტურ აღდგენაზე);
2. ძირითადი თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობა (იგულისხმება აზრის, სინდისის, რელიგიის, რწმენის თავისუფლება, პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევის დაუშვებლობა, საცხოვრებელი ადგილის ან კორესპონდენციის ხელშეუხებლობა);
3. უფლება მინიმალური სიკეთეების მოპოვებაზე (ქონების შეძენა, ოჯახის შექმნა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და სხვა).

სამართლის სუბიექტისაგან განსხვავებით, სამართლებლივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც მონაწილეობს კონკრეტულ სამართლებლივ ურთიერთობაში და გააჩნია ამ ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარისაგან განსხვავებული უფლებები და მოვალეობები. მაგ. სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილ სამართლებლივ ურთიერთობას ჰყავს ორი სუბიექტი — გამსესხებელი (კრედიტორი) და მსესხებელი (დებიტორი). მათგან, გამსესხებელს

უფლება აქვს მოითხოვოს გასესხებული ნივთის (ფულის) ანალოგიური სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთის დაბრუნება, მაგრამ ამავე დროს ვალდებულია მსესხებელს გადასცეს საკუთრებაში ფული ან გვაროვნული ნივთი. მეორე სუბიექტს – მსესხებელს კი უფლება აქვს საკუთრებაში მიიღოს სესხის საგანი, მაგრამ ვალდებულია დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (ან ფული) რაც ისესხა.

სამოქალაქოსამართლებლივი ურთიერთობა შეუძლებელია არსებობდეს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობის გარეშე. ამდენად, ყველა, ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში სახეზე იქნება კონკრეტული სამართლებლივი ურთიერთობა. შესაბამისად, ამ სახის ურთიერთობებში მონაწილეები განსხვავდებიან რა ერთმანეთისაგან უფლება-მოვალეობებით წარმოადგენენ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე – სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია – პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების ყველა ის მონაწილე, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით, ან სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტით და გააჩნია ამავე ურთიერთობის სხვა მონაწილისაგან განსხვავებული უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები კანონდებელმა მოაქცია ისეთი ზოგადი დეფინიციის ქვეშ, როგორიცაა პირები. მათი კონკრეტული ჩამონათვალი კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლში. კერძოდ, 8.1 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი (ანუ სამოქალაქოსამართლებრივი) ურთიერთობის და ამდენად სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს: ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა თუ რომელი ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირია იგი. ე.ი ამ შემთხვევაში, ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, არ მოქმედებს ფიზიკური პირის პირადი კანონი, რომლითაც: სავალდებულოდ ითვლება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი; თუ მას რამდენიმე მოქალაქეობა აქვს, მაშინ იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც ყველაზე მეტად არის იგი დაკავშირებული; ლტოლვილისათვის კი იმ ქვეყნის სამართალი, რომელმაც იგი შეიფარა.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ფიზიკურ პირთან არის გათანაბრებული ინდივიდუალური მეწარმე, ვინაიდან ეს უკანასკნელი საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით და თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

ამდენად, ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი და სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ფიზიკური პირის უფლება-მოვალეობებით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ინდივიდუალური მეწარმე ამავდროულად წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს და ამ სტატუსით მოქმედი ფიზიკური პირის არსებობისთვის აუცილებელია რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

იურიდიული პირების, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ჩამონათვალს აკონკრეტებს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლი. იგი იურიდიულ პირებს ყოფს: 1) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (1509.1 მუხლი) და 2) კერძო სამართლის იურიდიულ პირებად (1509.2 მუხლი),

სამოქალაქო კოდექსის 1509.1 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: ა) სახელმწიფო; ბ) თვითმმართველი ერთეული; გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან ,,მეწარმეთა შესახებ კანონით" განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით; დ)სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად; ე)საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა); ვ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია; ზ) სამოქალაქო კოდექსის 1509[1] მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები.

რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო კოდექსის 1509.2 მუხლი მათ მიაკუთვნებს: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, კომანდიტურ საზოგადოებას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას და კოოპერატივს.

მათ გარდა, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლში მითითებული კავშირი (გაერთიანება), რომელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას და არ არის იურიდიული პირი. ანალოგიურად, რეგისტრაციას არ საჭიროებს ოფშორულ ზონაში შექმნილი საწარმო, რომელიც სამოქალაქო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია და სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლით გათვალისწინებული ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც 1997 წლის 25 ნოემბრიდან (ანუ სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან) წარმოადგენენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების უფლებამონაცვლეებს სამოქალაქო კოდექსის 208-232 მუხლების მიხედვით და ფუნქციონირებენ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ'' საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის (№ 5277- რს) კანონის საფუძველზე.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს ზოგადად შეიძლება წარმოადგენდნენ: ფიზიკური და იურიდიული პირები, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, პირთა გაერთიანებები იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

§4. ცალკეულ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტთა სახეები

სამოქალაქო სამართლში ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას, თავის მხრივ, ჰყავს სამოქალაქო კოდექსით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სუბიექტები.

ამდენად, თვით ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე სუბიექტებს შეიძლება წარმოადგენდნენ, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები, ასევე სახელმწიფო, უცხო ქვეყნის კანონდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, ფირმები, და სხვა მსგავსი წარმონაქმნები მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა იურიდიული სტატუსი, უცხოური საწარმოების მუდმივი წარმომადგენლები, თავისუფალი საწყობის საწარმოები (თავისუფალი საწყობის საწარმო არის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით შექმნილი საწარმო საქართველოში) და ა.შ.

სამოქალაქოსამრთლებრივ ურთიერთობათა იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლებშიც მონაწილეობენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები შესაძლებელია სუბიექტთა დაჯგუფება სხვა ნიშნითაც, კერძოდ:

1. სანივთო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტები შეიძლება იყვნენ, როგორც ქონების მესაკუთრეები ისე ამ ქონების მფლობელები და მოსარგებლეები:

2. სამეზობლო სამართალში–მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი;

3. ვალდებულებით ურთიერთობებში–კრედიტორები და მოვალეები;

4. სახელშეკრულებო ურთიერთობებში–მხარეები (მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში-გამყიდველი და მყიდველი, ქირავნობისას-გამქირავებელი და დამქირავებელი და ა.შ) და მესამე პირები, თუ მათ სასარგებლოდაა დადებული ხელშეკრულება;

5. კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში-მოწილეები;

6. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დროს წარმოშობილ ურ-თიერთობებში-შემსრულებლები და მეპატრონეები;

7. უსაფუძვლო გამდიდრებისას-ვითომ-კრედიტორები (მიმღებები) და პირები, რომლებიც ვალდებულების არსებობის გარეშე გასცემენ ქონებას;

8. დელიქტის ანუ, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ ურთიერთობებში – ზიანის მიმყენებლები და დაზარალებულები;

8.1. დელიქტურ ვალდებულებებში სუბიექტები შეიძლება იყვნენ ასევე, 10 წლის ასაკს მიუღწეველი იმ ბავშვის მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას;

8.2. ანალოგიურად, ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს თუ მიაყენებს სხვა პირს, მაშინ დაზარალებულთან ერთად, ამ ურთიერთობის სუბიექტია პირი, ვისაც მასზე ეკისრება მეთვალყურეობა;

8.3. დასაქმებული პირი სამსახუროებრივ მოვალეობათა შესრულებისას, თუ ბრალეული მოქმედებით ზიანს მიაყენებს სხვას, დამსაქმებელი პირი ხდება ამ სამართალურთიერთობის სუბიექტი და მან უნდა აანაზღაუროს მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი (იხ. სკ-ის 997-ე მუხლი);

8.4. ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს, სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება კი ეკისრება იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. ანუ, ამ ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ხანძრის გაჩენაში ბრალეული პირები და ხანძრის შედეგად დაზარალებულები;

8.5. იმ შემთხვევაში თუ ცხოველის მფლობელმა არ მიიღო ზომები სხვა პირთა დასაცავად და ცხოველმა ზიანი მიაყენა მათ, მიუხედავად იმისა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული, ამ ცხოველის მფლობელს (ანუ არამესაკუთრესაც კი) ეკისრება ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ცხოველის მოქმედებიდან გამომდინარე დელიქტურ ურთიერთობებში სუბიექტებად გვევლინებიან ცხოველთა მფლობელები და დაზარალებულები;

8.6. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის გზით, სხვა პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ამ ურთიერთობის სუბიექტია სახელმწიფო ან ის

ორგანო, რომელშიც სახელმწიფო მოსამსახურე მუშაობს, თვით მოსამსახურესთან (მოსამსახურის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში) ერთად, რადგან სახელმწიფოს ან იმ ორგანოს, სადაც მოსამსახურე მუშაობდა, მოსამსახურესთან ერთად სოლიდარულად ეკისრება დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

შესაბამისად, ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები დაზარალებულებთან ერთად არიან—მოვალეობის ბრალეულად დამრღვევი სახელმწიფო მოსამსახურეები, სახელმწიფო ან ის ორგანო სოლიდარულად, სადაც მოსამსახურე მუშაობს (იხ. სკ-ის 1005.1-ე მუხლი);

9. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში ამ ურთიერთობის სუბიექტთა წრე კი საკმაოდ ფართოა, კერძოდ:

1) თუ სახელის ტარების შეცილებას ან სახელით უნებართვოდ სარგებლობას აქვს ადგილი სუბიექტები იქნებიან, ამ ქმედებით დაზარალებულები და მათი უფლებების ხელმყოფი პირები.

რაც შეეხებათ იურიდიულ პირებს, სამოქალაქო კოდექსის 24.4-ე მუხლით გათვალისწინებულია იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით. კერძოდ, ისინი ვალდებულნი არიან უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტონ ასეთი სარგებლობა და აანაზღაურონ მართსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

შესაბამისად, დავის შემთხვევაში სუბიექტია არა უფლებამოსილი პირი ანუ, იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- დირექტორის სახით, არამედ თვით იურიდიული პირი, რომლის სახელითაც მოქმედებს ეს უფლებამოსილი პირი;

2) ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საქმეზე სუბიექტები დაზარალებულთა რანგში შეიძლება იყვნენ-ერთმიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირები, გარდა სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოებისა და გარდაცვლილი პირებისა. რაც შეეხება ხელმყოფთა კატეგორიას ამ სახის სუბიექტები, " სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ," საქართველოს კანონის თანახმად შეიძლება იყვნენ, როგორც კერძო ისე საჯარო პირები;

3) უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფით პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, ასევე პირადი ხელშეუხებლობის

ხელყოფის შემთხვევაში, სუბიექტები იქნებიან-დაზარალებულები და მათი პირადი არაქონებრივი უფლების ხელმყოფი პირები:

4) "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევით სხვათა უფლებების შელახვის შემთხვევაში, სუბიექტია ერთის მხრივ ასეთი ხელყოფით დაზარალებული პირი, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც რეკლამის დამკვეთი, ისე რეკლამის მწარმოებელი და რეკლამის გამავრცელებელი:

5) პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გავრცელებით ხელყოფილი პირადი არაქონებრი უფლების დაცვის საქმეებზე, ერთის მხრივ სუბიექტია დაზარალებული, ხოლო მოპასუხის რანგში სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის პირი, რომელსაც სამსახუროებრივად ევალება ოფიციალურ დოკუმენტში მის მიერ დაფიქსირებული საიდუმლოების დაცვა, არამედ ისეთი კერძო პირიც, რომელსაც ხელი მიუწვდება პირად საიდუმლოებაზე და სამოქალაქო გარიგების ძალით აღებული აქვს ვალდებულება პირადი საიდუმლოების შენახვაზე;

6) მედიაში ჟურნალისტის მიერ ცილისწამების გამოქვეყნებას თუ აქვს ადგილი, სასამართლო დავისას, მოპასუხის რანგში, სუბიექტია- მედიის მესაკუთრე, ასევე ავტორი, რედაქტორი და ის პირიც კი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება თუ ის აშკარად და პირდაპირ უჭერდა მხარს ამ განცხადებას:

7) ფიზიკურ პირთა პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფისას, რაც შეიძლება გამოიხატოს უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრებაში, რეაბილიტირებული პირისათვის ზიანის ანაზღაურება ევალება და ამდენად, წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია სახელმწიფო.

იმ შემთხვევაში თუ წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ბრალი მიუძღვით დაზარალებულთა უფლებების შელახვაში, მაშინ ეს თანამდებობის პირებიც, სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად აგებენ პასუხს.

შესაბამისად, ისინიც წარმოადგენენ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს;

10. საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შემთხვევაში წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები არიან, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები, ხოლო გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებები (გარდა ცილისწამებისა და პირისპირ შეურაცხყოფისა) შეიძლება დაიცვას იმ პირმაც, რომელიც, თუმცა არ არის სახელის ან ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი;

11. პერსონალური მონაცემების მიღების შესახებ უფლების რეალიზაციის პროცესში არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც სურვილი აქვთ გაეცნონ და მიიღონ კერძო საკითხებთან დაკავშირებით მათ შესახებ არსებული ინფორმაციები და მეორეს მხრივ ის პირები (ორგანიზაციები, დაწესებულებები), რომლებსაც გააჩნიათ ამ სახის პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები;

12. ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას სუბიექტები შეიძლება იყვნენ დაინტერესებული პირები მაგ. დაკარგულის მეუღლე, შვილები, მშობლები და ა.შ., ვინაიდან მათ უფლება აქვთ დაიწყონ შესაბამისი პროცედურები და განცხადებით მიმართონ სასამართლოს ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე;

12.1. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არსებულ ურთიერთობებში კი სუბიექტებად გვევლინებიან კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით და მიიღონ სარგებელი;

12.2. ამავე ურთიერთობის სუბიექტები არინ დაკარგულის რჩენაზე მყოფი პირები და მოვალეებიც, ვინაიდან ამ ქონებიდან მიეცემათ სარჩო მის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები;

12.3. იმ შემთხვევაში თუ დაბრუნდება უგზო-უკვალოდ დაკარგულად აღიარებული პირი და სადაო გახდება მეურნეობის გაძღოლით სარგებლის მიღების კანონიერება, ამ საფუძვლით წარ-

მოშობილი ურთიერთობის სუბიექტები იქნებიან-- დაბრუნებული პირი და ის მემკვიდრე (მემკვიდრეები), რომლებიც მინდობილი საკუთრების სახით მართავდნენ უკვალოდ დაკარგულის ქონებას;

13. გარდაცვლილად გამოცხადების საქმეებზე სუბიექტები არიან: პირის გარდაცვლილად გამოცხადებით დაინტერესებული პირები (მეუღლეები, შვილები, მშობლები და სხვა), ხოლო გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, ის პირები, რომლებსაც უსასყიდლოდ გადაეცათ მისი შენარჩუნებული ქონება. ასევე, პირები, რომლებმაც მართალია იცოდნენ, რომ გარდაცვლილად ჩგამოცხადებული პირი ცოცხალი იყო, მაგრამ მაინც შეიძინეს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება;

13.1. იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტები იქნებიან, გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ დაბრუნებული პირი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სახელმწიფო, ვინაიდან პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა;

14. უხარისხო პროდუქციით გამოწვეული ზიანისათვის წარმოშობილ ურთიერთობათა სუბიექტები არიან უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პირები და დაზარალებულები, მიუხედავად იმისა სახელშეკრულებო ურთიერთობა არის თუ არა მათ შორის;

15. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები განსაზღვრულია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით. კერძოდ, ამ ურთიერთობის სუბიექტები არიან-ავტორი და მისი უფლებების ხელმყოფი, მათ შორის, კონტრაფაქციული ასლების შემქნელ-გამსაღებელი, პირები;

16. საოჯახო სამართლის სუბიექტებად, როგორც წესი გვევლინებიან: ქალი და მამაკაცი, რომელთაც ამოძრავებთ ოჯახის შექმნის მიზანი. თუმცა, ასევე სუბიექტია იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, ვინაიდან მხოლოდ ამ სამსახურში რეგისტრაცია ხდის ქორწინებას სამართლებრივად ლეგიტიმურს;

16.1. შვილებისა და მშობლების ურთიერთობა-მოვალეობებს

საფუძვლად უდევს კანონით, უმეტეს შემთხვევაში კი სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამდენად, ამ ურთიერობის სუბიექტები არიან მშობლები და შვილები. მათთან ერთად სუბიექტები შეიძლება იყვნენ ოჯახის სხვა წევრებიც კერძოდ, საალიმენტო ურთიერთობებში–და-ძმები, პაპა და ბებია, მამინაცვალი და დედინაცვალი, გერი, ფაქტობრივი აღმზდელი და აღზრდილი;

16.2 იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი ხდება მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა, მათ დანიშვნამდე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეკისრება სათანადო სამართლებრივი ვალდებულებები სამეურვეო პირის მიმართ (სკ-ის 1282.3-ე მუხლი). აღნიშნულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც, აშკარაა, რომ როგორც მეურვეები და მზრუნველები ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები წარმოადგენენ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს;

16.3. როცა ისმის საკითხი შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლით განსაზღვრული წესით, მაგრამ ამის ინიციატორად არ გვევლინება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ სასამართლო განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უნდა გამოვიდნენ მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. აღნიშნული აიხნება იმით, რომ ისინი გასცემენ რა თანხმობას (დასკვნებს და ა.შ.) შვილად აყვანასთან დაკავშირებით, საქმეზე მიღებული ამ გადაწყვეტილების გაუქმება ამ ორგანოების კანონიერ ინტერესებსაც ეხება, რის გამოც, იმ შემთხვევაშიც თუ მხარე არ იჩენს ინიციატივას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მესამე პირად მოწვევასთან დაკავშირებით, ასეთი უფლებამოსილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 89-ე და 203-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ უნდა იტვირთოს;

17. სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის მესამე კარზე მესამე თავის დამატების შემდეგ (2011 წლის 21 ივნისი), რომლის დასახელებაა ,,არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერობის უფლებები" ამ სახის სამოქალაქო ურთიერთო-

ბის სუბიექტი გახდა: ცენტრალური ორგანო ანუ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, ბავშვი, ანუ 16 წლის ასაკამდე პირი და განმცხადებელი. იგი გულისხმობს: ნებისმიერ პირს ან ორგანოს, რომელიც ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით/სარჩელით არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

18. მემკვიდრეობით სამართალში წარმოშობილი ურთიერთობების სუბიექტები არიან კანონით და ანდერძით მემკვიდრეები. ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მისაღებად ასევე შეიძლება მოწვეული იყოს იურიდიული პირიც.

ამასთან, ამ უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ ფიზიკური პირები ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტში, ანაც შვილები ცოცხლად დაიბადონ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ 10 თვის განმავლობაში.

ანდეძით მემკვიდრეობისას მემკვიდრეები ასევე ცოცხლები უნდა იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტში, ანდა ჩაისახონ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადონ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა მისი შვილები არიან თუ არა ისინი.

რაც შეეხება იურიდიულ პირს, სამკვიდროს მისაღებად შეიძლება მოწვეული იქნეს მხოლოდ ისეთი იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

თვით მამკვიდრებელი, მართალია სამემკვიდრეო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მაგრამ იმის გამო, რომ სამკვიდროს გახსნა მის გარდაცვალებას უკავშირდება, მას არ გააჩნია არანაირი უფლება- მოვალეობები, შესაბამისად, არ წარმოადგენს სამემკვიდრეო სამართლის სუბიექტს

ისმის კითხვა, სამემკვიდრეო სამართლის სუბიექტები არიან თუ არა ის პირები, რომლებიც დაბადებიდან მამკვიდრებელთან ცხოვრობენ, მაგრამ არ განეკუთვნებიან მის ნათესავთა წრეს.

მოქმედი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონით მემკვიდრეთა რიგს არ მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც მამკვიდრებლის ახლო ნათესავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ცხოვ-

რობენ ამ უკანასკნელთან ერთად. მეტიც, კანონით მემკვიდრე არ არის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეც კი, მიუხედავად იმისა თუ რამდენი ხანი ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად.

პრობლემას ვერ წყვეტს სამოქალაქო კოდექსში 1338-ე მუხლის არსებობა, რომელიც შეიცავს დანაწესს იმის თაობაზე, რომ არაშრომისუნარიან პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლიათ, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან, მაშინაც კი თუ ანდერძში მათ შესახებ არაფერია მითითებული.

საქმე იმაშია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად სახეზეა საალიმენტო, ანუ საოჯახო და არა სამემკვიდრეო ურთიერთობები. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირები სამემკვიდრეო სამართლის სუბიექტები არიან. არსებული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მისაღებ გზად გვესახება ის, რომ მამკვიდრებელთან ხანგრძლივად მცხოვრები პირები, რომლებსაც სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა არაშრომისუნარიანი არიან თუ არა ისინი, აღიარებულ იქნენ მე-6 რიგის მემკვიდრეებად, რათა წინა რიგის მემკვიდრეების არაარსებობისას მაინც, მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ სამკვიდრო. ანუ, კანონით მემკვიდრეთა წრე უნდა გაიზარდოს კიდევ ერთი რიგით.

აღნიშნული ვფიქრობთ მისაღებია იმის გამოც, რომ ანალოგიური ინსტიტუტის არსებობა სამართლის ისტორიაში ეჭვს არ იწვევს. კერძოდ, რომის სამართალში იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მამკვიდრებლებთან ამ უკანასკნელის სიცოცხლეში და იმყოფებოდნენ მის კმაყოფაზე, ეწოდებოდათ აგნატები. მათი უფლებრივი მდგომარეობა კი იმით იყო დაცული, რომ თუ მამკვიდრებელი უმკვიდროდ გარდაიცვლებოდა სამკვიდრო ქონება გადაეცემოდა მასთან მცხოვრებ და მის კმაყოფაზე მყოფ აგნატს.

ასეთია ცალკეულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტთა ზოგადი ჩამონათვალი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტის არსებობა დამოკიდებულია სამოქალაქო კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებით, განსაზღვრულ მთელ რიგ გარემოებებსა და ფაქტორებზე, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

კარი პირველი
პირები
თავი პირველი
ფიზიკური პირები

§1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა. შემადგენელი ელემენტები. უფლებებისა და მოვალეობების სახეები

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს ფიზიკურ პირს, ანუ ადამიანს. თუმცა, ფიზიკური პირი ამ ურთიერთობის სუბიექტად, რომ იქცეს და მიეცეს კონკრეტული უფლება-მოვალეობების გამოვლენის შესაძლებლობა, მხოლოდ ისეთი ნორმების არსებობა არ არის საკმარისი, რომლებიც ფორმალურად აღიარებენ ადამიანის როლს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ საჭიროა ისეთი ქმედითი იურიდიული მექანიზმის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირის ინდივიდუალური ნების რეალურ გამოვლენას. ასეთ იურიდიულ მექანიზმს კი წარმოადგენს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა.

სამოქალაქო კოდექსის 11.1-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის ისეთი უნარი, რომელიც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და ფიზიკურ პირს აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ამდენად, უფლება, როგორც უფლებაუნარიანობის განუყოფელი კომპონენტი სამოქალაქო სამართალში გულისხმობს სამოქალაქო სამართალის ნორმებით განსაზღვრულ იურიდიულ შესაძლებლობას. მოვალეობა ანუ, ვალდებულება კი წარმოადგენს ამ უფლების რეალიზაციის საშუალებას.

უფლება, როგორც სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შემადგენელი ელენტი ძირითადად სამი სახისაა: აბსოლიტური, კვალიფიციური /პრივილეგირებული/ და შეფარდებითი.

აბსოლიტური უფლება გულისხმობს ისეთ იურიდიულ შესაძლებლობას, როცა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან სრული და უპირობო განთავისუფლების გარანტიით, პირს ერთდროულად გააჩნია როგორც აქტიური მოქმედების ისე სხვა პირისაგან აქტიური მოქმედების განხორციელების მოთხოვნის შესაძლებლობა.

აბსოლუტური უფლებაა აზრის თავისუფლება. იგი ერთის მხრივ გულისხმობს ისეთი აქტიური მოქმედების შესაძლებლობას როგორიცაა: შეფასებითი ხასიათის მსჯელობა, თვალსაზრისის გამოთქმა, კომენტარის გაკეთება, ან ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას, მაგრამ არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. მეორეს მხრივ პირს, რომელიც აქტიურად მოქმედებს აზრის თავისუფლების კანონით დადგენილ ფარგლებში უფლება აქვს, სხვებისგან მოითხოვოს: ცენზურის დაუშვებლობა, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობა და პრულარიზმი, მხილების თავისუფლება და მამხილებელთა დაცვა. ხოლო თუ საკითხი ჟურნალისტს ეხება მას, ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაციის წყაროს საიდუმლოების დაცვა და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაყვეტილება.

ამრიგად, აზრის თავისუფლება პირს აძლევს იმის იურიდიულ შესაძლებლობას, რომ იყოს თავის ქმედებაში აქტიური და ასევე აქტიურად მოითხოვოს, რომ არ დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი მაგ. პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის.

კვალიფიციური უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც იძლევა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლების იურიდიულ შესაძლებლობას.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4.2 მუხლის თანახმად, მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. ანუ, პირს აქვს ისეთი განცხადების (მოწოდების) გაკეთების უფლება, რომელიც მიზნად ისახავს, ან უშვებს გარკვეული მოქმედების გამოწვევას (მაგ. მოქალაქეთა თავშეყრას), მაგრამ იგი არ უნდა შეიცავდეს განძრახ კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

ამრიგად, მოწოდება, როგორც კვალიფიციური სამოქალაქო უფლება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის განთავისუფლების იურიდიულ შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ ისეთი პირობების არსებობისას, თუ პირის ქმედება არ არის განზრახი და არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. მაგ.

თუ პირის მონოდებით სოფლის მაცხოვრებლები შეიკრიბებიან და 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივს მიაგებენ, ამ შეკრების ერთ-ერთი მონაწილე კი უხამსი სიტყვებით ხელყოფს ცოცხლად გადარჩენილ ომის მონაწილე კონკრეტულ პირთა პატივს და ღირსებას, შეკრების თაობაზე შეკრების ორგანიზატორს არ დაეკისრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა თუ დაამტკიცებს, რომ არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა მსგავსი კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეკრების მონაწილის მიერ გაკეთებული მოწოდება არ იქნება კვალიფიციური პრივილეგიით დაცული უფლება და ზიანისთვის პასუხს აგებს, როგორც მოწოდების გამკეთებელი ისე შეკრების ორგანიზატორიც, თუ დადგინდა, რომ მან ისარგებლა ამით, რადგან სამოქალაქო კოდესის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ამგვარი პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო უშუალოდ ზიანის მიმყენებელს, არამედ იმასაც ვინც ის დაიყოლია, ან ვინც ხელი შეუწყო, ასევე იმასაც ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

შეფარდებითი უფლება გულისხმობს ისეთ იურიდიულ შესაძლებლობას, როცა პირს თავისი აქტიურობის (შესრულების) სანაცვლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მონაწილისაგან შეუძლია მოითხოვოს აქტიურობა (სანაცვლო შესრულება) მის სასარგებლოდ. ანუ, პირის უფლების საპირისპიროდ არსებობს ვალდებულება, როგორც უფლების რელიზაციის საშუალება.

ე.ი. შეფარდებითი ხასიათის სამოქალაქო უფლების არსებობა დაკავშირებულია ორმხრივ ვალდებულებასთან. აღნიშნული თავის მხრივ განაპირობებს, რომ ვალდებულების ძალით ერთი მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს რაიმე მოქმედების, როგორც შესრულება მაგ. მისი ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა, ისე გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავებაც. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ამ სახის სამოქალაქო უფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია. კერძოდ: ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის საგნის (მაგ. გაყიდული სახლის) გამოსყიდ-

ვის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი) და ამ უფლებით მას შეუძლია ისარგებლოს 5 წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი);

მჩუქებელს თუ ჩუქების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირის რჩენა, უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი (სკ-ის 530.1-ე მუხლი;

სამოქალაქო კოდექსის 546-ე მუხლის თანახმად დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა (პირველი ნაწილი), ხოლო საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს თავის მხრივ შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით (სკ-ის 546.2 მუხლი;

ლიზინგის ხელშეკრულებით, ლიზინგის მიმღებს შეიძლება მიენიჭოს უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი (სკ-ის 576.3-ე მუხლი.);

თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ თითეულ მხარეს შეუძლია (ანუ უფლება აქვს) საიჯარო ხელშეკრულება მოშალოს 3-თვიანი ვადის დაცვით (სკ-ის 582-ე მუხლი);

მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ უძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება (სკ-ის 634-ე მუხლი) და სხვა.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სხვა სახის უფლებებსაც კერძოდ: უფლებას წარმოშობს ზიანის მიყენება/ დელიქტი. იგი წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებულ ზიანს (სკ-ის 992-ე მუხლი). შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ასე მაგალითად პირს, რომლის მიმართ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ვრცელდება ან ხმაურდება ქონებრივი ზიანის მომტანი აშკარად არასწორი ფაქტები და გამონათქვამები, უფლება აქვს ხელმყოფისაგან მოითხოვოს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 993-ე მუხლი). ანუ, ხელმოცარული პოეტი სახელგანთქმულ კოლეგას, შურიანობის მოტივით თუ განზრახ

გაუვრცელებს ხმებს, რომ იგი პლაგიატია, შედეგად კი მისი ლექსების კრებული არ გაიყიდება და პოეტს მიადგება ქონებრივი ზიანი 10 000 ლარის ოდენობით, ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გამამრცელებელი პირი ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი;

ანალოგიურად, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად პირს, რომელსაც ზიანი მიადგა, უფლება აქვს იმ პირისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომლის მუშაკიც ბრალეულად მოქმედებდა შრომითი (სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულებისას. ასე მაგ. თუ სამუშაოზე მყოფ პოლიციის მუშაკს ობიექტის დაცვისას ჩაეძინა, აღნიშნულით ისარგებლეს ბოროტმოქმედებმა და ძვირფასი ნივთები დაიტაცეს, პოლიციის მუშაკმა კი ქურდობის ჩადენის შემდეგ უმისამართოდ ატეხა სროლა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა და ნასროლმა ტყვიამ გამვლელი დაჭრა, ამ უკანასკნელის მკურნალობის ხარჯების და სხვა ქონებრივი ზიანის (მაგ. მისაღები ხელფასის) ანაზღაურება დაეკისრება საკუთრების დაცვის პოლიციას;

მედიაში თუ გამოქვეყნებული იქნა ცილისმწამებლური სტატია, რომლის შესახებაც ჟურნალისტმა იცოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, ანუ ბრალეულად მოქმედებდა, სასამართლოში დავის შემთხვევაში, მოპასუხეს წარმოადგენს მედიის მესაკუთრე და მას შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისთვის მიყენებული ქონებრივი ანდა მორალური ზიანის ანაზღაურება.

ამ შემთხვევაში მოსარჩელის უფლების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლთან ერთად, იქნება "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, ამავე კანონის მე-16 მუხლი და მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი;

მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას თუ მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება, ჯანმრთელობის მოშლა ანდა ნივთის დაზიანება, დაზარალებულს უფლება აქვს ამ სატრანსპორტო საშუალების მფლობელს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სატრანსპორტო საშუალება გამოყენებული იქნა მისი ნებართვის გარეშე), მოსთხოვოს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, ამ სახის ზიანისთვის წარმოადგენს, როგორც მესაკუთრე ისე ნებისმიერი უფლებამოსილი პირი, რომელიც მას ფლობს სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე (მაგ. დაიქირავა, იჯარით აიღო, ითხოვა და სხვა). შესაბამისად, მფლობელად არ ითვლება მძღოლი, რომელიც დაქირავებულია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ და სატრანსპორტო საშუალებაზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს მესაკუთრის სასარგებლოდ;

დაზარალებულს უფლება აქვს იმ ნაგებობის მფლობელს, რომლისგანაც მომდინარეობს მომეტებული საფრთხე (ხანძრის, აფეთქების საშიშროება ან ნაგებობაში იწარმოება, მოთავსებულია ან მიწოდებულია ენერგია ან/და შხამიანი და მომწამვლელი ნივთიერება) და ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა სხეულის ან ჯანმრთელობის, ასევე ნივთის დაზიანება ან/და სიკვდილი, მოსთხოვოს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. მაგ. არასათანადო ჰერმეტიზაციის გამო, ქიმიური ქარხნიდან გამოჟონილი ნივთიერება თუ დააზიანებს ქარხნის მიმდებარედ არსებულ ნათესებს და პირუტყვს, ქარხნის ადმინისტრაციამ უნდა აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანი სრული ოდენობით;

სამოქალაქო კოდექსი აძლევს პირს იმის უფლებასაც, რომ კანონით დადგენილი გარემოებების არსებობისას დელიქტის ფარგლებში მოითხოვოს ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის (1001-ე მუხლი), ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის (1003-ე მუხლი), შენობის ჩამოქცევით გამოწვეული (1004-ე მუხლი), სახელმწიფო მოსამსახურის მიერ (1005-ე მუხლი) და სამედიცინო დაწესებულების მიერ (1007-ე მუხლი) მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ამ სახის უფლებები რეალიზებადია სამი წლის ვადაში იმ მომენტიდან როცა პირმა შეიტყო ზიანის არსებობის ან/და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. შესაბამისად, სარჩოს გადახდის ვალდებულება იარსებებს იმ ვადაში რა ვადაშიც დაზარალებული ვალდებული იყო ეხადა იგი, მაგ. ალიმენტის მიმღები არასრულწლოვანის მიმართ, მანამ იგი სრულწლოვანი გახდება, დაზარალე-

ბულის მეუღლის მიმართ თუ ის ქალია, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სკ-ის 1182-ე მუხლი) და ა.შ.

სამოქალაქო უფლების წარმოშობის საფუძველია უსაფუძვლო გამდიდრებაც, ანუ ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის შესაძლებლობა. კერძოდ, პირს რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, უფლება აქვს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება თუ ვალდებულება არ არსებობს ან ვალდებულების საწინააღმდეგოდ შეტანილია ისეთი შესაგებელი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხავს მოთხოვნის წარდგენას (იხ. სკ-ის 976.1-ე მუხლი).

ანალოგიურად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, უფლება აქვს მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება (სკ-ის 978-ე მუხლი). ამასთან, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე და ყველაფერ იმაზე რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით (სკ-ის 979-ე მუხლი) და ა. შ.

სამოქალაქო სამართლებრივი უფლების არსებობას განაპირობებს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიც. კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 317.3-ე მუხლის შესაბამისად პირს, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ხელშეკრულების თაობაზე, უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე პირს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ იქნა დადებული;

პირს, თუ სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან მისი სახელი ილახება მისი სახელის უნებართვო სარგებლობით, სამოქალაქო კოდექსის მე-18.1 მუხლის თანახმად, უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა, ან უარის თქმა მასზე (პირველი ნაწილი);

ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც რეალურად ფლობს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ დაუკანონებია იგი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების

მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, უფლება აქვს მოითხოვოს მასზე საკუთრების უფლების აღიარება და სხვა.

მეტიც სამოქალაქო კოდექსის მე-10.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს, შეუძლიათ კანონით აუკრძალავი და კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედების განხორციელება. ამდენად, უფლების წარმოშობის "სხვა" კანონიერი საფუძველი იქნება-კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელსაც მოჰყვება სამოქალაქოსამართლებრივი შედეგის დადგომა.

ეს უფლებები არ თავსდება ძირითადი უფლებების ჩამონათვალთა შკალაში, ამდენად მიზანშეწონილია მოვიხსენიოთ, როგორც სხვა სახის უფლებები.

აღინიშნა, რომ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა გულისხმობს, სამოქალაქო მოვალეობების არსებობასაც.

მოვალეობა კი სამართლის ნორმით განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულების აუცილებლობაა. ანუ, მოვალეობა იგივე ვალდებულებაა და წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილის უფლების რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას.

შესაბამისად, იმ ურთიერთობაში, სადაც პირი აბსოლუტური უფლების მატარებელია, ამ უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმი იქნება მხოლოდ აბსოლუტური ვალდებულების არსებობა. ასე მაგალითად უძრავ ნივთზე უფლება მესაკუთრის აბსოლუტური უფლებაა, ვინაიდან ეს უფლება ფიქციად, რომ არ დარჩენილიყო კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 172.3-ე მუხლში შეიტანა სპეციალური დანაწესი იმის თაობაზე, რომ თუ უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფას ან სხვაგვარ ხელშეშლას აქვს ადგილი და მესაკუთრე მის აღკვეთას ვერ ახერხებს საკუთარი ძალებით, ამ უკანასკნელს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს /პოლიციას/ და მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა.

თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია შეასრულოს მესაკუთრის მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

სავარაუდო ხელმყოფი წარადგენს სადაო უძრავ ნივთზე მართლზომიერი უფლების დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტს.

კვალიფიციური უფლება ანუ, როგორც მას უწოდებენ კვალიფიცირებული პრივილეგია წარმოშობს ანალოგიური სახის ვალდებულებას. მაგალითად "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4.2 მუხლის თანახმად მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. ანუ, მოწოდება თავისი შინაარსით შეიძლება ქმნიდეს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ხოლო ასეთი მოწოდება პირს თუ არ გაუკეთებია განზრახ, მაშინ მსგავსი მოწოდება არ იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

შეფარდებითი ხასიათის უფლების რეალიზაციის გარანტი შეფარდებითი ხასიათის ვალდებულების არსებობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო ხელშეკრულებათა უმრავლესობა არ შესრულდებოდა. ასე მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მყიდველის უფლებას მოითხოვოს ნაყიდი ნივთის გადაცემა ეფარდება გამყიდველის ვალდებულება საკუთრებაში გადასცეს მას ნივთი, რომელშიც შესაბამისი თანხაა გადახდილი და პირიქით. ამრიგად, ხელშეკრულების ერთი მონაწილის უფლებას ეფარდება მეორე მონაწილის ვალდებულება, ხოლო მეორე მხარისას-პირველი მხარის ვალდებულება.

რაც შეეხება სხვა სახის უფლებებს, მათი შესრულების პირობები და მექანიზმი ჩადებულია თვით ამ უფლების შემცველ ნორმაში.

მოვალეობა, ანუ ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც წესი წარმოშობს მატერიალური ხასიათის პასუხისმგებლობას. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 537.1-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გაქირავებული ნივთის ნაკლი ნივთის ვარგისიანობას თუ ამცირებს და ეს ნაკლი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა, ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს ან თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ისე რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

ანალოგიურად, მჩუქებელი ბოროტი განზრახვით როცა დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი (სკ-ის 527-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზიანთან დაკავშირებით ისეთი ვალდებულების არსებობაც იცნობს, როცა ზიანი უნდა ანაზღაურდეს არამხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად კი ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო (იხ. სკ-ის 411-ე მუხლი).

ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობისათვის უცხოა იდეალური პასუხისმგებლობა, რადგან სამოქალაქო კოდექსი შეიცავს არაერთ ნორმას, სადაც აქცენტი გადატანილია იდეალურ ანუ არამატერიალურ პასუხისმგებლობაზე. ასე მაგალითად, თუ პირს სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, მაგრამ ვერ (ან არ) დამტკიცდება ხელმყოფის ბრალი, მაშინ დაზარალებულს მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე, მაშინ როცა, ხელმყოფის ბრალის არსებობისას, ხელმყოფი ვალდებული იქნებოდა აენაზღაურებინა მორალური ზიანი ქონებრივ ზიანთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად (იხ. სკ-ის მე-18.1 და მე-18.6 მუხლები).

§2. სამოქალაქო უფლებების დაცვის გზები, ხერხები და საშუალებები

ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთი შეხედულებისამებრ ახორციელებენ სამოქალაქო უფლებებს, მაგრამ თუ ამ უფლების დარღვევას ექნება ადგილი მაშინ ხელყოფილი სამოქალაქო უფლების დაცვა ხორციელდება:

1. საერთო სასამართლოსათვის ან საარბიტრაჟო სასამართლოსათვის კანონით დადგენილი წესით სარჩელით მიმართვის გზით;

2. სამოქალაქო კოდექსის 172.3-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანუ როცა სახეზეა უძრავი ნივთის ხელყოფა და სავარაუდო ხელმყოფს არ გააჩნია საკუთრების ან/და მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, მესაკუთრეს დარღვეული უფლების დაცვა შეუძლია სასამართლოში სარჩელის შეტანის გარეშეც, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს კერძოდ, პოლიციის დახმარებით. პოლიცია ასეთ შემთხვევაში მოქმედებს "საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ," საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მაისის №317 ბრძანებულების, "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული "საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი"—ს საფუძველზე;

3. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი უშვებს ასევე, როგორც საკუთარი ისე სხვათა უფლების დაცვის შესაძლებლობას აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ სხვისთვის ზიანის მიყენების გზით.

პირი, რომლის უფლებებიც დაირღვა თუ გადაწყვეტს, რომ მიმართოს სასამართლოს, დავის საგნის გათვალისწინებით, მას შეუძლია მოითხოვოს:

1) უფლების აღიარება. იურიდიული ინტერესის არსებობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის დანაწე-

სიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს მის მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარება. კერძოდ, როცა სადაო ხდება მიწის ნაკვეთის მფლობელობაში ქონა ან თვითნებურად დაკავება, პირს შეუძლია აღიარებითი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს, რომ ასეთ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. იურიდიული ინტერესის დასადგენად კი აუცილებელია- ა) არსებობდეს მხარეთა შორის დავა უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, ბ) მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, გ) დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას, დ) არსებული სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს და ე) ამ გადაწყვეტილებას სარგებელი უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, თუ მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი, ანუ იქ, სადაც შესაძლებელია აღიძრას სარჩელი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით აღიარებითი სარჩელი არ შეიტანება.

2) თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, ანუ რესტიტუცია. სამოქალაქო კოდექსის 408.1–ე მუხლის თანახმად პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ანუ, მიტაცებულ მიწაზე პირი თვითნებურად თუ ააშენებს შენობას, მიწის მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის მოთხოვნით, იგი ვალდებულია მოახდინოს ამ შენობის დემონტაჟი, მოიყვანოს ნაკვეთი წესრიგში და აანაზღაუროს ის ზიანი რაც მესაკუთრეს მიადგა ნარგავების გაჩეხვით, მიწის საფარის დაზიანებით, ნაკვეთის მოცდენით და აშ.

საკითხი სხვაგვარად წყდება იმ შემთხვევაში, როცა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია. კანონმდებელი სკ-ის 408-ე მუხლში ჩამოთვლის რამდენიმე ასეთ შემთხვევას, კერძოდ სხეულის დაზიანებით ან ჯამრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს თუ წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნები, დაზარა-

ლებული ცხადია ვერ მოითხოვს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს გადახდის სახით.

მასვე უფლება აქვს მოითხოვოს მკურნალობისათვის და პროფესიული გადამზადებისათვის საჭირო ხარჯების წინასწარ გადახდა, ხოლო თუ არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი შეუძლია სარჩოს ნაცვლად მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა;

3) ქმედების აღკვეთა. სამოქალაქო კოდექსის მე-18.1 მუხლის თანახმად, თუ პირს სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან მისი სახელის უნებართვოდ ტარებით ილახება ამ უკანასკნელის ინტერესი, უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარი თქვას მასზე.

ანალოგიურად, ამავე კოდექსის 176-ე მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ისეთი ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელიც დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობას და ეს იმთავითვე აშკარაა. (მაგ. მრავალსართულიანი შენობა იმდენად აბნელებს ეზოს, რომ მასზე ხეხილის მოყვანა შეუძლებელია);

4) ქმედების განხორციელება-სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ მიწის ნაკვეთის მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე არსებობს, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელი ღონისძიებათა გატარება საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

სამოქალაქო კოდექსის ამ მოთხოვნას ავსებს და სამოქალაქო ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს ასევე, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესები "ქალაქ თბილისში ავარიული საცხოვრებელი შენობების აღრიცხვის, გამაგრება-გაძლიერების, რეკონსტრუქციის ან დაშლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ." კერძოდ, ამ წესებით დადგენილია, რომ საკუთრების ფორმის მიუხედავად, ქალაქ თბილისში ავარიული საცხოვრებელი შენობების აღრიცხვას, ავარიულობის ხარისხს და მათი დაშლა-აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხს საბინაო მურნეობის საქალაქო სამსახურთან არსებული კომისიის დასკვნების საფუძველზე აწარმოებენ რაიონული გამგეობები. უშუალოდ შენობების დათვალიერება კი ხორციელდება დასახ-

ელებული კომისიის მიერ, ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს დავალების, რაიონული გამგეობების მიმართვების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების საფუძველზე.

გადაწყვეტილებას ავარიული საცხოვრებელი შენობების გამაგრება-გაძლიერების, რეკოსტრუქციის ან დაშლის თაობაზე, იღებს ქალაქ თბილისის მერია, რაიონული გამგეობების ან საბინაო მეურნეობის საქალაქო სამსახურის წინადადებით.

იმ შემთხვევაში თუ ავარიული საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში ან იგი წარმოადგენს კულტურის ძეგლს, წინადადება მისი გამაგრება-გაძლიერების, რეკონსტრუქციის ან დაშლის შესახებ აუცილებლად უნდა შეთანხმდეს კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანოებთან.

საცხოვრებელი სახლის შეკეთების რიგითობის განსაზღვრის წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში როცა ავარიულობა პროგრესირებადია, შექმნილია საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების ან უეცარი ჩამონგრევის რეალური საშიშროება და აუცილებელი ხდება დამზღვევი ღონისძიების დაუყონებლივ განხორციელება. (იხ. მე-17 მუხლი).

იმ შემთხვევაში თუ მიღებულ იქნა შენობის რეკონსტრუქციის ან დაშლის შესახებ გადაწყვეტილება, დამკვეთი ორგანიზაცია ვალდებულია იმოქმედოს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 28 თებერვლის №2-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესების შესაბამისად, რომელიც ავალდებულებს მას, რომ მობინადრეები გაიყვანოს რეკონსტრუქციის ზონიდან და საცხოვრებლად საშიში მწვავე ავარიული სახლებიდან;

5) განხორციელებული მოქმედების კანონიერად ცნობა. პირს უფლება აქვს მოჭრას იმ ხის, ბუჩქის ფესვები და ტოტები, რომელებიც მის ნაკვეთში მეზობელი ნაკვეთიდან გადავიდა. ასევე, პირადი საჭიროებისამებრ გამოიყენოს ასეთი ხის ან ბუჩქის ნაყოფი თუ იგი მექანიკური ზემოქმედების გარეშე, მაგ. სიმწიფის გამო, მის ეზოში დავარდა. შესაბამისად, თუ ამგვარი ქმედება სადაო გახდება, მისი უფლების დაცვის სამართლებრივი საფუძველი იქნება სამოქალაქო კოდექსის 178-ე მუხლი;

6) ურთიერთპატივისცემის გამოჩენა-სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, კანონით გათვალისწინებულის გარდა,

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. კერძოდ, ორ მეზობელს, როცა საკუთრებაში აქვს ორი ერთმანეთზე გამავალი ოთახი, ამ ოთახების გასასვლელად გამოყენების გარდა კი მათში სხვა შესასვლელი არ არსებობს და ერთ-ერთი მესაკუთრე გაყიდის ბინას, მეორე ბინის მესაკუთრისთვის იმავე ფასად შეთავაზების გარეშე, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს სხვა პირზე ბინის გაყიდვის შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლთან ერთად კი იქნება ამავე კოდექსის 54-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს დადგენილ წესსა და აკრძალვებს;

7) სამეზობლო ზემოქმედების თმენა-სამოქალაქო კოდექსის 175.1-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე, გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

ქალაქ თბილისის საკრებულომ გაითვალისწინა რა ხმაურთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მასშტაბურობა, მისი ზეგავლენის აღმოფხვრისა და რეგულირების მიზნით 2001 წლის 1 აგვისტოს მიიღო №8-9 გადაწყვეტილება "ქალაქ თბილისის საცხოვრებელ ზონებში ხმაურის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ". კერძოდ, დაევალა ქალაქ თბილისის ტრანსპორტის ორგანიზებისა და მართვის სამსახურს ცენტრალური მაგისტრალების განტვირთვისა და ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის ოპტიმალური სქემის შემუშავება. ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (რესტორნები, კაფე-ბარები, დისკოტეკები, ღამის ბარები, საცეკვაო მოედნები და სხვა) 24-00 საათის შემდეგ განსაკუთრებული კონტროლის დაწესება.

საკრებულოს ამავე გადაწყვეტილებით აიკრძალა ჩაშენებულ და მიშენებულ სათავსოებში განთავსებული რესტორნების, კაფე-

ბარების, დისკოტეკების და სხვა ობიექტების ექსპუტაციაში მიღება თუ მათ არა აქვთ ჩატარებული სათანადო ხმაურსაწინააღმდეგო სამუშაოები. სხვა მოქმედ ობიექტებში კი აუცილებელია ხმაურსაიზოლაციო საშუალებების გატარება. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი კი დავალებული აქვს ქალაქ თბილისის საკრებულოს;

8) აუცილებელი გზის მიცემა-სამოქალაქო კოდექსის 180.1-ე მუხლის შესაბამისად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისთვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. თუმცა, თუ არსებობდა ასეთი კავშირი და მესაკუთრემ მიზანმიმართულად მოშალა იგი მეზობელს არ ევალება მსგავსი თმენის ვალდებულება;

9) სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის (სერვიტუტის) უფლების მინიჭება-სამოქალაქო კოდექსის 247.1-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ;

10) იძულება ვალდებულების ნატურით შესრულების შესახებ-სამოქალაქო კოდექსის 1454-ე მუხლის თანახმად თითოეულ მემკვიდრეს უფლება აქვს სამკვიდრო ქონებიდან, მოძრავი იქნება იგი თუ უძრავი, მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით. სასამართლომ კი უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით;

11) ზიანის ანაზღაურება-მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 394-ე მუხლი), რაც თავის თავში მოიცავს უფლებას მოითხოვოს არამხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, არამედ ის მიუღებელი შემოსავალიც, რომელსაც მი-

იღებდა ვალდებულება, რომ ჯეროვნად შესრულებულიყო (სკ-ის 411-ე მუხლი);

12) ზემოქმედების თმენის სანაცვლოდ კომპენსაცია - სამოქალაქო კოდექსის 175.3-ე მუხლის თანახმად, სამეზობლო თმენის ვალდებულებათა სანაცვლოდ იმ მესაკუთრეს, რომელიც მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრისგან, მოითხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. თუმცა, ასეთი უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

ანალოგიურად, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა), მაგრამ საზღვრის დამრღვევი მეზობლისგან შეუძია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი (იხ. სკ 179.1-ე და 179.2-ე მუხლები).

სამოქალაქო კოდექსის 180.1-ე მუხლის თანახმად, ამ მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში, მესაკუთრემ მართალია უნდა ითმინოს მის ნაკვეთზე კავშირის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, მაგრამ მას უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერად გადახდაშიც გამოიხატოს;

13) მორალური ზიანის კომპენსაცია-მორალური ზიანი შეიძლება გამოიხატოს შიშში, დამცირებაში, უმწეობაში, სირცხვილსა და სხვა უარყოფით განცდებში ამდენად, მისი ფულადი ანაზღაურება იმ უფლებათა დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა, რომელთა ხელყოფასაც მორალური ზიანი მოჰყვა. იმ შემთხვევაში თუ მორალური ზიანი პირს მიადგა უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, უკანონოდ დაპატიმრების და სხვა აღკვეთის ღონისძიების უკანონოდ შეფარდების გამო, ქონებრივი ზიანის კომპენსირება ხორციელდება ზიანის მიმყენებლის ბრალისაგან დამოუკიდებლად (სკ-ის 1005. 3 მუხლი), მაგრამ თუ ამ და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით

დაცული არაქონებრივი უფლებების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, გამოსახულებაზე უფლება და სახელის უფლება) ხელყოფას აქვს ადგილი, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია ხელმყოფის ბრალეულობა. რაც შეეხება სხეულის დაზიანიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებას, დაზარალებულს ამ შემთხვევებშიც შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. (იხ. სკ-ის 413.2 მუხლი).

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ზიანის ოდენობის განსაზღვრას, აღნიშნულის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ იგი მოთხოვნილი უნდა იქნეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით;

14) მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების გამოყენება- სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შეუძლია ხელყოფილი უფლება დაიცვას მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი დამატებითი საშუალებებით როგორცაა: "პირგასამტეხლო", "ბე" და "მოვალის გარანტია". კერძოდ, პირს უფლება აქვს პირგასამტეხლოს სახით მოითხოვოს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა რომლის ოდენობა შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. მასვე, უფლება აქვს მიიღოს "ბე"-ს სახით გაცემული თანხა ორმაგი ოდენობით თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბე-ს მიმღების ბრალეული მოქმედებით ან მოითხოვოს მოვალისაგან ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს (მოვალის გარანტია). მაგ. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებისას პირს უფლება აქვს მოითხოვოს საბანკო გარანტია კონკრეტული თანხის მითითებით, რომელიც დარჩება მას თუ მეორე მხარე ნაკისრ ვალდებულებას არ შესრულებს;

15) გარიგების უცილოდ ბათილობის დადასტურება- არარა, ანუ უცილოდ ბათილი გარიგება ნიშნავს, რომ გარიგება არ არ-

სებობს და არც არსებულა. ამდენად, თუ გარიგება უცილოდ ბათილია დადების მომენტიდანვე იგი არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. კერძოდ, გარიგების ნამდვილობისთვის თუ აუცილებელია მისი დადება წერლობითი ფორმით (მაგ. სკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად უძრავ ნივთებზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერლობითი ფორმით დადება და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში)), მაგრამ თუ ეს მოთხოვნა არ შესრულებულა, ასეთი გარიგება სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილია და მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ზეპირად დამდები მყიდველი ვერ გახდება მისი მესაკუთრე. შესაბამისად, გამყიდველი ვერ მოსთხოვს მყიდველს საფასურის გადახდას.

ამ სახის გარიგებათა ბათილად ცნობასთან დაკავშირებით საჭირო არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ვინაიდან, მხარეებს შეუძლიათ არ შესრულონ იგი. თუმცა, ე. წ. "ვალდებულება" თუ მაინც შესრულდა და ერთ-ერთი მხარე პირვანდელი მდგომარეობის (რესტიტუციის) წინააღმდეგია, ანუ არ აბრუნებს იმას რაც მიიღო, მეორე მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს აღიარებითი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გარიგების უცილოდ ბათილობის დადასტურება ე.ი იმის დადგენა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არც წარმოშობილა და არც არსებობს. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს თუ იურიდიული ინტერესი გაჩნია ამავე წესით შეუძლია ასევე დოკუმენტის ნამდვილობის ან სიყალბის აღიარება;

16) გარიგების ბათილად ცნობა-იმ შემთხვევაში თუ გარიგება მასში მონაწილე მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებასთან დაკავშირებით ნაკლით ხასიათდება დაინტერესებულ პირს აქვს შეცილების უფლება. ანუ, შეუძლია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილად ცნობა. მარტივად, რომ ვთქვათ საცილო გარიგება სადაო გარიგებაა, რომელიც ინარჩუნებს ძალას მანამ, სანამ სადაო არ გამხდარა და ბათილად არ უცვნია სასამართლოს.

საცილო გარიგების სახეები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მეორე კარის მეოთხე თავში და ამ კატეგორიას მიეკუთვნება: შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებები;

17) საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი უფლებების დაცვა - საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული

გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა იმ პირთათვის საცხოვრებელი სადგომის მიკუთვნების საკითხი, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ საცხოვრებელ ფართს, მაგრამ არ გააჩნდათ მისი საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ანუ საუბარია ,,ე.წ. ატსტუპნიკებზე."

ამ სახის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად 1998 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონი. იგი სპეციალური კანონია და ეხება 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივლისამდე წარმოშობილ ურთიერთობებს.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის 1^1 მუხლის „ა" ქვეპუნქტი განასხვავებს სამი სახის მოსარგებლეს. პირველს განეკუთვნება ისეთი პირი, რომელსაც გააჩნია საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ არ არის დაცული სანოტარო გზით დადასტურების შესახებ კანონის სავალდებულო მოთხოვნა. ამიტომაცაა, რომ ამ კატეგორიის პირთა მოსარგებლედ ცნობისათვის კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს, რომ იგი დასახელებული კანონის ამოქმედების მომენტისათვის კეთილსინდისიერად და ფაქტობრივად უნდა ფლობდეს საცხოვრებელ სადგომს.

მოსარგებლეთა მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ამ საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებულნი არიან მფლობელობის უფლებით. კანონმდებელმა საჭიროდ არ მიიჩნია დასახელებული კანონის მიზნებისათვის განსხვავებულად განემარტა მფლობელობა. ამდენად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები, რადგან კერძო ხასიათის ურთიერობებია, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 27.1-ე მუხლის საფუძველზე გამოყენებული უნდა იქნას კანონის ანალოგია და მფლობელობა უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. თუმცა, ამავე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს გამონაკლის შემთხვევას იმასთან დაკავშირებით, რომ მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც, ნივთზე მართალია ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, მაგრამ ნივთის ფლობის უფლება მიღე-

ბული აქვს სხვა პირისაგან და მოქმედებს მის სასარგებლოდ. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი.

სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად მფლობელობა მემკვიდრეობით გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან (სამკვიდროს დამტოვებელთან). ანუ, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები გადადის მათ უფლებამონაცვლეებზე. ანალოგიურია ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება №ას-618-927-09 საქმეზე).

მოსარგებლეს თუ გააჩნია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ წერილობითი დოკუმენტი და მასში დაფიქსირებულია ბინის მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდის შესახებ (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა), საცხოვრებელი სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობის დასადასტურებლად მას დამატებით არ მოეთხოვება საცხოვრებელ სახლში რეგისტრაცია, და კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, ვინაიდან, დასახელებული კანონის მე-2.4 მუხლი იმ პირთათვის, რომლებსაც გადახდილი აქვთ გარკვეული ოდენობის საფასური არ ითვალისწინებს სხვა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივნისის განჩინება №ას-444-416-2010 საქმეზე, რომელმაც უცვლელად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის განჩინება, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობის დასადასტურებლად კანონით დადგენილ სტანდარტებთან დაკავშირებით) მით უფრო, რომ სადაო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების შესახებ გარიგების არსებობის და არა საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლის სტატუსის დამდგენ გარემოებას (იხ. სუსგ #ას-551-784-08, 25 ნოემბერი, 2008 წელი და #ას-184-450-08, 8 ივლისი 2008წ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა ,,საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლის უფლებამონაცვლე კანონით განსაზღვრული ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა. აღნიშნული გამომდინარეობს, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ დანაწესიდან, რომ სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

რაც შეეხება სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. ანუ, მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას (იხ. სუსგ #ას-1151-1296-08, 2009 წლის 25 ივნისი და #ას-1665-1653-2011, 28 თებერვალი 2012 წელი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და მას არ ეკისრება ვალდებულება აუცილებლად პირადად ფლობდეს საცხოვრებელ სადგომს. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სადაო ფართის მფლობელობა მოსარგებლემ შეწყვიტა სადგომოდან ამოწერის და სხვა მისამართზე საცხოვრებლად გადასვლის გზით, არ კმარა იმის სამტკიცებლად, რომ ასეთმა პირმა მფლობელობა შეწყვიტა, თუკი დადგინდება, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება რაიმე საფუძვლით (თხოვება, ქირავნობა) გადასცა სხვას ან ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რადგან სახეზეა იმის მამტკიცებელი გარემოება, რომ მან უფლება გამოიყენა მართლზომიერად, კერძოდ, მოახდინა მფლობელობის უფლების მისი სურვილისამებრ რეალიზაცია (იხ. სუსგ #ას-487-461-2012 წლის 17 ივლისი. ამ განჩინებით დაკმაყოფილდა კასატორ გ. და მ.დუდაშვილების საკასაციო საჩივარი, რომელიც ამავე სამართლებრივ საფუძვლებზე იყო აგებული და ამ ნაშრომის ავტორის პოზიციის გათვალისწინებით იქნა შედგენილი).

არცთუ ისე ხშირად, მაგრამ გვხდება შემთხვევები, როცა სად-

აოა მოსარგებლის უფლება რადგან დანგრეულია მოსარგებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი. ამ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატამ განმარტა (იხ.2011 წლის 8 ივლისის განჩინება #ას-266-250-2011 საქმეზე. მომხსენებელი -თეიმურაზ თოდრია), რომ საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. ამდენად, კანონით დადგენილი წინაპირობების (კომუნალური გადასახადის გადახდა, რეგისტრაცია და სხვა) არსებობის შემთხვევაში აქვს მესაკუთრედ ცნობის უფლება, როგორც მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე, ისე მიწის იმ ნაკვეთზე, რომელზეც უშუალოდ იდგა (და არა მიმდებარე ტერიტორიაზე) ეს საცხოვრებელი სადგომი.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2.4 მუხლში არსებული დანაწესი იმის თაობაზე, რომ მესაკუთრისათვის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის გადახდა არ წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობის დადასტურებას, თავის მხრივ განაპირობებს, დასახელებული კანონის მიზნებისათვის, ქირავნობის ხელშეკრულებისა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 290-ე მუხლი არეგულირებდა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს. კერძოდ, ამ კოდექსის 290.3-ე მუხლის თანახმად, ამგვარი ხელშეკრულების დადება, შეცვლა და მოშლა შეიძლებოდა

საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და პირობებით. იმ დროს მოქმედი საქართველოს საბინაო კოდექსის 136-ე მუხლი კი მოქალაქეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, აძლევდა უფლებას, რომ შეესახლებინათ მასში სხვა მოქალაქეები, ასევე გაექირავებინათ იგი კანონით დადგენილი პირობებითა და წესით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 271-ე მუხლის

მიხედვით ქირავნობის ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა შეადგენდა 10 წელს. ამასთან, დასახელებული კოდექსის 270-ე და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 142-ე მუხლი, ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულებისათვის, მოითხოვდა წერილობით ფორმის დაცვას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ძველი კანონმდებლობით ქირავნობითი ურთიერთობა, ვინაიდან ითვალისწინებდა გარკვეული ვადით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობასაც, ქირავნობის პირობით საცხოვრებელი სადგომის გადაცემის ფაქტის დასადასტურებლად აუცილებელი გახდა ქირავნობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეული საფასურის, როგორც ერთჯერადი ისე ყოველთვიურად, გადახდა თავისთავად არ უთითებს ქირავნობით ურთიერთობაზე და დავის შემთხვევაში თუ მოპასუხე სასამართლოს არ წარუდგენს ქირავნობის ხელშეკრულებას წერილობითი ფორმით (რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს) არ მიიჩნევა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მოქირავნეს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-444-416-2010 საქმეზე).

მოსარგებლეთა მესამე კატეგორიას კი განეკუთვნებიან ის პირები, რომლებსაც მფლობელობის უფლება მიღებული აქვთ ადმინისტრაციული აქტით. იგულისხმება ყოფილი მშრომელთა დეპუტატების რაიონული/საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ გაცემული ორდერები და ა.შ.

დასახელებული კანონის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე წერილობითი შეთანხმება, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლეს (უფლებამონაცვლეს) გადაუხდის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ს. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს თავის მხრივ უფლება აქვს მესაკუთრეს

მოსთხოვოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის სანაცვლოდ, დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

იმ შემთხვევაში როცა მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში, მაგრამ თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის კომპენსაციის სახით 75%-ის გადახდაზე, მოსარგებლეს შესაძლებლობა ეძლევა მესაკუთრეს გადაუხადოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ი და მოითხოვოს მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა (იხ. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის 1, 2 და 3 პუნქტები).

"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით მოწესრიგებულია იმ მესაკუთრისა და მოსარგებლის სამართლებრივი მდგომარეობაც, როცა მესაკუთრის საცხოვრებელ სადგომში მოსარგებლე შესახლებული იყო ადმინისტრაციული აქტის (მაგ. ორდერი) საფუძველზე. კერძოდ, მესაკუთრეს ასეთ შემთხვევაში შეუძლია მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ რაც, მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის იმ საბაზრო ღირებულებას, რომელსაც მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით გადაწყვეტს სასამართლო.

საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში (როცა არ არსებობენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები) მოსარგებლე უფლებამოსილია მოითხოვოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის უმკვიდროდ ცნობა. სასამართლოს მიერ უმკვიდროდ ცნობილი საცხოვრებელი სადგომი კი მოსარგებლეს გადაეცემა უსასყიდლო საკუთრებაში და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებული პირის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება

2007 წლის 1 იანვრიდან. იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლე მისთვის მინიჭებულ უფლებებს არ განახორციელებს, ,,საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მესაკუთრეს არა აქვს უფლება, უპირობოდ მოსთხოვოს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა. ამასთან, ამ კანონით დადგენილი უფლებების განხორციელებაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა.

,,საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2.11 მუხლის თანახმად, საცხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზეც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით. არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც სახეზეა რეგისტრაციით და კომუნალური გადასახადებით წარმოშობილი ურთიერთობა და მოსარგებლე მიუთითებს, რომ მის მიერ საცხოვრებლად ფაქტობრივად დაკავებულ ფართთან ერთად ფლობს ასევე უშუალოდ ამ ფართისაგან მოშორებით ეზოში არსებულ სათავსოს (მაგ. საკუჭნაოს), აღნიშნული მიჩნეული უნდა იქნას საცხოვრებელი სადგომის ფართში. ამ ფართზე დათმობის გარიგების არსებობა კი უნდა დადასტურდეს უშუალოდ აღნიშნული ფართის მოხმარების დამადასტურებელი მტკიცებულებებით;

18) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის გაუქმება-ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლების ხელყოფა ხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. რის გამოც დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს ადმინტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს და მოითხოვოს მისი ძალადაკარგულად გამოცხადება, არარად აღიარება ან ბათილად ცნობა.

ადმინისტრაციული აქტის არარად(უცილოდ ბათილად) აღიარების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მაშინ როცა შეუძლებელია აქტის გამომცემი ორგანოს დადგენა, ან თუ იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ, მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო ან/და, მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

იმ შემთხვევაში როცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აქტის გამომცემ ორგანოს მოსთხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. მასვე, უფლება აქვს მსგავსი მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, მისგან უარის მიღების შემთხვევაში კი სასამართლოსგან სასარჩელო განცხადებით მოითხოვოს აქტის ბათილად ცნობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში კი ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

აღსანიშნავია, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თუ გამოცემული ან დადასტურებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე (2000 წლის 1-ლ იანვრამდე) და ამ აქტის საფუძველზე პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება (მაგ. მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაიყიდა ეს ნაკვეთი), ასეთი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ შეიძლება გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ და ა.შ. (იხ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი).

სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა უფლებების ზემოთ მოყვნილ ჩამონათვალს არ აქვს სისრულის პრეტენზია, რადგან ყოველდღიურ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს ამ ურთიერთობისთვის დამახასიათებელი უამრავი სპეციფიკური უფლებები და მოვალეობები. თუმცა, წარმოდგენას კი ქმნის მასზედ თუ რა უფლებები შეიძლება ჰქონდეს პირს ზოგადად და სად შეიძლება ეძებოს დაინტერესებულმა პირმა ის კონკრეტული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დაეხმარება კანონით მინიჭებული უფლებების ეფექტურად დაცვაში.

§3. უფლებაუნარიანობის წარმოშობა და შეწყვეტა

უფლებაუნარიანობა კონტინენტური ევროპის სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია და გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე სუბიექტური უფლება. მეტიც, ამ უკანასკნელს მთლიანად მოიცავს უფლებაუნარიანობა.

თავის მხრივ, უფლება ყოველთვის კონკრეტულია, დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე და დასაშვებია მისი შეზღუდვა. თუმცა, ეს არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ფიზიკურ პირს შეიძლება საერთოდ არ ქონდეს უფლებაუნარიანობა რადგან:

ა) ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობაში შედის ყველა ის ზოგადი უფლება, რომლთა შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი. მაგ. პირს შეუძლია ჰქონდეს ქონება და პირადი საკუთრება, მაგრამ კონკრეტულ ქონებაზე მისი უფლება წარმოიშობა ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის და ა.შ. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში;

ბ) ფიზიკურ პირს, ზოგადად ასევე აქვს ქორწინების უფლება, მაგრამ კონკრეტულ პირზე დასაქორწინებლად მისი უფლება წარმოიშობა საქორწინო ასაკის, ანუ 18 წლის მიღწევისას, გარდა ისეთი საგამონაკლისო შემთხვევებისა, როცა საქორწინო ასაკი შემცირებულია 16 წლამდე.

კანონი იცნობს, ორ ასეთ შემთხვევას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად, საქორწინო ასაკის 16 წლამდე შემცირება შეიძლება განხორციელდეს მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით. ხოლო თუ პატივსადები მიზეზი (მაგ. ბავშვის დაბადება, დაქორწინების მსურველი ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე) არსებობს, მაგრამ მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები) დაქორწინების წინააღმდეგები არიან, სამოქალაქო კოდექსის 1108.3-ე მუხლის შესაბამისად, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ.

უფლებაუნარიანობის წარმოშობა და შეწყვეტა დაკავშირებულია ისეთი იურიდიული ფაქტების (ხდომილების) არსებობასთან, როგორიცაა: დაბადება და გარდაცვალება.

თანამედროვე მედიცინაში მიჩნეულია, რომ დაბადება არის ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნოდან. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა რამდენ ხანს იცოცხლებს ახალშობილი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა დაკავშირებულია მის სიცოცხლისუნარიანობასთან. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს სიცოცხლის იურიდიული საზღვრები (მისი საწყისი და ბოლო).

აღნიშნული თავის მხრივ, იძლევა პასუხს კითხვაზე – განვითარების რა ეტაპზე იქცევა ადამიანის ემბრიონი, ანუ ნაყოფი სიცოცხლისუნარიანად და შესაბამისად სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სიცოცხლისუნარიანად ითვლება ნაყოფი 7 თვიანი განვითარებით, რომლის წონა არანაკლებ 1000 გრამია, ხოლო სხეულის სიგრძე არანაკლებ 35 სმ. თუმცა, ეს პარამეტრები პირობითია, ვინაიდან ყოველდღიური რეალობა არაერთ ისეთ შემთხვევას იცნობს, როცა ნაკლები წონისა და სიგრძის ახალშობილი მოევლინა ქვეყანას და განაგრძობს არსებობას. მაგ. რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ ირკუტსკში, დაიბადა ხუთთვიანი გოგონა ნ. ლ. რომელიც იყო წონით 300 გრამი და სიგრძით 26 სანტიმეტრი.

როგორც წესი, ახალშობილი უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, იძენს დაბადების მომენტიდან. გამონაკლისის სახით ფიზიკურ პირს ცალკეული უფლება ასევე შეიძლება ჰქონდეს დაბადებამდე. ანუ, უფლებათა გარკვეული ნაწილი შეიძლება გააჩნდეს ემბრიონსაც. კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის თანახმად, იმ პირებთან ერთად, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიცოცხლის მომენტისათვის, კანონით მემკვიდრეებად მიიჩნევიან მამკვიდრებლის ისეთი შვილებიც, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადნენ. ანდერძით მემკვიდრეობისას კი-ის პირები, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა მისი შვილები არიან თუ არა ისინი.

კანონმდებლობის პოზიცია ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მიმართ ნათლად ჩანს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილიდან. მასში ნათქვამია, რომ ,,მემკვიდრედ ყოფნის უფლება

წარმოიშობა ჩასახვისთანავე". თუმცა, იქვე არის დათქმა იმის თაობაზე, რომ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადების ფაქტზე.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ დაბადებამდე პირი სამოქალაქო სამართლის სუბიექტად არ ითვლება, მაგრამ შეიძლება დაბადებამდეც გააჩნდეს ცალკეული უფლება, მაგალითად, მემკვიდრედ ყოფნის უფლება. ასეთი უფლებაუნარიანობა სრული მოცულობის უფლებაუნარიანობად ვერ ჩაითვლება და ამიტომაც უწოდებენ მას შეზღუდულ უფლებაუნარიანობას.

უფლებაუნარიანობა ამ შემთხვევაში შეზღუდულია იმით, რომ იგი მხოლოდ მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს. ამავე დროს ეს უფლებაუნარიანობა პირობითიცაა, რადგან მისი განხორციელება დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე.

ამრიგად, საქართველოს სინამდვილეში ადამიანის სიცოცხლე იწყება დაბადების მომენტიდან. მისგან განსხვავებით გერმანიაში მიჩნეულია, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება კვერცხუჯრედის განაყოფიერების მომენტიდან. შესაბამისად. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორსულობა საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) აკრძალულია და მისი ხელოვნურად შეწყვეტა იწვევს სოლიდური ჯარიმის დაკისრებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალს გააჩნია თავისუფლება თვითონვე გადაწყვიტოს ორსულობის შეწყვეტის საკითხი, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ემბრიონს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. ირლანდიაში კი კონსტიტუციითაა აკრძალული ორსულობი შეწყვეტა და ა.შ.

ამდენად, უფლებაუნარიანობა დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ სიცოცხლის უფლებასთან, იგი ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით და სამართლით აღიარებულ უნარს წარმოადგენს. შესაბამისად, არც კანონით, არც რაიმე სახის გარიგებით, ფიზიკურ პირს არ შეიძლება წაერთვას უფლებაუნარიანობა (სკ-ის მე-11.4 მუხლი).

უფლებაუნარიანობის შეწყვეტას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიკვდილის მომენტის ზუსტად დადგენას. კერძოდ, სიკვდილის დროის დადგენა მნიშვნელოვანია სამემკვიდრეო სამართალში, რადგან სამკვიდრო მიღებული უნდა

იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან (სკ-ის 1424-ე მუხლი). სამკვიდრო კი გახსნილად ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების (ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის) დღე (სკ-ის 1320-ე მუხლი).

მედიცინის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსი გარდაცვალების მომენტად თვლის თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას (სკ-ის მე-11.3 მუხლი), რაც ავტომატურ რეჟიმში იწვევს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტასაც.

ე.ი. თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფიზიკური პირის გარდაცვალების ფაქტის დასადგენად. ამ მიზნით არსებობს შემდეგი პროცედურა–უფლებამოსილი პირი ჯერ ჩვეულებრივი გასინჯვით, შემდეგ კი ორჯერადი ინსტრუმენტალური გამოკვლევით ვალდებულია, მინიმუმ 12 საათიანი ინტერვალით, აწარმოოს დაკვირვება და მხოლოდ ამის საფუძველზე დააფიქსიროს თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა, ანუ სიკვდილი.

§4. ქმედუნარიანობა. სახეები, წარმოშობა და შეწყვეტა

ფიზიკურ პირს, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, უფლებაუნარიანობასთან ერთად გააჩნია ქმედუნარიანობაც. სამოქალაქო კოდექსის მე-12.1 მუხლის შესაბამისად ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ამრიგად, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე კი არ იძენს, არამედ იგი დაკავშირებულია მის ასაკთან და ჯანმრთელობასთან. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12.1 მუხლის თანახმად, ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს (სკ-ის მე-12.2 მუხლი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ფიზიკური პირის სრული ქმედუნარიანობის განმსაზღვრელი ასაკი 18 წლის მიღწევაა. ამ ასაკის მიუღწეველი პირი შვიდი წლის ასაკის შესრულებამდე წარმოადგენს ქმედუუნარო პირს (სკ-ის მე-12.4 მუხლი). ე.ი. სახეზეა ქმედუუნაროობა ასაკის გამო. შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი კი ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად (სკ-ის მე-14.1 მუხლი).

სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი სამართალსუბიექტობით 18 წელს მიუღწეული პირი გახდეს ქმედუნარიანი. ანუ, კანონი აღიარებს ემანსიპაციის ინსტიტუტის არსებობას. აღნიშნულს კი მაშინ აქვს ადგილი, როცა პირს ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას, კანონმდებელი მას ათანაბრებს სრულწლოვან პირთან. უფრო კონკრეტულად კი მსგავს შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წამომადგენელი მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას (სკ-ის 65.2-ე მუხლი) და საწარმოს მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში იგი მონაწილეობს, როგორც ქმედუნარიანი პირი.

არსებობს კიდევ ერთი გამონაკლისი, რაც ემანსიპაციას არ უკავშირდება, მაგრამ უშვებს, რომ პირი 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეიძლება გახდეს ქმედუნარიანი. კერძოდ, ეს დაკავშირე-

ბულია 16 წლის ახალგაზრდის დაქორწინებასთან, რისთვისაც, აუცილებელია მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) წერილობითი თანხმობა. მათი მხრიდან თანხმობის მიუცემლობის შემთხვევაში კი უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილება.

18 წლის ასაკის მიღწევისთანავე ფიზიკური პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე სახის დოკუმენტის შედგენა აუცილებელი არ არის.

ფიზიკურ პირს ქმედუნარიანობასთან ერთად გააჩნია დელიქტუნარიანობაც, ანუ იმის უნარი, რომ თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დელიქტის (ზიანის) არსებობის შემთხვევაში ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება მხოლოდ 10 წლის ასაკს მიუღწეველ პირს (სკ-ის 994.1-ე მუხლი), მაშინ როცა, ფიზიკური პირის სრული ქმედუნარიანობისათვის აუცილებელია, რომ მას შეუსრულდეს 18 წელი. ცხადია არ იგულისხმება შემთხვევა, როცა მშობლების წერილობითი თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაქორწინდება ხორციელდება 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

სამოქალაქო კოდექსის 994.3-ე მუხლიდან გამომდინარე დელიქტუნარიანობის არსებობისათვის, 10 წლის მიღწევასთან ერთად საჭიროა, რომ ასეთ პირს შეეძლოს თავისი მოქმედების გაგება. წინააღმდეგ შემთხვევაში 10 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი პასუხს არ აგებს იმ მართლსაწინააღმდეგო ზიანისათვის რაც სხვას მიაყენა.

დელიქტუნარიანობის არარსებობა არ გულისხმობს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე საერთოდ უარის თქმას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ეკისრებათ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს, თუკი ვერ შეძლებენ დაამტკიცონ, რომ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (სკ-ის 994.2-ე მუხლი).

სამოქალაქო კანონმდებლობა პირის სრულ ქმედუნარიანობას აკავშირებს ჯანმრთელობასთანაც. კერძოდ, ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას ნორმალური განსჯის უნარს (სკ-ის მე-12.5 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში არ იგულისხმება ისეთი ფიზიკური ნაკლი, როგორციაა: კოჭლობა, ენაბლუობა, სიბრმავე და სხვა, არამედ სახეზე უნდა იყოს ჭკუასუსტობა ან სულით ავადმყოფობა.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას. მისსავე კომპეტენციაში შედის ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების შემდეგ, მისი კვლავ აღიარება ქმედუნარიანად.

სამოქალაქო კანონმდებლობა კრძალავს ქმედუნარიანობის შეზღუდვას გარიგებით (სკ-ის მე-13 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ მოითხოვონ სხვა პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა ურთიერთშეთანხმების გზით, რადგან ასეთი დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავის მხრივ სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევებს. კერძოდ: ა) ასაკის გათვალისწინებით შეზღუდული ქმედუნარინობის მქონე პირია არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე; ბ) შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერების, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ოჯახს და სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას.

ამრიგად, შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება ისეთი სრულწოვანი პირიც, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შესაბამისად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს (სკ-ის მე-14.2 მუხლი).

ქმედუნარიანობის შეზღუდვის სხვა შემთხვევას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლი. კერძოდ, ამ ნორმით დადგენილია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მზრუნველობა წესდება ისეთ სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები. ე.ი. ფაქტობრივად სახეზეა პატრონაჟის ინსტიტუტი, თუმცა, მთელი რიგი სახელმწიფოებისგან განსხავებით, ამ დასახელებით იგი მოხსენიებული არ არაა ქართულ სამოქალაქო კოდექსში. მას აწესებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თვით სრულწლოვანი პირის თხოვნით.

1997 წლის სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი 14-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანებს ნაწილობრივ ქმედუნარიან პირებად მიიჩნევდა. ამ სახის ქმედუნარიანობის ინსტიტუტს კი ახალი სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგებების დადებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლების ან მზრუნველის თანხმობა. თუმცა, რიგ შემთხვევებში იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლადაც დადოს გარიგებები. ეს უფლება, არსებითად განასხვავებს მას ქმედუუნარო პირისაგან, რომლის ინტერესებსაც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე) წარმოადგენს.

ქმედუუნარო პირისგან განსხვავებით, შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მონაწილეობით, დადებული გარიგებები შეიძლება იყოს ნამდვილი. კერძოდ, ზოგადი წესის თანახმად, რომელიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლში, შეზღუდულქმედუნარიან პირთა მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობა, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როცა ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლისა და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ საჭიროებს წამომადგენლის თანხმობას. მიღებული სარგებლის ცნებას კი სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს და მისი არსებობა უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული სხვა სახის გარიგებების ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლების წინასწარი თანხმობა. კერძოდ, თუ არასრულწლოვანი ყიდულობს ნაყინს, ამ გარიგების დადებისათვის, მცირე მნიშვნელობის გამო, მას არ სჭირდება მშობლების წინასწარი თანხმობა, მაგრამ თუ იგი დააპირებს ავტომანქანის შეძენას, ასეთი გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

მოქმედი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე შეზღუდული

ქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება არ ჩაითვალოს ბათილად, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს მას. ანუ, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული გარიგება შეიძლება იყოს საცილო თუ მისი ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის წინასწარ თანხმობაზე, ან მერყევად ბათილი ეს კი ისეთი შემთხვევაა, როცა გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის მიერ უკვე დადებული გარიგების მოწონებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულწლოვან პირს შეიძლება შეეზღუდოს ქმედუნარიანობა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ქმედუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების შემთხვევებში. თუმცა, ამისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ფიზიკური პირი უნდა აყენებდეს თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა გულისხმობს, რომ პირს ეზღუდება ქონების განკარგვის თაობაზე გარიგებების დადების უფლება მზრუნველის თანხმობის გარეშე. ანალოგიურად, მზრუნველის თანხმობაა საჭირო ხელფასის, პენსიის ან სხვა სახის შემოსავლის განკარგვისათვის.

გადაწყვეტილება ქმედუნარიანობის, როგორც შეზღუდვის და მზრუნველის დანიშვნის, ისე ქმედუნარიანობის გაუქმების შესახებ უნდა მიიღოს სასამართლომ. რაც შეეხება ქმედუნარიანობის შეწყვეტას იგი დაკავშირებულია ადამიანის გარდაცვალებასთან, ანუ ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტასთან.

ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელი ხდება იმ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა ან არაქმედუნარიანად ცნობაც, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებს, მაგრამ საქართველოში აქვთ საცხოვრებელი ადგილი. ასეთ შემთხვევებში ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან არაქმედუნარიანად ცნობის მოთხოვნა უნდა გაეგზავნოს იმ ქვეყნის სასამართლოს, რომლის მოქალაქეც ეს პირია, მაგრამ თუ ამ ქვეყნის სასამართლო სამი თვის განმავლობაში არ დაიწყებს საქმის განხილვას ან არ გამოხ-

ატავს თავის აზრს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საქმეს განიხილავს საქართველოს სასამართლო ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით.

მიღებული გადაწყვეტილება კი გაეგზავნება იმ ქვეყნის სასამართლოს რომლის მოქალაქეც ეს პირია. ანალოგიური წესი გამოიყენება ქმედუნარიანობის აღდგენის შემთხვევაშიც (იხ. "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" კონვენციის 24.2-ე და 24.3-ე მუხლები).

§5. სახელის უფლება

ფიზიკური პირის, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის არსებობა მოითხოვს სხვა პირთაგან მის ინდივიდუალიზირების აუცილებლობას. აღნიშნულს კი უზრუნველყოფს სახელის უფლება.

„ბავშვის უფლებების შესახებ" 1989 წლის საერთაშორისო კონვენციის მე-7 მუხლი მოითხოვს, ხელშემკვრელი მხარეებისგან, რომ დაბადებულ ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელი.

ამრიგად, დასახელებული კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვს დაბადებისთანავე აქვს სახელის უფლება. ეს დებულება საქართველოს სინამდვილეში კი რეალიზებულია სამოქალაქო კოდექსის მე-17.1 მუხლში და ,,სამოქალაქო აქტების შესახებ კანონში.

საბჭოთა პერიოდში სახელის ანთროპონომია სამწევრიანი იყო. იგი მოიცავდა სახელს, მამის სახელსა და გვარს. თანამედროვე ქართული სახელის ანთროპონომია კი ორწევრიანია და გულისხმობს მხოლოდ სახელსა და გვარს.

სახელი პიროვნების განუყოფელი ელემენტი და მისი ინდივიდუალიზაციის უპირველესი საშუალებაა. ამიტომაცაა, რომ ფიზიკური პირის სახელს სხვაგვარად ,,სამოქალაქო სახელსაც" უწოდებენ.

ფიზიკურ პირს გარდა იმისა, რომ აქვს უფლება სახელსა და გვარზე, ეს უფლება მოიცავს ასევე პირის შესაძლებლობას შეიცვალოს ისინი, ატაროს დედის ან მამის გვარი, ან/და დედის და მამის შეერთებული გვარი, მეუღლის გვარი, მეუღლისა და თავის შეერთებული გვარი. ისეთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა მეუღლეებს დაქორწინებამდე უკვე ჰქონდათ შეერთებული გვარი.

ფიზიკურ პირებს, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლებს, შეუძლიათ ფსევდონიმით სარგებლობა, მაგრამ ფსევდონიმი უნდა იყოს გამოგონილი სახელი, რაც გამორიცხავს სხვისი სახელით სარგებლობას.

სახელის უფლების შინაარსი მოიცავს ადამიანის უფლებას იქონიოს სახელისა და ფსევდონიმისაგან განსხვავებული არაო-

ფიციალური სახელიც, რომელიც ასევე სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება.

სახელს ბავშვს არქმევენ მშობლები ურთიერთ შეთანხმებით. გვარი, როგორც წესი, ეფუძნება წარმოშობას ან ქორწინებას. საკუთარი სახელი და დაბადებით მინიჭებული გვარი შეიტანება მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებში, კერძოდ, დაბადების სააქტო ჩანაწერში. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საკუთარ სახელთან და გვართან ერთად მამის სახელის შესახებ მონაცემის აღნიშვნასაც. თუმცა, მამის სახელი არ წარმოადგენს სახელის აუცილებელ კომპონენტს და სააქტო ჩანაწერში მისი აღნიშვნა ემსახურება სახელის რეგისტრაციისაგან განსხვავებულ მიზნებს. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის გვარი აღინიშნება მშობლის გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, ბავშვის გვარი ჩაიწერება მიმის ან დედის გვარის მიხედვით. ან/და ბავშვს, თუ მისი მშობლები თანახმანი არიან, შეიძლება მიეკუთვნოს მშობლების შეერთებული გვარი.

მშობლები ბავშვის გვარის თაობაზე თუ ვერ შეთანხმდებიან და მათ საერთო გვარი არა აქვთ, გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი მმართველობის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. დაბადების რეგისტრაცია და ახალშობილისათვის სახელის (გვარის) მიკუთვნება კი წარმოებს ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

ზოგიერთ ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული სახელის შერჩევასთან დაკავშირებით. მაგ, ეკვადორის ერთ-ერთ დასახლება მანტაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუკრძალა მშობლებს თავიანთ შვილებს დაარქვან მდინარეების, მთების და ქალაქების სახელები.

ანალოგიურად, შეზღუდვებია გერმანიაში. კერძოდ, ამ ქვეყნებში მშობლებს სურდათ თავიანთ ქალიშვილისათვის დაერქმიათ ჯონა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საქმე იმაშია, რომ სახელი ჯონა ბიბლიური წინასწარმეტყველის იონასაგან მომდინარეობს და ისრაელში ქალის საკმაოდ გავრცელებულ სახელს წამოადგენს თუმცა, გერმანიაში ჯონა მამაკაცის სახელად ითვლება, რის გამოც სასამართლომ არ მისცა უფლება მშობლებს ეს სახლი უწოდონ თავიანთ ქალიშვილს.

სხვა არაერთ ქვეყანაში, კონკრეტულად კი რუსეთში, სახელთან მიმართებაში შეზღუდვა არ არსებობს. აღნიშნულს ცხადყოფს ის, რომ 1992 წელს დაბადებულ ბავშვს მშობლებმა არც მეტი, არც ნაკლები „დიქტატურა" დაარქვეს. ანალოგიურად, შეუზღუდავია მშობლების უფლებები ამ მხრივ ინდოეთშიც, სადაც მშობლებმა თავიანთ შვილს 1478 ასოსაგან შემდგარი სახელი დაარქვეს და მის წასაკითხად სულ ცოტა 10 წუთი მაინც არის საჭირო.

ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ შეზღუდვებს არ იცნობს ქართული კანონმდებლობაც. აღნიშნულის შედეგია ის, რომ ხშირად გვხვდება ისეთი უცნაური სახელები, როგორიცაა: სააგენტო, მენახო, ელშუქი, ბრძოლვერდი, მაუგლი, პრისტავკა, ანდამატი, ირმიზოლდი, ძილვი, ჯღარკუ, დირექტორი, ფიზიკა, კონვეირი და სხვა. თავის დროზე მშობლების მიერ შვილებისათვის გაუაზრებლად შერქმეული სახელები კი ხშირ შემთხვევაში მათი შეცვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება.

სახელის შეცვლა ხორციელდება „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. 16 წელს გადაცილებული პირებისათვის სახელის შეცვლა, ისე, როგორც სახელის თავდაპირველი რეგისტრაცია, განეკუთვნება იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) კომპეტენციას, რომელსაც სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული აქვს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილება. 16 წლამდე ფიზიკურ პირთა სახელის (გვარის) შეცვლა კი ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამდენად, სახელის შეცვლის უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ, როგორც სრულწლოვანმა, ისე არასრულწლოვანმა მოქალაქეებმა. სრულწლოვანები ამ უფლებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, ხოლო არასრულწლოვანები, მშობლების ან ერთ-ერთი მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობენ ისინი, ან მშობლების შემცვლელ პირთა თანხმობით.

უნდა ითქვას ისიც, რომ სახელის შეცვლის უფლება შეზღუდულია საჯარო სამართლებრივი ინტერესებით. მაგ. 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის სახელის შეცვლისათვის აუცილებელია მისი თანხმობა. ამასთან, კანონი განსაზღვრავს იმ მიზეზებს, რომლებიც

შესაძლოა საფუძვლად დაედოს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლას და იმ გარემოებებს, რომელთა გამოც დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის მოთხოვნაზე.

საკუთარი სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლი საფუძვლიანია: როცა ის წარმოსათქმელად რთულია, არაკეთილხმოვანია ან აკნინებენ ადამიანის პიროვნებას; შეუსაბამოა ადამიანის ეროვნულობასთან; პირს სურვილი აქვს მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი: მიიღოს ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი; დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი ან მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი. სახელის შეცვლა დასაშვები შეიძლება იყოს აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც თუ არსებობს კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მიზეზი, მაგრამ მისი საფუძვლიანობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს — იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მამის სახელის ან გვარის შეცვლის დამოუკიდებელ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მშობლების მიერ საკუთარი სახელის ან გვარის შეცვლა, თუმცა ეს უკანასკნელი უშუალოდ არ განაპირობებს ცვლილებების შეტანას შვილების სააქტო ჩანაწერებსა თუ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში. მშობლების სახელის, მამის სახელის ან გვარის შეცვლის გამო არასრულწლოვანი შვილების სააქტო ჩანაწერებსა თუ პირადობის დამადასტურებელი საბუთებში ცვლილებები შეიტანება მშობლების ნებით, ხოლო სრულწლოვანი შვილების სააქტო ჩანაწერებსა თუ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში მხოლოდ შვილების სურვილის საფუძველზე.

ზემოთაღნიშნულისაგან განსხავავებით, გვხვდება შემთხვევები, როცა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოები ვალდებულნი არიან არ დააკმაყოფილონ პირის მოთხოვნა სახელის შეცვლის თაობაზე, აღნიშნულს მაშინ აქვს ადგილი თუ: სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლით რეალური საფრთხე ექნება მესამე პირთა ინტერესებს; შერჩეული ახალი სახელი ძნელად წარმოსათქმელი ან არაკეთილხმოვანია; პირი, რომელიც სახელს იცვლის, ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში ან ნასამართლევია და ნასამართლობა მოხსნილი არა აქვს. ეს უკანასკნელი გარემოება უნდა დაადასტუროს პოლიციის

ორგანომ რომლის დასკვნა წარედგინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სამსახურს, კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

სახელის (იგულისხმება გვარიც) შეცვლის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები აწარმოებენ სპეციალურ სააქტო ჩანაწერს და გასცემენ სათანადო მოწმობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელის (გვარის), შეცვლის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით მხოლოდ 2006 წელს ასეთი 1405 ფაქტი დარეგისტრირდა. გამოიკვეთა ისიც, რომ საქართველოში გვარს ძირითადად იცვლიან ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეებს სურთ ატარონ ფაქტობრივი აღმზრდელის ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის (დედა, ბებია, ბაბუა) გვარი, მიიღონ მეუღლის გვარი ან შეუერთონ თავისი გვარი მეუღლის გვარს და ატარონ შეერთებული გვარი.

ამ პროცედურის მსურველთა სიმრავლეს ისიც განაპირობებს, რომ სახელის შეცვლისათვის დაწესებული ბაჟის გადახდა არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან.

საკუთარი სახელის ან გვარის შეცვლა არ წარმოადგენს იმ ქონებრივი ურთიერთობების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს, რომლებიც ფიზიკური პირის მონაწილეობით სახელის შეცვლამდე წარმოიშვა. შესაბამისად, პირი, რომელმაც სახელი შეიცვალა, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე ცნობები მიაწოდოს თავის მოვალეებსა და კრედიტორებს. იგი ვალდებულია აგრეთვე სათანადო ცვლილებები შეიტანოს დოკუმენტში, რომელმაც მის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ადასტურებენ. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება საფინანსო და სადამფუძნებლო დოკუმენტებს. ცვლილებები შეიტანება იმ პირის ხარჯზე, ვინც სახელი შეიცვალა. იმ ქონებრივი შედეგების რისკი, რაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მოვალეებსა და კრედიტორების არაინფორმირებულობას, ეკისრება პირს, ვინც სახელი შეიცვალა და არ მიიღო სათანადო ზომები კონტრაჰენტების გასაფრთხილებლად.

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში სულ უფრო იკიდებს ფეხს და ვფიქრობთ მართებულადაც, შეხედულება იმის თაობაზე, რომ სახელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს ფიზიკური პირის ხელმოწერა. ამ შეხედულებების მიმდევრები თავიანთ მოსაზრებას იმით ამართლებენ, რომ ხელმოწერას მოქალაქე არჩევს დამოუკიდებლად და იგი ფიქსირდება ამ უკანასკნელის პირადობის მოწმობაში და პასპორტში მათი გაცემის დროს. ცალკეულ შემთხვევებში კი სახელის გამოყენებას სავალდებულო წესით თან ახლავს ხელმოწერა.

ხელმოწერის, როგორც სახელის კომპონენტის მნიშვნელობა კარგად ჩანს ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებისას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნოტარიუსი ამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას და არა დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ჭეშმარიტებას. ე.ი. ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ ხელმოწერა გაკეთებულია კონკრეტული პირის მიერ. ეჭვის შემთხვევაში ხელმოწერის იდენტიფიკაცია კი შესაბამისი ექსპერტიზის პრეროგატივაა.

ხელმოწერა, რომ სახელის კომპონენტია და ცალკეულ შემთხვევებში მატერიალური ღირებულებაც გააჩნია, აღნიშნულს ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ ელვის პრესლის ავტოგრაფი შეფასებულია 1500 მარკად, დედა ტერეზასი - 1500 მარკად, პრინცესა დიანასი -860 მარკად და ა.შ

§6. ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებები. ცნება და სახეები

ფიზიკური პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის არსებობა წარმოუდგენელია პირადი არაქონებრივი უფლებების გარეშე, ვინაიდან ამ სახის უფლებები გამოირჩევიან გარეეკონომიური ბუნებით და უშუალო კავშირით პიროვნებასთან, რითაც ხაზს უსვამენ ადამიანის უნიკალურობას და განუმეორებლობას.

პირადი არაქონებრივი უფლების განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, მაგრამ იმ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, რაც მას გააჩნია შეიძლება ითქვას, რომ პირადი არაქონებრივი უფლება ისეთი სიკეთეა, რომელიც უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალურ თვითმყოფადობას და თავისუფლებას, არ გადაეცემა სხვას და არ არის გამიზნული საიმისოდ, რომ მის მფლობელს შეუქმნას მატერიალური კეთილდღეობა.

არაქონებრივი სიკეთე მრავალგვარია. მაგ. ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე პირადი არაქონებრივი ფასეულობებია. მათგან, ჯანმრთელობა ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული და ამ უკანასკნელს მისი დაცვის მოთხოვნის უფლება კანონით მინიჭებული აქვს დაბადებისთანავე. სიცოცხლეს რაც შეეხება, იგი ისეთი ძირითადი არაქონებრივი ფასეულობაა, რომელიც განაპირობებს პიროვნებასთან დაკავშირებით ყველა სხვა უფლების არსებობას.

პირადი არაქონებრივი უფლებებია ასევე: გადაადგილების თავისუფლების, ადგილსამყოფელის ან საცხოვრებელი ადგილის არჩევის, სახელის ტარების, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, საავტორო, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის, საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება და ა.შ.

ჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი უფლებები სამართლის სხვადასხვა დარგების დაცვის ობიექტი შეიძლება გახდეს. მაგ. სიცოცხლის, ჯანმრთელობის და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ადამიანს იცავს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმები. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთო-

ბის პროცესში არსებული არაქონებრივი უფლებები მოწესრიგებულია საქართველოს შრომის კოდექსით. საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კი ხორციელდება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მათგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალური ნორმებით ხორციელდება იმ პირთა ინტერესების დაცვა, რომელთა პირადი არაქონებრივი უფლებები შეილახა: სახელის ტარების უფლების შეცილებით ან სახელის უნებართვოდ სარგებლობით, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის, საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით და გამოსახულების უნებართვოდ გამოქვეყნებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომში განხილულია ფიზიკურ პირთა ის პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც ქართულმა კანონმდებლობამ აქცია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ ობიექტებად.

§7. სახელი, როგორც ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლება და მისი დაცვის საშუალებები

სამოქალაქო სამართლის ნორმათა არქიტექტონიკა ორგვარ წარმოდგენას იძლევა სახელის უფლებასთან დაკავშირებით. ჯპირველი მოცემულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში და შეიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს იმის თაობაზე, რომ:

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს;

2. დასაშვებია სახელის შეცვლა დასაბუთებული განცხადებების საფუძველზე, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს შესაბამისმა ორგანომ;

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომელიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი წარმოადგენას ქმნის იმის თაობაზე, რომ სახელის უფლება, ამ ნორმის მიზნებისათვის, არის ისეთი უფლება, რომელიც იძლევა პიროვნების ინდივიდუალიზაციის უზრუნველყოფის საშუალებას.

მისგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის მე-18.1 მუხლის დანაწესიდან გამოდინარე, სახელის, როგორც ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლების არსებობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც სახელის ტარების უფლებების შეცილებას აქვს ადგილი, ან სახელის უნებართვოდ სარგებლობით ილახება პირის ინტერესები.

ჩამონათვალი ამომწურავია და მხოლოდ მათი ერთობლივად ან ცალ-ცალკე არსებობის შემთხვევაში აქვს ფიზიკურ პირს უფლება ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

სახელის, როგორც ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლების დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც.

სახელის უფლების დაცვის დასახელებული ხერხების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, ამ უფლების თუ რომელი შემადგენელი ნაწილი დაირღვა. კერძოდ, სახელის ტარების უფლების შეცილება შეიძლება მდგომარეობდეს, როგორც სახელის საერთოდ მოუხსენიებლობაში, ისე სახელის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დამახინჯებაში. მაგ. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომები, სადაც ამომრჩევლის სახელი ან გვარი არასწორადაა მითითებული, საარჩევნო კომისია კი უარს ამბობს მათ გასწორებაზე.

მისგან განსხვავებით, სასამართლო უდაო წარმოების წესით განიხილავს საქმეებს ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, რომლებიც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წიგნში, პიროვნების სახელის ან გვარის თაობაზე ჩანაწერთა უზუსტობას ეხება. ანუ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ" პუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს უფლების დამდგენი საბუთის (მაგ. უმაღლესი სასწავლების დიპლომის) იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში, პირადობის მოწმობაში, ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს ან გვარს.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა უფლებების დამდგენ დოკუმენტში შეცდომით გაიპარება უზუსტო ჩანაწერი სახელის (გვარის) შესახებ, ან სულაც დაინტერესებულ პირთა მიერ განზრახ მოქმედებას აქვს ადგილი, ყოველი ასეთი ფაქტის არსებობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სახელის ტარების უფლების შეცილებას აქვს ადგილი და ხელმყოფი პირი ნებაყოფლობით თუ არ აღმოფხვრის მას, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს, როგორც დაშვებული შეცდომის გასწორების, ისე ხელყოფილი სახელის ტარების უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას. ასე მაგ. ნიუ-იორკში, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა პატივსაცემად აღმართულ ობელისკზე შცდომით იქნა ამოტვიფრული ზოგიერთი დაღუპულის გვარი და სახელი. მათმა ახლობლებმა მიიჩნიეს, რომ გარდაცვლილთა სახელის ტარების უფლების შეცილებას ჰქონდა ადგილი და

მოითხოვეს მისი გასწორება. ავტორმა, შეასრულა ეს მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულის გაკეთება მოუწევდა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სახელის ტარების უფლების შეცილებას შეიძლება მაშინაც ჰქონდეს ადგილი, როდესაც პირს აიძულებენ შეიცვალოს სახელი (გვარი) ან დაუსაბუთებლად უარს ეუბნებიან მის შეცვლაზე.

იძულება, რა ფორმითაც არ უნდა ჰქონდეს ამას ადგილი, დაუშვებელია. ცნობილი ფაქტია, რომ 1984 წელს ბულგარეთში დაიწყო მასობრივი კომპანია ,,ეთნიკურად ერთიანი ბულგარელი ერის" შესაქმნელად, რომელიც სხვა მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუსულმანი მოსახლეობისათვის, როგორც ეროვნების, ისე სახელისა და გვარის შეცვლასაც ითვალისწინებდა, ხოლო მათ, ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, აჯარიმდებდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ ან სულაც აპატიმრებდნენ. მსოფლიო თანამეგობრობამ აიძულა ბულგარეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა უარი ეთქვა ასეთზე.

იძულებას ჰქონდა ადგილი გასაბჭოების საწყის ეტაპზე, როცა ადამიანები ამ გზით მალავდნენ თავიანთ თავადაზნაურულ წარმოშობას და შემდგომშიც, კერძოდ, 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა სამშობლოს ღალატის ბრალდებით უსაფუძვლოდ რეპრესირებულ პირებთან ნათესაობის აღიარებას, ამ გზით თავს არიდებდნენ მათი შვილები და ახლობლები.

რაც შეეხება სახელით უნებართვოდ სარგებლობას, აღნიშნული სახეზეა მაშინ, როცა სახელით სარგებლობას ადგილი აქვს მისი მატარებლის თანხმობის გარეშე.

სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს: ხელისუფლებისათვის ბრძოლით, ანგარებითი მიზნით, სურვილით დამალოს ინფორმაცია საკუთარ თავზე, გაიკეთოს რეკლამა და მიიპყროს საზოგადოების ყურადღება, ან საზოგადოების თვალში სახელი გაუტეხოს მისთვის არასასურველ პირს და სხვა.

ისტორიაში ცნობილია სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობის არაერთი შემთხვევაა. მაგ. რუსეთს ახსოვს XVIII საუკუნეში, იმპერატორ პეტრე III-ის სახელით კაზაკ ემელიანე პუგაჩოვის მიერ გლეხთა ფართომასშტაბიანი აჯანყება.

ანალოგიურად, ი. ილფისა და ე. პეტროვის რომანის- ,,ლეიტენანტ შმიდტის შვილების" გმირებს, რომლებიც ლეიტენანტ შმიდტის შვილებად ასაღებენ თავს და საზოგადოების მიერ სხვისი სახელის გამოყენებით მათთვის გაცემული ქვემოქმედებით ცხოვრობდნენ, დღესაც მრავლად ჰყავს მიმდევრები.

პრაქტიკაში გვხდება შემთხვევები, როცა ცალკეული პირები სხვისი სახელით უკანონოდ სარგებლობენ იმ მიზნით, რომ დაფარონ თავიანთი საკუთარი სახელი და უარყოფითი ცნობები თავიანთ თავზე. ასე მაგ. 1989 წელს აშშ-ს კოლორადოს შტატში ,,სპიდზე" ტესტირებისათვის სპეციალურ გამოკვლევით ლაბორატორიას მიმართა ქალბატონმა. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა დადებითი პასუხი, გაირკვა, რომ ანალიზების ჩაბარებისას პაციენტმა დამალა თავისი ვინაობა და ექიმების დაუსახელა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მეუღლის – ნენსი რეიგანის სახელი.

მოცემულ შემთხვევაში პაციენტმა ისარგებლა იმ გარემოებითაც, რომ „სპიდზე" ტესტირება კონფიდენციალურია და საჭიროებას არ წარმოადგენდა ანალიზების ჩამბარებლის ნამდვილი ვინაობის გარკვევა.

მსგავს ფაქტებს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ჩვენს სინამდვილეშიც, რის გამოც საფრთხე შეიძლება შეექმნას არა მხოლოდ საზოგადოების უსაფრთხოებას, არამედ სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობით შეილახოს იმ პირთა ინტერესები, ვისი სახელის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი.

ქართულმა კანონმდებლობამ ზოგიერთი სხვა ქვეყნებისაგან (მაგ. რუსეთი) განსხვავებით, გაითვალისწინა სხვისი სახელის უნებართვოდ სარგებლობის სამართლებრივი შედგები მისი მატარებლის გარდაცვალების შემდეგაც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი, რომელიც გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვას ეხება, შეიცავს დანაწესს, რომ ,,მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თუმცა არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლებამოსილების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. ანუ, ასეთ პირს შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. თუმცა, მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

§ 8. ფიზიკური პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია

პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანისათვის უმაღლესი სოციალური ღირებულებებია. მათგან გამორჩეულ ადგილზე დგას პატივი და ღირსება, რადგან საზოგადოების სახე ყალიბდება მისი წევრების პატივისა და ღირსების ფონზე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს თითეულის პატივსა და ღირსებას.

ამდენად, პირადი ფასეულობების სამართლებრივი დაცვის საკითხები პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობათა საერთო პრობლემის შემადგენელი ნაწილია.

პატივი და ღირსება პიროვნების არსებობის იმდენად აუცილებელი ატრიბუტებია, რომ პატივის დასაცავად და ღირსების შესანარჩუნებლად ადამიანები ხშირად სიცოცხლესაც სწირავდნენ. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი"...უთქვამს დიდ შოთას.

ამ სახის პირადი ფასულობებისადმი სახელმწიფოებრივ მზრუნველობას ცხადყოფს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსია.

ამ კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი საიდუმლოება და საქმიანი რეპუტაცია.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ბლანკეტური ნორმაა და მოითხოვს სხვა, ისეთი საკანონმდებლო აქტების გამოყენების აუცილებლობას, რომლებმაც სასამართლოს მეშვეობით უნდა უზრუნველყონ ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა.

დაცვის ასეთ სპეციალურ წესს, რიგი შემთხვევებისთვის, განსაზღვრავს თვით სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი კერძოდ: თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების შემლახავი ცნობები გავრცელებულია მასო-

ბრივი ინფორმაციის საშუალებებით მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით;

ანალოგიურ ცნობებს თუ შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირს. ამასთან პირს, რომლის პატივის და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში (სკ-ის მე-18.3 და მე-18.4 ნაწილები).

სამოქალაქო კოდექსის მე-18.5 მუხლის შესაბამისად, დაცვის სპეციალური წესია დადგენილი იმ შემთხვევაშიც, თუ პირის გამოსახულება გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილს, ამ ნორმით განსაზღვრულია მე-18 მუხლში ჩამოთვლილი ყველა არაქონებრივი სიკეთის დაცვის სპეციალური წესი, მათი ბრალეულად ხელყოფის შემთხვევაში.

ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლით, დაცულია იმ პირთა ინტერესები, რომელთაც აშკარად არასწორი ფაქტების განზრახ ან გაუფრთხილებელი გავრცელებით ან/და გახმაურებით მიადგათ ქონებრივი ზიანი, თუ ასეთი გამონათქვამები არ ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლი დეკლარაციული ხასიათის ნორმაა და ამავე მუხლის სხვა ნაწილებმა მას არ დაუტოვეს დაცვის სპეციალური ობიექტი. სინამდვილეში ეს ასე არ არის, ვინაიდან წინაალმდეგ შემთხვევაში დაცვის გარეშე დარჩებოდა პირადი არაქონებრივი უფლებების ის ნაწილი, რომელთა ხელყოფას ბრალის და ქონებრივი ზიანის არარსებობის ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელების გარეშე აქვს ადგილი.

შესაბამისად, დღის წესრიგში დგება იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა-პიროვნების პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა არის თუ არა დაცვის ობიექტი, როცა სახეზე არ არის (ან არ იკვეთება) ხელმყოფის ბრალეული მოქმედება, ან ხელმყოფი ცნობების გავრცელებას ადგილი არა აქვს მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებით და ცნობების გავრცელებით პირს არ განუცდია ქონებრივი ზიანი?

დადებით პასუხს კითხვის პირველ ნაწილთან დაკავშირებით იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ "ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა".

კითხვას მეორე ნაწილთან მიმართებაში კანონმდებლის პოზიცია კი განსაზღვრულია ისეთი საკანონმდებლო აქტით, როგორიცაა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები. კერძოდ, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების არსებობის პირობებში, შესაძლებელია განხორციელდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება თუ ეს ეხება – ცილისწამებას, უხამსობას, პირისპირ შეურაცხოფას და პირად საიდუმლოებას და ა. შ.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ დასახელებული კანონი მართალია ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს, მაგრამ უშვებს მათი შეზღუდვის შესაძლებლობას, როცა ადგილი აქვს საკუთარი პირადი არაქონებრივი უფლებების, მათ შორის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ყველაზე უფრო ხშირად ცილისწამებით, უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფის მიყენების გზით აქვს ჩამოთვლილი ფასეულობების შელახვას ადგილი, საჭიროდ მივიჩნიეთ ფიზიკურ პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის განმარტება, მით უფრო, რომ ასეთს არ შეიცავს სამოქალაქო კოდექსი.

ფიზიკური პირის პატივი და ღირსება-პიროვნების პატივი და ღირსება ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ჯერ კიდევ დიდი ილია მართებულად მიიჩნევდა პატივისა და ღირსებას „ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელ კუთვნილებად."[67]

---

67 ი.ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.9, გვ. 270.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესმა და საქართველოს განევრიანებამ ევროსაბჭოში კიდევ უფრო გააფართოვა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული ხელშეკრულებების, პაქტებისა და კონვენციების მოქმედების სფერო. აღნიშნულმა თავის მხრივ განაპირობა პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ ნორმებად ჩამოყალიბება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი აღიარებს რა პატივსა და ღირსებას ხელშეუვალ უფლებად გულისხმობს, რომ არანაირი გარემოება, მათ შორის: ფსიქიკური დაავადება, საგანგებო მდგომარეობა, საომარი ვითარება და სხვა, არ შეიძლება გახდეს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის საფუძველი.

კანონმდებლობაში სპეციალური ნორმების შემოღება კი ხელს უწყობს კონსტიტუციის ნორმების ეფექტურ განხორციელებას. კერძოდ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

პატივისა და ღირსების დაცვის აუცილებლობაზე განსხავავებული აზრი არ არსებობს, მაგრამ დღემდე სადაოდ რჩება პატივისა და ღირსების, ასევე საქმიანი რეპუტაციის რაობისა და მათი ურთიერთამოკიდებულების საკითხი.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პატივისა და ღირსებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა. მონათმფლობელურ სახელმწიფოებში გაბატონებული კლასი ფეხქვეშ თელავდა მონის პატივსა და ღირსებას. ამდენად, მონა არ წარმოადგენდა ისეთ სუბიექტს, რომლისთვისაც ამ ფასეულობათა შეფარდება იქნებოდა დასაშვები. უფრო მეტიც, იგი ნივთთან იყო გაიგივებული.

დროთა განმავლობაში დასახელებულმა ფასეულობებმა ადამიანთა შედარებით ფართო წრე მოიცვა და იგი ქონებრივი და წოდებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტი გახდა. კერძოდ, ფეოდალური საზოგადოებისათვის პატივი და ღირსება ერთგვარ პრივილეგიად იქცა და მისი არსებობის პატივი თავადაზნაურობას ხვდა წილად. ამასვე მოწმობს რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის მიერ ხელმოწერილი სიგელიც, სადაც ნათქვამია, რომ „ღირსება აზნაურს ეკუთვნის."

ანალოგიური სიტუაცია იყო საქართველოშიც. აღნიშნულს ცხადყოფს შემდეგი: ქართული ერის დიდი მეისტორიე ივანე ჯა-

ვახიშვილი წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ტერმინი პატივი იხმარებოდა რამოდენიმე მნიშვნელობით: 1.საკარისკაცო სახელწოდების აღსანიშნავად. მაგალითად, ,,.....მისცა პატივად კურაპალატობა", 2.მოხელეობის აღსანიშნავად, მაგალითად ,,პატივი ამირსპასალარობისა:, 3.მღვდელთმსახურთა თანამდებობის აღსანიშნავად, ,,პატივი მღვდელმთავრობისა", 4.თანამდებობის ნიშნების და სამკაულების აღსანიშნავად, მაგალითად, ,,ოქროსა და მარგალიტებისაგან გაკეთებული თავსაბურავი უაღრესად დიდ პატივად ითვლებოდა სპარსეთში".

ტერმინ პატივის ამდენი მნიშვნელობით ხმარების მიზეზი, ივ. ჯავახიშვილის აზრით ის იყო, რომ თითოეულ დიდ მოხელეს შესაფერისი საკარისკაცო პატივიც ჰქონდა და დიდმოხელეობა და საკარისკაცო პატივი ერთამენთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ე.ი. ერთსა და იმავე პირს ერთიც ჰქონდა და მეორეც.[68]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ცალკეული ნორმები ცხადყოფს, რომ საქართველოში პატივი იხმარებოდა, როგორც ზოგადი (აზნაურობას, როგორც წოდებას გააჩნდა განსხვავებული პატივი), ისე კერძო, პიროვნულ-თანამდებობრივი მნიშვნელობითაც. მაგ. თანამდებობაზე დამოკიდებული პატივის მქონე პირს ძველ ფეოდალთა წრეში დიდებულები ეწოდებოდათ. ისინი ჩვეულებრივ აზნაურთაგან განსხვავებით არა მხოლოდ სიმდიდრით, არამედ ხელისუფლებითაც აღჭურვილი პირები იყვნენ.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ ძველ ქართულ სამართალში პატივი გულისხმობდა პირის სოციალურ მდგომარეობას, მოგვიანებით კი პატივის ცნება მორალურ-ზნეობრივი თვისებების ელემენტებითაც შეივსო.

შემდგომი თაობის მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პატივის ცნება მთლიანად მოიცავს ღირსების ცნებას და იგი მისი განუყოფელი ნაწილია. სხვები კი თვლიან, რომ პატივი არ მოიცავს ღირსებას და მათ შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც საფუძვლად ედება ამ ცნებათა ინდივიდუალიზაციას. მაგალითად, თ.წერეთლის აზრით „პატივი და ღირსება ადამიანის მნიშ-

---

68 ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002 წ. გვ 521-522; უფრო ვრცლად, ივ.ჯავახიშვილის თხზულებათა 2-3 ტომი, თბილისი, 1982-83 წ; ტ.4, თბილისი, 1996 წ;. ტ.7, თბილისი, 1984წ.

ვნელოვანი, თანაც მეტად სათუთი სიკეთეა. პატივი წარმოადგენს პიროვნების ინტელექტუალური მორალურ-პოლიტიკური თვისებების შეფასებას განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში, რომელშიც მიმდინარეობს ამ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ღირსება კი წარმოადგენს ადამიანის მიერ მისი საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივ-პოლიტიკური თვისებების შეგნებას.[69] კ.იაროშენკო მიიჩნევს, რომ პატივი და ღირსება მონათესავე ცნებებია და მათ შორის სხვაობა განპირობებულია მათდამი სუბიექტური ან ობიექტური მიდგომით.[70]

1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საგანი და სისტემა," ს.ნ.ბრატუსმა შემდეგნაირად განსაზღვრა პატივისა და ღირსების ცნებები: ,,პატივი- მოქალაქის გარკვეული სოციალური შეფასება და ობიექტური საზოგადოებრივი თვისებაა, ღირსება კი ამ თვისების ასახვა მისი მატარებლის შეგნებაში, ანუ პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებაზე დაფუძნებული თვითშეფასება.[71] ასეთ განმარტებას კი არაერთი ავტორი იზიარებს.

მ.გ. პრონინას და ნ. რომანოვიჩის აზრით ,,პატივი არის ადამიანის დამსახურებათა საზოგადოებრივი აღიარება და მისი მოღვაწეობის დადებით შეფასება.[72] რიგ ავტორთა ნაშრომებმა წარმოაჩინეს ღირსებისა და პატივის ურთიერთდამოკიდებულების სხვა მხარეებიც. კერძოდ, პატივის კატეგორიას ისინი ადამიანის შეფასებას უკავშირებენ, ღირსებას კი არამხოლოდ თვითშეფასებას, არამედ პიროვნების ღირებულებასაც.[73]

ნ.ა. პრიდვორნოვი მხარს უჭერს ღირსების კატეგორიის ობიექტურ ხასიათს და მას სამ შემადგენელ ნაწილად ყოფს. ესენია: პირადი ღირსება (კონკრეტული ადამიანის ღირებულება), ადამიანური ღირსება (ადამიანის ღირებულება საერთოდ, მისი კონკრე-

---

69 ვ.მაყაშვილი, მ.მაჭავარიანი. თ.წერეთელი, თ.შავგულიძე ,,დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ", თბილისი, 1980 წ. გვ.168.

70 К.Б Ярошенко.Гражданско-правовая зашита чести и достоинства граждан. Проблемы совершенствовпния советского законодательства. М. 1989. стр.83.

71 С.Н.Братусь - Предмет и система в Советском гражданском праве.

72 М.Г. Пронина, А.Н. Романович, Защита чести и достоинства гражданина (Гражданско-правовые средства), Минск, 1976. стр. 7.

73 А.В.Рафиева, Л.К.Белявский - Судебная защита чести и достоинства граждан. М. 1966, стр.5-6.

ტული ინდივიდუალური თვისებებისა და თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად) და საკუთარი ღირსების გრძნობა.[74]

არსებობს ამ ფასეულობათა სხვაგვარი განმარტებებიც: ვ. სუხარევსკი ღირსებას განიხილავს, როგორც ადამიანის ობიეტურ საზოგადოებრივ თვისებას, მის სოციალურ ღირებულებასა და მნიშვნელობას. პატივად კი მიიჩნია ადამიანის ღირსების ასახვა სხვა პირთა შეგნებაში, ანუ ღირსების სუბიექტური შეფასება[75]. მისგან განსხვავებით, პ. ანისიმოვის აზრით, პატივი სულიერი და სოციალური თვისებების ისეთივე საზოგადოებრივი შეფასებაა, როგორიცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება. ღირსება კი წარმოადგენს საკუთარი შესაძლებლობების მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი ღირებულებების თვითშეფასებას.[76]

ი.გამბაროვის მოსაზრებით, პატივი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასება და მოქალაქის სოციალური და სულიერი თვისებების საზომია, ღირსება კი საკუთარი უნართვისებების ერთობლიობა და მათი შინაგანი თვითშეფასება.[77]

პატივისა და ღირსების შინაარსში იგულისხმება პირის დადებითი და უარყოფითი უფლებამოსილებების ერთობლიობა, ამტკიცებს ზ.რომოვსკაია. მისი აზრით, დადებითი ვლინდება იმის შესაძლებლობაში, რომ პირმა თავისუფლად იგრძნოს თავი საზოგადოებაში და ჰქონდეს პრეტენზია საზოგადოების მხრიდან მისი დამსახურების აღიარებაზე. უარყოფითი უფლებამოსილება კი განიხილება ისეთ შესაძლებლობად, როცა პირს შეუძლია სხვებისაგან მოითხოვოს მისი უფლებების დამრღვევი მოქმედებებისაგან თავის შეკავება.[78]

---

74 Г.П.Придворнов Общая и специальная гражданско-правовая защита чести и достоинства граждан. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. Харьков, 1967.

75 В.Сухаревский - личные неимущественные права граждан в Советском гражданском праве. стр. 6-7.

76 А.Анисимов - Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001, стр.9.

77 И. Гамбаров - Курс гражданского права, т.1, Ѣ.пе 1911. გვ.553.

78 З. Ромовская - личные неимущественные права граждан в СССР. გვ 148.

ვ.ჟაკენოვმა,[79] ა. ბელიავსკიმ და ნ. პრიდვორნოვმა[80] განავრცეს რა ეს შეხედულება მიიჩნიეს, რომ პატივისა და ღირსების დადებითი შინაარსი გულისხმობს იმ ადეკვატური საზოგადოებრივი შეფასების მიღების შესაძლებლობას, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში იმსახურებს კონკრეტული პირი. ამავე პოზიციას იზიარებდა ო. იოფე თავის ადრინდელ, კერძოდ 1962 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,საბჭოთა კანონმდებლობის ახალი კლასიფიკაცია და მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დაცვა."[81]

მ.მალეინამ კიდევ უფრო დააკონკრეტა პატივისა და ღირსების უფლების დადებითი შინარსის შემადგენლობა, როცა მიუთითა, რომ დასახელებულ ფასეულობათა შინაარსი მოიცავს პატივისა და ღირსების ფლობისა და შეცვლის უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რაც გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მესამე პირის დახმარების გარეშე, საზოგადოების თითოეული წევრისაგან მოითხოვოს- არ დაარღვიონ კანონით დაცული მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.[82]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ყველა ეს მოსაზრება მართალია წარმოდგენას ქმნის პატივსა და ღირსებაზე, მაგრამ მათი სრულყოფილად წარმოჩენისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ძირითად გარემოებაზეც:

პატივზე წარმოდგენა ყალიბდება ფიზიკურ პირთა ერთმანეთთან შედარების პროცესში, რის გამოც საზოგადოებრივი შეფასება არ არის გამოკიდებული შესაფასებელი პირის ნებაზე, რადგან პატივი საზოგადოების კონტროლქვეშ ყალიბდება და თვით საზოგადოება ქმნის წარმოდგენას პიროვნებაზე;

პატივისგან განსხვავებით, ღირსება საზოგადოებრივ შეფასებაზე დაფუძნებული თვითშეფასებაა. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს სოციალურ, მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები და ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, თუმცა მათი გაიგივება

---

79 В. Жакенов - Личные неимущественные права граждан в Советском гражданском законодательстве и их социальное значение. 1984 წ. ჩვ. 15.

80 А. Белявский, Н.Придворнов - Охрана чести и достоинства личности в СССР, Москва, 1971, стр. 32.

81 О. Иоффе - Новая класификация Советского гражданского законодательства и охрана чести и достоинства граждан. Советское государство и право, 1962 г. №7, стр. 65.

82 М. Маленина - Личные неимущественные права граждан. Москва, 2001, стр. 137.

არ შეიძლება, ვინაიდან თუ პატივი პირის საზოგადოებრივი შეფასებაა და ამდენად მეტი პრეტენზია გააჩნია ობიექტურობაზე, ამას ვერ ვიტყვით ღირსებაზე, რომელშიც მთავარია სუბიექტური მომენტი, ანუ თვითშეფასება;

ღირსებაზე საუბრისას მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პიროვნებამ თვითონვე უნდა გააცნობიეროს თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება, აქედან გამომდინარე ღირსების აღქმა დაკავშირებულია: მის აღზრდაზე, წარმომავლობაზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, განათლებაზე, სოციალურ და სამსახურეობრივ მდგომარეობაზე, გარემომცველ გარემოზე, სულიერი განცდების თავისებურებაზე და ა.შ. ანუ ყველაფერ იმაზე, რაც ხელს უწყობს პირს რეალურად შეაფასოს საზოგადოებაში მის მიმართ შექმნილი წამოდგენა.

აღსანიშნავია, რომ პატივი და ღირსება განიცდის სისტემურ ცვლილებას-ასაკის მატების, ქონებრივი მდგომარეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ხარისხის შესაბამისად.[83]

ამრიგად, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტებია: მისი სოციალური მდგომარეობა, ანუ წარმომავლობა, ქონებრივი შესაძლებლობა და არა სოციალური თვისებები, როგორც ამის შესახებ აკეთებენ მითითებას ცალკეული მეცნიერები (მაგ. პ. ანისიმოვი, ი. გამბაროვი), ასევე ისეთი დადებითი მორალური თვისებები, როგორიცაა: თავდადება, ერთგულება, პატრიოტიზმი, სხვათა გაჭირვების გულთან მიტანის უნარი და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ზოგადი ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: პატივი, ფიზიკური პირის სოციალური მდგომარეობისა და მორალური თვისებების საზოგადოებრივი შეფასებაა, ხოლო ღირსება მათი საზომი. ისინი ერთმანეთთან ახლო მდგომი, კონსტიტუციით დაცული ხელშეუვალი უფლებებია. განსხვავება მდგომარეობს მათდამი სუბიექტურ ან ობიექტურ მიდგომაში, კერძოდ გარშემომყოფთა დადებითი შეფასების შემთხვევაში სახეზეა პატივი, თვითშეფასებისას კი ღირსება.

---

83 А.В.Рафиева - Честь и достоинство как правовые категории. Правоведение, 1966, №2, стр.61.

საქმინი რეპუტაცია-პატივი და ღირსება ორგანულადაა დაკავშირებული ისეთ ცნებასთან, როგორიცაა რეპუტაცია (რეპუტაცია ფრანგული სიტყვაა ,,Reputation" ნიშნავს შექმნილ საერთო აზრს ხარისხზე, ვინმეს ან რაიმეს ავ-კარგზე)[84]. ამასთან, თუ წარმოდგენა პატივსა და ღირსებაზე გამომდინარეობს ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან, რეპუტაცია პირიქით, საზოგადოებას აძლევს ფიზიკურ პირთა დიფერენცირების საშუალებას.

რეპუტაცია შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რომელიც იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ ინფორმაციაზეა იგი დამყარებული.

ეხება რა რეპუტაციის, როგორც ცნების თავისებურებებს, კ.ბ.იაროშენკო აღნიშნავს, რომ რეპუტაცია ჩამოყალიბებული საერთო აზრია ადამიანის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე.

იმავე კ. იაროშენკოს მტკიცებით, პატივისა და ღირსებისაგან განსხვავებით, რეპუტაცია შეიძლება იყოს დადებითი (კარგი) და უარყოფითი (ცუდი). ამ გაგებით კი რეპუტაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პატივი, რომელიც მხოლოდ დადებით შეფასებას გულისხმობს.[85]

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს არა რეპუტაცია მთლიანად, არამედ პირის მხოლოდ პროფესიული თვისებების შეფასება ანუ საქმიანი რეპუტაცია, ნაშრომში განხილულია იურიდიულ მეცნიერებაში ამ კუთხით არსებული შეხედულებები. კერძოდ, ა. კობახიძისა და თ. ნინიძის აზრით, საქმიანი რეპუტაცია პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასებაა, რასაც საფუძვლად უდევს ამ პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

მ. მალეინა პატივსა და ღირსებას გვარეობით ცნებათა კატეგორიის მიაკუთვნებს, საქმიან რეპუტაციას სახეობითს და აღნიშ-

---

84 Советский энциклопедический словарь под редакцией А.Прохорова, Москва,1988 г. стр.1132.

85 К.Б.Ярошенко, Жизнь и здоровье под охраной закона, Москва, 1990, стр.169.

ნულის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ საქმიანი რეპუტაცია შედარებით ვიწრო ცნებაა, ვიდრე პატივი და ღირსება.[86]

კ. იაროშენკო[87] მიიჩნევს, რომ ფიზიკური პირის (ისევე როგორც იურიდიული პირის) საქმიანი რეპუტაცია არის იმ თვისებათა და შეფასებათა კრებული, რომლებთანაც მათი მატარებელი ასოცირდება კონტრაჰენტების, კლიენტების, მომხმარებლების, კოლეგების თაყვანისმცემლების (შოუბიზნესში), ამომრჩეველთა (არჩეული თანამდებობისათვის) შეგნებაში და პერსონიფიცირდება ამ დარგის სხვა პროფესიონალთა შორის.

ა. ანისიმოვი ეთანხმება კ. იაროშენკოს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა მიუთითებს იმის აუცილებლობაზეც, რომ საქმიანი რეპუტაციის ცნების ქვეშ დამატებით უნდა ვიგულისხმოთ ,,ის წარმოდგენა, რომელსაც თავისი საქმიანობით ქმნის თითოეული ფიზიკური პირი, პირთა ჯგუფი, მეწარმე ან იურიდიული პირი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ."[88]

საქმიან რეპუტაციას ხშირად აიგივებენ ,,ავტორიტეტის" ცნებასთან. რაც არასწორია, ვინაიდან ,,ავტორიტეტზე" საუბრისას, თუნდაც მეცნიერების რომელიმე დარგში, ჩვეულებრივ იგულისხმება ისეთი მეცნიერი, რომელსაც არამარტო პატივს სცემენ, არამედ მისი მოსაზრება, ძალაუფლების ელემენტების შემცველია და აქედან გამომდინარე თითქმის სავალდებულო ხასიათი აქვს. ასეთი დატვირთვა ცხადია არ შეიძლება ჰქონდეს კეთილსინდისიერი რეპუტაციის მქონე, რიგითი მეცნიერის ნაშრომს.

ჩამოთვლილი მოსაზრებები მთლიანობაში, გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან საქმიანი რეპუტაციის ცნების შინაარსზე. თუმცა, მათში გათვალისწინებული არ არის ის გარემოება, რომ საქმიანი რეპუტაცია შეიძლება გააჩნდეს არა მხოლოდ პროფესიონალ შემსრულებლებს არამედ ნებისმიერ დასაქმებულ პირს, რომელთა პროფესიულ და საქმიან უნარ-ჩვევებზე წარმოდგენა ყალიბდება

86 М.Малейна, Нематериальные блага и перспективы их развития, Закон 1995 г. № 10, стр.104.

87 К.Б.Ярошенко - Жизнь и здоровье под охраной закона, М. 1990 г. стр. 169.

88 Анисимов А., Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001 г. стр.17.

გაწეული საქმიანობის შედეგიდან გამომდინარე. ამდენად, საქმიანი რეპუტაცია ადამიანთა შეგნებაში დაგროვილი ის ობიექტური წარმოდგენაა, რომელიც კონკრეტულ პირთა პერსონიფიცირების მეტ საშუალებას იძლევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შინაარსში იგულისხმება – ფიზიკური პირის პროფესიული და საქმიანი თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, რომლითაც იგი ასოცირდება გარშემომყოფთა შეგნებაში და თავისი საქმიანობის შედეგიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვათაგან მისი პერსონიფიცირება.

§9. ცილისწამებით შელახული პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონით დადგენილი წესით და ამ მიმართებით არსებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

2004 წელს მიღებული საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" სპეციალური კანონია, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ამავე კანონით განსაზღვრული წესების დაცვის პირობებში იძლევა ცილისწამებით, უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის მეტნაკლებად დაცვის შესაძლებლობას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, იმავე დღეს (2004 წლის 24 ივნისი) შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლში.

ამ ცვლილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და კანონით, ანუ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის, ასევე სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილი წესით, დაიცვას თავისი შელახული პირადი არაქონებრივი უფლებები.

კანონმდებლობაში განხორციელებული ეს ცვლილებები უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის 2004 წლამდე მოქმედი რედაქცია იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ ისეთი ცნობების უარყოფის შესაძლებლობას, რომელთა გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებდა სინამდვილესთან მათ შესაბამისობას. ამასთან, კანონის ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდებოდა პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევებზე.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით რეალურად შესაძლებელი იყო მხოლოდ ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, ხოლო გავრცელებული ცნობები სინამდვილესთან მათი შესაბამისობის

მიუხედავად თუკი შეურაცხყოფდა პირს, ან/და ხელყოფდა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას და პირად ხელშეუხებლობას, ყველა ასეთი შემთხვევა რეაგირების გარეშე იყო დატოვებული. ანუ, საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, სამამულო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დიფამიციისათვის მისი შინაარსის სრული მოცულობით, რადგან დიფამიცია (ლათ. diffamo - ,,სახელს ვუტეხ") გულისხმობს სახელის გამტეხ, შემარცხვენელ ცნობათა გახმაურებას. ასეთი ცნობები კი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცრუ, არამედ სინამდვილესთან შესაბამისიც.

კანონმდებლობაში არსებული ამგვარი მდგომარეობა ხელს აძლევდა ცალკეულ პირებს, ძირითადად პოლიტიკოსებს, რომლებიც ზეპირ საუბრებსა თუ საინფორმაციო საშუალებებში გამოსვლისას ავრცელებდნენ ისეთ შეურაცხმყოფელ ცნობებს, რომლებიც სახელს უტეხდა პატიოსან ადამიანს.

ამგვარ ცნობათა გამავრცელებლები თავიანთ მოქმედებას სიტყვის თავისუფლებით ამართლებდნენ და არცთუ ისე იშვიათად იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ანალოგიური მდგომარეობა იყო საზღვარგარეთის წამყვან სახელმწიფოებში და, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკა ამართლებდა პატივისა და ღირსებისადმი მსგავს დამოკიდებულებას.

საზოგადოების ფართო ფენების გაუთვითცნობიერებლობა რეალურად არსებულ ვითარებაში, ამ ძალებს უქმნიდა უშიშარი გმირის იმიჯს და რაც მთავარია განაპირობებდა დაუსჯელობის სინდრომის არსებობას ქვეყანაში. რადგან პირს, იქნებოდა ეს ქვეყნის პრეზიდენტი თუ რიგითი მოქალაქე არ ქონდა შესაძლებლობა დაეცვა თავი თვით უმძიმესი შეურაცხყოფის შემთხვევაშიც კი. მით უფრო, რომ დეკრიმინალიზებულია შეურაცხყოფა სისხლის სამართალში, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ასევე არ შეიცავს დაცვის რაიმე მექანიზმს ამ მიმართებით.

ეს მაშინ, როცა მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას არასოდეს უთქვამს უარი შეურაცხყოფის არათუ სამოქალაქო არამედ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯაზეც. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში და აშ. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის არაერთი ნორმა ითვალისწინებს იმ პირთა პატიმრობასაც კი, რომლებიც არად

დაგიდევენ სხვათა პირად უფლებებს და შეურაცხყოფის გზით ხელყოფენ მათ.[89]

ზოგადად ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ამგვარი მდგომარეობა მისაღებია მხოლოდ ცალკეული ძალებისათვის და ისიც მანამდე, სანამ ისინი პოლიტიკურ ოლიმპზე მოსასვლელად ემზადებიან. თუმცა, ზარალდება საზოგადოება, რადგან შეურაცხყოფის გზით პატივისა და ღირსების ხელყოფა პიროვნების არსებაში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებს უკავშირდება. შესაბამისად, შეურაცხყოფილი ადამიანის შემდგომი ქცევის პროგნოზირება შეუძლებელია, ვინაიდან ხელყოფის ხარისხზეა დამოკიდებული აღშფოთების სიძლიერე. ზოგში ეს განცდა კი იმდენად ძლიერია, რომ მზადაა სამართლიანობა ძალადობით აღადგინოს.

ადამიანი თავის ფსიქიკურ მდგომარეობას ვერ გაექცევა, მაგრამ როცა დარწმუნებულია, რომ მას კანონი დაიცავს შეუძლია დაიოკოს ემოციები და იმპულსებს გასაქანი არ მისცეს. დაუსჯელი შეურაცხყოფა კი პირიქით ამძაფრებს აგრესიას და პირი სახიფათო ხდება საზოგადოებისათვის, რადგან იწყება კონფლიქტი პიროვნებასა და მის გარემომცველ სამყაროს შორის.

ამდენად, პატივისა და ღირსების დაუცველობა ძვირად უჯდება საზოგადოებას, რომელიც მუდმივად შიშის მოლოდინშია, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაცვას მოკლებული, მძიმედ შეურაცხყოფილი პირი თვითონვე დაიცავს თავს და ლინჩის წესით გაასამართლებს დამნაშავეს.

იმ ძალებს, რომლებიც პოლიტიკურ დივიდენდებს იღებენ სხვათა დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებით, შემდგომში უჭირთ ასეთ მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღთან განშორება, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კი თვითონაც ხდებიან ანალოგიური ხელყოფის მსხვერპლნი, რაც მათ აყენებს დიქტატურაზე ფიქრის აუცილებლობის წინაშე.[90]

წინამდებარე ნაშრომის ავტორი ჯერ კიდევ 2001-2004 წლებში შექმნილი, ზემოთ უკვე მითითებული და სხვა, კერძოდ, 2004 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით „პატივის, ღირსებისა და საქმიანი

89 პ(თ) მონიავა. „რეალურად დაცულია თუ არა საქართველოს მოქალაქეთა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია," ჟურნალი „სამართალი," 2003 წლის #1-2, გვ. 50-53.

90 პ(თ) მონიავას იგივე ნაშრომი, გვ. 53).

რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში“ ამხელდა იმ მტკიცების უსაფუძვლობას, რომ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო წესით თითქოსდა დაცული არ არის შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ამასთან, სთავაზობდა კანონმდებელს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს, შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში კი აფრთხილებდა მოსალოდნელი პრობლემების შესახებ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღებამ და მის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლში განხორციელებულმა ცვლილებამ ნაწილობრივ გაიზიარა ჩვენი პოზიცია, რამაც გამოასწორა არსებული მდგომარეობა, კერძოდ გაფართოვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის გეოგრაფია. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ დასახელებული კანონით, ასევე სხვა სამართლებრივი აქტებით, დადგენილი წესი, ცილისწამებით, უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიმართებით ერთობ რთული და გარკვეულწილად ბუნდოვანია.

აღნიშნულმა გარემოებამ, როგორც უკვე ითქვა, განაპირობა რომის 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ” ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული, გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი არაქონებრივი უფლებების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე შემუშავებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა. ამიტომაც იყო, რომ ,,სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი იქნა მე-2 მუხლი,[91] რომლითაც განსაზღვრულია, რომ ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისადაც.

---

91 ანალოგიური შინაარსის ნორმა იქნა შეტანილი 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებულ „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში (3.2 მუხლი).

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა, ცალკეულ შემთხვევებში მაინც, ცილისწამებით, უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხელმყოფისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფით შელახული პირადი უფლებების დაცვის წესზე საუბარი იქნება ამ თავის მომდევნო პარაგრაფებში. რაც შეეხება ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით იგი გულისხმობს შემდეგს: დასახელებული კანონის პირველი მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება განმარტებულია, როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების არსებობა.

ამ კანონის პირველი მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი კი იძლევა ტერმინ ,,განცხადების" განმარტებას, რომელშიც ნათქვამია, რომ განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან გააცნო მესამე პირს.

ამრიგად, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მიზნებისთვის, ცილისწამება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, რომ გახდეს და იქცეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით დაცულ სიკეთედ, აუცილებელია სახეზე იყოს:

1. არსებითად მცდარი ფაქტი;
2. განცხადებლის მიერ მისი საჯაროდ გავრცელება, ან მესამე პირისათვის გაცნობა;
3. გავრცელებული ინფორმაციით სხვისთვის ზიანის მიყენება;
4. გავრცელებული ინფორმაციის სახელგამტეხი ბუნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითად მცდარი ინფორმაცია/განცხადება მიზნათ თუ ისახავს სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას და არა სახელის გატეხვას, ან/და მათ გავრცელებას ადგილი აქვს გაუფრთხილებლობით, მაგრამ დაზარალებულს მიაყენა ქონებრივი ზიანი, ასეთი აშკარად არასწორი ფაქტების გავრცელება ან გახმაურება, არ წარმოადგენს

ცილისწამებას. შესაბამისად, ზიანის მომტანი აშკარად არასწორი ცნობების გავრცელების/გახმაურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება დელიქტური ვალდებულებებისთვის, სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლით დადგენილი წესით.

როგორც ითქვა ცილისწამების პირველ ნიშანს წარმოადგენს არსებითად მცდარი ფაქტის არსებობა. ფაქტის არსებითად მცდარობა შეფასებითი კატეგორიაა. ამდენად, იგი დადგენილი უნდა იქნეს განცხადების ყველა გარემოების გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების არაქონებრივი უფლებების შებღალვის ხარისხს, დამდგარი შედეგის ხასიათს, მის გავლენას პიროვნების ავტორიტეტზე, შემდგომ საქმიანობაზე და სხვა.

ფაქტის არსებითად მცდარობა, ამავე დროს, ნიშნავს ინფორმაციის აშკარად ცრუ ბუნებას. შესაბამისად, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სინამდვილეში არარსებული ფაქტები ან იმდენად დამახინჯებულად წარმოდგენილი რეალური მოვლენები, საიდანაც ამოგდებულია რაიმე არსებითი გარემოება-გადამწყვეტი ცნობების სიცრუის თუ სიმართლის თვალსაზრისით.

ამდენად, არსებითად მცდარი ფაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა არაარსებული ან/და რეალურად არსებული, მაგრამ დამახინჯებულად წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების შეგნებაში ამცირებს ადამიანის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

არსებითად მცდარად, რომ ჩაითვალოს განცხადება (ინფორმაცია) იგი უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ფაქტებს და არ წარმოადგენდეს შეფასებითი ხასიათის მსჯელობას (მაგ. "ცუდი იურისტი", "არაპროფესიონალი მასწავლებელი"). ამდენად, აუცილებელი ხდება ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნის აუცილებლობა, რადგან ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის თანახმად აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და შეფასებითი ხასიათის მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ცილისწამებად.

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში (ა.ფ-ის სარჩელი გაზეთ ,,ასავალ-დასავალის" წინააღმდეგ) ნათქვამია, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ საფუძველს, მისი განვითარებისა და

პიროვნების თვითრეალიზაციის მთავარ პირობას. ამდენად, დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს შესაძლებელი. ასეთი აუცილებლობის ფარგლები კიდევ უფრო მცირდება, როცა საქმე ეხება პრესის თავისუფლებას, ვინაიდან პრესის თავისუფლებას ძალიან მაღალი ღირებულება გააჩნია და მისი შეზღუდვა განსაკუთრებულ გამართლებას მოითხოვს. შესაბამისად, როცა სადაო ხდება სტატიის ავტორის მიერ გავრცელებული ის მოსაზრება, რომელიც ასახავს ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავს კონკრეტული ფაქტის მტკიცებას, სახეზეა შეფასებითი ხასიათის მსჯელობა და იგი არ შეიძლება შეფასდეს ცილისწამებად. მოყვანილი მაგალითისგან განსხვავებით, პიროვნების ,,შიდსით" ან სხვა ვენერიული დაავადებით დასნებოვნების შესახებ გავრცელებული ცრუ განცხადება, ფაქტობრივი ხასიათის მტკიცების შემცველია და ცილისწამებას წარმოადგენს, რადგან ცნობები იმგვარი დაავადებების შესახებ, რომელიც ზემოქმედებას ახდენს პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებაზე და ზიანს აყენებს მის რეპუტაციას, არა მარტო ღირსების შემბღალავი, არამედ სახელის გამტეხიცაა. თავის მხრივ დასახელებულ დაავადებებზე მითითება სახელგამტეხად ითვლება იმიტომ, რომ იგი დაზარალებულის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მის არაარსებულ ამორალურობაზე აკეთებს ხაზგასმას.

ანალოგიურად, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი იქნება განცხადება მაშინ, როცა პიროვნება, უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალია, მაგრამ იმ საწარმოს დირექტორს, სადაც იგი სპეციალობით მუშაობის დაწყებას აპირებს, მიაწვდიან ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ უმაღლეს სასწავლებელში არასოდეს არ უსწავლია და წარმოდგენილი დიპლომი ყალბია.

ცილისწამების მეორე ნიშანია—განმცხადებლის მიერ მისი საჯაროდ გავრცელება. ანუ, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ განცხადება (ინფორმაცია) არსებითად მცდარი ფაქტის შემცველია, დამატებით სახეზე უნდა იყოს განმცხადებლის მიერ მისი საჯაროდ გავრცელება.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი გავრცელებად მიიჩნევს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი

განცხადების საზოგადოებისათვის საჯაროდ მიწოდებას ან მესამე პირისათვის მის გაცნობას.

ცილისწამებისას მნიშვნელობა არა აქვს ესწრებოდა თუ არა დაზარალებული მის წინააღმდეგ მიმართულ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებას. ამასთან, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია თუ გამოთქმული იყო მხოლოდ ერთი პირის-თვით დაზარალებულის თანდასწრებით, მაგრამ სხვა პირთა არყოფნისას, სახეზე არ იქნება ცილისწამება იმ მნიშვნელობით, რაც მოცემულია "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონში.

კანონმდებელი ამ შემთხვევაში ამოდის იმ პოზიციიდან, რომ პირმა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია თუ შეატყობინა მხოლოდ დაზარალებულს, ამ უკანასკნელის კანონით დაცულ პირად არაქონებრივ სიკეთეს საფრთხე არ ექმნება. თუმცა, მსგავს შემთხვევაში, დასაშვებია პასუხისმგებლობის დაკისრება პირისპირ შეურაცხყოფისათვის.

ცილისწამებად არ ჩაითვლება უცხო პირისათვის იმგვარ გარემოებათა თაობაზე შეტყობინებაც, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომავალში. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ვარაუდი არ შეიძლება შეფასდეს ცილისწამებად. თუმცა, გამოთქმული ვარაუდი პიროვნების სამომავლო ქცევის თაობაზე შეიძლება გახდეს პირისპირ შეურაცხყოფის ან უხამსობის გამო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რადგან პირისპირ შეურაცხყოფით ან უხამსობით პატივის და ღირსების უფლების ხელყოფას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც მცდარი, ასევე სწორი ინფორმაციის ან თუნდაც შეფასებითი აზრის გადაცემით.[92]

ცილისწამების არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პირები, ვინც გაიგო ანდა შეატყობინეს ინფორმაცია არიან თუ არა დაზარალებულის ახლობლები, ნაცნობები ან სულაც მისთვის უცნობი, უცხო ადამიანები. მთავარია, რომ გავრცელებული ინფორმაცია (განცხადება, იგივე ცნობა) იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი.

---

92 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421, 422 საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საკანონმდებლო მაცნე №82,17-11-2009 გვ.9.

ამიტომაცაა, რომ მოქმედი კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ამ თვალსაზრისით. ეს ადვილად ახსნადია ვინაიდან, პიროვნების პატივისა და ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების შეტყობინება მისი ახლობლებისთვის და ნათესავებისათვის შეიძლება გახდეს მეუღლეების განქორწინების (მაგ. არსებითად მცდარი ინფორმაცის შეტყობინება გათხოვილი ქალბატონის მეუღლისათვის, რომ ამ უკანასკნელს ჰყავს საყვარელი) მიზეზი, გამოიწვიოს ოჯახური კონფლიქტები და სხვა სერიოზული ან სულაც განსაკუთრებით მძიმე (მაგალითად მკვლელობა) შედეგი.

ცილისწამება საჯარო გამოსვლაში (მაგ. სოფლის ყრილობაზე) საჯაროდ, წარმოდგენილ ნაწარმოებში (მაგ. თეატრალიზებულ წარმოდგენაში), მედიაში (მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი) ან კონკრეტული ადრესატისადმი გაგზავნილ წერილში, შემდგომში ართულებს პატიოსანი სახელის აღდგენას. ამიტომაცაა იგი მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი.

ცილისწამების არსებობის მესამე ნიშანია – გავრცელებული ინფორმაციით სხვისთვის ზიანის მიყენება. ზიანის გარეშე არ არსებობს სამართალდარღვევა, ვინაიდან ასეთად, ჩაითვლება არა უფლების ხელმყოფი ყოველგვარი ქმედება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც იწვევს სამოქალაქო ნორმით გათვალისწინებულ შედეგს – ზიანს.

ზიანი ზოგადად შეიძლება იყოს, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური. ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ როცა სახეზეა არამატერიალური ზიანი, რადგან მის არსებობას კანონმდებელი უკავშირებს გავრცელებული ინფორმაციის სახელგამტეხ ბუნებას. ანუ, საჯაროდ (ანდა მესამე პირისათვის გაცნობის გზით) გავრცელებული არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია, ცილისწამებად და სამოქალაქო წესით დასჯად სამართალდარღვევად, რომ ჩაითვალოს, საკმარისია სახელგამტეხი განცხადების გავრცელების გზით დამდგარი ისეთი ზიანის არსებობა, რომელიც უშუალოდ ხელყოფს დაზარალებულის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, მაგრამ არ

გამოუწვევია ქონებრივი ზიანი, ანდა გამოიწვია, მაგრამ იგი წარმოადგენს ცილისწამების თანმდევ ხელყოფას.

სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა ხელმყოფის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, ამ სახის ზიანის მომტანი აშკარად არასწორი ფაქტების განზრახ ან/და გაუფრთხილებლობით გავრცელება/გახმაურება, წარმოადგენს დელიქტური ვალდებულების დარღვევას და დამრღვევი პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლით.

თუ ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელებით ხელყოფილია, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, ისე სახეზეა ქონებრივი ზიანი და დაზარალებული ითხოვს მხოლოდ არაქონებრივი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის დანაწესი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ცილისწამებისთვის დადგენილი 100 დღის ნაცვლად, 3 წელი იქნება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (იხ. სკ-ის 1008-ე მუხლი).

ცილისწამების მეოთხე ნიშანს წარმოადგენს გავრცელებული ინფორმაციის სახელგამტეხი ბუნება, რაც ამავე დროს, ზიანის არსებობის მთავარი პირობაცაა. ვეხებით რა გავრცელებული ინფორმაციის სახელგამტეხ ბუნებას უნდა ითქვას შემდეგი-სახელის გამტეხ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელებად და შესაბამისად ცილისწამებად მიიჩნია სასამართლომ მასწავლებელ – ც-ს წერილში მოყვანილი ცნობები, მასში ც. წერდა, რომ იმავე ტექნიკუმის მასწავლებელი ბ. თავს აბეზრებდა მას თავისი გადაჭარბებული ყურადღებით და ხელს უშლიდა მოეწყო პირადი ცხოვრება. მანვე, ტექნიკუმის დირექტორის სახელზე დაწერილ ამ წერილში ისიც აღნიშნა, რომ ბ. არ იყო პედაგოგის წოდების ღირსი.

სასამართლო განხილვით დადგინდა, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ც-მ, ბოროტად დასწამა ცილი მასწავლებელ ბ-ს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი სამსახურიდან გაანთავისუფლეს.

ცილისმწამებლურია თუ არა გავრცელებული განცხადება (ინფორმაცია) ამის შეფასება საბოლოოდ სასამართლოს პრეროგა-

ტივაა, მაგრამ სანამ ამას სასამართლო გააკეთებდეს, საკითხს გავრცელებულ ცნობათა სახელის გამტეხი ხასიათის შესახებ წყვეტს თვით დაზარალებული, რომელსაც უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

სასამართლო თავის მხრივ ვალდებულია დაადგინოს გავრცელებულ ცნობათა არსებითი ხასიათის ფაქტობრივი უსწორობა რეალურად არსებულ სინამდვილესთან და მათი შეუთავსებლობა მორალის პრინციპებთან.

ვუბრუნდებით რა მოყვანილ მაგალითს ავღნიშნავთ, რომ ტექნიკუმის მასწავლებლის ც-ის განცხადების საჯარო განხილვამ და ამ საქმის გახმაურებამ დიდი ზიანი მიაყენა მასწავლებელ ბ-ს რეპუტაციას. გავრცელებული ცილისწამების გამო, მისთვის დაიხურა სხვა დაწესებულებების კარიც და მას პროფესიის შეცვლა დასჭირდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაზარალებულმა მიიჩნია, რომ მის მიმართ გავრცელებული ცნობები სახელის გამტეხი იყო და სასამართლოს მიმართა თხოვნით, ცილისმწამებელი პირისათვის სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

აღიარა რა ბ-ს შესახებ გავრცელებული ცნობები სახელის გამტეხად, სასამართლომ ცილისწამებად შეაფასა ც-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი არ იძლევა სახელის გამტეხი განცხადების (ინფორმაციის, ცნობების) ჩამონათვალს.

ამდენად, ისმის კითხვა-რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისას? დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სახელის გამტეხ ცნობებში იგულისხმება სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია თუ იგი შეიცავს მტკიცებას-ფიზიკური (იურიდიული) პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების იმგვარი დარღვევის შესახებ, რომელიც მოქალაქის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას (ან იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას) ლახავს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და საზოგადოებაში დამკვირდებული ზნეობრივი ღირებულებების შესაბამისად.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლომ ცილისწამებად ჩათვალა ახალგაზრდა ქალბატონის მისამართით გავრცელებული სინამდვილესთან აშკარად შეუსაბამო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგი გათხოვებამდე არ იყო ქალწული და ა.შ.

ცილისწამების, როგორც დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შემდეგ, გავრცელებულ ცნობათა სახელგამტეხი ბუნება იქცა ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად, რომელიც სამოქალაქო წესით დასჯად ცილისწამებას განასხვავებს ცილისწამებლური ბრალდების შემცველი დანაშაულებისაგან მათ შორის ცრუ დასმენისაგან (საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლი).

შეგნებულად ცრუ დასმენა ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს და სწორედ მართლმსაჯულების ინტერესები წარმოადგენს დასახელებული დანაშაულის ობიექტს. ცილისწამებისას კი ხელყოფილია დაზარალებულის პირადი არაქონებრივი უფლება, რისთვისაც გამოყენებულია სხვა პირის პატივისა და ღირსების შემლახავი, მისი რეპუტაციისათვის ძირგამომთხრელი ცნობების გაცილებით ფართო წრე. ამასთან, ცილისმწამებლური ცნობები გადაეცემა საზოგადოების ფართო სპექტრს ან მესამე პირებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ცილისწამებელი მიზნად ისახავს საზოგადოების თვალში კონკრეტულ პირთა სახელის გატეხვას, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის გზით.

მისგან განსხვავებით ცრუ დასმენის, როგორც დანაშაულის ადრესატი შეიძლება იყოს მხოლოდ სამართალდამცავი ორგანო, ვინაიდან დამნაშავე ცდილობს სამართალდამცავი ორგანოების შეცდომაში შეყვანას და საკუთარი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მართლმსაჯულების ორგანოების იარაღის სახით გამოყენებას, რათა პიროვნებას არამხოლოდ დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, არამედ მსჯავრი დაედოს კიდეც.

ამდენად, ცრუ დასმენა სახეზეა მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ანუ, განზრახი ბრალის არსებობის შემთხვევაში, მაშინ როდესაც ცილისწამების არსებობისთვის ბრალის არსებობას და მის ფორმას (იგულისხმება განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა) მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მორალური ზიანის კომპენსაციის დაკისრებისა და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის.

ჩამოთვლილი გარემოებები ცილისწამებას, როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევას ისეთი დანაშაულისაგანაც მიჯნავს, როგორიცაა: მოწმის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების და ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა, ან თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმნა (სსკ-ის -370-ე მუხლი).

უნდა ითქვას იმის თაობაზეც, რომ ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებით ხელყოფილია სახელგატეხილი პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ცრუ ჩვენებისა და ყალბი დასკვნის მიცემის, არასწორი თარგმნის ხელყოფის პირდაპირ ობიექტს კი მართლმსაჯულების ინტერესები წარმოადგენს. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან არასწორი თარგმანის დანაშაულის სუბიექტებად შეიძლება მოგვევლინონ: მხოლოდ მოწმეები, დაზარალებულები, ექსპერტები და თარჯიმნები, მაშინ როცა ცილისწამებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ვინ გაავრცელებს, ან ვის მიმართ გავრცელდება იგი.

ცალკეულ შემთხვევებში გავრცელებული განცხადება (ინფორმაცია, ცნობა) შეიძლება აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, მაგრამ მაინც არ დადგეს ხელმყოფის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის. აღნიშნულის მიზეზი კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი ბარიერებია, რის გამოც დამატებით საჭიროა, გაირკვეს-ხომ არ არსებობს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა კანონებით ან ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც ავსებენ მათ, განსაზღვრული გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას. კერძოდ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს:

1) ისეთი განცხადება, რომელიც გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებას მეტი შესაძლებლობა მიეცეს საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად, იმ იდეებთან დაკავშირებით, რომლებიც გააჩნია პოლიტიკურ მოღვაწეს.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ დასაშვები კრიტიკის ზღვარი პოლიტიკოსის მიმართ გაცილებით ფართოა ვიდრე კერძო პირის ან თუნდაც საჯარო მოხელის მიმართ. შესაბამისად, პოლიტიკოს-

მა მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინოს მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის/შეფასების მიმართ, თუ იგი არ წარმოადგენს გაუმართლებელ თავდასხმას მისი პიროვნებისადმი.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ როცა პოლიტიკოსი მოექცევა მოწინააღმდეგის მწვავე და პროვოკაციული გამონათქვამების ზეგავლენის ქვეშ და თვითონაც გააკეთებს სადაო და პოლემიკური ხასიათის განცხადებას ამ უკანასკნელის მიმართ, ასეთი განცხადება ჩაითვლება პოლიტიკური საკითხების ირგვლივ გამართული დისკუსიის ნაწილად, თუ ავტორი შეძლებს საკუთარი ობიექტური და გასაგები ახსნა-განმარტების მიცემას მისი ამგვარი ქცევის თაობაზე. ანუ, შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ მისი მხრიდან სხვა პოლიტიკოსის პიროვნების მიმართ უმიზეზო აგრესიას არ ჰქონია ადგილი[93];

ამრიგად, სასამართლოში ამ კატეგორიის საქმის განხილვის დროს აუცილებელია დადგინდეს და შეფასდეს არა მხოლოდ გავრცელებულ ცნობათა უტყუარობა, არამედ მათი ხასიათიც და ისიც, თავსდება თუ არა ისინი პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში. ამასთან, გადაწყვეტილი უნდა იქნეს, როგორც პოლიტიკურ შეფასებათა და არასწორი ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელების გამიჯვნის საკითხი ისე, არასწორი ფაქტობრივი ინფორმაციის უარყოფის შესაძლებლობა.

უარყოფას ექვემდებარება მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც შეიძლება შემოწმდეს სასამართლო წესით. პოლიტიკურ დისკუსიებში, ვინაიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს დახასიათების განსხვავებული ფორმები, მათი ნაწილი კი შეიძლება ფაქტების დამახინჯებასაც შეეხებოდეს, თითეულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მათი გამოკვლევა, შემოწმება და დამტკიცება.

შესაბამისად, სასამართლოებმა ყოველთვის უნდა გაარკვიონ, მიდის თუ არა საუბარი იმაზე, რაც შეიძლება უარყოფილი იქნეს, როგორც მოსარჩელის შეურაცხმყოფელი და სინამდვილესთან შეუსაბამო. ანუ, უნდა დადგინდეს დასაშვები ფორმით მიმდინარეობს პოლიტიკური დისკუსია თუ არა;

2) განცხადებები, რომელიც გაკეთებულია: პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პარლამენტის წევრის მიმართ დაწესებული ასეთი

---

93 იხ. Oberschlik (№2) v.Austria-ს საქმეზე 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების 34-ე პარაგრაფი.

შეღავათი შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 52.4-ე მუხლის იმ დანაწესთან, რომლითაც, განსაზღვრულია რომ პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა პარლამენტში და მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის;

3) არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები, რომლებიც გაკეთებულია წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე. ამასვე ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება. მაგალითად, ფინეთში გამართულ სასამართლო პროცესზე, ადვოკატმა ნიკულამ, რომელიც იცავდა თავისი კლიენტის ი-ს ინტერესებს, გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც პროკურორს ბრალი დასდო უკანონობასა და როლების მანიპულირებაში. კერძოდ, ადვოკატმა აღნიშნა, რომ პროკურორი პროცესუალური ტაქტიკის გამოყენებით ცდილობდა თანამონაწილე ექცია მოწმედ და შეთითხნილი ბრალდება წაუყენა უდანაშაულო პირს, რომელიც სინამდვილეში მოწმედ უნდა გამოსულიყო.

პროკურორმა ადვოკატის მიმართ აღძრა კერძო ბრალდების საქმე დიფამიციისთვის. თავის მხრივ სასამართლომ ადვოკატი ცნო დამნაშავედ დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა. ფინეთის უზენაესმა სასამართლომ კი უცვლელად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს პოზიცია.

ევროსასამართლო არ დაეთანხმა ფინეთის ეროვნული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ადვოკატებს გააჩნიათ მართმსაჯულების განხორციელების პროცესში გარკვეული თავისუფლება. ამასთან, ადვოკატ ნიკულას არ დაურღვევია კანონით მისთვის მინიჭებული თავისუფლებისთვის დაშვებული ზღვარი მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი გამონათქვამი არასათანადო იყო, ვინაიდან გამოთქმული კრიტიკა მთლიანობაში ეხებოდა პროკურორის საქმიანობას და არ წარმოადგენდა მის პროფესიულ და სხვა თვისებათა შეფასებას.

ამდენად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პროკურორს მართებდა ყოფილიყო მომთმენი ადვოკატის მკაცრი კრიტიკის მიმართ, რადგან ადვოკატის კრიტიკა

შეზღუდული იყო სასამართლო პროცესის საკითხებით და არ წარმოადგენდა პროკურორის პირად შეურაცხყოფას.[94]

ევროსასამართლომ ანალოგიურ საქმეზე ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ეროვნული სახელმწიფოების უფლებამოსილმა ორგანოებმა, თავიანთი დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოთმინება უნდა გამოიჩინონ და თავი შეიკავონ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისგან მათი კრიტიკის შემთხვევაში, თუნდაც ეს კრიტიკა იყოს პროვოკაციული და შეურაცმყოფელიც კი;[95]

4) არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები, რომლებიც გაკეთებულია სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე კომიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

ანალოგიურია ამ მიმართებით ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებიც. ამდენად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, დაცულია გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, როცა პირი სისხლისსამართლებრივი თუ სხვა სახის სანქციების გამოყენების შიშით არ მოერიდება საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმას;[96]

5) ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადებაც, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელი ჯგუფის, გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას ან/და, რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული (იხ. ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-6 მუხლი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კანონი იცავს პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლებას (იხ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-5 მუხლი), იმ პირთა წრის მაქსიმალურად შეზღუდვის ხარჯზე, ვისაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ცილისწამებისათვის.

---

94 იხ. Nikula v. Finland №31611196 საქმეზე 2002 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

95 იხ. Ozgur Cundem v. Turkey-ს საქმეზე 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების მე-60 პუნქტი.

96 იხ. Barfod v. Denmark-ის საქმეზე 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების 29-ე პუნქტი. სერია A, №149.

ამავე მიზანს ემსახურება ის გარემოება, რომ ცილისწამების თაობაზე დავისას არ შეიძლება მოპასუხედ იმ პირის გამოძახება, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერდა მხარს განცხადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს ევალება, მოსამზადებელ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, შეამოწმოს ცილისწამებლური განცხადების გაკეთებას ხომ არა აქვს ადგილი პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლებისათვის კანონით დადგენილ ან ზემოთჩამოთვლილ სხვა გარემოებებში. ასეთის დადასტურების შემთხვევაში კი გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე და 273-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რაც კრძალავს სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის შესაძლებლობას დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი მოითხოვს, რომ ამ კანონით დაცული და აღიარებული უფლებების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ანალოგიურად წყვეტს ამ საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. კერძოდ, არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მკაცრია იმ ჟურნალისტთა მიმართ, რომლებიც გადაუმოწმებელი, სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტების დემონსტრირებას ახდენენ, მაშინ, როცა შეფასებით მსჯელობათა ჭეშმარიტება არ ექვემდებარება მტკიცებას.[97]

მსგავს დებულებას შეიცავს ჟურნალისტიკური ეთიკის 54-ე პუნქტი, რომლითაც ჟურნალისტებს ევალებათ, რომ იმოქმედონ კეთილსინდისიერად, წინასწარ გადამოწმებულ ფაქტებზე დაყრდნობით და საზოგადოებას მიაწოდონ სანდო და დაზუსტებული ინფორმაცია.

ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ევროსასამართლოში არსებით განხილვაზე არ იქნა დაშვებული ჟურნალისტის

---

97 იხ. Lingens v. Austria-ს საქმეზე 1986 წლის 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების 46-ე პუნქტი. სერია A №103.

განცხადება, რომელიც იტალიაში მსჯავრდებული იყო ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნებისათვის. კონკრეტულად კი სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ ჟურნალისტმა წინასწარ ადეკვატურად და გულდასმით არ შეისწავლა სტატიაში მითითებული ფაქტების რეალობა რის გამოც ვერ შესძლო სინამდვილესთან მათი შესაბამისობის დამტკიცება. ამდენად, მიჩნეული იქნა, რომ ჟურნალისტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მიზნად ისახავდა ცილისწამებისაგან პიროვნების დაცვას. ანუ, სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ ჟურნალისტის მსჯავრდება განპირობებული იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა რეპუტაციის დაცვის აუცილებლობით.[98]

ანალოგიური საფუძვლით, არსებით განხილვაზე არ იქნა დაშვებული ჟურნალისტისა და პერიოდული გამოცემის მეპატრონის განაცხადი, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ ისეთი სტატიის გამოქვეყნებისათვის, რაც შეიცავდა პლასტიკურ ქირურგთან დაკავშირებით ცილისმწამებლურ გამონათქვამებს.

მოცემულ შემთხვევაში განაცხადის მიღებაზე უარი ევროსასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ სტატიაში მოყვანილი ბრალდებები არანაირი მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული, რითაც ჟურნალისტმა და პერიოდულმა გამოცემამ არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებასთან დაკავშირებით. ამასთან, შეგნებულად დამალეს რა სადაო გამონათქვამების ავტორთა ვინაობა, გაჩნდა ეჭვი, რომ გაზეთი მხარს უჭერდა ინფორმაციის შინაარს. ამდენად, ქირურგის რეპუტაციის დაცვას უპირატესობა მიენიჭა აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან შედარებით.[99]

ევროსასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებიდან გამომდინარე აშკარაა, ისიც, რომ სახელმწიფო მოხელეები ნაკლებად არიან დაცულები ევროკონვენციის მე-10 მუხლით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოხელეები აღქმულ იქნენ დაუმსახურებელი ცილისწამების ობიექტებად.

---

98 იხ. განაცხადი №18902/91 H.N. v. Italy 1998 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება D.R. 94. გც.21.

99 იხ. განაცხადი №45710/99 Verdens Gang and A asc v. Norway, 2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ევროსასამართლოს პოზიციას, ცილისმწამებლური ბრალდებით ხელყოფილი საჯარო მოხელის პატივისა და ღირსების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ადასტურებს ამ სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება. ასე მაგალითად, ევროსასამართლომ არსებითი განხილვისათვის არ მიიღო განმცხადებლების საქმე, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ მოსამართლის და სხვა სახელმწიფო მოხელეების მიმართ საჯაროდ არაერთგზის გამოთქმული ცილისწამებისათვის.

სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მიღებით დაადასტურა იმის აუცილებლობაც, რომ სახელმწიფო მოხელეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით და გააჩნდეთ მუშაობისათვის სათანადო პირობები. მოყვანილ შემთხვევაში კი გამოირკვა, რომ საჯარო მოხელეთა მიმართ გამოთქმული კრიტიკა ატარებდა დაუსაბუთებელ და მეტისმეტად შეურაცხმყოფელ ხასიათს. შესაბამისად, განმცხადებლების გამოხატვის უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა მიჩნეულ იქნა ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის პროპორციულად.[100]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ თუ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი, რომელიც ვერ (ან არ) დადასტურდა ,,სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს ევალება მსგავსი დავა გადაწყვიტოს აზრის, მოწოდების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

აღნიშნული აიხსნება იმით, რომ აზრი, ანუ შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახის ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და

---

100 იხ. განაცხადი № 32051/96 A.Jaaskelainen and others v. Finland-ის საქმეზე 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება. ამ და ევროსასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებშიც დეტალურად არის მიმოხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, იხ. პ(თ) მონიავას ნაშრომი ,,პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნებში". თბილისი 2004 წელი გვ. 92-107.

არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, დაცულია აბსოლიტური პრივილეგიით. შესაბამისად, სახეზეა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლების საფუძველი.

ზემოთ აღინიშნა, რომ ნებისმიერ პირს, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის დამუშავების და გავრცელების, ანუ გამოხატვის უფლება.

ამ უფლების დაცვის გარანტად კი გვევლინება – ცენზურის დაუშვებლობა, მედიის სარედაქციო დამოკიდებულება და პრუ-ლარიზმი, ჟურნალისტის უფლება დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები; სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება; ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლება; ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლება, ქველმოქმედების თავისუფლება; მხილების თავისუფლება და მამხილებელთა დაცვა; თავისუფლება იძულებისგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის აგრეთვე, ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებისა და თავისუფლების შელახვის საფუძველი (იხ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-3.2 მუხლი).

გამოხატვის თავისუფლება, აზრის აბსოლუტურ თავისუფლებასთან ერთად, გულისხმობს პოლიტიკური სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასაც. ჩამოთვლილ შემთხვევებში გამოხატვას კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოწოდების სახით. ანუ, ისეთი განცხადების გზით, როცა ავტორი მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და განსაზღვრა, რომ მოწოდება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს პასუხისმგებლობას თუ სახეზეა ისეთი ქმედება, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

ე.ი. მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით ვინაიდან, იძლევა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლების შესაძლებლობას.

სასამართლოს გადაწყვეტილებით პირმა შეიძლება დაკარგოს ეს პრივილეგია, თუ ჩაიდინა ბრალეული ქმედება და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება აუცილებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება საქართველოს კანსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი სიკეთეების დაცვას.

კერძოდ, კონსტიტუციით აღიარებულია ყოველი ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. თუმცა, იქვე განსაზღვრულია ამ უფლებების შემზღუდველი საფუძვლებიც. კერძოდ: პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია/გამოთქმული აზრი აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად (იხ. კონსტიტუციის 24.3-ე მუხლი).

რაც შეეხება კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილს, იგი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნას და საქმიანობას, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის, ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ ან სოციალურ შუღლს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ იმავდროულად არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული და სხვა საყოველთა-

ოდ აღიარებული ისეთი უფლებების და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობას, რომლებიც პირად არაქონებრივ უფლებებთან ასოცირდებიან.

საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა საქართველოს კანტიტუციით დაცულ ისეთ ძირითად უფლებებთან როგორებიცაა: პატივისა და ღირსების ხელშეუვალობაზე უფლება (კონტიტუციის 17.1 მუხლი), ასევე ადამიანის პირადი საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის უფლება (კონსტიტუციის მე-20.1 და მე-20.2 მუხლები).

იმ შემთხვევაში, როცა ჩამოთვლილი უფლებების ხელყოფის თაობაზე არსებობს გონივრული ეჭვი, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორმა, ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის" მე-7.6 მუხლის თანახმად, უნდა დაამტკიცოს, რომ ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობა აღემატება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს. ე.ი. მტკიცების საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პირადი არაქონებრივი უფლებების სასარგებლოდ, პირდაპირაა მიმართული ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისკენ ანუ, შეზღუდვა გამოწვეულია იმ პირობებით, რომლებიც ჩამოთვლილია კოსტიტუციის 24.3-ე ან 26.3-ე მუხლებში.

კერძოდ, შეზღუდვის ინიციატორმა უნდა დაამტკიცოს, რომ: 1) პირადი არაქონებრივი უფლებების შეზღუდვა კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; 2) არ წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას; 3) არაპროპორციულად არ ზღუდავს სხვათა უფლებებს; 4) ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სიკეთის დაცვას.

უნდა ითქვას ისიც, რომ მხოლოდ ზემოთაღნიშნული მოთხოვნების შესრულებისა და ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ შეიძლება მიენიჭოს პირს კვალიფიციური პრივილეგია. ანუ,

სასამართლომ ნაწილობრივ ან/და პირობით შეიძლება გაანთავისუფლოს იგი მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან.

გონივრული და ქმედითი შესაძლებლობები კი ამოწურული იქნება მაშინ, ცილისმწამებლური ინფორმაციის გამავრცელებელი თუ მიიღებს ზომებს ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლებს შეცდომის თავიდან აცილებას. ამასთან, გაატარებს ქმედით ღონისძიებებს ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად.

ანალოგიურად, კვალიფიციური პრივილეგია იცავს იმ პირს, რომელიც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გაკეთებით მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს. მაგ. თუ პირს უცნობი დაურეკავს ტელეფონზე და შეატყობინებს, რომ სოფლის გამგებელმა სასმელი წყალი მოწამლა და სასიკვდილო საფრთხე ემუქრება სოფლის მთელ მოსახლეობას, მან კი ამის შესახებ განაცხადა სოფლის ყრილობაზე, ინფორმაციის გამავრცელებელს მიენიჭება კვალიფიციური პრივილეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წყალი მართლაც მოწამლული აღმოჩნდება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ამ ქმედების ჩადენაში მხილებული და მსჯავრდებული იქნება არა სოფლის გამგებელი არამედ სხვა პირი, რომელსაც ამ გზით სურდა გამგებელზე შურისძიება, მათ შორის არსებული დაპირისპირების გამო.

მოცემულ შემთხვევაში მთავარი ფაქტორი ისაა, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია გამგებლის მიერ წყლის მოწამვლასთან დაკავშირებით არსებითად მცდარი აღმოჩნდა, მაგრამ უდაოდ დადასტურდა წყლის მოწამვლის ფაქტი, რამაც უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა ათეულობით ადამიანი.

შესაბამისად, აშკარაა, რომ დაცული სიკეთე აღემატება სოფლის გამგებლისათვის მიყენებულ ზიანს. თუმცა, ამ უკანასკნელის პატივის და ღირსების ხელყოფა, ვინაიდან სახეზეა, სასამართლოს შეუძლია გაანთავისუფლოს ინფორმაციის გამავრცელებელი პასუხისმგებლობისაგან პირობით, ანუ მას შემდეგ, თუ იგი საჯაროდ განაცხადებს, რომ მის მიერ გარცელებუ-

ლი ინფორმაცია სოფლის გამგებელთან მიმართებაში აღმოჩნდა სინამდვილესთან შეუსაბამო.

კვალიფიციური პრივილეგია იცავს პირს იმ შემთხვევაშიც როცა მან არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება გააკეთა იმ პირის თანხმობით, რომლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისკენაც არის მიმართული საჯაროდ გავრცელებული ან მესამე პირისათვის გაცნობილი ინფორმაცია.

ამ შემთხვევაში მოტივს თუ რითი ხელმძღვანელობდნენ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გამავრცელებელი და ე.წ. ,,დაზარალებული" მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დადგინდეს, რომ შეთანხმებას მართლაც ჰქონდა ადგილი.

ანალოგიურად, იმ შემთხვევაშიც, როცა ცილისმწამებლური განცხადება წარმოადგენდა ამათუიმ პირის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს, მას იცავს კვალიფიციური პრივილეგია.

„სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" კანონი ცხადყოფს, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მაშინ, თუ მან იცოდა, ან არ იცოდა, მაგრამ მეტი გულისხმიერება, რომ გამოეჩინა შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

ცილისწამების საქმეზე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია, როგორც კერძო ისე საჯარო პირის მიმართ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. (იხ."სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-13 და მე-14 მუხლები).

"კერძო პირის" ცნების ქვეშ კანონმდებელი მოიაზრებს ისეთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც არ არის საჯარო პირი, ან ადმინისტრაციული ორგანო.

რაც შეეხება "საჯარო პირს"—,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის 1-ლი მუხლის ი) ქვეპუნქტის თანახმად, მასში იგულისხმება: "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი (საქართველოს

პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, მინისტრები, ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, მათთან გათანაბრებული პირები, პროკურორები, მოსამართლეები და ა. შ.); ასევე ისეთი პირი, რომლის გადაწყვეტილება, ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე (მაგ. რელიგიური ლიდერი, ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი) ან/და პირი რომლისკენაც, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, მიმართულია საზოგადოების ყურადღება (მაგ. ასეთად ჩაითვლება ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნაკრების მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში).

კერძო პირისაგან განსხვავებით, საჯარო პირს სასამართლოში ევალება არა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის მიმართ და ამ განცხადებით მას მიადგება ზიანი, არამედ იმის მტკიცებაც, რომ განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან/და მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია ცილისმწამებლური განცხადების გავრცელება.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-9 მუხლი ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხება ცილისწამებას, უხამსობას, პირისპირ შეურაცხოფას, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, სახელმწიფო კომერციულ ან პირად საიდუმლოებას და ა.შ. შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება.

შინაარსობრივი რეგულირების შესაძლო დაწესების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს რომლის მიმართაც გავრცელდა ცილისწამებლური განცხადება უფლება აქვს, გამავრცელებლისაგან, მოითხოვოს გავრცელებული ინფორმაციის თვალსაზრისობრივად ნეიტრალური და არადისკრიმინაციული შეზღუდვა.

თვალსაზრისობრივად ნეიტრალური და არადიკრიმინაციული შეზღუდვა კი გულისხმობს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ ეხება გამოხატვის საგანს, გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეე-

ბის შინაარსზე და გამომხატველობით ეფექტზე, მაგრამ აიძულებს ინფორმაციის გამავრცელებელს დაემორჩილოს სხვისი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ასე მაგ. სააქციო საზოგადოების საწყობში თუ გამოვლინდება მატერიალური ფასეულობის დანაკლისი და დასაქმებულთა კრებაზე სიტყვით გამოსვლისას, ამ საზოგადოების დირექტორი, დანაკლისის გამომწვევი მიზეზის დადგენის და სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გარეშე, საწყობში დასაქმებულ მეკუჭნავეებს მოიხსენიებს ქურდებად, დირექტორის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსობრივი რეგულირება, იქნებოდა ამ განცხადების ტექსტის ისეთნაირად გადმოცემა, რომელშიც აღინიშნებოდა, რომ საწყობში აღმოჩნდა დანაკლისი და მასალები გადაეცა საგამოძიებო ორგანოს იმის გასარკვევად, მოცემულ შემთხვევაში მეკუჭნავეთა მხრიდან დანაშაულის ჩადენას, ხომ არა აქვს ადგილი.

მოყვანილი მაგალითის ანალოგიურია „Constantinescu v, Romania-“ს საქმეზე ევროსასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (74-ე პარაგრაფი). კერძოდ, ამ გადაწყვეტილებით ევროსასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მასწავლებელთა პროფკავშირების თავმჯდომარის მსჯავრდება ცილისწამებისათვის, რომელმაც სამ მასწავლებელს ქურდები უწოდა. მასწავლებელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლისამართლის საქმის გამოძიების პროცესში კი მასწავლებელთა მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა, სასამართლომ მიუთითა, რომ პროფკავშირების თავმჯდომარეს თავისი მდგომარეობის მიუხედავად მოეთხოვება დაემორჩილოს სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად გარკვეულ შეზღუდვებს. შესაბამისად, ცნო რა სადაო განცხადების ცილიმწამებლური ხასიათი ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ,,განმცხადებელს კრიტიკის გამოხატვა თავისუფლად შეეძლო მასწავლებლების ქურდებად მოხსენიების გარეშეც.”

ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება სასამართლოსათვის სარ-

ჩელით მიმართვის გზით, რა დროსაც დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს:

1) ხელყოფის თავიდან აცილება ან 2) აღკვეთა. ამასთან, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მოპასუხეს ეკისრება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულება, თვით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით იმ შემთხვევაშიც, როცა ცილისწამება არ გავრცელებულა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. თუმცა, აკრძალულია, მოპასუხის იძულება, რომ მოიხადოს ბოდიში.

ცილისწამების გავრცელებით მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურება კი დამოკიდებულია იმაზე, მოპასუხემ, მის მიერ გავრცელებულ ცილისმწამებლურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, განახორციელა თუ არა შესწორება ან უარყოფა. დადებით შემთხვევაში ასეთი შესწორება (უარყოფა) განხორციელდა თუ არა კანონით დადგენილ ვადაში, დადებით შემთხვევაში არის თუ არა საკმარისი ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი კომპენსირებისთვის.

თუ შესწორებას/უარყოფას არ ექნება ადგილი, ან/და სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ არის საკმარისი, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ცილისწამებით ხელყოფილი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვისათვის "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-19 მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური 100 დღიანი ვადა. მისი ათვლა იწყება იმ დღიდან როცა პირი გაეცნო ცილისწამებლურ განცხადებას ან შეეძლო გაცნობოდა მას.

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს, სარჩელის შეტანის გზით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვას. კერძოდ, სასამართლო თუ დაადგენს, რომ ცილისწამების შესახებ სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა, აღნიშნული ანიჭებს მოპასუხეს უფლებას, რომ გონივრულ ვადაში მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება (იხ. დასახელებული

კანონის მე-18 მუხლი). ანუ, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი, ამ მხრივ, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 44.2-ე მუხლთან, რომელიც მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და მოვალეობები.

ცილისწამებლური განცხადებების უმეტესობა კეთდება ემოციური დატვირთვის ფონზე, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული. ამდენად, აღნიშნულს მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა პირი ექცევა მოწინააღმდეგის მწვავე და პროვოკაციული ფონის ზეგავლენის ქვეშ და ა. შ.

შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა შეძლონ ემოციების დაცხრობა და შერიგება. კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და დაავალდებულა სასამართლოები, რომ მიიღონ ზომები მხარეთა მოსარიგებლად. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია გადადოს საქმის განხილვა და მოსარიგებლად დანიშნოს ერთ თვემდე ვადა (იხ. დასახელებული კანონის 6.6. მუხლი).

§10. უხამსობით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს უხამსობით. ასეთ შემთხვევაში, ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის სპეციალური წესია დადგენილი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით.

დასახელებული კანონი-უხამსობად მიიჩვევს ისეთ განცხადებას, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ უხამსობა ისევე, როგორც ცილისწამება "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის წარმოადგენს განცხადებას, ანუ ისეთ ინფორმაციას, რომელიც განმცხადებლის მიერ გავრცელდა საჯაროდ ან გაეცნო მესამე პირს.

უხამსობის, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი წესით დასჯადი მოქმედების არსებობისათვის აუცილებელია, რომ გავრცელებული განცხადებით უხეშად შეილახოს საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ანუ, განცხადებას არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებო ან სამეცნიერო ღირებულება.

საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების დარღვევას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა გავრცელებული ინფორმაცია ფიზიკურ პირის ეროვნულობის, რასის, სოციალური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ, შეურაცხოფელი სიტყვების ან შედარებების გამოყენების გზით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ პრინციპებს.

საჯაროდ გავრცელებული ან მესამე პირებისათვის გაცნობილი განცხადება არღვევს თუ არა ეთიკურ ნორმებს, საკითხი ამის შესახებ უნდა გადაწყდეს საზოგადოებაში არსებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით. მაგ. ყველასათვის ცნობილია, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია. შესაბამისად, პიროვნების მიმართ ასეთი ეპითეტის გამოყენება, რომ იგი "ძაღლივით ერთგულია" არ შეიძლება საზოგადოებაში

იწვევდეს უარყოფით ემოციებს და საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციაში პიროვნების ამ კონტექსტში მოხსენიება არ იქნება უხამსობა.

მოყვანილი მაგალითისაგან განსხვავებით, ძაღლთან დაკავშირებით არაერთი ისეთი სიტყვა და გამოთქმაც გვხვდება ქართულში, რომელთა გამოყენება პიროვნების მიმართ შეურაცხოფს ამ უკანასკნელს.[101] მაგ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ძაღლად მოხსენიება უხამსობა იქნება ვინაიდან, არღვევს საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ იმ ჰუმანურ და ზნეობრივ პრინციპებს, რომლებიც მოითხოვენ სამართალდამცავი ორგანოებისადმი პატივისცემას, მათ მიერ გაწეული თავდადების და საქმიანობის სირთულიდან გამომდინარე;

კურდღელი თავისთავად საყვარელი ცხოველია. თუმცა, იმის გამო, რომ კურდღელი მშიშარა არსებაცაა, მასთან კონკრეტული პირის შედარება უხამსობა იქნება, რადგან გამოვლენილი შიშის გამო პიროვნების კურდღლად მოხსენებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საგამანათლებლო, პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო ღირებულება.

ამდენად, ადამიანის კურდღელთან შედარება არღვევს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთნიკურ ნორმებს იმის თაობაზე, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია პიროვნების კურდღელთან გაიგივება. ამავეს ადასტურებს სხვა ხალხთა ტრადიციებიც. კერძოდ, ალემანთა სამართლის მშვენება "ლექს სალიკა," ანუ იგივე "სალიკური სამართალი"-ის (იგი შექმნა სალიელი ფრანკების მეფე ხლოდვიგმა (451-511წწ) დაახლოებით 500 წელს) მე-18 ტიტული სხვა პირის კურდღლად მოხსენიებას სიტყვიერ შეურაცხოფად მიიჩნევდა და შეურაცხმყოფელს აკისრებდა შეურაცხყოფილისათვის 3 სოლიდის (ოქროს ფულის ერთეულია) გადახდის ვალდებულებას.[102]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს

---

101 იხ.[2] გაზეთ "ასავალ-დასავალში" 2008 წლის 8-15 მარტის ნომერში გამოქვეყნებული სტატია სათაურით "ინფორმაცია-განსჯისათვის, ანუ ენაში დაშიფრული საიდუმლო." ამ სტატიაში მოყვანილია ძაღლთან დაკავშირებული უარყოფითი მუხტის მატარებელი სიტყვები და გამონათქვამები ქართულში, კერძოდ: აძაღლდა, ჩაძაღლდა, გაძაღლდა, შობელძაღლი, ძაღლისა, ძაღლიკაცი და ა. შ.

102 იხ. პ. (თ) მონიავა. პატივის. ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი. 2004 წ. გვ .25.

მსგავს პოზიციას. კერძოდ, "Fuentes Bobo V. Snaini"-ის საქმეზე 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ კონკრეტულ პირთა მიმართ ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორიცაა "წურბელები" მიიჩნია უხამსობად, რომელიც დასჯას ექვემდებარებოდა.

უხამსობა ხელყოფს პიროვნების პატივს, მაგრამ ცილისწამებისაგან განსხვავებით წინა პლანზე მაინც ღირსების საკითხია წამოწეული. ანუ, განსაკუთრებულ ზიანს განიცდის დაზარალებულის მიერ საკუთარი ღირსების შეგრძნება, რომლის დამცირებასაც ადგილი აქვს უწესო ფორმით.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მიზნებისათვის უხამსობად მიიჩნევა მხოლოდ განცხადება, ანუ გავრცელებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც არაეთიკურია, ვინაიდან უხეშად ლახავს რა პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, აღნიშნულით ეწინააღმდეგება ზნეობისა და მორალის ნორმებს.

უხამსობა დასჯადი, რომ გახდეს იგი უნდა ატარებდეს პირადულ ხასიათს. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-18.1 მუხლის იმ იმპერატიული დანაწესიდან, რომლითაც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით პირს შეუძლია დაიცვას მხოლოდ თავისი პარადი არაქონებრივი უფლებები.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთი ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელიც არ შეურაცხოფს პიროვნების პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

გავრცელებული ცნობები, სინამდვილესთან მათი შესაბამისობის მიუხედავად, თუ ლახავს ისეთ არამატერიალურ ფასეულობებს როგორიცაა: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, სახეზე იქნება უხამსობა და სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით (სასარჩელო განცხადების შეტანის გზით) დაიცვას ხელყოფილი ზემოთჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი უფლებები. კერძოდ, საჯაროდ (ან მესამე პირისათვის გაცნობის გზით) თუ გაკეთებული იქნება განცხადება იმის თაობაზე, რომ პირი ჰომოსექსუალისტია და ეს რეალობას შეესაბამება, ასეთი განცხადება გარდა იმისა, რომ ხელყოფს პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებას,

წარმოადგენს უხამსობას, ვინაიდან პირს, რომლის მისამართითაც ამგვარი ინფორმაცია გავრცელდა სრული უფლება აქვს არ მოისურვოს მსგავს ცნობათა გახმაურება, რადგანაც იგი საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მორალურ და ზნეობრივ პრინციპებს არ შეესაბამება.

აღნიშნულის დადასტურებაა სხვა მაგალითიც-პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპულმა პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ, რომელიც გეიქორწინების (ერთსქესიანი ქორწინება) მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, სატელევიზიო გამოსვლაში, შესაბამისი ნებართვის გარეშე, გამოიყენა ამერიკაში შეუღლებული მამაკაცების დაქორწინების ვიდეო-კადრები. ამ წყვილმა გადაწყვიტა ლ. კაჩინსკისათვის სასამართლოში ეჩივლა (რაშიც გარკვეულწილად ლ.კაჩინსკის სიკვდილმაც შეუშალათ ხელი), ვინაიდან ლ.კაჩინშკიმ მათი პირადი ცხოვრების აფიშირება მოახდინა.

მსგავს შემთხვევაში, ინფორმაციის გამავრცელებლის მიერ იმაზე მითითება, რომ მოქმედებდა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონით დაცული აზრის აბსოლუტური თავისუფლების ფარგლებში, ვერ გახდება მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის საშუალება, ვინაიდან დასახელებული კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, პირს აქვს ნებისმიერი ინფორმაციის მოძიების, მიღების, შექმნის და გაცემის უფლება, მაგრამ მხოლოდ მაშინ თუ სახეზე არ იქნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი შეზღუდვით დაცულ სიკეთის (პატივის და ღირსების) უპირატესობას სიტყვისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვით მიყენებულ ზიანთან შედარებით.

მოცემულ შემთხვევაში კი პირს, რომლის უფლებებიც შეილახა ამგავარ ცნობათა გავრცელებით, არ გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ შეზღუდვა კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, არ არის დისკრიმინაციული, პროპორციულად ზღუდავს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას (იხ. დასახელებული კანონის მე-8.1 და მე-8.2 მუხლი) და პირდაპირაა მიმართული საქართველოს კონსტიტუციის 23.4-ე მუხლში მითითებული ისეთი ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისაკ-

ენ, რომელიც უშვებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შესახებ უფლების შეზღუდვას (იხ. კონსტიტუციის 23.1-ე მუხლი), როცა ეს აუცილებელია სხვათა უფლებების და ღირსების დასაცავად.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, თანხვედრაშია ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან, სხვათა რეპუტაციისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა შორის ბალანსის თვალსაზრისით.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ უხამსობის არსებობისას, კანონით შეიძლება დადგინდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება (იხ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი).

ამასთან, შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური და არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით, რადგან დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა. .კონკრეტულ მაგალითზე ეს გულისხმობს შემდეგს-თუ პიროვნება საჯაროდ ავრცელებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ჰომოსექსუალიზმი შიდსის ვირუსით დასნეულების ერთერთი მთავარი რისკ-ფაქტორია და მეტი დამაჯერებლობისათვის დაასახელებს კონკრეტულ პიროვნებასაც, სიტყვისა და გამოხატვის ნეიტრალური რეგულირება მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს, რომ შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ჰომოსექსუალიზმით დაავადებულ პირთა შორის შიდსით დაავადების მაღალი რისკ-ფაქტორის არსებობის თაობაზე, მაგრამ შეიზღუდება იგივე ინფორმაცია კონკრეტული პირზე მითითების ნაწილში.

უხამსობის დროს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დაცული უფლების შეზღუდვის შესახებ, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. შეზღუდვის მტკიცების ტვირთი კი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ამასთან, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ.

ცილისწამებისაგან განსხვავებით, უხამსობით შელახული პა-

ტივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, კანონით არ არის აკრძალული და ამდენად, დასაშვებია, მოპასუხის იძულება ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს, როგორც ქონებრივი ისე მორალური ზიანის ანაზღაურება.

§11. პირისპირ შეურაცხყოფა

პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვას შეიძლება ადგილი ქონდეს პირისპირ შეურაცხყოფითაც. ასეთ შემთხვევაში საკუთარი პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის წესი დადგენილია "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით.

შეურაცხყოფა, როგორც დანაშაული დეკრიმინიზირებულია სისხლის სამართალში. შესაბამისად, მისი ცნების განმარტებას არ იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ანალოგიურად, შეურაცხყოფის განმარტება არ არის მოცემული "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონში, რაც აიხსნება იმით, რომ საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, შეურაცხოფა გულისხმობს სხვა პირის პატივის, ღირსების, ასევე საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფ უარყოფით მოპყრობას, ან/და შეფასებას გამოხატულს უწესო ფორმით.

თავის მხრივ, უწესოდ მიიჩნევა ისეთი მოპყრობა, გამოთქმა ან შეფასება, რომელიც უხეშად ლახავს, ამცირებს პიროვნებას და ეწინააღმდეგება ზნეობის პრინციპებს. ასე მაგ. სასამართლო განხილვის საგნად იქცა ქარხნის ბუღალტერ კ-ს ქცევა, რომელმაც დამლაგებელი გალანძღა უცენზურო სიტყვებით კერძოდ, უწოდა "უპასუხისმგებლო ვირთხა" იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ბუღალტრის ოთახში არ აანთო ღუმელი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა ადამიანთან მოპყრობის მიუღებელი და უწესო ფორმა შეურაცხოფის სახით, რომელმაც დაამცირა პიროვნების ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცის აუცილებლობიდან გამომდინარე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მიჩნეული იქნა საფუძვლიანად. კერძოდ, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ქარხნის ბუღალტერს თავისი მდგომარეობის მიუხედავად, მოეთხოვება დაემორჩილოს სხვათა უფლებების დასაცავად გარკვეულ შეზღუდვებს. ამასთან, ცნო რა სადავო განცხადების შეურაცხმყოფელი ხასიათი მიუთითა, რომ ბუღალტერს ღუმელის აუნთებლობის გამო კრიტიკის გამოხატვა და დამლაგებლისათვის შენიშვნის მიცემა თავისუფლად შეეძლო ამ უკანასკნელის "უპასუხისმგებლო ვირთხად" მოხსენიების გარეშეც.

პრაქტიკაში გვხდება შემთხვევები, როდესაც შეურაცხმყოფელი ხასიათის დასადგენად აუცილებელია სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობის გაანალიზება ლექსიკონის დახმარებით. კერძოდ, სასამართლომ პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით ერთ შემთხვევაში ლექსიკონის დახმარებით გამოიკვლია და შეაფასა ისეთი გამონათქვამი, როგორიცაა – „გაანიავა მემკვიდრეობა," ხოლო მეორე შემთხვევაში – „უძღები შვილი."

მრავალი სიტყვის და გამოთქმის შინაარსი კი არაერთი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული, რის გამოც მსგავს შემთხვევაში სასამართლოებმა უნდა დანიშნონ ლინგვისტიკური (ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური) ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს სიტყვათა გამოყენების სემანტიკურ და სტილისტურ ასპექტებს. ასე მაგ. სასამართლო მსჯელობის საგანი გახდა პიროვნების მიმართ გამოთქმული სიტყვები ,,ბეჩავი კონსტანტინე გაკრულ ბალღ ჰყოლია" და მიჩნეულ იქნა, რომ ეს გამონათქვამი იძლეოდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

შეურაცხყოფა პირადულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ანუ, შეურაცხყოფა კონკრეტულ პირთან უნდა იყოს დაკავშირებული. თუმცა, აუცილებელი არ არის საკუთრივ დაზარალებულის სახელისა და გვარის დასახელება, ვინაიდან საკმარისია მინიშნებაც კი, რომ შეურაცხყოფას ადგილი აქვს მოცემული პირის მიმართ.

შეურაცხყოფად მიიჩნევა თვით სამართლიანი უარყოფითი შეფასებაც თუ, იგი უწესო ფორმითაა გამოხატული, ვინაიდან მართებული ფაქტების დასახელებისას დაუშვებელია მათი აკრძალული ფორმით გამოხატვა.

შეურაცხყოფის მიყენების ხერხები მრავალფეროვანია. კერძოდ, შეურაცხყოფას შეიძლება ადგილი ქონდეს სიტყვიერად, წერილობითი ფორმით ან მოქმედებით.

სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს დაზარალებულის მისამართით. ასეთი შეიძლება გამოითქვას მესამე პირების თანდასწრებითაც, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ გამონათქვამი ესმის დაზარალებულს და ამაში დარწმუნებულია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფი პირი.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი უშვებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობას მოქმედებაში გამოხატული შეურაცხყოფისათვისაც. ამ სახის შეურაცხყოფა ხელყოფს არა მხოლოდ ადამიანის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას არამედ მისი სხეულის ხელშეუხებლობასაც, რის გამოც განასხვავებენ ფიზიკური ტკივილის გამომწვევ ქმედებებს და ისეთ ქმედებებს, რომლებიც ტკივილს არ იწვევს (მაგ. შეფურთხება).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ უწესო ფორმა, როგორც შეურაცხყოფის ხერხი, მოცემული შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.

„უწესო ფორმი"-ს არსებობა-არაარსებობა შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც სასამართლო განსაზღვრავს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. ასეთი ფორმა შეიძლება გამოიხატოს ქცევაში, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ ქცევის მანერას და ვლინდება პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელ ცინიზმში, ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების დარღვევაში. ანუ, შეურაცხყოფის მიყენება შესაძლებელია: წერილობით (მაგ. დაფაზე, ქაღალდის ფურცელზე და ა. შ., შემარცხვენელი წარწერის გაკეთება); სიტყვით (მაგ. დაზარალებულისათვის მისსივე ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით დამამცირებელი ფაქტების შეტყობინება ან შეხსენება); საქმით (მაგ. შეფურთხება, გარტყმა) და ვულგარული (მაგ. სასქესო ორგანოზე მითითება და ა. შ.) ჟესტითაც.

შეურაცხყოფას და უხამსობას მართალია აქვთ საერთო, მაგრამ მათ შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ:

1) უხამსობის დროს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვა სცილდება პირადი წყენინების ფარგლებს. შესაბამისად, მეტ საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს პატივის დაცვის აუცილებლობა მაშინ, როდესაც პირისპირ შეურაცხოფის დროს ფეხქვეშ არის გათელილი პირის ღირსება ან/და პირადი ხელშეუხებლობის უფლება;

2) უხამსობა შეურაცხყოფის მსგავსად, საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმების დარღვევით, წარმოაჩენს, როგორც არაარსებული ფაქტის არსს, ისე იმასაც რასაც სინამდ-

ვილეში ჰქონდა ადგილი. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მიზნებისათვის, უხამსობას ადგილი აქვს მხოლოდ განცხადების გაკეთების ანუ საჯაროდ მისი გავრცელების, ან მესამე პირისათვის მისი გაცნობის (მაგ. დაწერილი ტექსტის წაკითხვის, აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლის, მესამე პირისათვის თქმის, ტელეფონით შეტყობინების ან წერილის მიწერის) გზით. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ესწრება თუ არა ყოველივე ამას დაზარალებული.

შეურაცხყოფას კი დაზარალებული ღებულობს პირისპირ, ანუ უშუალოდ ესწრება მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის, პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფის ფაქტს;

3) განსხვავება იმაშიცაა, რომ პირისპირ შეურაცხყოფის მიყენება შესაძლებელია როგორც სიტყვიერად ისე წერილობით, ვულგარული ჟესტის ჩვენებით და ფიზიკური ტკივილის მიყენებით. ანუ, როგორც სიტყვით ისე საქმით და როგორც ერთობლივად ისე ცალ-ცალკე.

არ არის გამორიცხული, რომ ორმა პირმა ერთმანეთს მიაყენოს ურთიერთ შეურაცხყოფა. თუ სასამართლოში დავის განხილვისას გაირკვევა, რომ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ პასუხისმგებლობის დაკისრება და ზიანის ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, შეუწყო თუ არა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას ხელი მოსარჩელის ქცევამ. შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 415.1-ე მუხლით დადგენილი წესი იმის თაობაზე, რომ თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

რაც შეეხება პირისპირ შეურაცხყოფის დროს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს, დაცვის ხანდაზმულობის ვადას, მტკიცების ტვირთს, დაცვის გზებს, პირობებს, საშუალებებს და სხვა საკითხებს, ისინი მთლიანად ემთხვევა უხამსობისათვის "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

§12. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა არასათანადო რეკლამით ხელყოფის შემთხვევაში

ფიზიკური პირის ღირსების და საქმიანი რეპუტაციის, (იურიდიულ პირთან მიმართებაში საქმიანი რეპუტაციის) შელახვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასათანადო რეკლამის გზითაც.

არასათანადო რეკლამად მიჩნეულია არაკეთილსინდისიერი, არაეთიკური, არასარწმუნო, აშკარად ყალბი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესი.

თავის მხრივ, არაკეთილსინდისიერი რეკლამა, რომელიც არასათანადო რეკლამის შემადგენელი ნაწილია, გულისხმობს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებას სხვა პირთა საქონელთან, რასაც თან ახლავს ისეთი გამონათქვამები, რომელსაც ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის გამო არამხოლოდ შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, არამედ იმ პირთა დისკრედიტირებასაც ახდენს, რომლებიც აწარმოებენ ამ საქონელს, ან სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით. მაგ. საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეკლამა, თუ ამავე სახის პროდუქციის მწარმოებელ კონკურენტ იურიდიულ პირზე, შეიცავს არსებითად მცდარი ფაქტების შემცველ ისეთ გამონათქვამებს, რომ ეს უკანასკნელი რეგიონში არსებული სხვა საწარმოებისაგან განსხვავებით, თავის პროდუქციას ამზადებს რიტუალური მკვლელობის შედეგად აღებული სისხლისაგან და აღნიშნულის გამო ამ ნაწარმით სისტემატიურად სარგებლობს რელიგიური უმცირესობის კონკრეტული ლიდერი, სახეზე იქნება ცილისწამების გზით, როგორც იურიდიული პირის – საკონდიტრო საწარმოს საქმიანი რეპუტაციის, ისე რელიგიური ლიდერის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ზემოთქმული ცხადყოფს იმასაც, რომ ფიზიკური და იურიდიულ პირთა პირადი არაქონებრივი უფლებები შესაძლებელია შეილახოს არაეთიკური რეკლამით, ვინაიდან ამ სახის რეკლამა არასათანადო რეკლამის შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს ისეთ რეკლამას, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნულობის, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, ენის, რელი-

გიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვების და შედარებების გამოყენების გზით, არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს. ასევე ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ პროფესიას, საქმიანობას ან საქონელს.

არასათანადო რეკლამით დაზარალებულ პირს, შეუძლია საკუთარი ღირსება და საქმიანი რეპუტაცია დაიცვას "რეკლამის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის (№ 1228-11-ს) კანონით დადგენილი წესით.

დასახელებული კანონის ნორმები ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ ან ავრცელებენ რეკლამას საქართველოში.

„რეკლამის შესახებ" კანონის ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ განხორციელებული რეკლამა იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი შედეგი როგორიცაა, კონკურენციის შეზღუდვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა საქართველოს ტერიტორიაზე.

მათგან განსხვავებით, "რეკლამის შესახებ" კანონის ნორმები არ ვრცელდება: პოლიტიკური ხასიათის რეკლამაზე და ფიზიკურ პირთა იმ განცხადებაზე, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

რეკლამა შეიძლება გავრცელდეს, როგორც მაუწყებლის (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) მიერ მისი გადაცემის გზით, ისე სხვა ფორმით (მაგ. დასაშვებია რეკლამის გავრცელება სატრანსპორტო საშუალებებზე, შენობა-ნაგებობებზე, და ა.შ. განთავსებით), რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირის საქონლის, მომსახურეობის, სამუშაოს, იდეის და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებას და შენარჩუნებას, ასევე რეალიზაციისათვის ხელშეწყობას.

„რეკლამის შესახებ" კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გზით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, რეკლამის სფეროში სახელმწიფო კონტროლს, თუ რეკლემის გავრცელებას ადგილი აქვს მაუწყებლის მიერ, ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. სხვა დანარჩენ შემთხვევებში კი შეზღუდვის დაცვის კონტროლი ევალება ადგილობრივი მართველობის (თვითმართველობის) ორგანოს. კერძოდ, ეს უკანასკნელი საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებულ პირთა განცხადების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ და კონტრეკლამის განხორციელებაზე. ასევე, დამრღვევს აკისრებს ადმინისტრაციულ სახდელს. სათანადო საფუძვლის არსებობისას კი გამოძიების დაწყების თაობაზე მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს.

„რეკლამის შესახებ" კანონით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, დამრღვევი ვალდებულია ადგილობრივი თვითმართველობის (მმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობიდან დაუყონებლივ, შეაჩეროს არასათანადო რეკლამა და 10 დღეში გაავრცელოს კონტრეკლამა.

დამრღვევის მიერ არ ამ მოთხოვნას შეუსრულებლობის შემთხვევაში, თვითმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს, როგორც რეკალამის შეჩერება ისე დამრღვევისათვის კონტრეკლამის გავრცელების დაკისრება.

„რეკლამის შესახებ" კანონის მე-19.4 მუხლის შესაბამისად, კონტრეკლამა უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებით, თანმიმდევრობის, სივრცისა და ადგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც ეს იყო სათანადო რეკლამის გავრცელების შემთხვევაში.

კონტრეკლამის შინაარსი კი შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმართველობის (მმართველობის) ორგანოსთან (თუ ის არის ინიციატორი), რომელსაც თავის მხრივ შეუძლია შეცვალოს კონტრეკლამის გავრცელების საშუალებები, თანმიმდევრობა, სივრცე და ადგილის მახასიათებლები.

არასათანადო რეკლამის შედეგად, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში პირს, რომლის უფლებების

ხელყოფასაც აქვს ადგილი, თვითმართველობის (მმართველობის) ორგანოსა ან/და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებების, ასევე მიღწეული შედეგების მიუხედავად, შეუძლია სასარჩელო განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: 1) არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა; 2) მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება; 3) ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში კი მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

არასათანადო რეკლამით ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების საქმეზე სათანადო მოპასუხეები არიან: რეკლამის დამკვეთი, რეკლამის მწარმოებელი და რეკლამის გამავრცელებელი. მათ შორის პასუხისმგებლობა ნაწილდება შემდეგნაირად- რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე; რეკლამის მწარმოებელი- რეკლამის გაფორმებაზე, წარმოებასა და მომზადებაზე; რეკლამის გამავრცელებელს კი პასუხისმგებლობა ეკისრება რეკლამის გავრცელების დროზე, ადგილსა და საშუალებებზე.

§13. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1017-ე მუხლის თანახმად საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სპეციალური წესია დადგენილი საქართველოს კანონით "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ." კერძოდ, ამ კანონით განსაზღვრულია, რომ მხატვრული ნაწარმოების, მეცნიერული ნაშრომის, ხელოვნების სფეროში და ა.შ. შექმნილი პროდუქციის ავტორს, უფლება აქვს არამხოლოდ აღიარონ ავტორად, არამედ მისი ინტელექტუალური შრომის შედეგი დაცული იყოს ისეთი დამახინჯებისა და სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომლებიც ლახავს ან/და შეუძლია შელახოს ავტორის რეპუტაციის პატივისცემის უფლება (იხ. დასახელებული კანონის 17.1 მუხლის "ე" ქვეპუნქტი).

რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ამ კანონის მიზნებისთვის, კრებსითი ცნებაა და გულისხმობს ავტორის, როგორც პატივს, ისე ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. მაგ. ცნობილი მეცნიერის ნაშრომთა კრებულის გამომცემელი, ავტორთან შეუთანხმებლად თუ თვითნებურად შეცვლის ისტორიული მოვლენის ან კონკრეტული პირის ავტორისეულ შეფასებას და თანაც იმგვარად, რომ საზოგადოებაში სერიოზულ ეჭვს გააჩენს ავტორის კომპეტენტურობასთან დაკავშირებით, სახეზე იქნება ავტორის რეპუტაციის პატივისცემის შელახვა, რაც მოიცავს ამ უკანასკნელის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციასაც.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის მიზნებისათვის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და პირს ეს უფლება უნარჩუნდება ქონებრივი უფლების დათმობის შემთხვევაშიც კი უვადოდ.

პირს, რომელსაც დაერღვა რეპუტაციის პატივისცემის უფლება, შეუძლია დამრღვევისაგან მოითხოვოს: უფლების აღიარება (მაგ. ის რომ ნაწარმოების ავტორი თვითონ არის); უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს პირად არაქონებრივ უფლებებს ან ქმნის მათი დარღვევის საფრთხეს.

მასვე, დამატებით აქვს უფლება მოითხოვოს: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით ან იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო ავტორის უფლებების დარღვევის შედეგად, ან სულაც კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას, მართალია სასამართლო განსაზღვრავს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ავტორის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები (იხ. დასახელებული კანონის 59.1-ე მუხლი).

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონით გათვალისწინებული სუბიექტი თუ მიიჩნევს, რომ მისი პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვას აქვს ადგილი, მას სარჩელის შეტანამდეც შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა: საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების, მონაცემთა ბაზის ან მათი ასლების და მასალების გავრცელების, გაყიდვის, გაქირავების, საჯაროდ შესრულების, გამოცემის და ა. შ. აკრძალვა; ან/და ყველა იმ ობიექტზე ყადაღის დადება და ამოღება, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული (ავტორის უფლების დარღვევით შექმნილი) ასლებია (იხ. მითითებული კანონის 61-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავში შემავალი ნორმებით. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც აუცილებელი გახდა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება და შესაბამის დასაბუთებას – "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 61-ე მუხლში მითითებული უზრუნველყოფის, კონკრეტულად რომელი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. განცხადებას სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 1 დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეტყობინების გარეშე. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი სასამართლოს განჩინება ექვემდებარება დაუყონებლივ აღსრულებას.

§14. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადამიანის პირად ცხოვრებას აღიარებს ხელშეუხებელ სიკეთედ. "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის 8.1 მუხლი კი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და ანიჭებს ყოველ ადამიანს იმის უფლებამოსილებას, რომ მოითხოვოს თავისი პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების აღიარება და მესამე პირთა დავალდებულება მასში, რომ პატივი სცენ სხვათა პირად ცხოვრებას, იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ ყოველმა ადამიანმა პირადი ცხოვრება მოაწყოს თავის სურვილისამებრ და წარმართოს იგი მესამე პირთა მხრიდან უცერემონიოდ ჩარევის გარეშე.

იმ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, რაც პირადი ცხოვრების ცნების ქვეშ მოიაზრება დასტურდება, რომ პირადი ცხოვრება ერთის მხრივ მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც მოწესრიგებულია ნორმატიული სამართლებრივი აქტების ნორმებით და მეორეს მხრივ ისეთ ურთიერთობებსაც, რომელთა მოქცევა კანონმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ საკანონმდებლო ჩარჩოებში. მაგ. ქალისა და მამაკაცის სიყვარული, რომ პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს ეჭვგარეშეა, მაგრამ ეს ურთიერთობა სპეციალური კანონით არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწესრიგებული. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სიყვარული დაცულია მორალური და ზნებრივი თვალსაზრისით. ანუ, სახელმწიფომ თვით საზოგადოებას დაუტოვა პირადი ცხოვრების ამ მეტად სათუთი სფეროსადმი რეაგირების და ზემოქმედების მექანიზმი.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლი დაცვის ობიექტად აღიარებს არა მთლიანად პირად ცხოვრებას, არამედ მის ერთ სეგმენტს კერძოდ, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას.

სამოქალაქო კოდექსის მიერ პირადი ცხოვრების საიდუმლოს აღიარება დაცვის ობიექტად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლო უზრუნველყოფს პიროვნების ავ-

ტონომიას საზოგადოებაში. ე.ი. იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პირმა დამოუკიდებლად განსაზღვროს მისი პირადი ცხოვრების თუ რომელი გარემოება წარმოადგენს საიდუმლოს ამასთან, მოითხოვოს მისი დაცვა გამჟღავნებისაგან და ჰქონდეს დაცვის გონივრული მოლოდინი.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. მასში არც მისი სახეებია ჩამოთვლილი. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს იმ ნორმატიული აქტების მოძიება, რომლებიც შეიცავენ ფუძემდებლურ დებულებებს ამ მიმართებით.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების სახეების შესახებ ორიენტირს იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 41.2-ე მუხლი. მასში ნათქვამია, რომ "ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე".

მოყვანილი ტექსტი ადასტურებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის, მისი ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციებია.

ამრიგად, ეჭვს არ იწვევს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელი ნაწილია: სამედიცინო (იგივე საექიმო) საიდუმლოება და საბანკო საიდუმლოება, ვინაიდან პირველი ჯანმრთელობას, ხოლო მეორე ფინანსურ სფეროს უკავშირდება.

რაც შეეხება "სხვა კერძო საკითხებს" მიკუთვნებულ ინფორმაციას მათში იგულისხმება: სანოტარო საიდუმლოება, საადვოკატო საიდუმლოება, მიმოწერის საიდუმლოება, შვილად აყვანის საიდუმლოება. ეს ჩამონათვალი სრული არ არის და სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა განსაზღვროს სადაოდ მიჩნეული ინფორმაცია განეკუთნება თუ არა პირადი ცხოვრების საიდუმლოთა იმ კატეგორიას, რომელთა დაცვა შესაძლებელია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

პირადი საიდუმლოების ცნების განმარტება კი მოცემულია "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის "ნ" ქვეპუნქტში. ამ ნორმის მიხედ-

ვით პირად საიდუმლოებას წარმოადგენს პირადი ფასეულობის მქონე ისეთი ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების თაობაზე მოყვანილი განმარტება ცხადყოფს, რომ ტერმინები: "პირადი ცხოვრება" და "კერძო ცხოვრება," ისევე როგორც "პირადი ცხოვრების საიდუმლოება" და "პირადი საიდუმლოება" სინონიმებია. ამასთან, პირადი ცხოვრების საიდუმლოება ადამიანის პირადი (კერძო) ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გულისხმობს ისეთი ცნობების ერთობლიობას, რომლებიც წარმოადგენას იძლევიან ადამიანის ჯანმრთელობის, მისი მატერიალური და საოჯახო მდგომარეობის ან ცხოვრების წესის შესახებ. ამდენად, მათში არ იგულისხმება ცნობები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების პროფესიულ ან საზოგადობრივ საქმიანობასთან.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონში მოცემული პირადი საიდუმლოების ცნება და ამ კანონში არსებული ნორმები გამოყენებადია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის მიზნებისათვისაც ვინაიდან, მასში ჩამოთვლილია ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხელყოფილი პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა. კერძოდ: ამ კანონის მე-9.1 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად შესაძლებელია დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება თუ ეს ეხება პირად საიდუმლოებას.

თუმცა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის შესაბამისად დაცული ეს უფლება, რომ შეიზღუდოს და პირმა პასუხი აგოს საიდუმლოების გამხელისათვის, სავალდებულოა, რომ საიდუმლების დაცვა მას ევალებოდეს სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით.

როგორც ვხედავთ "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონმა გააფართოვა იმ პირთა წრე, რომლებსაც შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულების დარღვევისათვის. კერძოდ, ამ კანონის თანახმად მოპასუხე შეიძლება იყოს

არა მხოლოდ ის პირი, რომელსაც სამსახურებრივად ევალება ოფიციალური დოკუმენტებში მის მიერ გაკეთებული ჩანაწერის, ან მასთან დაცული, ან/და სამსახურეობრივად ხელმისაწვდომ ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებული საიდუმლოების დაცვა, არამედ ისეთი კერძო პირებიც, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ პირად საიდუმლოებაზე და სამოქალაქო გარიგების ძალით აღებული აქვთ ვალდებულება ამ სახის პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-7.6 მუხლის თანახმად პირადი საიდუმლოების დარღვევის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.

ამასთან, სავალდებულოა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, რაც თავისთავში მოიცავს იმის მტკიცების ვალდებულებასაც, რომ პირადი საიდუმლოების დაცვა მოცემულ შემთხვევაში აღემატება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მოსარჩელემ უნდა შეძლოს იმის დამტკიცება, რომ: ა) პირადი საიდუმლოების გამხელამ აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე შეუქმნა ამ უკანასკნელს; ბ) პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამხელა არ წარმოადგენდა ისეთ მოვლენას, რომ მისი ცოდნა აუცილებელი გამხდარიყო სხვა პირთათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად; გ) პირადი საიდუმლოების გამხელა მიზნად არ ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დ) პირადი საიდუმლოების გახმაურების გზით დაცული სიკეთე არ აღემატება პირადი საიდუმლოების გახმაურებით მიყენებულ ზიანს.

მტკიცების ტვირთი, როგორც უკვე აღინიშნა ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს, ასეთ მტკიცებულებათა მოძიება და სასამართლოსთვის წარდგენა კი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და სხვა პირთა პირადი საიდუმლოება არ შეიყვანა იმ საიდუმლოებათა რიცხვში, რომლებსაც იცავს აბსოლუტური პრივილეგია. შესაბამისად, პირს რომელსაც მიაჩნია, რომ შელახულია მისი პირადი ცხოვრების

საიდუმლოება, შეუძლია მოითხოვოს ინფორმაციის წყაროს გამხელა.

ამრიგად, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი სპეციალური კანონია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, როგორც წარუვალი და უზენაესი ფასეულობები. ამასთან, იგი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს.

შესაბამისად, უშვებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას თუ დაცულია ზემოთ მოყვანილი პირობები და შეზღუდვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიმართული კანონით. (იხ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-8.1 მუხლი).

თავის მხრივ, ეს კანონი უნდა იყოს: პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნებისათვის; არადისკრიმინაციული და პროპორციულად შემზღუდველი.

"ნათელი და გაჭვრეტადი, ვიწროდ მიმართული კანონი" გულისხმობს ჯეროვანი სიზუსტით ფორმირებულ ნორმას, რომელიც არ შეიცავს ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და პირს აძლევს საშუალებას დაარეგულიროს საკუთარი ქმედება. აგრეთვე, წინასწარ ცხადად განსაზღვროს მისი სამართლებრივი შედეგები. სავალდებულოა ისიც, რომ ნორმა პირდაპირ აწესებდეს-შეზღუდვის მოთხოვნას, შეზღუდვის კრიტერიუმებს, მათ ამომწურავ ჩამონათვალს და ამ ნორმის არამიზნობრივად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს.

ეს მოთხოვნები ვრცელდება ყველა ისეთ შემთხვევაზე, რომლისთვისაც "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის თანახმად შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, კერძოდ იგულისხმება: ცილისწამება, უხამსობა, პირისპირ შეურაცხყოფა, დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება, მუქარა, სახლმწიფო, კომერციული, პირადი ან პროფესიული საიდუმლოება, რეკლამა, ტელეშოპინგი, სპონსორობა და სხვა.

ჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის სასარგებლოდ, სიტყვისა და

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის (№1139-1ს) კანონი, ვინაიდან მასში მოცემულია სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოების განმარტება და ის ძირითადი დებულებები, რომლებიც იცავს პაციენტს მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში.

ამ კანონის მე-3 მუხლის "ჩ" ქვეპუნქტის თანახმად, სამედიცინო საიდუმლო გულისხმობს-ექიმის ან სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურეობრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებულ ინფორმაცის. იგი ასევე მოიცავს ექიმისათვის მიმართვის ფაქტს და სიკვდილის გარემოებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია ამ უკანასკნელის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციაა. მეტიც, კონკრეტული ექიმის თუ სამედიცინო დაწესებულებისათვის დასახმარებლად მიმართვის თაობაზე ცნობების ან პიროვნების გარდაცვალების ცალკეული გარემოების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც კი წარმოადგენს პირადი საიდუმლოების დარღვევას.

"ჯანმრთელობის შესახებ კანონის" თანახმად სამედიცინო საიდუმლოების დაცვის მოთხოვნის უფლება აქვს პაციენტს, ვინაიდან სწორედ მისთვისაა არასასურველი პირადი ცხოვრების საიდუმლოს შესახებ ინფორმაციის გაჟონვა. თავის მხრივ, პაციენტის პირად საიდუმლოებაში შეჭრა ხდება იმ დოკუმენტაციის ხელშეუხებლობის დარღვევის გზით, რომელიც იქმნება სამედიცინო დაწესებულებაში. შესაბამისად, ეს დოკუმენტი არამხოლოდ უბრალო საგანია, არამედ იმ ინფორმაციის მატარებელიც, რომელიც მასში დევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი შეხვედით ისე ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში, - პაციენტის სამართლებრივი დაცვის ყველაზე მარტივი ხერხი იქნებოდა პაციენტის პირადი საიდუმლოების ხელშეუხებლად გამოცხადება, მაგრამ პრობლემას ცხადია ეს ვერ მოხსნის, ვინაიდან ინდივიდის საიდუმლო არა-

სოდეს მოწყვეტილა მისსავე სოციალურ ყოფას. ამიტომაცაა, რომ გარკვეული ობიექტური გარემოებების ძალით, პიროვნება შეიძლება დადგეს მისი ცხოვრების ამათუიმ საიდუმლო ასპექტის გამჟღავნების აუცილებლობის წინაშე, მაგრამ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი საიდუმლო დაცული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი ექიმს არ მოუყვება თავისი დაავადების შესახებ, მის გარეშე კი ეფექტური მკურნალობის შანსი ნაკლებია.

თავის მხრივ სამედიცინო საიდუმლოების დაცვა გულისხმობს, არამხოლოდ ისეთი გარემოს შექმნას, როცა ავადმყოფისაგან მიღებული ინფორმაცია არ გახმაურდება, არამედ უნდა არსებობდეს ამ სახის საიდუმლოს სამართლებრივი დაცვის იურიდიული უზრუნველყოფის მექანიზმიც, სადაც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განსაზღვრული იქნებიან ის სუბიექტებიც, რომელთაც სამსახურებრივად ევალებათ სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოების დაცვა.

"ჯანმრთელობის შესახებ" კანონის 42-ე მუხლი საექიმო საიდუმლოების დაცვას აკისრებს მედიცინის მუშაკს და ამ სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელს. "ყველა თანამშრომელში" იგულისხმებიან, როგორც მკურნალი ექიმები, ასევე სამედიცინო და არასამედიცინო განათლების მქონე პირები, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას (იხ. დასახელებული კანონის მე-3 მუხლის "ც[1]" ქვეპუნქტი), კერძოდ: მედდები, ძიძები, მომვლელები, რეგისტრატორები. შესაძლებელია მათ რიცხვს მივაკუთვნოთ ასევე სტუდენტები და რეზიდენტებიც კი, თუ ისინი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე პრაქტიკას გადიან სამედიცინო დაწესებულებაში და ხელი მიუწვდებათ იქ არსებულ ოფიციალურ ჩანაწერებზე.

სამედიცინო საიდუმლოების შინაარსი, როგორც უკვე ითქვა, მოიცავს იმ უფლებამოსილებასაც, რომ პაციენტმა მოითხოვოს მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის გაუხმაურებლობა. აღნიშნულს ხშირად აქვს ადგილი ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის და ა.შ. შემთხვევებში. ამის მიღწევა კი შეიძლება სხვადასხვა გზით, მაგ. შესაძლებელია პაციენტი მკურნალობდეს მოგონილი გვარ-სახელით.

პაციენტის მიერ ამ უფლების პრაქტიკული რეალიზაციის ყველაზე კარგი მაგალითია ნებაყოფლობითი შემოწმება "აივ-

ადამიანის იმუნოდეფიციტის" ანუ "შიდსის" ვირუსზე, რა დროსაც გარანტირებული უნდა იყოს პაციენტის სრული ანონიმურობა.

მკურნალობის პროცესში მიღწეული შედეგების თვალსაჩინოებისთვის გამოყენების უფლება სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით ექიმს რა თქმა უნდა აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუკი გამოირიცხება პაციენტის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა. კერძოდ, პაციენტის იდენტიფიკაციის გარეშე თუ აღწერილია მკურნალობის მეთოდები და ნაჩვენებია შესაბამისი ფოტომასალა, ასეთი გავრცელება არ იქნება სამედიცინო საიდუმლოების უფლების დარღვევა. შესაბამისად, არც დაისმება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც სამსახურებრივად ევალება საექიმო საიდუმლოების დაცვა.

ისმის კითხვა, ანონიმურობის დაცვა ნიშნავს თუ არა, რომ პაციენტს საერთოდ არ მოეთხოვება თავისი ვინაობის დასახელება? პასუხს ამ კითხვაზე იძლევა "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებს სამედიცინო პერსონალს, რომ მათ მიერ გადამდები დიაგნოზის დადგენის ან ასეთზე ეჭვის მიტანის ისევე, როგორც სხეულის ფიზიკური, ქიმიური, სხივური და თერმული დაზიანების შემთხვევაში, ინფორმაცია გადასცეს შესაბამის (მაგ. სამართალდამცავ) ორგანოებს, რადგან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო დაწესებულებას, მსგავს შემთხვევაში, თუ არ ეცოდინება პაციენტის ვინაობა და მისამართი, სამართალდამცავი ორგანოებისათვის ამ სახის ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება აზრს დაკარგავს, ვინაიდან გაძნელდება საზოგადოებისათვის საფრთხის შემქმნელი პირის პოვნა, თუნდაც იმ პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, ვინც სხეულის დაზიანება მიაყენა პაციენტს და ეს აშკარაა. ასევე სხვათა, მაგ. გადამდები ვენერიული დაავადების შემთხვევაში მეუღლის, უფლებების დასაცავად და აშ.

სამედიცინო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება გრძელდება პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც. ეს ნაკარნახევია, როგორც თვით გარდაცვლილის ისე მისი ოჯახის წევრების და ახლობლების რეპუტაციის დაცვის აუცილებლობით.

დაცვის მაღალი ხარისხის მიუხედავად გარდაცვლილი პირის სიკვდილის გარემოებების და სხვა სახის სამედიცინო საიდუმლოების შემცველი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ამას მოითხოვენ გარდაცვლილის ნათესავები (იგულისხმებიან ისეთი პირები, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით, აქვთ უპირატესი უფლება მონაწილეობა მიიღონ პაციენტის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, მაგ. მეუღლე, შვილი და ა.შ.) ან კანონიერი წარმომადგენლები, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები, ან/და ეს აუცილებელია-საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად (იხ. "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლი).

შვილად აყვანის საიდუმლოება- პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა ხშირ შემთხვევებში დაკავშირებულია შვილად აყვანასთან. ამდენად, ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას შვილად აყვანის საიდუმლოების თაობაზე, ვინაიდან შვილად აყვანის საიდუმლოს გავრცელება ხშირად ქმნის ოჯახში იმგვარ დაძაბულ სიტუაციას, რომ ბავშვის ამყვანთა მიერ, ბავშვის შემდგომი გაზრდა შეუძლებელი ხდება.

შვილად აყვანის საიდუმლოს უეცარი გამჟღავნება ტრამვულ ზემოქმედებას ახდებს თვით ბავშვის ფსიქიკაზეც, ვინაიდან ბავშვი დარწმუნებულია, რომ აქვს ოჯახი, ჰყავს მზრუნველი მშლობლები და აი გამოჩნდება თვალზე მონანიების ცრემლმომდგარი დედა, რომელსაც ათიოდე წელი დასჭირდა მშობიარობის შემდეგ ,,გონზე მოსასვლელად" და იმის გადასაწყვეტად, რომ დაებრუნებინა კუთვნილი შვილი. მსგავს გამოჩენას შეუძლია დაანგრიოს ერთი ოჯახის ცხოვრება, მაგრამ არ ძალუძს გახდეს სხვა ოჯახის შექმნის საფუძველი.

პრესაში არაერთხელ ყოფილა მოყვანილი შემთხვევები, როდესაც შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნებამ სავალალო შედეგები გამოიწვია და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ერთ დროს ბედნიერი ოჯახი.

როგორც ვხედავთ, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ხშირად ორივე მხარეს აყენებს დარტყმას-შვილად აყ-

ვანილსაც და შვილად ამყვანთაც, რადგან ბავშვი იძულებულია გადაიტანოს მშობლების დაკარგვით გამოწვეული მწარე გრძნობა, როდესაც გაიგებს ადამიანები მას, რომ მშობლები ეგონა, თურმე სიმართლეს არ ეუბნებოდნენ და ამდენად, მისთვის სრულიად უცხონი აღმოჩნდებიან.

მშვილებელთა მდგომარეობა კი ორმაგად მძიმეა, რადგან ისინი არამხოლოდ კარგავენ სისხლად და ხორცად ქცეულ ბავშვს, არამედ განიცდიან სხვაგვარ უხერხულობასაც იმ ცნობათა გახმაურებასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჰყავთ საკუთარი შვილები.

აღნიშნულმა განაპირობა შვილად აყვანის საიდუმლოს განსაკუთრებულად დაცვის აუცილებლობა. ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და სხვა სახელმძღვანელო დებულებები კი მოცემულია "შვილად აყვანის შესახებ" საქართველოს (2007 წლის 18 დეკემბრის №5626-11ს) კანონში. კერძოდ, დასახელებული კანონის 24-ე მუხლით დადგენილია, რომ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოტივით ნაშვილებ ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და განსაკუთრებული მიზეზის არსებობისას დაბადების თარიღიც კი. თუმცა, აკრძალულია დაბადების თარიღის შეცვლა ერთ თვეზე მეტი ვადით.

კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას ემსახურება ისიც, რომ ბავშვის დაბადების სამოქალაქო აქტებში მშვილებელი ჩაიწერება ნაშვილების მშობლად თუ ამას მოითხოვს თვით მშვილებელი. ამასთან, შვილად ასაყვანი პირი როცა 10 ან მეტი წლისაა გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის აზრი.

"შვილად აყვანის შესახებ" კანონის 24.4-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ სამოქალაქო აქტებში შესატანი ცვლილებების თაობაზე აუცილებლად იქნეს მითითებული შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, საკმაოდ ვრცელი შეიძლება იყოს იმ პირთა წრე, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ შვილად აყვანის საიდუმლოებაზე.

კანონმდებელმა გაითვალიწინა აღნიშნული გარემოება და "შვილად აყვანის შესახებ" კანონის 26.1-ე მუხლით განსაზღრა

იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთაც კანონით ევალებათ შვილად აყვანის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საიდუმლოების დაცვა სამსახურეობრივად ევალებათ იმ მოსამართლეებს, რომლებმაც გამოიტანეს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლებს და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს (სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) თანამშრომლებს. მათ გარდა შვილად აყვანის ნებისმიერ სტადიაზე მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება, ეკისრებათ თვით გამშვილებლებს და სხვა ნებისმიერ პირს, რომლებიც ამათუიმ სახით მონაწილეობდნენ შვილად აყვანის პროცედურაში.

შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე "სხვა ნებისმიერი" "პირის" ჩამონათვალს კი აკონკრეტებას "შვილად აყვანის შესახებ" კანონის მე-13.1 მუხლი, რომელიც ამ კატეგორიას მიაკუთვნებს: ყველა ტიპის საბავშვო-სამზრუნველო დაწესებულების ხელმძღვანელს, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა ან/და მისი დაქვემდებარებისა. ასევე, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომლებმაც ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვის შესახებ იმფორმაცია მიაწოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

დასახელებული კანონის თანახმად, საიდუმლოების დაცვისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, იკრძალება ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომლითაც შეიძლება დადგინდეს გაშვილებული ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი, მისი ბიოლოგიური მშობლების შესახებ მონაცემები და სხვა.

შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის გარანტიები კი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლში, რომელიც კრძალავს "შვილად აყვანის შესახებ" ყოველგვარი ცნობების შეკრებას და გამოქვეყნებას 18 წელს მიუღწეველი პირის მიმართ მშვილებლის, ხოლო ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ქართულ სინამდვილეში დაცულია სისხლის სამართლის წესით. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლით დასჯადია შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მხოლოდ ნაშვილები პირის ინტერესების დაცვა განხორციელდეს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით და კანონით დადგენილი იმ წესების საფუძველზე რაზედაც ზემოთ იყო საუბარი.

ამასთან, დაცული უნდა იქნეს ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის ის მოთხოვნებიც, რომლითაც: პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ევალებოდა სამსახურეობრივად ან სამოქალაქო გარიგებით და, რომლის გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ ინტერესს.

ამ სავალდებულო წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება ასევე შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად (იხ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-12.1, მე-12.2 და მე-12.3 მუხლები).

შვილად აყვანის საიდუმლოება განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციათა კატეგორიას, რის გამოც ცალკეულ პირთათვის (მაგ. ექიმები, ჟურნალისტები და სხვა) წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას. შესაბამისად, ინფორმაციის გამხელა ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-3 თავის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათი მხრიდან, დაუშვებელია, იმ პირის თანხმობის გარეშე ვისაც იგი ეხება, ანდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. ამასთან, თვით სასამართლოც კი შეზღუდულია, რადგან უფლებამოსილია გამოიტანოს მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინება შვილად აყვანის თაობაზე ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდება.

სავალდებულოა ისიც, რომ მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი

გამხელა (იხ. ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-11.1, მე-11.2, 11.3 და მე-11.4 მუხლები).

სანოტარო საიდუმლოება-პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა სამსახურეობრივად ევალებათ ნოტარიუსებს და ამდენად ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-12.1 მუხლის შესაბამისად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სანოტარო საიდუმლოების არსებობის შემთხვევაშიც.

ამ სახის საიდუმლოება პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელი ნაწილია. მის სამართლებრივ საფუძვლებს კი განსაზღვრავს ,,ნოტარიატის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის №2283-II-ს კანონი. კერძოდ, ამ კანონის მე-8.1 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს მის ხელთ არსებული ყველა სახის ცნობა, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, ეს ვალდებულება მას ეკისრება სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც.

პირს, რომლის დავალებითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შეუძლია გაანთავისუფლოს ნოტარიუსი საიდუმლოების (მათ შორის პირადი საიდუმლოების) დაცვის მოვალეობისაგან. ასეთივე უფლებით სარგებლობენ იმ პირის წამომადგენლები და უფლებამონაცვლეები ვისი დავალებითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება. იმ შემთხვევაში თუ დავალების მიმცემი პირი გარდაცლილია და მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე ან წარმომადგენელი, საიდუმლოების დაცვის მოვალეობებისგან განთავისუფლებაზე უფლებამოსილია სასამართლო.

საიდუმლოების დაცვის მოვალეობებისაგან ნოტარიუსის განთავისუფლებისთვის ამ კანონით განსაზღვრულია სხვა საფუძვლებიც. კერძოდ, ასეთი საფუძველია გამოძიების, ადვოკატის ან სასამართლოს მოთხოვნა იმ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წარმოებაშია.

ნოტარიუსი ვალდებულია ასევე, შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექციას წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც გადავიდა პირის საკუთრებაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კი ,,ნოტარიატის შესახებ" კანონის და ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მიაწოდოს ამ სამსახურს ცალკეული გარიგებები, რომლებიც ამ გარიგების მხარეთა ფინანსურ და სხვა კერძო საკითხებს ეხება.

ამდენად, მოყვანილი გარემოებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც დადგენილია ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონით, ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

აღსანიშნავია, რომ ,,ნოტარიატის შესახებ" კანონის 52.1-ე მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ნოტარიუსმა უარი უნდა თქვას სანოტარო აქტების შესრულებაზე თუ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ამ მოთხოვნების დაუცველობის შედეგად კი პირს თუ მიადგა ქონებრივი ზიანიც, დასახელებული კანონის 22-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ნოტარიუსს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა პირდაპირი ქონებრივი ზიანისთვის, მიუხედავად იმისა განზრახ მიქმედებდა იგი თუ გაუფრთხილებლობით.

საადვოკატო საიდუმლოება – „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი, რომელიც არის თავისუფალი პროფესიის პირი და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა პროფესიული საიდუმლოების დაცვა. მისი დაცვა ადვოკატს ევალება გასული დროის მიუხედავად და გულისხმობს, რომ კლიენტის თანხმობის გარეშე არ შეუძლია გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს, როგორც ადვოკატთა შესახებ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, რადგან ამ სახის საიდუმლოების დაცვა ადვოკატს ევალება სამოქალაქო გარიგებით.

ადვოკატთან ერთად წარმოშობილი ურთიერთობის სუბიექტია-ადვოკატის სტაჟიორიც, რომელიც ადვოკატის დავალებით ახორციელებს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას. ასევითვე სუბიექტია ადვოკატის თანაშემწე, ვინაიდან მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს და შესაბამისად არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის პროცესში.

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაუცველობის შემთხვევაში, მას დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა თუ დარღვევის აღმოჩენიდან არ არის გასული სამი წელი.

დისციპლინარული დევნის აღძვრის უფლებამოსილება გააჩნია ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რომელმაც ადვოკატს დისციპლინარული სახდელის სახით შეიძლება დააკისროს: გაფრთხილება ან/და შეუწყვიტოს ასოციაციის წევრობა.

თვით ადვოკატის სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფად კი დადგენილია მთელი რიგი გარანტიები, კერძოდ ადვოკატი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობს. ამასთან, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს, ან/და ადმინისტრაციულ ორგანოს, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ადვოკატის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიაა ისიც, რომ კონფიდენციალურად არის აღიარებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან. ინფორმაციის მიღების თავისუფლება კი დაცულია კანონით.

ამ მოთხოვნების ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, მაგ. ევროსასამართლომ ადვოკატის მიმოწერის უსაფუძვლოდ აკრძალვა პატიმრისათვის, ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია. (იხ. A.B v. The Netherlands №37328/97 საქმეზე 2002 წლის 24 იანვრის განჩინება).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ადვოკატის პროფესიულმა საიდუმლომ დიდი ხანია ჰპოვა იურიდიული აღიარება და ნორმატიული განმტკიცება კანონმდებლობაში. მარწმუნებლის საიდუმლოების გაუხმაურებლობა კი საადვოკატო ეთიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრონციპად იქცა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ზნეობრივ ნორმასაც.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ ადვოკატურის საქმიანობის აუცილებელ პირობად რჩება კლიენტის (მარწმუნებლის) საიდუმლოს დაცვა, რადგან ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის შეიძლება აიგოს მხოლოდ ურთიერთნდობის საფუძველზე. ბრალდებულის მხრიდან თავისი ადვოკატის მიმართ ნდობის არსებობის გარეშე კი ლაპარაკი ზედმეტია სათანადო დაცვაზე.

საადვოკატო საიდუმლოების დახასიათებისას აუცილებლად გვესახება იმის გარკვევა, თუ რა სახის ცნობები იგულისხმება დასახელებული საიდუმლოების შინაარსში. თუკი ექიმს თავისი პროფესიული ფუნქციების შესრულებისას ეძლევა შესაძლებლობა ჩაიხედოს ავადმყოფის ფიზიკური სნეულების სფეროში, ადვოკატი, თავის საქმიანობისას ხშირად ღებულობს ინფორმაციას კლიენტის ე.წ. „სოციალური დაავადებების" შესახებ. ანუ, პირადი საიდუმლოების სფეროს მიკუთვნებული ინფორმაციების თაობაზე, რაც აუცილებელია, ვინაიდან ადვოკატი პროფესიულ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულებისა და კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით უნდა ფლობდეს იმ ინფორმაციათა მაქსიმუმს, რომელიც იძლევა ჩადენილი დანაშაულის სურათის მთლიანობაში აღდგენის საშუალებას. (მხედველობაში გვაქვს, როგორც დანაშაული, ასევე ნებისმიერი კანონდარღვევა).

რეალური და სრულყოფილი ინფორმაციის ცოდნა კი ეხმარება ადვოკატს საქმის წარმოების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შემუშავებაში.

აღადგენს რა საქმის ნამდვილ სურათს, ადვოკატი ყურადღებას მიაქცევს არამხოლოდ, წარდგენილ ბრალდებაში ასახულ ფაქტებს, არამედ ბრალდებულის (ან სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის) საქმესთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ მთელ რიგ გარემოებებსაც.

შესაბამისად, საადვოკატო საიდუმლოების შინაარსი-გულისხმობს მრავალფეროვან ცნობათა ერთობლიობას, რომელთა ცოდნა ადვოკატისათვის აუცილებელია დაცვის განსახორციელებლად და იურიდიული დახმარების გასაწევად.

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ცნობები არც ეხებოდეს კლიენტის პირადი ცხოვრების რომელიმე მხარეს, მა-

გრამ ადვოკატი თუ უშუალოდ მიიღებს მას კლიენტისაგან და იგი ამ ინფორმაციის გამჟღავნების წინააღმდეგია, ადვოკატის მხრიდან მისი გამოყენებაც დაუშვებელია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საადვოკატო საიდუმლოება, რომელიც განეკუთვნება პირად საიდუმლოებათა სფეროს წარმოადგენს ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით დაცულ ობიექტს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის შესაბამისად ექვემდებარება დაცვას სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.

იმ შემთხვევაში როცა საადვოკატო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მქონე სუბიექტთა მხრიდან ადგილი აქვს პირადი საიდუმლეობის ბრალეულ გავრცელებას დაზარალებულს, რომლის უფლებებიც შეილახა ადვოკატის მიერ მისთვის განდობილი პირადი საიდუმლოების გამხელით, უფლება აქვს მოითხოვოს, როგორც ქონებრივი ზიანის (ზარალის) ანაზღაურება (იგი, შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახითაც, რაც წარმოექმნა ხელმყოფს), ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

საბანკო საიდუმლოების დაცვის ძირითადი დებულებები მოცემულია ისეთ სპეციალურ კანონებში, როგორებიცაა- ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის №640-1-ს კანონი და "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის № 121-II-ს კანონი. კერძოდ, ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-18.1 მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკის არცერთ მოქმედ თუ ყოფილ საბჭოს წევრს და თანამშრომელს არა აქვს არაუფლებამოსილი პირის კონფიდეციალურ ინფორმაციასთან დაშვების უფლება. ასევე, არა აქვს უფლება, რომ გათქვას ან გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია პირადი სარგებლობისთვის.

შესაბამისად, საბანკო საიდუმლოება, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შეეხებოდეს პირად ურთიერთობათა სფეროს (მაგ. კლიენტს ფულადი ანგარიში აქვს გახსნილი თავისი უკანონო შვილის სახელზე და ამ ინფორმაციას უმალავს მეუღლეს) პროფესიული საიდუმლოებაა და მისი მოთხოვნის უფლება აქვს

მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე, პროკურატურას. სხვა შემთხვევაში ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების და ოპერაციების შესახებ გაიცემა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და ისიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონის მე-17 მუხლი კი ადგენს საბანკო საიდუმლოების (რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასაც) დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. კერძოდ, ბანკის არცერთ თანამშრომელს არა აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას ან გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისთვის. თუმცა, გამონაკლისის სახით კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეცეს საქართველოს ეროვნულ ბანკს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და პროკურატურას. სხვა პირებს ამ ინფორმაციის მიღება კი შეუძლიათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოპოვებული კონფიდეციალური ინფორმაციის დაცვის მიზანს ემსახურება ის გარემოებაც, რომ თვით სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ეკრძალებათ მიღებული ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანიებისათვის, მასობრივი ინფორმაციების საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე, ამ ინფორმაციების გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

როგორც წესი საბანკო სექტორში მომსახურეობის თაობაზე ურთიერთობები კლიენტსა და ბანკს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, ეს ურთიერთობები წარმოადგენენ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით დაცულ ობიექტს. შესაბამისად, პირადი საიდუმლოების შემცეველი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, შელახული უფლების დაცვა უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

§15. პირადი ხელშეუხებლობის უფლება

პირადი ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად გულისხმობს, როგორც ფიზიკურ ისე ფსიქიკურ ხელშეუხებლობას. ფიზიკური ხელშეუხებლობის შელახვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს არასასურველი კონტაქტის (მაგ. ცემა, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა) გზით ასევე, პირადი ჩხრეკის, შემოწმების, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების, დაკავების, მსჯავრდების და ა.შ. პროცესში, კანონით დადგენილი იმ წესების დაუცველობის გზით, რომლებიც იძლევა პირადი ხელშეუხებლობის მართლზომიერად შეზღუდვის შესაძლებლობას.

ფსიქიკური ანუ, როგორც მას უწოდებდნენ ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დარღვევა ყოველთვის დაკავშირებულია ისეთ იძულებასთან, რომელიც არ გამომდინარეობს ფიზიკური ზემოქმედებისაგან. ანუ, სახეზეა იძულება მუქარის, ჰიპნოზის, სპეციალური პრეპარატების გამოყენების გზით. მაგ. მეცნიერულად დადგენილია, რომ 7 ჰერცამდე აკუსტიკური სიხშირე არღვევს ადამიანის ფსიქიკას.

ანალოგიურად, არსებობს ე.წ. ნეიროლინგვისტური დაპროგრამების მეთოდიკა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანის მეხსიერებიდან ამოიშალოს წარსულის მოგონებები და მოდელირებული იქნეს მისი სამომავლო ქცევა სასურველი მიმართულებით.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დამუშავდა ბგერითი და მხედველობითი ზემოქმედების ისეთი ხერხები, რომლებსაც დაბალსიხშირიანი, მაგრამ სმენისათვის დასაჭერი ტექსტით შეუძლიათ დაარწმუნონ ამომრჩევლები ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს და ა.შ.

ამდენად, დასახელებული და სხვა მსგავსი საშუალებებით ადამიანის შეგნებაზე მანიპულირება რეალური ფაქტია. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ამგვარი ქმედება არ არის აკრძალული.

მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მას შემდეგ რაც მიღებული იქნა ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" (იგი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა 2009 წლის 12 მარტს №2 დადგენილებით). კერძოდ, ამ კოდექსის 43.1-ე

მუხლით აიკრძალა მაუწყებლის მიერ ტექნიკური, აუდიო ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით დროის უმეტეს მონაკვეთში ან სხვაგვარად ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ქვეცნობიერებაზე.

ზემოქმედების სხვა შემთხვევები კი სამართლებრივი რეაგირების გარეშეა დატოვებული. ამდენად, აუცილებელია შესაბამის საკანონმდებლო აქტებში სპეციალურად იქნეს შეტანილი ნორმები მათი აკრძალვის თაობაზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია პირადი ხელშეუხებლობის დარღვევა პარაფსიქოლოგების მხრიდან ბიოენერგეტიკული ზემოქმედების გზით. ამდენად, დაცვის ობიექტად შეიძლება იქცეს პიროვნების მენტალური ხელშეუხებლობაც, ვინაიდან მენტალური სხეული ესაა თავისებური ენერგეტიკული კონტური (იგივე აურა), რომლის სისქე ჯანმრთელ ადამიანში 50 სანტიმეტრიდან 110 სანტიმეტრამდე მერყეობს.

ამგვარი კონტურის არსებობა მეცნიერულად დამტკიცებულია, ფიქსირდება სპეციალური აპარატურით და რაც ყველაზე მთავარია, იძლევა ადამიანის დისტანციურად მართვის შესაძლებლობას. შესაბამისად, კანონმდებლობაში სპეციალური ნორმების შემოღება ამ მიმართულებით არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ გადაუდებელი საქმეა. მითითებული პოზიციის გაზიარების შემთხვევაში კი შესაძლებელი გახდება ამ გზით შელახული პირადი ხელშეუხებლობის დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.[103]

ქართულ სინამდვილეში დღეს არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ არასასურველი კონტაქტის გზით პირადი ხელშეუხებლობის შელახვით დარღვეული არაქონებრივი უფლების დაცვა უმეტესად ხორციელდება სისხლისამართლებრივი წესით. მაგ. ცემის (სკ 125-ე მუხლი), წამების (144 მუხლი), დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (144.3-ე მუხლი), იძულების (150-ე მუხლი), გაუპატიურების (137-ე მუხლი) და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების (138-ე მუხლი) და ა.შ. შემთხვევაში, სახელმწიფო დაზარალებულის უფლებებს იცავს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

---

103 იხ.1 **м. Маленина, несушественное право.** მოსკოვი 2000წ. გვ. 137-138.

პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფით შელახული არაქონებრივი უფლებების დაცვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები და სამოქალაქო სამართალწარმოების გზით დაცვის წესი კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1005.3 - ე მუხლში. კერძოდ, ამ ნორმით განსაზღვრულია, რომ პირადი ხელშეუხებლობის შელახვას ადგილი შეიძლება ჰქონდეს:

უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების გზით. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ დაზარალებულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მაშინაც, თუ ვერ (ან არ) დამტკიცდება წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალი.

ჩამოთვლილ შემთხვევებში პირადი ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა ეჭვს არ იწვევს ვინაიდან, პირის უკანონო მსჯავრდება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემა, უკანონოდ დაპატიმრება და ა.შ. უშუალოდაა დაკავშირებული პიროვნების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევასთან.

შესაბამისად, სახეზეა ისეთი შემთხვევა, როცა ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და შელახული პირადი ხელშუხებლობის დაცვა მოითხოვოს მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გზით, ხოლო თუ სახეზეა ბრალეული მოქმედება მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

ამასთან, სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 მუხლის თანახმად, დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია იმ მოგების სახითაც, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. „მოგება" ამ შემთხვევაში ფართო ცნებაა და მოიცავს წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის და ა.შ. ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ ერთჯერად ჯილდოსაც. კონკრეტული საქმის გამოძიებისათვის თანამდებობის პირის დაწინაურების შემთხვევაში კი მოგება იქნება ის თანხობრივი სხვაობა, რომელიც არსებობს ძველი და ახალი თანამდებობებისათვის განსაზღვრულ სარგოებს შორის და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის იმ საპროცესო კოდექსით, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ბრალდებულს უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (იხ. 38.11-ე მუხლი). თუმცა, ამისთვის აუცილებელია, რომ ფიზიკური პირი, რომელიც დაობს სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობის თაობაზე, კანონით დადგენილი წესით იყოს რეაბილიტირებული, ანუ არსებობდეს გამართლებული განაჩენი (სსსკ-ის 276-ე მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი).

ახალი საპროცესო კოდექსის 329.3-ე მუხლი შეიცავს დანაწესს იმის თაობაზეც, რომ ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში პირადი ხელშეუხებლობის შელახვისთვის, ახალი საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებული წესი იყო დადგენილი. აღნიშნულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად ცალკეული კატეგორიის საქმეებზე (მაგ. სამოხელეო დანაშაულებზე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ხანდაზმულობის ვადა შეიძლება იყოს 25 წელიც კი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ძველი სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სპეციალური წესის ჩვენებაც ამ მიმართებით.

2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია, რომ სასამართლოსათვის მიმართვამდე პირი, რომელიც გახდა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების, დაპატიმრების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და ა.შ. მსხვერპლი უნდა იქნეს აღდგენილი თავის უფლებებში ე.ი. უნდა მოხდეს მისი რეაბილიტაცია (იხ. 219.1-ე მუხლი);

ამავე ძველი საპროცესო კოდექსით, რეაბილიტაციის საფუძველია: გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი

დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ (სსსკ-ის 219.2-ე და 219.3-ე მუხლები).

სრული რეაბილიტაციის გარდა, 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე დაწყებული გამოძიების შემთხვევაში, პირმა ამ კოდექსის 220-ე მუხლის თანახმად შეიძლება მოითხოვოს, ნაწილობრივი რეაბილიტაცია. აღნიშნულს კი მაშინ ექნება ადგილი, თუ ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია ან სასჯელის ღონისძიება ისე, რომ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი აღმოჩნდა მეტი ან უფრო მკაცრი, ვიდრე საბოლოოდ დანიშნული ან/და განაჩენიდან ამოირიცხა ბრალდების ის ნაწილი რაც თავის დროზე გახდა დაკავების, დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის საფუძველი.

ვეხებით რა რეაბილიტაციის საკითხს უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რეაბილიტაციას ექვემდებარება პირი იმ შემთხვევაშიც თუ მის მართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, საქმის განხილვა კი წარმოებდა მას შემდეგ, რაც გამოვლინდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი და მოგვიანებით საქმე წარმოებით შეწყდა სსსკ-ის 28-ე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი საფუძვლით.

ამასთან, თუ გასული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ უფლებების აღდგენაზე (ნაწილობრივი რეაბილიტაცია), რომლებიც დაირღვა საქმის წარმოების გაგრძელებით.[104]

ძველი საპროცესო კოდექსის თანახმად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების და პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფით დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ, განცხადება ფიზიკურმა პირმა უნდა შეიტანოს სასამართლოში, გამამართლებელი განაჩენის ან სხვა მარეაბილიტირებელი აქტის გამოტანის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში (სსსკ-ს 227-ე მუხლის მე-4 ნაწ).

ძველი საპროცესო კოდექსით, ახლისგან განსხვავებით, უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად

---

104 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 26 ივნისის კერძო განჩინება №43 კოლ. საქმეზე.

რეაბილიტირებულ პირს გააჩნია მთელი რიგი უფლებები, კერძოდ მას შეუძლია მოითხოვოს:

1) მიყენებული ქონებრივი ზიანის სრული ანაზღაურება, კერძოდ უნდა ანაზღაურდეს-მიუღებული ხელფასი, ან სხვა შემოსავალი, ანაცდენი სარგებელი, პენსია, დახმარება, ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარი და სხვა (ის. სსსკ-ის 223-ე მუხლი);

2) მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. მაგ. დაკავების პროცესში თუ პირს დაუზიანდა ჯანმრთელობა და ეს დადასტურებულია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მიყენებული ზიანისთვის მას შეუძლია მოითხოვოს ერთდროული გადასახდელი, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს დაავადების სიმძიმის და პროგნოზის გათვალისწინებით შრომის ანაზღაურების ასმაგი ოდენობის ფარგლებში;

3) მასვე, შეუძლია მოითხოვოს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება და ორმაგი ოდენობის პენსია ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში. სსსკ-ის 224-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწ);

4) ასევე, სხვა უფლებათა მაგ. სამსახურში ან სასწავლებელში აღდგენა, უკანონოდ დაკავების ან პატიმრობაში ყოფნის ვადის შრომით სტაჟში ჩათვლა და იმ საცხოვრებელი ბინის დაბრუნება ან ტოლფასი კეთილმოწყობილი ბინის რიგგარეშე მიცემა, რომელიც პირმა დაკარგა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო მსჯავრი ან/და მის მიმართ გამოიყენეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, წოდებების, საკლასო ჩინის, ორდენების და მედლების აღდგენა, რომლებიც მას ჩამოერთვა და ა.შ. (იხ. სსსკ-ის 226-ე მუხლი).

რაც შეეხება უშუალოდ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საშუალებებს, ისინი ჩამოთვლილია ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლში და მოიცავს: ნაწილობრივი ან სრული რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნების აუცილებლობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში; მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომლებმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული;

რეაბილიტირებულს უნდა მიეცეს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, სამართალწარმოების იმ ორგანომ, რომელმაც უკანონო საპროცესო მოქმედებები ჩაატარა წერილობით უნდა მოუხადოს დაზარალებულს ბოდიში.

საპროცესო მოქმედების შედეგად ,პირს თუ მიადგა ქონებრივი (მაგ. დაკავებისას დაემტვრა ძვირადღირებული ავტომანქანა, დაზიანდა ავეჯი და ა.შ.), ფიზიკური (მაგ. მოტყდა ხელი) ან მორალური ზიანიც (მაგ. შემთხვევის ადგილზე მიყვანილი იქნა ხელბორკილით რითაც შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია), ყველა ეს ზიანი, 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად, ექვემდებარება ანაზღაურებას მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა.

იმ შემთხვევაში თუ პირის მოთხოვნა დარღვეული უფლებების აღდგენის (მაგ. სამუშაოზე დაბრუნების, ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის ანაზღაურების და ა.შ.) თაობაზე არ დაკმაყოფილდა ან იგი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია გამამართლებელი განაჩენის ან სხვა მარეაბილიტირებელი აქტის გამოტანის დღიდან 3 წლის განმავლობაში, სასარჩელო წარმოების წესით, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დარღვეული უფლებების აღდგენა. (იხ.სსსკ-ის 228-ე მუხლი)

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კანონი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს ისეთი პირი ვის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის აქტის[105] ან შეწყალების საფუძველზე, ან/და თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში.

სამოქალაქო კოდექსის 1005..3-ე მუხლის ჩამონათვალში მითითებული არ არის უკანონო დაკავება ამდენად, ისმის კითხვა უკანონოდ დაკავებულ პირს აუნაზღაურდება თუ არა ქონებრივი და მორალური ზიანი. მასზე პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის ძველი საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი. კერძოდ, მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ პირის დაკავება, ისევე როგორც დაპატიმრება, თუ უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, მიყენებული ზიანის მთლიანად ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუ-

105 იხ. ზ.ახვლედიანი. ვალდებულებითი სამართალი. თბილისი 1999წ. გვ. 275.

ჯეტიდან, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ეს პირი შემდგომში მსჯავრდებული.

საბჭოთა კავსირის არსებობის მანძილზე საქართველოს არაერთი მოქალაქე გახდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი, რაც იძულების სხვადასხვა ფორმით განხორციელდა. მათ შორის ადგილი ჰქონდა პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფას თავისუფლების აღკვეთის, გადასახლება-გასახლების, სახელმწიფოდან გაძევების, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იძულებით მოთავსების გზით.

1997 წლის 11 დეკემბერს მიღებული იქნა სპეციალური კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ," რომელმაც ამ კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე და ამავე კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიანიჭა პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და მისი დარღვეული უფლებების აღდგენის უფლებამოსილება.

კერძოდ, დასახელებული კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე, აღუდგებათ რეპრესიის შედეგად დარღვეული ყველა სახის უფლება, სამხედრო და სპეციალური წოდება, უბრუნდებათ ჩამორთმეული სახელმწიფო ჯილდოები და ენიჭებათ დასახელებული კანონით გათვალისწინებული სხვა სახის შეღავათები.

გარდა ამისა, პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად, უფლება აქვს მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს პირველი რიგის მემკვიდრეს.

ამ კატეგორიის პირთა დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით. სარჩელს, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელიც ფულადი კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს

იძულების ფორმის სიმძიმის, ასაკის, გამრთელობის მდგომარეობის და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.

რეპრესიის მსხვერპლი, გარდაცვალების შემთხვევაში მისი შვილი 18 წლის ასაკამდე, შრომისუუნარო მეუღლე, მშობლები და შვილები სარგებლობენ სახელმწიფო პენსიის მიღების (მიუხედავად დასაქმებისა) უფლებით. საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისთვის (გათბობა, წყალი, ნარჩენების გატანა, გაზი, ტელეფონის სააბონენტო გადასახადი) იხდიან ღირებულების 50 პროცენტს, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება. მათვე უფასოდ შეუძლიათ მოიხმარონ ელექტროენერგია თვეში 30კვტ სთ-ის ოდენობით.

§16. გამოსახულებაზე უფლების დაცვა

ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის გამოსახულების გამოქვეყნება ფოტოსურათის, კინოფილმის, ვიდეოფილმის და ა.შ. სახით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.5 მუხლის თანახმად წარმოადგენს ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფას და ექვემდებარება დაცვას, სამოქალაქო კოდექსის მე-18.1 და 18.2 მუხლების შესაბამისად. კერძოდ, თუ ფიზიკურ პირს გამოსახულებაზე უფლებას შეეცილებიან ან/და ამ უკანასკნელის ინტერესი ილახება საკუთარი გამოსახულების მისი თანხმობის გარეშე გამოქვეყნებით, უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე. იმ შემთხვევაში თუ ხელმყოფის მიერ ეს მოთხოვნა არ შესრულდება ნებაყოფლობით, პირს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით და კანონით დადგენილი წესით დაიცვას გამოსახულებაზე უფლება.

„კანონით დადგენილი წესში" იგულისხმება სამოქალაქო კოდექსის მე-18.5 მუხლით განსაზღვრული რეგულაციები. კერძოდ, პირის თანხმობა არ მოითხოვება მხოლოდ მაშინ, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია პირის საზოგადოებრივ აღიარებასთან (მაგ. არჩეულ იქნა დეპუტატად), დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან (მაგ. როცა იძებნება დანაშაულის ჩადენისათვის), სამეცნიერო, ან კულტურულ მიზნებთან, ან/და ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში (მაგ. ბანკეტზე), ანაც პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გამოსახულებაზე უფლება მოიცავს ფიზიკური პირის უფლებამოსილებას, ჩამოთვლილ შემთხვევათა გარდა, დამოუკიდებლად გამოიყენოს თავისი გარეგნობა და განკარგოს გამოსახულებაზე უფლება.

გამოსახულება ფართო გაგებით გულისხმობს ფიზიკური პირის გარეგნობას, ფიგურას, ფიზიკურ მონაცემებს, ტანსაცმელს და ა.შ. ანუ, ისეთი ცნობების ერთობლიობას, რომელთა აღქმაც შესაძლებელია სპეციალური კვლევა-ძიების გარეშე.

გამოსახულებაზე უფლების დარღვევას შეიძლება ადგილი

ჰქონდეს გამოსახულების განზახ დამახინჯებით, ფოტომონტაჟის შედგენის ან კოლაჟის გაკეთების გზით, ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფოტოსურათის სხვა პირთა სახელით შეცდომით გამოქვეყნებით და ა.შ. მაგ. გაზეთში, რომელიც ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაიბეჭდა ,,ინტერპრეს ნიუსის" ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავჯდომარემ (კონკრეტული გვარის მითითებით), უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაჭრა ,,თელასის" თანამშრომელი. ამ ინფორმაციის გვერდით კი მოთავსებული იყო, ასევე ცნობილი პოლიტიკოსის და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მოგვარის ფოტოსურათი, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია მოცემულ დანაშაულთან.

ამ და სხვა მსგავს შემთხვევაში, ფიზიკურ პირს, რომელსაც შეელახა გამოსახულების თავისუფლად გამოყენების და განკარგვის უფლება, შეუძლია მოითხოვოს მისი გამოსახულების აკრძალვა, კადრების ამოღება კინოფილმებიდან, კლიპის ჩვენების აკრძალვა და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 58.3-ე მუხლის თანახმად თუ აღმოჩნდება, რომ პიროვნების ნებართვის გარეშე მისი გამოსახულება სარეკლამო სახით იქნა გამოყენებული, ეს სიუჟეტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ამოღებული პროგრამიდან.

გამოსახულებაზე პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეულად ხელყოფის შემთხვევაში კი პირს უფლება აქვს, მოითხოვო, როგორც ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად (სკ-ის მე-18.6 მუხლი).

§17. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 და მე-18.4 მუხლებით დადგენილია სპეციალური წესი, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების გავრცელებას აქვს ადგილი მასობრივი ინფომაციის საშუალებებით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლის თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობებით თუ შეილახა ზემოთჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი უფლებები, მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით.

თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი (იგულისხმება დახასიათება, შრომის წიგნაკში არსებული ჩანაწერი და ა.შ.) მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირს.

ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი როცა შეიცავს ცილისმწამებლურ ან/და შეურაცხმყოფელ ცნობებს, მაშინ მოპასუხედ მიიჩნევა პირი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს, ასევე ის ორგანიზაცია ვისი სახელითაც გაიცა იგი.

დავა, სამსახურებრივ დახასიათებაში მოყვანილი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების თაობაზე, სასამართლოს ქვემდებარეა. სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას ასეთი სასარჩელო განხცადების მიღებაზე. უფრო მეტიც, სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ უმართებლო ცნობათა უარყოფის მოვალეობის დაკისრებით. იგი უფლებამოსილია ასევე აღკვეთოს მსგავსი ქმედებანი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ცნობებით და ორგანიზაციის მიერ გაცემულ საბუთში არსებული ჩანაწერით განხორციელებული ფიზიკური პირის პატივის, ღირსების საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა უნდა აკმაყოფილებდეს კანონით (იგულისხმება „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები) დადგენილ იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ფიზიკური პირის პატივი,

ღირსება, საქმიანი რეპუტაცია ან პირადი ცხოვრების საიდუმლოება შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლით დაცული ობიექტი. ანუ, უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებსაც რაზედაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

სანამ საკვლევ თემას უშუალოდ შევეხებოდეთ აღვინიშნავთ, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვისათვის სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლით დადგენილი წესი, ამ უფლების დაცვის არაადეკვატურ საშუალებას წარმოადგენს, ვინაიდან, პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ცნობები უმეტეს შემთხვევაში სინამდვილეს შეესაბამება. მათი უარყოფის გამოქვეყნება კი არ იქნება გამართლებული.

შესაბამისად, სასურველი იყო სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლს გაეთვალისწინებინა ეს გარემოება, მით უფრო, რომ ამგვარი შეუსაბამობის თაობაზე ჯერ კიდევ 1999 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის კომენტარის ავტორები, აფრთხილებდნენ კანონმდებელს, თუმცა უშედეგოდ.[106]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნების განმარტებას და სახეების ჩამონათვალს მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტები არ იძლევა. ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში კი განმარტებულია მხოლოდ ,,მედიას" მნიშვნელობა, რომელიც დასახელებული კანონის პირველი მუხლის ,,ღ" ქვეპუნქტის თანახმად მოიცავს: მასობრივი კომუნიკაციის, ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ინტერნეტს.

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კი იგულისხმება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, ვიდეო და კინო დოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, მასობრივი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ასევე წარმოადგენენ: გამომცემლობები, პერიოდული პრესის, ტელე და რადიო მაუწყებლობის რედაქციები, საინფორმაციო სააგენტოები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას.

---

106 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I თბილისი 1999 წელი. გვ. 64.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოიაზრება მაუწყებელიც, ვინაიდან "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ტ" ქვეპუნქტის თანახმად მაუწყებელი არის ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე ან რადიო პროგრამების გავრცელებას, სახმელეთო გადაცემებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, სადენით ან ჰაერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით.

თავის მხრივ, მაუწყებლობა შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობის და კერძო მაუწყებლობის სახით. მაუწყებლობა შეიძლება ასევე იყოს სათემო და საკაბელო.

ამდენად, ,,მედია" ან თუნდაც მაუწყებლობა რა თქმა უნდა წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელოვან სეგმენტს, მაგრამ იმ საშუალებების ჩამონათვალი, რომლებიც განეკუთვნებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გაცილებით ფართოა და ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის პროცესში. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლში საუბარია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ფართო გაგებით.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ცნობების გავრცელებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების პასუხისმგებლობა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-6 მუხლი ცხადყოფს, რომ მედიის საშუალებით გავრცელებული პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა შესაძლებელია თუ დასახელებული პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა მოხდა ცილისწამებით.

ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო დავისას მოპასუხეა-მედიის მესაკუთრე, ასევე ავტორი, რედაქტორი ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, თუ ისინი აშკარად და პირდაპირ მხარს უჭერენ განცხადებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობების უარყოფის აუცილებლობა, რომ წარმოიშვას სავალდე-

ბულოა ისიც, რომ ეს უფლება არ ეწინააღმდეგებოდეს ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისთვის კანონით მინიჭებულ გამოხატვის თავისუფლებას, რაც გულისხმობს: აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ინფორმაციის და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავების და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას; მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობას და პლურალიზმს; ჟურნალისტის უფლებას დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.

ცილისწამების შემცველი განცხადებების გავრცელებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების თაობაზე სარჩელის შემტანი პირისათვის აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ცილისწამების შესახებ სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და ისეთ შემთხვევას, როცა მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

ცილისწამების შესახებ სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს ასევე გარდაცვლილი პირის, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ჟურნალისტს, რედაქტორს ან სხვა პირს, რომელიც ავრცელებს განცხადებას, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის შეიძლება მიენიჭოს კვალიფიციური პრივილეგიაც. ანუ, მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს მოსალოდნელი პასუხიმგებლობისაგან. კერძოდ, აღნიშნულს ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაში თუ მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის უფლებების აღსადგენად.

კვალიფიციური პრივილეგია იცავს ინფორმაციის შემქმნელს და მის გამავრცელებელს იმ შემთხვევაშიც თუ გავრცელებული განცხადება მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს. ასევე, თუ სახეზეა სამართლიანი და ზუსტი რეპორტაჟი იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-17.3 მუხლი ცხადყოფს, რომ ცილისმწამებლური ცნობების გამავრცელებელ პირს, კანონით დადგენილ ვადაში შეუძლია განახორციელოს გავრცელებული ცნობების შესწორება ან უარყოფა. საინფორმაციო საშუალების მიმართ არსებობს შესწორების და უარყოფის ერთადერთი ფორმა-ეს გახლავთ იმავე საინფორმაციო საშუალებაში ცნობის პუბლიკაცია სინამდვილის დამახინჯების, დაშვებული ფაქტობრივი თუ შეფასებითი ხასიათის უზუსტობის შესახებ.

გამოქვეყნებული ფაქტების უარყოფა ეკისრება რედაქციას, ასევე თვით ავტორს, რომელმაც მოამზადა პუბლიკაცია. დაზარალებულისათვის მნიშვნელობა არა აქვს როგორ ნაწილდება ეს მოვალეობა, რადგან მას აინტერესებს საბოლოო შედეგი- ინფორმაციის გამოქვეყნება მასთან მიმართებაში დაშვებული დამახინჯების შესახებ. უნდა ითქვას, რომ არსებული წესის თანახმად, ავტორი ამზადებს უარყოფის/შესწორების ტექსტს, რედაქციამ კი უნდა უზრუნველყოს მისი გამოქვეყნება. ცრუ, სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია, თუ მოცემულია ფსევდონიმით ხელმოწერილ სარედაქციო სტატიასა ამ მასალაში, უარყოფის მოვალეობა უშუალოდ ეკისრება საინფორმაციო საშუალებას.

მსგავსი ინფორმაცია როცა იბეჭდება წიგნში, მისი უარყოფა ან შესწორება უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება თუ არ აღმოჩნდება საკმარისი ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება დაზარალებულს მოითხოვოს ხელმყოფისაგან მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ცილისწამების შესახებ სარჩელი შეიძლება შეფასდეს უსაფუძვლო სარჩელის წარდგენად და ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის თანახმად, თვით მოსარჩელეს დაეკისროს გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიცემა მოპასუხისათვის.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-17.3 მუხლის შესაბამისად მოპასუხის რეაგირება უნდა განხ-

ორციელდეს ,,კანონით დადგენილ ვადა"-ში. ასეთი ვადა კი დაწესებულია მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით. კერძოდ, დასახელებული კანონის თანახმად საერთო და სპეციალიზირებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები (იხ. 52.1-ე მუხლი). რაც შეეხება დაინტერესებულ პირს მას უფლება აქვს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში მოსთხოვოს მაუწყებელს მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება (52.2-ე მუხლი).

ზემოთქმული ადასტურებს, რომ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლებებია შელახული, ეძლევა 10 დღიანი ვადა, რათა სადაო გახადოს მოყვანილი ფაქტების სიზუსტე და მოითხოვოს მისი შესწორება.

პროგრამაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტე თუ სადაო გახდა მითითებულ ვადაში და არ მომხდარა მისი დროულად შესწორება ან უარყოფა, ასევე თუ დარღვეულია მაუწყებლის მიერ სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპის მოთხოვნები, ან/და დავა ეხება ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის 56-ე მუხლში ჩამოთვლილ პროგრამულ შეზღუდვებს (ომის პროპაგანდა, პორნოგრაფია, მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შელახვა და სხვა), ანაც დარღვეულია ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების საუკეთესო დროს განთავსების ვალდებულება, ყველა ასეთ დარღვევაზე ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის 59-[1]ე მუხლის თანახმად რეაგირება უნდა მოხდეს მხოლოდ ამავე კანონის მე-14.1 მუხლში განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

თვითრეგულირების მექანიზმი გულისხმობს მაუწყებელის მიერ თვითრეგულირების კომისიის შექმნას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის № 2 დადგენილებით დამტკიცებული ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-7.1 მუხლის შესაბამისად.

თავის მხრივ, მაუწყებლის თვითრეგულირების კომისია ვალდებულია დაინტერესებული პირის მიერ 10 დღიან ვადაში შეტანი-

ლი საჩივარი განიხილოს დროულად და გონივრულ ვადაში. ასეთ გონივრულ ვადად კანონმდებელი მიიჩნევს 21 დღემდე ვადას. აღნიშნულის მტკიცების საფუძველს კი იძლევა თვით დასახელებული კანონი, სადაც ნათქვამია, რომ თუ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი, კომისიამ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილების მისაღებად ვადის გაზრდის აუცილებლობა და ამის შესახებ აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს. რაც შეეხება თვითრეგულირების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იგი შეიძლება გასაჩივრდეს 7 დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ასევე ქმნის თვით მაუწყებელი ან/და მათი გაერთიანება.

სააპელაციო ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული. ამდენად, მისი წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, ან/და ისეთი პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

თვითრეგულირების კომისიამ (სააპელაციო ორგანომ) თუ არ დააკმაყოფილა დაინტერესებული პირის საჩივარი, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებთან დაკავშირებით, დაუშვებელია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება. (იხ. „მაუწყებლობის შესახებ" კანონის 59^2 მუხლი).

ამდენად, მაუწყებლის მეშვეობით გავრცელებული ცნობებს თუ თვითრეგულირების კომისია არ მიიჩნევს პირადი არაქონებრივი უფლებების შემლახავ ცნობებად, დაზარალებულს შეუძლია პატივის და ღირსების შემლახავი ცნობების, საპასუხოდ მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებში, სამოქალაქო კოდექსის მე-18.4 მუხლის თანახმად, გამოაქვეყნოს მხოლოდ საპასუხო ცნობები. შესაბამისად, ვერ მოითხოვს მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას, რადგან არ ექნება თვითრეგულირების კომისის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ არსებული კანონმდებლობა, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით,

ჯერ კიდევ დასახვეწია, რათა იგი შესაბამისაობაში მოვიდეს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან, რომლითაც დადგენილია, რომ ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება კი მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

თუმცა, ამ უფლებით სარგებლობა პირს განსაკუთრებულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასაც აკისრებს. ამდენად, იგი შეიძლება იყოს დაკავშირებული ზოგიერთ ისეთ შეზღუდვასთან, რომელიც კანონით არის დადგენილი და აუცილებელია-სხვათა უფლებების პატივისცემის, სახელმწიფო უშიშროების, სახელმწიფო წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად. (იხ. ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორის პაქტის მე-19 მუხლი).

ამდენად, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვაზე უფლების არსებობის მიუხედავად, საზოგადოებას გააჩნია მისთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება. სწორედ ამითაა განპირობებული ის განსაკუთრებული მოთხოვნები, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეში ანიჭებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. კერძოდ ევროსასამართლოს უმთავრესი მოთხოვნაა, რომ:

1) ჟურნალისტი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად ანუ, ჩაატაროს საკუთარი ობიექტური ჟურნალისტური გამოძიება, ხოლო თუ არ ჩაუტარებია იგი, დაეყრდნოს მხოლოდ ოფიციალურ ანგარიშს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აუცილებლობას არ წარმოადგენს მოპოვებული მასალების სიზუსტის კიდევ ერთხელ გადამოწმება.

შესაბამისად, ამ მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, საინფორმაციო საშუალებებს შეეძლებათ გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების შემცველია (იხ. Bladet Troms and Stensaas V. Norway-ის საქმეზე 1999 წლის 20 მაისს გამოტანილი გადაწყვეტილება, მოხსენებები, 1999-III);

2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ არანაირ შეზღუდვას არ ექვემდებარება გამოხატვის თავისუფლება, მაშინაც, თუ მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უკვე იყო გამჟღავნებული და საიდუმლოდ მისი შენახვის აუცილებლობა არ არსებობს. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, შვეიცარიელი ჟურნალისტის მსჯავრდება, მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით გამოძიების საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, ჩათვალა გამოხატვის თავისუფლებაზე უფლების დარღვევად, ვინაიდან, ინფორმაცია, რომლის გავრცელებისათვის ჟურნალისტი დაისაჯა, უკვე იყო გამოქვეყნებული პრესკონფერენციაზე და გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ წარმოადგენდა არანაირ აუცილებლობას.[107]

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის პირს შეიძლება მიენიჭოს კვალიფიციური პრივილეგია, ანუ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლდეს, თუ მისი განცხადება წარმოადგენს იმ მოვლენასთან დაკავშირებით სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისმწამებლური განცხადების ავტორი და მედიის მესაკუთრე სამოქალაქოსამართლებრივი წესით აგებენ პასუხს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების სფეროს მიკუთვნებული უფლებების შელახვისთვის, მაშინაც კი, თუ დაზარალებული საჯარო მოხელეა.

ანალოგიურია ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კერძოდ, 2000 წლის მაისში ევროსასამართლომ არსებითი განხილვისათვის არ მიიღო ჟურნალისტი განმცხადებლების საქმე, რომლებსაც პასუხისმგებლობა დაეკისრათ მოსამართლისა და სხვა რამოდენიმე სახელმწიფო მოხელის მიმართ საჯაროდ არაერთგზის გავრცელებული ცილისწამებისათვის.

ეს გადაწყვეტილება სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი, ვი-

---

107 Webe v. Switzerland-ის საქმეზე 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, სერია A, №177.

ნაიდან ევროსასამართლომ მასში დაადასტურა, რომ სახელმწიფო მოხელეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით და გააჩნდეთ მუშაობისათვის სათანადო პირობები. შესაბამისად, ხაზი გაესვა სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელის სიტყვიერი თავდასხმებისა და შეურაცყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას. მოცემულ საქმეზე ჟურნალისტთა მიერ გავრცელებული ცნობები კი, ვინაიდან ეფუძნებოდა კრიტიკის მეტისმეტად შეურაცხმყოფელ და ცილისწამებლურ ხასიათს, განმცხადებლების გამოხატვის უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა მიჩნეულ იქნა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის პროპორციულად.

ამავე კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ"[108] საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტისა და გამომცემლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამართლის ცილისწამებებისათვის, რაც მოჰყვა კრიტიკული კომენტარის გამოქვეყნებას, არ წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

მეტიც, სასმართლოს ამ გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო დებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ,,სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია კანონის უზენაესობა, პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული ზღვარი. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლების მიერ მოსამართლის პიროვნული და პროფესიული პატიოსნების ზედმეტად მკაცრი კრიტიკა კი მოკლებული იყო კეთილსინდისიერებას და ეწინააღმდეგებოდა ჟურნალისტიკურ ეთიკას".

ამდენად, ჟურნალისტისა და გამომცემლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამართლის ცილისწამებისათვის ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა დემოკრატიული საზოგადეოებისათვის აუცილებელ შეზღუდვად.

ყოველივე ამით, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა იმ პრინციპისადმი ერთგულების აუცილებლობაც, რომ ჟურნალისტებმა არ უნდა გადალახონ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის დადგენილი ისეთი ზღვარი, როგორი-

---

108 2000წლის 4 ნოემბრის გასაწყვეტილება №32051/96

ცაა დაზარალებულის უფლება ისარგებლოს უდანაშაულობის პრეზუმფციით. ანუ, შეზღუდვა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როცა გავრცელებული ცნობები ამხელს პირს კანონსაწინააღმდეგო, მათ შორის დანაშაულებრივ, ქმედებებში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით კი დადგენილი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამდენად სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტალური პრინციპის დარღვევა.

აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების საზღვრების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად, მის მიერ აღებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ მიმართებით არსებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ადასტურებენ, რომ ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ინტერვიუსათვის, რომელსაც შეუძლია ცილისმწამებლური განცხადებებით შეურაცყოფა მიაყენოს კონკრეტულ პირს, გამოიწვიოს მისი აღშფოთება და რეპუტაციის შელახვა, არ დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი შესძლებს გაემიჯნოს პატივისა და ღირსების ხელმყოფი ციტატის შინაარსს. ასე მაგ. „Thomas"-ს საქმეზე 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტის მსჯავრდება ჩაითვალა კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევად იმის გამო, რომ ინტერვიუს სახით ინფორმაციის გავრცელებისას ჟურნალისტს ეყო გონიერება მიეთითებინა, რომ სხვისი აზრის ციტირებას ახდენდა და დაასახელა მისი ავტორიც. ამასთან, რესპოდენტის გამონათქვამები შეაფასა, როგორც „მკაცრი ტონის" მქონე და კითხვით მიმართა მესამე მხარეს თუ რას ფიქრობდა იგი ინტერვიუსთან დაკავშირებით (64-ე პუნქტი).

ამრიგად, ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით არსებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ: დაცულია „კეთილსინდისიერი კრიტიკა," რაც ნიშნავს იმას, რომ მისი გამავრცელებელი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და არა წინასწარი შეცნობით და ბოროტი განზრახვით.

დაცულობის ხარისხი განსხვავდება იმის მიხედვითაც გამოხატული და გავრცელებული აზრი პოლიტიკურ მოღვაწეს ან საჯარო მოხელეებს ეხება თუ რიგით ადამიანს. აღნიშნულის მიზეზი ისაა,

რომ ევროსასამართლო ხელმძღვანელობს პრინციპით- გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კერძო პირის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მიზნით უფრო მაღალი ხარისხითაა დასაშვები ვიდრე პოლიტიკოსის ან თუნდაც საჯარო მოხელის მიმართ.

ზემოთქმული კი ადასტურებს, რომ ევროპული სასამართლო, ეროვნულ სახელმწიფოებს შედარებით მცირე არეალს უტოვებს პრესის თავისუფულების შესაზღუდად, რაც განპირობებულია, როგორც პრესის განსაკუთრებული როლით ინფორმაციის გავრცელების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ასევე იმ გარემოებითაც, რომ საზოგადოებას აქვს წინასწარ გადამოწმებული სანდო და დაზუსტებული ინფორმაციის მიღების უფლება.

§18. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებების სამართლებრივი დაცვისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად მიიჩნევს, მათი შელახვით გამოწვეული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას.

მორალური ზიანის ანაზღაურებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ,,ჰამურაბის კანონები" და რომის სამართალი იცნობდა პასუხისმგებლობას მორალური ზიანისათვის. კერძოდ, "XII ტაბულის" კანონების თანახმად, მონისათვის ცემის შედეგად ძვლის გატეხვის შემთხვევაში (ანუ, მოქმედებაში გამოხატული შეურაცხყოფისათვის) სასამართლოს შეეძლო დაენიშნა 150 ასსი. თავისუფალი ადამიანის გატეხილი ძვლისათვის – 300 ასსი (ასსი წარმოადგენდა ფულის ერთეულს) და ა. შ.

მოგვიანებით, რომის სამართალის ნორმები ითვალისწინებდა ფულადი თანხების მოთხოვნის შესაძლებლობას წყენინებისათვისაც. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რომის სამართალი გარკვეულ აქცენტს აკეთებდა პიროვნებაზე და ზრუნავდა მისთვის მიყენებული, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, მოსამართლე ძველ რომში სრულიად თავისუფალი იყო მიყენებული ზიანის ოდენობის შეფასებაში. იმ შემთხვევაში კი, როცა მძიმე შეურაცყოფას ჰქონდა ადგილი, მიყენებული ზიანის საზღაურად მაქსიმალური თანხის დადგენა შეეძლო პრეტორს.

მორალური ზიანის ანაზღაურების იდეა უცხო არ ყოფილა ადრეული პერიოდის ქართული სამართლის ძეგლებისთვისაც, რომლებიც სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამოყენებასთან ერთად იცნობდა "დიდად შეხუეწნას," ანუ ბოდიშის მოხდას.

რომის სამართლისაგან მემკვიდრეობით მიღებულმა მორალური ზიანის ანაზღაურების იდეამ XX საუკუნის დასაწყისამდე სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა გერმანიაში, სადაც ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული ის, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ქონებრივი ზარალი. თუმცა, სამართლის

ძეგლ ,,კაროლინაში" "Schmerzengeld"–ის (ფულადი ანაზღაურება ტკივილისა და ტანჯვისათვის) ინსტიტუტის შეტანამ, ნაწილობრივ გამოასწორა არსებული მდგომარეობა, ვინაიდან ამ სამართლებრივი ძეგლით დაშვებული იქნა მორალური ზიანის და მატერიალური ზარალის ერთდროული ანაზღაურების შესაძლებლობა.

გერმანიისგან განსხვავებით, ინგლისის კანონმდებლობა თანაბრად ზრუნავდა და ზრუნავს მატერიალური და არამატერიალური ხასიათის ზიანის ანაზღაურებაზე. ამოსავალი დებულება ინგლისურ სამართალში ის არის, რომ ყოველი ზიანი უნდა ანაზღაურდეს განურჩევლად იმისა, ეს ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით თუ ხელშეკრულების დარღვევით.[109]

საბჭოთა სინამდვილე არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებას საბჭოთა ადამიანისათვის მიუღებულად მიიჩნევდა და იმ მოგონილი მოტივით, რომ საბჭოთა ადამიანის ღირსება ფულად ანაზღაურებაზე მაღლა იდგა, ეწინააღმდეგებოდა საკანონმდებლო გზით მორალური ანაზღაურების ინსტიტუტის დამკვიდრებას.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და ქვეყანაში განხორციელებულმა სასამართლო და სოციალურ-პოლიტიკურმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული საკანონმდებლო ბაზის შექმნას. ახლის ძველთან, პროგრესიულის დახავსებულთან ჭიდილში კი შესაძლებელი გახდა ისეთი სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელმაც დაამკვიდრა–მორალური ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანის ანაზღაურება გულისხმობს დაზარალებულისავის ფულადი თანხის მინიჭებას. იგი არაქონებრივი უფლებების (ფასეულობებისა და ინტერესების) დაცვის ქონებრივ ხერხს წარმოადგენს, რის გამოც მოთხოვნას/სარჩელს მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ უდავო ქონებრივი ხასიათი აქვს.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი იქნეს: 1)არაქონებრივი ზიანისათვის და 2)სხეულის დაზიანების ან ჯამრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში.

დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილი ცხადყოფს იმასაც, რომ არა ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით ზუსტად

109 Eduard Jenks, "A digest of English civil Low" Book II, port III. 1908. p. 315, 316, 326, 329.

განსაზღვრულ შემთხვევაში. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში კი ამგვარი შეზღუდვა დაწესებული არ არის (იხ. 413.2-ე მუხლი).

კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევები, ანუ ნორმატიული საფუძვლები, როცა პირს, არაქონებრივი ზიანისათვის შეუძლია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება, ჩამოთვლილია სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 და ამავე კოდექსის 1005.3-ე მუხლებში.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ ფიზიკურ პირს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს: თუ სახელის ტარების უფლებაში შეეცილებიან ან მისი ინტერესები შეილახება სახელის უნებართვო სარგებლობით. ასევე, თუ კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა საკუთარი პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას. ანალოგიური უფლება ფიზიკურ პირს აქვს იმ შემთხვევაშიც თუ მისი გამოსახულება (მე-18.5 მუხლში ჩამოთვლილი ცალკეული შემთხვევების გარდა) ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე გამოქვეყნდება. თუმცა, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეების ხელყოფა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი უშვებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონო მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შემთხვევებში.

სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სახელმწიფო, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად ანაზღაურებს მხოლოდ მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლში ჩამოთვლილ უკანონო მოქმედებებს თუ ბრალეულად აქვს ადგილი, მაშინ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს, როგორც ზიანის (ზარალის) ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.

პირველ შემთხვევაში, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახითაც, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კი შეიძლება, როგორც ქონებრივ ზიანთან ერთად ისე ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. ამასთან, მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას.

სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სახეზეა შესაბამისი თანამდებობის პირის ბრალი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით, სახელმწიფო და ის თანამდებობის პირები, რომლებმაც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შელახეს დაზარალებულის პირადი არაქონებრივი უფლებები, სოლიდარულად აგებენ პასუხს.

სამოქალაქო კოდექსში არ არის განმარტებული მორალური ზიანის ცნება. საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრებიდან გამომდინარე კი მორალური ზიანი გულისხმობს პიროვნების ისეთ ფიზიკურ ან სულიერ ტრამვას, რომელსაც არ მოეძებნება შესაბამისი ფულადი ეკვივალენტი.

ამდენად, მორალური ზიანი შეიძლება დადგეს: ნათესავების, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობის ან სამუშაოს დაკარგვით, ოჯახური და საქიმო საიდუმლოს გახმაურებით, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობათა გავრცელებით და აღნიშნულის გამო რაიმე უფლების ჩამორთმევით ან დროებით შეზღუდვით, დასახიჩრებით, ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით გამოწვეული ფიზიკური ტკივილით. ასევე, უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრებით გამოწვეული ნერვიულობის საფუძველზე აღმოცენებული ზნეობრივი განცდებით და სხვა.

მოკლედ, რომ ვთქვათ მორალური ზიანი შეიძლება გამოვლინდეს შიშში, დამცირებაში, უმწეობაში, სირცხვილში, ტკივილსა და სხვა უარყოფით განცდებში ანუ, როგორც ფიზიკური და სულიერი ტკივილის არსებობისას ცალცალკე, ისე მათი არსებობისას ერთდროულად.

აღნიშნულისა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ "მორალური ზიანი" არის "ის ფიზიკური და სულიერი ხასიათის ტანჯვა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად. ამასთან, მორალური ზიანის მიმყენებლის მოქმედებამ აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში და შესაბამისად, მას თან უნდა მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია."[110]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის მე-18.6 მუხლის თანახმად, მე-18 მუხლით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვისათვის ფიზიკური პირის მიერ მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მორალური ზიანი გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით იგულისხმება, როგორც პირდაპირი განზრახვა ისე უხეში გაუფრთხილებლობა (მაგ. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება) ან თუ სახეზეა კანონით ზუსტად განსაზღვრული სხვა შემთხვევა.[111]

კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევა გულისხმობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტურ ვალდებულებებს. ამ სახის ვალდებულებები ფარდობითი ხასიათისაა, რადგან მათი წარმოშობის საფუძველი კონკრეტულ პირთა შორის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიყენებაა. შესაბამისად, ისინი ატარებენ არასახელშეკრულებო ხასიათს და უზრუნველყოფენ მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი უშვებს ნებისმიერი ისეთი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც მიადგა მოქალაქის პიროვნებას ან ქონებას, ასევე იურიდიული პირის ქონებას. ამდენად, იგულისხმება, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა კი წინააღმდეგობაში მო-

110 შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, გვ.18.

111 ვრცლად იხილეთ შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ; 1998, გვ. 82-84.

დის, როგორც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსთან, სადაც მსგავს დაყოფაზე არაფერია ნათქვამი, ისე სამოქალაქო კოდექსის 27.5-ე მუხლთან, ვინაიდან 27.5-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლით გათვალისწინებული წესები. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი კი შეიცავს დანაწესს, რომ „ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც" და, რომ „მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად."

ვეხებით რა ქონებრივ ზიანთან დაკავშირებით დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად. ანუ, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ყველა ქონებრივი დანაკლისი ისე გაშვებული მოგება. ამასთან, დასაშვებია, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება აღემატებოდეს მიყენებულ ზიანს. კერძოდ, მსგავსი შემთხვევები დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან ან სხეულის დაზიანებასთან. მათი წარმოშობის იურიდიულ საფუძველს კი წარმოადგენს კანონი ან/და ხელშეკრულება.

შესაბამისი კანონის საფუძველზე, დასაშვებია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის იმ დონემდე შემცირებაც, რომ მან ვერ დაფაროს მიყენებული ზიანი. კერძოდ, ეს დასაშვებია დაზარალებულის ბრალის არსებობის ან უკიდურესი აუცილებლობისას ზიანის მიყენების შემთხვევებში.

ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, მორალურ ზიანთან მიმართებაში საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მიყენებული ზიანის კომპენსაციაზე და არა ზიანის სრულად ანაზღაურებაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში ილახება რა პირის სულიერი ფასეულობები, მიყენებული ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად შეფასება შეუძლებელია.

აღნიშნული განაპირობებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხს. კერძოდ, პირდაპირი განზრახვის არსებობისას, როგორც წესი, საკომპენსაციო თანხა გაცილებით მეტია ვიდრე უხეში გაუფრთხილებლობით

ზიანის მიყენებისას. ანუ, ბრალი წარმოადგენს არამხოლოდ პასუხისმგებლობის პირობას, არამედ პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრის საშუალებასაც.

მორალური ზიანის კომპენსაციის ფულად განზომილებაში გადაყვანას, ანუ საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრას რაც შეეხება, ეს საკითხი დღემდე რჩება რთულ პრობლემად. მისი არსებობა არაერთი ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორის უმთავრესია ის, რომ თითოეული პირი, ვისი არაქონებრივი უფლებაც შეილახა, გადაჭარბებულად აფასებს თავის ტანჯვას და ზრდის თანხის ოდენობას, რომელიც უნდა იქნას გადახდილი მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ.

კაცობრიობა უძველესი დროიდან ეძებდა მორალური ზიანის საკონპენსაციო თანხის ოპტიმალურად განსაზღვრის გზებს და ცალკეულ შემთხვევებში პოულობდა კიდეც. კერძოდ. ბაბილონური სამართლის ძეგლი ,,ხამურაბის კანონები" (ძვ.წ. XVIII საუკუნის 1792-1752 წ.წ.) იცნობდა სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოსვლის ინსტიტუტს. ასეთი პირი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, სათანადო პატივისცემით სარგებლობდა და შესაბამის გასამრჯელოსაც იღებდა, მაგრამ სარგებლის ნაცვლად დიდი საშიშროებაც ელოდა, თუკი თავისი ნათქვამის სისწორეს ვერ დაადასტურებდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, კანონი მას ცილისმწამებლად მიიჩნევდა და ცილისწამების სიმძიმეზე იყო დამოკიდებული მის მიმართ გამოყენებული სასჯელის ზომა. ,,უკეთუ კაცი სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოვიდა და თავისი ნათქვამი ვერ დაამტკიცა, თუკი ეს სიცოცხლის საქმეა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს" აღნიშნულია მე-3 მუხლში. ხოლო თუ ,,ხორბლის, ან/და ვერცხლის საქმეზე გამოვიდა მოწმედ," მაშინ მას შესაბამისი ,,სასჯელი ემუქრებოდა" ანუ, სადაო თანხის შესაბამისი კომპენსაცია უნდა გადაეხადა (მე-4 მუხლი). კაცს თუ არაფერი ჰქონდა დაკარგული, მაგრამ მაინც იტყოდა ,,რაღაც დამეკარგაო", კანონი ასეთ პირსაც ცილისმწამებლად მიიჩნევდა და თავისი უბნის მაცხოვრებლებისათვის ორმაგად უნდა გადაეხადა დაკარგულად გამოცხადებული

ქონების საფასური (126-ე მუხლი).[112]

სალიკური სამართლის, ანუ ,,ლექს სალიკა"-ს (იგი სალიელი ფრანკების მეფე ხლოდვიგმა (451-511 წ.წ.) შექმნა დაახლოებით 500 წელს) მე-18 ტიტული შეიცავდა ნორმას, იმის თაობაზე, რომ თუ ვინმე პატიოსან თავისუფალ ქალს ,,გზასაცდენილს" უწოდებდა, მას როგორც ცილისმწამებელს, მიყენებული სულიერი ტანჯვის სანაცვლოდ დაზარალებულისათვის უნდა გადაეხადა 45 სოლიდი.[113]

გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 10 000 გერმანულ მარკას.[114]

დიდ ბრიტანეთში (ინგლისში) არსებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შელახული პატივისა და ღირსების დასაცავად ხშირად გამოიყენება ე.წ. ,,ნომინალური კომპენსაციის" (Nominal damages) პრინციპი. ანუ, სასამართლო ადგენს, რომ პატივისა და ღირსების შელახვას აქვს ადგილი, მაგრამ მოპასუხეს აკისრებს არა მიყენებული ზიანის დაახლოებით ანაზღაურებას (Exemplary damages), როგორც ეს ჩვეულებრივ შემთხვევაშია მიღებული, არამედ სულ რამდენიმე შილინგის გადახდას იმის დასტურად, რომ დაზარალებულმა მიიღოს სულიერი კმაყოფილება.[115]

ამერიკის შეერთებულ შტატებში მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით პრაქტიკულად არანაირი შეზღუდვა არ არ არის დაწესებული. ამდენად, საზოგადო მოღვაწეებს და თანამდებობის პირებსაც კი შეუძლიათ მამართონ სასამართლოს და მოითხოვონ სოლიდური ფულადი კომპენსაცია, თუ სახელგამტეხი ცნობების ,,ბოროტად გავრცელება"-ს აქვს ადგილი ან მათმა გამავრცელებლებმა მაღალი ალბათობით იცოდნენ, რომ ისინი არ შეესაბამებოდნენ სინამდვილეს. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით სტატიისათვის, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ ფეხბურთის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ,,თამაში ჩააწყო" მასობრივი ინფორმაციის საშუ-

112 პ(თ)მონიავა. პირადი არაქონებრივი უფლებები. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი 2004 წ. გვ. 8-9.

113 იხ. პ.(თ) მონიავას დასახელებული ნაშრომი გვ. 25 და 30.

114 იქვე გვ.28.

115 იხ. იქვე გვ. 42.

ალების მესაკუთრეს, დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 460 000 აშშ დოლარის გადახდა. კიდევ უფრო შთამბეჭდავი თანხა 34 000 000 აშშ დოლარი მოითხოვა კომპენსაციის სახით პოკურორმა, რომლის მიმართაც მასმედიაში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ამტკიცებდა, რომ მან კოლეჯის ორი სტუდენტის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე "მიაჩუმათა". ხოლო, სტატიისათვის, რომელშიც საუბარი იყო პოლიციისა და პროკურორის მხრიდან მკვლელობის საქმის არასრულყოფილად გამოძიებაზე მასმედიას დაეკისრა 45 000 აშშ დოლარის გადახდა და ა.შ.[116]

ძველ რუსეთში არსებული სამართლის ძეგლი ,,რუსკაია პრავდა" (XI საუკუნის პირველი ნახევარი) იცნობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს. მორალური ზიანის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა ტერმინი „Обида", რაც გულისხმობდა ფიზიკური ტკივილის თანხლებით მიყენებული შეურაცხოფისგან გამოწვეულ წყენას. მორალური ზიანისათვის კომპენსაციის სახით გადასახდელ თანხას კი „Продажа" ეწოდებოდა. მაგ. კბილის ჩამტვრევისათვის პირი იხდიდა „Продажа"-ს 12 გრივნა ვერცხლის ოდენობით. ცემა, ანუ ფიზიკური შეურაცხყოფა უფრო ძვირად ფასდებოდა ვიდრე სერიოზული ჭრილობების მიყენება. მაგ. ქარქაშიდან ამოუღებელი ხმლით ან მისი ტარით ცემისთვის თუ 12 გრივნა ვერცხლის გადახდა იყო აუცილებელი, ხმლით დაჭრის შემთხვევაში დამნაშავეს შეიძლება დაკისრებოდა მხოლოდ 5 გრივნა ვერცხლის გადახდა. ანალოგიურად, 12 გრივნის ოდენობით „Продажа"-ს გადახდა იყო დაწესებული წვერის ან ულვაშის ამოგლეჯვისათვის, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამ სახის მოქმედებები ამცირებდა ადამიანის ღირსებას.

ივანე მრისხანეს მეფობისას, 1550 წელს, მიღებული სამართლის წიგნის (სჯულდების) მიხედვით, ვაჭრის პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის დაწესებული ფულადი საზღაური 50-ჯერ აღემატებოდა მცირე რაბათელი ადამიანის და 10-ჯერ საშუალო რაბათელი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის დაწესებულ ფულად გადასახადს. ამასთან, გლეხის ღირსება შეფასებული იყო 1 მანეთად. წარჩინებული ადამიანის ღირსების შელახვისათვის კი ხელმყოფი 100-ჯერ მეტს იხდიდა.

---

116 იგივე ნაშრომი გვ. 47.

პეტრე პირველის (XVIII-ს) დროს მიღებული ,,სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პირად წყენათა ანაზღაურების საკითხს. კერძოდ, დაზარალებულის სოციალურ სტატუსსა და სამსახურეობრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული შელახული პატივისა და ღირსების საკომპენსაციო თანხის ოდენობა.

აღნიშნულს ადასტურებს ის, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირის, ისევე, როგორც აზნაურის შეურაცხყოფისათვის, გათვალისწინებული იყო ფულადი თანხის გადახდა დაზარალებულის ხელფასის წლიური სარგოს ოდენობით. სასულიერო პირის შეურაცხყოფისათვის საზღაური 2-ჯერ აღემატებოდა საერო პირისას. ქალაქის მკვიდრის სიტყვიერი ან წერილობითი შეურაცხყოფისათვის კი სავალდებულო იყო იმ ოდენობის თანხის გადახდა, რომლითაც დაბეგრილი იყო დაზარალებული ქალაქისა და ხაზინის სასარგებლოდ წლის განმავლობაში.

რუსეთის ფედერაციის ახლანდელი სამოქალაქო კოდექსი იცნობს ხელყოფილი პირად არაქონებრივი უფლებების დაცვის საკმაოდ სრულყოფილ მექანიზმს. კერძოდ, თუ ფიზიკური პირისათვის მიყენებულია მორალური ზიანი (რაც გულისხმობს ფიზიკურ ან მორალურ ტანჯვას იხ. 151-ე მუხლი), სასამართლოს შეუძლია ხელმყოფს დააკისროს ამ ზიანის ანაზღაურება. მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ხელმყოფის ბრალის ხარისხსა და სხვა ყურადსაღებ გარემოებებს. ასევე, ითვალისწინებს იმ პირის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხს, რომელსაც მიადგა ზიანი. მორალური ზიანის ანაზღაურება ხორციელდება ქონებრივი ზიანით ანაზღაურების მიუხედავად, მხოლოდ ფულადი ფორმით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას კი სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამართლიანობისა და გონივრულობის მოთხოვნების დაცვით (სსკ-ის 1101-ე მუხლი).[117]

დიდი ტრადიციები არსებობდა ძველ საქართველოში მორალური ზიანის მიყენებისათვის საკომპენსაციო თანხის მყარი ოდენობით განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, ,,ბექასა და

---

117 დეტალურად იხილე პ(თ) მონიავას იგივე ნაშრომი გვ. 54-55,57,61,81.

აღბუღას" (XIV-ს) სამართალზე დართული ე.წ. ,,კურაპალატის" სამართლის მიხედვით, თუ ვინმე დიდებულთაგანი ეპისკოპოსს სიტყვიერ შეურაცყოფას მიაყენებდა დამნაშავე ისჯებოდა 40 000 თეთრის გადახდით და ,,დიდად შეხუეწნით". ე.ი. დაზარალებულს შეეძლო პატივისა და ღირსების ხელმყოფისაგან მოეთხოვა არამხოლოდ მკაცრად განსაზღვრული ფულადი თანხა არამედ განცდილი მორალური ტანჯვისათვის ბოდიშის მოხდაც. იმ შემთხვევაში თუ სიტყვიერ შეურაცყოფას გინებით ექნებოდა ადგილი ლაშქარში მყოფი პირის მიმართ, მორალური ზიანის საზღაური შეადგენდა 4000 თეთრს და ა.შ.

კიდევ უფრო დაიხვეწა მორალური ზიანის საზღაურის ოდენობის განსაზღვრის წესი ვახტან VI-ის სამართლის წიგნით (XVIII ს), რომელმაც საკანონმდებლო წესით დაადგინა საერო და სასულიერო პირთათვის, ასევე ვაჭართა ფენის წარმომადგენლებისათვის დიფერენცირებული სისხლის ფასი (ანუ თანხის ოდენობა, რომლითაც შეფასებული იყო ამა თუ იმ პირის სიცოცხლე), რაც არამხოლოდ საზოგადოების წარმომადგენელთა რანგირების საშუალებას იძლეოდა, არამედ კანონმდებელმა სისხლის ფასზე მოახდინა პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის იმავე ოდენობის მორალური ზიანის საზღაურის მიბმაც. კერძოდ, დიდებული თავადის სისხლის ფასი და შესაბამისად მისი პატივის ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის საზღაური შეადგენდა 1536 თუმანს და სხვა.[118]

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციით დადგენილი უფლებების დარღვევების გამო განცდილი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ევროსასამართლო უმეტეს შემთხვევაში ადგენს ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას, მაგრამ, მისი ოდენობის განსაზღვრის რაიმე კრიტერიუმი არ არსებობს. შესაბამისად, იგი მთლიანადაა დამოკიდებული საქმის განმხილველი მოსამართლეების იმ სუბიექტურ შეფასებაზე-ქმედებისათვის კონკრეტული თანხის დადგენა, მორალური ზიანის სამართლიანი დაკმაყოფილება იქნება თუ არა.

---

118 იხ. პ(თ) მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით. თბილისი, 2005 წელი, გვ. 67-87.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის დარღვევის აღიარების მხოლოდ ფაქტს მიიჩნევს დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის სამართლიან ანაზღაურებად და დამრღვევს არ აკისრებს ფულადი თანხის გადახდას. ასე მაგ. კომპანია ,,კრონს ფერლაგ გმბჰ ენდ კო.კგ" ავსტრიის წინააღმდეგ" №34315/96 საქმეზე, 2002 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას და შესაბამისად სახეზე იყო მორალური ზიანი, მაგრამ მიიჩნია, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა საკმარის და სამართლიან კომპენსაციას.

ქართულ რეალობაში, დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობას ადგენს სასამართლო დაზარალებულებისათვის მოყენებული ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ხასიათისა და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე.

არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას კი სასამართლოს მიერ დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 413.1-ე მუხლის ის დანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

გონივრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნები დაცული უნდა იქნას სკ-ის 413.2-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაშიც, რადგან ეს ნორმა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ზიანის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას, დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც ქონებრივ ზიანთან ერთად.

თუ რა ჩაითვლება გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ეს მთლიანად სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული. თუმცა, მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ოდენობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს ზუსტი ოდენობით, ანუ, კონკრეტულ თანხაზე მითითებით. ამდენად, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას ასანაზღაურებელი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით.

მორალური ზიანის მატერიალური კომპენსაციის განსაზღვრისას სასამართლოს მოეთხოვება ისიც, რომ პირველ რიგში გაითვალისწინოს-ფიზიკური და სულიერი განცდების ხასიათი და სიძლიერე, სამართალდამრღვევის ბრალეულობის ხარისხი, საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შედეგად მოხდა ზიანის მიყენება და ის მოგება, (მაგ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ ამ საქმისთვის ფულადი ჯილდოს მიღება), რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს.

სამართალდამრღვევის ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრისას კი აუცილებელია განზრახვის ფორმის (საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე მორალური ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით ბრალის არსებობის შემთხვევები), გათვალისწინება, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს გამოავლინოს ის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებზეც დამოკიდებულია მორალური ზიანის სიმძიმე და საკომპენსაციო თანხის ოდენობა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი. შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.

ამათ გარდა, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს დაზარალებულის ინდივიდუალურ ფიზიკურ და ზნეობრივ განცდებზე. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია თვით იმ პირის ქცევაც, რომელიც ითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება, დაზარალებულის დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგად მიყენებული ზიანი, ხოლო თვით დაზარალებულის უხეშმა გაუფრთხილებლობამ თუ შეუწყო ხელი ზიანის წარმოქმნას ან ზრდას, არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს ამავე კოდექსის 415.1-ე მუხლის გამოყენებას, საკონპესაციო თანხა შეიძლება შემცირდეს, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი

გამოწვეული. მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 1005.3-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში, დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თუ არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი, დაზარალებულს არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ევროსასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომომდინარე, ეროვნულ სასამართლოს ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევას აქვს ადგილი, მაგრამ მხოლოდ ამის აღიარება მიიჩნიოს მორალური ზიანის ანაზღაურებად და ცილისწამებით, უხამსობით, პირისპირ შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის, ასევე პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელმყოფს ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, არ დააკისროს ფულადი კომპენსაციის გადახდა.

§19. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, რომ კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას.

კოსტიტუციის ამ მოთხოვნის რეალიზაციის გზები მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას ეხება. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1[1]-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დაცული პერსონალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია. აღნიშნული ნიშნავს, რომ პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყონებლივ, გარდა იმ შემთხვევებისა როცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტებში არსებული მისი ქვედანაყოფებიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სახელმწიფო აღიარებდა ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც საჯარო ხასიათი აქვს და კონკრეტული პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული სხვა ისეთი ინფორმაცია კი რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან (მაგ. ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი ფეხმძიმედაა და შვილს ელოდება თავისი მეგობრის მეუღლისაგან) ცხადია არ შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სხვა პირთათვის თუ არ იქნება თვით ამ პირის თანხმობა ან კანონით დადგენილი ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყო-

ფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად (საქართველოს კონტიტუციის 41.2-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილია მხოლოდ საჯარო დაწესებულებების ვალდებულება მოთხოვნის არსებობის პირობებში დაინტერესებულ პირს გააცნონ მასზე არსებული ის პერსონალური ინფორმაცია, რომელიც დაცულია ამ დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ ჩანაწერებში. თუმცა, გაკეთებულია დათქმა იმის თაობაზე, რომ ეს უფლება რეალიზებადია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ამდენად, ეროვნულ კანონმდებლობაში, განვლილი პერიოდის განმავლობაში, არ არსებობდა რაიმე სახის ნორმა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაავალდებულებდა ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მათთან არსებული ის პერსონალური მონაცემები და სხვა ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების ფინანსურ (ქონებრივ) მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, გაეცნო ამ უკანასკნელისათვის და გადაეცა მათი ასლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2008 წლის 14 მარტს მე-18[1] მუხლის სახით შეტანილმა ცვლილებამ გამოასწორა არსებული მდგომარეობა ამ მიმართებით. კერძოდ, პირს უკვე აქვს უფლება, გაეცნოს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ და სხვა კერძო საკითხებთან, მიუხედავად იმისა ეს ინფორმაცია ფიზიკურ პირთან იმყოფება თუ მას ფლობს კერძო სამართლის იურიდიული პირი.

კონკრეტულ მაგალითზე ეს ნიშნავს შემდეგს: სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლის შესაბამისად, თუ გამსესხებელი ფიზიკური პირი დაუყონებლივ მოითხოვს ვალის დაბრუნებას, აღნიშნულს იმით ხსნის, რომ გააჩნია ჩანაწერები მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესების შესახებ და ამით საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას, მსესხებელს სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უფლება აქვს, გაეცნოს ამ ჩანაწერებს და მიიღოს მათი ასლები.

პერსონალური მონაცემების მიღების შესახებ უფლება მხოლოდ დეკლარირებულ უფლებად, რომ არ დარჩენილიყო კანონ-

მდებელმა, სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლის მეორე ნაწილით, დაავალდებულა ის პირები, ვინც ფლობს ამ სახის პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უარი არ თქვან ინფორმაციის გაცემაზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვის საქმეში, არამედ სასამართლო ორგანოების განტვირთვის თვალსაზრისითაც. კერძოდ, პირი თუ გაეცნობა მასზე არსებულ ჩანაწერებს და დარწმუნდება მათ რეალობაში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის გადაწყვეტად არ მიმართავს სამართლოს. ამით კი დაიზოგება, როგორც სახსრები ისე დრო, რომელსაც სასმართლო სხვა საქმეების ოპერატიულად განსახილველად გამოიყენებს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლი იძლევა პირის ხელყოფილი უფლების კიდევ უფრო ეფექტურად დაცვის შესაძლებლობას. ამას თუნდაც ის გარემოება ადასტურებს, რომ პირს უფლება აქვს გაეცნოს ყველა იმ ჩანაწერს, რომლებიც პერსონალურად დაკავშირებულია მისი ცხოვრების ისეთ საკითხებთან, რომლებსაც კერძო ხასიათი აქვს. ანუ, თუ ვრცელდება ინფორმაცია კონკრეტული პირის ცხოვრების განსხვავებული წესის მაგ. არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის შესახებ და მისი ავტორი აცხადებს, რომ ამის დამადასტურებელი ჩანაწერი გააჩნია, პირს ვისი ინტერესებიც ილახება ამგვარი ინფორმაციის გავრცელებით, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უფლება აქვს გაეცნოს მასზე არსებულ ჩანაწერს და მიიღოს მისი ასლი.

ჩანაწერის შინაარსიდან გამომდინარე კი განსაზღვროს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი საიდუმლოების ხელყოფას აქვს თუ არა ადგილი და დადებით შემთხვევაში გამოწვეულია თუ არა იგი ვისიმე ბრალეული მოქმედებით.

შესაბამისად, თუ პირი დარწმუნდება, რომ მართლაც არსებობს ამგვარი ჩანაწერი და შესაძლებელია მისი შემსრულებლის იდენტიფიცირება, ანუ გამოკვეთილია კონკრეტული ხელმყოფი პირი და მისი ბრალეული მოქმედება, დაზარალებულ პირს უფლება აქვს, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.

ანალოგიურად, სამოქალაქო კოდექში ამ ცვლილების შეტანამდე, თუ პირს არ ჰქონდა უფლება მიემართა დამსაქმებელისათვის და მოეთხოვა მასთან არსებული იმ ფინანსურ ჩანაწერებთან პირადად გაცნობა, რომლებიც, მაგალითად, შეეხებოდა გაწეული საქმიანობისათვის დამსაქმებლის მიერ დარიცხული თანხის შესაბამისობას რეალურად მიღებულ ანაზღაურებასთან, სამოქალაქო კოდექში მე-18[1] მუხლის დამატების შემდეგ პირს შეუძლია არამხოლოდ ამ სახის ჩანაწერებთან გაცნობა არამედ მათი ასლების მიღებაც.

შესაბამისად, მძლავრი სამართლებრივი მექანიზმი გაჩნდა საამისოდ, რომ პირმა მიღებული მტკიცებულების საფუძველზე დასაბუთებული სარჩელით მიმართოს სასამართლოს და უპრობლემოდ შეძლოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დოკუმენტებში სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში კი სამართამდამცავი ორგანოებისგან მოითხოვოს წინასწარი გამოძიების დაწყება, მასზე გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლის არქიტექტონიკა იმდაგვარადაა აგებული, რომ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, პირს შეუძლია ნებისმიერი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან მოითხოვოს მასთან დაცული სხვა პირის შესახებ მონაცემები და ჩანაწერებიც. ამასთან, ინფორმაციის მიმღებს მოეთხოვება მასში არსებული საიდუმლოების დაცვა.

პერსონალური მონაცემების ან ჩანაწერების გასაცნობად და მათი ასლების მისაღებად საკმარისია ზეპირი მოთხოვნა. ამასთან, აუცილებელი არ არის მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

სხვისი პერსონალური მონაცემების და ჩანაწერების მისაღებად კი, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ (ქონებრივ) მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხთან, აუცილებელია ამ პირის წერილობითი თანხმობა, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლის პირველი ნაწილი ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში პირს შეიძლება უარი ეთქვას, როგორც მასზე ისე სხვა პირზე არსებული პერსონალური მონაცემების და ჩანაწერების

გაცნობაზე და შესაბამისად ამ მონაცემების ასლების გადაცემაზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-18[1] მუხლში მითითებული არ არის კონკრეტულად რა შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს ასეთ მოთხოვნებზე უარის თქმას ადგილი. ამ ხარვეზს ავსებენ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები მაგ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებულ პუბლიკაციაში მისი ავტორი თუ აპელირებას აკეთებს პერსონალურ ჩანაწერებზე ან მონაცემებზე, მაგრამ არ ასახელებს წყაროს, თვით ჩანაწერის გაცნობა კი გამოიწვევს კონფიდენციალური წყაროს გაშიფრვას, ჟურნალისტს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური წყაროს გამხელის და შესაბამისად ამ პირის მიერ მოპოვებული პერსონალური მონაცემებისა და ჩანაწერების ვინმეზე გადაცემის ვალდებულება, თვით მისი მფლობელის თანხმობის ან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე (იხ. დასახელებული კანონის 11.2 მუხლი).

აღსანიშნავია, რომ თვით სასამართლოც უძლურია დააკისროს ჟურნალისტს (მედიის მესაკუთრეს) პროფესიული საიდუმლოების შემცველი კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება (იხ. ამავე კანონის 11.1 მუხლი), ვინაიდან ეს იქნებოდა გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა, რაც გულისხმობს ჟურნალისტის უფლებას დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები (იხ. "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი).

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჟურნალისტისაგან ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნას მაინც ექნება ადგილი და ამ გზით მიადგება ქონებრივი ან მორალური ზიანი, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება, რაც გულისხმობს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას როგორც ერთობლივად ისე ცალცალკე.

ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი თუ არ შეასრულებს მოთხოვნას პერსონალური მონაცემების და მათი ასლების გაცემასთან დაკავშირებით, ასეთი ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს უფლება აქვს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასარჩელო განცხადებით, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ხოლო გამოპასუხის მხრიდან განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში, ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის მესამე კარით დადგენილი წესით. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება სკ-ის 394.1-ე, 394.2-ე და 394.3-ე მუხლის დებულებები. ანუ, პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს, ინფორმაციის გაცნობაზე/ასლის გადაცემის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვადის გადაცილების შემთხვევაში კი დანიშნოს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი ამ დროშიც არ შესრულდება ვალდებულება, ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

დამატებითი დროის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყონებლივ გამოყენებას.

§20. გარდაცვლილ პირთა, სულით ავადმყოფთა და ჭკუასუსტთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

სამართლის სხვადასხვა დარგის მეცნიერთა შორის, ხანგრძლივად მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა გარდაცვლილთა, ასევე იმგვარ სულით ავადმყოფთა (ჭკუასუსტთა) სამართლებრივი დაცვა, რომელთაც არ შესწევთ დამცირების აღთქმის უნარი, დადებით შემთხვევაში ვინ უნდა განახორციელოს იგი.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია გარდაცვლილთა დამცირება ან შეურაცხყოფა.[119] ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ი.ს. ნოის მიაჩნდა, რომ შესაძლებელია გარდაცვლილთა შეურაცხყოფა, მაგრამ ვერ შეურაცხყოფ მას, ვინც ვერ აღიქვამს საკუთარი პატივისა და ღირსების დამცირებას[120].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლმა და არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ, ნაწილობრივ ბოლო მოუღო მსგავს დავას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, რომ მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი.

ამრიგად, კანონმა დაუშვა გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების დაცვის შესაძლებლობა "დაცვის ღირსი ინტერესის მქონე" პირის მეშვეობით. ამ ცნების ქვეშ კი იგულისხმება იმ პირთა წრე, რომელიც სახელისა და პირადი ღირსების დაცვას ახორციელებს გარდაცვლილის ინტერესებიდან გამომდინარე.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ "დაცვის ღირსი ინტერესის მქონე" პირთა რიცხვს პირველ რიგში მიეკუთვნებიან: ახლო ნათესავები, ოჯახის წევრები და მათი არყოფნის შემთხვევაში გარდაცვლილი პირის მომდევნო რიგის მემკვიდრეები, რადგან მათზე გადადის სამკვიდრო. ის კი შეიცავს მამკვიდრებ-

---

119 Пурцхванидзе Б. З. Охрана чести и достоинства личности в совеском уголовном праве. Автореферат докторской диссертации, а., 1961, გვ. 12.

120 Ной М. С. Охрана чести и достоинства личности в советском уголовном праве. სარატოვი, 1995, გვ. 17-18.

ლის ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივის) და მოვალეობების (სამკვიდრო პასივის) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის (სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მათვე ევალებათ მამკვიდრებლის იმ არაქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც სამკვიდროში არ შედის (სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლი), მაგრამ მნიშვნელოვნად განაპირობებს გარდაცვლილის პირადი სახელისა და ღირსების დაცვის აუცილებლობას.

ზემოთქმულთან ერთად, მართზომიერი იქნებოდა საკითხის იმგვარად დასმაც, შეუძლია თუ არა გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების დაცვის განხორციელება იმ პირს, რომლიც არ არის მემკვიდრე, მაგრამ დაინტერესებულია ცნობილი პიროვნების მიმართ ისტორიული სიმართლის (სამართლიანობის) აღდგენაში.

მეცნიერი თუ იკვლევდა ისტორიული პირის მოღვაწეობას, ამასთან დაკავშირებით ახდენდა ფაქტების ანალიზს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი "გმირის" სახელი და პირადი ღირსება უსამართლოდ იყო შელახული, ცხადია, ამ უკანასკნელის რეაბილიტაციაში დაცვის ღირსი ინტერესის მქონე პირი იქნება მკვლევარი, რომლის დასკვნებიც საფუძვლად დაედო გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების შემლახავ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობათა უარყოფას.

ამდენად, გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების აღდგენით დაინტერესებულ პირთა ანუ, "დაცვის ღირსი ინტერესის" მქონე პირთა ამომწურავ ჩამონათვალს ისევე, როგორც ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციას, კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებს. შესაბამისად, სასამართლომ თითოეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს არის თუ არა სარჩელის წარმდგენი გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების დაცვის ინტერესის მქონე პირი და, აქედან გამომდინარე, არის თუ არა სათანადო მოსარჩელე.

სიკვდილის შემდეგ, არაქონებრივი უფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია ნაწარმოების დაცვა ყოველგვარი დამახინჯებებისა და ხელყოფისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს გარდაცვლილი ავტორის სახელსა და პირად ღირსებას, ვინაიდან ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლება "საავტო-

რო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე უვადოდ მოქმედებს მისი სიკვდილის შემდეგაც.

გარდაცვლილი ავტორის რეპუტაციის უფლების დაცვას ახორციელებენ ავტორის მემკვიდრეები ან/და პირი, რომელსაც ავტორმა დადგენილი წესით დაცვის უფლება დააკისრა. ამგვარი პირის ან მემკვიდრეთა არყოფნის შემთხვევაში კი, დაცვის უფლებას სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს. აქედან გამომდინარე, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება არ წყვეტს მოქმედებას მისი გარდაცვალების შემდეგ.

რაც შეეხება მორალური ზიანის კომპესაციას და პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებულ მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხს, მათ შესახებ სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

კანონმდებლობის მიერ დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვით დაზარალებული პირი იმ შემთხვევაში, როცა ასეთ ცნობათა გამავრცელებელი გარდაიცვლება. მიგვაჩნია, რომ თუ ცნობათა გამავრცელებელი გარდაიცვლება, გარდაცვლილის მიერ შელახული არამატერიალური ფასეულობანი-პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ა.შ., სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს. ანუ, მხარდაჭერას იმსახურებს იურიდიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გამოთქმული წინადადება-გამავრცელებლის სიკვდილის შემთხვევაში საქმის განსაკუთრებული წარმოების წესით განხილვის თაობაზე.[121] ამ წინადადების მიღების შემთხვევაში კი დაცვა იმავე ხერხით უნდა განხორციელდეს, რაც სკ-ის მე-18 მუხლით არის გათვალისწინებული.

დაუშვებელია დაზარალებულთა დატოვება სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის გარეშე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართალდამრღვევის მოვალეობები წყდება სამართალდამრღვევი იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების ან მასობრივი ინფორმა-

121 А. В. Белявский, Судебная защита чести и достоинства граждан, М. 1996, გვ. 217. Л. К. Рафиева, მითითებული ნაწ. გვ. 20.

ციის იმ საშუალების ლიკვიდაციის გამო, რომელმაც გაავრცელა პატივისა და ღირსების შემლახავი სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები.[122] ამის საშიშროება ცხადია არსებობს, ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის არაერთი საშუალება სრულიად განსხვავებული მიზეზებით წყვეტს ფუნქციონირებას, სკ-ის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი კი ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების უარყოფის ერთადერთ ხერხს—გავრცელებულ ცნობათა უარყოფას მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებით.

არსებული სიტუაციიდან გამოსავალი შეიძლება იყოს შემდეგი: პუბლიკაცია თუ საავტორო იყო და ავტორი ცოცხალია, მართებული იქნებოდა მას დაჰკისრებოდა საკუთარ ხარჯზე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში უარყოფის გამოქვეყნების მოვალეობა, მაგრამ ეს წესი გათვალისწინებული უნდა იქნეს სკ-ის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ავტორი გარდაცვლილია, ან/და პუბლიკაცია ფსევდონიმის მითითებით ან ავტორის სახელის მითითების გარეშე განხორციელდა, უარყოფის მსგავსი წესი არ გამოდგება. ამდენად, უნდა მოქმედებდეს დაცვის ის ხერხი, რომელიც შეიძლება გავრცელებულიყო იმ შემთხვევებზეც, როცა შეუძლებელია ცნობათა გამავრცელებლის დადგენა.

შესაბამისად, სკ-ის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა შეივსოს შემდეგი ტექსტით: მოქალაქის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობათა გამავრცელებელი ფიზიკური პირის სიკვდილის, იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე მაშინ, როდესაც შეუძლებელია მსგავს ცნობათა გამავრცელებელი პირის დადგენა, მოქალაქე, რომლის შესახებაც გავრცელდა ცნობები, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, მისი შელახული უფლების დაცვის თაობაზე.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი საამისოდ უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებას, რომ განახორციელოს დაცვის მოთხოვნა მხოლოდ გარდაცვლილის სახელისა

---

122 მოვალეობის შეწყვეტა მისი შესრულების (სკ-ის 453-ე მუხლი) გამო, რომელმაც თავი იჩინა პატივისა და ღირსების დაცვის თაობაზე შეტანილ სარჩელთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სტადიაში, არ ტოვებს დაზარალებულს სრულებით დაუცველად, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შეიცავს პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობათა სინამდვილესთან შეუსაბამოდ აღიარებას.

და ღირსებასთან მიმართებაში. პრაქტიკაში კი მრავალი შემთხვევა გვხდება, როდესაც სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებით ილახება გარდაცვლილის საქმიანი რეპუტაცია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ასეთი ცნობები ხელყოფენ არა მარტო გარდაცვლილის ხსოვნას, არამედ შეურაცხყოფენ მის ახლობლებსა და გარშემო მყოფ პირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უფლებამოსილ პირს გარდაცვლილის სახელისა და პირადი ღირსების დაცვასთან ერთად, მიეცეს ამ უკანასკნელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნის უფლებაც, რისთვისაც შესაბამისი დამატება უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლში.

სამოქალაქო კოდექსში ამ სახის ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იმითაც არის ნაკარნახევი, რომ, საზოგადოება, როგორც წესი, ადამიანს უდიდეს სიმდიდრედ მიიჩნევს. სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლი კი, რაც მის საქმიან რეპუტაციასთან ასოცირდება, ღირსეულად დაფასებას მოითხოვს.

საქმეები გარდაცვლილთა სახელისა და პირადი ღირსების შესახებ აღიძვრება და განიხილება ისეთივე წესით, როგორც ამავე კატეგორიის ყველა დანარჩენი საქმე.

ვუბრუნდებით რა სულით ავადმყოფთა და ჭკუასუსტთა დაცვის საკითხს, არამართებულად მიგვაჩნია ი. ნოის მოსაზრება თითქოსდა შეუძლებელი იყოს მათი პატივისა და ღირსების შელახვა, ვინაიდან სულით ავადმყოფის ხარისხის მიუხედავად, საზოგადოების თვალში ისინი პატივისა და ღირსების მატარებლები არიან. ამდენად. გარშემომყოფთათვის სულ ერთი არ არის სულით ავადმყოფობისა და ჭკუასუსტების მიმართ გავრცელებული ცნობების რეალობა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქმედუუნაროდ მიჩნევის შემთხვევაში ასეთ პირებს ენიშნებათ მეურვე, სულით ავადმყოფთა და ჭკუასუსტთა უფლებების ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის პატივისა და ღირსების შელახვა, დაცული უნდა იქნას მის ინტერესებში მოქმედი მეურვის მიერ, სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით[123].

123 დეტალურად იხ. პ(თ) მონიავა, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი 1999 წ. გვ. 69-72.

§21. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი ადგილი პიროვნების იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მისი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ "საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულია ადგილი, რომელსაც ფიზიკური პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს."

დომინირებს მოსაზრება, რომ "ჩვეულებრივ საცხოვრებლად" ითვლება ის ადგილი სადაც პირი ექვსი თვე მაინც ცხოვრობს.[124] ეს ახსნილია იმით, რომ ექვს თვიანი ვადა საერთაშორისო კერძო სამართალში მიიჩნევა იმის მიმანიშნებელ ფაქტად, რომ დაფუძვებულია ჩვეულებივი საცხოვრებელი.[125]

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ამგვარი მტკიცების საფუძველს არ იძლევა. კერძოდ, საცხოვრებელი ადგილის განმსაზღვრელ კრიტერიუმად თუ მივიჩნევთ, კონკრეტულ ადგილზე, კალენდარული წლის განმავლობაში, სულ ცოტა ექვსი თვის მანძილზე ცხოვრების აუცილებლობას, მაშინ გამოდის, რომ ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს მაქსიმუმ ორი საცხოვრებელი ადგილი. ეს კი ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს იმის თაობაზე, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

სიტყვა "რამდენიმე" ეტიმოლოგიურად ნიშნავს როგორც "ორს", ისე "ორზე მეტს." შესაბამისად, სიტყვა "რამდენიმე-"ს თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ზედა ზღვარი არ გააჩნია, აღნიშნული ცხადყოფს, რომ თუ კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა კალენდარული წლის განმავლობაში, ერთ ადგილზე პირის სავალდებულო წესით ცხოვრების სულ ცოტა ექვსთვიანი მონაკვეთი, მაშინ სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ უნდა ჩაეწერა, რომ "პირს შეიძლება ჰქონდეს ორი საცხოვრებელი ადგილი."

ასეთი დათქმა სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველ ნაწილში არ არსებობს, რის გამოც ამ ნორმაში მითითებული სი-

---

124 იხ. ა. კობახიძე "სამოქალაქო სამართალი" ზოგადი ნაწილი. თბილისი 2001 წელი გვ.130

125 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი, თბილისი 1999წელი გვ.82.

ტყვები "ჩვეულებრივ საცხოვრებლად იჩევს," უნდა იქნეს გაგებული, "როგორც წესი საცხოვრებლად ირჩევს" მნიშვნელობით, ვინაიდან სიტყვა "ჩვეულებრივ" სამოქალაქო კოდექსის მიზნებისთვის, გულისხმობს იმ შინაარსობრივ დატვირთვას რაც გააჩნია სიტყვების ერთობლიობას "როგორც წესი".

ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს ის, რომ სიტყვა "ჩვეულებრივ" სამოქალაქო კოდექსში, მოცემული შემთხვევის გარდა კიდევ ოთხჯერ არის გამოყენებული (იხ. სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის პირველი ნაწილი, 330-ე მუხლის მეორე ნაწილი, 568-ე მუხლი და 641-ე მუხლის პირველი ნაწილი) და ყველა შემთხვევაში, ამ სიტყვის მნიშვნელობის ქვეშ, სხვა რამ არ შეიძლება იგულისხმებოდეს თუ არა "როგორც წესი" — ასე მაგ. სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად "მიმდინარე რემონტის ჩატარება ჩვეულებრივ ევალება დამქირავებელს." ანუ, ამ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ "მიმდინარე რემონტის ჩატარება, როგორც წესი ევალება დამქირავებელს, მაგრამ კანონმდებელი მხარეებს აძლევს იმის შესაძლებლობასაც, რომ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, გაქირავებული შენობის რემონტი დაევალოს გამქირავებელს.

ამრიგად, თუ პირს გააჩნია რამდენიმე სახლი, მათგან მის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის სახლები, რომლებსაც იგი ჩვეულებრივ ანუ, როგორც წესი საცხოვრებლად ირჩევს, ხოლო სხვა სახლები თავიანთი დანიშნულებიდან გამომდინარე პირმა შეიძლება აირჩიოს საბაღე, სააგარაკე ან სამონადირეო საქმინობისათვის. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ საბაღე, საგარაკე, სამონადირეო სახლებს და ფიზიკური პირის იქ ყოფნის ხანგრძლიობის მიუხედავად არ წარმოადგენენ ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ადგილს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თუ პირს გააჩნია რამდენიმე სახლი და ყველა მათგანს მიიჩნევს საცხოვრებლად, მიუხედავად იმისა თუ რომელ სახლში ცხოვრობს იგი უპირატესად, ყველა ასეთი სახლი ითვლება მის საცხოვრებელ ადგილად.

ამ პოზიციის საფუძვლიანობას ადასტურებს თვით იმ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ "პირის ჩვეულებრივ საცხოვრებლად ითვლება ის ადგილი სადაც ის ექვსი თვე მაინც ცხოვრობს". კერძოდ, პროფესორი ა. კობახიძე მიიჩნევდა,

რომ "პირის საცხოვრებელ ადგილად ყველა ის ადგილი ჩაითვლება, სადაც ის ცხოვრობს მუდმივად ან დროებით". ამასთან, მოყვანილი აქვს შემდეგი მაგალითი "თუ თბილისელ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლი აქვს მცხეთაში, საგურამოში, მარტყოფში და სხვაგან და გარკვეულ დროს ატარებს, როგორც თბილისში ისე სხვა ადგილზე, მისი საცხოვრებელი ადგილი იქნება, როგორც თბილისი ისე სხვა ადგილიც."[126] ანუ, მცხეთა, საგურამო, მარტყოფი და აშ. რაც რაოდენებრივად ორზე მეტია.

საცხოვრებელი ადგილის სხვაგვარად გაგება ეწინააღმდეგება "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნასაც, სადაც ნათქვამია, რომ "თითოეულს, ვინც კანონიერად იმყოფება, რამოდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი." მეტიც, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად მოითხოვს, რომ "ზემოთ აღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდეს რაიმე შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და ეთავსება ამ პუნქტით აღიარებულ უფლებებს."

მოქმედი კანონმდებლობით, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისათვის დადგენილია მხოლოდ ის შეზღუდვა, რომ პირი კანონიერად უნდა იმყოფებოდეს საქართველოში. ამასთან, იმ ადგილისთვის, სადაც იგი იმყოფება, საცხოვრებელი ადგილის სტატუსის მისანიჭებლად არანაირი ვადა არ არის დაწესებული. მაგ. თუ უცხოელს შესაბამისი ვიზა გააჩნია და იმყოფება საქართველოში, თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. იგივე გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის შინაარსიდან.

ამრიგად, „ჩაწერის ინსტიტუტის" გაუქმებამ, შესაძლებელი გახადა, რომ პირს (მათ შორის უცხოელს თუ იგი კანონიერად იმყოფება ქვეყანაში) თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საცხოვრე-

126 შ. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი. ზოგად ნაწილი. თბილისი, 2001 წ. გვ.18

ბელი ადგილი და ეს არ იქნება დამოკიდებული იმაზე თუ სად ცხოვრობენ მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრები, ან სად აქვთ მას და მისი ოჯახის წევრებს უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირს შეიძლება ჰქონდეს განუსაზღვრელი ოდენობის საცხოვრებელი ადგილი. ამ უფლების საწინააღმდეგოდ ვისიმე იძულება, რომ არ იქონიოს ორზე მეტი საცხოვრებელი ადგილი დაგვაბრუნებდა საბჭოთა სინამდვილეში, სადაც პირს შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა და ერთი სააგარაკე სახლი. ამასთან, დაირღვევა საქართველოში საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება, რაც საქართველოს კონსტიტუციით, ზემოთ მითითებული საერთაშორისო პაქტით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული და დაცული უფლებაა.

რაც შეეხება უშუალოდ საცხოვრებელ ადგილს, იგი წარმოადგენს ისეთ შენობა-ნაგებობას, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არა "საცხოვრებელი ადგილი" არამედ "სხვა მფლობელობა," რაც ასევე დაცვის ობიექტადაა აღიარებული საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით.

ამდენად, საცხოვრებელ ადგილად, მიუხედავად იმისა შენობა-ნაგებობა პირს ეკუთვნის თუ არა საკუთრების უფლებით, მიიჩნევა საცხოვრებელი სახლი, მრავალსართულიან სახლში არსებული ბინა, მოხუცებულ და მიუსაფარ პირთა თავშესაფარი, სასტუმრო და სხვა ნაგებობა, რომელსაც მოქალაქე ირჩევს საცხოვრებლად იქ ცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად.

მისგან განსხვავებით "სხვა მფლობელობას" მიეკუთნება და საცხოვრებელს არ წარმოადგენს სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საცხოვრებელ ობიექტთან მიწის საერთო ტერიტორიით ან სხვა ფაქტორით, მაგრამ გამოყოფილნი არიან საცხოვრებელი შენობისაგან.

როგორც უკვე ითქვა კონკრეტულ შენობა-ნაგებობაში პირის ყოფნის ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს შენობა-ნაგებობა პირის საცხოვრებელი ადგილია, ვინაიდან ასეთად მიიჩნევა მხოლოდ ის ადგილი, რომელსაც პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. ანუ, პირი არ უნდა იყოს შეზღუდული ფაქტობრივი საცხოვრებლის არჩევანში.

შესაბამისად, ნების გამოვლენის თავისუფლება ის ერთად-

ერთი კრიტერიუმია, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, შეიძლება საუბარი საქართველოს მოქალაქის საცხოვრებელ ადგილზე (უცხოელისთვის დამატებით საჭიროა ასევე ქვეყანაში ყოფნის კანონიერი საფუძველი).

ზემოთქმულს ისიც ადასტურებს, რომ მრავალწლიანი პატიმრობა ერთსადაიმავე სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში ან ავადმყოფის ხანგრძლივი ვადით სტაციონალური მკურნალობა საავადმყოფოში, ამ დაწესებულებებს ვერ აქცევს საცხოვრებელ ადგილად იმ გაგებით რაც მოცემულია სამოქალაქო კოდექსში.

სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საცხოვრებელ ადგილს სულ სხვა დატვირთვა აქვს საჯარო სამართალში. კერძოდ, საავადმყოფო და სასაჯელაღსრულებითი დაწესებულება, სადაც მოთავსებულია საარჩევნო უფლების მქონე პაციენტი ან ბრალდებული გათანაბრებულია იმ საცხოვრებელ ადგილთან სადაც მათ შეუძლიათ განახორციელონ არჩევნებთან დაკავშირებით პოლიტიკური უფლებები.

ამრიგად, საცხოვრებელ ადგილს კერძო და საჯარო სამართალში იდენტური დატვირთვა არ გააჩნია. თუმცა, აღნიშნული ხელს არ უშლის საცხოვრებელი ადგილის სამოქალაქო სამართალებრივ გაგებას, ვინაიდან საცხოვრებელ ადგილს სამოქალაქო სამართალში აქვს მკაცრად განსაზღვრული დანიშნულება და გამოყენების სფერო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს, როგორც "საცხოვრებელი ადგილის" ისე "ადგილსამყოფელის" ინსტიტუტს. ასე, მაგალითად დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება აღიარებულ იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას (21.1-ე მუხლი). ანუ, ფიზიკურ პირს საცხოვრებელ ადგილთან ერთად შეიძლება გააჩნდეს ადგილსამყოფელი, რომელიც გაცილებით ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს საცხოვრებელ ადგილსაც.

რაც შეეხება არასრულწლოვნებს, სამოქალაქო კოდექსის მე-20.2 მუხლის თანახმად, მათ საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი. ცხადია იგულისხმებიან ის ბიოლოგიური მშობლები და შვილად

ამყვანი პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლება.

იმ შემთხვევაში, როცა შვიდ წელს მიუღწეველი არასრულწლოვანი იმყოფება მეურვეობის ქვეშ, მის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მეურვის საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი იმ პირთა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომლებიც ასაკის გამო შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლებიან. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სამოქალაქო კანონმდებლობის ხარვეზია, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის მე-14.1 მუხლის თანახმათ, არასრულწლოვანი შვიდი წლიდან თვრამეტი წლის ასაკამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია.

შესაბამისად, მშობლების არყოფნის შემთხვევაში, ასეთი პირი (თუ იგი არ დაქორწინდა 16 დან 18 წლამდე) საჭიროებს მზრუნველის მეთვალყურეობას, მით უფრო, რომ 7, 8 ან თუნდაც 9 წლის ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია ცხოვრება და არსებობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მეორე ნაწილი სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით "არასრულწლოვანის საცხოვრებლად ითვლება მშობლის უფლების მქონე პირების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო და ასაკის გამო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირისთვის მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი."

სამოქალაქო კოდექსი აღიარებს საცხოვრებელი ადგილის გაუქმების შესაძლებლობას. აღნიშნულს მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი ნებაყოფლობით მიატოვებს საცხოვრებელ ადგილს (მაგ. გაყიდის, გააჩუქებს). ანალოგიურად, თუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქე გაძევებული იქნება საქართველოდან, უქმდება მისი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ თუ პირი იძულების წესით (მაგ. დაპატიმრება) ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად (მაგ, ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევა) განსაზღვრული ვადით დატოვებს საცხოვრებელ ადგილს მისი საცხოვრებელი ადგილი გაუქმებას არ ექვემდებარება.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალში და სახელთან ერთად იძლევა ფიზიკური პირის პიროვნების იდენტიფიკაციის, ანუ სხვათაგან მისი ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

§22. ფიზიკური პირის აღიარება უგზო-უკლოდ დაკარგულად

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური პირი მონაწილეობს, როგორც პირადად ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, იგულისხმება, რომ ფიზიკური პირი სახეზეა და სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში გადამწყვეტია მისი ნების თავისუფლება.

ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი როცა ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი ხანგრძლივი დროის მანძილზე უცნობია და არათუ მონაწილეობას არ ღებულობს მისი გაუჩინარების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებში არამედ გაურკვეველია საერთოდ ცოცხალია თუ არა იგი.

გაუჩინარებულ პირთან დაკავშირებული საქმიანი პარტნიორების, მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებული პირების დაცვის მიზნით, სამოქალაქო კონონმდებლობაში შემოღებულია პირის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარების ინსტიტუტი. სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლში კი განსაზღვრულია პირის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარებისათვის აუცილებელი წესი.

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი თუ უცნობია და ორი წლის განმავლობაში იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას, დაინტერესებულ პირს (იგულისხმებიან ოჯახის წევრები, მემკვიდრეები, კონტაჰენტები და სხვა) შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უდაო წარმოების წესით, მოითხოვოს პირის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარება. მემკვიდრეებს კი შეუძლიათ დააყენონ საკითხი დაკარგულის ქონების მართვაში გადაცემის შესახებ.

სასამართლოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარებული პირის კანონისმიერ მემკვიდრეებს მიეცემათ უფლება, უგზო-უკლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით და მიიღონ სარგებელი. შესაბამისად, ამ ქონებიდან მიეცემათ სარჩო უგზო-უკლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სასამართლო ვალდებულია ობიექტურად შეამოწმოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და არსებული ფაქტობრივი გარემობების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. თუმცა, არსებობს ალბათობა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილოს დაინტერესებული პირის მოთხოვნა ამ მიმართებით.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ასეთ მაგალითად დასახელებულია ისეთი შემთხვევა, როცა სავარაუდოა, რომ პირი თავს არიდებს გამოძიებას.[127]

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებაზე უარის თქმა, მოცემულ შემთხვევაში, გამართლებული იქნებოდა თუ დაინტერესებული პირი მოქმედებს უგზოუკვლოდ დაკარგულად ასაღიარებელ პირთან ალიანსში და მიზნად ისახავს სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანას, მოტყუებას და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება დაინტერესებული პირისათვის კანონით მინიჭებული მთელი რიგი უფლებების უხეში დარღვევა. კერძოდ, დანაშაულის ჩადენისათვის ძებნილი პირი თუ ემალება სამართალდამცავ ორგანოებს და ორი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა არც თავის საცხოვრებელ ადგილზე და მისი ადგილსამყოფელიც უცნობია ახლობლებისათვის, მათ შორის მეუღლისთვისაც, ცხადია აუხსნელი დარჩება თუ რატომ უნდა ჩამოერთვას ამ უკანასკნელს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლება მოითხოვოს გამარტივებული წესით განქორწინება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთან, ან რატომ უნდა დაიტანჯონ უსახსრობით ასეთი პირის რჩენაზე მყოფი ადამიანები, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ მისი ქონებიდან სარჩო. შესაბამისად, რატომ არ უნდა დაიფაროს ის ვალებიც, რომელთა გადახდისაგან თავის არიდების მიზნით გაუჩინარდა პირი და სხვა.

საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა იმის გამოც იქნებოდა მიუღებელი, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ან ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას ამ საფუძვლით მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს. ამდენად, დაინტერესებული კეთილსინდისიერი პირი სამართლებრივი დაცვის გარეშე იქნება დატოვებული.

---

127 იხ. ა. კობახიძე სამოქალაქო სამართალი I ნაწილი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001 წ. გვ.138.

ზემოთაღნიშნულისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლში არანაირი დათქმა არ არსებობს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ ყველა ისეთი შემთხვევისათვის როცა პირის ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას, მიუხედავად იმისა თუ რა მიზეზით გაუჩინარდა იგი, უნდა დააკმაყოფილოს კეთილსინდისიერი დაინტერესებული პირის განცხადება.

სასამართლომ, რომ იქონიოს მსჯელობა და დააკმაყოფილოს დაინტერესებული პირის განცხადება უგზო-უკვალოდ დაკარგულად აღიარებასთან დაკავშირებით აუცილებელია:

1. ორი წლის გასვლა იმ დღიდან როცა პირი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას და მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია პირის გაუჩინარების კონკრეტული დღის დადგენა, მაგრამ თვე ცნობილია, ვადის ათვლა იწყება მომავალი თვის პირველი რიცხვიდან, ხოლო თუ თვის დადგენაც შეუძლებელია — მომდევნო წლის პირველი იანვრიდან;

2. დაინტერესებული პირის განცხადება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. ამ განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს განმცხადებლის ინტერესი მოცემული საქმისადმი და მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მაგ. თუ პირი განცხადებაში მიუთითებს, რომ არის უკვალოდ დაკარგულის კანონით მემკვიდრე, კერძოდ, მეუღლე და ითხოვს უკვალოდ დაკარგულის უძრავი ქონება გადასცენ მართვაში მინდობილი საკუთრების სახით, მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს დაკარგულთან ქორწინების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი-ქორწინების მოწმობა და საჯარო რეესტრიდან აღებული ამონაწერი ამ უძრავი ქონების დაკარგულისათვის კუთვნილების შესახებ;

3. განცხადებას დაინტერესებულმა პირმა უნდა დაურთოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობაც იმის თაობაზე, რომ პირი ორი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას და გატარებული ღონისძიების მიუხედავად მისი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. ასეთ ცნობას, როგორც წესი გასცემენ პოლიციის ორგანოები, თუმცა აღნიშნულის დადგენა

სასამართლოს შეუძლია მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გაცემული ცნობების, მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე;

4. განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

რაც შეეხება ქონების მართვას მინდობილი საკუთრების სახით, იგი გულისხობს, რომ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის კერძო ნაწილის მე-14 თავში არსებული ნორმები საკუთრების მინდობასთან დაკავშირებით. კერძოდ, პირი, რომელიც იღებს და მართავს მასზე გადაცემულ ქონებას უნდა მოქმედებდეს საკუთრების მინდობის ინსტიტუტის შესაბამისად. ამასთან, იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით, მაგრამ თუ არ გამოიჩენს საჭირო გულისხმიერებას, ანუ მინდობილ ქონებას არ მოექცევა ისე როგორც საკუთარს მოექცეოდა, ვალდებულია აანაზღაუროს მოყენებული ზიანი.

როგორც წესი, მინდობილი მესაკუთრე თავის მოვალეობას ასრულებს უსასყიდლოდ, რა დროსაც გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები, ხოლო ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმნდობს.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღარების შემთხვევაში, სარგებელთან დაკავშირებით კი განსხვავებული წესი მოქმედებს. კერძოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ნებაყოფლობით დაბრუნების, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მისი დაძებნის ან ადგილსამყოფელის სხვაგვარად აღმოჩენის თაობაზე უტყუარი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, თვით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ან/და სხვა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მისი ქონების მართვის შესახებ.

ამასთან, პირს, რომელიც დაბრუნდა, ან რომლის ადგილსამყოფელიც იქნა აღმოჩენილი, არა აქვს უფლება იმ პირს მოსთხოვოს მიღებული სარგებლის ანაზღაურება, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მართვაში ჰქონდა გადაცემული უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონება, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ სარგებელი მიიღო მეურნეობის სათანადო გაძღოლით. ასე მაგალითად, თუ უგზო-უკვლოდ დაკ-

არგულად აღიარებული პირის ქონების მმართველად დანიშნული პირი გაყიდის მასზე მინდობილ ქონებას-საცხოვრებელ სახლს და აღებულ თანხას პირადი საჭიროებისათვის გამოიყენებს, ეს არ ჩაითვლება მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებულ სარგებლად, ვინაიდან ქონების მმართველის მოვალეობაა მინდობილი ქონების მართვა და არა რელიზაცია. შესაბამისად, დაეკისრება მისი ანაზღაურება, მაგრამ თუ ქონების მმართველი კეთილსინდისიერად მოუვლის მის მართვაში გადაცემულ ცხვირის ფარას და მიღებულ ნამატს ბატკნის, მატყლის ან რძის სახით გაყიდის, ასეთ შემთხვევაში მას არ დაეკისრება მიღებული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება. ანალოგიურად, ქონების მმართველად დანიშნულ პირს არ მოეთხოვება სესხის სახით გაცემულ თანხაზე მიღებული პროცენტის, ქონების გაქირავებით მიღებული თანხის და ა. შ. იმ ნაწილის დაბრუნება, რომელიც დარჩება ყველა აუცილებელი ხარჯის დაფარვის შემდეგ. ანუ, ქონების მმართველს თუ ის სათანადოდ უძღვება მასზე მინდობილ ქონებას, უფლება აქვს საკუთრებაში დაიტოვოს სარგებელი, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს ნაყოფსაც.

ზემოთქმული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 154.1-ე მუხლიდან, რომლითაც ნაყოფად ითვლება ნივთის მოხმარებით მიღებული ყველა სახის ის შემოსავალი, ნამატი და უპირატესობა, რასაც ეს ნივთი იძლევა. ამ ჩამონათვალში ცხადია მოიაზრება-ცხოველთა და ფრინველთა გამრავლებით მიღებული მოზარდი, კურკოვანი და სხვა მცენარეთა გამრავლებით მიღებული ნერგები. ასევე, ნივთის მოხმარებით მიღებული ახალი ნივთი ფულის თუ სხვა მისაღებლის სახით (მაგ. ქონების გაქირავებით მიღებული თანხა, ფულის გასესხებით მიღებული პროცენტი).

ამდენად, მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებელი რჩება მინდობილი ქონების მმართველს, ხოლო უკვალოდ დაკარგულად აღიარებული პირის რჩენაზე მყოფ პირებს სარჩო მიეცემათ თვით ქონებიდან მაგ. ბანკში შეტანილი ანაბრიდან. თუ ასეთი არ არსებობს, ქონების მმართველად დანიშნულ პირს შეუძლია გაყიდოს მასზე მინდობილი ქონების ნაწილი. ანალოგიურად, ქონებიდან დაიფარება ის ვალებიც, რომელიც უკვალოდ დაკარგულ პირს ჰქონდა აღებული და რომლის გადახდის დროც დადგა.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო ახალი განაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მინდობილი ქონების მართვის შესახებ.

§23. ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება და მისი დაბრუნების შედეგები

ფიზიკური პირის გარდაცვალება ყოველთვის დაკავშირებულია თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტასთან და არა კლინიკურ სიკვდილთან. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ კლინიკური სიკვდილი წინ უსწრებს ბიოლოგიურ სიკვდილს. ამ გარემოების გათვალისწინებით მთელ რიგ ქვეყნებში მაგ. აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი არსებობენ სპეციალური კლინიკები, სადაც ჰერმეტულად დახურულ ცილინდრში, რომელიც გავსებულია ნელთბილი თხევადი აზოტით, ინახავენ მსურველთა სხეულს. ეს კეთდება იმ მიზნით, რომ სხეული შენახული იქნეს იმ დრომდე, როცა მედიცინა შესძლებს ცალკეულ უიმედო დაავადებათა განკურნებას.

სურვილი ამ შემთხვევაში კეთილშობილურია, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „გაყინვა“ მხოლოდ ზრდის კლინიკური სიკვდილის ვადას საკმაოდ 5-6 წუთიდან მაქსიმუმ 40-60 წუთამდე. მერე კი თავის ტვინის ქსოვილები იშლება და იგი ფუნქციონირებას წყვეტს, რითაც დგება ბიოლოგიური სიკვდილი.

ბიოლოგიური სიკვდილის დადგომამდე პირი ჯერ კიდევ ითვლება ცოცხალ არსებად და მასზე სრული მოცულობით ვრცელდება მოქმედი საკანონმდებლო ნორმები.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც როცა ადამიანები იძინებენ ხანგრძლივად, ზოგჯერ ათწლეულობით მაგ. ტრამვის, სტრესის, ნარკოზის ზემოქმედების შედეგად, ხელსაწყოები კი აფიქსირებენ, რომ თავის ტვინი ცოცხალია შესაბამისად, ლეტარგულ ძილში მყოფი პირებიც ითვლებიან სამართლის სუბიექტებად. ეს მაშინ, როცა ფაქტობრივად ისინი ემსგავსებიან ჭკუასუსტთა და სულიერად დაავადებულ პირთა კატეგორიას, ვინაიდან არ ესმით თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა და არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ მათ. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სპეციალურ ნორმას დასახელებულ პირთა ქმედუუნაროდ ცნობასთან დაკავშირებით ვინაიდან, ეს მოხსნიდა მთელ რიგ ყოფით პრობლემებს, როგორც თვით ასეთ პირთა, ისე მათ ახლობლებთან დაკავშირებით.

ზემოთქმულისგან სრულიად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი უცნობია და სახეზეა გარემოებები, რომლებიც ერთის მხრივ თითქოსდა ადასტურებენ, რომ ფიზიკური პირი ცოცხალი აღარ უნდა იყოს, თუმცა მეორეს მხრივ, ვინაიდან პირის ბიოლოგიური გარდაცვალების ფაქტი უტყუარი მტკიცებულებებით დადასტრებული არ არის. ანუ, გვამის არ არსებობის გამო, არსებობს ალბათობა, რომ შეიძლება იგი ცოცხალიც იყოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კანონმდებლობაში, შემოღებული იქნა პირის გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის მანძილზე თუ არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ იგი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს სასამართლო წესით.

ამრიგად, ჩვეულებრივ შემთხვევაში პირის გარდაცვლილად გამოცხადებისათვის აუცილებელია 5 წელი, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილია სხვა ვადებიც, კერძოდ, 6 თვიანი ვადა, თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა ანდა, სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო (მაგ. წყალდიდობა, მეწყერი, ზვავის ჩამოწოლა სავალ გზაზე, იმ ხომალდის დაღუპვა რომელზეც პირი იმყოფებოდა, მიწისძვრის ან ხანძრის შედეგად იმ სახლის განადგურება, სადაც პირი ცხოვრობდა და ა.შ.)

გამონაკლისი დადგენილია სამხედრო მოსამსახურეთა ან იმ პირთა მიმართაც, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ასეთ ვითარებში დაკარგული სამხედრო მოსამსახურეები და სხვა პირები შეიძლება გამოცხადნენ გარდაცვლილად მხოლოდ საომარი მოქმედების დამთავრებიდან ორი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლო ამ საქმეებს განიხილავს უდავო წარმოების წესით. ამასთან, სასამართლოს პირის სიკვდილის დღედ შეუძლია აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე, მაგ. თუ მფრინავი საომარი დავალების შესასრულებლად გაფრინდა 2007 წლის 26 აპრილს და არ დაბრუნებულა, სარადარო ტექნიკით კი დადგინდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ მისი თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი,

საომარი მოქმედების დამთავრებიდან ორი წლის განმავლობაში მფრინავის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მფრინავის სიკვდილის დღედ აღიაროს 2007 წლის 26 აპრილი. სხვა შემთხვევაში პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა, მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

პირის გარდაცვლილად გამოცხადება წარმოშობს ისეთსავე სამართლებრივ შედეგებს, როგორიც შეიძლება არსებობდეს პირის ბიოლიგიური გარდაცვალების შემთხვევაში. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პირის გარდაცვლილად გამოცხადება რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის საფუძველია. ასეთი პირის კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს კი უფლება აქვთ საკუთრებაში მიიღონ სამკვიდრო ქონება, ვინაიდან სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი).

პირის გარდაცვლილად გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი უფლებაუნარიანობა ან ქმედუნარიანობა საერთოდ წყდება. ვინაიდან, იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი აღმოჩნდება, მისი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა რამდენადმე შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც აგრძელებს არსებობას. ანუ, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის ფაქტობრივი შეჩერება და არა შეწყვეტა.უალნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლი, რომელიც გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების სამართლებრივ შედეგებს ეხება და შეიცავს დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, რის შემდეგაც მისი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აღდგება, მაგრამ არა წინანდელი მდგომარეობით, არამედ რამდენადმე შეზღუდული სახით. კერძოდ, ასეთ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა

სხვა პირს (მაგ. გაინაწილეს კანონით და ანდერძით მემკვიდრეებმა ან როგორც უმკვიდრო ქონება გადაეცა იმ სამკურნალო დაწესებულებას, რომლის რჩენაზეც იმყოფებოდა ფიზიკური პირი და სხვა). შესაბამისად, თუ ქონება უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს, მაგრამ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის მომენტისთვის ეს ქონება შენარჩუნებული არ არის მაგ. ხანძრის შედეგად განადგურდა, ან ავტოავარიის შედეგად ავტომანქანა ისე დაიმტვრა, რომ აღდგენას არ ექვემდებარება, გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს უფლება არა აქვს მოითხოვოს რაიმე თანხა.

გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონების სასყიდლით შემძენ პირს, როგორც წესი არ ევალება ქონების დაბრუნება, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, ქონების შეძენისას მისმა შემძენმა თუ იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებილი პირი, რომლის ქონებასაც იგი ყიდულობდა ცოცხალია, მას მოუწევს შეძენილი ქონების დაბრუნება. ამასთან, არ აუნაზღაურდება ქონების შესაძენად გადახდილი თანხა, ვინაიდან ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო თვით დაზარალებულის მოქმედებამ, რომელმაც კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად მაინც შეიძინა ეს ქონება. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი კი იქნება სამოქალაქო კოდექსის 415.1-ე მუხლის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ზიანის არსებობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

მითითებული შემთხვევისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს იმაზე, მიეცემა თუ არა სასყიდლით გასხვისებული ქონების ღირებულება დაბრუნებულ პირს თუ ამ ქონების შემძენმა არ იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი სინამდვილეში ცოცხალი იყო. ამდენად, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კანონის ანალოგიით სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილის გამოყენების საფუძველზე, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ პირს დაუბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

თავი მეორე

იურიდიული პირები

§1. იურიდიული პირის წარმოშობა და მასთან დაკავშირებით არსებული თეორიები

ქართულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში სრულუფლებიანი სუბიექტების სახით, ფიზიკურ პირებთან ერთად მონაწილეობენ იურიდიული პირები, რომლებზეც მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და მოვალეობები (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი).

ტერმინს "იურიდიული პირი" სამართლის მეცნიერება არ იცნობდა მე-18 საუკუნის ბოლომდე. აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში არ არსებობდნენ გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი ადამიანთა გაერთიანებები, რადგან ადამიანთა სხვადასხვა სახის გაერთიანებები უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, ძველ რომში, "XII ტაბულის კანონი" განასხვავებდა რელიგიური ხასიათის (Collegia Sodalicia) ასევე, მეფუნთუშეთა, ყასაბთა და ა.შ. კერძო კორპორაციებს. რომაელი იურისტი მარციანი მათ რიცხვს მიაკუთვნებდა თეატრებს და აღნიშნავდა, რომ თეატრი, როგორც ქონება ეკუთვნის არა მასში დასაქმებულ ცალკეულ პირებს არამედ თვით გაერთიანებას. მისივე მტკიცებით, თუ გაერთიანებას ყავს მონა, ეს არ ნიშნავს, რომ ქალაქის საზოგადოებას, ანუ ცალკეულ მოქალაქეებს მასში აქვთ რაიმე წილი.

მონარქიაზე გადასვლასთან ერთად ამგვარი გაერთიანებების არსებობა მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის, რის გამოც ჯერ იული ცეზარმა, მოგვიანებით კი ავგუსტმა პირდაპირ გამოუცხადეს ასეთ კორპორაციებს ბრძოლა. შედეგი ის იყო, რომ არცერთი კორპორაცია არ შეიძლება შექმნილიყო სენატის წინასწარი თანხმობისა და იმპერატორის სანქციის გარეშე.

ზემოთ ჩამოთვლილი იმ კორპორაციების მაგალითზე, რომლებიც ძველ რომში არსებობდა, აშკარაა, რომ კორპორაცია

იყო განცალკევებული ქონების მქონე რამდენიმე კერძო პირის გაერთიანება გარკვეული მიზნის მისაღწევად. თვით გაერთიანება კი ერთიანი კოლექტივის სახელით გამოდიოდა იმდროინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებში და იცავდა ამ ორგანიზებული წარმონაქმნის ინტერესებს.

გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი ადამიანთა ისეთი გაერთიანებების არსებობის ფაქტები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე იურიდიული პირების წინაპრად, დასტურდება სხვა ხალხების შემდგომი პერიოდის სამართლებრივ დოკუმენტებშიც, მათ შორის ქართულ სამართლის ძეგლებში. კერძოდ, ვახტანგ მე-VI სამართლის წიგნის (1705-1708 წ.წ.) 225-ე მუხლში ნათქვამია, რომ "ამხანაგობაში თუ ჯერ გარიგდნენ, პირობა მისცეს ერთმანეთს, რომელიც ამხანაგობაში სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს." ანუ აშკარაა, რომ ეს იყო მოგებაზე ორიენტირებული რამდენიმე ფიზიკური პირის გაერთიანება და იწოდებოდა ამხანაგობად. თუმცა, ისევე, როგორც ძველ რომში, საქართველოში არსებული ადამიანთა ცალკეული გაერთიანებები არ იწოდებოდნენ იურიდიულ პირებად. შესაბამისად, არ არსებობდა იურიდიული პირის ცნება.

ტერმინი ,,იურიდიული პირი" პირველად გამოყენებულ იქნა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, გუსტავ ჰუგოს 1798 წლის ნაშრომში ''ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის სახელმძღვანელო.''

"იურიდიული პირი''-ს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ცნება კი ცივილურ სამართალში დაამკვიდრა, ასევე გერმანელმა მეცნიერმა გეორგ არნოლდ ჰაიზემ 1907 წელს გამოცემული ნაშრომით "საერთო სამოქალაქო სამართლის სისტემის საფუძვლები."

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა დღესაც არ იძლევა იურიდიული პირის ცნების დეფინიციას. მაგ. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე ნორმას იურდიული პირის შესახებ.

1896 წელს მიღებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კი, რომელიც ძალაში შევიდა 1900 წლის პირველ იანვარს და შედგება 5 ნაწილისაგან, შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებითაც განსაზღვრულია იურიდიული პირის სტატუსი. კერძოდ, ამ კოდექსის მიხედვით გერმანიაში იურიდიული პირები არსებობენ: საზოგადოების და დაწესებულების ფორმით.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად "საზოგადოება" მიზნად ისახავს ამ ორგანიზაციის წევრთა მიერ განსაზღვრულ საერთო მიზანს, გააჩნია სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციულ ერთობას და მისი არსებობა დამოკიდებული არ არის იმ პირთა ცვლილებებზე, რომლებიც შედიან საზოგადოებაში. საზოგადოება თავის მხრივ იყოფა კომერციულ და არაკომერციულ საზოგადოებად.

„დაწესებულება" კი ისეთი იურიდიული პირია, რომელიც იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, იმ კერძო პირთა ცალმხრივი გარიგების საფუძველზე, რომლებიც შეიმუშავებენ დამფუძნებელ აქტს. ამ სახის აქტში მითითებულია საზოგადოების შექმნის მიზანი და ამ მიზნისათვის გამოყოფილი ქონება. დაწესებულების სტრუქტურას და გამგეობის შემადგენლობას კი განსაზღვრავს დამფუძნებელი. გერმანიაში დაწესებულების სახით არსებობენ: სასწავლო დაწესებულებები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საავადმყოფოები და ა. შ.

გერმანიაში ფართოდ არის გავრცელებული საგვარეულო დაწესებულებებიც. მათი თავისებურება ისაა, რომ საგვარეულო დაწესებულების მომსახურეობით შეიძლება ისარგებლონ დამფუძნებელთა ოჯახის წევრებმა ანუ დესტინატირებმა.

პრაქტიკულ იურისპრუდენციაში იურიდიული პირის ცნების დამკვიდრების პარალელურად, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ფართო დისკუსია გაიშალა მის რაობასთან დაკავშირებით. ამ პროცესში წარმოიშვა არაერთი თეორია. მათგან აღსანიშნავია: 1. ფიქციის თეორია; 2. რეალური კავშირის თეორია და 3. მიზნობრივი ქონების თეორია.

ფიქციის თეორიის ავტორია სავინი. ეს თეორია მან ჩამოაყალიბა ნაშრომში „რომის სამართლის სისტემა." მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პირი, როგორც სოციალური წარმონაქმნი რეალურად არსებობს, მაგრამ ფიქციაა მისთვის პირად ანუ, პიროვნებად ყოფნის სტატუსის მინიჭება.

რეალური კავშირის თეორია გერმანიაში წარმოიშვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ავტორია გირკე. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი ადამიანი თავის თავს თვლის ამა თუ იმ გაერთიანების, კერძოდ რომელიმე რელიგიური გაერთიანების ან მთლიანად ერის წევრად. შესაბამისად, ასეთი კავშირის არ-

სებობისთვის გირკე აუცილებლად თვლიდა „ერთობლივი აქტის“ შექმნას, რომელსაც უნდა განესაზღვრა კავშირის საქმიანობის მიმართულებანი. ამ მიზნით კავშირს უნდა ქონოდა შესაბამისი ორგანოებიც, მაგრამ მათი საქმიანობა არ უნდა განხილულიყო წარმომადგენლობად.

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიებისაგან რადიკალურად განსხვავდება „მიზნობრივი ქონების თეორია.“ ეს თეორია და მისი ერთ-ერთი შემქმნელი ბრინცი იურიდიული პირის არსებობას უკავშირებდა მხოლოდ ქონებას. ანუ, უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ იურიდიული პირი შეიძლება არსებობდეს სუბიექტის გარეშე.

გერმანიის მსგავსად, საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში შექმნილი მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები შეიცავდნენ ნორმებს იურიდიული პირის შესახებ. ასე მაგ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1923 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლში აღნიშნული იყო, რომ ''იურიდიულ პირად ჩაითვლება პირთა შენაერთი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია, როგორც ასეთს მოიპოვოს უფლება ქონებაზე, იკისროს ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში.''

ამასთან, დასახელებული სამოქალაქო კოდექსი იცნობდა „დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს“ და სხვა ისეთ ორგანიზებულ წარმონაქმნებს, რომლებიც არსებობდნენ „იურიდიული პირის უფლებით.“ კერძოდ, მე-19 მუხლის თანახმად დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს განეკუთვნებოდა სახელმწიფო სანარმო და საწარმოთა შენაერთი, რომელიც გადასული იყო სამეურნეო ანგარიშზე, ანუ კავშირი არ ქონდა ხაზინასთან.

იურიდიულ პირთა ამავე ჯგუფს განეკუთვნებოდა კანონის საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა ამხანაგობებიც, რომლებსაც ქონდათ სამეურნეო მიზანი და წესდების ნაცვლად გააჩნდათ საამხანაგო ხელშეკრულება (მე-14 მუხლი).

იურიდიული პირის უფლებით კი არსებობდნენ ისეთი კერძო დაწესებულებები, როგორიცაა: საავადმყოფო, მუზეუმი, სამეცნიერო დაწესებულება, საჯარო ბიბლიოთეკა და სხვა. თუმცა, მე-15 მუხლში გაკეთებული იყო დათქმა იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის უფლებით აღჭურვილი ზემოთ ჩამოთვლილი კერძო დაწესებულებები შეიძლება დაფუძნებულიყო მხოლოდ ხელისუფლების სათანადო ორგანოს ნებართვით.

საბჭოთა კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსები ასევე შეიცავდა ნორმებს იურიდიული პირების შესახებ კერძოდ, მათში მოცემული იყო როგორც იურიდიული პირის ცნება ისე მათი სახეები. ასე მაგალითად, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად იურიდიულ პირებად ითვლებოდნენ ორგანიზაციები, რომლებსაც ჰქონდათ განცალკევებული ქონება ან საკუთარი სახელით შეეძლოთ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების შეძენა, გააჩნდათ პასუხისმგებლობა და შეეძლოთ გამოსულიყვნენ მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

ანალოგიურ ნორმებს შეიცავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსიც. კერძოდ, საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობა იურიდიულ პირებად აღიარებდა: სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტზე, გააჩნდათ დამოუკიდებელი ბალანსი და ხელმძღვანელებს შეეძლოთ კრედიტების განკარგვა. მათთან ერთად იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ აგრეთვე კოლმეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციები და მათი გაერთიანებები.

§2. იურიდიული პირის ცნება და მის შესახებ არსებული ზოგადი დებულებანი

იურიდიული პირი სამოქალაქო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მე-2 თავი დათმობილი აქვს ყველა სახის იურიდიული პირებისათვის დამახასიათებელ ზოგად დებულებებს.

ამავე თავში, კერძოდ კოდექსის 24.1 მუხლში მოცემულია იურიდიული პირის ცნება, რომელსაც კანონმდებელი განმარტავს შემდეგნაირად ,,იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ".

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ იურიდიული პირის არსებობისთვის სახეზე უნდა იყოს ერთბაშად რამოდენიმე პირობა ესენია:

1) იურიდიული პირი უნდა შეიქმნას განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. მაგ. თუ იურიდიული პირი განეკუთვნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა კატეგორიას იგი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში (იხ. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" 9.1. მუხლი), კერძო სამართლის იურიდიული პირის არსებობის შემთხვევაში კი იურიდიული პირის შექმნის მიზანი შეიძლება იყოს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის წარმოება, სოციალური, კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება და სხვა;

2) იურიდიულ პირს უნდა გააჩნდეს საკუთარი ქონება ანუ, გამოცალკევებული კაპიტალი. კაპიტალში შენატანი შეიძლება იყოს: საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორების მიერ შეთანხმებული ნებისმიერი ოდენობის მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურეობის გაწევა ("მეწარმეთა შესახებ" კანონის 3.5-ე მუხლი).

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებაში კი დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გადაეცემა სახელმწიფო ქონება (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით) ან დაფუძნების აქტით განესაზღვრება მისი ქონების ფორმირების წესი.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ იურიდიული პირის კაპიტალში შენატანი შეიძლება იყოს ასევე "გუდვილი", ვინაიდან, იგი არამატერიალური აქტივების ისეთი სახეობაა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს მაღალ რეპუტაციასთან დაკავშირებით და შესაძლებელია მისი როგორც ყიდვა ისე გასხვისება.

შესაბამისად, "გუდვილ"-ს გააჩნია ღირებულება და მისი განსაზღვრა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, "გუდვილი" აღირიცხება ნასყიდობის ღირებულებით და არა საბაზრო ფასით. ამასთან, ექვემდებარება ცვეთის (ამორტიზირების) მიხედვით ჩამოფასებას;

3) იურიდიული პირის არსებობისათვის აუცილებელია, რომ იგი იყოს ორგანიზებული წარმონაქმნი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პირი ერთიან სუბიექტად გვევლინება, მაშინაც კი, როცა მასში გაერთიანებულია რამოდენიმე პირი. ამდენად, ორგანიზებული ერთიანობა მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს, რომ განსხვავებული სქესის, ასაკის, სოციალური ფენის ან თუნდაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, საერთო ინტერესების გათვალისწინებით ერთიანდებიან ერთ სუბიექტად და ნებაყოფლობით უარს ამბობენ ინდივიდუალური აზროვნებისა და ნების გამოვლენის პრიმატზე ხელოვნური გაერთიანების სასარგებლოდ.

კანონით დადგენილი წესით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, როგორც ორგანიზებული წარმონაქმნი კი სახეზეა თუ მას გააჩნია მართვის შიდა სტრუქტურა. იგი გულისხმობს მართვის უმაღლესი ორგანოს-პარტნიორთა კრების, აღმასრულებელი ორგანოს (დირექტორატის ან დირექტორის), კანონით ან სადამფუძნებლო დოკუმენტით (მაგ. წესდებით) გათვალისწინებულ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე საწარმოს შიდა სტრუქტურების (მაგ. ბუღალტერიის, იურიდიული სამსახურის და ა.შ.) არსებობას.

შესაბამისად, იურიდიული პირის, როგორც ორგანიზებული წარმონაქმნის არსებობის დადასტურებას წარმოადგენს: სპეციალური სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება, ოქმი, დებულება, ხელშეკრულება); საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის კი შესაბამისი ნორმატიული აქტების კერძოდ: "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტის, ასევე ქალაქ თბილისის სინამდვილეში, ქალაქ თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტის, (რომელიც გამომდინარეობს "საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ" საქართველოს კანონიდან) საფუძველზე შექმნილი წესდება ან დებულება.

4) იურიდიულ პირს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს პასუხი აგოს საკუთარი ქონებით, ანუ უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამოუკიდებელი ქონება, რომელიც იურიდიულ პირს გააჩნია შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის საფუძვლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სიტყვა "შეიძლება" მოცემულ კონტექსტში შემთხვევით არ არის გამოყენებული, ვინაიდან იურიდიულ პირთა, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა, პასუხისმგებლობა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე. ასე მაგ. მეწარმე სუბიექტთა ქონებრივ პასუხისმგებლობაზე გავლენას ახდენს, სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა თუ რომელ სამართლებრივ ფორმას განეკუთნება იურიდიული პირი. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების (კს) პერსონალურად პასუხისმგებელი სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ სოლიდარულად აგებენ პასუხს.

მათგან განსხვავებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შპს) კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია თვით საზოგადოება მთელი მისი ქონებით. ანუ, საზოგადოების პარტნიორები არ არიან პასუხისმგებელნი კრედიტორის წინაშე საზოგადოების ვალდებულებებზე.

ანალოგიურად, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე განსაზღვრულია თვით საზოგადოების და კოოპერატივის ქონებით. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების პარტნიორს ისევე, როგორც კოოპერატივის წევრს პასუხისმგებლობა არ ეკისრება სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის ვალდებულებებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების პასუხისმგებლობის ფარგლები კი გარკვეულწილად შეზღუდულია ამ მიმართებით, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირები დასახულ მიზნებს და დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებენ იმ სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია - შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ანდა თავისი წესდებით (დებულებით).

ამასთან, ისეთი საქმიანობა როგორიცაა: უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა; სესხის აღება; თავდებობა; საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა; თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრები, შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა (გარდა ლიცენზირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა) საჭიროებს სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოს თანხმობას (იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის 12-ე მუხლი).

შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეზღუდულია იმით, რომ თუ ამ სახის იურიდიული პირი განახორციელებს თავის საქმიანობას მისთვის მინიჭებული სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლების გადამეტებით, მესამე პირს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო აღნიშნული გარემოება და მოითხოვოს კეთილსინდისიერი შემძენის შესახებ ნორმების გამოყენება (იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის 3.4 მუხლი). ანუ, ყველა ის გარიგება რომელიც დადებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტებით ბათილია და ამ შემთხვევაში იურიდიულ პირს არ მოეთხოვება, რომ დამოუკიდებლად აგოს პასუხი იმ ქონებით, რომელიც მართალია სახელმწიფოს მიერაა მასზე გადაცემული,

მაგრამ სპეციალური უფლებამოსილების არსებობის პირობებში შეუძლია განკარგოს როგორც საკუთარი.

5) შემდეგი პირობა იურიდიულ პირის არსებობისათვის ისაა, რომ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილ ორგანიზაციულ წარმონაქმნს უნდა შეეძლოს ურთიერთობებში საკუთარი სახელით გამოსვლა. აღნიშნული გულისხმობს, რომ იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს სხვადასხვა სახის გარიგებებს. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეუძლოს სასამართლოში როგორც მოსარჩელედ, ისე მოპასუხედ გამოსვლა.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ იურიდიულ პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელწოდება, რომლითაც იგი საქმიანობს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლით, ხოლო სამეწარმეო იურდიული პირისა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით. კერძოდ, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 6.1-ე მუხლის თანახმად თუ იურდიული პირი, მეწარმე სუბიექტია მაშინ მის დასახელებას "საფირმო სახელწოდება" ანუ "ფირმა" ეწოდება. შესაბამისად, იგი არის ფირმის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6.3-ე მუხლმა იმპერატიულად განსაზღვრა იურდიული პირის სახელწოდების ელემენტები. კერძოდ, ამ ნორმის მოთხოვნაა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) საფირო სახელწოდება შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის სახელს "სპს" დამატებით. მაგ. "სპს თემურ ხადურელი".

ამასთან, დასაშვებია, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება შეიცავდეს ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს ასე მაგ. "სპს თამაზ ხადურელი, თომა აქვინელი და ნუგზარ სირბილაძე".

კომანდიტური საზოგადოების (კს) საფირო სახელწოდების კანონით განსაზღვრული ელემენტებია — არანაკლებ ერთი სრული პარტნიორის (კომპლემენტარის) სახელი კომანდიტური საზოგადოების ან "კს"-ის დამატებით. მაგ. კომანდიტური საზოგადოება ვარლამ მაჭარაშვილი და ასაბია ჯგუფი" ან/და, კს "ვარლამ მაჭარაშვილი და ასაბია ჯგუფი".

კანონის მოთხოვნაა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა (შპს), სააქციო საზოგადოებებმა (სს) და კოოპერატივებმა თავიანთი საფირმო სახელწოდება შეარჩიონ საქმიანობის საგნის მიხედვით ან სულაც საკუთარი ფანტაზიის შესაბამისად. თუმცა, სახელწოდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღნიშვნას "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" ან (შპს) მაგალითად, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" "საქართველოს რკინიგზა" ან შემოკლებით შპს "საქართველოს რკინიგზა." ანალოგიურ დამატებას უნდა შეიცავდეს სააქციო საზოგადოება მაგ. "სააქციო საზოგადოება "თბილისის საერთაშორიო აეროპორტი," ან/და სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი". რაც შეეხება კოოპერატივს მას ემატება სიტყვა რეგისტრირებული. მაგ. რეგისტრირებული კოოპერატივი "თოლია".

"მეწარმეთა შესახებ" კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ იმ საწარმოთა მიმართ, რომელთა სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას "საზოგადოება" (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება), ტერმინ "საზოგადოების" ნაცვლად გამოყენებული იქნეს კომპანია. კერძოდ შპს "ასაბიას" ნაცვლად შესაძლებელია შემდეგი სიტყვების ერთობლიობის გამოყენება- "კომპანია ასაბია."

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუ ამ სახის იურიდიული პირის შექმნა დაფუძნებულია წევრობაზე, მას შეიძლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად ეწოდოს ,,საჯარო სამართლის კორპორაცია," მაგრამ თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიქმნა სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით, ასეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შეიძლება ეწოდოს, "დაწესებულება." ამასთან, დაწესებულებას არ ჰყავს წევრები. (იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-4 მუხლი).

"მეწარმეთა შესახებ" კანონი სამეწარმეო (კომერციული) იურიდიულ პირებთან მიმართებაში, საფირმო სახელწოდებისათვის დამატებების დართვასთან დაკავშირებით, აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. კერძოდ, არ დაიშვება საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება, რომელთაც არა აქვთ

ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი. ამასთან, საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატებაც, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა და გაუგებრობა საწარმოს საქმიანობის, საწარმოს ფორმის, საქმიანობის მოცულობის ასევე, პარტნიორთა ურთიერთობის თაობაზე.

იმ შემთხვევაში თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (სპს) და კომანდიტურ საზოგადოებაში (კს) გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები მაშინ მათი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას შესაბამისი დამატებით. მაგ. სპს "კომპანია ასაბია" და სხვები."

მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს, რომ საწარმოს ახალმა შემძენმა გამოიყენოს საწარმოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია საწარმოს ადრინდელი მფლობელის, მისი მემკვიდრეების ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა.

იმ შემთხვევაში თუ იურიდიული პირის სახელწოდების მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობას აქვს ადგილი, სამოქალაქო კოდექსის 27.4-ე მუხლის თანახმად, დამრღვევი ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს იურიდიული პირის სახელწოდებით სარგებლობა და აანაზღაუროს სხვისი სახელწოდების მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

§ 3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა არის იმ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა რაც მას გააჩნია. უფლებაუნარიანობის მოცულობა კი დამოკიდებულია იმაზე, კერძო სამართლის იურიდიულ პირთა კატეგორიას განეკუთვნება სამართლის სუბიექტი, თუ იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ კანონით, ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

კერძო სამართლის იურიდიულ პირს კი, სამეწარმეო იქნება იგი თუ არასამეწარმეო (არაკომერციული), უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული. თუმცა, ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონი, ასევე სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტი, იურიდიულმა პირმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის (ნებართის) ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებამოსილება იმ თავისებურებითაც ხასიათდება, რომ ზემოთქმულის მიუხედავად იგი შეზღუდულია. კერძოდ, მას შეუძლია მხოლოდ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის წარმოება და მისგან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას. მეტიც, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება. რაც შეეხება ხელფასს (პრემიას და სხვა) თუ ჩამოთვლილი პირები დასაქმებულნი არიან ამ საწარმოებში სხვადასხვა კუთხით, მათ შეუძლიათ მიიღონ იგი, რადგან შეზღუდვას კანონი არ ითვალისწინებს (იხ. სკ-ის 25.5-ე მუხლი).

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება რეგისტრაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. ყველა სახის იურიდიულ პირს ის საერთოც აქვთ, რომ მათ გააჩნიათ მკაცრად განსაზღვრული ადგილსამყოფელი, ხოლო ასეთად მიიჩვევა მათი იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი კი ითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად (სკ-ის 26.1 და 26.2 მუხლები).

იმ შემთხვევაში თუ შელახულია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია მას შეუძლია ისარგებლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესებით და მოითხოვოს დარღვეული არაქონებრივი უფლებების დაცვა.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1997 წლის რედაქციის 26.3 მუხლი შეიცავდა დანაწესს იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები. ანუ, კანონმდებელი მიიჩნევდა, რომ იურიდიულ პირს გააჩნია, როგორც პატივი ისე ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. წინამდებარე ნაშრომის ავტორი თავის სადისერტაციო ნაშრომში და მის საფუძველზე 1999 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა"(გვ.21-22 და 86) ამტკიცებდა, რომ იურიდიულ პირთან მიმართებაში საქმიანი რეპუტაცია უფრო ფართო ცნებაა და იურიდიული პირის პატივსა და ღირსებასაც მოიცავს, რის გამოც მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ დასახელებული ნორმა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები." მოგვიანებით კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს წინადადება და ამჟამად სკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნაა, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოყენებული იქნეს ამავე კოდექსის მე-18 მუხლი. რაც გულისხმობს, რომ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ: სასამართლოს მეშვეობით მოითხოვონ იმ ცნობის უარყოფა, რომელიც ლახავს მათ საქმიან რეპუტაციას თუ ამ ცნობის გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყ-

ენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისთვის, თუკი ამით ილახება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს (მათ კატეგორიას განეკუთვნებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, გარდა პოლიტიკური პარტიებისა, ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. იხ. ზაკ-ის 2.1 მუხლის ა)ქვეპუნქტი) მიკუთვნებულ იურიდიულ პირებს ,,სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, შეზღუდული აქვთ ცილისწამებით შელახული საქმიანი რეპუტაციის დაცვა, რადგან დასახელებულ ნორმაში ნათქვამია, რომ ,,ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

ზემოთქმული ცხადყოფს, იმასაც, რომ თუ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით. თუ ამგვარ ცნობებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირს.

იურიდიულ პირს, რომლის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ასევე უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ ხელყოფა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, იურიდიულ პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. თავის მხრივ ზიანის ანაზღაურება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში კი უფლებამოსილ იურიდიულ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზრაურებაც, მორალური ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 6 ნაწილიდან პირველი. მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილების მოთხოვნები თითქმის მთლიანად ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 27-ე მუხლების შინაარსი ცხადყოფს, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული მხოლოდ ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა და პირადი ცხოვრების საიდუმლეობა. სამწუხაროდ, ცალკეული სასამართლოები, სრულიად უსაფუძვლოდ, მათ რიგს მიაკუთვნებენ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასაც. "მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული ამ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა)" — ნათქვამია ერთ-ერთ ასეთ სასამართლო გადაწყვეტილებაში[128].

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია შეიძლება მართლაც არ გამოვლინდეს იმ სახით, როგორც ეს ფიზიკური პირების შემთხვევაშია,[129] მაგრამ აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იურიდიულ პირს არ აქვს ხელყოფილი საქმიანი რეპუტაციის დაცვის და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მეხუთე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში (ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე — ხაზგასმა ჩვენია პ. მ.) გამოიყენება მე-18 მუხლი. კანონმდებელი თუ მიიჩნევდა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე, ამის თაობაზე შესაბამისი დათქმა უნდა გაკეთებულიყო სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილში. ასეთი დათქმა კი ვინაიდან არ არსებობს, სახეზეა სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 27.5-ე მუხლების არასწორი განმარტება და გამოყენება.

იმ მოსაზრებების მომხრეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იურიდიულ პირს საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისას არ გააჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იურიდიული პირი წარმოდგენილი აქვს ადამიანებისაგან დაცლილ, უსი-

---

128 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 28 ივნისის განჩინება, №3-კ-288.

129 იხ. პ. მონიავა. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა. გამოცემლობა "მერიდიანი" თბილისი, 1999 წელი, გვ. 48

ცოცხლო ორგანიზმად, რომლისთვისაც უცხოა სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდები და სხვა. მაშინ, როდესაც თვით იურიდიული პირის ცნების განმარტება იძლევა საწინააღმდეგო მტკიცების საფუძველს. კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად იურიდიული პირი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნია, რომელიც საკუთარი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ იურიდიული პირის არსებობისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ორგანიზაციული ერთიანობა, რაც ნიშნავს, რომ რამდენიმე ფიზიკური პირი ერთიანდება ან/და საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად აერთიანებს რა ქონებას კერძო ურთიერთობებში გამოდის როგორც ერთი მთლიანი კოლექტივი. შესაბამისად, სახეზეა ხელოვნური გაერთიანება, რომელშიც პირთა ინტერესების ნაწილი შეზავებულია იმგვარად, რომ იგი გადადის ინტერესთა ერთიანობაში.[130] მოკლედ რომ ვთქვათ იურიდიული პირი აბსტრაქტული ცნებაა და როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია, იხმარება ადამიანთა იმ ორგანიზაციის გამოსახატავად, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.[131] ყოველივე ეს თავის მხრივ იმის მაუწყებელია, რომ იურიდიულ პირად წოდებულ სამეწარმეო თუ არასამეწარმეო საწარმოებში, სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით გაერთიანებული: დამფუძნებლები, წევრები, ასევე მათში დასაქმებული პირები, საზოგადოების თვალში ასოცირდებიან მოცემულ იურიდიულ პირთან. შესაბამისად, პრესის მეშვეობით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ზოგადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოში დასაქმებულნი არიან არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები, რის გამოც საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, ხელყოფს ამ შპს-თან დაკავ-

130. იხ. Гражданское право, т.1, Санкт-Петербург, 1996 г. стр.107.

131 იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. "მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი" მესამე გამოცემა, გამოცემცემლობა "სამართალი". 2002 წელი, გვ. 34

შირებულ პირთა პატივს (ანუ მორალურ-ზნეობრივ თვისებებს), როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში. სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებისადმი შინაგანი პროტესტი კი იმის დადასტურება იქნება, რომ შეილახა არა მხოლოდ ცალკეულ პირთა, არამედ მთლიანად იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, ანუ იურიდიული პირის პროფესიული და საქმიანი თვისებები. დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ იურიდიულ პირთან მიმართებაში საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ორგანიზაციის პირად არაქონებრივ უფლებათა ხელყოფის ყველა ის უარყოფითი შედეგი, რომელიც პოტენციურადაა დაკავშირებული მისი ქონებრივი სფეროს შელახვასთან.

შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27.5-ე, ამავე კოდექსის მე-18.6 მუხლების დანაწესიდან გამომდინარე სკ-ის 18.6 მუხლით დადგენილი წესი მოქალაქეებიის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ მიესადაგება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეებს. ანალოგიურად წყვეტს ამ საკითხს სხვა ქვეყნების კონკრეტულად კი რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია იურიდიული პირის პროფესიული და საქმიანი თვისებების ის საზოგადოებრივი შეფასებაა, რომლითაც იურიდიული პირი ასოცირდება გარშემომყოფთა შეგნებაში და საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე პერსონიფიცირება სხვა იურიდიულ პირთა შორის.

§4. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლი იურიდიულ პირებს ყოფს ორ ძირითად ჯგუფად: სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: 1) სახელმწიფო; 2) თვითმართველი ერთეული; 3) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან "მეწარმეთა შესახებ,, კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით; 4) სახელმწიფო დანესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად; 5)საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (მაგ. პოლიტიკური პარტიები); 6) კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და 7) სამოქალაქო კოდექსის 1509[1]-ე მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები.

1. სამართლის თეორიაში აღიარებულია, რომ სახელმწიფო არის იურიდიული პირი, ვინაიდან წარმოადგენს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი ადამიანების ერთობას. ამასთან, სახელმწიფო ერთდროულად არის სამართალშემოქმედი და სამართალშემფარდებელი სუბიექტი, მაგრამ კონსტიტუციის მეშვეობით ადგენს რა სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სხვა სუბიექტთა ფუნდამენტალურ უფლებებს, უზრუნველყოფს მათ დაცვას საკუთარი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

შესაბამისად, კონსტიტუციისა და მისგან გამომდინარე კანონების არსებობა არ აძლევს საშუალებას სახელმწიფოს, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, თავისი თავი დააყენოს სამართლის სხვა სუბიექტებზე მაღლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დარღვევისათვის.

ამდენად, სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია ხელისუფლებით, მხოლოდ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ამ ხელისუფლების მატარებელი სუბიექტი. სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში კი მონაწილეობს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით (იხ. სკ-ის 1509.1-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი). ამასთან, სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს სახელმწიფო ახორციელებს სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. მისი მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან, სხვათა თავისუფლებას კი იცავს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რადგან სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მსგავსად, სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.

შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ, განხორციელებული ყველა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს ბათილია გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგზე. მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული ჩარევები, ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში აკრძალულია, თუ ისინი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული (სამოქალაქო კოდექსის 24.4-ე და 10.3-ე მუხლები).

სამოქალაქო კოდექსი, მართალია, სახელმწიფოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად მიიჩნევს, მაგრამ სახელმწიფო ამავე დროს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტსაც. მისი განსაკუთრებულობა იმაში ვლინდება, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილებას ახორციელებენ მისი ორგანოები-უწყებები, დაწესებულებები უფრო კონკრეტულად კი სამინისტროები და ამ სამინისტროებში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებები, მაგალითად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს პროკურატურა, საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება— ტრანსპორტის ერთიანი ადმინისტრაცია და ა.შ.

„საქართველი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგე-

ბლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას (25.1 მუხლი). ამდენად, საქვეუწყებო დაწესებულება და სხვა სახელმწიფო ორგანოები არ არიან დამოუკიდებელი იურიდიული პირები, ვინაიდან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან სახელმწიფოს სახელით.

2. თვითმართველი ერთეულები – სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან თვითმმართველი ერთეულებიც.

ისინი წარმოადგენენ დასახლებებს, რომლებსაც ჰყავთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე გააჩნიათ საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი.

ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ისეთ მართვას, რომელიც არჩეული ორგანოებისა და მათი ადმინისტრაციული აპარატის მეშვეობით ხორციელდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზებული ფორმაა. მისი ძირითადი ნიშნებია-არჩევითობა და მართვა-გამგებლობაში გარკვეული დამოუკიდებლობის არსებობა.

თვითმმართველი ერთეული გულისხმობს კონკრეტულ ტერიტორიას, ანუ დასახლებას. თავის მხრივ დასახლება არის, მოსახლეობის განსახლების ისეთი პირველადი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰყავს მუდმივი მაცხოვრებლები, აქვს ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

თუმცა, ყოველი დასახლება არ ნიშნავს თვითმმართველი ერთეულის არსებობას, ვინაიდან თვითმმართველ ერთეულებს წარმოადგენენ მხოლოდ თვითმმართველი ქალაქები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) ან დასახლებათა ერთობლიობები (მუნიციპალიტეტები).

მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენება, როგორც საქართველოში ისე დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ სახის თვითმმართველობა 2006 წლიდან დამყარდა საქართველოში.

თვითმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. თვითმართველობას გააჩნია როგორც საკუთარი ისე მასზე დელეგირებული უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი ახორციელებს Dწარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი ორგანოების (გამგეობები, მერია) მეშვეობით. მათი უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და გამგეობის (მერიის) დებულებით. ამასთან, წარმომადგენლობითი ორგანოები ამტკიცებენ აღმასრულებელი ორგანოების დებულებებს. ასე მაგ. ქალაქ თბილისის მერიის დებულება დამტკიცებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწვეტილებით-- ,,ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ".

ადგილობრივი თვითმმართველობა კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთი საფუძველი და ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპია, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან ერთად განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის სისტემას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა უნდა განისაზღვროს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შემდეგ. ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე კი ექსპერიმენტის სახით საქართველოს პრეზიდენტის მიერ, 1994-1996 წლებში გამოცემული დეკრეტების საფუძველზე, შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების 9 დიდი გაერთიანება, ანუ მხარე. მხარეებში დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები (ანუ, როგორც მათ უწოდებენ გუბერნატორები), რომელთა ფუნქციას წარმოადგენდა მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების საქმიანობისადმი ზედამხედველობის გაწევა. უუნდა აღინიშნოს, რომ მხარე არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს და ტერიტორიულად თითქმის ემთხვევა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს.

2004 წლის 11 თებერვლის კანონმა ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის

შესახებ," ახლებურად განსაზღვრა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლება-მოვალეობები, კერძოდ იგი არის საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

სახელმწიფო რწმუნებული კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების აღსრულებას, ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 63.1-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე და სხვა.

ამჟამად, ქვეყანაში 8 მხარე, 2 ავტონომიური რესპუბლიკა, ერთიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაა, ხოლო მუნიციპალიტეტების რაოდენობა შეადგენს 69 ერთეულს.

3. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, ისეთი იურიდიული პირებიც, რომლებიც შექმნილია სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტაციული აქტის საფუძველზე, მაგრამ არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმით.

ამ სახის იურიდიული პირები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირებისაგან განსხვავდებიან მათი შექმნის, ორგანიზების და საქმიანობის წესით, რაც განისაზღვრება მათ შესახებ არსებული ისეთი სპეციალური კანონით, როგორიცაა საქართველოს კანონი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ." კერძოდ, დასახელებული კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ისე ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონით, ხოლო სპეციალური კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა. თუმცა, სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციე-

ლებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობას. ასე მაგ. პენსიის ადმინისტრირების დარგში კომპეტენტური ორგანოა და სოციალურ სფეროში საჯარო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი- სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, გაცემას და ა.შ. (იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის № 46/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის" მე-2 მუხლი).

საგანმანათლებლო სფეროში საჯარო საქმიანობას ახორციელებენ და ამდენად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ საჯარო სკოლები და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პრეზიდენტის ბრძანებულებითაც. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 აგვისტოს №646 ბრძანებულებით ,,საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს შექმნის შესახებ", რასაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის მოთხოვნები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი- საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო.

ანალოგიურად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება შეუძლია თვითმმართველ ერთეულსაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე. ასე მაგ. ქალაქ თბილისის მთავრობა თავისი ნორმატიული აქტით, ,,საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, უფლებამოსილია შექმნას სხვადასხვა სახის საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

სამოქალაქო კოდექსის 1509.1-ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეი-

ძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება საჯარო სამართლის კორპორაცია, ან/და შეიქმნას გარკვეული ქონების განკერძოების გზით. ასეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ ეყოლება წევრები და იწოდება დანესებულებად.

საჯარო სამართლის იურიდული პირის მიზნები, ფუნქციები, საქმიანობის წესი, მართვის ორგანოების შექმნა და კომპეტენცია, ლიკვიდაციის წესი და პირობები განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდული პირის წესდებით (დებულებით).

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ქონების შექმნის წყარო არის შესატანი ან საწევრო. ამდენად, დაფუძნების აქტში მითითებული უნდა იყოს მათი ოდენობა და შეტანის წესი.

იმ შემთხვევაში თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების წყარო ,,შესატანია" მაშინ იგი წარმოადგენს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო კონკრეტული სახის ქონებას და სახელმწიფოს (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში-შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) მიერ გადაეცემა იურდიულ პირს. ამასთან, აუცლებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა. საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გადაცემის წესი კი განისაზღვრება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სახელმწიფო ქონებაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც წესი არსებობს ფონდის სახით.

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებამოსილება, ანუ ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და სასამართლოში შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, მაგრამ მეორეს მხრივ შეზღუდულია, რადგან შეუძლია განახორციელოს მხოლოდ კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან/და თავისი წესებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა. ცხადია შეზღუდვაა ისიც, რომ იგი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს.

სახელმწიფო კონტროლი კი გულისხმობს, რომ კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პარლამენტის დადგენილებით ან სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით შექმნილ სპეციალურ ორგანოს შეუძლია განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც საქმიანობის კანონიერებაზე, ისე მისი მიზანშეწონილობისა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე ზედამხედველობა. კერძოდ, ამ უფლებით აღჭურვილ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს საჯარო მასალების და ინფორმაციის წარდგენა. ამასთან, შეუძლია შეაჩეროს ან სულაც გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მოეთხოვება ისიც, რომ სახელმწიფო კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის გარეშე არ განახორციელოს: უძრავი ქონების შეძენა-გასხვისება და დატვირთვა, სესხის აღება; თავდებობა, საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტის განსაზღვრა (გარდა საგანმანათლებო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა). ასევე, მიიღოს სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდებიან ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მეტიც, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი თუ დააპირებს სესხის აღებას ან თავდებობას, მათ განხორციელებას დამატებით ესაჭიროება საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანხმობა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაციაა, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო საქმიანობას, მაგრამ ეს დამოუკიდებულება პირობითია, ვინაიდან მისი საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო კონტროლით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირს მხოლოდ იმის უფლებამოსილება გააჩნია, რომ სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორ-

განოს უარი — უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების, დატვირთვის, სესხის აღებისა და თავდებობაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით, გაასაჩივროს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის ან არჩევისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ჰყავს ხელმძღვანელი. მისი დანიშვნის ან არჩევის წესი დამოკიდებულია იმაზე, სახელმწიფო ქონების განკერძოების საფუძველზეა საჯარო სამართლის იურიდიული პირი შექმნილი თუ დაფუძნებულია წევრობაზე. ანუ, იმაზეა დამოკიდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო სამართლის კორპორაცია თუ ისეთი დაწესებულება, რომელსაც არ ჰყავს წევრები.

წევრობაზე დამოკიდებული საჯარო სამართლის იურდიული პირის მართვის უმაღლესი ორგანოა მისი წევრების საერთო კრება, რომელიც მონაწილეთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას წესდების (დებულების) შესახებ, ირჩევს მართვის ორგანოებს და წყვეტს სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ნიშნავს და ათავისუფლებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს.

სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს კი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული მმართველობის ორგანო.

4. სამოქალაქო კოდექსის 1509.1-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არიან შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად.

სახელმწიფო დაწესებულებები ახორციელებენ მმართველობით, სოციალურ- კულტურულ და სხვა ფუნქციებს. მათი უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით. ასე მაგ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შესაბამისად დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოს

ეროვნული ბანკი, რომელსაც საქართველოს ცენტრალურ ბანკს, ბანკთა ბანკს, საქართველოს მთავრობის ბანკირს და ფისკალურ აგენტსაც უწოდებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის შექმნის წესი განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით. მისი ქონება საქართველოს საკუთრებაა და მას აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წამომადგენლობითი ორგანო- პარლამენტი. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს უფლება დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება ასევე, შეუძლია, რომ გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში. მისი მმართველობის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება ხუთი წევრისაგან.

რაც შეეხება სახელმწიფო ფონდებს ისინი წარმოადგენენ ისეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას, საერთო-საზოგადო მიზნის მისაღწევად, საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არ ჰყავს წევრები. ფონდისთვის გადაცემული ქონება წარმოადგენს ფონდის საკუთრებას. ამ სახის სახელმწიფო ფონდებია: მუნიციპალური განვითარების ფონდი, კულტურის ფონდი, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და სხვა.

სამოქალაქო კოდექსით ან ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით, როგორც გათვალისწინებული, ისე ამ სამართლებრივი აქტებით გაუთვალისწინებელი სახელმწიფო იურიდიული პირების შექმნა, შეიძლება ასევე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მოცემულ შემთხვევაში პრეზიდენტის ბრძანებულების სამართლებრივი საფუძველი იქნება ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18.2 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ბრძანებულებას იმ შემთხვევაშიც, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული.

საქართველოს პრეზიდენტმა ისარგებლა რა კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილებით, 2009 წლის 11 მაისის №233 ბრძანებულებით ,,სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის დასაფუძნებლად განსახორციელებელი ღონისძიე-

ბების შესახებ" დაავალა საქართველოს მთავრობას, სამოქალაქო ინსიტუციონალიზმის განვითარების ფონდის, იურიდული პირის ფორმით დაფუძნება;

5. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი ისეთი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, კანონმდებელმა მიაკუთვნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა კატეგორიას. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამდენად, ეწევიან საჯარო საქმიანობას და გააჩნიათ ყველა ის ნიშანი, რომლებიც საჭიროა იურიდიული პირის არსებობისათვის;

6. სამოქალაქო კოდექსის 1509.1-ე მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტში მასში სათანადო ცვლილების შეტანამდე, კერძოდ, 2005 წლიდან 2011 წლის 5 ივლისამდე, არსებობდა ზოგადი ჩანაწერი, იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ითვლება კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შემდეგ კი დაკონკრეტდა, რომ ამ სახის საჯარო სამართლის იურიდიული პირია-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.

დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ზ" ქვეპუნქტში, 2011 წლის 5 ივლისს შეტანილი ცვლილების შემდეგ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად შეიძლება დარეგისტრირდნენ ასევე, სამოქალაქო კოდექსის 1509^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები.

სამოქალაქო კოდექსის 1509^{1}-ე მუხლი რელიგიურ გაერთიანებათა კონკრეტულ ჩამონათვალს არ განსაზღვრავს, მაგრამ, შეიცავს ზოგად მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (იხ. სკ-ის 1509^{1}-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამდენად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განსხვავებით, მათ აქვთ არჩევანის უფლება. კერძოდ, მათ სურვილზეა დამოკიდებული გახდებიან თუ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ვინაიდან

კანონი არ ზღუდავს მათ, რომ დარეგისტრირდნენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის სახით. მეტიც, შეუძლიათ საერთოდ არ შექმნან იურიდიული პირი ან/და ეწეოდნენ საქმიანობას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირის სახით (იხ. სკ-ის 1509[1]-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

სამოქალაქო კოდექსის 1509[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილმა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიანიჭა იმის უფლებამოსილებაც, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობა ან/და ისეთი რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე (ანუ, საუბარია მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1509[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ რელიგიურ გაერთიანებაზე), არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მსგავს დანაწესს არ შეიცავს სამოქალაქო კოდექსის დასახელებული ნორმა.

შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ მის მიმართ გამოყენებადია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მთელი რიგი დებულებები, მათ შორის ის, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას (იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-11.1 მუხლი).

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის 1509[1]-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, იმ შემთხვევაშიც თუ ისინი დარეგისტრირდებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ეწოდოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რადგან ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მათი რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი. მათი უფლებამოსილება კი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის მეორე თავით.

მარტივად, რომ ვთქვათ სხვა სახის რელიგიური გაერთიანებები თუ მოინდომებენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებას მათ ამის შესაძლებლობას აძლევს მოქმედი კანონი, მაგრამ თავიანთი უფლებამოსილებით ისინი იქნებიან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი იქნება მინიმალური, ვინაიდან მათ საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ სასამართლოს და ძირითადად შემოიფარგლება იმის შემოწმებით, სუბიექტი არსებითად ხომ არ გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე (იხ. სკ-ის 33.1-ე და 33.2-ე მუხლები).

სამოქალაქო კოდექსის 1509[1]-ე მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სხვა შეღავათებიც, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის სუბიექტები არ არიან რელიგიურ გაერთიანებებში დასაქმებული პირები თუნდაც ისინი ახორციელებდნენ საჯარო სამართლებრივ საქმიანობას (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332--ე მუხლის შენიშვნის 1-ლი პუნქტი). ანუ, ეს წესი მოქმედებს მაშინაც თუ ისინი დარეგისტრირდებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. მსგავს დანაწესს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ კი არ შეიცავს საქართველის სისხლის სამართლის კოდექსი.

მიუხედად ასეთი პრივილეგიებისა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე, რელიგიური გაერთიანებების ცალკეული წარმომადგენლების, ასევე უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, დაჟინებული მტკიცებისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების უფლების მინიჭების შემთხვევაში, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებები მასიურად გამოიყენებდნენ ამ უფლებას, დღემდე არსებული სტატისტიკა საწინააღმდეგოზე მეტყველებს. კერძოდ, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შემდეგ, საჯარო რეესტრში გატარდა მხოლოდ ქურთთა კავშირი და კავკასიის მუსლიმთა სამმართველო. თუმცა, მათაც არ მოინდომეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირება.

§5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებები

საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული ადამიანები განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან. კერძოდ, ერთ ნაწილზე ვრცელდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოქმედება და ამდენად უდაოდ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, მეორე ნაწილზე, არ ვრცელდება დასახელებული კანონის მოქმედება და არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. არსებობს მესამე კატეგორიაც. მათ განეკუთვნებიან ისეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული ადამიანები, რომლებზეც არ ვრცელდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოქმედება, მაგრამ ცალკეული კანონების მიზნებისთვის წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს ანუ საჯარო მოხელეებს. კერძოდ, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის 2^1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საჯარო მოსამსახურეა ის პირი, რომელიც საქმიანობს სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებაში.

სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებული დაწესებულებების ზოგადი ჩამონათვალი მოცემულია, ამავე კანონის 2^2 მუხლი 1-ელ ნაწილში და მათ განეკუთვნებიან: ა) დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები და ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები-ფონდების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით.

დასახელებული ნორმის შინაარსი ადასტურებს იმასაც, რომ ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონმა, გამონაკლისის სახით, სახელმწიფო დაწესებულებასთან გაათანაბრა ფონდების სამართლებრივი ფორმით არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მხოლოდ ის ნაწილი: რომლებიც ახორციელებენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ან სხვა საჯარო ფუნქციებს (იხ. დასახელებული ნორმის ,,ბ.ა" ქვეპუნქტი); საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ (,,ბ.ბ" ქვეპუნქტი); შემოსავლის წყარო კანონით არის დადგენილი (,,ბ.გ" ქვეპუნქტი) და განკარგავენ მნიშვნელოვან სახელმწიფო ქონებას (,,ბ.დ" ქვეპუნქტი).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით (ხაზგასმა ჩვენია პ.(თ) მონიავა), იმავე მუხლის, მე-2 ნაწილში, კანონმდებელს ჩადებული აქვს სავალდებულო პირობა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებთან გათანაბრებული არასამეწარმეო (არაკომერციული) ფონდების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით და მასვე ევალება ყოველწლიურად მისი განახლება.

ამრიგად, კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად გააკეთა განაცხადი იმის შესახებ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახით არსებული ფონდები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებებად, რომ ჩაითვალოს უნდა აკმაყოფილებდნენ ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2[2] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ მოთხოვნას მაინც. თუმცა, ესეც არ არის საკმარისი ზემოთმითითებული ფონდებისა და საჯარო სამართლის იურიდიულის პირების სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებად მიჩნევისათვის, რადგან ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამგვარი დაწესებულებების ჩამონათვალი დადგენილებით უნდა განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას დადგენილება მიღებული არა აქვს. შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებებს დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ მხოლოდ ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2[2] მუხლის 1-ლი ნაწილის ა)ქვეპუნქტით გათვალისწინებული-დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები, ვინაიდან მათი ჩამონათვალის განსაზღვრას და განახლებას საქართველოს მთავრობის დადგენილება ან სხვა კანონქვემდებარე აქტის გამოცემა არ სჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონი, კერძოდ დასახელებული კანონის მე-6.2 მუხლი, ამ კანონის მიზნებისათვის, საჯარო მოხელედ მიიჩნევს საჯარო სამსახურში დასაქმებულ მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც იმყოფება თანამდებობის

პირის ზედამხედველობის ქვეშ და მის მიერ გამოცემულ აქტთან ან შესრულებასთან დაკავშირებით, თანამდებობის პირი უფლებამოსილია-გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ, შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება, ასევე გააუქმოს აქტი.

,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2.2 მუხლი ამ კანონის მიზნებისთვის, თანამდებობის პირთა კატეგორიას მიაკუთვნებს ზოგიერთი (და არა ყველა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს, ვინაიდან მათი ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

,,თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება" საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 იანვრის №22 ბრძანებულებაში კი, მთელი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები გათვალისწინებულნი არ არიან. კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შექმნილია და საქმიანობს არაერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლებიც თავიანთი მონაცემებით იმსახურებენ, რომ გათანაბრებული იქნენ სახელმწიფო დაწესებულებასთან და მათი ხელმძღვანელი ჩაითვალოს თანამდებობის პირად, მაგ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მაგრამ პრეზიდენტის ბრძანებულებაში ამ სამინისტროდან შეყვანილია მხოლოდ, სსიპ-ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელი (იხ. ბრძანებულების მე-17 მუხლის ,,მ"ქვეპუნქტი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სსიპ- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ისევე, როგორც ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები, არ წარმოადგენენ თანამდებობის პირებს. შესაბამისად, აღნიშნულისა და იმ გარემოების გამო, რომ საქართველოს მთავრობას გამოცემული არა აქვს დადგენილება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა, სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებული სა-

ჯარო სამართლის იურიდიული პირები, მუნიციპალური განვითარების ფონდში ან/და ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებში, დასაქმებული ადამიანები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს ან/და საჯარო მოხელესთან გათანაბრებულ პირებს.

შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ის პრივილეგიები ანდა შეზღუდვები, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებითაა დაწესებული საჯარო მოხელეების მიმართ. კერძოდ: ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით გათვალისწინებელი სუბიექტები ახორციელებენ საჯარო ხელისუფლებას, საჯარო სამართლის ის იურიდიული პირები კი, რომლების მოხსენიებულნი არ არიან დასახელებულ კანონში, ან თუნდაც ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონში მითითებულ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში, დასაქმებულებთან თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შრომის კოდექსის საფუძველზე. ამასთან, საჯარო ხელისუფლებას კი არ ახორციელებენ, არამედ წარმოადგენენ საკანონდებლო და სახელმწიფო ორგანოებისასაგან განცალკევებულ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლით, მაგრამ დამოუკიდებლად ასრულებენ მათზე დელეგირებულ საჯარო ფუნქციებს. მარტივად, რომ ვთქვათ ისინი წარმოადგენენ საჯარო ინსტიტუტების მიერ დაქირავებულ კერძო კონტრაქტორებს;

სხვაობაზე მიუთითებს ისიც, რომ საჯარო სამსახურში შესვლისას, აგრეთვე ყოველწლიურად, მოხელემ უნდა წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დაკლარაცია, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელს (გარდა საქართველოს პეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელისა) არ მოეთხოვება;

საჯარო მოხელე სამსახურში ინიშნება განუსაზღვრელი ვადით და ვალდებულია დამნიშვნელ მოხელეს წარუდგინოს შესაბამისი ფიცი. მისგან განსხვავებით საჯარო სამართლის იურიდიული პირში დასაქმებული ინიშნება ყოველგვარი ფიცის გარეშე. მეტიც, საჯარო მოხელეს სამსახურის გავლის პროცესში ენიჭება საკლასო ჩინი, რაზეც გაიცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. საჯარო სამართლის იურიდიული პირში დასაქმებული პირი

კი ამგვარ პრივილეგიას მოკლებულია, ამასთან მის თანამდებობრივ სარგოს არ განსაზღვრავს არც კანონი და არც პრეზიდენტის ბრძანებულება.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებული პირი არის თუ არა საჯარო მოხელე, ამ კითხვაზე პასუხი აუცილებელია არაერთი მიზეზის გამო, თუნდაც იმისათვის, რომ ადამიანმა იცოდეს, შეუძლია თუ არა გააგრძელოს იმ კომპენსაციის მიღება, რომელიც შეიძლება შეწყდეს მხოლოდ საჯარო მოხელედ მისი საქმიანობის პერიოდში.

მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოყვანილი იქნეს შემდეგი მაგალითი "საქართველოს გენერალური პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის 2005 წლის რედაქციის, 40-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, იმ პირებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ქონდათ შესრულებული საპენსიო ასაკი- 65 წელი, დაენიშნათ პენსია, მათი ხელფასის 60%-ის ოდენობით. ამასთან, ეს ნორმა შეიცავდა იმპერატიულ დანაწესს იმის თაობაზე, რომ ამ სახის პენსია ენიშნებოდათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც პენსიის დანიშვნის დროს არ იყვნენ საჯარო მოხელეები ან არ იღებდნენ სხვა სახის პენსიას.

2005 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, რაც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვარს "საქართველოს გენერალური პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონიდან, ეს ნორმა ამოღებულ იქნა. "სახელმწიფო სტიპენდიებისა და სახელმწიფო კომპენსაციების შესახებ" კანონი კი, რომელიც ამჟამად არეგულირებს პროკურატურის მუშაკთა საპენსიო (საკომპენსაციო) საკითხებს, ამ საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნას არ ითვალისწინებს.

თუმცა, პროკურატურის ყოფილ მიშაკთა ის ჯგუფი, ვინც იღებდა ან სახის პენსიას, დღესაც აგრძელებს მის მიღებას 65 წლის შესრულებამდე. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ახალი კანონის გარდამავალ დებულებებში 37-ე მუხლის სახით შეტანილია სპეციალური ნორმა, რომლითაც პროკურატურის 65 წლის ასაკს მიუღწეველ იმ მუშაკებს, რომლებსაც ახალი კანონის ამოქმედებამდე დაენიშნათ პენსია, უგრძელდებათ მისი მიღება ადრე მოქმედი კანონით (ამ შემთხვევაში ,,პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონით) მისი მიღების შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე.

2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი "პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის 40-ე მუხლის მე-11 პუნქტი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიცავდა იმპერატიულ დანაწესს, რომლითაც ამ სახის პენსია ენიშნებოდა პირს თუ იგი არ იყო საჯარო მოხელე ან არ იღებდა სხვა სახის პენსიას. ამასთან, არც მაშინ და არც შემდეგში, დასახელებულ ორგანულ კანონში არ შესულა ისეთი ცვლილება, სადაც იქნებოდა დათქმა, რომ ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე საჯარო მოხელეს წარმოადგენს, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით, ან სხვა ნორმატიული აქტით, საჯარო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირი, ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო დაწესებულებაში ანაზღაურების საფუძველზე საჯარო საქმიანობის გამხორციელებელი პირი.

შესაბამისად, აშკარაა, რომ კანონმდებელს თუ სურდა, ამგვარი შედეგის მიღწევა, მაშინ ,,პროკურატურის შესახებ'' ორგანული კანონის 40-ე მუხლის მე-11 პუნქტში უნდა იყოს მითითება, რომ ტერმინი ,,საჯარო მოხელე" ამ კანონში გამოიყენება ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" და ,,სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების შესახებ" კანონებით განსაზღვრული მნიშვნელობით. აღნიშნულს კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადგილი არ ქონებია.

ამდენად, ცალსახაა, რომ ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირები თუ დასაქმდებიან ისეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებზედაც არ ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ნორმები, მაშინაც თუ ჩაითვლებიან სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურედ, არ წარმოადგენენ "პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის მიზნებისთვის საჯარო მოხელეებს და მათი ამგვარი დასაქმება არ შეიძლება იქცეს დანიშნული პენსიის მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად.

ეს გარემოება ვერ გახდება ამ სამსახურში მუშაობის პერიოდის განმავლობაში, პენსიის (კომპენსაციის) შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველიც, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს პენსიის დანიშვნის დროს მოქმედი კანონმდებლობა. ,,პროკურატურის შესახებ "ორგანული კანონის, 2005 წლის 23 დეკემბრის რედაქცია კი, რომელიც იერარქიულად ,,სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შეს-

ახებ" ასევე, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" ჩვეულებრივ კანონებზე მაღლა დგას, არ ითვალისწინებდა მის შეჩერებას (შეწყვეტას).

არსებული ნორმატიული აქტების სხვაგვარად გაგების შემთხვევაში ადგილი ექნება მოგვიანებით მიღებული კანონის გამოყენებას ანალოგიით, რადგან საჯარო სამართლის ცალკეულ იურიდიულ პირში დასაქმებული პირები ცალკეული კანონის მიზნებისათვის საჯარო მოხელეებს გაუთანაბრდნენ მხოლოდ 2009 წლის პირველი ივლისიდან. შესაბამისად, სახეზე იქნება ანალოგიით უკანონოდ გამოყენებული და პირის მდგომარეობის გამაუარესებელი ნორმატიული აქტებისათვის უკუძალის (კერძოდ რეტროაქტიული ანუ, ნამდვილი უკუძალის) მინიჭება და თანაც ისე, რომ შესაბამის კანონში მითითებულიც არ არის ამის შესახებ, რაც დაუშვებელია.

მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში უგულვებელყოფილი იქნება ასევე ,,ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებითაც იმპერატიულად არის დადგენილი, რომ-საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (25.1-ე მუხლი); სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები კი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონის ანალოგიით (მე-5.3 მუხლი) და, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

ამდენად, ზემოთ მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით, შესაძლებელიც, რომ იყოს ანალოგიის გამოყენება, ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან ,,პროკურატურის შესახებ" ორგანულმა კანონმა თვითონვე განსაზღვრა, რომ ამ სახის პენსია არ ენიშნებოდა მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად ცალსახად იყო საჯარო მოხელე. შესაბამისად,, მისი შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს-საჯარო მოხელედ პირის გამწესება და მისთვის სხვა სახის, კერძოდ 65 წლის მიღწევის გამო, სამისდღეშიო პენსიის დანიშვნა.

§6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო კოდექსის 1509.2-ე მუხლის თანახმად განეკუთნებიან: 1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, 2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), 3) კომანდიტური საზოგადოება (კს), 4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება(შპს), 5) სააქციო საზოგადოება (სს) და 6) კოოპერატივი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან კერძოდ, 1997 წლის 25 ნოემბრიდან 2006 წლის 12 დეკემბრამდე ანუ, სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე, იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ კერძო სამართლის ყველა არაკომერციული იურიდიული პირი უნდა შექმნილიყო მხოლოდ კავშირის ან ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული იქნა 1510-ე მუხლი, რომელიც სავალდებულოდ მიიჩნევდა არაკომერციული იურიდიული პირის შექმნას მხოლოდ კავშირისა და ფონდის სახით. შესაბამისი ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებშიც, საიდანაც ამოღებული იქნა სიტყვები "კავშირი" და "ფონდი", ხოლო მათ ნაცვლად 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღინიშნა, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნებიან-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილმა ამ ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა იმის გარკვევის აუცილებლობის საკითხი-კანონმდებელმა საერთოდ თქვა თუ არა უარი კერძო სამართლის ისეთ არაკომერციულ იურიდიულ პირებებზე, როგორიცაა კავშირი და ფონდი თუ პირიქით, არაკომერციული იურიდიული პირების შექმნისას მეტი არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ დაინტერესებულ პირებს.

ამ კითხებზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 25.5-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შეიძლება ჰყავდეს, როგორც დამფუძნებლები ისე წევრები, შემომწირველები აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები. ე.ი

აშკარაა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შეიძლება იყოს, როგორც წევრობაზე დაფუძნებული, ისე წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად შემოწირულობაზე დამყარებული, განკერძოებული ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი. ანუ, სამოქალაქო კოდექსი არათუ არ ზღუდავს დაინტრესებულ პირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები შექმნან კავშირის ან ფონდის სახით, არამედ უტოვებს მათ სხვა არჩევანის თავისუფლებასაც.

ამრიგად, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას ფონდის სახითაც. ამ სახის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის არსებობა კი დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებასთან. მისი შემოსავლის წყარო დადგენილია კანონით და ხშირ შემთხვევებში შეიძლება განკარგოს მნიშვნელოვანი ქონება.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა, რომ 2009 წლის 1 ივლისიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც არსებობენ ფონდების სახით, გათანაბრებული იქნა სახელმწიფო დაწესებულებებთან თუ ისინი შედიან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ იურიდიულ პირთა ჩამონათვალში (იხ."საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). მათი ხელმძღვანელები კი ითვლებიან თანამდებობის პირებად, ხოლო დასაქმებული პირები საჯარო მოსამსახურეებად.

ამ ცვლილებამ გამოიწვია სხვა სახის საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაც. კერძოდ, 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის ახალი რედაქცია. მისი დანაწესი ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავში გათვალიწინებული სამოხელეო დანაშაულის სუბიექტები არიან არასამეწარმეო (არაკომერციული) ფონდის ის თანამშრომლებიც, რომლებიც ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ასეთ უფლებამოსილებას კი ახორციელებს მხოლოდ ის პირი, რომელიც გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს

და ხელს აწერს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამასვე ადასტურებს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2.1. მუხლის პირველი ნაწილი (2009 წლის 1 ივლისიდან მოქმედი რედაქციით), რომლითაც დადგენილია, რომ დასახელებული კანონის მიზნებისათვის საჯარო მოხელე არის პირი, რომელიც საქმიანობს სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებაში.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა გულისხმობს უფლებამოსილებას განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული. ამასთან, სადამფუძნებლო დოკუმენტით გაუთვალისწინებელი საქმიანობა უნდა იყოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, დაუშვებელია ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

რა შეიძლება იყოს მიზანი, რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული მოგება? ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა სამოქალაქო კოდექსის 25.5-ე მუხლი. თუმცა, რეალობის გათვალისწინებით დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება შეიძლება მოხმარდეს კონკრეტული პირების მხარდაჭერას, ან ისე, როგორც გერმანიაშია, ამ სახით მიღებული მოგებით ისარგებლონ დამფუძნებელთა ოჯახის წევრებმა (დესტინაცია), მაგრამ არა უშუალოდ დამფუძნებლებმა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა, სხვა იურიდიულ პირთა მსგავსად, წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ,, საქართველოს კანონი, ან სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტი, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის (ნებართვის) ან ავტორიზაციის გავლის

საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება- სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილში არის დათქმა იმის თაობაზე, რომ ამ სახის იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი გრაფიკული სიმბოლოები, რომელთაც არა აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი, ასევე "მეწარმეთა შესახებ" და "შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ" საქართველოს კანონებითა და "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები.

სამოქალაქო კოდექსის 27.2-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა ისიც, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი, ან გამოიწვიოს, როგორც შეცდომა ისე გაუგებრობა არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის და მისი საქმიანობის შესახებ.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ დაუშვებელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების შემოკლება ვინაიდან, ამის შესაძლებლობას უშვებს "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის პირველი ნაწილი. ასევე, სახელწოდებში არ შეიძლება ისეთი მითითება როგორიცაა: "კერძო სამართლის იურიდიული პირი", ვინაიდან "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს ამ პირის სახელწოდებას მითითებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სამოქალაქო კოდექსის 27.3-ე მუხლით დადგენილია სხვა შეზღუდვაც, კერძოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას.

იმ შემთხვევაში თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, მას უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ევალება, შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს ის ზიანი, რაც თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენა იურიდიულ პირს, განურჩევლად იმისა თუ რომელ სამართლებრივ ფორმას განეკუთვნება იგი. იმ შემთხვევაში კი როცა არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვას აქვს ადგილი, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი წესები.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის წესი- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ასევე უცხო ქვეყნის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის ან წარმომადგენლობის რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. მარეგისრტირებელ ორგანოს კი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრაციის საფუძველია განცხადებაზე დართული ყველა დამფუძნებლის ან წევრის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება ან შეთანხმება), რომელშიც მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 29.2-ე მუხლით სავალდებულოდ მიჩნეული რეკვიზიტები: იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი; წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია; რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირის ან ორგანოს დასახელება; გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა; არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა-არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა.

ჩამოთვლილი პირობების დაცვა წარმოადგენს ყველა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის სავალდებულოს. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის სხვა პირობები და წესი კი განისაზღვრება ,,მეწარმეთა შესახებ," პროფესიული კავშირის შესახებ," და ,,შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ" საქართველოს კანონებით. ანუ, კონკრეტული კანონით დადგენილი წესის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ სფეროში საქმიანობისთვისაა შექმნილი არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება, ასევე უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) **იურიდიული პირის ფილიალი ან/და წარმომადგენლობა.** მისი რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს: განცხადება ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის შესახებ; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ის მონაცემები, რასაც ითხოვს სამოქალაქო კოდექსი თვით იურიდიულ პირთან და მის ხელმძღვანელთან დაკავშირებით. ამდენად, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალი არის ორგანიზაციული ხასიათის წარმონაქმნი, რომელიც გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობს, კერძოდ არსებული პრაქტიკის თანახმად, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალს საქართველოში, როგორც პრეტენდენტს, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 3.1 მუხლის ი[1] ქვეპუნქტის თანახმად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში.

რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობის ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად კი ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების განთავსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაცია გულისხმობს, რომ სუბიექტს ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი და გაიცემა შესაბამისი ამონაწერი რეესტრიდან. მათზე უარის თქმა კი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

იურიდიულ პირთა შესახებ მონაცემები საჯაროა ანუ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს მათ შესახებ ამონაწერი, კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ.

რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ისეთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა დაინტერესებულმა პირმა იცოდა, ამ მონაცემთა უზუსტობის შესახებ.

საქართველოში დარეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირს, ისევე როგორც სამეწარმეო იურიდიულ პირს შეძლება ქონდეს ფილიალი, მაგრამ იგი უნდა აკმაყოფილებდეს ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის მოთხოვნებს, კერძოდ უნდა წარმოადგენდეს ამ იურიდიულ პირს, ან ასრულებდეს მის ფუნქციებს. ამასთან, არ უნდა იყოს იურიდიული პირი, საქმიანობას უნდა ახორციელებდეს დამფუძნებლის (წევრის) მიერ მიღებული აქტის ან ოქმის საფუძველზე და იყოს ისეთი განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) და სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი ცალკე რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრდა პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა იმ საკითხზე, რომელზედაც მხარე ედავება საწარმოს ფილიალს, სასამართლო პროცესში მოპასუხედ ჩართული უნდა იქნეს ძირითადი საწარმო და არა მისი ფილიალი. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს, არ გააჩნია განცალკევებული ქონება და კრედიტორთა წინაშე დამოუკიდებლად საკუთარი ქონებით პასუხს არ აგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ძირითადმა საწარმომ მის ფილიალზე უნდა გასცეს საპროცესო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

იმ შემთხვევაში როცა ფილიალს, მისი შექმნის დოკუმენტში მითითებული აქვს, რომ იგი არის ძირითადი საწარმოს წარმომადგენელი არა მხოლოდ მესამე პირებთან გარიგებების დადებისას, არამედ იგი, ძირითადი საწარმოს წარმომადგენელიცაა კონტრაჰენტებთან ურთიერთობაში, მაშინ ძირითადი საწარმოსაგან წარმომადგენლობის დამადასტურებელი უფლებამოსილების მიღება საჭირო არ არის.

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შეიძლება ქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი, რომელიც ემთხვევა თვით იურიდიული პირის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელს. შესაბამისად, იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ითვლება მისი ფილიალის ადგილსამსამყოფელად.

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა - არაკომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია, რომ ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან დააწესოს რამოდენიმე პირის (მაგ შეიქმნას გამგეობა) ერთობლივი ხელმძღვანებლობა და წარმომადგენლობა.

ხელმძღვანელობა გულისხმობს იურიდიული პირის სახელით გადაწვეტილების მიღების შესაძლებლობას. წარმომადგენლობა კი იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული წესები. დასახელებული ნორმა კი ამავდროულად შეიცავს სავალდებულო დანაწესს იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები კეთილსინდისიერად უნდა გაუძღვენ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ თუ არ შეასრულებენ ამ ვალდებულებას, მათ დაეკისრებათ იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებლობა წარმოშობილი ზიანისათვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიული პირის წევრები, ასევე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები იურიდიული პირის ვალდებულებისათვის პასუხს არ აგებენ.

რაც შეეხება არაკომერციულ იურიდიული პირის კუთვნილი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილების საკითხს, იგი წყდება შემდეგნაირად, ამ სახის იურიდიულ პირს შეუძლია გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული ქონება მხოლოდ მაშინ, განხორციელებული ლიკვიდაციის შედეგად თუ დარჩა ეს ქონება და: გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას; ემსახურება საქველმოქმედო მიზანს ან ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

დასაშვებია, რომ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის საქმიანობის კოორდინაციისათვის დამფუძნებლების (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამგეობის) მიერ მოწვეული იქნეს სამეთვალყურეო საბჭო. მისი შემადგენლობის ცვლილება ხორციელდება სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების (ორგანოს) მიერ და დადგენილი წესით.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: იურიდიული პირის გრძელვადიანი გეგმის განხილვა და დამტკიცება, იურიდიული პირის ბიუჯეტის ან/და ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება, იურიდიული პირის საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა, იურიდიული პირის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან დადებული ხელშეკრულებათა განხილვა-დამტკიცება, წლიურ სააუდიტო ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებისა და დასკვნების განხილვა და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც აისახება განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დამოუკიდებელი მოსაზრების დაფიქსირება სხდომის ოქმში.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო. კერძოდ, კონტროლი ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. მიმდინარე კომტროლს კი უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანო. კერძოდ, იურიდიული პირი არსებითად თუ გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო,

მარეგისტრირებელი ორგანოს ან დაინტერესებული პირის (მაგ. იუსტიციის სამინისტროს) სარჩელის საფუძველზე, განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს. ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ და შეამოწმოს მისი დოკუმენტაცია. აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე კი მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს იურიდიული პირის რეგისტრაციას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია-სამოქალაქო კოდექსის 38.1-ე მუხლის შესაბამისად აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა. რაც შეეხება რეორგანიზაციას იგი დასაშვებია გაყოფის (დაყოფა, გამოყოფა) ან შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) გზით, მეწარმე სუბიექტების რეორგანიზაციისათვის "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება: დამფუძნებელთა ან წევრთა გადაწყვეტილებით, გაკოტრების, მიზნის მიუღწევლობის და რეგისტრაციის გაუქმებისას, ასევე სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის აუცილებელია, რომ დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს თანხაში, დაკმაყოფილდეს კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

ლიკვიდაციის დაწყების შესახებ დამფუძნებელთა (წევრთა) მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამ ეტაპზეც შესაძლებელია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონების გასხვისება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს, ან გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

იმ შემთხვევაში, როცა არასაწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირის დამფუძნებლები (წევრები) არ განსაზღვრავენ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში, გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზანი. ასეთი იურიდიული პირი თუ არ გამოვლინდა, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

ლიკვიდაციას, როგორც წესი ახორციელებს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების მქონე პირი (პირები ანდა გამგეობა), მაგრამ თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებები, ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნა.

განსხვავებულად წყდება ლიკვიდატორის დანიშვნა თუ ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ლიკვიდატორს პირდაპირ ნიშნავს სასამართლო.

სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის წარმოება არ დაიშვება სისხლის სამართლის საქმის დაწყებიდან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის არსებობას წყვეტს მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის (ოგანოს) მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, სავალდებულოა ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

§ 7. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები

სამოქალაქო კოდექსის 1509.2 მუხლში არასამეწარმეო იურიდიული პირების შემდეგ ჩამოთვლილი იურიდიული პირები: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ ისეთ იურიდიულ პირებს რომელთა მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა. რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 24.5 მუხლის თანახმად, ამ სახის მეწარმე სუბიექტები და მათი ფილიალები უნდა შეიქმნას "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად.

სამეწარმეო იურიდიულ პირებს ის საერთო აქვთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომ შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს საქმიანობა მათი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული.

„მეწარმეთა შესახებ" კანონის 1.2 მუხლის თანახმად "სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად".

კანონმდებელმა სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი ყველა სუბიექტი მოაქცია ისეთი ერთიანი დეფინიციის ქვეშ, როგორიცაა "საწარმო" ანუ, კომპანია, კერძოდ: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ საწარმოებს/კომპანიებს.

მათგან იურიდიული პირი არ არის ინდივიდუალური მეწარმე, ვინაიდან ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში უფლება-მოვალეობებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი (მეწარმეთა შესახებ კანონის 2.3-ე მუხლი) და ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლე ხდება შესაბამისი ფიზიკური პირი.

ფიზიკურმა პირმა ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებისთვის მარეგისტრირებელ ორგანოში უნდა წარუდგინოს: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

ანალოგიურად, ამხანაგობები, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, მათი შექმნის მიზანი არ ყოფილა მოგების მიღება და ძირითადად ორიენტირებულნი არიან ხარჯებზე, არ ითვლებიან საწარმოდ. კერძოდ, ინდივიდიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა (სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლი) არ წარმოადგენს საწარმოს, რადგან მისი მიზანია მხოლოდ ამხანაგობის წევრების შენატანის პროპორციული წილის შესაბამისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება და არა შემოსავლის მიღება.[132]

„მეწარმეთა შესახებ" კანონის 1.3 მუხლის თანახმად სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ასევე ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტატთა), სასოფლო- სამეურნეო ან სატყეო- სამეურნეო საქმიანობა. ჩგამონაკლისია, როცა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საწარმოებში მუდმივად არის დასაქმებული მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ საწარმო დარეგირისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში.

ამრიგად, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. ამასთან, იძლევა მათ ზუსტ ჩამონათვალსაც, კერძოდ: "მეწარმეთა შესახებ" კანონის 2.3-ე მუხლის თანახმად: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს.

ამავე კანონში მოცემულია ჩამოთვლილ იურიდიულ პირთა ცნება და მათი საქმიანობის განმსაზღვრელი სპეციფიკური სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. ასე მაგ:

1) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) არის საზოგადოება, რომელშიც რამოდენიმე პირი (პარტნიორი)

---

132 იხ ნ. ტურაშვილი, მ. კვარაცხელია. ამხანაგობის საქმიანობის აღრიცხვისა და დაფუძნების თავისებურებები. ჟურნალი "გადასახადები და აღრიცხვა" 2007 წ. დეკემბერი №23. გვ. 22.

ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ (20.1-ე მუხლი).

"მეწარმეთა შესახებ" კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სპს-ის პარტნიორმა უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, კრედიტორი ვერ მოითხოვს იმ პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევას, რომლის მიმართაც სააღსრულებო ფურცელი არ გააჩნია. ანუ, თუ კრედიტორი საზოგადოების წინააღმდეგ შეიტანს სარჩელს და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება, კრედიტორმა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად უნდა მოითხოვოს სააღსრულებო ფურცლების გამოწერა საზოგადოების კონკრეტულ პარტნიორთა ქონებაზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქონებაზე იძულებითი გადახდევინებიხ მოქცევა არ განხორციელდება;

2011 წლის 24 ივლისს ,,მეწარმეთა შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის შემდეგ, სპს-ის პარტნიორი თუ გამოთქვამს სურვილს გავიდეს საწარმოდან, ამ საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ხოლო საწარმოში თუ შედის ახალი პარტნიორი, ასეთი საწარმოს მიმართ უნდა განხორციელდეს საწარმოს რეორგანიზაციისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები;

2) "მეწარმეთა შესახებ" კანონის 34.1-ე მუხლის თანახმად საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება (კს), მაგრამ აღნიშნულს მაშინ აქვს ადგილი თუ ერთი ან რამოდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის—სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კომანდიტურ საზოგადოებას ჰყავს ისეთი პარტნიორები, როგორიცაა კომანდიტი და კომპლე-

მენტარი. კომანდიტი არ მონაწილეობს საზოგადოების მართვაში, მაგრამ თუ მას წესდებით მინიჭებული აქვს ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე უფლებამოსილების განხორციელების უფლება, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, ამ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს არა როგორც კომანდიტი, არამედ როგორც ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირი (იხ.37.2 და 9.6 მუხლები).

ჩვეულებრივ პირობებში კი კომანდიტი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ საზოგადოების შექმნისას შეტანილი საგარანტიო თანხის ფარგლებში.

კომანდიტისაგან განსხვავებით, პერსონალური პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ეკისრება სრულ პარტნიორს-კომპლემენტარს.

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 34.3-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პარტნიორები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები. რაც შეეხება კაპიტალში წილს, პარტნიორთა შეთანხმება სხვა რაიმეს თუ არ ითვალისწინებს, წილები შეიძლება განაწილდეს მხოლოდ კომანდიტებს შორის.

კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ კომპლემენტარებს (34.4 მუხლი). კომპლემენტარის მიერ საწარმოდან წასვლის სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოება. ანალოგიურ სურვილს თუ გამოთქვამს ყველა კომანდიტი ან საწარმოში შევა ახალი პარტნიორი, საწარმოში უნდა გატარდეს რეორგანიზაციის ღონისძიებები;

3) "მეწარმეთა შესახებ" კანონის 44.1-ე მუხლის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ამ სახის იურიდიული პირის დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. მისი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

საზოგადოების პარტნიორი არ არის ვალდებული იკისროს საზოგადოების ვალდებულებების შესრულება. თუმცა, ამ მხრივ არის გამონაკლისიც, კერძოდ: შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოების პარტნიორი, ისევე როგორც კომანდიტური საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის პარტნიორები, საწესდებო კაპიტალის სახით შესატანი თანხის სრულად შეტანამდე. საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეტანილი თანხის ოდენობით, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შესატანის სრულ შეტანამდე (მეწარმეთა შესახებ კანონის 3.4-ე მუხლი);

4) სააქციო საზოგადოება (სს)-არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. თავის მხრივ აქცია ისეთი არამატერიალიზირებული სახელობითი ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს აქციონერის მიმართ საზოგადოების ვალდებულებებს და განსაზღვრავს აქციონერის უფლებებს საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საზოგადოების ქონებით. ანუ, აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პასუხისმგებლობა დადგა აქციონერთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულ შეტანამდე.

სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. თუმცა, წესდებით შეიძლება დადგინდეს აქციების მინიმალური ღირებულებაც. აქცია არის ორი სახის–ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დადგენილი განაკვეთით დივიდენდის მიღებას, ხოლო ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე.

სააქციო საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფო, რომელიც შეიტანს შესატანს აქციის მისაღებად.

2010 წლის 07 ივლისამდე მოქმედი ,,სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, თუ არსებული საწარმო დაფუძნდებოდა სააქციო საზოგადოებად, იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენდა ძირითად სამუშაო ადგილს, ასევე იმ პირებს, რომლებსაც უფლება ჰქონდათ დაბრუნებულიყვნენ ამ საწარმოში და პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ, იმ პირებთან ერთად, რომლებიც საწარ-

მოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე ერთი წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული იყვნენ, როგორც უმუშევრები, საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისთვის ერთდროულად უსასყიდლოდ უნდა გადაცემოდათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები. ამასთან, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით აქციის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგ ოდენობაზე მეტი (იხ. "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

ამ სახის დანაწესს ახალი ნორმატიული აქტი, კერძოდ ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონი არ შეიცავს, მაგრამ დასახელებული კანონის 47.5-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებულ, სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, ვრცელდება ძველი კანონით არსებული წესები, რის გამოც ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებადია ძველი კანონი.

აქციონერის საკუთრების უფლებას აქციაზე ადასტურებს სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერი. აქციონერს კი გადაეცემა ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან. იმ შემთხვევაში თუ აქციონერთა რაოდენობა 50 აქციონერზე მეტია, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერთა რეესტრის წარმოება აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

„მეწარმეთა შესახებ" კანონში 2011 წლი 1-ლ ივლისს შესული ცვლილებიდან გამომდინარე, აქციონერს შეუძლია წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობა და მისცეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. კრებაში მონაწილეობა აქციონერს შეუძლია, როგორც პირადობის მოწმობის ისე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასახელებული კანონით დაშვებულია კრების მუშაობაში აქციონერი მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობითაც, მაგრამ ამისთვის საჭიროა წერილობითი მინდობილობა;

5) შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და არაა მიმართული უპირატესი მოგების მიღებაზე არის კოოპერატივი.

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 60.1-ე მუხლის თანახმად კოოპერატივებს მიეკუთნება: საკუთარი წევრებისათვის ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები; სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი მიღების კოოპერატივები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები); მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები; სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები-საკრედიტო კავშირები და სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივის დასაფუძნებლად სავალდებულოა "პაი''-ს შეტანა. მისი მინიმალური ოდენობა განისაზღვრება თვით დამფუძნებელთა მიერ. ამასთან, პაის რაიდენობა შეზღუდული არ არის. შესაბამისად, კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე პაი.

იურიდიული პირები მიუხედავად მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმისა, შეიძლება დაიყოს სახეებად სხვა საფუძვლითაც. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან. კერძოდ, იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ: ა) კორპორაციულად ორგანიზებული; ბ) წევრობაზე დაფუძნებული; გ) წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი.

კორპორაციულად ორგანიზებული იურიდიული პირი ისეთი იურიდიული პირია, რომელიც გაერთიანების საფუძველზეა შექმნილი. მაგ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება,

კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, (გარდა იმ შემთხვევებისა როცა იგი დაფუძნებულია ერთი პირის მიერ), სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირებს.

წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირები ისეთი იურიდიული პირებია, რომელთა არსებობა დამოკიდებულია წევრთა რაოდენობაზე. ამ სახის იურიდიული პირებია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კომანდიტურ საზოგადოება, ვინაიდან მათ დასაფუძნებლად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა.

წევრთა მდგომარეობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული პირის არსებობა დამოკიდებულია თვით დამფუძნებელთა ნებაზე მაგ. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია, რომ ერთ-ერთი წევრის (პარტნიორის) გასვლა იწვევს საზოგადოების დაშლას, მაშინ ეს იქნება წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული იურიდიული პირი.

იურიდიული პირის საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხისა და როლის გათვალისწინებით ზოგიერთი ავტორი სამეწარმეო იურიდიული პირებს ყოფს ამხანაგობად და საზოგადოებად.

"ამხანაგობა" ისეთი იურიდიული პირია, რომელშიც პირადი შრომით მონაწილეობენ ფიზიკური პირები და სავალდებულო არ არის კაპიტალის სახით რაიმე სახის ფულადი თანხის შეტანა.

მოცემულ შემთხვევაში არ იგულისხმება ერთობლივი საქმიანობის მიზნით შექმნილი ამხანაგობა ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად იგი არის ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, სადაც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედონ, საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად, ხელშეკრულებითგათვალისწინებული საშუალებებით, მაგრამ იურიდიული პირის შეუქმნელად.

როგორც ვხედავთ, კანონმდებლობა არ ზღუდავს ამხანაგობის შექმნის პირობებს. ამდენად, იგი შეიძლება შექმნან ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად.

ამ ტიპის ამხანაგობებს იცნობს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს (partnership) და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა.

რაც შეეხება საზოგადოებას იგი ისეთი იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია მასში გაერთიანებული პირების მიერ შეტანილი გარკვეული კაპიტალის საფუძველზე.[133]

ავტორთა მეორე ჯგუფი "მეწარმეთა შესახებ" კანონში ჩამოთვლილ იურიდიულ პირებს პირობითად ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებად და კაპიტალურ (ანუ კაპიტალისტურ) საზოგადოებებად. პირველს განეკუთნება: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს), რომლებისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს.

კაპიტალური საზოგადოების არსებობა კი დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან. ამ ტიპის საზოგადოების პარტნიორები მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს), საქციო საზოგადოების (სს) და კოოპერატივის წევრები არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე, თუმცა კრედიტორების ინტერესების დასაცავად აუცილებელია ჰქონდეთ მინიმალური ქონება, ანუ კაპიტალი.[134]

---

133 ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი. I ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წ. გვ. 167.

134 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი, 1999წ. გვ. 120.

§8. სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია

კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ის საერთო აქვთ, რომ ისინი სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობენ როგორც თანაბარუფლებიანი სუბიექტები. აღნიშნულის თაობაზე იმპერატიულადაა ხაზგასმული სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

იურიდიულ ლიტერატურაში, იურიდიული პირების დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, მიჩნეულია იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალურ დაყოფად.[135] ამის მიზეზად კი სახელდება ის, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა, ეს მაშინ როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური სამართლებრივი აქტების საფუძველზე ხორციელდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები და მათი ფილიალები აუცილებლად უნდა შეიქმნას "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრაციაში გატარდეს მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

2011 წლის 24 ივლისს ,,მეწარმეთა შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ რეგისტრაციისთვის აუცილებელია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ და კომანდიტურმა საზოგადოებამ წარადგინონ მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ. ამასთან, ამ საზოგადოებებში პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს.

---

135 "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", ნიგნი პირველი, თბილისი, 1999 წ. გვ. 103.

სამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ბიზნესის დაწყების პროცესის დაჩქარებას, კომპანიების რეგისტრაციის გამარტივებას და პარტნიორთა ნების გამოვლენის ხარისხის ამაღლებას. ამის ერთერთი წინაპირობა ისიცაა, რომ სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შეტანის ოდენობა (''მეწარმეთა შესახებ'' კანონის 3.5-ე მუხლი). ამასთან, შენატანი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ანდა მომსახურეობის გაწევა (იხ. ''მეწარმეთა შესახებ'' კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი).

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ერთროულად გულისხმობს როგორც სახელმწიფო ისე საგადასახადო რეგისტრაციას მეწარმე სუბიექტის მიერ გაცხადებული მისამართის მიხედვით. გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის ან ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით ან რეგისტრაციის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი. ამდენად, მასში მითითებული უნდა იყოს: საწარმოს საფირმო სახელწოდება; საწარმოს სამართლებრივი ფორმა; იურიდიული მისამართი; პარტნიორთა დემოგრაფიული მონაცემები და პირადი ნომერი. თუ პარტნიორი იურიდიული პირია მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის არსებობის შემთხვევაში ამ პირის სახელი და

გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი; საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის ან კომანდიტური საზოგადოებების შემთხვევაში-მონაცემები პარტნიორთა და კომანდიტთა წილის შესახებ; საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან პირების სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, უფლებამოსილების ვადა, პირადი ნომერი და საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის/პირების დანიშვნისთვის ამ პირის/პირების ნების დამადასტურებელი დოკუმენტი; პროკურის არსებობის შემთხვევაში პროკურისტის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი; თუ საწარმოს წარმომადენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ყავს- ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე: სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო უფლებამოსილი პირი თუ იურიდიული პირია-მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის სავალდებულო არ არის საწარმოს ბეჭდის არსებობა. მეტიც დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ ან რაიმე ნორმატიული აქტით მოთხოვილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი (იხ. მეწარმეთა შესახებ კანონის 5.5 5.6 მუხლები).

ქართული კანონმდებლობა უშვებს საწარმოთა რედომიცილების შესაძლებლობას- რაც გულისხმობს, რომ დასაშვებია, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმო გადმოტანილი იქნეს საქართველოში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად და პირიქით, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს უფლება აქვს გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად.

თუ საწარმოს პარტნიორები, ხელმძღვანელობაზე ანდა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქეების მიერ

საქართველოში რეგისტრირებული საწარმოებისათვის დადგენილ ექვივალენტურ მონაცემებს.

ამ დოკუმენტების ექვივალენტურობის წესის განსაზღვრა კი საქართველოს ფინანსთა მინისტრის პრეროგატივაა.

თუ სახეზეა იურიდიული პირი, მის მიერ რედოციმილებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული იყოს სათანადო წესით (მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი).

„მეწარმეთა შესახებ" კანონით დადგენილია 3 შემთხვევა, როცა საწარმოს შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე. კერძოდ, აღნიშნულს მაშინ აქვს ადგილი: თუ მოთხოვნა რეგისტრაციის შესახებ ან წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს „მეწარმეთა შესახებ" კანონის მოთხოვნებს, სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები ან/და არ არის გადახდილი მომსახურების საფასური.

ჩამოთვლილ შემთხვევებში რეგისტრაციის მსურველს დაუდგინდება 30 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამ ვადის გასვლის შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რა დროსაც განმცხადებელს უბრუნდება დოკუმენტაცია, გარდა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა. ზემოთქმული ვრცელდება ასევე ინდივიდუალურ მეწარმეთა მიმართ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი საჩივრდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ზემდგომ ორგანოში, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი სასამართლოში.

§9. სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და მომადგენლობა

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება- საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, როგორც წესი მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.

ხელმძღვანელობის უფლება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გააჩნია ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს), ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში-დირექტორს.

ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის თუ ცნობილი იყო ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ან ორივე მხარე განზრახ მოქმედებდა მეწარმე სუბიექტისათვის ზიანის მიყენების მიზნით, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე.

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს, როგორც წესი, პარტნიორებთა შეთანხმების გარეშე არ შეუძლიათ განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, გარდა იმ შემთხვევისა თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორისთვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად ზიანის არსებობის შემთხვევაში, ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.5 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ყველა პარტნიორს (სააქციო საზოგადოებაში კი აქციათა 5%-ს მფლობელს ან აქციონერთა ჯგუფს) უფლება აქვს მოსთხოვოს დამრღვევს, როგორც ზიანის ანაზღაურება ისე ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების უფლებაზე უარის თქმა.

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ისე როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ევალებათ, რომ საქმეს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. ეს გულისხმობს, რომ საქმეზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, ამასთან მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის, პასუხსმგებლობა დაეკისრებათ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებებით აღჭურვილი პირი ამ უფლებამოსილებას ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით და აღნიშნულს მოყვება მნიშვნელოვანი (ასეთად, როგორც წესი მიიჩნევა 150 ლარზე მეტი) ზიანი, ქმედება ფასდება დანაშაულად და წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, დამნაშავეს შეიძლება სასჯელის სახით შეეფარდოს, ჯარიმა, ან 2 წლამდე გამასწორებელო სამუშაოები, ანაც თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე ვადით. (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 220 მუხლი).

2011 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილების, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსზე 220[1] მუხლის დამატების, შემდეგ დასჯად დანაშაულად გამოცხადდა, კერძო სამართლის იურიდიულ პირთა ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა გულგრილობაც, თუ ამან სახელმწიფო ინტერესების არსებითი (მაგ. ბიუჯეტში გადასახადის სახით შესატანი თანხის შემცირება) დარღვევა გამოიწვია. ხოლო თუ ამ ქმედებას მოყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, აღნიშნული წარმოადგენს მაკვალიფიცირებელ (დამამძიმებელ) გარემოებებს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 დან 5 წლამდე.

ცალკეულ შემთხვევებში სარეგისტრაციო დოკუმენტაციით განსაზღვრული არ არის საწარმოს ხელმძღვანელობასა და

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის/პირების უფლებამოსილების ვადა, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ,,მეწარმეთა შესახებ" კანონში 2011 წლის 24 ივლისს შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ თუ უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული არ არის იგი ითვლება შეუზღუდავად. შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ მომხდარა ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პირის/პირების უფლებამოსილების ვადა ითვლება უვადოდ გაგრძელებულად.

ცალკეულ შემთხვევებში მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, რეგისტრირებული ინფორმაცია არ იძლევა წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილი პირის ან რეგისტრირებული პარტნიორის/დამფუძნებლის იდენტიფიცირების საშუალებას. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოებაც და სააგენტოს მიეცა უფლება, უფლებამოსილი პირის ან ორგანოსათვის მიმართვის გზით მოახდინოს იდენტიფიცირება, მაგრამ თუ ეს ღონისძიებაც არ აღმოჩნდა საკმარისი, ამონაწერში აისახება ინფორმაცია მათი იდენტიფიცირების შეუძლებლობის შესახებ.(იხ. მეწარმეთა შესახებ კანონის 7.4 მუხლი).

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან/პირებთან, ისევე როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები, რეგულირდება ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით, საწარმოს წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია რეგისტრაციის შეწყვეტა. აღნიშნულს კი მაშინ აქვს ადგილი თუ: უფლებამოსილი პირი (მაგ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს განცხადებას საწარმოს ხელმძღვანელად და წარმომადგენლად რეგისტრირებული პირის განთავისუფლების შესახებ; მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება თვით რეგისტრირებული პირის განცხადება რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნით; რეგისტრირებული პირი გარდაიცვლება, სასამართლოს მიერ გამოცხადებულია გარდაცვლილად, ან აღიარებულია

უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად.

პირველ და მეორე შემთხვევაში რეგისტრაციამდე უნდა არსებობდეს დასაქმებულის ან დამსაქმებლის შეტყობინება მეორე მხარისთვის, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შემთხვევში, მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა კი განისაზღვრება, შრომის კოდექსით, სამოქალაქო კოდექსით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

§10. სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო

იურიდიული პირების უმაღლესი მმართველობის ორგანო პარტნიორთა საერთო კრებაა. თუ ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. ჩგარდა ამისა საწარმოს ყველა პარტნიორს (შპს-ის შემთხვევაში დირექტორსაც) შეუძლია მოიწვიოს ერთი კვირის ვადაში პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში, ყველა პარტნიორს ეგზავნება დაზღვეული წერილი. შესაძლებელია კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებაც, თუ იგი იძლევა წერილის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს, რომელშიც დამატების შეტანა დასაშვებია მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში.

პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების ინიციატორს, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით, ხელახლა შეუძლია მოიწვიოს კრება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მასზე გამოცხადდება თუ არა ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი ან პარტნიორები.

კრებას თავმჯდომარეობს ხმების უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისთავავე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს. იმ შემთხვევაში თუ კრებაზე იხილება ერთერთ პარტნიორთან საზოგადოების სადაო საკითხი, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება დღის წესრიგში შეტანილ საკითხს. ამდენად, პარტნიორთა წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

საზოგადოების წესდება შეზღუდული არ არის იმ ნაწილში, რომ გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით იმ შემთხვევის გარდა თუ "მეწარმეთა შესახებ კანონი: არ მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად ან/და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე პარტნიორს.

პარტნიორთა საერთო კრებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების თითოეულ პარტნიორს და კომანდიტური საზოგადოების სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) თითო ხმა აქვთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილის პროპორციულად, კომანდიტს კი ხმის უფლება არა აქვს. კრების მუშაობაში პარტნიორები მონაწილეობენ პირადად. ამ მხრივ განსხვავებული წესია დადგენილი მხოლოდ სააქციო საზოგადოებისათვის, რის შესახებაც ზემოთ უკვე აღინიშნა.

პარტნიორთა საერთო კრების გადასაწყვეტია შემდეგი საკითხები: წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა; ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია; ისეთი ვალდებულების აღება, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; პროკურის გაცემა და გაუქმება; წლიური შედეგების დამტკიცება; აუდიტორის არჩევა; საწარმოს რეორაგანიზაცია და ლიკვიდაცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრება ასევე იღებს გადაწყვეტილებებს: ხელმძღვანელ პირთათვის მოგების და საერთო შემოსავალში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრის; შენატანების მოთხოვნის; დამატებითი შენატანების უკან დაბრუნების; დირექტორების დანიშვნა-გამოწვევის, მათთან ხელშეკრულების დადების და შეწყვეტის; ანგარიშების დამტკიცების; სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, დამატებითი შენატანების გზით საწარმოოს კაპიტალის გაზრდის და ყველა იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურა) გაცემისა და გაუქმების თაობაზე. ამდენად, ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას მის შესახებ.

პროკურას არსებობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ "მეწარმეთა შესახებ კანონი" საწარმოს ურთიერთობებში უშვებს, გენერალური სავაჭრო წარმომადგენელის (პროკურისტის) მონაწილეობის შესაძლებლობას. მასზე გაიცემა გენერალური სავაჭ-

რო მინდობილობა ანუ, პროკურა, რაც იმის დასტურია, რომ მისი მფლობელი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან ერთად წარმოადგენს საწარმოს.

პროკურა წერილობითი სახის სპეციალური სავაჭრო (კომერციული) მონდობილობაა, რომლითაც ორ ან რამდენიმე პირს ერთდროულად შეიძლება მიეცეს უფლება, რომ წარმოადგენდნენ საწარმოს. იმ შემთხვევაში, როცა პროკურა გაიცემა ორ ან რამდენიმე პირზე ასეთი პროკურა საერთო მინდობილობაა. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე პროკურის გაცემის უფლება აქვთ ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს. კერძოდ, მისი გაცემა შეუძლია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმოს ყველა პარტნიორს; კომანდიტური საზოგადოების ყველა პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორს (კომპლემენტარს); შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოში და კოოპერატივში მათ დირექტორებს, ხოლო ინდივიდუალურ საწარმოებში ინდივიდუალურ მეწარმეს. ამ სახის მინდობილობის მფლობელი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში.

პროკურა მის მფლობელს აძლევს შეუზღუდავ უფლებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ყველა სახის საქმიანობა (მაგ. დადოს ხელშეკრულება) და სამართლებრივი მოქმედება (მაგ. გამოვიდეს სასამართლოში), გარდა მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვისა. ამ სახის უფლებამოსილების თაობაზე კი სპეციალურად უნდა აღინიშნოს პროკურისტისთვის მიცემულ მინდობილობაში.

ჩვეულებრივ სავაჭრო წარმომადგენელზე, ვინაიდან მასში იგულისხმება მხოლოდ იურიდიული მოქმედების შესრულების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, გენერალური სავაჭრო მინდობილობა/პროკურა ვერ გაიცემა. შესაბამისად, სავაჭრო წარმომადგენელთან ისევე, როგორც დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან ურთიერთობა რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით.

პროკურისტი/გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია თავის ხელმოწერას დაურთოს სახელი, გვარი და პროკურის აღმნიშვნელი დამატება, რაც დამოუკიდებელ მოვაჭრეს და კომისიონერს არ მოეთხოვებათ. პროკურა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს. ამასთან, ხელშეკრულებით თუ გათვალისწინებული იყო საზღაურის გადახდა ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს.

პროკურას შინაარსის შეცვლა (თუ ამით ფაქტობრივად არ უქმდება ან არ ხდება ახალი პროკურას გაცემა), არ საჭიროებს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას, ვინაიდან მსგავს დანაწესს კანონი არ შეიცავს. ამდენად, პროკურაში თუ იცვლება პროკურისტის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, ამის შესახებ გადაწყვეტილება საზოგადოების ხელმძღვნელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის პრეროგატივაა. შესაბამისად, პროკურაში, ცვლილების განხორციელებისათვის საკმარისია, რომ სამეწარმეო რეესტრში წარდგენილი იქნეს უფლებამოსილი პირის განცხადება.

სამეთვალყურეო საბჭო-იურიდიულ პირთა პარტნიორთა საერთო კრებაზე შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა საერთო კრების შემდეგ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საწარმოს მართვაში. ამიტომაცაა, რომ მეწარმე სუბიექტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ევალებათ წარმომადგენლობის და ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან ერთად, კეთილსინდისიერად გაუძღვნენ საზოგადოების საქმეებს. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად (ერთობლივად), მთელი თავისი ქონებით (ანუ ყველაფრით რაც მათ სახელზე ირიცხება) პირდაპირ და უშუალოდ, ანუ პერსონალურად.

დირექტორებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება "მეწარმეთა შესახებ კანონით," მეწარმე იურიდიული პირების წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებით.

იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს ანუ საკონტროლო პაკეტს,

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. მსგავს შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს შეიძლება ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება იყვნენ საჯარო მოსამსახურები, გარდა იმ შემთხვევისა როცა ამ იურიდიულ პირთან მათ არა აქვთ ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრები, რომლებიც საჯარო მოსამსახურეები არიან დაკისრებულ მოვალეობებს უნდა ასრულებდენ ანაზღაურების გარეშე.

სამეთვალყურეო საბჭოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოების საქმიანობაში. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს, ამ სახის საზოგადოებაში, შეუძლია რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება, რაც იმ სპეციფიკით გამოირჩევა, რომ თვით სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. შეტყობინება კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ბეჭდის ორგანოში. ამასთან, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დღის წესრიგის და როგორც დირექტორების ისე სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გამოქვეყნება.

საერთო კრების მუშაობას სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, მისი არყოფნისას-მოადგილე, მოადგილის არ ყოფნისას კი ერთერთი დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების პრეროგატივაა. კრება ირჩევს ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და შეუძლია მათი გამოწვევა, განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადას და მისი შრომის ანაზღაურების საკითხს.

როგორც წესი სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა დამოკიდებულია თვით მეწარმე სუბიექტებზე, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ ისეთ სააქციო საზოგადოებებში, რომლებიც შექმნილია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის საფუძველზე და არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან ისეთ სააქციო საზოგადოებაში, რომელიც ლიცენ-

ზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან/და სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრის შემადგენლობით.

ისეთ სააქციო საზოგადოებებში, სადაც სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა სავალდებულოა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ირჩევს საერთო კრება ერთი წლის ვადით. მათ უფლებამოსილება უგრძელდებათ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა და გადადგომა კი დაიშვება ნებისმიერ დროს. თუ წევრის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში არ იქნა არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ ერთერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადებით, სასამართლომ შეიძლება დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა და ამ შემთხვევაშიც თუ ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, საბჭოს წევრთა შორის უხუცესი დაინიშნება თავჯდომარედ.

თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მოადგილე იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და როგორც წესი თვითონ ან სხდომის მდივანი ადგენს ოქმს. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორის საქმიანობას, რაც გულისხმობს საზოგადოების საქმიანობის ანგარიშის გამოთხოვას, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების შემოწმებას და სხვა.

§11. სამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში-სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

პარტიორები საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ საერთო კრებაზე, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

პარტიორთა გადაწყვეტილება, საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, საჭიროებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სათანადო რეგისტრაციას. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, დაუყონებლივ ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-შემოსავლების სამსახურს.

შემოსავლების სამსახური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოსათვის სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. ამ სახის ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საგადასახადო შემოწმების ჩატარებისა და დავალიანების არსებობის დადასტურების ვადის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს ლიკვიდაციის დაწყებიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადსახადო შემოწმების 90 დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. თუ ზემოთმითითებული ვადები იქნა გაშვებული ითვლება, რომ მეწარმე იურიდიული პირი დავალიანების არმქონეა.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება ინფორმაცია, სადაც მითითებული უნდა იყოს საწარმოს ყვე-

ლა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. ამასთან, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც ასევე უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები.

საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს, მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს ასევე შეუძლია კრედიტორთა დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისცრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ან/და ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმომ — საწარმოს ანგარიშზე.

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო უფლებამოსილია საწარმოს ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარად, სხვა მეწარმე სუბიექტები კი ასეთი უფლებით არ სარგებლობენ.

თუ პარტნიორები გადაწყვეტენ ქონების განაწილებას ნატურით გაყოფის გზით, ისინი ვალდებული არიან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, ნატურით გაყოფამდე, საკუთარი ხარჯებით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მისი მიბარების გზით. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილება, ან ქონების განკარგვა კი შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით.

ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე

ადრე შესრულება. ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში, როგორც წესი, დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება, მისი დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

საწარმოს რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების/ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ კი დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა. საგასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში კი- საგასასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და საწარმოს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზეც აღინიშნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.

თუ ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა ან შეუძლებელია მისი გამოსწორება, მარეგისტრირებელი ორგანო მიმარ-

თავს სასამართლოს რეგისტრირებული საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროცედურებს.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენიც. ასეთ შემთხვევაში ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი და გამოიყენება ,,გადახდისუუნარობის შესახებ"საქართველოს კანონის ნორმები.

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია მისი განცხადება, ასევე ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ან ქმედუუნაროდ ან/და შეზღუდულქმედუნარიანად ცნობა. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ონიციატივით.

ლიკვიდაციის გარდა პატრნიორებს შეუძლიათ მოახდონონ საწარმოს რეორგანიზაცია. ,,მეწარმეთა შესახებ" კანონი იცნობს რეორგანიზაციის 3 სახეს, ესენია: გარდაქმნა ანუ სამართლებრივი ფორმის შეცვლა; შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

ზემოთქმული ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის საწარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ, მაგრამ ამ შემთხვევაში წესდებით უნდა მოხდეს პარტნიორთა უფლებამოსილებების ხელახალი გადანაწილება და სხვა შემზღუდველი გარემოებების გათვალისწინება, კერძოდ: წესდებით სხვა რამ თუ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და პირიქით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

საწარმოებს შეუძლიათ გაერთიანება, ანუ შერწყმაც. სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირების გაერთიანებისთვის განსხვავებული წესი მოქმედებს, კერძოდ სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა გაიმიჯნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს, თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ. საწარმოთა შერწყმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა განისაზღვროს ასევე, პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. ის საწარმო კი, რომელმაც სხვა საწარმო მიიერთა, ასევე ახალშექმნილი საწარმო, წარმოადგენს ადრინდელი საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლეს.

,,მეწარმეთა შესახებ" კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ საწარმო დაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. საწარმოს რეორგანიზაცია გაყოფის გზით უშვებს საწარმოდან ახალი საწარმოს გამოყოფის შესაძლებლობასაც. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ გარემოებას, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში მონაწილებდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე. გაყოფის გზით წარმოქმნილი საწარმოები თავდაპირველი საწარმოს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოშობილია საწარმოს გაყოფამდე, სოლიდარულად აგებენ პასუხს. თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლის შესახებ კი მითითებული უნდა იყოს საწარმოს გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში.

ცალკეულ შემთხვევებში, საწარმოს გაყოფის პარალელურად, საზოგადოების პარტნიორები ან აქციონრები ითხოვენ საზოგადოების ქონებიდან თავიანთი წილის პროპორციულად ქონების ნატურით გამოყოფას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად საზოგადოებიდან გასულ პირს არ შეიძლება ქონება მიეცეს ნატურით. აღნიშნულის მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ საზოგადოების ქონება და საწესდებო კაპიტალში პარტნიორის წილი სხვადასხვა სამართლებრივი ბუნების მატარებელი ელემენტებია. ამდენად, საზოგადოების კაპიტალში შენატანი თუ კონკრეტული ნივთია, კანონის თანახმად, ეს ნივთი ხდება საზოგადოების საკუთრება და მისი დაბრუნების შემთხვევაში გაყოფილი საწარმოები ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად საქმიანობის გაგრძელებას. (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ უზენაესი სასამართლოს განჩინებები № ას 117815-03 და № 3კ/409-03 საქმეებზე).

პარტნიორთა მიერ მიღებულ საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები.

სამართლებრივი ფორმის ისეთი ცვლილებისას, რომლის დროსაც საწარმომ უნდა, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება მისი ქონება, ასევე თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, საჭირო არ არის გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესების დაცვა. შესაბამისად, კრედიტორებს არ წარმოეშობათ ის უფლებამოსილება, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. აღსანიშნავია ისიც, რომ სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და პირიქით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა არ წარმოადგენს კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებას.

შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკირ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

საწარმოების გაერთიანებისა და დაყოფის რეგისტრაცია ხორციელდება საწარმოს რეგისტრაციისათვის ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონითა და ინტრუქციით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ახლად წარმოშობილი სუბიექტების რაოდენობის შესაბამისი მოსახურების საფასურის გადახდის საფუძველზე.

საწარმოს რეორგანიზაციისას სავალდებულოა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტიდან დგინდება საგადასახადო ორგანოს მიმართ საწარმოს დავალიანების არსებობა, ეს არის საწარმოს რეორგანიზაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარის თქმის საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია, ან საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი, ანდა არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა დავალიანების მქონე საწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული ლიკვიდაციის პროცესი წყდება.

იმ საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ლიკვიდაციის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

საწარმოსთან (მათ შორის ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციასთან) დაკავშირებით პრეტენზიების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა 5 წელია. მისი ათვლა იწყება წარმოშობის დღიდან.

სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორთა კრების ოქმების გასაჩივრება დაიშვება მისი შედგენიდან 2 თვის განმავლობაში, მაგრამ თუ კრება (სხდომა) მოწვეულია კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით გასაჩივრების ვადა შეადგენს 1 წელს.

თავი მესამე

სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტები

§1. არარეგისტრირებული კავშირი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლით დაშვებულია არარეგისტრირებული კავშირის არსებობა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ არარეგისტრირებული კავშირი წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის, ანუ სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს.

არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიულ პირი და თავისი უფლებრივი მდგომარეობით არც ფიზიკურ პირს უთანაბრდება. შესაბამისად, იგი არის გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი ისეთი გაერთიანება, სადაც წევრთა მაქსიმალური რაოდენობა განუსაზღვრელია, მინიმალური კი არ შეიძლება იყოს ორ წევრზე ნაკლები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი, როგორ გაერთიანება არ იარსებებს.

არარეგისტრირებული კავშირის წევრები ამ სახის გაერთიანების მოწყობის, მისი სტრუქტურის და მართვის ორგანოების განსაზღვრისას სრულ თავისუფლებას ინარჩუნებენ. ამდენად ეს საკითხები შეუძლიათ გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.

ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყდეს ასევე, არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონების შექმნის ერთადერთი საფუძვლის-საწევრო შენატანების ოდენობა და მისი შეტანის პერიოდულობა. კავშირის წევრთა შეთანხმების საგანს წარმოადგენს ისიც, არარეგისტრირებული კავშირი სამართლებრივ ან სხვა სახის ყოფით ურთერთობებში თავისი წევრებით იქნება წარმოდგენილი თუ საამისოდ უფლებამოსილი პირით.

კავშირის რეგისტრაციის აუცილებლობას კანონი არ ითვალისწინებს ამდენად, დავის შემთხვევაში, ყოველგავრი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სასურველია, რომ არარეგისტრირებული კავშირის წევრთა შორის ყველა ზემოთჩამოთვლილ საკითხზე შეთანხმება აისახოს წერილობით დოკუმენტში. მაგ. ხელშეკრულებაში. დასაშვებია ამ მიზნით წესდების არსებობაც, ვინაიდან კანონი არ ავალდებულებს კავშირის წევრებს შექმნან

რაიმე სახის დოკუმენტი ამ მიმართებით, თუმცა არც ზღუდავს მათ ამგვარ ინიციატივას.

არარეგისტრირებული კავშირის, ისევე, როგორც არაკომერციული იურიდიული პირის, შექმნას საფუძვლად უდევს მასში გაერთიანებულ წევრთა იდეალური მიზანი, ანუ არ არის ორიენტირებული მოგებაზე. აღნიშნული განასხვავებს მას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ამხანაგობისაგან, ვინაიდან არარეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ ამხანაგობაში დომინირებს საერთო სამეურნეო მიზნის მიღწევის სურვილი. ამდენად, ამხანაგობას შეუძლია შემოსავლის მიღებაც, რადგან კანონით არის განსაზღვრული შემოსავლების განაწილების წესი.[136]

არარეგისტრირებული კავშირის მიერ აღებული ვალდებულებები კრედიტორების წინაშე უნდა დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან, მაგრამ თუ არსებობენ ისეთი კონკრეტული სხვა პირები, რომლებიც მოქმედებენ არარეგისტრირებული კავშირის სახელით მაშინ ისინიც, სოლიდარული მოვალეების სახით პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე პერსონალურად.

არარეგისტრირებული კავშირები, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, ისინი ხშირად გვხვდებიან მშობელთა გაერთიანებების, ადვოკატთა კავშირების, რელიგიური გაერთიანებების და ა.შ. სახით, რომლებისთვისაც აუცილებელი არ არის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

მათი საქმიანობისთვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა, რომ გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რათა კომერციულმა ბანკებმა უზრუნველყონ არარეგისტრირებული კავშირისათვის (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობისა და, ამხანაგობისათვის) საბანკო ანგარიშების გახსნა და შეუფერხებელი ანგარიშსწორება (სკ-ის 1517-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

---

136 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. თბილისი 1999 წელი გვ.156

§2. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე საქართველოში არსებობდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, რომლებიც წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს.

სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის თანახმად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები გაუქმდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან და ამავე კოდექსის 208-232-ე მუხლების შესაბამისად, მათ უფლებამონაცვლეებად მიჩნეული იქნა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები.

შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე ძალაში იქნა დატოვებული ყველა ის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს გააჩნდა ადრე არსებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წინაშე.

სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლში მითითებული ნორმები 208-დან 232-ე მუხლების ჩათვლით, შედიოდა კოდექსის მეოთხე თავში, რომლის დასახელებაა ,,მრავალბინიან სახლში ბინის საკუთრება."

სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ დარჩენილია, მხოლოდ ორი ნორმა და თანაც ძველისგან სრულიად განსხვავებული რედაქციით. კერძოდ, 208-ე და 209-ე მუხლები. მათგან, 208-ე მუხლით განსაზღვრულია მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგნის (ბინის ან/და არასაცხოვრებელი ფართის) შეძენის ისეთი ზოგადი საფუძვლები, რომ მათ შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

სკ-ის 209-ე მუხლი კი შეიცავს დანაწესს იმის თაობაზე, რომ თუ პირი შეიძენს გაქირავებულ ბინას, მაშინ იგი იკავებს გამქირავებლის ადგილს. რაც შეეხება სხვა ნორმებს, მათი ჩამონათვალი დღემდეა შემორჩენილი სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლში. თუმცა, კოდექსიდან ისინი ამოღებული იქნა- 2007 წლის 11 მაისს და იმავე წლის 11 ივლისს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე. ამ ცვლილებებმა კი რატომღაც ასახვა ვერ ჰპოვა სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლში.

სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავიდან 210-213-ე და 215-

232-ე მუხლების სრულად ამოღებამდე და ამ თავში დარჩენილი 208-ე და 209-ე მუხლების ძველისაგან სრულიად განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბებამდე (რაც განხორციელდა 2007 წლის 11 ივლისს №5278 კანონით), იმავე დღეს წინმსწრებ რეჟიმში მიღებული იქნა ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონი (№5277-რს).

ეს კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების ურთიერთობებს საერთო ქონების მართვასთან და სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსში არსებული დაპირება იმის თაობაზე, რომ შეიქმნებოდა ,,ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა (სწორედ ამ დასახელების ამხანაგობის და არა ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის" შექმნის თაობაზე იყო აღნიშნული სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ 216-ე მუხლშიც), დღემდე არ შესრულებულა.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონში არაფერია ნათქვამი იმაზეც, რომ ამ კანონის საფუძველზე შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების უფლებამონაცვლეებია თუ არა, რომლებიც გაუქმდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან, ვინაიდან საბინაო- საამშენებლო კოოპერატივების უფლებამონაცვლე ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა უნდა ყოფილიყო და არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

თავად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს რაც შეეხებათ, ისინი წარმოადგენენ მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის, მესაკუთრეთა გაერთიანებას (იხ. "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის 3-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტი).

მრავალბინიანად კი ითვლება სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივი-დუალური ბინისაგან, მიუხედავად მათი ფართობისა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, თუმცა მას შეიძლება ქონდეს საანგარიშგებო და სხვა სახის ანგარიშები ბანკში, ასევე, სხვა საჭირო რეკვიზიტები.

ამხანაგობას წარმოადგენს თავმჯდომარე, ან საამისოდ უფლებამოსილი პირი. ამხანაგობას შეიძლება ქონდეს განცალკევებული ქონება. შესაბამისად, უფლება აქვს შეიძინოს თავისი სახელით, როგორც ქონებრივი და არაქონებრივი

უფლებები ისე ვალდებულებები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა კი პასუხს არ აგებს თავისი წევრების ვალდებულებებზე.

ამხანაგობას უფლება აქვს ეწეოდეს არასამეწარმეო, ანუ არაკომერციულ ეკონომიკურ საქმიანობას, ხოლო მიღებული შემოსავალი პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდების შესაბამისად.

ამხანაგობას აქვს სახელწოდება, რომლის წინ აუცილებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აბრევიატურის — "ბმა"-ს გამოყენება, მაგრამ თუ ამხანაგობას არ აქვს სახელწოდება, მაშინ მის სახელწოდებად ჩაითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მისამართი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობისთვის შეიძლება არსებობდეს წესდება (იხ. 23.1-ე მუხლი). თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა რაოდენობა 12-ს არ აღემატება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები წესდებას მიიღებენ ხმათა 3/4-ით, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში ხმათა 2/3-ით (იხ. 23.2-ე მუხლი).

ამხანაგობის საქმიანობას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე. მას შეუძლია დანიშნოს სადარბაზოში თითო წარმომადგენელი, თუ მრავალბინიან სახლში სადარბაზოთა რაოდენობა აღემატება ორს. წარმომადგენლის ფუნქციები განისაზღვრება წესდებით. თუ მრავალბინიან სახლს არ გააჩნია წესდება, ამხანაგობის მიერ დანიშნული წარმომადგენლები მოქმედებენ "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის და თავმჯდომარის მითითების შესაბამისად.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები, ამხანაგობის წევრთა კრებაზე, უფლებამოსილნი არიან, ამხანაგობის წევრთა ხმების 2/3-ით, განსაზღვრული ვადით აირჩიონ ამხანაგობის თავმჯდომარე. თავმჯდომარე შეიძლება იყოს, როგორც ამხანაგობის წევრი, ასევე მოწვეული მმართველი.

თავმჯდომარის არყოფნისას, ან მის მიერ თავისი უფლებამოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის დავალებით, მის მოვალეობას ასრულებს ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი.

ამხანაგობის თავმჯდომარე ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს, კერძოდ: იწვევს და უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილებების შესრულებას; ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით იღებს აუცილებელ ზომებს ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციის და განვითარების უზრუნველსაყოფად; ამხანაგობის წევრთა შეთანხმებით განსაზღვრავს ამხანაგობის ხარჯებს მიმდინარე სამეურნეო წლისათვის; ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს საერთო ქონების გასხვისებას, გაქირავებას, იჯარით გაცემას; გამოდის სასამართლოში ან სხვა ორგანოებში ამხანაგობის სახელით და ა.შ. (იხ. კანონიას 26-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

ამხანაგობის წევრთა კრება მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ წელიწადში ერთხელ. გადაუდებელი აუცილებლობის შეემთხვევაში კი კრება მოიწვევა დაუყონებლივ. კრების მოწვევის შესახებ ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით. მას როგორც წესი უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს (იხ. 27-ე მუხლი).

თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები არ მიიღებენ წესდებას, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის 28-ე მუხლით დადგენილი განსხვავებული წესი, კერძოდ, ამ შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მხოლოდ მაშინ, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3.

თუ კრებას არ ესწრება მისი წევრების 2/3, მაშინ ამხანაგობის თავმჯდომარე კრებას იწვევს ხელმეორედ იგივე დღის წესრიგით და ამ შემთხვევაში კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მასში მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად, თუმცა ამის შესახებ უნდა აღინიშნოს კრების მოწვევისას.

ამხანაგობის წევრთა კრებაზე თითოეულ მესაკუთრეს აქვს ერთი ხმა. თუ ბინას რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს მათ აქვთ ასევე ერთი ხმა, რომელიც ერთობლივად უნდა გამოიყენონ, ხოლო თუ

მესაკუთრეს აქვს რამოდენიმე ბინა, მას აქვს ბინების რაოდენობის შესატყვისი ხმა.

ამხანაგობის წევრს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება თუ არის ინტერესეთა კონფლიქტი, ან თუ საკითხი ეხება მის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სასარჩელო განცხადებას.

კრების გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე, თვითოეულ მესაკუთრეს კი უფლება აქვს გაეცნოს კრების ოქმს და გაასაჩივროს იგი სასამართლოში.

§3. ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული საწარმოები

თანამედროვე პირობებში ფართო გავრცელება ჰპოვა კომპანიების დარეგისტრირებამ "ოფშორულ" ზონაში (of f shore - ,,ნაპირებს მიღმა"). ამ სახის კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებშიც. ამდენად, წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს.

ოფშორულ ზონაში იგულისხმება-სახელმწიფო ან მისი ტერიტორია, სადაც უცხოური კომპანიებისათვის სპეციალური სავალუტო, საგადასახადო და ორგანიზაციული ხასიათის შეღავათები მოქმედებს.

ოფშორული ზონები ძირითადად მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებს (მაგ. ვირჯინიის) ან თვითმართვად ტერიტორიებს წარმოადგენენ და მათი რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებითი 200-დან 1000-მდე მერყეობს.

ოფშორულ ზონაში საწარმოს რეგისტრაციის მსურველებს იზიდავთ რეგისტრაციის ოპერატიულობა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის მაღალი დონე. მაგ. ოფშორულ ზონაში ახალი კომპანიის დარეგისტრირება ერთ დღეშიც შეიძლება. ასევე, შესაძლებელია მზა ფირმის ყიდვა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, საშუალოდ 500 აშშ დოლარის საფასურად.

ოფშორულ ზონაში კომპანიის რეგისტრაციას აწარმოებენ სპეციალური ფირმები სარეგისტრაციო აგენტების მეშვეობით. წარსადგენენ დოკუმენტაციაში კი მითითებული უნდა იყოს საწესდებო კაპიტალის მოცულობა და ფორმირების მეთოდი, საფირმო სახელწოდება, დამფუძნებლების საპასპორტო მონაცემები, სასურველი იურისდიქცია.

ოფშორულ ზონაში ფირმის რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო პალატაში, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოფშორული კომპანიები არარეზიდენტი კომპანიებია და გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან ისინი სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობის სრულუფლებიან წევრებს წარმოადგენენ.

მათი თავისებურება ისაა, რომ თუ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ფირმა იყიდის საქონელს მაგ. ბრაზილიაში და გაყიდის საქართველოში, მიღებული მთლიანი შემოსავალი თავს მოიყრის ოფშორში და არ დაიბეგრება.

ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ ფირმებზე, როგორც წესი, არ გაიცემა ინფორმაციები საგადასახადო და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით, რის გამოც არსებობს საშიშროება იმისა, რომ ასეთ ქვეყნებში ფულის გათეთრებას ქონდეს ადგილი. დღეის მდგომარეობით ე.წ. შავ სიაში შეყვანილია 7 ქვეყანა კერძოდ: ანდორა, ლიბერია, ლიხტენშტეინი, მარშალის კუნძულები, მონაკო, ნაურუ და კანუადუ.

ეს სია შეიძლება ახალ-ახალი ქვეყნებით შეივსოს, ვინაიდან ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედ ჯგუფს (Financial Action Task Force) შავ სიაში შეაქვს ყველა ის ქვეყანა, რომელიც არ ახორციელებს ბრძოლას ფულის გათეთრების წინააღმდეგ.დიდი რვიანის ქვეყნების მიერ შექმნილი ფინანსური სტაბილურობის ფორუმი სისტემატიურად აქვეყნებს ოფშორული ზონების საიმედოობის რეიტინგს, რომელშიც უმთავრესი კრიტერიუმი გამჭირვალეობის მაჩვენებელია. ანუ, საიმედოდ მიიჩნევა ოფშორი, სადაც არ არსებობს საბანკო საიდუმლოება, ამასთან მაღალ დონეზეა განვითარებული მაკონტროლებელი ორგანოები და მყარია კანონმდებლობა.

იმის გამო, რომ ბიზნესმენს ოფშორული ზონის გამოყენებით შეუძლია დარჩეს ინკოგნიტოდ, ამ სახის ფირმების გახსნით ის ქვეყნები არიან დაინტერესებულნი, სადაც მაღალია კორუფციის დონე, საჯარო მოხელეები კი აქტიურად არიან ჩართულნი ბიზნესში და სურთ ამის დამალვა.[137] ამასვე განაპირობებს მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიური ცვლა ანუ, სამართლებრივი არასტაბილურობა ამათუიმ კონკრეტულ ქვეყანაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რომც არსებობდეს სასამართლოს ბრძანება ოფშორული ფირმისათვის აქტივების ჩემორთმევის შესახებ, ეს ბრძანება ვერ შესრულდება იმ უბრალო მიზეზით, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მისი რეალური მესაკუთრის დადგენა (მაგ. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები

137 იხ. შ. შაბურიშვილი. ოფშორი — ცრუ კომპანია თუ ფირმის კონფიდენციალურობა. ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა 2008 წლის აპრილი. გვ. 51-55.

"აკვაფონი" და "ამობაილი", რომლებიც აფხაზეთში ფუნქციონირებენ ბერმუდის კუნძულებზეა რეგისტრირებილი, მაგრამ მისი მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია). აღნიშნულმა კი შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნიდან კაპიტალის უპრობლემოდ გადინებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთელი რიგი ქვეყნები უარს ამბობენ ოფშორის დაარსებაზე. მათ შორისაა დიდი ბრიტანეთი (გაერთიანებული სამეფო). ერთადერთი გამონაკლისია დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის არსებული კუნძული მენი (isle of Man), რომელსაც განსხვავებული სტატუსი აქვს რაც იძლევა ოფშორის დაარსების შესაძლებლობას.[138]

ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების, სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირება ქართული კანონმდებლობით სავალდებულო არ არის, მაგრამ ,,მეწარმეთა შესახებ კანონის" თანახმად შესაძლებელია მისი საქართველოში გადმოტანა, ანუ რედოციმილება საწარმოს უწყვეტობის დაურღვევლად.

უცხო ქვეყნის საწარმოს საქართველოში რედოციმილების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაგრამ ამ სახის დადგენილება საქართველოს მთავრობას მიღებული არ აქვს.

---

138 იხ. ჟურნალი "გადასახადები და აღრიცხვა". 2007 წელი №1 გვ. 54-56. სტატია "როგორ ხდება ფირმების რეგისტრაცია საზღვარგარეთ."

კარი მეორე

გარიგებანი

§1. ზოგადი ნორმები გარიგების შესახებ.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები მთელ რიგ სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობში მონაწილეობენ. მათი წარმოშობის საფუძველი კი უმეტეს შემთხვევაში გარიგებაა. ამდენად, გარიგებას ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს სამოქალაქო სამართალში.

გარიგების ცნების განსაზღვრა არ განეკუთვნება ვალდებულებითი სამართლის სფეროს, რადგან ამ ინსტიტუტს სწავლობს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თუმცა, გარიგება უნივერსალური ტერმინიცაა და ვალდებულებით სამართალში ისეთივე გამოყენება აქვს, როგორც კერძო სამართალში.[139]

საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართალი გარიგებას უწოდებდა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა გარიგების ამგვარ დეფინიციაზე. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ამჟამად მოქმედი 50-ე მუხლი, გარიგებად მიიჩნევს ნების ისეთ ცალმხრივ, ორმხრივ ან მრავალმხრივ გამოვლენას, რომელიც მიმართულია სამართალებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

როგორც ვხედავთ, განსხვავება ძველსა და ახალ დეფინიციებს შორის ის არის, რომ ტერმინი „მოქმედება" შეცვლილია ტერმით „ნების გამოვლენით."

ნების გამოვლენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც მოქმებებით ისე უმოქმედობითაც. ამდენად, ამ ცვლილებით განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გარიგებად ნებისმიერი მოქმედება კი არ არის მიჩნეული, არამედ მხოლოდ ისეთი მოქმედება/უმოქმედობა, რომელიც გააზრებული ქცევის, ანუ

---

139 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. თბილისი 2001 წელი. გვ. 45.

ნების თავისუფლად გამოვლენის შედეგია და მიმართულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე სუბიექტისათვის სასურველი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

სამართალურთიერთობის სუბიექტისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგი კი მიიღწევა, როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობითაც. ამდენად, სწორად მოიქცა კანონმდებელი, როცა გარიგების შინაარსი მხოლოდ მოქმედებას არ დაუკავშირა და შემოგვთავაზა ახალი სამართლებრივი კონსტრუქცია, რომელიც გარიგებას განმარტავს შინაგანი ნების ისეთ გამოვლენად, რომელიც აღწევს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილემდე-პირდაპირ, ან ირიბად, მაგრამ იმ ფორმით, რომ ეჭვს არ იწვევს გარიგების დადების სურვილი ან/და დუმილით. თუმცა, ბოლო შემთხვევაში სავალდებულოა, რომ შესაბამისი კანონით ან კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს დრო, რომლის გასვლის შემდეგაც გარიგება ითვლება მეორე მხარის მიერ მიღებულად და შესასრულებლად სავალდებულოდ.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს: 1. პირდაპირი ნების გამოვლენის საფუძველზე; 2. კონკლიუდენტურად, ანუ არაპირდაპირ ნების გამოვლენის გზით და 3. დუმილით.

პირდაპირი ნების გამოვლენის საფუძველზე დადებული გარიგებები ყველაზე ხშირად გვხდება სამოქალაქო სამართალში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გარიგებაში მონაწილე მხარეები ამჯობინებენ ერთმანეთთან უშუალოდ გაარკვიონ მათთვის სასურველი დეტალები და ისე მიიღონ გადაწყვეტილება.

არაპირდაპირ ნების გამოვლენას სხვაგვარად კონკლიუდენტურად ნების გამოვლენასაც უწოდებენ. ამ სახის ნების გამოვლენას მაშინ აქვს ადგილი, როცა გარიგების მონაწილის მოქმედება თუმცა ირიბად, მაგრამ თვალისათვის ადვილად შესამჩნევი ნიშნებით, უტყუარად არწმუნებს სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მონაწილეს, რომ სახეზეა გარიგების დადების სურვილი. კერძოდ, ავტომანქანების ბაზრობაზე გასაყიდად გამოყვანილ ავტომანქანებს შორის ავტომანქანის ჩაყენება და მისთვის ძარის ზედის, ანუ „კაპოტის" ახდა, ადასტურებს მეპატრონის სურვილს ავტომანქანის გაყიდვის თაობაზე.

დუმილით ნების გამოვლენის შემთხვევები ასევე გვხდება გარიგებებში. კერძოდ, მის არსებობას ცხადყოფს სამოქალაქო კოდექსის 355.1-ე მუხლში, არსებული დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ მეწარმე თუ მიიღებს ოფერტს (წინადადებას) საქმიანი ოპერაციის შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად, ანუ იმაზე თანხმობად, რომ მზადაა შეასრულოს შეთავაზებული საქმიანი ოპერაცია.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გარიგებები ფართოდ გავრცელებული იმ იურიდიული ფაქტების ერთობლიობაა, რომლებთანაც არის დაკავშირებული სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა.

§2. გარიგების ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული ტრადიციები საზღვარგარეთ და საქართველოში

ძველი სამართლის ძეგლები, მაგალითად ,,ხამურაბის კანონები" და ჩვენამდე მოღწეული სხვა წყაროები, ადასტურებენ, რომ უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, ყოველდღიურ საქმიანობაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ისეთი შინაარსის მქონე სამართლებრივი კონსტრუქციები, რომლებიც გარიგებებთან ასოცირდება. თუმცა, ტერმინი ,,გარიგება" იმ დროს არ არსებობდა და გაცილებით გვიან დამკვიდრდა იურიდიულ დოკუმენტებში. კერძოდ, მისი გამოყენება, ევროპაში, მე-19 საუკუნეში მოღვაწე გერმანელი მეცნიერის არნოლდ ჰაიზეს სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო კლასიკური ფორმით იგი დაამკვიდრა, ასევე გერმანელმა სამართალმცოდნე სავინმა.

სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საქმეში, ამ ინსტიტუტის როლი განსაკუთრებულ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ძველ რომში, სადაც გარიგების სინონიმს ხელშეკრულება წარმოადგენდა.

რომის სამართალი განასხვავებდა: ა)რეალურ; ბ) ვერბალურ; გ) ლიტერალურ და დ) კონსესუალურ ხელშეკრულებებს.

რეალური ხელშეკრულება ისეთ ხელშეკრულებას ეწოდებოდა, რომლის ნამდვილობისთვის სავალდებულო იყო ნივთის გადაცემა. ვერბალური-გულისხმობდა სიტყვიერად, ანუ ზეპირი ფორმით დადებულ ხელშეკრულებას. ლიტერალური კი პირიქით-წერილობით დადებულ ხელშეკრულებას. რაც შეეხება კონსესუალურ ხელშეკრულებას იგი წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისი იყო შეთანხმების არსებობა ნივთის გადაცემის თაობაზე.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ რომის სამართალში ხელშეკრულების არსებობის უმთავრეს პირობას წარმოადგენდა ნების გამოვლენა.

ხელშეკრულება თავის მხრივ შეიძლება ყოფილიყო ცალმხრივი და ორმხრივი, რაც იმაზე იყო დამოკიდებული ერთ მხარეზე წარმოიშობოდა ვალდებულება თუ ორივე მხარეზე. ამ ნიშნით ცალმხრივ ხელშეკრულებად იყო მიჩნეული სესხის ხელშეკრულება, ვინაიდან მასში ვალდებულ მხარეს წარმოადგენდა მხოლოდ

მსესხებელი, მეორე მხარეს – გამსესხებელს კი, არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა. ამასთან, იგი სარგებლობდა უფლებით მოეთხოვა გასესხებული ფული.

სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ქირავნობის ხელშეკრულება ითვლებოდა ორმხრივ ხელშეკრულებად, ვინაიდან ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ გააჩნდა ურთიერთვალდებულებები. კერძოდ, ერთი მხარე- გამქირავებელი თუ ვალდებული იყო გადაეცა მეორე მხარისათვის-დამქირავებლისათვის ხელშეკრულების საგანი (მაგ. სახლი), ამ უკანასკნელს ეკისრებოდა ვალდებულება ქირის საფასურის გადახდის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ნაქირავები საგნის გამართულ მდგომარეობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ორმხრივი ხელშეკრულება რომის სამართალში ,,სინალაგმატური" ხელშეკრულების სახელითაც იყო ცნობილი. ამ სახის ხელშეკრულებათა რიცხვს კი, სხვა ხელშეკრულებებთან ერთად, მიეკუთვნებოდა რომის იმპერიაში გლადიატორებად თავისუფალ მოხალისეთა დაქირავების შესახებ ხელშეკრულებებიც. კერძოდ, რომის კანონმდებლობით, გლადიატორთა ბრძოლის ორგანიზატორებს შეეძლოთ დაექირავებინათ თავისუფალი მოხალისეები, რომლებიც სახალხო ტრიბუნის წინაშე აკეთებდნენ ზეპირ განცხადებას იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა მათი დაწვა, კიდურების მოკვეთა და ხმლით დაჭრა.

ხელშეკრულებაში აისახებოდა, ასევე გლადიატორის სიცოცხლის განკარგვის უფლების გადასვლა დამქირავებელზე მასთან სამსახურის განმავლობაში. თუმცა, გლადიატორს შეეძლო, როგორც ვადამდე, ისე იქამდეც გამოესყიდა თავი, სანამ ორთაბრძოლები დაიწყებოდა.

გლადიატორებად თავისუფალ მოხალისეთა დაქირავების თაობაზე ხელშეკრულება, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დამყარებული იყო ორმხრივი ნების გამოვლენაზე. მხარეებს კი ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ, როგორც უფლებები, ისე ორმხრივი ვალდებულებები, ამდენად იგი წარმოადგენდა ორმხრივ ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით დიდი ტრადიციები არსებობდა საქართველოში, სადაც ევროპასთან შედარებით, გაცილებით ადრე

დამკვიდრდა ტერმინი გარიგება და თანაც იურიდიულ შედეგის გამომწვევი სამართლებრივი შეთანხმების მნიშნელობით. ყოველივე ზემოთქმულს კი ადასტურებს დღემდე შემორჩენილი არაერთი სამართლის ძეგლი, კერძოდ:

მე-XIV საუკუნეში (1334-1335 წლებში) შექმნილი „მეფე გიორგის სამართალი" ანუ, როგორც მას უწოდებენ „გიორგი მე-V ძეგლის დადება" იცნობდა ნასყიდობას, როგორც ნივთის შეძენის საშუალებას (მუხლი 16). სამართლის ეს ძეგლი ადასტურებს, იმასაც, რომ „ვალი", რაც იხმარებოდა სესხის მნიშვნელობით, წარმოადგენდა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.

ამასთან, ვალი, ანუ სესხი უნდა გაცემულიყო უსასყიდლოდ, ვინაიდან სარგებლის აღება ქართველებს „რჯულსა შიგან წესად არ ქონდათ"-ო ნათქვამია 46-ე მუხლში. იმ შემთხვევაში კი სესხის მიმცემი თუ „ავი" აღმოჩნდებოდა და სარგებელს აიღებდა, მას არ შეეძლო ათას თეთრზე ორ თეთრზე მეტი სარგებლის აღება, რა ხნითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გაცემული;

მე-XIV საუკუნის ძეგლი – „ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი" (იგი სავარაუდოდ შედგენილი უნდა იყოს 1381-1384 წლებში) ცხადყოფს, რომ არსებობდა: მიწის, ყანის, ვენახის, ჭალის, სახლის, აბჯრის, ტანისამოსის და ნებისმიერი სახის საქონლის წინდად, ანუ ქირით გაცემის ინსტიტუტი (მუხლი 43).

დასახელებული ძეგლის 79-ე მუხლი ადასტურებს იმასაც, რომ სხვადასხვა საქმეების გასაკეთებლად შეიძლებოდა, როგორც სახელდრის, ისე ადამიანის დაქირავება. ასევე, ცნობილი იყო: ,,გასყიდვა" (მუხლი 45), რაც გულისხმობდა ნასყიდობას. მაგ. საგლეხო ფუძის სყიდვას სპეციალური-56-ე მუხლი ქონდა დათმობილი და თავდებობა.

თავდებობას დათმობილი ჰქონდა 2 მუხლი. მათგან 68-ე მუხლი შეიცავდა ისეთი შემთხვევის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს, როცა გლეხი გლეხს დაუდგებოდა თავდებად, 69-ე მუხლი კი შემთხვევას, სადაც დიდებული ან აზნაური იყო თავდები. მათ ერთი საერთო პრინციპი აკავშირებდათ, კერძოდ თავდებს გლეხი იქნებოდა იგი თუ წარჩინებული, უნდა ეზღო ის რაზედაც დადგა თავდებად.

ვახტანგ მე-VI სამართლის წიგნი (1705-1708 წლები) კი ყველაზე სრულყოფილი ძეგლია ამ მიმართებით. აღნიშნულს თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ მასში ტერმინი ,,გარიგება" პირველად იქნა გამოყენებული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ისეთ შეთანხმებად, რომელსაც უნდა მოყოლოდა კონკრეტული ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. კერძოდ, ,,კარი თეთრის გარიგების" შესახებ და მე-15-16-ე მუხლების შინაარსი ადასტურებს, რომ ,,გარიგება" გულისხმობდა ზოგადსავალდებულო შეთანხმებას, იმ დროს გამოყენებაში არსებული ფულის ერთეულების-შაურის, აბაზის, თეთრის, მინალთუნის, უზალთუნის და თუმნის, ნომინალური ღირებულების განსაზღვრისა და ერთმანეთთან მიმართებაში მათი ფასის დადგენის შესახებ. ასე მაგალითად: ორი შაური უტოლდებოდა ყიზილბაშურ უზალთუნს. ოთხი შაური შეადგენდა აბაზს, ხოლო 28 შაური ერთ თეთრს და ა.შ.

ამავე სამართლის წიგნის 241-ე მუხლის შესაბამისად კი ,,გარიგება" გამოყენებული იყო ,,სამძღვრის," ანუ საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით შეთანხმების აღმნიშვნელ ტერმინად. ამდენად, ამ სახი გარიგების არსებობის გამსაზღვრელ ფაქტორს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება წარმოადგენდა.

ვახტანგ მე-VI სამართალი შეიცავდა: ვალის (სესხის), რა დროსაც დასაშვები იყო სარგებლის სარგებლის ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით- პროცენტის პროცენტის აღება (მუხლი 116), ამანათის (ანუ, საქონლის იგულისხმება პირუტყვი)) მიბარების (მუხლი 149), ასევე, სხვა სახის ნივთების მიბარების (მუხლები 207, 208 და 209), ნასყიდობის (მუხლი 160), გაცვლილობის (166 მუხლი), ზოგადად ნათხოვრობის, მათ შორის კაცის ნათხოვრობის (210 მუხლი) შესახებ ნორმებს და სხვა.

სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, თუ მის საგანს არ წარმოადგენდა ფული, დასაშვები იყო უძრავი ქონების-მამულის გამოყენება, რაც იდენტურია იმ ინსტიტუტისა, რომელიც თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად უშვებს იპოთეკის გამოყენების შესაძლებლობას.

სესხის საგანს თუ ფული წარმოადგენდა, ასეთი შემთხვევისათვის კი 164-ე მუხლის მეორე აბზაცი შეიცავდა იმპერატიულ

დანაწესს, რომ სესხის გამცემს არ შეეძლო მოეთხოვა მისი მამულით უზრუნველყოფა. კერძოდ, ამ მუხლში ნათქვამია, რომ ,,ვისაც თეთრის სესხება უნდოდეს ისე უმამულოდ ასესხოს."

იმდენად დიდი მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტებად იყო მიჩნეული ვალის (სესხის) და ნასყიდობის ურთიერთობები, რომ ვახტანგ მე-VI თავის სამართლის წიგნში მათ ორი სპეციალური კარი მიუძღვნა. კერძოდ, კარი პირველი, რომლის დასახელებაა ,,კარი პირველი, ვალისა თუ როგორ აიღების იგი" და ,,კარი ნასყიდობისა."

ვალისა და ნასყიდობის შესახებ მხარეთა შეთანხმების ნამდვილობისთვის საჭირო იყო წერილობით შედგენილი და ბეჭდით, ასევე მოწმეთა ხელმოწერით, დამოწმებული თამასუქის არსებობა, მისი შემდგენის, ფაქტის დამადასტურებელ მოწმეთა ვინაობის და, როგორც შედგენის თარიღზე ისე, მოქმედების ვადაზე მითითებით.

ვახტანგის სამართალი უშვებდა, რომ შეთანხმება, სამართლებრივი ხასიათის მქონე ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის შესახებ, დადებულიყო გარკვეული პირობით (იხ. 166-ე მუხლი) ანუ, არსებობდა პირობითი გარიგებები.

ადამიანის და საქონლის არსებობისათვის აუცილებელი—წყალი, შეშა და ბალახი კი წარმოადგენდა სამართლებრივი ურთიერთობის მიღმა არსებულ ისეთ ნივთებს, რომელთა გამოყენებისთვის არანაირი შეთანხმება, ანუ გარიგება არ იყო საჭირო. აღნიშნულს ადასტურებს ვახტანგის სამართლის წიგნის 169-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია ,,ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა (იხმარება სახელმწიფოს მნიშვნელობით) არის: წყალი, შეშა და ბალახი."

ვახტანგის სამართლის წიგნით განსაზღვრული იყო, მხარეთა მიერ უკვე დადებული შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძვლებიც. ბათილობის აღმნიშვნელ ტერმინად კი გამოყენებული იყო ტერმინი ,,ყაბული არ არის."

ასე მაგალითად, თუ ვაჭარი სხვა თემში სავაჭროდ წავიდოდა და იქ თავის ქვეყნის კაცს, თავის ქვეყანაში არსებულ მამულს მიყიდდა და სამშობლოში არ დაბრუნდებოდა, ან ლოთობას და ავკაცობას გადაყვებოდა, მამულის ამგვარი გაყიდვა ყაბული არ იყო. ანუ, მას მყიდველისათვის სასარგებლო არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვებოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ადათობრივი სამართლის საფუძველზე არსებული ტრადიციების შესწავლით კი ირკვევა, რომ:

ფშავის ჩვეულებითი სამართალი იცნობდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. მისი ნამდვილობისათვის, თუ წერილობითი საბუთი იყო საჭირო, როგორც ყიდვა-გაყიდვის პირობის დაურღვევლობის გარანტია, აუცილებლობას წარმოადგენდა წერილობითი ფორმის დაცვა და სამი მოწმის დასწრება. ამასთან, ხელშეკრულების ორივე მხარეს გადაეცემოდა მისი ერთი ასლი. ამ მოთხოვნების დამრღვევს კი ეკისრებოდა განსაკუთრებული ჯარიმის გადახდა.

რაც შეეხება ხელშეკრულებათა სხვა სახეებს, ცნობილი იყო: სახლის აშენების ანუ, დღევანდელი ნარდობის ხელშეკრულება. ასევე, სესხის ხელშეკრულება, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სესხის თანხის მიღების თაობაზე ხელწერილის არსებობა, რომელშიც სავალდებულო იყო ვალის დაბრუნების ვადის ჩვენება.[140]

იმერეთში ცნობილი იყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ძვირად ღირებული ქონების (მიწა, შენობა) გაყიდვისას კი იწერებოდა ნასყიდობის ხელწერილი, რასაც სულ ცოტა სამი მოწმე მაინც აწერდა ხელს. ყიდვა- გაყიდვის ხელშეკრულების შესრულების გარანტს წარმოადგენდა ,,ბე." იმ შემთხვევაში თუ ბე-ს მიმცემი არ შეასრულებდა ხელშეკრულებას, ბე-ს მიმცემი მასზე უფლებას კარგავდა. ანალოგიურ სიტუაციაში თუ აღმოჩნდებოდა ბე-ს ამღები, მას მიღებული თანხა ორმაგად უნდა დაებრუნებინა, რასაც ,,ბეზე დაყრა" ერქვა.

იმერეთის ჩვეულებითი სამართალი იცნობდა ასევე, ქირავნობის, ნათხოვრობის, გირავნობის, თავდებობის, სესხის, სოფლად საერთო საქმიანობის, წინახედის ანაზღაურების შესახებ, ხელშეკრულებებს.[141]

ლეჩხუმში გამოიყენებოდა იმერეთში გავრცელებული ხელშეკრულებების ანალოგიური ხელშეკრულებები და მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთივე საშუალება, როგორიცაა-ბე. ამასთან,

140 იხ. ქართული ჩვეულებითი სამართალი. თბილისი. მეცნიერება. 1991 წელი, მთავარი რედაქტორი მიხეილ კეკელია.

141 იგივე ნაშრომი გვ. 173.

ვალდებულებას თუ ბე-ს მიმცემი დაარღვევდა, იგი მასზე უფლებას კარგავდა, ხოლო ასეთ კაცზე იტყოდნენ „ბეს ხელი შეაჭრაო." თუ პირიქით მოხდებოდა, მაშინ ბე-ს მიმღები ვალდებული იყო ორმაგად დაებრუნებინა მიღებული თანხა უკან და ამ შემთხვევაში ბე-ს მიმცემზე ამბობდნენ „ბეზე ბე დაადებინაო."

გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული სესხის ხელშეკრულება. იგი წარმოადგენდა სასყიდლიან გარიგებას. სესხით მიღებულ სარგებელს კი ერქვა „ხელშესაწყობი." იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ფულს ვადაში არ დააბრუნებდა, მაშინ მას „პირის პირი" უნდა გადაეხადა. ანუ, უნდა გადაეხადა მიღებული თანხის ერთი ოდენობა დამატებით. ვექსილის რანგში კი ხშირად ულვაშის ღერის დატოვება გამოიყენებოდა.

თუ მსესხებელი ულვაშის ღერს დატოვებდა და მერე სესხს არ გადაიხდიდა, გამსესხებელი საჯაროდ განაცხადებდა, თუ ვისი იყო ულვაშის ღერი და, რომ მისმა პატრონმა ვალი არ გადაიხადა, ხოლო შემდეგ სიტყვებით, ,,ფუი შენს კაცობას"-ო გადააგდებდა მას.[130]

[130] იგივე ნაშრომი გვ. 173, 176, 178.

§3. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დაკავშირებულია ცალმხრივი ნების გამოვლენასთან, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას.

ცალმხრივი გარიგება თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე ორი სახისაა, კერძოდ, გარიგება, რომელიც არ საჭიროებს ცალმხრივად გამოვლენილი ნების მეორე მხარემდე მისვლას და პირიქით, აუცილებელია, რომ ცალმხრივად გამოვლენილი ნება, არამხოლოდ მივიდეს, არამედ მიიღოს კიდეც მეორე მხარემ.

სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი, სწორედ ისეთი გამონაკლისი შემთხვევების შესახებ, შეიცავს სპეციალურ დანაწესს, როცა ცალმხრივად გამოვლენილი ნების ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ მის მიღებასთან, რადგან მასში ნათქვამია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ცალმხრივი ნების გამოვლენა თუ მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ამგვარად გამოვლენილი ცალმხრივი ნების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, იგი მეორე მხარეს მიუვიდა თუ არა.

სამოქალაქო კოდექსის 51.2-ე მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა დაკავშირებულია კიდევ ერთი სავალდებულო პირობის არსებობასთან, კერძოდ მეორე მხარის სურვილთან- მიიღებს თუ არა ცალმხრივად გამოვლენილ ნებას და თუ არ მიიღებს, ან არ აპირებს მის მიღებას, როდის განაცხადებს აღნიშნულის თაობაზე, რადგან ნების გამოვლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს მასზე უარს.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ნების გამოვლენა, როგორც წესი, ნამდვილია მისი გამოვლენის მომენტიდან, მაგრამ სამოქალაქო კოდექსმა, ცალმხრივად გამოვლენილი ნების ნამდვილობისათვის, დაადგინა ამ საერთო წესიდან გამონაკლისი. კერძოდ, აუცილებელია, რომ ნების გამოვლენა მივიდეს ადრესატამდე და ამ უკანასკნელმა მიიღოს იგი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ნების გამოვლენის შემდეგ ეს პირი გარდაიცვლება, ან ქმედუუნარიანო გახდება თუ არა, რადგან ჩამოთვლილი გარემოებები, სამოქალაქო კოდექსის 51.3-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, გავლენას არ ახდენს ნების გამოვლენის ნამდვილობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილ ყველა ზემოთჩამოთვლილ პირობას აკმაყოფილებს თანმხლები პირისათვის გაკეთებული ოფერტი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 330.1-ე მუხლის თანახმად, თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე (წინადადებაზე) პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. ამდენად, ოფერტი ამ შემთხვევაში არის გარიგების დადების შესახებ წინადადების შეთავაზების თაობაზე ცალმხრივი ნების გამოვლენა და იგი ნამდვილია, თუ თანმყოფი პირი მაშინვე არ განაცხადებს უარს ოფერტის სახით შეთავაზებული ნების მიღებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანდერძით მემკვიდრეობა, თუ მემკვიდრედ მიწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირი, არ წარმოადგენს ისეთ ცალმხრივ გარიგებას, რომელზეც სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება, ვინაიდან პირს, რომლის სასარგებლოდაც დატოვებული იქნა ანდერძი, უფლება აქვს სამკვიდროს მიღებაზე უარი თქვას არა მაშინვე, როგორც ამას მოითხოვს 51.2-ე მუხლი, არამედ 3 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მიწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად (იხ. სკ-ის 1434-ე მუხლი).

ცალმხრივი ნების გამოვლენას, რომელზეც არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნები, წარმოადგენს ისეთი ანდერძით მემკვიდრეობაც, სადაც მემკვიდრედ მიწვეულია სახელმწიფო, ვინაიდან მამკვიდრებლის სიკვდილის შემთხვევაში, მისი ანდერძი ქონების სახელმწიფოსთვის დატოვების შესახებ, მართალია ცალმხრივი ნების გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ეს ნება სახელმწიფომდე თუ მივიდა, მისი ნამდვილობა არ იქნება დამოკიდებული ნების მიღება-არმიღების ფაქტორზე, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას იმ სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი, განსაკუთრებულ დანაწესს შეიცავს ცალმხრივად ისეთი ნების გამოვლენის მიმართ, რაც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. კერძოდ, ასეთი ნების გამოვლენა ნამდვილად ითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. ანუ, ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ ეს ნება მივიდეს მეორე მხარემდე და დადასტურდეს მეორე მხარის მიერ მისი მიღების ფაქტი.

§4. ნების გამოვლენის განმარტება და გარიგების არარსებობა შინაარსის დაუდგენლობის გამო

ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა სახეზეა ნების გამოვლენა, ეჭვს არ იწვევს გარიგების არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხს. ანუ, დღის წესრიგში დგება, ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა.

გამოვლენილი ნების განმარტებისათვის ამოსავალი დებულება ისაა, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მხოლოდ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან (იხ. სკ-ის 52-ე მუხლი).

წარმოდგენას ამ საკითხზე კიდევ უფრო აკონკრეტებს სამოქალაქო კოდექსის 337-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ თუ გარიგების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებული იქნეს განსხვავებულად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ მილებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და ავსტრალიის მოქალაქეები თუ იმყოფებიან აშშ-ს ტერიტორიაზე და დადებენ გარიგებას, რომ ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს დოლარის საფუძველზე, მაგრამ მითითებული არ იქნება ამერიკულ, კანადურ თუ ავსტრალიურ დოლარზეა საუბარი, დავის შემთხვევაში, სასამართლო მართებულად მიიჩნევს ამერიკელის მოთხოვნას ამ ქვეყნის ვალუტის გამოყენების შესახებ, ვინაიდან გამონათქვამი დოლარი, ამერიკელის საცხოვრებელ ადგილზე ნიშნავს ამერიკულ დოლარს.

გონივრული განსჯის, გარეგნული გამოხატვის ან სხვა გარემოებების გათვალისწინების მიუხედავად, თუ არ მოხერხდა გარიგების ზუსტი შინაარსის დადგენა, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სრულყოფილად იდენტიფიცირებული ნების გამოვლენა და შესაბამისად არ არსებობს გარიგებაც (სკ-ის 53-ე მუხლი).

ზემოთმოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, მსგავსი გარიგება იმავე მხარეებს, რომ დაედოთ საქართველოში და სადაო გამხდარიყო ანგარიშსწორების საშუალებად გამოსაყენებელი დოლარის ამათუიმ ქვეყნისადმი კუთვნილების საკითხი, შეუძლებელი გახდებოდა გარიგების ზუსტი შინაარსის დადგენა და შესაბამისად არ იარსებებდა გარიგება.

§5. გარიგებათა სახეები

გარიგებები ფართოდ გავრცელებული იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არამართლზომიერი ქმედების, ანუ დელიქტისაგან განსხვავებით უნდა შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულს იმ გარემოებასაც თუ დავუმატებთ, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები გარიგებას დებენ მათსავე ინტერესებში, თავიანთი ნების თავისუფლად გამოვლენის საფუძველზე, ნების გამოვლენა კი შეიძლება იყოს, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ან/და მრავალმხრივი, ჩამოთვლილი და სხვა ნიშნების მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ გარიგებათა შემდეგი სახეები:

1. ნების გამომვლენ მხარეთა სიმრავლისა და ურთიერთთანმხვედრი უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით გარიგება შეიძლება იყოს-ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი.

ა) ცალმხრივია გარიგება, რომელიც იდება კანონის ან/და სხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასევე მხარეთა შეთანხმებით (მაგ. რწმუნებულების გაცემა), მაგრამ მისი ნამდვილობისათვის საკმარისია ერთ-ერთი მხარის ნების გამოვლენა.

ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს და ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს ანდერძი, ვინაიდან მხოლოდ ისეთი პირის ანდერძი წარმოშობს სამართლებრივ შედეგს სხვა პირის მიმართ, რომელიც არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი, ანდერძის შედგენის დროს შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება (სკ-ის 1344-ე და 1345-ე მუხლები). ცალმხრივ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება ასევე-ჯილდოს საჯაროდ დაპირება და მინდობილობის გაცემა.

ბ) ორმხრივი ნების გამოვლენა გვხდება ე.წ. ბიპოლარულ სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც მონაწილეობს ორი სუბიექტი. ბიპოლარული სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც წესი წარმოადგენს ხელშეკრულებას.[142] ანუ, კერძო პირ-

142 ბოლო პერიოდში გარიგების, კერძოდ ხელშეკრულების ნაცვლად იყენებენ ტერმინს „მემორანდუმი," რაც არასწორია, რადგან მემორანდუმი რამოდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება სამართალში, თუმცა არცერთი მათგანი არ შეესაბამება იმ შინაარსობრივ

თა შეთანხმებას, რომლითაც მხარეებს წარმოეშობათ სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები. მოკლედ, რომ ვთქვათ ხელშეკრულებას, როგორც გარიგებას ახასიათებს უფლებების და მოვალეობების განსხვავებული სიმეტრია (მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულება). ამით განსხვავდება იგი ე.წ. ,,ასიმეტრიული გარიგებისაგან," რომელშიც სიმბოლურად მონაწილეობს მეორე სუბიექტიც, მაგრამ მას არა აქვს ნების გამომვლენი სუბიექტისაგან განსხვავებით რაიმე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.[143]

გ) მრავალმხრივი, ანუ მულტიპოლარული გარიგება კი ისეთი გარიგებაა, რომელშიც მონაწილეობს ერთდროულად ორზე მეტი სუბიექტი. ასეთი გარიგების მაგალითია ორზე მეტი პირის შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის დაწყების შესახებ;

2. გარიგების სფეროს მიხედვით გარიგება შეიძლება იყოს: სანივთო (ვინდიკაციური), ვალდებულებითი, საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობითი. თუმცა, ამგვარი დაყოფა პირობითია რადგან მათ არსებობას განსაზღვრავს თვით სამოქალაქო კოდექსის სისტემა. სინამდვილეში კი გარიგება თავისი შინაარსიდან გამომდინარე ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც სანივთო ისე ვალდებულებითი, საოჯახო და აშ გარიგება.

3. გარიგების საგნის მიხედვით განასხვავებენ: ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, ქირავნობის, ლიზინგის, ოჯარის, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის, ფრეშაიზინგის, თხოვების, სესხის, ნარდობის, ტურისტული მომსახურეობის, გადაზიდვა-გადაყვანის, დავალების, საკუთრების მინდობის, სატრანსპორტო ექსპედი-

---

დატვირთვას, რაც გარიგების ცნების ქვეშ მოიაზრება. კერძოდ: დიპლომატიის სფეროში მემორანდუმი ნიშნავს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საერთაშორისო საკითხის ფაქტობრივი მხარე, მოცემულია ამათუიმ დებულების ანალიზი და მოყვანილია რომელიმე კონკრეტულ საკითზე სახელმწიფოს პოზიციის ანალიზი.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მემორანდუმი გულისხმობს ისეთ არაოფიციალურ წერილობით ჩანაწერს (მაგ უბის წიგნაკში), რომლის მიზანია რაღაცის გახსენება.

სადაზღვევო ურთიერთობებში, განსაკუთრებით ეს ეხება საზღვაო სფეროს, მემორანდუმი გულისხმობ სადაზღვევო პოლისში შესატან იმ საფრთხეების ჩამონათვალს, რომლებსაც დაზღვევა არ ეხება. იხ. ,,Вилшой нуридический славар". რედაქტორი ა. ი. სუხარევი, ბ. კრუტსკიხი. მოსკოვი 2000 წ. გვ. 328.

143 იხ. გ. ხუბუა. სამართლის თეორია. თბილისი, 2004 წელი, გვ. 200-201.

ციის, შუამავლობის, ჯილდოს საჯაროდ დაპირების, მიბარების, საბანკო მომსახურების, თავდებობის, კონტოკორენტის, ამხანაგობის, ანუ ერთობლივი საქმიანობის, სამიდღემშიო რჩენის, თამაშობის და სანაძლეოს თაობაზე გარიგებებს;

4. კანონით გათვალისწინებული და კანონით გაუთვალისწინებული გარიგებები. კანონით გათვალისწინებული გარიგებები სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგებებია. ისინი უკვე იყო ჩამოთვლილი ამ პარაგრაფის მე-3 პუნქტში.

რაც შეეხება კანონით გაუთვალისწინებელ გარიგებებს მათ ჩამონათვალს სამოქალაქო კოდექსი ცხადია არ შეიცავს. თუმცა, აღნიშნული გარემოება ხელს არ უშლით მხარეებს, დადონ მათთვის მისაღები ნებისმიერი გარიგება, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კანონს (სკ-ის 319.1-ე მუხლი);

5. დადების ადგილის მიხედვით გარიგებები იყოფიან ქუჩაში დადებულ გარიგებებად და გარიგებებად, რომლებიც დადებული არ არის ქუჩაში, სახლის წინ ან/და მსგავს ადგილებში.

განსხვავება მათ შორის ის არის, რომ მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში (მაგ. ფეხბურთის მოედანზე) დადებულ ხელშეკრულებას მაშინვე თუ არ მოჰყვა შესრულება (მაგ. ნასყიდობის საგნის გადაცემა საფასურის მიღებისთანავე), მაშინ ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადებიდან ერთი კვირის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მომხმარებელი ამავე ვადაში წერილობით არ უარყოფს მას (სკ-ის 336-ე მუხლი);

6. გარიგება შეიძლება იყოს აბსტრაქტული, კონკრეტული (მარტივი) და შერეული. ა) აბსტრაქტული გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც დამოკიდებული არ არის ძირითად ვალდებულებაზე. ამ სახის გარიგების მაგალითია ვალის აღიარება. მისი აბსტრაქტულობა იმაში მდგომარეობს, რომ ვალის აღიარება დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან, რადგან მისი არსებობა მხარეებისათვის სადაოც კი შეიძლება იყვეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს წერილობითი დოკუმენტი სესხის აღების თაობაზე.

ამდენად, ვალის არსებობის აღიარება ქმნის ახალ დამოუკიდებელ მოთხოვნას კერძოდ, სახეზეა იმ სახის ახალი გარიგება რომლის მიზანს წარმოადგენს აღიარებული მოთხოვნის

შესრულება. შესაბამისად, ერთი მხარის მიერ ვალის არსებობის აღიარება თვითონვე ხდება ახალი მოთხოვნის საფუძველი, რაც მეორე მხარეს უფლებას აძლევს მოითხოვოს აღიარებიდან (და არა სესხის ხელშეკრულებიდან) გამომდინარე შესრულება.

ბ) აბსტრაქტულისაგან განსხვავებით, კონკრეტული გარიგება გულისხმობს ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ ისეთ შეთანხმებას, სადაც სათანადოდ არის იდენტიფიცირებული გარიგების სახე და საგანი. ამასთან, მასში, ვინაიდან ერთი სამართლებრივი შედეგის მიღწევის შესახებ ნებაა გამოკვეთილი, პირობითად ამ სახის გარიგებას მარტივი გარიგებაც შეიძლება ეწოდოს. მაგ. კონკრეტული გარიგებაა უძრავი ქონების შეძენის შესახებ ხელშეკრულება, რადგან კონკრეტული უძრავი ქონების ნასყიდობის გარიგებაში ასახულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ის მახასიათებლები, რაც დავის შემთხვევაში იძლევა ნასყიდობის საგნის და სადაო უძრავი ქონების იდენტურობის დადგენის შესაძლებლობას.

გ) გარიგება, რომელიც მოიცავს რამდენიმე ისეთი გარიგების კომბინაციას, რომელთა კვალიფიკაცია ერთი კონკრეტული გარიგების ფარგლებში შეუძლებელია, წარმოადგენს შერეულ გარიგებას. Aამ სახის გარიგებები გხვდება სახელშეკრულებო ურთიერთობებში (იხ. სკ-ის 340-ე მუხლი). მათი არსებობის შემთხვევაში კი გამოყენებული უნდა იქნას ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან შესრულების არსთან;

7. სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ისეთ გარიგებებსაც, რომლებიც: ა) უზრუნველყოფენ საკუთრებას, როგორც მოთხოვნის საშუალებას (გირავნობა, იპოთეკა);

ბ) გარიგებებს, რომლებიც უშვებენ სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის შესაძლებლობას (აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი);

გ) გარიგებებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს და პირიქით (სკ-ის 416-ე მუხლი);

8. სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ასევე მონაწილე მხარეთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს და გარიგებებს, რომლებიც დადებულია მესამე პირთა სასარგებლოდ (სკ-ის 349-ე მუხლი);

9. არსებობენ გარიგებები, რომლებსაც არ საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან ნებართვას და პირიქით, აუცილებელია ნებართვის არსებობა. როგორც წესი გარიგებათა უმრავლესობა იდება მასში მონაწილე სუბიექტთა ნების თავისუფლად გამოვლენის საფუძველზე. თუმცა გვხდება გარიგებები, რომლებიც დადებულია კონტრაჰენტების იძულებიდან გამომდინარე. კერძოდ, იძულება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილე ვერ გახდება მხარე თუ არ მიმართა სახელმწიფოს და არ აიღო შესაბამისი ნებართვა (იხ. სკ-ის 319.2-ე და 319.3-ე მუხლები). სწორედ ეს თავისებურება განაპირობებს, რომ მსგავსი ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით (სკ-ის 319.1-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი დაწესებულებების და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები (მათში არ იგულისხმებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები) დებენ კერძო ხასიათის ხელშეკრულებას უცხოელ კონტრაჰენტებთან, მაშინ ხელშეკრულების დასადებად დამატებით საჭიროა „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის #139 დადგენილებით განსაზღვრული პროცედურების დაცვა. კერძოდ, ხელშეკრულების პროექტის ტექსტში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მითითების შემთხვევაში, ხელშეკრულების პროექტი, შესაბამისი უწყებების დასკვნასთან (არსებული პრაქტიკის თანახმად მას ამზადებს ხელშეკრულების დამდები ქართული მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე) ერთად განსახილველად უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების მიზნით.

ამ სახის ხელშეკრულების მოშლის განზრახვის არსებობის შემთხვევაში კი ხელშეკრულების მოშლამდე უნდა არსებობდეს იურიდიული დასკვნა ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების თაობაზე. აღნიშნული დასკვნა, თავის მხრივ უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, მისი შემდგომი შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

10. გარიგება შეიძლება იყოს ძირითადი, წინარე, და დამატებითი. ამ სახის გარიგებები წარმოადგენენ ხელშეკრულებას.

წინარე ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულება და შესაბამისად გარიგებაა, რომლითაც შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (სკ-ის 327.3 მუხლი). ე. ი. წინარე ხელშეკრულება ვალდებულებითი სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომლითაც მხარეები კისრულობენ სხვა ისეთი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რომელსაც, როგორც წესი ძირითად ხელშეკრულებას უწოდებენ. მაშასადამე, წინარე ხელშეკრულება წარმოადგენს სახელშეკრულებო კონტრაჰენტების იძულების სამართლებრივ საფუძველს.[144]

თავისი შინაარსიდან გამომდინარე წინარე ხელშეკრულება თითქოსდა ჰგავს პირობით ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან პირობით ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების პირობა თვით ამ ხელშეკრულებაშივეა ჩადებული, მაშინ როცა წინარე ხელშეკრულება შეიცავს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას და განსაზღვრავს ძირითადი ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობებს.

წინარე ხელშეკრულება ისევე, როგორც ძირითადი ხელშეკრულება იდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და ამით განსხვავდება იგი განზრახულობათა ოქმისაგან, რომელიც ასახავს მოლაპარაკების მონაწილეთა ცალმხრივ სურვილს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ პირობებში შეიძლება დადონ ხელშეკრულება. შესაბამისად, მას არ გააჩნია ხელშეკრულების დასადებად მავალდებულებელი ძალა.

თუმცა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ განზრახულობათა ოქმით მიღწეულ შეთანხმებას უსაფუძვლოდ არ უარყოფენ და აღნიშნულს თუ მაინც ექნება ადგილი დადგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. კერძოდ, მოლაპარაკების მონაწილეს ასეთ შემთხვევაში შეეძლება მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა.

---

144 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. გვ. 96.

განზრახულობათა ოქმისაგან განსხვავებით წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მის მონაწილეს, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, აძლევს არა მხოლოდ იმის უფლებას აინაზღაუროს ხელშეკრულების დაუდებლობით გამოწვეული ზიანი, არამედ, ცალკეულ შემთხვევაში მოსთხოვოს მეორე მხარეს შეთანხმებული ხელშეკრულების დადებაც კი.

ასეთი უფლებამოსილება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 317.2-ე მუხლის დანაწესიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ კოდექსის 316-ე მუხლით (იგულისხმება ის, რომ კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება) გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების სტადიაზეც წარმოიშვას.

ასე, მაგალითად შპს."ფორტუნამ," სს"ქართული ქველმოქმედების" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უზრუნველყო საჰაერო ხომალდის ეგრედწოდებული "ჰიდრანტის სისტემით" მომარაგების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება. კერძოდ, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობა, რაშიც დახარჯა სოლიდური თანხები.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შპს "ფორტუნას" მონაწილეობა უნდა მიეღო სს "ქართული ქველმოქმედების" მიერ გამოცხადებულ ტენდერში და გამარჯვების შემთხვევაში მასთან უნდა გაფორმებულიყო მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გაცემის შესახებ ხელშეკრულება.

შპს "ფორტუნამ" გაიმარჯვა გამოცხადებულ ტენდერში, მაგრამ მასთან ხელშეკრულება ვერ გაფორმდა, რადგან გამოირკვა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც "ჰიდრანტის სისტემა" იყო განთავსებული სს"ქართული ქველმოქმედების" საკუთრებად არ ყოფილა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ამ ნაკვეთის საკუთრებად აღრიცხვის შემდეგ კი, შპს "ფორტუნამ" მოითხოვა აღნაგობის ხელშეკრულების დადება, რაც სს "ქართულმა ქველმოქმედებამ" დააკმაყოფილა, ვინაიდან სახეზე იყო ამ უკანასკნელის ბრალეული მოქმედება და ძირითადი ხელშეკრულების დასადებად წინარე ხელშეკრულებით გათვალ-

ისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაეკისრებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოყვანილი მაგალითისაგან განსხვავებით გვხდება ისეთი შემთხვევებიც, როცა წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი პირობის შესრულება ძირითადი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით შეიძლება სავალდებულო არც გახდეს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლის თანახმად, სესხის შემპირებელ პირს შეუძლია უარი თქვას შეპირებული სესხის (მის შესახებ უნდა არსებობდეს წერილობითი შეთანხმება. იხ. სკ-ის 628-ე მუხლი) მიცემაზე თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ საფრთხე შეექმნა ვალის დაბრუნებას.

წინარე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის სავალდებულოა, რომ იგი დადებული იქნეს ძირითადი ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმის დაცვით. მაგალითად, თუ მხარეები დებენ წინარე ხელშეკრულებას უძრავი ნივთის შეძენის ან/და სხვაზე საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ, ასეთი ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას (სკ-ის კოდექსის 323-ე მუხლი), ნოტარიუსის ან/და საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის მიერ მის დამოწმებას და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, რადგან ძირითადი ხელშეკრულება, როცა დაკავშირებულია უძრავ ნივთზე საკუთრების ვალდებულებასთან, ამ სახის გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან/და საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის მიერ (იხ. სკ-ის 311[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და გატარდეს საჯარო რეესტრის რეგისტრაციაში. აღნიშნული თავის მხრივ გამომდინარეობს „საჯარო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონის 11.1 მუხლის ლ) ქვეპუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 311[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან, რომლითაც უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. თვით გარიგება კი ძალაში შედის ამ გარიგებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან;

11. იურიდიული ძალაუფლების მინიჭების თვალსაზრისით გარიგება შეიძლება იყოს: მავალდებულებელი, განკარგვითი და შეძენითი.

მავალდებულებელი გარიგება სახეზეა მაშინ, როცა მხარე კისრულობს ვალდებულებას რაიმე სახის მოქმედების შესრულების, მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ან/და მეორე მხარის უფლებებისა და მოვალეობისადმი განსაკუთრებული გულისხმიერებით მობყრობასთან დაკავშირებით (სკ-ის 316.1-ე და 316.2-ე მუხლები).

განკარგვითი გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც ცვლის არსებულ უფლებას ამ უფლების სხვისთვის გადაცემის, დატვირთვის ან გაუქმების გზით.

რაც შეეხება შეძენით გარიგებას იგი სახეზეა მაშინ, როცა გარიგების ძალით ხორციელდება რაიმე სახის უფლების შეძენა. სამოქალაქო კოდექსის 233.1-ე მუხლის თანახმად აღნაგობის უფლება ერთდროულად, როგორც განკარგვითი ისე შეძენითი ხასიათის გარიგებაა, რადგან ამ უფლების შემძენისათვის მხარეებს შორის დადებული გარიგება იქნება შეძენითი, ხოლო გამსხვისებლისათვის განკარგვითი გარიგება;

12. გარიგება შეთანხმების ექვივალენტიანობის გათვალისწინებით შეიძლება იყოს: სასყიდლიანი და უსასყიდლო.

ყოველდღიურ ცხოვრებაში დადებული გარიგებების უმრავლესობა სასყიდლიანი გარიგებაა, რადგან მხარეები მათი დადებით იღებენ გარკვეულ საფასურს ან/და სხვა სახის სარგებელს.

უსასყიდლო გარიგების არსებობის შემთხვევაში კი გარიგების მონაწილე არ იღებს რაიმე სახის საფასურს ან/და სარგებელს. ამ სახის გარიგებაა: ანდერძი, ჩუქების, უპროცენტო სესხის, თხოვების ხელშეკრულება და სხვა;

13. კანონით დადგენილი წესების, აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმებთან მიმართებაში გარიგება შეიძლება იყოს: მართლზომიერი (ანუ კანონიერი), ზნეობის ნორმებთან შესაბამისი და პირიქით მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებები.

მართლზომიერი და ზნეობის ნორმებთან შესაბამისი გარიგებები, როგორც წესი ნამდვილი გარიგებებია და თუ აკმაყოფილებენ შესაბამისი კანონის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკრეტულ მოთხოვნებსაც, მათი შესრულება სავალდებულოა.

რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებს მათ დათმობილი აქვთ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მართლსაწინააღმდეგოდ კანონმდებელი მიიჩნევს გარიგებას, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს, აკრძალვებს ან/და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე გარიგება მართლსაწინააღმდეგოდ, რომ ჩაითვალოს საჭიროა, ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პირობის არსებობა მაინც. კერძოდ, გარიგება უნდა არღვევდეს კანონით დადგენილ წესს, კანონით დადგენილ აკრძალვებს ან/და ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს. რაც შეეხება ამორალურ გარიგებას იგი, წინააღმდეგობაში მოდის ზნეობის ნორმებთან.

ჩამოთვლილი კრიტერიუმის გათვალისწინებით საქორწინო ხელშეკრულება თუ შეიცავს დებულებას იმის თაობაზე, რომ მეუღლეებს შეუძლიათ უარი თქვან ურთიერთრჩენის ვალდებულებაზე, ამგვარი გარიგება იქნება მართლსაწინააღმდეგო და შესაბამისად უცილოდ ბათილი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსით დადგენილია წესი, რომ შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს, როგორც ქორწინების პერიოდში ისე განქორწინების შემდეგაც თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან (იხ. სკ-ის 1183-ე მუხლი).

ამგვარი გარიგება არღვევს კანონით დადგენილ იმ აკრძალვასაც, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერჩენის მოვალეობა (სკ-ის 1179.1 მუხლი). ანალოგიურად, კანონით დადგენილ წესთან და აკრძალვებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ისეთი საქორწინო ხელშეკრულებაც, სადაც მითითებული იქნება, რომ მშობლებს არ გააჩნიათ საალიმენტო მოვალეობანი შვილების მიმართ და სხვა.

ჩამოთვლილი შემთხვევებისაგან განსხვავებით, მეუღლეთა შორის თუ იარსებებს შეთანხმება, რომ ცოლი ვალდებულებას იღებს პროსტიტუციით არჩინოს ქმარი, ამგვარი შეთანხმება იქნება ამორალური და შესაბამისად ბათილი გარიგება, რადგან ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა მართლსაწინააღმდეგო გარიგებად სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი მიიჩნევს ისეთ გარიგებასაც, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

"საჯარო წესრიგის" ცნების განმარტებას არ იძლევა სამოქალაქო კოდექსი. აღნიშნულის გამოა, რომ ამ საფუძვლით გარიგებათა ბათილად ცნობის შემთხვევები იშვიათია პრაქტიკაში. აღნიშნულს ხელს უწყობს ისიც, რომ თვით მეცნიერთა შორისაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია საჯარო წესრიგის შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი საჯარო წესრიგს აიგივებს ისეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და მორალურ პრინციპებთან, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ქვეყანაში.[145] ანუ, საზოგადოებრივი წესრიგი გაიგივებულია საჯარო წესრიგთან. ავტორთა მეორე ჯგუფი კი საჯარო წესრიგის ქვეშ მოიაზრებს სამოქალაქო ბრუნვის ისეთ ფუნდამენტალურ პრინციპებს, როგორიცაა- საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება.

ვფიქრობთ, რომ ორივე ეს პოზიცია ერთობლიობაში გარკვეულწილად მართლაც ქმნის წარმოდგენას საჯარო წესრიგთან დაკავშირებით, რადგან საჯარო წესრიგი არის სამართლის ნორმებით განმტკიცებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობა, სადაც სუბიექტის ქმედება საზოგადოებისადმია დაქვემდებარებული. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საჯარო წესრიგის ფორმირებაში მონაწილეობენ ისტორიული და ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრების წესები, ქცევისა და დისციპლინის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმები.

ამდენად, ჩამოთვლილ გარემოებათა ძალით, საჯარო წესრიგის ცნება მოიცავს, როგორც ურთიერთობის მონაწილეთათვის ქცევის ჩამოყალიბებული წესების ერთობლიობას ისე სამართლის ნორმის შეფარდების პრაქტიკასაც. შესაბამისად, როცა არსებული გარიგება ეწინააღმდეგება მათ, ამგვარი ნების გამოვლენა იქნება უცილოდ ბათილი.

14. ფორმის მიხედვით განასხვავებენ: გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია ზეპირი ფორმა, ასევე გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა.

---

145 იხ. კომენტარები, წიგნი 1. გვ. 31

ზეპირ, ანუ ვერბალურ გარიგებად ითვლება ყველა ის გარიგება, სადაც მითითებული არ არის გარიგების/ხელშეკრულების წერილობით დადების აუცილებლობაზე;

გარიგებებს, რომელთა ნამდვილობისთვისაც კანონით სპეციალური ფორმაა დადგენილი ჩამოთვლის თვით სამოქალაქო კოდექსი. ასე მაგ. საჩუქრის დაპირების შესახებ ხელშეკრულება ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ წარმოშობს, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული (სკ-ის 525.3-ე მუხლი). ანალოგიურად, ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით (სკ-ის 577-ე მუხლი). ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაც ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობით ფორმას (სკ-ის 611-ე მუხლი) და აშ.

გარიგებების ნამდვილობისათვის როცა საჭიროა წერილობითი ფორმა ამ სახის გარიგება ლიტერალური გარიგების სახელწოდებითაცაა ცნობილი. სავალდებულო წერილობითი ფორმა თავის მხრივ ორი სახისაა. პირველს განეკუთვნებიან მარტივი წერილობითი ფორმით დადებული გარიგებები (მაგ. ისეთი მოძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ გარიგება, რომელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას), ანუ ისეთი გარიგებები, რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგების წერილობით დადება და მასზე მონაწილე მხარეთა ხელმოწერა (სკ-ის 69.3 მუხლი).

გარიგებათა მეორე ნაწილის ნამდვილობისათვის კანონმდებელი მოითხოვს რთული წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობას. ანუ, სავალდებულოა, რომ გარიგება დაიდოს წერილობითი ფორმით და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში (სკ-ის 183-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში საჭიროა ისიც, რომ მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან/და კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა (იგულისხმება საჯარო რეესტრის შესაბამისი თანამშრომელი). 2012 წლის 1-ლი იანვრიდან დამატებით აუცილებელი გახდა ისიც, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნასყიდობის საფუძველზე შეძენის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მეშვეობით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფასის გადახდა ხდება ეტაპობრივად (სკ-ის 183-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები);

გარიგებები, რომელთა ფორმა განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის მოთხოვნის შესრულების შემდეგ. კანონით თუ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება საჭიროებს წერილობით ფორმას.

თავის მხრივ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენის გზით. ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეფონო შეტყობინება, ან წერილების ურთიერთგაცვლა (იხ. სკ-ის 328.2-ე ნაწილი). იმ შემთხვევაში კი, როცა ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან/და გარიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის (იხ. სკ-ის 361-ე მუხლი). მაგალითად, თუ პირმა აღიარა უძრავი ქონების სხვა პირზე საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება, მას სჭირდება რთული წერილობითი ფორმით შედგენა, ანუ, სანოტარო წესით დამოწმება, მაგრამ თუ ვალის არსებობის აღიარება მოხდა გადახდით, წერილობითი ფორმა საჭირო არ არის;

15. იურიდიული ძალის მიხედვით, გარიგება შეიძლება იყოს: ნამდვილი, უცილოდ ბათილი (არარა), შესაძლოდ ბათილი, საცილო და მერყეევად ბათილი გარიგებები:

1) ნამდვილია გარიგება, თუ იგი მასში მონაწილე მხარეთა ასაკთან, კანონთან ან/და მორალთან და გამოვლენილ ნებასთან დაკავშირებით ნაკლით არ ხასიათდება.

2) მისგან განსხვავებით, უცილოდ ბათილი გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს დადებიდანვე. ამ სახის გარიგებათა ჩამონათვალს შეიცავს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ მათ განეკუთვნებიან:

ა) მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური გარიგება (სკ-ის 54-ე მუხლი);

ბ) გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (სკ-ის 55.2-ე მუხლი);

გ) გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება);

დ) გარიგება, რომლის თაობაზეც ნების გამოვლენა გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა (სკ-ის 57.1-ე მუხლი);

ე) მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენით დადებული გარიგება (სკ-ის 58.1-ე მუხლი);

ვ) სულით ავადმყოფის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე დადებული გარიგება, როცა ეს არ შეესაბამება პირის მიერ რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული (სკ-ის 58.3-ე მუხლი);

ზ) კანონით ან ხელშეკრულების გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა (სკ-ის 59.1 —ე მუხლი);

თ) ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, ან/და არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა უარი მასზე. თუმცა ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ (სკ-ის 66-ე მუხლი);

ი) გარიგებაში, სადაც ჩადებულია ისეთი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. ასეთი გარიგება ბათილია მაშინ, თუ იგი რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული (სკ-ის 91-ე მუხლი);

კ) ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ან/და უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე (სკ-ის 320-ე მუხლი);

ლ) პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება. იგივე წესი გამოიყენება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან/და საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკ-

რულების მიმართ. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე (სკ-ის 322.1 და 322.2 მუხლები და აშ.

3) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს ცალკეულ გარიგებათა ბათილად ცნობას. ამიტომაც ვუწოდეთ მათ შესაძლოდ ბათილი გარიგებები. ამგვარ გარიგებათა ჩამონათვალს იძლევა თვით სამოქალაქო კოდექსი. კერძოდ, გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან/და გამოუცდელობით (გულუბრყვილობით (სკ-ის 55.1-ე მუხლი).

ანალოგიურად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს (სკ-ის 58.2).

შესაძლოდ ბათილი გარიგება უცილოდ ბათილი გარიგებისგან განსხვავებით იურიდიულ შედეგს წარმოშობს თუ დაინტერესებულმა მხარემ სადაო არ გახადა მისი ნამდვილობა. ამ ნიშნით შესაძლოდ ბათილი გარიგებები გვანან სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მეოთხე თავით გათვალისწინებულ საცილო გარიგებებს. რაც შეეხება განსხვავებას იგი მდგომარეობს მასში, რომ შესაძლოდ ბათილი გარიგებების ნამდვილობა შეიძლება სადაო გახდეს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის სამოქალაქო კოდექსის 129.1-ე მუხლით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით 3 და უძრავ ნივთებთან დაკავშირებით 6 წლის განმავლობაში. ეს მაშინ, როცა შეცდომით დადებული გარიგების შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, მოტყუებით დადებული გარიგება კი სადაო შეიძლება გახდეს ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. რაც შეეხება იძულებით დადებულ გარიგებას იგი სადაო შეიძლება გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან;

4) საცილო გარიგებები თავის მხრივ სამი სახისაა: შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებები.

შეცდომით დადებული გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც შეიძლება საცილო გახდეს, თუკი ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე(სკ-ის 72-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად არსებით შეცდომად ითვლება ისეთი შემთხვევები როცა: ა) პირს უნდოდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რაზედაც მან გამოთქვა თავისი თანხმობა; ბ) პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომლთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად.

ზემოთაღნიშნულთან ერთად შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნეს გარიგების მონაწილის პიროვნებაში ანუ, კონტრაჰენტში. თუმცა, კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებით შეცდომად, როცა კონკრეტული კონტრაჰენტის პიროვნება ან/და მისი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.

შეცდომა შეიძლება დაშვებული იქნეს გარიგების საგანშიც. თუმცა, შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

შეცდომით დადებული გარიგება საცილო შეიძლება გახდეს მაშინაც თუ არსებით შეცდომას აქვს ადგილი- უფლებაში, გარიგების მოტივში ან/და ნების გამოვლენაში.

უფლებაში დაშვებული შეცდომა არსებითი მნიშვნელობის იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი იყო ერთადერთი და მთავარი საფუძველი გარიგების დადებისა.

გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა კი არსებითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. სხვა შემთხვევაში მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითი შეცდომა არ არის და ამდენად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი არ შეიძლება იყოს.

როგორც ვხედავთ შეცდომით დადებული გარიგება საცილოა ნების გამოვლენაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამო. ამასთან, ნების გამოვლენა შეცდომით არ შეიძლება საცილო

გახდეს იმ შემთხვევაში, როცა მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის გათვალისწინებით, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება.

იმ შემთხვევაში, როცა გარიგების დადების დროს დაშვებულია არაარსებითი, წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებაში ანდა წერილობით განხორციელებული ნების გამოვლინებაში, ასეთი შეცდომები არ შეიძლება შეცილების და შესაბამისად გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, რადგან კანონი უშვებს მათი შესწორების შესაძლებლობას (სკ-ის 78-ე მუხლი).

შეცდომით დადებული გარიგების შეცილებისთვის განსაზღვრულია ერთთვიანი ვადა, რომლის ათვლის წერტილი იწყება შეცილების საფუძვლის შეტყობის დღიდან.

გარიგება თუ საცილო გახდა და დადგინდა, რომ შეცდომა გამოწვეულია შეცდომის უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა თუ მეორე მხარემ იცოდა მის მიერ დაშვებული შეცდომის შესახებ ან/და ეს უცნობი იყო, მაგრამ მის მიერ გამოჩენილი დაუდევრობის გამო.

გარიგებაში როცა მონაწილეობს შუამავალი და გარიგების დადების დროს, გარიგების დამდები პირის ნება შუამავლის მიერ არასწორად იქნა შეტყობინებული მეორე მხარისთვის, ასეთი გარიგება საცილო გახდება ისეთივე პირობით, როგორც ეს ჩვეულებრივი საცილო გარიგების დროს ხდება. ანუ, იმდაგვარად როცა სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული არსებითი შეცდომა.

საცილო გარიგების ერთ-ერთი სახეა მოტყუებით დადებული გარიგება. მოტყუება არის პირის შეგნებულად განზრახი მოქმედება, რომელიც მიმართულია გარიგებაში მონაწილე მეორე მხარის შეცდომაში შესაყვანად თავისი ინტერესების, ან/და იმ პირის ინტერესების სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გარიგება იდება.

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. აღნიშნულს კერძოდ მაშინ აქვს ადგილი როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ

დაიდებოდა. შესაბამისად, მოტყუება თუ ისეთ ხასიათს ატარებს, რომ გარიგება მის გარეშეც დაიდებოდა, მაშინ ასეთი მოტყუება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველი ვერ გახდება.

გარიგების ბათილობა შეიძლება მოითხოვოს მოტყუებულმა მხარემ მაშინაც, როცა გარიგების დადებისას ერთი მხარე დუმდა იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამოჟღავნების შემთხვევაში, მეორე მხარე არ გამოავლენდა გარიგების დადების შესახებ თავის ნებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში გამჟღავნების ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მხარე კეთილსინდისიერად ელოდებოდა მას.

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე ისახავდა რაიმე სარგებლობის მიღებას, თუ ამოძრავებდა მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებს მიზანი.

გვხდება შემთხვევები, როცა მოტყუებას ადგილი აქვს მესამე პირის მხრიდან. ასეთი მოტყუება გარიგების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მაშინ, როცა მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, ვის სასარგებლოდაც არის გარიგება დადებული.

როგორც ვხედავთ, მესამე პირის მხრიდან მოტყუებით დადებულ გარიგებაში მთავარია, ვის სასარგებლოდ დაიდო ეს გარიგება და როგორ აღიქვამს მხარე ამ მოტყუებას. მხარემ, ვის სასარგებლოდაც დაიდო გარიგება თუ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ მესამე პირი ტყუოდა, ასეთი გარიგება არ გაბათილდება. იმ შემთხვევაში კი, როცა მან იცოდა მოტყუების შესახებ ან უნდოდა სცოდნოდა, შეცილება მოხდება ამ მხარის მიმართ.

თუ გარიგება დადებულია მოტყუებით მესამე პირის მხრიდან მის სასარგებლოდ და ამ მოტყუების შესახებ გარიგების არცერთმა მხარემ არ იცოდა, პრეტენზია ამ მესამე პირს უნდა განუცხადონ და არა მხარეებს, რადგან კანონის აზრიდან გამომდინარე, ასეთი გარიგებაც შეიძლება საცილო გახდეს.

თუ გარიგების ორივე მხარე ერთმანეთს ატყუებდა, მაშინ მათ უფლება არა აქვთ მოტყუების საფუძვლით მოითხოვონ გარიგების ბათილობა.

მოტყუებით დადებული გარიგება საცილო შეიძლება გახდეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ.

საცილო გარიგების ერთ-ერთი სახეა იძულებით დადებული გარიგება. იძულება გულისხმობს ძალადობას ან/და ძალადობის მუქარას.

ძალადობა და ძალადობის მუქარა გარიგების დადების დროს უფლებას აძლევს პირს მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა. ასეთივე უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა იძულება თუ იძულების მუქარა მომდინარეობს მესამე პირისაგან.

გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას ემუქრება რეალური საფრთხე.

რამდენად რეალურია ის საფრთხე, რაც იძულებულს ხდის პირს დადოს გარიგება შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლომ საფრთხის რეალობის დასადგენად უნდა გაითვალისწინოს, გარიგებაში მონაწილე პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

სამოქალაქო კოდექსის 86.1-ე მუხლი შეიცავს დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ საფრთხე უშუალოდ უნდა ემუქრებოდეს გარიგების ერთ-ერთი მხარის პიროვნებას ან ქონებას. რაც შეეხება სკ-ის 87-ე მუხლს იგი უშვებს გარიგების ბათილობის შესაძლებლობას მაშინაც, თუ იძულება მიმართული იყო არა უშუალოდ გარიგების მონაწილე პირის მიმართ, არამედ მისი მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

იძულებად ითვლება მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით ან მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით. ამდენად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლს არ წარმოადგენს ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებიან.

იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადაო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთარების მომენტიდან;

5) მერყევად ბათილი გარიგებები ისეთი გარიგებებია, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის მიერ მის შემდგომ მოწონებაზე. ამ კატეგორიას განეკუთვნება არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება, რადგან სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გარიგების ნამდვილობის პირობა მასში მონაწილე მხარეთა ქმედუნარობაა. ეს კი დაკავშირებულია მონაწილის სრულწლოვანებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არასრულწლოვანი მის მიერ დადებული გარიგებიდან იღებს სარგებელს (სკ-ის 63.1-ე მუხლი).

ამდენად, არასრულწლოვანს შეუძლია გარიგება დადოს მხოლოდ თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანი თუ დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა კანონმდებელმა დაუკავშირა ხელშეკრულების დადების შემდეგ კანონიერი წარმომადგენლის მიერ მის მოწონებას. ანუ, კანონიერი წარმომადგენლის მოწონების შემთხვევაში ამგვარი გარიგება ნამდვილია გარდა ისეთი შემთხვევისა როცა კანონიერი წარმომადგენლის მიერ მის მოწონებამდე ხელშეკრულების მეორე მხარემ უარი თქვა ხელშეკრულებაზე.

თავის მხრივ მეორე მხარეს, რომელთანაც არასრულწლოვანმა დადო ხელშეკრულება, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლია მხოლოდ მაშინ თუ იცოდა, რომ არასრულწლოვანთან დებდა გარიგებას, მაგრამ ეს უკანასკნელი ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, მაგრამ წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების მოწონებამდე იგი გახდება სრულწლოვანი, მას შეუძლია თვითონვე გადაწყვიტოს საკითხი მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის თაობაზე. ანუ, იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება დადებული იყო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე მას შეუძლია მოითხოვოს მისი ბათილობა.

სამოქალაქო კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად ბათილია არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული ყველა ცალმხრივი გარიგება მაშინაც კი, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარუდგენია მეორე მხარისათვის ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი და აღნიშნულის გამო მეორე მხარემ დაუყონებლივ თქვა უარი მასზე.

მეორე მხარე მოკლებულია უარის თქმის შესაძლებლობას თუ იგი ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შესახებ.

გარიგება, როცა დადებულია მანამდე სანამ სასამართლოს მიერ პირს შეეზღუდებოდა ქმედუნარიანობა და ამ სახით გარიგების დადება ითხოვს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვას, შეიძლება მოთხოვნილი იქნეს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვა ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე დადებულ გარიგებასთან დაკავშირებითაც. თუმცა, ამ უფლებით სარგებლობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, აშკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც.

მოყვანილი შემთხვევებისაგან განსხვავებით ნამდვილია არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულება თუ იგი აკმაყოფილებს არასულწლოვანის ემანსიპაციისათვის სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

არასრულწლოვანის ემანსიპაცია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, დადებული ხელშეკრულება ითვლება ნამდვილად თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების შესასრულებლად არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებები, რომლებიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მესამე პირმა. ასევე, ეს საშუალებები კანონიერი წარმომადგენლის ან/და მესამე პირის მიერ თუ ჰქონდა გადაცემული არსარულწლოვანს თავისუფალი განკარგვის მიზნით.

ანალოგიურად, არასრულწლოვანის ემანსიპაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ითვლება

ნამდვილად, იმ არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება, რომელსაც მიღწეული აქვს 16 წლის ასაკისათვის და კანონიერი წარმომადგენლის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან წინასწარი შეთანხმების გზით, მინიჭებული აქვს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 65.2-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საწარმოს გაძღოლის უფლების მქონე არასრულწლოვანი შეუზღუდავი ქმედუნარიანობის მატარებელია მხოლოდ საწარმოს მართვისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ურთიერთობებში და ეს წესი მოქმედებს, როგორც საწარმოს დაფუძნების, ისე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობის დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

16. უფლება-მოვალეობათა წარმოშობის მომენტის მიხედვით გარიგება შეიძლება იყოს რეალური და კონსესუალური.

რეალურია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ შეთანხმება, არამედ მას უნდა მოყვეს მყისიერად ნივთის გადაცემაც. მაგალითად. სესხის ხელშეკრულება მოითხოვს ნივთის გადაცემას შეთანხმებისთანავე. ანალოგიურად, რეალურია მიბარებისა და ჩუქების ხელშეკრულებებიც.

კონსესუალური გარიგების ნამდვილობისათვის კი საკმარისია თვით შეთანხმების ფაქტის არსებობა. ანუ, სავალდებულო არ არის ნივთის გადაცემა შეთანხმების მომენტშივე. ამ სახის გარიგების მაგალითია სესხის შეპირების შესახებ ხელშეკრულება;

17. სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს პირობით გარიგებებს ისეთი გარიგებებისაგან, რომელთა ნამდვილობისთვის რაიმე განსხვავებული პირობის არსებობა კოდექსით გათვალისწინებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე პირობითად მათ შეიძლება ეწოდოთ უპირობო გარიგებები. რაც შეეხებათ პირობით გარიგებას კანონდებელი ასეთად მიიჩნევს გარიგებას, რომლის არსებობა იმდაგვარადაა დამოკიდებული სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა თვით ეს გარიგება წყდება ამ მოვლენის დადგომისთანავე (სკის 90-ე მუხლი). მაშასადამე პირობა უნდა იყოს სამომავლო და ჯერ კიდევ უცნობი. უკვე არსებული და ცნობილი მოვლენა კი არ შეიძლება გახდეს ასეთი გარიგების პირობა.

ამასთან, გარიგებაში ჩადებული პირობა არ უნდა ეწინააღმდე-

გებოდეს კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს და შესაძლებელი უნდა იყოს მისი შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი პირობა იქნება მთლიანად ბათილი. თუ გარიგება დაფუძნებულია მხოლოდ გარიგებაში მონაწილე მხარის ნებაზე, ანუ სახეზეა შემთხვევა, როცა პირობის დადგომა-არდადგომა მთლიანადაა დამოკიდებული გარიგების ერთი მხარის ნება-სურვილზე, ასეთი გარიგებაც ბათილია.

გარიგება შეიძლება დაიდოს იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება, ან/და ისეთი პირობით, რომ ეს მოვლენა არ დადგება. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ პირობას.

პოზიტიურია გარიგების პირობა, რომელიც უნდა დადგეს გარიგებაში მითითებულ განსაზღვრულ ვადაში, ან/და ვადის გაუსაზღვრელად. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს მოვლენა არ დადგა, მაშინ პირობა ითვლება ძალადაკარგულად.

გარიგების პირობის შესრულების ვადა, როცა არ არის განსაზღვრული, ასეთი პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. თუმცა, აშკარა თუ გახდა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია, ხოლო გარიგება ამ პირობის დადგომითაა დადებული, შეიძლება დაისვას გარიგების პირობის ძალადაკარგულად მიჩნევის საკითხი.

გარიგება როცა დადებულია იმ პირობით, რომ განსაზღვრულ ვადაში არ დადგება რაიმე მოვლენა, სახეზეა უარყოფითი, ანუ ნეგატიური პირობა. მისი არსი იმაშია, რომ გარიგებაში მითითებული ვადის გასვლის მიუხედავად ეს მოვლენა თუ არ დადგა, პირობა შესრულებულად ითვლება. ანალოგიურად, პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენა არ დადგება.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, გარიგებაში მითითებული ნეგატიური პირობის დადგომისათვის ვადა თუ განსაზღვრული არ არის, პირობა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.

სამოქალაქო კოდექსი კრძალავს პირობის დადგომაზე ზემოქ-

მედებას. კერძოდ, პირს, რომელმაც გარიგება დადო გარკვეული პირობით, ამ პირობის დადგომამდე არ შეუძლია შეასრულოს ისეთი მოქმედება, რაც ხელს შეუშლის მისი ვალდებულების შესრულებას, ხოლო თუ პირობა დადგა განსაზღვრულ დროს, მაგრამ პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ამგვარი მოქმედებით მიყენებული ზიანი (სკ-ის 95-ე მუხლი).

პირობითი გარიგება შეიძლება დაიდოს ასევე გადადების პირობით და გაუქმების პირობით.

გარიგება ჩაითვლება გადადების პირობით დადებულად, როცა ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია პირობაზე, რომელიც უცნობია და მომავალში უნდა წარმოიშვას, ანდა რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია მხარეთათვის (სესპენსიური პირობა).

გარიგება გაუქმების პირობით მაშინ ითვლება დადებულად, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას ან ალადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.

პირობით გარიგებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას. შესაბამისად, იმ მხარემ, რომლისთვისაც პირობა ხელსაყრელი არ არის, გარიგების პირობის დადგომა თუ დააბრკოლა არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, პირობა მაინც ჩაითვლება დამდგარად. პირობის დადგომას თუ ხელს შეუწყობს გარიგების იმ მონაწილის არაკეთილსინდისიერი მოქმედება, რომლისთვისაც ხელსაყრელია პირობის დადგომა, ასეთ შემთხვევაში კი პირობა არ ჩაითვლება დამდგარად.

თავი მეორე

წარმომადგენლობა გარიგებებში

§1 წარმომადგენლობის ცნება, სახეები და წარმოშობის საფუძვლები

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც წესი, მონაწილეობენ უშუალოდ და შესაბამისად თავიანთი სახელით. იმ შემთხვევაში თუ მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ პირადად მაგ. დროის უქონლობის, ჯანმრთელობის გაუარესების ან სხვა მიზეზის გამო, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ წარმომადგენლის დახმარებით.

წამომადგენლის გამოყენების შემთხვევები ყველაზე ხშირად გვხვდება გარიგებით (სახელშეკრულებო) ურთიერთობებში. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, მეორე კარის, მე-7 თავი დათმობილი აქვს წარმომადგენლობის ინსტიტუტს.

წარმომადგენლობა ზოგადად გულისხმობს წარმოდგენილის და წარმომადგენლის ურთიერთობას. მათგან, წარმომადგენელი ის პირია, რომელიც მოქმედებს სხვა პირის სახელით და სხვის ინტერესებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სხვა პირისათვის, ამ "სხვა პირს" კი წარმოდგენილი ეწოდება.

წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით კი განასხვავებენ:

1. კანონიდან გამომდინარე წარმომადგენლობას და 2. ცალკეული დავალებების, ანუ მინდობილობის საფუძველზე წარმოშობილ წარმომადგენლობას.

წარმომადგენლობა, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს და არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, კანონიერი წარმომადგენლობის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ სახის წარმომადგენლობას იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12.5 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული

პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე). ანალოგიურად, სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ იმ შემთხვევის გარდა, როცა შეზღუდულ ქმედუნარიანი პირი გარიგებით იღებს სარგებელს, შეზღუდული ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად თუ არ ისარგებლებს მისი კანონიერი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობით.

ზოგადი წესის მიხედვით:

ა) ქმედუუნარო, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენლები არიან მათი მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები და მზრუნველები;

ბ) საქმე როცა ეხებათ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილ პირებს, მათ კანონიერ წარმომადგენლად ითვლება პირი, რომელსაც სამართავად გადაეცა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება;

გ) საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გარდაცვლილის ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მემკვიდრე, თუ მემკვიდრეობა არავის მიუღია, მემკვიდრის კანონიერ წარმომადგენლად გამოდის სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი.

თავის მხრივ, კანონიერმა წარმომადგენლებმა საქმის წარმოება შეიძლება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს უფლებას კანონიერ წარმომადგენლებს თვითონაც მიიღონ მონაწილეობა საქმეში;

დ) მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე, წარმომადგენლობით უფლება-მოსილებას მეწარმე სუბიექტებში ახორციელებენ ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირები. კერძოდ: სამეწარმეო ამხანაგობაში-ყველა მონაწილე; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში-ყველა პირტნიორი; კომანდიტურ საზოგადოებაში-პერსონალურად პასუხისმგებლობის მქონე სრული პარტნიორები, ანუ კომპლემენტარები; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში-დირექტორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლობის თაობაზე აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში და მასში მითითებული წარმომადგენლოობითი უფლებამოსილება არ შეიძლება

შეიზღუდოს მესამე პირებთან ურთიერთობაში. (იხ. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9.1 მუხლი).

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში წარმომადგენელი შეიძლება იყოს, როგორც ერთი ისე რამოდენიმე პირი. სამოქალაქო კოდექსის 35.1-ე მუხლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში წარმომადგენლის უფლების მინიჭება ერთი პირისათვის, ისევე როგორც ორი ან მეტი პირისათვის წარმომადგენლობის დაწესება, არაკომერციული იურიდიული პირის დამფუძნებლის (წევრების) პრეროგატივაა;

ე) იმ შემთხვევაში თუ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) წევრთა ურთიერთშეთანხმებით გამოყოფილი არ არის საამისოდ უფლებამოსილი პირი, არარეგისტრირებული კავშირის წარმომადგენლის უფლებამოსილება კანონით დაკისრებული აქვთ ამ გაერთიანების წევრებს (სკ-ის 39.3-ე მუხლი).

მათგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის 103.1-ე მუხლის მიზნებისათვის, წარმომადგენელებად არ ითვლება კომისიების, ბროკერის, სავაჭრო წარმომადგენელის საქმიანობა, ვინაიდან ამ სახის საქმიანობა შუამავლობითი საქმიანობაა და არა წარმომადგენლობითი. ისევე, როგორც წარმომადგენლად არ მიიჩნევიან: მრჩევლები, თარჯიმნები, ტელეგრაფის თანამშრომლები და ა. შ. აღნიშნულს ის ახსნა აქვს, რომ ჩამოთვლილი პირები მხოლოდ ისეთი ტექნიკური საქმიანობით არიან დაკავებულნი, როგორიცაა კონკრეტული პირის ნების მიტანა ადრესატამდე.

ცალკეული დავალებების, ანუ მინდობილობის საფუძველზე განხორციელებული წარმომადგენლობა გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება სამართლებრივ ურთიერთობაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოდგენილი პირი ავალებს წარმომადგენელს ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულებას. მაგ. მეზობელი ავალებს მეორე მეზობელს მაცივრის შეძენას და ა. შ.

ამ სახის წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძველია დავალების ხელშეკრულება, რომელიც იდება მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის. მარწმუნებელი მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი პირია, ხოლო რწმუნებული- წარმომადგენელი.

ამდენად, წარმოდგენილი ვალდებულია წარმომადგენელს აუნაზღაუროს დავალების შესასრულებლად გაწეული ხარჯები, რაც შეეხება გასამრჯელოს, მისი გადახდის ვალდებულება წარმოიშო-

ბა მხოლოდ მაშინ თუ იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან კანონით.

იმ შემთხვევაში როცა არსებული გარიგებებით აშკარაა, რომ წარმომადგენლის მიერ დავალების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოს გადახდით არის მოსალოდნელი ასეთი გასამრჯელო ითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად. გასამრჯელოს ოდენობა თუ არ არის განსაზღვრული, მაგრამ არსებობს რაიმე სახის ნიხრი რითაც განსაზღვრულია ქმედების შესრულების ღირებულება, შეთანხმებულად ითვლება ნიხრით დადგენილი გასამრჯელო, მაგრამ თუ ასეთი ნიხრიც არ არსებობს, მაშინ ის გასამრჯელო, რაც ჩვეულებრივ ღირს ამ ქმედების შესრულება (სკ-ის 710-ე მუხლი).

გარდა სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, წარმოდგენილი პირი წარმომადგენლის არჩევისას სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით. კერძოდ, საკუთარი ქონებრივი რისკის ფასად (იხ. სკ-ის 113.3-ე მუხლი) მას შეუძლია წარმომადგენლის ფუნქცია დააკისროს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირსაც კი, რა საფუძვლითაც არ უნდა იყოს ქმედუნარიანობის შეზღუდვა გამოწვეული. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული ეს უფლება არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის ამავე კოდექსის მე-15 მუხლის იმ მოთხოვნასთან, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის სავალდებულოდ მიიჩნევს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, ვინაიდან კანონმდებელმა, წარმოდგენილი პირი, ამ შემთხვევაში, თავისი უფლებრივი მდგომარეობით გაუთანაბრა კანონიერ წარმომადგენელს, ანუ მზრუნველს.

წარმოდგენილის მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე მეტყველების ისიც, რომ თუ წარმოდგენილის სახელით, მაგრამ სათანადო უფლებამოსილების წინასწარ მინიჭების გარეშე, სხვა პირი დადებს ხელშეკრულებას, წარმოდგენილს შეუძლია მოიწონოს ეს გარიგება მასზე თანხმობის გამოთქმით და მოითხოვოს ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 113.1-ე მუხლის თანახმად ასეთი ხელშეკრულება ითვლება ნამდვილად.

იმ შემთხვევაში თუ წარმომდგენილად მითითებულ პირს არ სურს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, სხვა

პირის მიერ მისი სახელით დადებული გარიგების ნამდვილობის აღიარება და მეორე მხარე ითხოვს ასეთ თანხმობას, მას შეუძლია მოთხოვნას არც უპასუხოს. ორი კვირის გასვლის შემდეგ კი ეს მოთხოვნა ჩაითვლება უარყოფილად (სკ-ის 111.2-ე მუხლი).

როგორც უკვე აღინიშნა სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ისეთი შეზღუდვებიც, როცა წარმომადგენლის თავისუფლად არჩევა და მასზე წარმოდგენილის სახელით შესასრულებელი ქმედების დაკისრება დაუშვებელია. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 103.2-ე მუხლში ნათქვამია, რომ გარიგებებში წარმომადგენლობის მომწესრიგებელი წესები (იგულისხმება დასახელებული კოდექსის პირველი წიგნის მე-2 კარის მე-7 თავით გათვალისწინებული ნორმები) არ გამოიყენება თუ:

1. გარიგების ხასიათიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა ან/და 2. კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.

პირველის მაგალითი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა გარიგებაში ჩადებულია სავალდებულო პირობა, რომ წარმომადგენელს შეუძლია მართოს, მაგრამ არ განკარგოს წარმომადგენლის კუთვნილი წილები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში გარიგების ხასიათიდან გამომდინარე აშკარაა, რომ წილის გასხვისების შესახებ გარიგების დადება მხოლოდ საზოგადოებაში წილის მესაკუთრის პრეროგატივაა და წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგება იქნება ბათილი.

შესაბამისად, არ გამოიყენება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი, რომელიც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობას უკავშირებს წარმოდგენილი პირის თანხმობას.

რაც შეეხება კანონით აკრძალულ ისეთ გარიგებებს, რომლებზეც, ასევე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის მე-2 კარის მე-7 თავით დადგენილი წესები, მათი ჩამონათვალი სამოქალაქო კოდექსის 103.2-ე მუხლში არ არის. ამდენად, ეს ნორმა ბლანკეტური ნორმაა და მოითხოვს სხვა საკანონმდებლო აქტების გამოყენების აუცილებლობას. კერძოდ, კანონმდებელს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სამოქალაქო კოდექსის 1243.1-ე მუხლი,

რომლითაც იმპერატიულადაა დადგენილი, რომ წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება შვილად აყვანა. ანალოგიურად, სამოქალაქო კოდექსის 1346-ე მუხლი კრძალავს ანდერძის შედგენას წარმომადგენლის მეშვებით ვინაიდან, მოითხოვოს რომ იგი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ და სხვა.

წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების კანონით აკრძალულ შემთხვევებს განეკუთვნება და სამოქალაქო კოდექსის მეორე კარის მეშვიდე თავით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ პირთა წარმომადგენლობით დადებულ გარიგებებზეც, რომლებსაც აკრძალული აქვთ გარიგებებში წარმომადგენლად გამოსვლა.

ასეთი აკრძალვის ფაქტს, ზემოთქმულთან ერთად ადასტურებს ისიც, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების[146] მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ვალდებულია დაამტკიცოს სანოტარო მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება, "ნოტარიატის'' შესახებ" საქართველოს კანონის 49.1-ე მუხლიდან გამომდინარე კი მანვე უნდა გაარკვიოს წარმომადგენლის ვინაობა. აღნიშნულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილეთა ნების შესატყვისობას მოქმედ სამართალთან (იხ. დებულების 13.1-ე მუხლი) აშკარაა, რომ ნოტარიუსს ეკისრება იმის ვალდებულებაც დაადგინოს წარმომადგენლად, ხომ არ გამოდის ისეთი პირი, რომელსაც კანონით აკრძალული აქვს ამ რანგში გამოსვლის უფლება. კერძოდ, უნდა დადგინდეს წარმომადგენელი, ხომ არ არის თანამდებობის პირი, ვინაიდან "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის 13.6-ე მუხლის თანახმად თანამდებობის პირს უფლება არა აქვს იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი (რწმუნებული) იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი არის ფიზიკური პირის მეურვე ან მზრუნველი. ანალოგიურად, მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს გარდა იმ შემთხვევისა როცა ისინი გამოდიან მშობლებად (მშვილებლებლად), მეურვეებად, მზრუნველებად და შესაბამისი

146 ეს დებულება დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

ორგანოების წარმომადგენლებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად აკრძალული აქვთ სასამართლოში წარმომადგენლად გამოსვლის უფლება.

კანონის ამ სავალდებულო მოთხოვნის დარღვევა იწვევს უარყოფით სამართლებრივ შედეგებს თვით ნოტარიუსის და იმ პირთა მიმართ ვისაც კანონით აკრძალული ჰქონდა და მაინც გამოვიდა წარმომადგენლად. ასე, მაგალითად "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/210-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, რეზერვში მყოფი მოსამართლე ამოირიცხება მოსამართლეთა რეზერვიდან თუ ეწევა მოსამართლეთა სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას. ანუ, თუ დამტკიცდება, რომ იგი იყო რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი გარიგებით ურთიერთობებში, შეუწყდება მოსამართლის უფლებამოსილება.

წარმომადგენლად გამოსვლასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი შეზღუდვების შეუსრულებლობა გავლენას ახდენს, როგორც თვით დავალების ხელშეკრულების ისე ამ ხელშეკრულების ძალით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებამინიჭებული პირის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობაზე. ანუ, იგი წარმოადგენს ბათილ გარიგებას, ვინაიდან წარმოდგენილი პირის მიერ მის მოწონებამდეც (თუ ასეთს ექნება ადგილი) იგი უცილოდ ბათილი გარიგებაა. ამის იურიდიული საფუძველი კი ისა, რომ ყოველი გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს ბათილია (სკ-ის 54-ე მუხლი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ იმ პირთა მიერ დადებულ გარიგებაზე, რომლებსაც აკრძალული აქვთ წარმომადგენლად გამოსვლა არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, მეორე კარის, მეშვიდე თავით დადგენილი წესები. შესაბამისად, გარიგებებში წარმომადგენლად გამოსვლის თაობაზე კანონით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის უგულვებელყოფა იწვევს ამ რანგში მყოფ პირთა პასუხისმგებლობას დელიქტიდან

გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სახით (სკ-ის 992-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში როცა ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო ნარმოდგენილის და ხელშეკრულების მეორე მხარის მოქმედებასაც, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი (იხ. სკ-ის 415-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

§2 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცნება, სახეები, წარმოშობის და შეწყვეტის საფუძვლები

თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წარმოდგენილი პირის მიერ წარმომადგენელზე მიცემული უფლებების და მოვალეობების ერთობლიობაა. მისი არსებობის დადასტურებას კი რწმუნებულება წარმოადგენს.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აკავშირებს, როგორც წარმოდგენილსა და წარმომადგენელს ისე იმ მესამე პირს (ამ უკანასკნელს სკ-ის 112-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია უარი თქვას წარმომადგენლობაზე), რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

ამდენად, აშკარაა, რომ წარმოდგენილის მიერ მიცემული დავალებიდან გამომდინარე, მართლზომიერად მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმომადგენელი მოქმედებს თავისი და მესამე პირის ნების გამოვლენის შესაბამისად.

თავის მხრივ, ცალკეული დავალების საფუძველზე წარმოშობილი უფლებამოსილება, ქართულ სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს მინდობილობას (იხ. სკ-ის 103.1-ე მუხლი). ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მინდობილობა გაიგივებულია, როგორც რწმუნებულებასთან ისე იმ დავალების ხელშეკრულებასთან, რომლითაც რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე (იხ. სკ-ის 709-ე მუხლი).

დავალების ხელშეკრულების, ასევე რწმუნებულებისა და მინდობილობის იდენტურობას ადასტურებს "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების 24.1-ე მუხლიც, სადაც ნათქვამია, რომ "მინდობილობის (რწმუნებულობის, დავალების ხელშეკრულების) სანოტარო მოქმედების შესრულებისას მინდობილობის დედანი ან დამოწმებული ასლი თან უნდა ერთვოდეს იმ სანოტარო აქტს, რომელიც ინახება ნოტარიუსთან." აღნიშნულს თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის დასახელება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაა, ეჭვგარეშეა, რომ მარწმუნებელი იგივე წარმოდგენილი პირია, ხოლო რწმუნებული წარმომადგენელი.

ზემოთქმულმა განაპირობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების იმგვარად განმარტების აუცილებლობაც, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის პირველ ნაწილში. კერძოდ, მაში ნათქვამია, რომ უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის დასახელება იქნებოდა რწმუნებულებითი უფლებამოსილება და არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, როგორც დღეს არის.

ყოველივე ეს იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს იმის თაობაზე, რომ მინდობილობა წარმოადგენს დავალებას, მის საფუძველზე გაცემული რწმუნებულება კი ადასტურებს დავალების (იგივე მინდობილობის) ხელშეკრულების არსებობას და განსაზღვრავს მესამე პირთან დადებულ გარიგებაში რწმუნებულისათვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით რიგი ქვეყნების, მაგ. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობა, წარმომადგენლობას და მინდობილობას განიხილავს განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებად. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მე-10 თავი, რომლის სახელწოდებაა "წარმომადგენლობა. მინდობილობა." ამასთან, წარმომადგენლობის ცნება მოცემულია 182-ე მუხლში, ხოლო მინდობილობის ცნება ცალკე-185-ე მუხლში.

განსხვავება იმაშიც მდგომარეობს, რომ რუსული კანონმდებლობის თანახმად, მინდობილობის არსებობისათვის საჭიროა წერილობითი ფორმა, ხოლო თუ ის გარიგების დასადებადაა გაცემული, აუცილებელია ნოტარიალური დადასტურებაც. (იხ. რფ-ის სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი). ეს მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107.2-ე მუხლი, გარდა კანონით დადგენილი აუცილებლობისა, სავალდებულოდ არ მიიჩნევს იმ ფორმის დაცვას რაც უნდა ჰქონდეს გარიგებას, რომლისთვისაც გაიცა ეს უფლებამოსილება. მაგ. წარმოდგენილსა და გარიგების მეორე მხარეს შორის სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საკმარისია ზეპირი ფორმა.

თუმცა, ამ სახის გარიგებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმომადგენლად გამოსვლის თაობაზე, გაცემული უფლებამოსილების (რწმუნების, მინდობილობის) ნამდვილობისათვის აუცილებელია რთული წერილობითი (სანოტარო) ფორმის დაცვა.

ნების გამოვლენისათვის სპეციალური ფორმა კი დადგენილია იმ შემთხვევაში, როცა პირი სასამართლოში საქმის წარმოებას აპირებს, წარმომადგენლის მეშვეობით. კერძოდ, სავალდებულოა, რომ ამ უკანასკნელის უფლებამოსილება ჩამოყალიბდეს მინდობილობაში და დამოწმდეს სანოტარო წესით.

ნოტარიუსთან გათანაბრებულია და დამოწმების უფლებამოსილება გააჩნია იმ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი. ასეთივე უფლებამოსილებით სარგებლობს სტაციონალური სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება. საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემული მინდობილობის დამოწმების უფლება კი გააჩნია შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას, ხოლო მინდობილობას თუ სამხედრო მოსამსახურე გასცემს, მას დაამოწმებს შესაბამისი სამხედრო ნაწილი. რაც შეეხება მინდობილობის დამოწმებაზე უფლებამოსილ კონკრეტულ პირს, ასეთად ითვლება შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი).

ნოტარიუსისა და სხვა თანამდებობის პირების, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, მიერ დადასტურებული მინდობილობა სანოტარო ძალის მქონე დოკუმენტად, რომ იქცეს და იურიდიული ძალა შეიძინოს "ნოტარიატის შესახებ"

საქართველოს კანონის 52.1-ე მუხლის თანახმად, იგი გატარებული უნდა იქნეს სანოტარო რეესტრში და მიენიჭოს შესაბამისი ნომერი (იხ. იმავე მუხლის მე-2 ნაწილი);

უფლებამოსილების მიცემისას ნების გამოვლენას სპეციალური, კერძოდ, წერილობითი ფორმა სჭირდება, მაშინაც თუ იდება ისეთი გარიგება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას პირს ან შეიძინოს იგი (იხ. სკ-ის 323-ე მუხლი); წერილობითი ფორმა და დამატებით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სჭირდება უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენას გარიგების საფუძველზე (იხ. სკ-ის 183-ე მუხლი); ანალოგიური ფორმაა დადგენილი უძრავ ნივთზე სა-

კუთრების უფლების მიტოვებასთან დაკავშირებითაც (იხ. სკ-ის 184-ე მუხლი).

სპეციალური ფორმის დაცვა მსგავს შემთხვევებში აუცილებელია, რადგანაც ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები. იმ შემთხვევაში კი, როცა წარმომადგენლის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში პირდაპირ და არაორაზროვნად არ არის მითითებული წარმომადგენლის იმ კონკრეტული უფლებამოსილების (ქონების ვალდებულებით დატვირთვის, უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემის, გაყიდვის, გაჩუქების, იჯარით გადაცემით და ა. შ.) შესახებ, რომლის ფარგლებშიც სურს წარმომადგენელს გარიგების დადება, ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედების შესრულება (იხ. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების 24.5-ე მუხლი).

სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების უფლებამოსილების თაობაზე, მარწმუნებლის მიერ გაცემულ წერილობით და ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობაში, სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენელს მინიჭებული აქვს: სარჩელის აღძვრის, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემის, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, სარჩელის ცნობის, სარჩელის საგნის შეცვლის, მორიგების, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებლო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღების თაობაზე უფლებამოსილება (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98.1-ე მუხლი).

ნებით გამოვლენისათვის სანოტარო ფორმა თუ საჭირო არ არის, მაგრამ პირს სურს ამ სახის გარიგებისათვის უდაო ხასიათის მინიჭება, მას შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს უფლებამოსილების (მინდობილობის, რწმუნებულების) სანოტარო დადასტურებაც (იხ. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების 2.1-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი).

წარმოდგენილი პირი თუ არის ყრუ-მუნჯი, ყრუ, ბრმა, ან წერა-კითხვის არ მცოდნე, მაშინ მის მიერ უფლებამოსილების მიცემა ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სანოტარო დადასტურების გზით და სრულწლოვანი და ქმედუნარიანი წერა-კითხვის მცოდნე მოწმეთა თანდასწრებით, რომლებსაც არ აქვთ

სამოქალაქო ქმედუნარიანობა შეზღუდული და არ არიან დაინტერესებულნი საქმის შედეგით. (მაგ. მოწმე არ შიძლება იყოს ის მესამე პირი, ვისთანაც წარმომადგენელი აპირებს ხელშეკრულების დადებას).

მათ გარდა, საჭიროების მიხედვით, აუცილებელია მოწვეული იქნას თარჯიმანი და სპეციალისტი, რომლებიც ნოტარიუსთან ერთად ხელს აწერენ სანოტარო აქტს.

დავალების ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე არსებობს: სპეციალური, გვარეობითი და გენერალური უფლებამოსილება. სპეციალური უფლებამოსილება ერთჯერადი უფლებამოსილებაა, ვინაიდან, ამ უფლებამოსილებით წარმომადგენელი ასრულებს მხოლოდ ერთ დავალებას.

გვარეობითი უფლებამოსილებით, წარმომადგენელს შეუძლია რამდენიმე ერთმანეთის მსგავსი დავალების შესრულება.

გენერალური, ანუ ზოგადი უფლებამოსილება კი შეუზღუდავი უფლებამოსილებაა, რადგანაც წარმომადგენელს შეუძლია სხვისი სახელით და მის ინტერესებში შეასრულოს ნებისმიერი დავალება მაგ. ნივთის არა მხოლოდ შეძენა, არამედ გასხვისება, გაჩუქება, იჯარით გაცემა და სხვა.

ამასთან, უფლებამოსილება ვინაიდან იგივე რწმუნებულებაა და მათ სინონიმს მინდობილობაც წარმოადგენს, სწორედ ამის გამო დამკვიდრდა უფლებამოსილების გამომხატველ ტერმინად მინდობილობა პრაქტიკასა და საკანონმდებლო აქტებში.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე გაცემული რწმუნებულება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ადასტურებს ურთიერთ მისაღები დავალების თაობაზე ხელშეკრულების არსებობას წარმოდგენილსა და წარმომადგენელს (მარწმუნებელსა და რწმუნებულს) შორის.

შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობისთვის (იგულისხმება შემთხვევა როცა უფლებამოსილებისთვის აუცილებელია სპეციალური ფორმა) საკმარისია დავალების ხელშეკრულების მხოლოდ იმ ნაწილის სანოტარო დადასტურება, რომელიც წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს და ისევე როგორც მთლიანად დავალება იწოდება მინდობილობად.

რწმუნებული თუ მოქმედებს მისთვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში ამასთან, დაცულია კანონის ზემოთ აღნიშნული სხვა მოთხოვნებიც, მაშინ მის მიერ დადებული გარიგება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ წარმოდგენილი პირისთვის. იმ შემთხვევაში თუ წარმომადგენელი არ მიუთითებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებაზე, ამ უკანასკნელის მიერ დადებული გარიგება წარმოდგენილი პირისთვის უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მაშინ თუ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა, რომ არსებობდა წარმომდგენლობა. ანალოგიურ შემთხვევას ექნება ადგილი მაშინაც, თუ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის სულერთია ვისთან დადებს გარიგებას.

წარმომადგენლობაში გადამწყვეტია წარმოდგენილის ნება. ამდენად, თუ ნების გამოვლენა ნაკლით ხასიათდება და იგი წინასწარ იყო განსაზღვრული წარმოდგენილის მიერ, შეცილების შემთხვევაში, წარმომადგენლობის ბათილად ცნობის საფუძველი იარსებებს და წარმომადგენლის მოქმედებით დამდგარი შედეგისთვის, წარმოდგენილმა ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (იხ. სკ-ის 396-ე მუხლი).

წარმოდგენილის მიერ წარმომადგენლისთვის მიცემული უფლებამოსილება თავის მხრივ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს წარმომადგენლისათვის (რწმუნებულისათვის), მიუხედავად იმისა, რომ მინდობილობაზე მისი ხელმოწერა არ არის.

რწმუნებულს უფლება აქვს გადაუხვიოს მინდობილობაში დაფიქსირებულ მარწმუნებლის მითითებებს თუ შეიქმნა ისეთი გარემოება, რომელიც აძლევს ვარაუდის უფლებას, რომ რწმუნებული მოიწონებს მის მოქმედებას (იხ. სკ-ის 712.2-ე მუხლი). მაგ. თუ მარწმუნებელი ოცნებობს "მერსედესის" მარკის უახლესი მოდიფიკაციის ავტომანქანის შეძენაზე, მის შესაძენად კი თანხები არ ყოფნის და რწმუნებულს აძლევს უფლებამოსილებას შეუძინოს ამ მარკის ძველი მოდიფიკაციის ა/მანქანა, რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებას "მერსედესის" მარკის ძველი ავტომანქანის შეძენის თაობაზე, თუ გაუჩნდება შესაძლებლობა იმავე ფასად შეიძინოს უფრო ახალი ავტომანქანა.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლისგან მოითხოვოს მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება (სკ-ის 717.1-ე მუხლი). მასვე, შეუძლია მარწმუნებელს მოსთხოვოს ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომელიც მას უნდა აუნაზღაურდეს (სკ-ის 717.3-ე მუხლი) და ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს, დავალებული მოქმედების შესრულებისას, მარწმუნებლის მითითების შედეგად დამდგარი მნიშვნელოვანი საფრთხის გამო. (სკ-ის 718.1-ე მუხლი).

რწმუნებულს, ჩამოთვლილ უფლებებთან ერთად, გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებებიც. კერძოდ, რწმუნებული მოვალეა: მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში – მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში (იხ. სკ-ის 713.1-ე მუხლი); არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები თუ ამით მართლზომიერადაა დაინტერესებული მარწმუნებელი. ამასთან, ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც (იხ. სკ-ის 714-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი); დაუბრუნოს რწმუნებულს, ყველაფერი რაც მიიღო მინდობილი საქმის შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისთვის. აგრეთვე, ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში თუ რწმუნებული თავისთვის გამოიყენებს ფულს, რომელიც უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის (ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ), რწმუნებული ვალდებულია დააბრუნოს ფული პროცენტთან ერთად (სკ-ის 715-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი); თუ რწმუნებული უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს და მისი მხრიდან განზრახმა მოქმედებამ ან უხეშმა გაუფრთხილებლობამ გამოიწვია ზიანი, რწმუნებული ვალდებულია აანაზღაუროს იგი (სკ-ის 719-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლი რწმუნებულს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ. მასზე მინდობილი დავალების შესრულება ანდოს სხვას. ანუ, დავალება გადაანდოს მესამე პირს, მაგრამ აღნიშნულს მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი თუ თვითონ მარწმუნებელი დართავს ასეთის ნებას რწმუნებულს

ან, შექმნილი გარემოება (მაგ. ავადმყოფობა, ფორსმაჟორი და სხვა) გამო რწმუნებული იძულებული გახდება დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირი.

თუ მარწმუნებელი ნებას დართავს რწმუნებულს, რომ დავალება გადაანდოს მესამე პირს, ზიანის დადგომის შემთხვევაში, რწმუნებული პასუხს აგებს, მხოლოდ მაშინ თუ მას ბრალი მიუძღვის დამხმარე პირის შერჩევაში (მაგ. შერჩეული პირი აღმოჩნდება არაკეთილსინდისიერი და მიითვისებს მინდობილ თანხას), ან თუ შესაბამისი საფუძვლის გარეშე მოახდინა დავალების მესამე პირისათვის გადანდობა (მაგ. თავისუფლად შეეძლო დავალების პირადად შესრულება, მაგრამ ავადმყოფობის მომიზეზებით გადაანდო იგი სხვას).

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება შეიცვალოს ან საერთოდ გაუქმდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ეცნობოს იმ მესამე პირს ვისთანაც წარმომადგენლის მეშვეობით დაიდო გარიგება. მესამე პირისათვის შეუტყობინებლობის ან მისგან თანხმობის მიღების გარეშე უფლებამოსილების შეცვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში, მესამე პირი ვალდებული არ არის გარიგება დადოს შეცვლილი პირობით ან/და უარი თქვას მასზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯერ კიდევ გარიგების დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ უფლებამოსილების შეცვლას ან გაუქმებას ექნებოდა ადგილი.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებით. აღნიშნულს ადგილი აქვს ისეთი საფუძვლების არსებობისას, როგორიცა: ა) იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება; ბ)უფლებამოსილი პირის უარი; გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება; დ) უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება ან მისი ქმედუნარიანობის დადგომა; ე) შესრულება.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს, როგორც მარწმუნებლის ისე რწმუნებულის მოთხოვნით ნებისმიერ დროს, ვინაიდან ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ შეთანხმება იქნებოდა ბათილი (სკ-ის 720.1 მუხლი). ამასთან, ეს ინიციატივა თუ რწმუნებულისაგან მოდის და მას არ ჰქონდა ამისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი, იგი ვალდე-

ბულია აუნაზღაუროს მარწმუნებელს მიყენებული ზიანი, მაგრამ აღნიშნულს ექნება ადგილი მხოლოდ, მაშინ, როდესაც მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვაგვარად დაეცვა თავისი ინტერესები.

იმ შემთხვევაში თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ინიციატორი მარწმუნებელია, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი და გადაუხადოს გასამრჯელო თუ ამაზე არსებობდა შეთანხმება.

როგორც წესი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია მარწმუნებლის გარდაცვალება, ასევე მისი ქმედუუნაროდ ცნობა. თუმცა, ამ წესიდან კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს კერძოდ, მხარეებს შორის შეთანხმების არსებობის ან მინდობილობის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ გარდაცვლილი რწმუნებულის მემკვიდრეებმა, ხოლო მარწმუნებლის გარდაცვალების შემთხვევაში, დავალების საბოლოოდ შესრულებამდე, რწმუნებულმაც გააგრძელოს თავისი უფლებამოსილება. ასეთი გამონაკლისი დასაშვებია მაშინაც თუ მარწმუნებელი ცნობილი იქნა ქმედუუნაროდ.

იმ შემთხვევაში, როცა დავალების ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო, როგორც წესი რწმუნებულსაც უწყდება უფლებამოსილება, მაგრამ თუ დავალებული მოქმედების შეუსრულებლობა ზიანის მიყენების საფრთხეს შეუქმნის მემკვიდრეებს, რომელთაც არა აქვთ აუცილებელი ზომების გატარების შესაძლებლობა, (მაგ. ჯერ კიდევ არ იციან მამკვიდრებლის გარდაცვალების თაობაზე), მაშინ რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, მანამ სანამ არ ეცნობება ხელშეკრულების შესრულების შეწყვეტის შესახებ (სკ-ის 721-ე მუხლი).

თავის მხრივ, რწმუნებულის გარდაცვალებაც დავალების შესახებ უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია (იხ. სკ-ის 722-ე მუხლი). ამასთან, მისი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან აცნობონ მარწმუნებელს ამის შესახებ და მიიღონ ზომები მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად.

უფლებამოსილების გაუქმების ყველა შემთხვევაში წარმომადგენელს (მის მემკვიდრეს) უფლებამოსილების დამადასტურებელი

საბუთის (მინდობილობა, რწმუნება, დავალების ხელშეკრულება) დატოვების უფლება არა აქვს და იგი უნდა დაუბრუნდეს უფლებამოსილების გამცემს ან მის უფლებამონაცვლეებს.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ადასტურებს წარმომადგენლის ნებას, იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე პირთან დასადებ გარიგებაში იგი წარმოდგენილი იყოს წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, აშკარაა, რომ წარმომადგენელი თანახმაა ამ ფუნქციის შესრულებაზე და მესამე პირი, ვისთანაც უნდა დაიდოს გარიგება მზადაა ამ წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება ან სულერთია ვისთან დადებს გარიგებას (ანუ სახეზეა მრავალმხრივი გარიგება).

ამ შემთხვევისაგან რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც სხვადასხვა მიზეზების (მაგ. ახლობლის წინაშე თავის გამოჩენის, სხვისთვის დახმარების გაწევის სურვილით და ა. შ.) გამო, პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას. ანუ სახეზეა ცალმხრივი ნების გამოვლენა. ამ სახით ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის კი აუცილებელია, რომ წარმოდგენილმა პირმა არა მხოლოდ იცოდეს მისი სახელით გარიგების დადების შესახებ არამედ უნდა მოიწონოს იგი. ე.ი. უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება არის ტიპიური ცალმხრივი გარიგება ვინაიდან, ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას – ანუ ადრესატამდე მის მისვლას და ამ უკანასკნელის მიერ მოწონებას.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება უნდა მიუვიდეს იმ მესამე პირსაც, რომელთანაც უფლებამოსილების არ მქონე პირი დებს გარიგებას. თუმცა, პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით მისთვის აუცილებელი არ არის იმის გარკვევა, წარმოდგენილი პირი თანახმაა თუ არა ამ სახის გარიგების დადებაზე, რადგან ხელშეკრულების მეორე მხარე თუ წარმოდგენილი პირისგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ პასუხად უნდა ეცნობოს მხოლოდ ის, რომ თანახმაა.

კარი მესამე

უფლების განხორციელება

§1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლების განხორციელებისას დაუშვებელია მისი ბოროტად გამოყენება. კანონის ეს მოთხოვნა დაკონკრეტებას პოულობს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. შესაბამისად, დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

აღნიშნულს იმ გარემოებასაც თუ დავუმატებთ, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება (სკ-ის მე-10.2 მუხლი) ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო უფლების განხორციელება პირს თავისუფლად შეუძლია მხოლოდ მაშინ თუ იგი არ გამოიყენებს ამ უფლებას ბოროტად ანუ, არ გამოიყენებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაყენოს სხვას.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ სამოქალაქო სამართალში უფლების განხორციელების განმსაზღვრელი კრიტერიუმი ქმედების მართლზომიერებაა.

სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია 3 შემთხვევა, როცა საკუთარი ან სხვათა უფლების დაცვის პროცესში მყოფი პირის მიერ სხვისთვის ზიანის მიყენება მიჩნეულია მართლზომიერად, ესენია: 1) აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ზიანის მიყენება; 2) უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი და 3) თვითდახმარება.

აუცილებელი მოგერიების და თვითდახმარების ფარგლებში მიყენებული ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება მაშინ, როდესაც ქმედების მართლზომიერების მიუხედავად, უკიდურესი აუცილებლობის პროცესში გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს თვით ზიანის მიმყენებელს და მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიყენებელი მოქმედებდა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ უფლების განხორციელების მართლზომიერების დადგენისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმება აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა და თვითდახმარების ცნებების ქვეშ.

სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუცილებელ მოგერიებად ითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

ანოლოგიურად განმარტავს აუცილებელ მოგერიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილიც. ამდენად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად, რომ ჩაითვალოს უფლების განხორციელება საჭიროა, რომ:

1) თავდამსხმელის მოქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო (მაგ. ადგილი უნდა ჰქონდეს ყაჩაღურად თავდასხმას ქონების დაუფლების მიზნით). ანუ, სახეზე არ უნდა იყო ისეთი იურიდიული ფაქტი, რომელსაც სამართალდაცვითი ნორმა უკავშირებს სამართალდაცვითი ურთიერთობის წარმოშობას მომგერიებლს და იმ თავდამსხმელს შორის, რომლის უფლებაც დაირღვა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავდამსხმელს წარმოეშობა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება, ანუ იმის უფლება, რომ იძულების გამოყენებით დაავალდებულოს ამ უფლების დამრღვევი, პასუხი აგოს სამართალდარღვევისათვის;

2) თავდასხმა უნდა იყოს რეალური ანუ, ნამდვილი და არა მოჩვენებითი, რომელიც არსებობს მხოლოდ მომგერიებლის წარმოსახვაში.

მოჩვენებითი თავდასხმა არის შეცდომა თავდასხმის ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით. ამდენად, დამდგარი შედეგისადმი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, პირს გაცნობიერებული ჰქონდა ან ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შეეძლო თუ არა გაეცნობიერებინა, რომ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას ჰქონდა ადგილი. იმ შემთხვევაში თუ აცნობიერებდა ან შეეძლო გაეცნობიერებინა ასეთი, მაშინ აუცილებელი მოგერიება არ იარსებებს. ხოლო თუ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მომგერიებელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ

თავდასხმას არ ჰქონია ადგილი მაშინ, სახეზე იქნება არაბრალეული ქმედებით ზიანის მიყენება ანუ, კეთილსინდისიერი პირის მიერ ჩადენილი მისატევებელი შეცდომა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი წესით არ დაისჯება არამედ, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებიდან გამომდინარეც, ასეთი ქმედება წარმოადგენს სამოქალაქო უფლების განხორციელებას მართლზომიერად.

იმ შემთხვევაში თუ მოჩვენებითი თავდასხმის მოგერიების პროცესში მყოფი პირი, არ აცნობიერებდა, რომ რეალურად თავდასხმას არ ჰქონია ადგილი, თუმცა შექმნილი ვითარების შეფასებისას შეეძლო გაეცნობიერებინა იგი, მომგერიებლის ქმედება არ ჩაითვლება მართლზომიერად, ვინაიდან, სახეზე არ იქნება მისატევებელი შეცდომა და პირს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის (სსკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესაბამისად, ზიანის მიყენება ვერ შეფასდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად და დამდგარი ზიანი დაექვემდებარება ანაზღაურებას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;

3) თავდაცვის აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს თავდასხმის ფაქტიდან. შესაბამისად, თავდასხმა დროის მიხედვით წინ უნდა უსწრებდეს მოგერიების მომენტს ვინაიდან, აუცილებელი მოგერიება თავისი არსით არის თავდასხმაზე კონტრშეტევა, ანუ საპასუხო თავდასხმა. განსხავება მხოლოდ იმაშია, რომ ასეთი თავდაცვა არსებული საშიშროებისაგან დაცვის გარანტირებული საშუალებაა;

4) თავდაცვა აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს საკუთარ თავზე ან სხვებზე თავდასხმის მოსაგერიებლად. აუცილებელი მოგერიების უფლება საკუთარ თავზე თავდასხმის მოსაგერიებლად, თითოეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა ვინაიდან, საქართველოს კოსტიტუცის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას იცავს კანონი. "სხვებზე" თავდასხმის მოგერიების შეტანა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში კი იმ თანამდებობის (მაგ. პოლიციის მუშაკების) და კერძო პირთა უფლებების დაცვის გარანტიაა, რომლებიც სამსახურეობრივი ან მორალური ვალდებ-

ულებიდან გამომდინარე იცავენ სხვათა ინტერესებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შემთხვევაში;

5) ზიანი აუცილებლად უნდა მიადგეს უშუალოდ თავდასმსხმელს, ვინაიდან თუ ზიანი მიდგა მესამე პირს იგი ანაზღაურდება საერთო წესით;

6) აუცილებელი მოგერიება არ უნდა გადაიზარდოს შურისძიების აქტში ამდენად, თავდაცვა უნდა იყოს "დროული," ანუ დროში იგი უნდა შეესაბამებოდეს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას. შესაბამისად, "წინმსწრები" ან თუნდაც "დაგვიანებული" თავდაცვა არ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განსახორციელებელ მართლზომიერ ქმედებად.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვისაც აბსოლუტურად მისაღებია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ ხელმყოფის დაზიანება, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად, მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და მისი დაუყონებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა. კერძოდ: თუ პირი შეესწრო საკუთარი ოჯახის წევრებზე ყაჩაღურ თავდასხმას და სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა თავდამსხმელი, მისი ქმედება მართლზომიერად ჩაითვლება და მიყენებული ზიანი არ დაექვემდებარება ანაზღაურებას, მხოლოდ მაშინ თუ თავმდამსხმელის მკვლელობას ადგილი ჰქონდა უშუალოდ ყაჩაღური თავდასხმის პროცესში ან სანამ იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალებოდა;

7) მომგერიებლის მიერ გამოყენებული თავდაცვა შესაბამისობაში უნდა იყოს თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ანუ "თავდაცვის ექსცესი." შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემცველი არამართლზომიერი ქმედება, რაც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა და სასამართლომ შეიძლება იგი გაითვალისწინოს მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თუ არსებობს ყველა ჩამოთვლილი პირობა სახეზე იქნება აუცილებელი მოგერიება, რა დრო-

საც მართლსაწინააღმდეგობა გამორიცხულია ვინაიდან, კანონი მომგერიებელს ანიჭებს უფლებას თავდამსხმელს მიაყენოს დაზიანება და მომგერიებლის ასეთ ქმედებას ცნობს მართლზომიერად მაშინაც კი, თუ შეუძლია გაქცევით უშველოს თავს ან საშველად მოუხმოს სხვას და ამ გზით აიცილოს ხელყოფა.

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს მოთხოვნა, ამ შემთხვევაში წარმოადგენს ისეთი სპეციალური დელიქტის ნორმას, რომელიც შეთავსებადია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისთვისაც.

§2. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა მართლზომიერად მიიჩნევს ზიანის მიყენებას თუ იგი გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით.

უკიდურესი აუცილებლობით მიყენებული ზიანი, სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებულ ზიანს, რომელიც აცდენილ ზიანზე მნიშვნელოვანია და მოცემულ გარემოებებში არ შეიძლება თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით. ანუ, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა წარმოიშობა იქ, სადაც ერთმანეთს ეჯახება კანონით დაცული ორი ინტერესი და მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვა მიიღწევა მეორე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესის პირველისადმი მსხვერპლად შეწირვის ხარჯზე.

უკიდურესი აუცილებლობის დროს, დაზარალებული არ ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და იგი წარმოადგენს შემთხვევითი გარემოებების თანხვედრის მსხვერპლს. მაგ. მოლარე რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება, შეიარაღებულ მძარცველს გადასცემს ხელფასის სახით დასარიგებელ ორგანიზაციის კუთვნილ სოლიდურ თანხას.

უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი მართლზომიერად, რომ ჩაითვალოს ერთდროულად სახეზე უნდა იყოს:

1) საფრთხე, მაგრამ იგი არ უნდა ემუქრებოდეს იმ პირებს, რომლებიც თავად უქმნიან საფრთხეს კანონით დაცულ ინტერესებს;

2) საფრთხე უნდა იყოს რელური;

3) საფრთხე უნდა იყოს ამწუთიერი;

4) მოცემულ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს საფრთხის თავიდან აცილების სხვა საშუალება;

5) აცდენილი ზიანი უნდა იყოს მიყენებულ ზიანზე უფრო მნიშვნელოვანი.

საფრთხე გულისმობს საშიშროებას, რომლის წარმოშობის წყარო შეიძლება გახდეს: ცალკეულ პირთა საზოგადოებრივად საშიში ქცევა (მაგ. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირის თავდასხმა მოლარეზე, მუშა-მოსამსახურეებისთვის ხელფასის

სახით დასარიგებელი თანხების დაუფლების მიზნით); ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესები (მაგ. ტიფით, ქოლერით, სხვა ინფექციური ავადმყოფობით დაავადება); ბუნებრივი ძალები (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა); სხვადასხვა მექანიზმების გაუმართაობა; საქონლის, ფრინველის დაცემა და სხვა.

საფრთხის რეალურობა დაკავშირებულია მის ნამდვილად არსებობასთან. ანუ, რეალური საფრთხე ობიექტურად არსებული საფრთხეა და არა ის რაც არსებობს მხოლოდ ადამიანის წარმოსახვაში. იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა კაზუსი, ანუ ისეთი შემთხვევა, როცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ზიანის მიმყენებელ პირს არ შეეძლო და ვალდებულიც არ იყო გაეცნობიერებინა თავისი წარმოდგენის მცდარობა, მიყენებული ზიანი ჩაითვლება უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეულ ზიანად, ზიანის მიმყენებლის მოქმედება კი მართლზომიერად.

"ამწუთიერი საფრთხე" გულისხმობს, რომ იგი წარმოიშვა, არსებობს და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. შესაბამისად, წარსულში მოხდარი ან მომავალში მოსალოდნელი საფრთხე არ წარმოადგდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას.

საფრთხის თავიდან აცილების საშუალების გამოყენების და აცდენილ ზიანთან მისი შესაბამისობის საკითხი, ზიანის მიყენების აქტის მართლზომიერად ცნობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა, რადგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება თუკი შეიძლებოდა ზიანის მიყენების გარეშე, პირმა უნდა აირჩიოს ეს გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ იქნება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა. შესაბამისად, ზიანის მიმყენებელი პირის ქმედება ვერ შეფასდება მართლზომიერად.

აცდენილი და მოსალოდნელი საფრთხის თანაფარდობის საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა, გადამწყვეტი ობიექტური კრიტერიუმია. მაგ. საკუთარი ქონების დაცვას არ შეიძლება შეეწიროს სხვისი სიცოცხლე.

სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელ სუბიექტს, როგორც წესი წარმოადგენს უკიდურესი აუცილებლობის

მდგომარეობაში მყოფი პირი, მიუხედავათ იმისა იგი საკუთარი თუ სხვა პირების ინტერესებში მოქმედებს. თუმცა, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს იმ მესამე პირს, რომლის ინტერესებისათვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა (იხ. სამოქალაქო კოდექის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თუ რომელი ფაქტობრივი გარემოება შეიძლება დაედოს საფუძვლად მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ვალდებულებას, ამის განსაზღვრა ძირითადად სასამართლოს პრეროგატივაა. ცალკეულ შემთხვევაში კი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მესამე პირისათვის დაკისრება, შეიძლება გამომდინარეობდეს თვით კანონის მოთხოვნებიდან. ასე მაგ. ტვირთის გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და დაზიანებებისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი საფრთხის შემცველი ტვირთის საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნა (სამოქალაქო კოდექსის 675-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი და 674-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი).

შესაბამისად, როცა ტვირთის გამგზავნი, სათანადო აღნიშვნის გარეშე, გემით გააგზავნის ადვილად აალებად ნივთიერებას და მას გემის ტრიუმში მოთავსების შედეგად, იქ არსებული მაღალი ტემპერატურის გამო, ცეცხლი გაუჩნდება, გემის კაპიტნის მოქმედება ჩაითვლება ტვირთის გამგზავნის (ანუ მესამე პირის) ინტერესებისათვის და ამ უკანასკნელს დაეკისრება იმ მგზავრებისათვის ზიანის ანაზღაურება, რომელთა ტვირთიც გემის კაპიტნის ბრძანებით ზღვაში გადაიყარა და ამ გზით იქნა აცილებული, როგორც გემის ისე მასზე მყოფი მგზავრების დაღუპვა.

სამოქალაქო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ცალკეული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ზიანის უშუალოდ მიმყენებელი და მესამე პირი ნაწილობრივ (მაგ. ქონებრივი მდგომარეობის გამო) ან მთლიანად (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პასუხისმგებლობა არ დადგება თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის

ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით) განთავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ უკიდურესი აუცილებლობის პროცესში მიყენებული ზიანის მართლზომიერება ზიანის ანაზღაურებისაგან უპირობოდ განთავისუფლების საფუძველი არ არის. შესაბამისად, ამ სახის ზიანის ანაზღაურებისაგან განთავისუფლების მოთხოვნის უფლება კვალიფიციური სამოქალაქო უფლებაა, ვინაიდან იძლევა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობითი განთავისუფლების იურიდიულ შესაძლებლობას.

§3. თვითდახმარება. მისი ფარგლები და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველი

სამოქალაქო უფლების თვითდახმარების გზით განხორციელება კანონმდებლის მიერ მიჩნეულია ისეთ მართლზომიერ მოქმედებად, რომელიც არ წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ვალდებულებას.

სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლის თანახმად, თვითდახმარება გულისხმობს- ვალდებული პირისათვის ნივთის წართმევის, ასევე ნივთის დაზიანების, განადგურების, ვალდებული პირის მხრიდან წინააღმდეგობის აღკვეთის და მისი შეპყრობის იურიდიულ შესაძლებლობას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფი პირი აღჭურვილია იურიდიული შესაძლებლობით, რომ შეიჭრას ვალდებული პირის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში და შეზღუდოს ისინი. ასე მაგ. თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფ პირს უფლება აქვს შეიბყროს ვალდებული პირი, რომელიც ქვეყნის დატოვებას აპირებს და აღნიშნული ქმედებით ხელი შეუშალოს მას "სამოქალაქო და პილიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული იმ უფლების განხორციელებაში, რომელიც ყოველ ადამიანს აძლევს უფლებას წავიდეს საკუთარი ქვეყნიდან.

თუმცა, თვითდახმარება შურისძიების აქტად, რომ არ იქცეს და ქმედება ჩაითვალოს მართლზომიერად, კანონმდებელი მოითხოვს ისეთი განსაკუთრებული გარემოებების არსებობასაც, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლის შინაარსიდან. კერძოდ, აუცილებელია რომ:

1. არსებობდეს ვალდებული პირი, ანუ მოვალე, რომლისგანაც კრედიტორს ვალდებულების ძალით შეუძლია მოქმედების შესრულების მოთხოვნა (სკ-ის 316.1-ე მუხლი);

2. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ კრედიტორისაგან ვინაიდან, თვითდახმარებად ჩაითვლება მხოლოდ კრედიტორის ქმედება ვალდებული პირის მიმართ;

3. უნდა არსებობდეს საფრთხე იმისა, რომ სწრაფი ჩარევის გარეშე უფლება ვერ განხორციელდება ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება. მაგ. თუ მოვალე, რომელიც თავს არიდებს ვალის გადახდას, პლასტიკური ოპერაციის შედეგად შეცვლილი გარეგნობით და სხვა პირის სახელზე გაკეთებული ყალბი დოკუმენტებით, არალეგალურად ცდილობს ყვეყნის დატოვებას სასაზღვრო ზოლის დაუცველი მონაკვეთიდან, სახეზე იქნება რეალური საფრთხე, რომ მოვალის მიერ საზღვრის გადალახვის შემთხვევაში კრედიტორი ვერ განახორციელებს თავის უფლებას ვალის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, ან არსებითად გართულდება ამ უფლების განხორციელება ვინაიდან, საჭირო გახდება სახელმწიფოთა დონეზე ურთიერთშეთანხმებული ღონისძიების გატარების გზით მოვალის მოძებნა, მისი იდენტიფიცირება, ექსტრადიცია და სხვა, რაც დიდძალ სახსრებთან ერთად ხანგრძლივ დროს მოითხოვს;

4. კომპეტენტური ორგანოები მოკლებულნი უნდა იყვნენ ჩარევის დროულად განხორციელების შესაძლებლობას; ამ მიზნისათვის კომპეტენტური ორგანოების ცნების ქვეშ, უპირველესად მოიაზრებიან საქართველოს საერთო სასამართლოები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლების სასამართლო წესით დაცვას იმ პირთა სარჩელის საფუძველზე, რომლებიც მიმართავენ მათ თავიანთი უფლებების დასაცავად. ექსტრემალურ სიტუაციაში როცა მაგ. მოვალე ცდილობს ქვეყნის დატოვების გზით თავი აარიდოს ვალის გადახდას, სასამართლო ორგანოებისათვის დახმარებისათვის მიმართვა და ამ გზით მიღებული შედეგი კი შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს, კომპეტენტური ორგანო, რომელსაც პირმა უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში დასახმარებლად შეიძლება იყოს: საპატრულო პოლიცია (მაგ. როცა მოვალე ჯერ კიდევ გზაშია და ცდილობს საზღვრამდე მისვლას), საბაჟო სამსახური საბაჟო საზღვრის პერიმეტრზე, საზღვრის დაცვის პოლიცია (მაგ. როცა მოვალე უკვე იმყოფება საზღვარზე და არის საფრთხე, რომ გადაკვეთს მას).

ამრიგად, თუ დადგინდება, რომ პირს შეიძლება მიემართა ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის დასახმარებლად და მათ შეეძლოთ დროულად დახმარება აღმოეჩინათ კრედიტორისათვის, თვითდახმარების აუცილებლობა არ

იარსებებს. შესაბამისად, მისი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად და არ განთავისუფლდება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

თვითდახმარების მართლზომიერად ცნობისთვის საჭიროა ასევე, რომ იგი არ გასცდეს იმ ფარგლებს, რომელიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად (სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი). წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მაშინაც კი, თუ პირი შეცდომით ფიქრობს, რომ თვითდახმარება აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, მას წარმოეშობა მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. (სკ-ის 120-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლით კი დადგენილია ასეთი ფარგლები და გულისხმობს ვავალდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფმა პირმა ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელად და თანაც დაუყოვნებლივ გაკეთოს განცხადება ნივთზე ყადაღის დადების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში კი, ასევე დაუყონებლივ იგი წარუდგინოს .სათანადო ორგანოებს (სკ-ის 119.3-ე მუხლი).

ამდენად, სამოქალაქო სამართალი აღიარებს რა კერძო პირის უფლებას თვითდახმარებაზე ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ პირმა, რომელიც თვითდახმარების მდგომარეობაში იმყოფება არ უნდა დაიცვას "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნომბრის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით ყველასათვის გარანტირებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. შესაბამისად, თუ ვალდებული პირი, რომელიც თავს არიდებს ვალის გადახდას, შემთხვევით შეხვდება კრედიტორს და ამ უკანასკნელის მოთხოვნით გადასცემს ვალს, კრედიტორის მხრიდან ვალდებული პირის შეპყრობა ან არაარსებული წინააღმდეგობის აღკვეთა, მისი კუთვნილი ნივთების წართმევა ან განადგურება იქნება თვითდახმარების ფარგლების გადაცილება, რაც გამოიწვევს, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ისე შესაძლებელია დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი თვითნებობის ან სულაც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თვითდახმარების მდგო-

მარეობაში მყოფი პირის ქმედება მოქცეული უნდა იყოს კანონის მოთხოვნათა მკაცრ ჩარჩოებში. ანუ, თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფ პირს უფლება აქვს, ვალდებულ პირს წაართვას თავისი კუთვნილი ნივთი, მაგ. განმათხოვრებელმა მონათხოვრეს უსასყიდლო სარგებლობისათვის თუ დროებით გადასცა (ანუ ათხოვა) ძვირადღირებული ოქროს საათი, მონათხოვრე კი ამ ნივთის მისაკუთრების მიზნით აპირებს მიმალვას, გამნათხოვრებლის მიერ საათის წართმევა მხოლოდ მაშინ იქნება მართლზომიერი თუკი ნივთის წართმევის შემდეგ იგი დაუყონებლივ გააკეთებს განცხადებას ნივთზე ყადაღის დადების შესახებ.

ამ შემთხვევაში წართმეულ ნივთზე ყადაღის დადება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომლითაც დადგენილია, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდეც.

სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლი ანიჭებს კერძო პირს იმის უფლებასაც, რომ შეიპყროს ვალდებული პირი. ასეთად მიჩნეულია თავისუფლების შეზღუდვის ის ხარისხი, როცა პირს არ შეუძლია დატოვოს განსაზღვრული ადგილი (მაგ. თავისი ქვეყანა) ან განახორციელოს სხვა ისეთი ქმედებებიც, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში მას თავისუფლად შეეძლო, ხოლო მათ შეზღუდვას თუ მაინც ექნებოდა ადგილი, იგი შეფასდებოდა არამართზომიერად.

თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფი პირი, ვალდებული პირის შეპყრობისას, გასცდა თუ არა თვითდახმარების ფარგლებს, ამ საკითხის შეფასებისას უნდა გაირკვეს განხორციელდა თუ არა უფლებაში ჩარევა კანონის საფუძველზე, ასევე, ისახავდა თუ არა იგი მართლზომიერ მიზანს, იყო თუ არა ასეთი ჩარევა აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის და რამდენად თანაზომიერი ღონისძიება იქნა ამ შემთხვევაში გამოყენებული.

ამდენად, ხელმყოფის უფლებამოსილება შეზღუდულია კანონით დადგენილი პირობებით. მტკიცების ტვირთი კი გადადის შეპყრობის განმხორციელებელ პირზე. კერძოდ: თვითდახმარების მდგომარეობაში მყოფი პირი ვალდებულია ამტკიცოს, რომ შეპყ-

რობას აქვს ადგილი და არა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას. მოცემულ შემთხვევაში, შეფასების ძირითადი კრიტერიუმი ის იქნება, რომ შეპყრობა და თავისუფლების აღკვეთა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ღონისძიებათა ხარისხითა და ინტენსივობით და არა ხასიათითა და არსით.

შესაბამისად, სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კრედიტორის მიერ გატარებული ღონისძიებების სახეები, მათი გამოყენების ვადები, დამდგარი შედეგი და ქმედების განხორციელების საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის ერთობლიობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ შემპყრობი ვალდებულია შეპყრობილ პირს შეუქმნას ელემენტარული ჰიგიენური და ჰუმანიტარული პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს მისდამი სასტიკად მოპყრობისათვის. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ორი ადამიანის მკვლელობისა და გაუპატიურებისათვის მსჯავრდებულ ნაუმენკოსათვის ერთი საათისა და 25 წუთის განმავლობაში ხელბორკილის დადება, ევროსასამართლომ 2002 წლის 7 მაისის №42023/98 გადაწყვეტილებით (იხ. საქმე "ნაუმენკო უკრაინის წინააღმდეგ") მიიჩნია "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ" ევროპული კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევად და საჩივარი ცნო დასაშვებად. ეს მაშინ, როდესაც შეპყრობის განმხორციელებელი პირები თავიანთ მოქმედებას ხსნიდნენ იმით, რომ ხელბორკილის დადება განპირობებული იყო თვითმკვლელობის მცდელობის აღკვეთიდან გამომდინარე აუცილებლობით, რაც საქმის მასალებით არგუმენტირებულად არ იყო დასაბუთებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულილ პრაქტიკა ადასტურებს იმასაც, რომ დაკავებად (და არა შეპყრობად) მიჩნეულია თავისუფლების შეზღუდვის ის ხარისხი, როცა პირს არ შეუძლია დატოვოს განსაზღვრული ადგილი, ან როდესაც მას ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალებასა თუ ოთახში დარჩენა მოეთხოვება. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ "აშინგეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ," 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაში, არამართლზომიერ დაკავებად ჩათვალა პირის ყოფნა ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში, რომლის კარიც არ იყო დაკეტილი ამასთან, პირს დღის

განმავლობაში ასევე უქმე დღეებში, თანმხლები პირების გარეშეც შეეძლო საავადმყოფოს დატოვება.

ანალოგიურად, "გუზარდი იტალიის წინააღმდეგ" საქმეზე, 1976 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არამართლზომიერ დაკავებად ჩაითვალა ისეთი შემთხვევა როცა პირი მოთავსებული იყო 2,5 კმ² ფართის მქონე შორეულ კუნძულზე ამასთან, მისი ცოლშვილი მასთან მუდმივად ცხოვრობდა. მთავარი კრიტერიუმი ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში დაკავების არამართლზომიერად მიჩნევისათვის ის არის, რომ გონივრულ ვადაში არ მოხდარა დაკავებული პირების წარდგენა სასამართლოსთვის. ანუ, არ შესრულებულა მთავარი მოთხოვნა დაკავებული პირის შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის დაუყონებლივ გადაცემის შესახებ. "დაუყონებლივ" ცხადია არ ნიშნავს "მაშინვეს" ვინაიდან, საქმის კონკრეტული გარემობების (მაგ. უგზოობის, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების, უტრანსპორტობის) გამო შეპყრობილი პირი შეიძლება მაშინვე ვერ გადაეცეს სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ კანონმდებელი არც იმას უშვებს, რომ ტერმინი "დაუყონებლივ" ფართოდ იქნეს განმარტებული. ამიტომაცაა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეებზე ევროსასამართლომ შეიმუშავა პრეცენდენტი, რომლითაც დაკავებული პირის სასამართლო ორგანოსათვის დაუყოვნებლივ წარდგენა გულისხმობს, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე განსახილველი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს. სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით კი ამგვარ ვადაზე მსჯელობა არ ყოფილა.

ზემოთქმული ცხადყოფს, იმასაც, რომ ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების და თავისუფლებების დაცვა უნდა ხდებოდეს პოლიტიკური დემოკრატიისა და ეფექტური სამართლებრივი დაცვის პირობებში. ანუ, სახელმწიფომ თავისი იურისდიქციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს პიროვნების უფლებების და თავისუფლებების დაცვა იმ მიმართებით, რომ: არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. ასევე, არავინ არ შეიძლება იყოს ყმობაში ან მონობაში და არავის მოეთხოვება ძალდატანებითი ან იძულებითი სამუშაოს შესრულება.

ყოველივე ეს, დაკავშირებულია პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ისეთი ფუნდამენტალური უფლების დაცვასთან, რომლითაც არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, დაცული უნდა იყოს კანონით დადგენილი პროცედურები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაკავება კანონზომიერ აუცილებლობად განიხილება მხოლოდ მაშინ თუ ამ სახის ღონისძიების გატარება წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას ვალდებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

შესაბამისად, კერძო პირის მოქმედება წინაღმდეგობაში თუ აღმოჩნდება საერთაშორისო სამართლის და ეროვნული კანონმდებლობის ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებთან, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არ შეიძლება განზე გადგნენ და თავიანთი დუმილით ან უმოქმედობით წაახალისონ ყველასთვის გარანტირებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების ხელყოფა.

იმ კერძო პირს რაც შეეხება, რომელიც ახორციელებს ვალდებული პირის შეპყრობას, თუ მისი მოქმედება წინააღმდეგობაში აღმოჩნდება "ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის შესაბამის მოთხოვნებთან, ასეთი ქმედება აღკვეთილი უნდა იქნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკანონოდ დაკავების მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია.

თვითდახმარების უფლება უნივერსალური უფლებაა და დიდ თავისუფლებას ანიჭებს პირს, მაგრამ ამავე დროს ეს უფლება სერიოზული საფრთხის შემცველი ვალდებულებების მატარებელია, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი თვითდახმარებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.

კარი მეოთხე

ვადები

თავი პირველი

ვადების გამოთვლა

§1. ვადების ცნება. გამოთვლის წესი და გამოყენების სფერო

სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მეოთხე კარი დათმობილი აქვს ვადებს. იგი ორი თავისგან შესდგება. პირველი, ვადების გამოთვლის ზოგად წესს განსაზღვრავს, მეორე კი ხანდაზმულობის ინსტიტუტს ეხება.

ვადების დაცვისა და მათი გამოთვლის წესთან დაკავშირებით ერთიანი კრიტერიუმის შემუშავების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო სამოქალაქო სამართალში. აღნიშნული განაპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ სფეროს მიკუთვნებული კონკრეტული საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშნელოვანია დროის ფაქტორი. ვადა კი დროის ის მონაკვეთია, რომელსაც უკავშირდება სამართლებრივი შედეგი. ანუ, ვადა სამოქალაქო სამართალში განუყრელადაა დაკავშირებული იურიდიულ მოვლენებთან მაგ. ხელშეკრულების დადებასა და მის ხანგრძლივობასთან. შესაბამისად, მნიშვნელობა ენიჭება არა ზოგადად დროის არსებობას, არამედ გარკვეული ვადის გასვლას ან მომენტის დადგომას.

ვადები დგინდება, როგორც კანონით (იგულისხმება სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძო სამართლის აქტები), ისე სასამართლო გადაწყვეტილებებით და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 121-ე მუხლი შეიცავს დანაწესს, რომ კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მეოთხე კარის პირველ თავში გათვალისწინებული წესები.

პირველ და მეორე შემთხვევაში, ანუ მაშინ როცა ვადა მითითებულია კანონში ან/და სასამართლო გადაწყვეტილებაში, იგი დამოკიდებული არ არის პირის ნებაზე, თუმცა, მას ვადის დინება-

ზე შეუძლია სეგავლენის მოხდენა მაგ. სარჩელის შეტანის გზით სასარჩელო ხანდაზმულობის შეჩერება, შეწყვეტა და სხვა.

კანონით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით დადგენილია შემდეგი ვადები: ალიმენტის დავალიანების გადახდევინების ვადა, სამოქალაქოკოდექსის 1235-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის წარდგენამდე არა უმეტეს 3 წელია, ხოლო მოვალე თუ იძებნება-მთელი გასული პერიოდი; ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის შეტანის ვადა შეადგენს 2 წელს სამკვიდროს გახსნის დღიდან (მუხლი 1409); აღნაგობის უფლების შეწყვეტის ვადად განსაზღვრულია 2 წლის განმავლობაში გადასახადის გადაუხდელობა (მუხლი 236); განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების ვადაა-3 წელი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (მუხლი 1132); დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილი პირის მიერ ჩანაწერის სადაოდ გახდის ვადა ერთი წელია იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ამგვარი ჩანაწერის არსებობა (მუხლი 1191); მამკვიდრებელთან ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის ვადა კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის მიზნით 3 წელია სამკვიდროს გახსნამდე (მუხლი 1341); მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულების ჩათვლის ვადა, რომელიც მამკვიდრებლისგან საჩუქრის სახითაა მიღებული შეადგენს სამკვიდროს გახსნამდე 5 წელს (მუხლი 1455); ფრენშაიზინგის ხელშეკრულების (10 წელზე მეტი ხანგრძლივობისას) მოშლის ვადა არის 10 წლის გასვლიდან ერთი წელი, მაგრამ მხარე თუ არ იყენებს ამ უფლებას, ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება 2 წლის ვადით (მუხლი 612); ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების მოთხოვნის ვადა 2 თვეა, ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე (მუხლი 560); თუ ხელშეკრულება დადებული იქნა ქუჩაში, სახლის წინ ან მსგავს ადგილებში და მომხმარებელს წერილობით არ უარყვია იგი, ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადა 1 კვირაა (მუხლი 336); შემკვეთის მიერ შესრულების ნაკლის გამო მენარდისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადაა 1 წელი მოძრავ ნივთზე და 5 წელი-უძრავ ნივთზე, შესრულებული სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან (მუხლები 555-556); სასამართლოში ან ნოტარიუსთან დეპოზიტზე შეტანილი შესრულების საგნის

შენახვის ვადაა 3 წლამდე (მუხლი 441); ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების ვადაა 1 წელი, იმ მომენტიდან, როცა მჩუქებელს წარმოეშობა ჩუქების გაუქმების საფუძველი (მუხლი 529); ცოლის მიერ ქმრისგან სარჩოს მიღებაზე მოთხოვნის უფლების ვადაა ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან 3 წლის პერიოდი (სკ-ის 1182-ე მუხლი) და ა.შ.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადა კი ნებელობითი ხასიათისაა, ანუ დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე, ვინაიდან ვადის დადგენა და მის დინებაზე ზემოქმედების მოხდენა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა პრეროგატივაა.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადის გასვლა ავტომატურ რეჟიმში არ გულისხმობს, რომ ვადის გადაცილებას აქვს ადგილი, რადგან მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა შესრულების ვადის დადგომისას მოვალე მიიღებს კრედიტორის გაფრთხილებას და ამ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას (იხ. სკ-ის 400-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის ვადა არის დრო, რომელსაც, ათვლის სხვადასხვა სისტემა გააჩნია და ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო ვადა რეალური დროის იურიდიული ანალოგია.[147]

შესაბამისად, ვადა, რადგან წარმოადგენს დროის მონაკვეთს, მოქმედებათა ხანგრძლივობის გასაზომად და მის გამოსათვლელად, საჭირო გახდა გარკვეული კრიტერიუმების შემუშავების აუცილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსით დადგენილია სპეციალური წესი, რომელიც გამოიყენება კერძო ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ კანონებში, სამოქალაქო დავების განხილვასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ, კერძოდ პირველ რიგში, კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა განემარტა, რომ ვადის დასაწყისად თუ აღებულია რაიმე მოვლენა, მაშინ ვადის გამოთვლას არ მიეთვლება ის დღე (სკ-ის 122-ე მუხლი). კონკრეტულ მაგალითზე

147 იხ. დ. სუხიტაშვილი. სამართალი და დრო. თბილისი 2004 წ. გვ.33.

აღნიშნული გულისხმობს შემდეგს-ქირავნობის ხელშეკრულების მხარეები თუ შეთანხმდებიან, რომ დამქირავებელი ნაქირავებ ბინაში გადავა 2011 წლის 28 აგვისტოს ანუ, მარიამობის დღესასწაულზე, მარიამობის დღესასწაულის მოვლენის აღმნიშვნელი დღის-28 აგვისტოს, მეორე დღიდან მოეთხოვება დამქირავებელს, ქირის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ანალოგიურად, როცა მხარეები შეთანხმდებიან, რომ ბინის ქირის გადახდა უნდა მოხდეს 2011 წლის 28 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში, ამ ვადას არ მიეთვლება დასახელებული დღის პირველი ნახევარი ანუ, 12 საათამდე დრო, რადგან სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლი შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, რომ ვადის დასაწყისად, როცა აღებულია დღის მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლას არ მიეთვლება დღის ეს მონაკვეთი.

ხშირ შემთხვევებში, ასევე აუცილებელია ვადის დამთავრების მომენტის ზუსტად განსაზღვრა. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და დაადგინა, რომ თუ ვადა განსაზღვრულია დღეების მიხედვით, მაშინ ეს ვადა მთავრდება ბოლო დღის გასვლასთან ერთად, ანუ 24 საათზე (სკ-ის 123.1-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 123.1 მუხლი არ შეიცავს დათქმას, რომ ამ წესიდან არსებობს რაიმე გამონაკლისი. ამდენად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების (მაგ. თანხის გადახდას) შესრულებას, პირი თუ ვერ მოასწრებს სამუშაო დღის დამთავრებამდე, მაგრამ ამ თანხას წარუდგენს კონტრაჰენტს 24 საათამდე, ვალდებულება უნდა ჩაითვალოს ვადაში შესრულებულად.

ყოველდღიურ კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში გვხდება შემთხვევები, როცა კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ვადები განსაზღვრულია კვირეებით (მაგ. მეორე პირის მიერ წარმოდგენილი პირისგან გარიგების დადებაზე თანხმობის მოთხოვნის ვადა, სკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, 2 კვირაა მოთხოვნის დღიდან), თვეებით (მაგ. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გაგრძელება შესაძლებელია 2 თვით (სკ-ის 1434-ე მუხლი) ან რამდენიმე თვის შემცველი დროის მონაკვეთით მაგ. წლით, ნახევარი წლით ან კვარტლით.

ამდენად, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭირო გახ-

და სამოქალაქო კოდექსს განემარტა, რომ: ნახევარი წელი ნიშნავს ექვს თვიან ვადას; კვარტალი სამი თვისგან შესდგება და იწყება წლის დასაწყისიდან; თვე გულისხმობს 30 დღეს; ნახევარი თვე 15 დღეს, კვირა 7 დღეს, ხოლო წელიწადი 365 დღეს.

ვადა, თუ იგი განსაზღვრულია კვირეებით, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით, მთავრდება ბოლო კვირის, ბოლო თვის ან იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის მონაკვეთს.

იმ შემთხვევაში თუ, ვადა განსაზღვრულია თვით/თვეებით და ამ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას. კერძოდ, ვადა თუ განსაზღვრულია ერთი თვით და ეს პერიოდი მოდის თებერვალზე, მიუხედავად იმისა, რომ თებერვალი შეიძლება იყოს 28 დღიანი თვე, ვადა მთავრდება 28 თებერვალს და არა მომდევნო მარტის თვის 2 რიცხვში. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა შემთხვევაში თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ—თვის მე-15 დღე, მაშინაც თუ თვე 28, 29 ან 31 დღისაგან შესდგება, ხოლო თვის დასასრულად-თვის ბოლო დღე.

შესაძლებელია, რომ სამოქალაქო ურთიერთობის სფეროში შემავალი მოქმედების შესრულების დღე დაემთხვეს არასამუშაო დღეს (საქართველოში ასეთი დღეებია-შაბათ-კვირა) ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო და სხვა გამოსასვლელ დღეებს. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში სადღესასწაულო და ,,სხვა გამოსასვლელი დღეების" ჩამონათვალი მოცემულია საქრთველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლში და ისინი იწოდება უქმე დღეებად. კერძოდ: 1-ლი და 2 იანვარი ახალი წლის სადღესასწაულო დღეებია; 7 იანვარი-უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 19 იანვარი ნათლისღება-უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გამოცხადების დღე; 3 მარტი დედის დღე; 8 მარტი-ქალთა საერთაშორისო დღე; 9 აპრილი-საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; სააღდგომო დღეები-დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე, მიცვალებულთა გახსენების დღე, აღდგომის მეორე დღე, ორსაბათი (თარიღები გარდამავალია); 9

მაისი-ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი-საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის დამაარსებლის-წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; 28 აგვისტო-ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); 14 ოქტომბერი-მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის დღე) და 23 მაისი-გიორგობის დღე.

არასამუშაო და უქმე დღეებთან დაკავშირებით მოქმედებს წესი, რომ მათ თუ დაემთხვევა ის დღე, როცა მოქმედება უნდა შესრულდეს, ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო და უქმე დღეს, ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე (სკ-ის 127-ე მუხლი).

ცალკეულ შემთხვევებში, საჭირო ხდება არსებული ვადების გაგრძელება, კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და სამოქალაქო კოდექსის 125-ე მუხლით განსაზღვრა ვადის გაგრძელებისას მისი გამოთვლის წესი. კერძოდ, ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან. ანუ, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს მოვლენათა თანმიმდევრობას. კერძოდ, ისეთ ვითარებას, როცა ერთ მოვლენას მოსდევს მეორე მოვლენა დადგენილი წესის მიხედვით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ორ მოვლენას შორის ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მყარდება, როდესაც წინა მოვლენას აუცილებლად უნდა მოყვეს მომდევნო მოვლენა.[148] მოცემულ შემთხვევაში წინა მოვლენაა ვადის გასვლა, მისი არსებობის გარეშე კი მეორე მოვლენის- ვადის გაგრძელების არსებობა წარმოუდგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირობითად ვადები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად, კერძოდ: 1) სამოქალაქო უფლების დამდგენი ვადები; 2) სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები და 3) უფლების დაცვის ვადები.

სამოქალაქო სამართალში უფლების დამდგენი და უფლების განმხორციელებელი ვადები, განაპირობებებენ უფლება-მოვალეობების არსებობას ზოგადად, რაც მათ განასხვავებს უფლების დაცვის ვადებისაგან, ანუ ხანდაზმულობისგან, რომელიც ვადას გულისხმობს, მაგრამ სხვა კონტექსტში.

---

148 იხ. დ. სუხიტაშვილის დასახელებული ნაშრომი. გვ. 54.

თავი მეორე

ხანდაზმულობა

§1. ხანდაზმულობის ცნება და სახეები

ხამდაზმულობა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების შესრულება ან/და მოქმედებისგან თავის შეკავება. მარტივად, რომ ვთქვათ ხანდაზმულობა უფლების დაცვის ვადაა. სამოქალაქო კოდექსის 128.3-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის, საერთო ვადად განსაზღვრულია 10 წელი. ანუ, ეს ვადა გათვალისწინებულია იმ ურთიერთობებისათვის, რომელთა მიმართ, სამოქალაქო კოდექსით ან სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, კანონმდებელმა საჭიროდ არ მიიჩნია სპეციალური ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადები კი დადგენილია, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით. კერძოდ, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით 6 წელს (სკ-ის 129.1-ე მუხლი), ანალოგიურად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ, 3 წელია. (სკ-ის 129.2-ე მუხლი).

სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კანონმდებლის პოზიცია შემდგომ დაზუსტებას არ მოითხოვს მაშინ, როცა, ცალკეულ შემთხვევებში, ჭირს იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების ცნების ქვეშ და საჭირო ხდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე კი, საწარმოო ტრამვის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა. ანუ, პირი ყოველთვიურად თუ იღებდა საწარმოო ტრამვის შედეგად ჯანმრთელობის შეზღუდვის გამო სარჩოს, მაგრამ უსაფუძვლოდ შეუწყდა მისი გაცემა, ყოვ-

ელთვიური სარჩოს გადახდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და მასზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, სარჩოს ოდენობის ხელახლა გადაანგარიშების შემდეგ, სარჩოს მიმღების სასარგებლოდ, საწარმოს დაეკისრება ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩოს ერთჯერადად გადახდა.

სამოქალაქო კოდექსის 129.3-ე მუხლი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ კანონით (მასში იგულისხმება, როგორც სამოქალაქო კოდექსი ისე სამოქალაქო სამართლის სხვა წყაროები) გათვალისწინებული იყოს დასახელებულ მუხლში მითითებულისაგან განსხვავებული ვადები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლის თანახმად, ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა 30 წელია დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან. ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-19 მუხლი კი ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის ადგენს ხანდაზმულობის 100 დღიან ვადას, რომლის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა პირი გაეცნო ცილისმწამებლურ განცხადებას ან შეეძლო გაცნობოდა მას. თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ მას არ შეუძენია საკუთრების უფლება, უძრავი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 15 წელი (სკ-ის 167-ე მუხლი), მოძრავ ნივთზე კი 5 წელი (სკ-ის 165-ე მუხლი) და ა.შ.

ჩამოთვლილი შემთხვევებისაგან განსხვავებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს, მიუხედავად იმისა, რომ თვით მოთხოვნა შეიძლება ექვემდებარებოდეს უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას (სკ-ის 142.1-ე მუხლი). მაგ. სესხის სახით გაცემული თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, მაგრამ სესხის მიცემის საკითხი თუ გახდა სასამართლოში დავის საგანი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა სესხის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით, ამ თანხის გადაცემის მოთხოვნის უფლება, გამარჯვებულ მხარეს აქვს 10 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ეს შესაძლებლობა მას დაეკარგება მოთხოვნის ხანდაზმულობის, ანუ 10 წლის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადებისა და გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ანუ, უდაოა, რომ კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით.

არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 142.1-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესი, ხანდაზმულობის 10 წლიან ვადასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426.4-ე მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ"ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

რეალურად თუ შევხედავთ ამ საკითხს არანაირ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი, რადგან სამოქალაქო კოდექსის 142.1-ე მუხლს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობისგან განსხვავებული ვადა კი არ დაუწესებია, არამედ განსაზღვრა სასამართლოს მიერ უკვე განხილული და ამ საკითხზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნის 10 წლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც, სასამართლო დავაში გამარჯვებულს, შეუძლია მოითხოვოს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება. ასეთი პოზიციის მართებულობა დაადასტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, რომელმაც განიხილა სარჩელი სსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე და 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილებით, დაადგინა სადაო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილება იმ გარემოებით ახსნა, რომ საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენება 5 წლის შემდეგ იქნებოდა საფრთხის შემცველი იმ ზოგადი წესის მიმართ, რომლითაც კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილება საბოლოოდ და თანაც შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის სადაოდ ქცეულ ურთიერთობებს.

ზემოთქმულისაგან განსხვავებით, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება: პირად არაქონებრივ უფლებებზე, ანუ უხამსობით, პირისპირ შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის დაცვის შემთხვევებზე, რაც შეეხება ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შემთხვევას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა კანონით (იგულისხმება ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი) მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის სპეციალური ვადა და იგი შეადგენს 100 დღეს.

უნდა ითქვას, რომ ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონით ცილისწამებისათვის 100 დღიანი ხანდაზმულობის ვადის დაწესება ცილისწამებით დაზარალებულ პირს არათანაბარ პირობებში აყენებს იმ პირებთან შედარებით, რომელთა უფლებებიც შეილახა სამოქალაქო კოდექსის 993.1-ე მუხლით გათვალისწინებული ხელყოფით, ვინაიდან პირს, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან აშკარად არასწორ ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. დელიქტით გამოწვეული ამ სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა კი არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის არსებობის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (იხ. სკ-ის 1008-ე მუხლი). ამდენად, მიგვაჩნია, რომ ხელოვნურად დაწესებული 100 დღიანი ხანდაზმულობის ვადა უნდა გაუქმდეს.

ხანდაზმულობის ვადა არ არის დადგენილი, ასევე მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

ხანდაზმულობა უაღრესად ქმედითი ინსტრუმენტია, რომელიც ერთის მხრივ იცავს სამოქალაქოსამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებებს, მეორეს მხრივ ეხმარება სასამართლოს, სარჩელში მითითებული ფაქტების შესწავლისა და დადგენის

გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში. ამავდროულად წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ურთიერთ კონტროლის საშუალებასაც.

ხანდაზმულობის ვადის არსებობა წარმოუდგენელია უფლების დარღვევის გარეშე. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ხანდასმულობის ათვლა კანონმდებელმა დაუკავშირა იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის ვადა, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთერთი მთავარი პირობაცაა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულ პირს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე (იხ. სკ-ის 144.1-ე მუხლი). კერძოდ, თუ პირმა თავის მეზობელს ერთი წლის ვადით ასესხა ფული და მისი დაბრუნება მოითხოვა 5 წლის გასვლის შემდეგ, ამ შემთხვევაში დააბრუნებს თუ არა ნასესხებ თანხას, ეს მთლიანად მსესხებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან სესხის ხელშეკრულებით გაცემული თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 3 წელია და მისი გასვლის მოტივით მოვალეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სესხის აღების ისე მისი დაუბრუნებლობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს.

ვალდებულმა პირმა მოვალეობა თუ შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ამ შემთხვევაში იგი სამართლებრივი დაცვის გარეშეა დატოვებული, ვინაიდან არ შეუძლია შესრულებულის დაბრუნების (სკ-ის 144.2 მუხლი) მოთხოვნა, თუნდაც იმაზე მითითებით, რომ არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ.

ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლემონაცვლეობის გზით, სხვა (მესამე) პირის ხელში თუ აღმოჩნდება (მაგ. გარდაცვლილი მამის შვილი გააგრძელებს იჯარის ხელშეკრულებას), მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა არ ჩერდება (იხ. სკ-ის 143-ე მუხლი). ანუ, გრძელდება, როგორც ერთიანი უწყვეტი პროცესი და მისი გასვლის შემდეგ ვალდებულ პირს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთავარი მოთხოვნის (მაგ იჯარის საზღაურის) ხანდაზმულობის გასვლა, სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად, გულისხმობს დამატებითი მოთხოვნებისთვისაც (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია) ხანდაზმულობის ვადის გასვლას, მიუხედავად იმისა საკუთრივ ამ დამატებითი მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადა გასულია თუ არა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ხანდაზმულობის ვადის არსებობა მხარეს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად გამოიყენოს ამ ინსტიტუტით მინიჭებული უფლება და, თუ გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

კანონმდებლის პოზიცია, მოცემულ შემთხვევაში, არაპუმანურობის განცდას ტოვებს, რის გამოც არაერთი მონინააღმდეგე ჰყავს. თუმცა, მსგავს რადიკალიზმს აქვს გამართლება, ვინაიდან პირს ათავისუფლებს, მის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული, ვალდებულების შესრულების უსასრულო მოლოდინისაგან, მეორეს მხრივ კი კრედიტორს აიძულებს იყოს მაქსიმალურად მობილიზებული, რათა არ დაუშვას ხანდაზმულობის ვადის გასვლა.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ანუ, გამოდის, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ფაქტორს. ამის დასტურია ის, რომ მოსარჩელე როცა არ ეთანხმება მოპასუხის პოზიციას ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მან უნდა ამტკიცოს თუ რეალურად როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სასამართლო პრაქტიკისათვის შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საფუძველს, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადებს ადგენს იმ მიზნით, რომ ამ ვადებში პირმა შეძლოს დარღვეული უფლების იძულებით განხორციელება.

არსებული სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს იმასაც, რომ ხანდაზმულობის ვადაზე უნდა მიუთითოს სამართალურთიერთობის მხარემ, სასამართლო კი საკუთარი ინიციატივით ამას ვერ

გააკეთებს, რადგან მისი პრეროგატივა ამ შემთხვევაში მხოლოდ ვადის გამოთვლით, ანუ იმის დადგენით შემოიფარგლება, ხომ არ იყო განვლილ პერიოდში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილი ან/და შეჩერებული.

სასამართლო განსხვავებულად თუ მოიქცევა და საკუთარი ინიციატივით იმსჯელებს ხანდაზმულობის ვადის გასვლა-არგასვლის თაობაზე, ეს იქნება შეჯიბრობის პრინციპის დარღვევა, რადგან მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე კი უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად. ანუ, მხარეები ეჭვქვეშ თუ არ აყენებენ ხანდაზმულობის საკითხს, სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელი და მიიღოს გადაწყვეტილება, მაშინაც თუ გასულია ხანდაზმულობის ვადა.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია ისიც, რომ, საქმეში რამოდენიმე მოპასუხედან მხოლოდ ერთი თუ უთითებს ხანდაზმულობის ვადის გაშვებაზე, სასამართლო ხანდაზმულობის საკითხს წყვეტს მხოლოდ იმ მოპასუხესთან მიმართებაში, რომელმაც აღნიშნული საკითხი დააყენა.

ხანდაზმულობის ვადაზე მითითება შეიძლება, როგორც პირველი ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. ხანდაზმულობის ვადაზე მითითება პირველად საკასაციო ინსტანციის სასამართლოში კი დაუშვებელია. შესაბამისად, თუ საქმე დაბრუნდება, სხვა მოტივით, ქვემდგომ ინსტანციაში ხელახლა განსახილველად, მხარეს მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ხანდაზმულობის ვადაზე მითითება.

დღემდე აქტუალურად რჩება გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამორთმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავებთან მიმართებაში ხანდაზმულობის საკითხი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ კატეგორიის დავებზე სასამართლო იცავს სსსკ-ის მე-2 მუხლის მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად და განსახილველად იღებს სასარჩელო განცხადებებს. თუმცა, მოპასუხე (ამ შემთხვევაში სახელმწიფო),

ვინაიდან აპელირებს ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე, იმ მოტივით, რომ თავის დროზე ისინი არ გასაჩივრებულა, ამჟამად კი გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ის ვადები, რაც თავის დროზე დადგენილი იყო მოქმედი ნორმატიული აქტებით, სასამართლო უარს ეუბნება მათ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე.[149]

ხანდაზმულობი შესახებ საკითხი დღის წესრიგში დგება მხოლოდ მოთხოვნის უფლების წარმოშობის შემთხვევაში. მოთხოვნის უფლება კი, თავის მხრივ, შეიძლება დამოკიდებული იყოს კრედიტორის მოქმედებაზეც. მოთხოვნის წარმოშობა როცა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო გამეხორციელებინა ეს მოქმედება (იხ. სკ-ის 131-ე მუხლი). ასე მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ. შესაბამისად, სანამ კრედიტორი არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საზღაურს მას არ წარმოეშობა დამზადებული ნაკეთობის მოთხოვნის უფლება, მაგრამ საზღაურის გადახდის შემდეგ შემკვეთს, ანუ კრედიტორს აქვს ხელშეკრულების საგნის მიღების შესაძლებლობა ხანდაზმულობის ვადების (მოძრავი ნივთისთვის 3 და უძრავი ნივთისთვის 6 წლის) დაცვის პირობებში.

149 იხ. სუსგ №ას-721-973-04.

§2. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება

სამოქალაქო კოდექსი იცნობს, ხანდაზმულობის ვადის, როგორც შეჩერების ისე შეწყვეტის შესაძლებლობას. ამასთან, დრო რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო, ხანდაზმულობის ვადაში არ ითვლება.

ხანდაზმულობის ვადა ჩერდება თუ: 1) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ანუ ადგილი აქვს მორატორიუმს; 2)სარჩელის წარდგენისათვის დაბრკოლებას ქმნის განსაკუთრებული და ამავე დროს აუცდენელი დაუძლეველი ძალა, ანუ ფორსმაჟორი (წყალდიდობა, მიწისძვრა, ავიაკატასტროფა და აშ.); 3) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

ხანდაზმულობის შეჩერების ჩამოთვლილი შემთხვევები ამომწურავი არ არის, რადგან სამოქალაქო კოდექსში საუბარია კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებზეც. ჯკანონმდებელი კი მათ რიცხვს მიაკუთვნებს- ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის წარმოშობილ მოთხოვნებს და, როგორც ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებთან დაკავშირებულ, ისე მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებს. ასე მაგ. სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა ჩერდება მანამ მათ შორის რეგისტრირებული ქორწინება არსებობს. ანუ, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე, მეორე მეუღლეს თუ ასესხებს ფულს, განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, 3 წლის განმავლობაში, ამ უკანასკნელს არ შეუძლია უარი თქვას მის გადახდაზე იმ მოტივით, რომ გასულია, სამოქალაქო კოდექსის 129.1-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რადგან განქორწინების შემთხვევაში, განქორწინების რეგისტრაციის დღიდან, მოთხოვნის 3 წლიანი ხანაზმულობის ვადა ითვლება განახლებულად. ასე მაგალითად მომავალი მეუღლეებიდან ერთ-ერთი, დაქორწინებამდე 2 წლით ადრე, მეორე მეუღლეს თუ ასესხებს თანხას, მოთხოვნის ხანაზმულობის ვადა შეჩერდება ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში და განახლდება მათი ქორწინების შეწყვეტის დღიდან (სასამართლოს მეშვეობით განქორწინების შემთხვევაში ქორ-

წინების შეწყვეტის დღედ ითვლება არა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე არამედ განქორწინების რეგისტრაციის მომენტი. იხ. სკ-ის 1132.2-ე მუხლი). ამასთან, ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება დაქორწინებამდე არსებული ის 2 წლიანი მონაკვეთი, როცა თანხის გასესხებას ჰქონდა ადგილი;

ანალოგიურად, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება-მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ მოთხოვნებზე, მანამ ბავშვები სრულწლოვნები, ანუ 18 წლის გახდებიან, ასევე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე, მანამ მეურვეობა გრძელდება;

იმ შემთხვევაში როცა მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისგან, ან მიმართულია ასეთი პირებისადამი და მათ არ ჰყავთ კანონიერი წარმომადგენელი, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება, მანამ პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან/და არ დაენიშნება წარმომადგენელი (იხ. სკ-ის 134-ე მუხლი).

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი. სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გამო (ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი), ადგილი აქვს დაუძლეველი ძალის მოქმედებას (ფორსმაჟორი), რაც აბრკოლებს სარჩელის წარდგენას და ა.შ.) ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას, ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი ან/და ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. ანუ, სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებები ხანდაზმულობას აჩერებს მხოლოდ მაშინ, თუ წარმოიშვნენ ან აგრძელებენ არსებობას ხანდაზმულობის უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე. კერძოდ, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადად თუ განსაზღვრული იყო 2008 წლის 31 დეკემბერი, ამ შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში არსებული ომი, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველი იქნება.

რაც შეეხება საკითხს, კონკრეტულად რა ვადით უნდა გაგრძელდეს შეჩერებული ხანდაზმულობა, ამაზე პასუხს იძლევა სკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შინაარ-

სი ერთობლობაში. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველი თუ წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ამ გარემოების შეწყვეტის დღიდან, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე, ხოლო ხანდაზმულობის ვადა თუ ექვს თვეზე ნაკლები იყო, დარჩენილ ვადამდე. მაგალითად, როცა ხანდაზმულობის ვადა ურთიერთობისათვის 3 წელია, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს, თუ ერთერთ შემაჩერებელ გარემოებას ჰქონდა ადგილი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებიდან 2 წლისა და 6 თვის გასვლის შემდეგ. თუ მოხდა ისე, რომ შემაჩერებელი გარემოება წარმოიშვა ადრე, მაგრამ აგრძელებს არსებობას ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის ფარგლებში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მისი ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე.[150]

150 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. თბილისი 1999 წ. გვ. 329.

§3. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა გულისხმობს, რომ შეწყვეტამდე განვლილი პერიოდი მხედველობაში არ მიიღება და ვადის ათვლა იწყება თავიდან (სკ-ის 141-ე მუხლი).

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლებს დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლები. ეს ჩამონათვალი ამომწურავია და განვრცობას არ ექვემდებარება. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი, უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ ხანდაზმულობის შეწყვეტას იწვევს ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებები, ვინაიდან პირი კისრულობს ისეთი დამატებითი ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ამ ჯგუფს განეკუთვნება: ა) ავანსის და ბ) პროცენტის გადახდა, გ) გარანტიის მიცემა, გ) სხვაგვარად მოთხოვნის აღიარება.

ავანსის გადახდაში იგულისხმება შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების ნაწილობრივ წინასწარი გადახდა, როგორც ფულადი თანხით ისე სხვა ქონებრივი სიკეთის სახით. იგი ჩაითვლება საბოლოო შესრულებაში. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ექვემდებარება იმავე ოდენობით დაბრუნებას. ამით განსხვავდება ავანსი ,,ბე"-საგან. ხელშეკრულებაში თუ მითითებული არ არის, რომ წინასწარი გადახდა წარმოადგენს ,,ბე"-ს, ყველა წინასწარი გადახდა ითვლება ავანსად.

პროცენტის გადახდა ისეთი შემთხვევაა, როცა სესხისთვის გათვალისწინებულია პროცენტი და იგი გადახდილი უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. (იხ. სკ-ის 626.3 მუხლი) გადახდა.

გარანტიის მიცემა. სკ-ის 653-ე მუხლით, განსაზღვრულია, რომ მენარდემ ნაკეთობისთვის თუ იკისრა საგარანტიო ვადა, ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს.

„სხვაგვარად მოთხოვნის აღიარებაში" კი იგულისხმება-თავდებობა (891-905 მუხლები), საბანკო გარანტია (879-890 მუხლები), ასევე მოვალის წერილობითი აღიარება ვალის არსებობის შესახებ, შესრულების გადავადების თაობაზე წერილობითი თხოვნა, ვალდებულების შესრულების განსაზღვრულ ვადაში წერილობით დაპირება.

მოვალის გარანტიად მიიჩნევა ვალდებულების ისეთი უზრუნველყოფა, რომლის დროსაც მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. მაგ. მაია ხიდურელმა ისესხა თავის მეგობარ ნანა რაზმაძისაგან 10 000 აშშ. დოლარი ერთი წლის ვადით. ამასთან შეჰპირდა ნ. რაზმაძეს, რომ თუ ვალს ვერ დააბრუნებს, გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ მსუბუქ ავტომანქანა ,,მერსედესს," რომლის საბაზრო ღირებულება 12 000 აშშ. დოლარია.

თავდებობისას მესამე პირი (თავდები) კისრულობს კრედიტორის წინაშე ვალდებულებას თავდებად დაუდგეს მოვალეს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. მაგ. ზურაბ ნაჭყებიამ, თანაკურსელ ფრიდონ შენგელიასაგან ისესხა 20 000 ლარი. ფ. შენგელიას წინაშე ვალის დაფარვისათვის თავდებობა იკისრა მისმა ბიძამ გოდერძი გერგედავამ, თავდებობის ხელშეკრულებაში კერძოდ აღინიშნა, რომ, თუ ზ. ნაჭყებია დათქმულ ვადაში ვერ დააბრუნებს სესხს, გ. გერგედავა დაფარავს მის ვალს 20 000 ლარის ოდენობით.

საბანკო გარანტიის შემთხვევაში ბანკი (საკრედიტო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას, გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მაგ. შპს "ნატახტარმა" 100 000 ბოთლის შესაძენად ნასყიდობის ხელშეკრულება დადო შპს ,,მინის ჭურჭელთან." შპს ,,ნატახტარს," ვინაიდან ფული არ ჰქონდა, მას, როგორც პრინციპალს გარანტად დაუდგა (ანუ, გასცა წერილობითი საბანკო გარანტია) ,,ლიბერთი ბანკი". ამ საბანკო გარანტიით, მოთხოვნისთანავე ბანკმა უნდა

გადაუხადოს შპს ,,მინის ჭურჭელს"ანუ, ბენეფიციარის 80 000 ლარი.[151]

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ ისეთი სარჩელის შეტანა, რომელიც მიმართულია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად.

ანალოგიურად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს უფლებამოსილი პირის განცხადებით მიმართვა სახელმწიფო ორგანოსათვის (მათში არ იგულისხმებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგ. პროფკავშირები, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ვინაიდან ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის თანახმად ისინი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან გამოცალკევებული ორგანიზაციებია) ან სასამართლოში (მიუხედავად, იმისა უფლებამოსილნი არიან თუ არა გადაწყვიტონ ეს დავა) იმის თაობაზე, რომ გააჩნია მოთხოვნა. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება მაშინაც, როცა ადგილი აქვს უფლებამოსილი პირის მიერ აღმასრულებელი მოქმედების (მაგ. შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტიის ამოქმედების მოთხოვნა და სხვა) განხორციელებას.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პირი მოქმედებს თვითდახმარების მდგომარეობაში, სამოქალაქო კოდექსის 118-120-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით და თვითდახმარების მიზნით წაართმევს ნივთს ვალდებულ პირს ან/და ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს.

სარჩელის შეტანის შემდეგ, მოსარჩელე თუ უარს იტყვის სარჩელზე, ანდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული, ამგვარი სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს. გამონაკლისია შემთხვევა, როცა უფლებამოსილი პირი ექვსი თვის განმავლობაში შეიტანს ახალ სარჩელს, რადგან ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა წყდება პირველი სარჩელის შეტანის დღიდან (იხ. სკ-ის 140-ე მუხლი).

---

151 იხ. ლ. ჭანტურია. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. თბილისი-1999 წელი. ჩგვ. 3-5.

ცალკეულ შემთხვევებში პირზე, უფლებამონაცვლობის საფუძველზე გადადის ნივთი, რომელზეც მოთხოვნის უფლება სხვას ეკუთვნოდა. მსგავსი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსის 143-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება მისი უფლებამონაცვლესთან მიმართებაშიც. მაგ. ბინის დამქირავებელი, რომელსაც ბინა ჰქონდა დაქირავებული 3 წლით, ხელშეკრულების დადებიდან 2 წელიწადში თუ გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე აგრძელებს ბინით სარგებლობას, გარდაცვლილი დამქირავებლის უფლებამონაცვლემ ბინა უნდა გაანთავისუფლოს ერთი წლის გასვლის შემდეგ.

სარჩევი

შესავალი 3

თავი პირველი

შესავალი დებულებანი

§1. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო 6

§2. საზღვარგარეთის ქვეყნებში ნაციონალური სამართლებრივი სისტემების წარმოშობა და მათი ზოგადი დახასიათება 11

§3. ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები, კანონმდებლობის კოდიფიკაციის ტრადიცია და მისი ადგილი მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების საგანძურში 24

§4. სამოქალაქო კანონმდებლობა 63

§5. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში 89

§6. სამოქალაქო სამართლის სისტემა 99

§7. სამოქალაქო სამართლის პრინციპები 103

თავი მეორე

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები

§1. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ცნება. შემადგენელი ელემენტები. იურიდიული ფაქტები 110

§2. სამოქალაქო სამართლის ობიექტები 112

§3. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ზოგადი დახასიათება და სახეები 127

§4. ცალკეულ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტთა სახეები 131

კარი პირველი

პირები

თავი პირველი

ფიზიკური პირები

§1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა. შემადგენელი ელემენტები. უფლებებისა და მოვალეობების სახეები 140

§2. სამოქალაქო უფლებების დაცვის გზები, ხერხები და საშუალებები 150

§3. უფლებაუნარიანობის წარმოშობა და შეწყვეტა 167
§4. ქმედუნარიანობა. სახეები, წარმოშობა და შეწყვეტა 171
§5. სახელის უფლება 177
§6. ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებები.
ცნება და სახეები 183
§7. სახელი, როგორც ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი
უფლება და მისი დაცვის საშუალებები 185
§8. ფიზიკური პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია 189
§9. ცილისწამებით შელახული პატივის, ღირსების, საქმიანი
რეპუტაციის დაცვა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების
შესახებ" კანონით დადგენილი წესით და ამ მიმართებით არსებული
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 201
§10. უხამსობით შელახული პირადი არაქონებრივი
უფლებების დაცვა 229
§11. პირისპირ შეურაცხყოფა 235
§12. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა
არასათანადო რეკლამით ხელყოფის შემთხვევაში 239
§13. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"
საქართველოს კანონით გათვალისწინებული
პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებები 243
§14. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა 245
§15. პირადი ხელშეუხებლობის უფლება 263
§16. გამოსახულებაზე უფლების დაცვა 272
§17. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ორგანიზაციის
მიერ გაცემული საბუთით შელახული პირადი არაქონებრივი
უფლებების დაცვა 274
§18. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის
შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება 280
§19. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება
სამოქალაქო სამართალში 300
§20. გარდაცვლილ პირთა, სულით ავადმყოფოფთა და
ჭკუასუსტთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა 306
§21. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი 311

§22. ფიზიკური პირის აღიარება უგზო-უკლოდ დაკარგულად ...317
§23. ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება
და მისი დაბრუნების შედეგები 323

თავი მეორე
იურიდიული პირები
§1. იურიდიული პირის წარმოშობა და მასთან დაკავშირებით
არსებული თეორიები 327
§2. იურიდიული პირის ცნება და მის შესახებ არსებული
ზოგადი დებულებანი 332
§3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა 339
§4. საჯარო სამართლის იურიდიული პირები 345
§5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულთა
სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებები 359
§6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები 366
§7. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები 377
§8. სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია 386
§9. სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობა
და წარმომადგენლობა 390
§10. სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორთა
საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო 394
§11. სამეწარმე იურიდიული პირის ლიკვიდაცია
და რეორგანიზაცია 400

თავი მესამე
სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტები
§1. არარეგისტრირებული კავშირი 407
§2. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა 409
§3. ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული საწარმოები 414

კარი მეორე
გარიგებანი
§1. ზოგადი ნორმები გარიგების შესახებ 417
§2. გარიგების ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული
ტრადიციები საზღვარგარეთ და საქართველოში 420

§3. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა 427
§4. ნების გამოვლენის განმარტება და გარიგების
არარსებობა შინაარსის დაუდგენლობის გამო 429
§5. გარიგებათა სახეები 430

თავი მეორე
ნარმომადგენლობა გარიგებებში
§1. წარმომადგენლობის ცნება, სახეები და წარმოშობის
საფუძვლები 454
§2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცნება,
სახეები, წარმოშობის და შეწყვეტის საფუძვლები 462

კარი მესამე
უფლების განხორციელება
§1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი ...472
§2. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი 477
§3. თვითდახმარება, მისი ფარგლები და ზიანის
ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები 481

კარი მეოთხე
ვადები
თავი პირველი
ვადების გამოთვლა
§1. ვადების ცნება. გამოთვლის წესი და გამოყენების სფერო ...488

თავი მეორე
ხანდაზმულობა
§1. ხანდაზმულობს ცნება და სახეები 494
§2. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება 502
§3. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა და მისი
სამართლებრივი საფუძვლები 505